*სერგი (გიორგი) ს ა ჯ ა ი ა*

≈*≈

# შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში

## III ნაწილი

**...ერთი** რამ ცხადია, ძუძუმტე აფსუებს თანმიმდევრულად, გასაგებად და კეთილმოსურნედ უნდა განემარტოთ, ***რომ ყველაზე ღირებული და უდალოსწვდომილო, რაც მათ ამ ცისქვეშეთში შეიძლება ჰქონდეთ, ესაა მათი აფსუობის დედანი არსი და ნურანაირი სხვა, მიზნობრივად მიაზრებული ვინაობით ან დიდმპყრობლური პოლიტიკის საანკეტო მეობით ნუ ეცდებიან თვითდამკვიდრებას, რადგან ეს ღვთის უნებური ხელგამოღებაა და ამ გზით ისინი მხოლოდ უვინაობაში დგინდებიან, ხოლო უარავინო, ურაობო და უვინაო შინაარსი დროსა და სივრცეში ვერ განიშანსვეტდება, იგი დაცემადია. დიახ, უვინაოა ის, რაც საკუთარი თვალსაწიერიდან თავდაღწევას და ხელოვნურად მორგებულ თუ დამალებულ რაობაში ახლად დაბადებას ცდილობს. სასიცოცხლოდ არაფერი სჭირს ჩვენს სახლიკაც და ძუძუმტე აფსუა ხალხს, ოფლისგან მარადიულყოფილის ქართველთა სახელმწიფოს ცის ქვეშეთში...***

≈*≈

*სერგი (გიორგი) საჯაია*
*შეთქმულთა თაღლითობანი III*

***

1. გ. გვაზავამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თანამდებობით დევნილი მოსახლეობის პოლიტიკურმა წინამძღოლმა, თავისი ოჯახისთვის ნაჩუქარი და ხუთჯერ ნაავარიევი მანქანა თაღლითური გზითა და საბუთების გაყალბებით, ერთპიროვნულად, თან სამმაგ ფასად (32 000 ლარად) მიჰყიდა თუ არა იმ ინსტიტუციას, რომლის თავმჯდომარეც თავადაა და რომელსაც ემსახურება ეს მანქანა?

2. რამდენად კანონიერია ასეთი საქციელი და იწონებთ თუ არა ამას?

3. გადაამეტა თუ არა მან ამით თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას?

4. ნიშნავს თუ არა ეს ფინანსურ დარღვევას ანგარებითი მიზნით?

5. თაღლითური ყიდვა-გაყიდვის "გასასამართლიანებლად" გ. გვაზავამ გააფორმებინა თუ არა ყალბი საბუთები?

6. ყალბი საბუთების გაფორმებაში მან (გ. გვაზავამ) შანტაჟის გზით ჩაითრია თუ არა თანამშრომლები?

7. ამით დანაშაულს მიეცა თუ არა ორგანიზებული და ჯგუფური ხასიათი?

8. ასეთ ქმედებაში იმხილება თუ არა სახელმწიფო სახსრების დატაცება?

9. არის თუ არა დამაეჭვებელი შესყიდვისთანავე "ახალი" მანქანის კაპიტალურ რემონტზე დაყენება და ამისთვის დამატებით რამოდენიმე ათასი ლარის გადახდა?

10. გააფორმა თუ არა გ. გვაზავამ ყალბი მივლინებები აპარატის თანამშრომლებზე საკუთარი ვალის გადასახდელად?

11. რა ჰქვია იმას, როდესაც თითქმის 3 ათას ლარიანი ხელფასის მქონე ადამიანი თავისი ვალის (200 ლარი) დასაფარავად პირადად აგროვებს თანამშრომლებიდან მათზე ყალბად დარიცხულ "სამივლინებო" 30-30 ლარს?

12. აქვს თუ არა გამართლება იმას, როცა ხელისუფლების პირველ პირს სახლიდან სამსახურში მოსაყიდად მოაქვს საკუთარი, 1975 წელს გამოშვებული ბაქოს კონდიციონერი, რომელიც - ამორტიზებული და უვარგისია და მაინც მოითხოვს, ახალი კონდინციონერის შესყიდვად გააფორმონ იგი, ფული კი მას
გადასცენ?

(მე შემიძლია ეს ჩამონათვალი ბარე 3 გვერდზე განვაგრძო, მაგრამ გ. გვაზავასთან დაკავშირებით ჯერ ამაზე გამეცით პასუხი). შემდეგ:

1. იყიდა თუ არა ა. წოწონავამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოზე რიცხული გამართული მანქანა 500 ლარად, ხოლო საკუთარი, ისევ და ისევ ამორტიზებული მანქანა, მოჰყიდა თუ არა "მშობლიურ" ინსტიტუციას 9 900 ლარად?

2. ამასთან დაკავშირებით 2009-2010 წლებში წერდა თუ არა ნ. მგალობლიშვილი საჩივრებს ა. წოწონავას წინააღმდეგ და დღეს რის გამო უკუ იხმო მან თავისი ადრინდელი განცხადებები?

3. რატომ არ აბრუნებს დღემდე თ. მჟავია თავისი თავმჯდომარეობის დროს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოზე რიცხულ და ბაცაცურად ხელსგაყოლილ
ძვირადღირებულ ნივთებს და რას აკეთებთ თქვენ ამის მოსაგვარებლად?

4. მიგაჩნიათ თუ არა ზემოთჩამოთვლილ ბრალდებათა მტკიცებულებად - ა) სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს პასუხი (#198406, 16 თებერვალი, 2011 წელი); ბ) საქართველოს შს სამინისტროს წერილი #285207, 09 მარტი, 2011წ.; გ) შს სამინისტროს საინფორმაციო ბანკიდან ამონაბეჭდი გ. გვაზავას ე. წ. "ახალი მანქანის ისტორიის შესახებ"; დ) აპარატის ყოფილი უფროსის ო. ჩარკვიანის საჩივრები გ. გვაზავას ოჯახური კორუფციის შესახებ აფხაზეთის მთავრობისა და პრეზიდიუმის წევრთა სახელზე 2010-2011 წლებში და ა. შ.?!

5. ამხილეს თუ არა კორუფციაში საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს 2010 წლის 20 ოქტომბერს შედგენილი აქტი მის მიერ სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ? (იხ დასახ. წიგნი, გვ. 147).

***

# სერგი (გიორგი) საჯაია

## შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში

III ნაწილი

თბილისი
2012-2013. ოქტომბერი - თებერვალი

UDC(უაკ)328.185(479.224)+94(479.224)
ს-372

*წიგნში შეტანილი ყველა მასალა ავტორის მიერ 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2013 წლის იანვარში ჩაიდო აფხაზეთის ა/რ-ის ელექტრონულ ჩახვიაში (ვებ-გვერდზე: scofara@gmail.com).*

რედაქტორი ნანა ბლიაძე

ტექნიკური რედაქტორი სიმონ გოგიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა ქეთევან ხორგუაშვილი

ISBN 978-9941-0-4775-6 (ყველა ნაწილის)
ISBN 978-9941-0-5157-9 (მესამე ნაწილის)

## ≈*≈

## მომტრისკაკუნე ანაბიჯებები ე. წ. აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებაში
## ანუ
## მწუხრისბჭობანი ბატონ ბიძინა ივანიშვილის საყურადღებოდ

*"...და ყოველსა, რომელსა შთავარდეს მკუდარი ამათგანი,*
*არაწმინდა იყოს". - ლევიანნი - 11, 31;*

*"...და მესიზმრება ის ჩვენი სახლი,*
*რომელიც უკვე გაყიდულია..." - ტერენტი*

*"ნიტე თი დრო ქიიდასუ,*
*ჩქინ ქიანა ჩქინი რდასუ..." - ხალხური*

თავსმოხვეული და მიზნობრივი მოცემულობა ამგვარ სიცხადეში გულსუწადინოდ გაისაგნა: ***აგრესიული გლობალიზმი, რომლის ნამესტნიკურ სამოხელეოს (და არა ხელისუფლებას) წარმოადგენდა მ. სააკაშვილის სამიშნავო სიმრავლის აულაგმაობა, დღეს არა ოპოზიციური, არამედ საველე-სასანგრო პირობებში საქართველოს სახალხო ნების წინააღმდეგ ჩასაფრებული*** *პოლიტიკური ძალადობაა,* მაშასადამე, თანმიმდევრული დამანგრევლობაცაა, მართალია, ის მიზნად კი ისახავდა (და ისახავს ახლაც) ქართველი ერის გონითი განფენისთვის უფლით დადასტურებულ სივრცეში ძლიერი სახელმწიფოს აქვითკირებას, ოღონდ ერთი საგარიგო დათქმით, აქ ქართველ ერს ჯერ უნდა ჩაეგასწვრივოს და შემდეგ ჩაენაცვლოს ***საგანგებოდ ინკუბირებული ახალი, უფრო ზუსტად, მიზნობრივად უვინაო ხალხი.*** სწორედ ასეთი გეგმის შეუფერხებლობას ემეგზურა 2003 წლის ნოემბერში ე. წ. ვარდების რევოლუციას ჩანიღბული მორიგი ეთნოდივერსია, რომელმაც ქართველებისგან უბოდიშოდ მოითხოვა მართლმადიდებლობის მიმართ ზურგშექცევით დგომა, ზნეობის გაჭაბაკება, საკუთარი ვინაობის ამოწესლქვემოთება, ხმაბაძვაში გაკვარცხლბეკება, ეროვნულ-სახალხო ღირებულებასთან მიმდგომლობა, სასისხლაღრევო გასირღინება და ა. შ. და ა. შ.

ამის შესაბამისად, ქვეყანა ჩათრეული იქნა მარადიულმყოფლური შინაარსისკენ სასვლაგეზოდ კი არა, პირიქით, ამწუთიერ თუ მყისიერების წამგაელვებათა "ნეტარებაში" ჩასაერთსხეულებლად. დააკვირდით ამათ "აღმშენებლობას": მინის შენობა, ყინულის სასახლეები, შუშის კოშკები თუ სხვა მალმსხვრევადი ურაობო ცისქვეშობა მხოლოდ წამიერ, თანაც საწარ-მოსახვო განავარდებას ემსახურება. მათი ყოველდღიურობა არ ესაძირკვლება მომავალს, გნებავთ, - ერის სავინაო განიშანსვეტებას დროსა

და სივრცეში. აბა, ერთი გაიხსენეთ, 2005 წელს თბილისის მერის, მაშინაც თავის მომჭრელად სახელგავარდნილი ზ. ჭიაბერაშვილის გემოვნებით 9 აპრილის მსხვერპლთა "უკვდავსაყოფად" აგებული ***არაფერი*** და იმ ***არაფ-რისგან*** ამჟამად დარჩენილი ***აღარაფერი.*** ერთი დაითვალეთ, რაც დაჯდა მაშინ ამ ***არაფრის*** აგება და რამდენ სასიკეთო საქმეს მოახმარდა ამას ერისკაცის მარჯვენა!.. ასეთი მოვალეობით მიშნაცური ხელგამოღება ქართული თვალგახელის მოხალისე მესაფლავე გახდა, რომელიც იმავდროულადაა საამსივრცოდ განგებ ინკუბირებული მოქალაქეების შემომამკვიდრი.

***ჩემდა საამაყოდ, ჯერ კიდევ 1999 წელს განვაცხადე, რომ ერსა და მშობლიურობას მიმდგომელი ე. წ. მოქკავშირის წვრთნაშეუსმენელი ჯოგი, რომელიც იმხანად საეჭვოდ უპირისპირდებოდა თავისსავე "მამათა თაობას", ერთერთმა პირველმა ვამხილე. იმხანად ვიღაც - ვიღაცეებს ეიმედებოდათ, "ოღონდ მაოხარი ე. შევარდნაძე არა და ესენი გაგვიძღვებიან ცხონებისკენო", "- ამგვარობა უფრო ქვეგამხედვარე და ქვეშქვეშა არის მეთქი, ვიდრე მისი პოლიტიკური ამხარაჩოებელი!.." პოლიტიკური იატაკქვეშეთიდან მოგაბღავლეთ იმ დროს, მაგრამ არ მიგდეთ ყური!..***

საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ 2001 წლის 14 იანვარს, მაშინ ე. შევარდნაძის ხროვაში იუსტიციის მინისტრად მომავნებლე მ. სააკაშვილმა, შესაბამისად გარედანი დაკვეთისა, სამთავ-რობო სხდომა დაასაქმა *"საქართველოში სქესობრივ უმცირესობათა აუტანელი მდგომარეობის"* განხილვით. აი, რაზე თავისმტვრევით დაიწყო ჩვენთან ახალი, 2001 წელი კი არა მარტო, - 21-ე საუკუნისა და მესამე ათასწლეულის ასათვლელი დღე, ***მე გითვალსაჩინოებთ ამას, ასეთი სადასაბამო ანაბიჯება ამ სიბილწის გადოისწესრიგებით გაასომთავრულდა ხანდაბედების ესოდენ საგულსიხმო ნიშანსვეტებთან.***

სამწუხაროდ, იმხანადაც და მომდევნო წლებშიც, როდესაც ჩემი წიგნებით, საჯარო გამოსვლებით, ახსნა-განმარტებითი საუბრებით, საჯარო პასუხებით, ინტერვიუებით, საგაზეთო წერილებით, ტელე-რადიო გამოსვლებითა თუ სხვა შესაბამისი საშუალებებით ***ქვეყანას გავუოთხივკუთხე ჭაობური დემოკრატიის ათარეშება მიშნაცურ განახირებაში, დიახ, თქვენ შეგახსენებთ, ქრისტესმიერო ძმებო! როგორც არაერთგზის ითქვა თქვენს მიერვე, მ. სააკაშვილისა და მისი თანამოსაქმეების მოღვაწეობა, სამწუხაროდ ჩვენდა, თქვენი ფულადი სახსრებითაც ნაზღაურდებოდა, მაშინ თქვენ წაახალისეთ ის საქმიანობა, რომელიც, როგორც დრომ დაადასტურა, ერის სიწმინდეებისადმი მიმდგომლობა აღმოჩნდა და ამჟამად თქვენივე ძალისხმევითაც აღიკვეთა.***

ეს ასეა დღეს, მაგრამ ამ უვერაგესი ქვეშქვეშობის მხილებას იმ დროს, როდესაც ესენი ჯერ კიდევ თავდავიწყებით ბუქნაობდნენ საცხედრედ

გამეტებულ ეროვნულ გულზე, ***ორიოდე თუ ბედავდა, ამდენივემ*** იცოდა რასთანაც გვქონდა საქმე და თავს მაინც იმეტებდა. ***მე პირადად მ. სააკაშვილის არასახალხო სახის მხილება ამ ორი წლის წინ სამსახურიდან გაძევებად დამიჯდა.*** არადა, სათავზაროდაა გადაგვარებული და მოღალატურია ამათი სისხლაღრეული ვინაობა, ოღონდაც, ამის სანიმუშოდ და სახეზოგადობად გამოდგება საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის, ნაცური მსოფლმხედველობის თვალფხიზელი მესაჭის გიგა ბოკერიას ცოლის, ქართველი ერისთვის თანმიმდევრული საფრთხის, ვინმე თამარ ჩერგოლეიშვილის უტიფრული ნიშნისმოგების ამგვარი გახმოვანება: *"ჩემს კეთილდღეობას არაფერი ემუქრება. ქვეყანა რომც დაინგრეს, მე მუდმივი კონტრაქტი მაქვს ევროპის საბჭოსთან და სიკვდილამდე უზრუნველყოფილი ძალიან მაღალანაზღაურებადი სამსახური (ჯერ კიდევ 2000 წლიდან), ასე რომ, ჩემი პირადი კეთილდღეობა დაივიწყეთ" (გაზ. "ქართული სიტყვა", 2012 წ. 3 ოქტ.).*

დააკვირდით, ამ ქალბატონს კეთილდღეობა იმ დროსაც შეუძლია თუ კი მისი ქვეყანა მიწასთან გასწორდება. მას ამ ცისქვეშეთში სამშობლოსთან მიერთესხეულებას არა სთხოვს ჯიში!..

საერთოდ მიშნაცური შინაარსი, რომელიც ქართულ საზოგადოებას ვითომ დასავლურ ღირებულებად მოახვიეს თავს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სისასტიკის, ჩაშვების, შუღლის, გაუტანლობის, სიძულვილის, ზიზღის, უარავინობის, უვინაობის, უწარსულობის, ურწმუნოების, ჩასაფრებისა და ა. შ. შემოერთსხეულებას, რომელსაც ქართულ სააზროვნო წესრიგსა თუ რაგადობათა ნაირსახოებებში შესატყვისი არც ერთ ქართულ მხარეში არ გააჩნია, ***რადგან ქვებუნაგური ქუჩისფსკერულობით მან თვით დამკვეთსა და შემომძღოლს გაუსწრო.***

საერთო ჯამში ეს, ისევ და ისევ დივერსიულ ეთნოფაბრიკაციას, ანუ, მართალია, საბჭოურისგან განსხვავებულ, მაგრამ თავისი დანიშნულებით კვლავაც ქართველთა სადენაციონალიზაციო ინდუსტრიას წარმოადგენს, რომელსაც ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყნისთვის ქრისტესმხედრული მოვალეობის ართმევა და შემოუტიფრებულ არაქართველთათვის სახელისზიჭო ნედლეულად ჩვენი დადგენა გაუპიროვნდა. სწორედ ამიტომაა, - ეროვნულ სახალხო ძალისხმევას ასე დაჟინებით რომ ენაცვლება ხმაბაძვაში აზგერებული ქვეშევრდომული აზროვნება. ამგვარი თავსმოხვევით ჩვენი ქვეყანა ქართველთა გონითი განფენის სივრციდან ***თანდათანობით გარდაიქმნება აშშ-ს პოლიტიკურ საკუჭნაოდ და ახლებურ ეთნოფაბრიკაციათა დივერსიულ პოლიგონად.*** აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ წინამდებარე მიშნაცურ მსოფლმხედველობას, როგორც აგრესიული გლობალიზმის საადგილობრივო ძალისხმევას, არაფერი გააჩნია საერთო ქართულ ვინაობასთან, ამის გამო, ***ქართულ სჯულიერებას სავსებით კანონზომიერი კონფლიქტი აქვს ვითომ დასავლეთურ ღირებულებად შემოშლიგინებულ***

***<u>მოჟღარუნე ქუჩისფსკერულობასთან.</u>***

მიშნაცთა საბოროტმგეშო სამსახურები, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქვიათ განათლების, კულტურისა და ა. შ. სამინისტროები, წარმოადგენენ ერის გამდაბიურებული თუ გამაუღირსებელი სულის საწარმოებს, სადაც სიტყვიერებას (ლიტერატურას) უხამსობა ენაცვლება, ხოლო ერის უფლისწვდომილებაში აჰანგებას აძევებს ღვთივსარცხვენი ღრიანცელი, საერთოდ, არის მცდელობა, ხელოვნების სიდიადე ტაკიმასხრულ სანახაობაში გადაანაბიჯონ. რა თქმა უნდა, ყოველივე ამით ინფორმაციის თვითმავალ საწყობს ბრძენი ერქმევა, ტუტუცური სანახაობა "მაღალმხატვრულობად" დგინდება, როგორც გითხარით, ამათ გამრთობი უნდათ და არა სულიერებისკენ გამძღოლი, რითაც ქვეყანას საყოველთაო უვიცობის და გაუნათლებლობისკენ მიაქანებენ.

***<u>გასაკვირია, რომ ასე წინგაუხედავად და ლამის ღვთისსაკადრისი, აუწონ-დაუწონავი ბრმა ნდობით ვატალახებთ ნატოსა თუ ევროკავშირის ჭიშკრებს და არაფერს გვეუბნება ის გამოცდილება, - საბჭოთა კავშირის "ძმური" ცალუღიდან ძლივს რომ გამოვიძვრინეთ კისერი. რა აზრი აქვს ვ. ი. ლენინის ძეგლის ჩამოგდებას თუ მის ნაცვლად როლანდ რეიგანის ქანდაკებას აღვმართავთ და არა გიორგი ბრწყინვალისას?!</u>***

ხომ არ ვრჩებით ისევ მონებად და გვავიწყდება, რომ ბასრი იარაღი გლადიატორის ხელში არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ სამამულოდ მოქნეული ხმალი: მიშნაცური შემოძღოლითა და აგრესიული გლობალიზმით განმარტებული დემოკრატია იმთავითვე ემიჯნება ზნეობას, ხოლო მათთვის თავისუფლება მშობლიური ვინაობისგან თავდაღწევა კი არაა მარტო, - როგორც არაერთგზის ვთქვი, ამასთან სისხლაღრეული მიმდგომლობაცაა იგი. უფრო მეტიც, თუ 1956 წლის 9 მარტს (გნებავთ, 1989 წლის 9 აპრილს) საბჭოთა ჯარისკაცისათვის ცეცხლის გახსნის ბრძანება ქართველთა ხოცვის ნებართვას ნიშნავდა, მას ჩანაცვლებული აშშ-ს ტექნოკრატიული ჩაქუსლებისთვის დემოკრატია გახლავთ სახმობი (პაროლი), რომლის თანახმად ქართველთა რჯულიერება ნებაყოფლობით უნდა გადაგვარდეს. აქ განსხვავება მხოლოდ შესრულების ხერხსა და ხარისხშია.

ამრიგად, სადღეისო ყოფითი ყოველდღიურობის სიცხადე ძალზე სათავზაროა, - მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო სიმრავლედ გადაქცეული ერი საკუთარ ვინაობას ძირკვავს და ავიწყდება, რომ დიდ სივრცესა თუ ხანგრძლივ დროში გასაგნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთარ ღვთივბოძებულ შინაარსში მარადიულყოფას!..

ამიტომ გეუბნებით, ქართველებს უფლისა და ღვთისმშობლის წინლხვედრილობის შემდეგ ერთმანეთის გარდა სხვა პატრონი ამ ქვეყნიერებაზე არ გვყავს და ეს კარგად უნდა გავისიგრძეგანოთ!..

***<u>მეტნაკლებად, აი, ასეთი გახლავთ ვითარება, როდესაც პოლიტიკურ</u>***

***პარტიათა კოალიციამ ”ქართულმა ოცნებამ” სახალხო არჩევნებში მოიპოვა უფსკრულის თავთან მიჩეხილი საქართველოს მოსახლეობის ნდობა და ჩაიბარა ქვეყნის მართვის ბერკეტები.***

ამის შესაბამისად, ახლა ჩვენ გვჭირდება ქართველი ერის სულიერი გაერთსხეულება (ინტეგრაცია). ახალმა პოლიტიკურმა ძალამ დამოუკიდებელი საქართველოს ჭეშმარიტი შინაარსი უნდა აღადგინოს, მხოლოდ ეს შეიძლება იყოს აგრესიული გლობალიზმის ქმედუნარიანი საპირწონე. სამწუხაროდ, ხელოვნურად გაპარტახებულ ქვეყანაში დღესაც ქართველი ერის პირველი რიგის მოსაგვარებელ თავსატეხად და მიზნად კვლავ რჩება საქართველოს სახელმწიფოებრივი, ეროვნული, სულიერი და ა. შ. შემოხარაჩოება და მისი მარადიულყოფისთვის უფლებათა შემოსხეულება. ამის თავმდები (გარანტი) კი დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, ეროვნული, სულიერი და ა. შ. საკუთარხმიერება და თავისთავადობაში განაბიჯებაა, ანუ ***”თავის თავად დაყუდნებული”*** ქვეყანაა მხოლოდ. ქვეყნიდან უნდა გაძევდეს 20-ე და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე ქართველი ერისთვის შემომყნობილი ხმაბაძვითი თვითდამკვიდრება, რომლის ვითომ ”გასახალხოებასაც” თანმიმდევრუ-ლად ცდილობს ნამესტნიკური ერთი ნაწილის ხელისუფლება, ეთნოდივერსიული ჟურნალისტიკა, ლეგიტიმური აგენტურა სხვადასხვა ე. წ. არასამთავრობოთა სახით და ა. შ. (პარლამენტის, მინისტრ-ბიჭუნების, მედიად წოდებული გოგუნების მეტყველება თუ ”სააზროვნო” წესი, რომლითაც თანმიმდევრულად მოსაქმეობენ ქართული ენის ჯერ გასამდაბიურებლად და შემდეგ კი მის გადასაშენებლად, ქართული მეტყველება დაუპირისპირდა ქართულ თვითმოძიებას. მეტსაც გეტყვით, ამ ხმამბაძველთა ხელში გაუკუღმართდა ქართული სინტაქსი, სიტყვათ-მარაგი გაღარიბდა, ბგერათა წარმოთქმა გაუმართლებლად გაუცხოურდა, ქართული საუბარი არ ხმოვანდება ქართულ სააზროვნო წესსა თუ აზგერებაში, რითაც ის ნელნელა ემსგავსება მეოცე საუკუნის ოციან წლებში საბჭოთა კავშირის უწარსულო და უმწერლობო ხალხებისთვის საგანგებოდ მიკირილიცებულ დამწერლობას და, შესაბამისად, ”მწერლობა” მისაღებულ ენებზე მეტყველებას).

***ქრისტესმიერნო, ამ პირობებში ქართული ტელევიზიებიდან თქვენი საჯარო განცხადება საგულისხმოა იმით, რომ ის, პირველ რიგში, უარის თქმაა ზიზღისა და სიძულვილის ცალთქმით (მონოლოგურ) გახმოვანება-გათითისქნევებაზე, იგი ძალისხმევაა საზოგადოებრივი მიმოქცევიდან მის გასაძევებლად; 2. ესაა უარი ჩასაფრებასა და ანგარიშსწორებაზე; 3. საკუთარი ვინაობისა და ღირსების შეცნობის მცდელობაცაა; 4. უცხოელებთან ქართულ ანუ სახლემწიფო ენაზე საუბრის გააუცილებლობაა (ჯერჯერობით მაინც ასე მომეჩვენა); 5. იმედი მაქვს, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთისა) და ცხინვალის***

***საკითხებში სისწორესთან შეჯერებული და წინგახედული ხელგამოღე-ბაცაა; 6. პოლიტიკურ დევნაზე ლაგამამოდება და სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედებების მხოლოდ სამართლებრივი ზემოქმედების მითითებაა და ა. შ.***

რა თქმა უნდა, ჩემთვის, როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი, დღეს ძალადობით, ამ მხარის ოკუპაციის გამო აქედან გამოძევებული აფხაზისთვის, მაშასადამე, იგივე ქართველისთვის ***უმნიშვნელოვანესი გახლავთ აფსუა ხალხთან სახლიკაცურ-ლასკარული ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ამ მხარის, ე. ი. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველთა ანუ აფხაზთა ე. ი. ჩემი უფლების გაქლევის ხარჯზე, როგორც ეს აქამდე ხდებოდა ზოგჯერ უვიცობის, ზოგჯერ შორსგამიზნული ძალადობის შედეგად.***

ამ მხრივ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედან შინაარსს მინაღმებული ველიკოდერჟავული, საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა სტერეოტი-პების დანგრევა, საასეთდროო ფაბრიკაციული ტერმინოლოგიის ცნობიერი მიმოქცევიდან გაძევება და მის ნაცვლად აფხაზეთის ჭეშმარიტი რაობა-ვინაობის აღორძინება როგორც პოლიტიკაში, ასევე სახალხო თვალსაწიერში. გეთანხმებით, ეს ძალიან ძნელი საქმეა, მთელი ამ გაწელილი წლების მანძილზე არათუ თვალებში ნაცარმიყრილმა მსოფლიო საზოგადოებრიობის საკმაო ბევრობამ, არამედ, თვით ქართველთა საგრძნობმა რაოდენობამ, მათ შორის ჩრდილო-დასასვლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობის არც თუ ცოტა ნაწილმა დაიჯერა, რომ აფხაზი აქაურ ქართველთა სამხარეო სახელი არაა და ის სხვა, არაქართული ეროვნება გახლავთ, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ საქართველო ასევე სხვათა ქვეყანა ყოფილა!..

ასეთ შემთხვევაში, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ვერაგულად ეწევა სახალხო ნებისთვის ზურგში მახვილის ჩაცემას, დამეთანხმებით, ვერა და ვერ მოვისვენებ, მაგრამ ჩემი ინტელექტუალური მოუსვენრობა სამშობლოს მარადიულყოფას მინდა ვამსახურო და არა საინტრიგანო აწარამარებას, რაშიც ასე ბეჯითად ცდილობდნენ ჩემს ჩათრევას ჩასაფრებული მტრები.

ერთი რამ ცხადია, ძუძუმტე აფსუებს თანმიმდევრულად, გასაგებად და კეთილმოსურნედ უნდა განემარტოთ, ***რომ ყველაზე ღირებული და უფალსწვდომილი, რაც მათ ამ ცისქვეშეთში შეიძლება ჰქონდეთ, ესაა მათი აფსუობის დედანი არსი და ნურანაირი სხვა, მიზნობრივად მიაბრებული ვინაობით ან დიდმპყრობლური პოლიტიკის საანკეტო მეობით ნუ ეცდებიან თვითდამკვიდრებას, რადგან ეს ღვთის უნებური ხელგამოღებაა და ამ გზით ისინი მხოლოდ უვინაობაში დგინდებიან, ხოლო უარავინო,***

***ურაობო და უვინაო შინაარსი დროსა და სივრცეში ვერ განიშანსვეტდება, იგი დაცემადია. დიახ, უვინაოა ის, რაც საკუთარი თვალსაწიერიდან თავდაღწევას და ხელოვნურად მორგებულ თუ დაძალებულ რაობაში ახლად დაბადებას ცდილობს. საასეთსურვილო არაფერი სჭირს ჩვენს სახლიკაც და ძუძუმტე აფსუა ხალხს, უფლისგან მარადიულყოფილს ქართველთა სახელმწიფოს ცის ქვეშეთში...***

სწორედ ამის გამო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ***აფხაზეცური სეპარატიზმის მიერ "გადიდმპყრობლებული" არაბუნებრივობა წავახალისოთ:*** აფსუა არ არის აფხაზი და მიუხედავად იმისა, რომ ის გარეშე ძალებისგან ძუძუმტეობა ართმეული სხვადასხვა ეთნოდივერსიული დანიშნულების გამოც ჭერქვეშობს აქ, ეს ხანგრძლივობა არა და არ ნიშნავს მის მარადიულყოფას!.. დროით დადასტურებული დასკვნა მხოლოდ ასეთია: ***მარადიულყოფილ, ღირსეულ, საპატიო სახლიკაცად იგი თავის ვინაობაში - აფსუობაში ჩაებადება მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის მისთვისაც მარად დედულ კალთას.***

ნუ ეიმედებათ ჩასაფრებულ ძალებს ეთნოდივერსიათა პოლიტიკური ფირნიში და დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპი აფხაზეთის "არაქართულობის" შესახებ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ასეთი სიცხადე - რაც ამ მიზნობრივ სტერეოტიპში ჩაისაგნა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) წარმოებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების, ქართველთა დენაციონალიზაციის, აფხაზთა "გასხვახალხებისა" თუ აფხაზეთის "გასხვაქვეყნების" იმპერიულ ქმნადობაში სტერეოტიპული გაარსებაა. საერთოდ სტერეოტიპი მოვლენის პრიმიტიული და მიზნობრივი დონეა ყოველთვის. დიახ, სტერეოტიპი, როგორც სააზროვნო სიზარმაცე და ფიქრის გაუმართლებელი მომჭირნეობა (ეკონომია) გარკვეულ გრძლიობაში საზოგადოებისთვის კი ფირნიშდება, მაგრამ გადის ხანი, სიზარმაცეს სცვლის მაძიებელი თაობის ხელგამოღება, რომელსაც არ ეზარება ჟამთაბერის დაკვეთით მოვლენათა დედან შინაარსში გადახარისხება, როცა ყველაფერს თავის ჭეშმარიტ სახელს არქმევს. ამიტომ დრო არ დავკარგოთ, არ ვიზარმაცოთ, რაც შეიძლება, სწრაფად მოვიშოროთ შემოჩეჩებული სტერეოტიპი, როგორც ცნობიერი ნაგავი და მსოფლმხედველობრივი სიწკონდით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ყველა ძუძუმტეს სახლიკაცური ლასკარი დავუზუსტოთ. ნებისმიერი სხვა სვლაგეზი ახალ სახუნდარში ჩაგვჩიხავს, ***რადგან ფაბრიკაციული და ეთნოდივერსიული სტერეოტიპის დანიშნულებაა ნელი მოქმედების ნაღმად მიიხრახნოს თავი ეროვნული ანაბიჯების ძრავაზე და დროის დიდ ხანგრძლივობაში უზრუნველყოს შფოთი და პარტახი.***

ბუნებრივია აქ, დევნილობაში 19 წლის მანძილზე მოსაქმიანე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო თავს უნდა ივალდებულებდეს ამ მხრივ ყველაზე

სწორი შინაარსისკენ გასაბილიკებლად, მაგრამ იგი ამას არც და ვერც გააკეთებს ასეთი მიზეზიდან გამომდინარე: 1 უვიცობისა (არაკომპე-ტენტურობისა) და 2. თაღლითურ-ბაცაცური ბუნების გამო.

მრავალჯერ მითქვამს, რომ თავისი ხასიათით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს უპირატესი ნაწილი გახლავთ საბჭოთა კომპარტიულ გადმონაშთად მოსაქმიანე საწარმო, რომელიც შესაშური გულმოდგინებით ახერხებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ***დევნილი მოსახლეობის იმედგაცრუებათა წარმოებას ანუ აფხაზეთის დეოკუპაციის პოლიტიკური ნიშანსვეტების დემონტაჟით ისაქმებს თავს.***

დიახ, როგორც არაერთგზის ითქვა, ამ ინსტიტუციის ერთ-ერთი საჩინო წევრი და მისი თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ნ. მესხია თავის წიგნში ***”როგორ გასხვისდა აფხაზეთი”*** აღნიშნავს ***(თბილისი), 2009 წ. ქართულ და რუსულ ენებზე)***, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში, სხვადასხვა მოღალატური, გამრიგებლურ-ქვეშევრდომული, თაღლითურ-ქვეშქვეშური და ა. შ. რაც მთავარია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დევნილი მოსახლეობის სახალხო ნების საწინააღმდეგო საქმიანობის გამო ***აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ მთლიანობაში ვერც ერთხელ ვერ შესძლო უზრუნველეყო საკუთარი ამომრჩევლის განაწესისა თუ პოლიტიკური დაკვეთის აღსრულება კი არა, - არ დაღალატება მაინც ხალხის მოთხოვნათა, - არ დაეშვა ომი. რაც შეეხება დევნილობაში მის საქმიანობას, აქ ის კიდევ და კიდევ დაშორდა სააფხაზეთო ძალისხმევას და ელიტურ კორუფციაში ჩაიძირა,*** რითაც იქცა საშოვარზე გამოორღობებულ ჯოგად და ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობით შეიარაღებულ გუნდად, რომლისთვისაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციაზე ფიქრი თავსმოხვეული სახაზინო დავალდებულება კი არა, სულისმიერი მოთხოვნილება ან ამისთვის თავგასაწირი სახალხო გარჯა გახდებოდა. ამიტომაა, რომ იმათ სააზროვნო წესს კარგი ცხოვრება ბოროტმოქმედული ხელსიმარჯვით გასათავხედებელ ანაბიჯებაში ეგულებათ, როცა ჯოგს შორის მინაწილებულ და მიღობილ დარანებში ყაჩაღურ-ბაცაცური ახარაჩოებები ილარტყებიან, რომელთა შორის დაუნდობელი ჩასაფრება თუ ანგარიშსწორება მძვინვარებს, რადგანაც ისინი თავიდანვე გაემიჯნენ მართლმსაჯულებას, ხოლო ქვეგამხედვარე კაცუნათა შურისძიება მათთვის საყოველდღიურო ხელგარჯილობად გაპიროვნდა.

***

დაბეჯითებით გეუბნებით, ესენი გახლავან ის ადამიანები, რომელთაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართულ შინაარსს რუსიზმზე თუ აგრესორ სეპარატისტებზე ნაკლებ როდი დაახალეს

ტყვია, ხოლო ამჯერად *აქ, დევნილობაში ამ საჩივრებით, რომლებითაც ჩემგან მხილებისას "იცავდნენ" მ. სააკაშვილს და კიდევ უარესი, იმით, რომ თაღლით გ. გვაზავას ხელცთუნებებს, გნებავთ სულწაწყმენდობას გაუთანამესანგრდნენ, ჩვენი მხარის სავინაო ყოფნა-არყოფნას ჩააჭედეს სადასტურო ტყვია, "კონტროლკას" რომ ეძახდა ზ. შაშურკინი, - აი, ის, ბოლშევიკების ჯალათი.*

სახარხაროა ისიც, რომ თ. ხუბუასნაირთა გადასაწყვეტიცაა სააფხაზეთო "ხვალ", იმ კაცის, რომელმაც, როგორც ა. წოწონავა ირწმუნებოდა, ***არათუ საკუთარი სარეცლის შეუგინებლობა, პირადი უკანალიც არ დაიცვა შემსირცინებლისაგან, მაგრამ ამაზე ქვემოთ.***

***

*(რას არ გაიგებს კაცი: თ. ხუბუას უთქვამს, როგორც კი გამოქვეყნდება ჩემზე გავრცელებული ხმა - თითქოს სქესობრივ უმცირესობას წარმოვადგენდე, მაშინათვე უფლებადამცველებს მივმართავ დახმარებისთვის, რადგან ესენი (ე. ი. ჩვენ) ამით უმცირესობის აშკარა დისკრიმინაციას ეწევიანო.*

*ჩემს გალეელ მეგობრებს ვეუბნები, მიხედეთ ამ კაცს, შარში არ ამოგაყოფინოთ სავსებით დამსახურებლად თავმომწონე თავი. თქვენ, გალელებს კი გიყვართ თეიშა გაუგონარის განიშანსვეტებით თავგამოჩენა, როცა ამ, მანამდე უნახავით ვიღაც გაოცდება, მაგალითად, ვთქვათ ქორწილში ორფენად გამომცხვარის ნაცვლად, სამსართულად შემოსურნელებული ხაჭაპურით გაამაყება, მაგრამ თ. ხუბუას შემთხვევის გაპირველხმაურებით ანუ მისი მამათმავლური უფლების დაცვით თვითდასაქმება მიანცდამაინც თქვენი სათანადგომო ნუ გახდება. როგორც გინდოდეთ, მაგრამ ნურც მე მიჩივლებთ ამაზე, ეს ყველაფერი ა. წოწონავას საქაღალდეში მოსკვაჭებული ცნობებია, რომლის შესახებაც, კიდევ ერთხელ ვამბობ, არაერთგზის ვუთხარი ბატონ თამაზს, ის კი არადა, ისიც ვთქვი, შენ ერთი მოუქნიე და დანარჩენს მე ვიზამ, პასუხსაც მე ვაგებ, ნუ გეშინია მეთქი. არ გააკეთა. ამიტომ, სასაჩივრო უწყება დღეს მის თანამოსაქმე ა. წოწონავას მიუმისამართოს, მეტსაც გეტყვით, სხვა მრავალთან ერთად, სწორედ ამ მასალების მოხერხებულად გამოქვეყნებას მავალებდა იგი, - ეს შენი დეპარტამენტის დებულებით მოგეთხოვება და გააკეთეო.*

*არ გავაკეთე მაშინ, მაგრამ ვაკეთებ დღეს, რადგან, როგორც ვხედავ, ა. წოწონავას ამ ბრალდებებს <u>თ. ხუბუა არც თუ დიდად განიცდის,</u> ეს ერთი, მეორეც და უმთავრესი მიზეზი ამათი გამოქვეყნების ისაა, რომ გაიგეთ, <u>ამ ხროვისათვის არ შეიძლება სახალხო საქმის ნდობა).</u>*

***

დიახ, ზნეობის დაგირავება, ჩასაფრება, დაბეზღება, ჩაშვება, გაწირვა, გადაგდება და ა. შ. მათთვის, ე. ი. აფხაზეთის ე. წ. დევნილ ხელისუფლებაში ისეთივე ბუნებრივობაა, როგორც გულისძგერა ცოცხალ სხეულში. ასე მაგალითად: 2011 წლის გაზაფხულზე მომხდარი და საყოველთაოდ გადაჩურჩულებული ამბავი უნდა გაგიცხადოთ, - იმ ხანებში ბაჩო ახალაიამ აფხაზეთიდან ერთი ცნობილი გვარის დევნილი ბანოვანი

იუღლა. ეს ამბავი აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარეს გ. ზარამიას მიზანშეუწონელ ქორწინებად მიუჩნევია (ვინ ეკითხებოდა, მაგრამ ეშმაკს არ ძინავს) და თუ რატომ, ამაზე სათანადო განმარტებებიც დაურთავს, რაც თავის სახლში, სადილობისას გაუხმოვანებია კიდეც ერთ-ერთი ახლო ნათესავის დასწრებით. ამ უკანასკნელს, სიტყვას მოყოლია და, ამ საკითხზე გ. ზარამიას აზრი დედნის სიზუსტით ჩაუკაკლავს თვალფხიზელი წამგაუცდუნლობით ჩასაფრებული გ. გვაზავასთვის.

ეს ის დროა, როდესაც გ. ზარამიას წინააღმდეგ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში გ. გვაზავას, ა. წოწონავას, თ. ხუბუას, დ. გვაძაბიას, რ. ცატავასა თუ სხვათა შეთქმულება, რომელსაც ასევე აწყალუხვებდნენ აფხაზეთის პარტოკრატიის ელიტართა ერთი ჯგუფი და გალიდან საეჭვო საქმოსნების ზოგიერთი თავზეხელაღებული, სულ უფრო და უფრო სახაფანგო მდგომარეობას აბლაბუდებდა.

იცოდა რა თავდაცვის მინისტრის სავარძელსა და საკუთარ სარეცელში ერთდროულად მოთაფლისთვევე ბაჩო ახალაიას კაციჭამიური ხასიათიდან გამომდინარე ყოვლის ნებადართულობა თუ ზნეობრივი ლაგმის უქონლობა, გ. ზარამიას მოუზომელი და უადგილოდ ნათქვამი გ. გვაზავამ მარტო დამაკნინებელი კი არა, წამქეზებლური სახითაც მიუმისა-მართა ***”ზღვა მხოლოდ მუხლამდე შემომწვდარ”*** ბაჩოს.

როგორც ასეთ ხროვაში ხდება, ისეთივე წესით - ***”ძმა ძმისთვისაო და შავი დღისთვისაო”,*** ბაჩომ და დათამ (მისმა ძმამ) ე. წ. მოდულის შენობაში ძიქვამოკლე ბიჭუნასავით მიასირბილეს გ. გვაზავასგან ჩაშვებულ-გამეტებული გ. ზარამია, სადაც ჯერ ხელკეტებით სცემეს, წიხლებით შედგნენ (მე არ ვიცი, მაგრამ ირწმუნებიან, რომ ბ. ახალაიას დანითაც მიუყენებია მძიმე ჭრილობა მისთვის), თვითონ რომ დაიღალნენ, საგანგებო ბადრაგს გადააბარეს, რომელთაც ნახევარი სიცოცხლე აართვეს, საკუთარ სისხლსა და ნარწყევში ჩააწვნიანეს. ამის შემდეგ გაუმკაფიოეს (”გაუიასნეს”) თუ რა მდგომარეობაა ”ნახოდა”...

ის კი არადა, იმასაც ამბობენ, რომ რაღაც-რაღაცეებში გახვეული უგონო და დალეწილი გ. ზარამია შეკუჭეს მანქანის საბარგულში და სანდო ბადრაგმა სადღაც მუჟავისკენ, ენგურსგადაღმა წაიღო ხრამში გადასაგდებად.

ეს ამბავი, საბედნიეროდ, გაუგია გ. ზარამიას ახლო მეგობარს, საკმაოდ ცნობილ ექიმს მ.ო.-ს, რომელმაც, არ ვიცი როგორ, მაგრამ შესძლო ბადრაგისგან მოეთავისებინა გ. ზარამიას სულთმობრძავი სხეული, უწამლა, უდასტაქრა, მოუარა, გამოაკეთა და კინაღამ ნახევარი წლის შემდეგ თავის ძველსავე სავარძელზე დაალაგა სხეულის აკოწიწებად ქცეული კაცი. თუმცა ძველი რიხი აღარ შერჩა, - ***უჯიშო, მამალდანაფრენი ყვინჩილა რომ გაურბის ვარიკების აგოგმანებას, იგი იმგვარად ცდილობდა ყოფითი თუ სამსახურებრივი ყოველდღიურობიდან თავდაღწევას.***

აქ, ამ საკითხზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლი იმხანად გ. ბარამიას მოსაშორებელ რამოდენიმე უკიდურეს ღონისძიებას, რომელთა საშუალებით იგი (გ. ბარამია), როგორც ნომენკლატურული სიცხადე, უნდა ჩამოწერილიყო. ამ მიზნით წალენჯიხის რაიონიდან მისი თბილისში გამომგზავრებისთანავე მოუწყვეს მას ავტოავარია, რომელსაც, როგორც ირწმუნებიან, სასწაულებრივად გადაურჩა, თუმცა, იმის წინ ცემით შერყეული ჯამრთელობა კიდევ უფრო დაუმძიმდა. თუ იმ "გაწბილებული" განწყობის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლითაც იმ დროს ***<u>თ. ხუბუა თავისი გარემოცვის კიდევ უფრო ვიწრო წრეში განმარტავდა აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარის ბოლოდროინდელ საეჭვო ქმედუუნარობას, გასაგებია, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა თავად მონაწილეობდა მ. სააკაშვილის მიერ ნაბადართულ საძმათაახალაიო სასაკლაოსათვის საჭირო ნედლეულით მომარაგებაში.</u>***

***

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის კორუფციული საქმიანობის წინააღმდეგ ჩემს მიერ 2011 წლის 28 თებერვალს დაწყებული აქცია საინტერესო იყო იმითაც, რომ შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ს. თოფურიძე აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარეს გ. ბარამიას ხმის ჩახლეჩამდე ყვირილითა და თითისქნევით დაადგა თავს, ***"- შენი კადრია და მიხედეო!"***

ამას ვამბობ ავმოსურნედ დადარაჯებულთა გასაგონად: დღეს კი არა, როდესაც იგი ამ თანამდებობაზე თითქმის არ არის, მანამდეც ჩავყვიროდი მათ საეჭვო ყურდახშობას, რომ მე, სერგი საჯაია არა გ. ბარამიას, არამედ ჩემი ქვეყნის "კადრი" ვიყავი იმ დროიდან, როდესაც გ. ბარამიას მამას, აწ განსვენებულ ბონდოს (რომლის ხელისბიჭობისთვის თავის დროზე ქრთამს გაიღებდა გ. გვაზავაც, ა. წოწონავაც, თ. ხუბუაც, რ. ცატავაც, დ. გვაძაბიაც და ა. შ.), - ჯერ კიდევ კომბოსტოს ფოთლებიდან ამოყლორტებული ეგონა თავი.

ახლა, ვისაც საქმე გაინტერესებთ, იმათ და არა ჩასაფრებულებს გიმეორებთ კიდევ ერთხელ, გ. ბარამია, რა თქმა უნდა, არ გახლავთ "ვარდ-ნაბამი" კაცი, მაგრამ ვითარება ისე მოეწყო, რომ მის გარემოცვაში იმ დროისათვის მოვლენებს მესადავეობდა რამოდენიმე პიროვნება, რომელთაც უზარმაზარი პატივმიგება გააჩნდათ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) როგორც დევნილი, ასევე იქ დარჩენილი მოსახლეობისგან. მე მეტ-ნაკლებად ვიცოდი ამ ადამიანების გაუსაჯარისე-ბელი საქმიანობის გზაჯვარედინები, რომელსაც ვერც ახლა გაგიდარგალებთ, მიგანიშნებთ კი, გადით ლილოსკენ იქ, დასახლებაში

ნახავთ არაერთ აფსუას კომლს, მათ სათავისო დოხორეებს, რომლებიც ამ სამი თუ ორი წლის წინ დამკვიდრდნენ აქ. ადრე, ზოგიერთი მათგანი ტყვიას ესროდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. დღეს ისინი, თავიანთ შვილებთან ერთად, ამ ტყვიების ამოსადასტაქარებლად იძენენ ცოდნასა თუ განათლებას.

აქედან ათი ბავშვი დადის ჩვენებურ სკოლაში (უფრო სწორად ისეთში, როგორადაც ის მიშნაცურმა "რეფორმამ" აქცია), ეს ათი ბავშვი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში მოსახლე ოცი გვარის შვილია, ანუ ოცი გვარით მოწყალუხვობს ქვეყნის სახალხო თვალსაწიერის დედომდინარისკენ, ხვალ იგი, თუ ჭკუა გვეყო და არ გავანიაღვრეთ სხვისკენ, ათგზის მეტი გვარის შემომძღოლი გახდება. ამას ჰქვია წინგასა-ხედი თადარიგი. აი, ასეთი საქმეების მოთავეთა მიერ გ. ბარამიასთვის ხელში მიჩეჩებულ ეროვნულ-სახალხო გრაგნილს ვედექი გვერდში, რომელზეც ჩემი ოდაბადეს კვლავ შემოსასამშობლოებელი გეგმა ასომთავრულობდა. ასეთ ვითარებაში მე ნაკლებ მაინტერესებდა თუ რა სიმარჯვით კითხულობდა იგი გრაგნილზე ასომთავრულს, მთავარი იყო, რამდენად გულდასმით უგდებდა ყურს გ. ბარამია მის შემდგენლებს.

დიახ, ზემოთხსენებულმა ბავშვებმა უთავისტკივილოდ უნდა გაისიგრძეგანონ თუ რას გვეღაღადება მათი გვარები, ვინაა აფხაზი, ვინ კიდევ სახლიკაცი აფსუა და ა. შ.

***

*მეოცე საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ა. საყვარელიძემ ამას წინათ გაიხსენა (გაზ. "ქართული სიტყვა" 26 სექტ. 2012 წ. გვ. 16), რომ, როდესაც იგი ერთხელ, იმხანად ვ. კობახიასთან - საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ერთად სამთავრობო მანქანით თბილისს მოემგზავრებოდა, ვალერიან ოსმანის ძეს, აფსუა კაცს, ხობის რაიონში, ხეთასთან მისთვის უჩვენებია თავისი წინაპრების ნასახლარი.*

*- აქაა ჩემი კუთხე, მაგრამ მე აფხაზად გავიზარდე და მომეცით საშუალება, ვიამაყოო ჩემი აფხაზობით.*

*საქართველოში თავიანთი ქართველობით ხომ ამაყობენო ყოფილი რუსები: გოგოლები, ხოხლოვები, ჩერნიშევსკები, სოკოლოვები, კრილოვები, ტურგენევები და ა. შ.*

*სხვა საკითხავია თუ რამდენად სწორად ესმოდა ვ. კობახიას აფხაზის შინაარსი, ამის მიუხედავად, აქ ყოველგვარი ჟღარუნი საბედისწეროა, ასეთ საქმეში უდიდესი კეთილმოსურნეობა და გულწრფელი ჭირისუფლობაა საჭირო.*

*სხვათაშორის, ვ. კობახია წინააღმდეგი იყო ვ. არძინბას დაწინაურების, - ეს ქართველებთან ომს ნიშნავსო.*

***

ხმამაღლა ვადასტურებ, ამის და კიდევ მეტი სახვალიოს მკეთებელ ხალხს სჭირდებოდა გ. ბარამიას "თავმჯდომარეობა" მაშინ და არ ვნანობ, რომ ამ შინაარსს დავუჭირე მხარი, სხვათაშორის, მიუხედავად ზევრნაირი

"მამხილებელი" დაჭიდებისა, გ. გვაზავას ხროვისაგან განსხვავებით, მას ვერავინ წამოაძახა, რომ ამ თანამდებობაზე იგი სახელმწიფო ქონებას იჯიბავდა.

რაც შეეხება მისთვის კეთილმოსურნე შეყიჟინებას, მე ამას არც თუ უსაფუძვლოდ და მორცხვად ვაკეთებდი, ამ მხრივ ახსოვს მკითხველს ჩემს მიერ გამოქვეყნებული საშოლტო წერილები 2011-2012 წლებში.

აქ სხვა რამეშია საქმე, მოქვეშქვეშენი, აკრიტიკებდნენ რა ვითომ გ. ბარამიას, ისინი სწორედ იმ სამერმისოს ებრძოდნენ აკრძალული ილეთებით, რაც მის (ვთქვათ ასე) გაუსაჯარისებელ ზურგის ქარში იგულისხმებოდა.

***<u>სამწუხაროდ, გ. გვაზავას თაღლითურ-ბაცაცურმა ხროვამ არათუ ფეხი არ აუწყო ამას, 2011 წლის გაზაფხულიდან ზემოთხსენებულ გახმაურებულ ტერორში თანამონაწილეობით გ. ბარამია (ანუ მის გარშემო არსებული ძალისხმევა) გააუვნებელყვეს იმგვარად, რომ მან, როგორც სათანადო პოლიტიკის ამძრავმა ღვედმა, საავხაზეთო გაბილიკებებისთვის არ იმუშავა.</u>***

ამ მხრივ უბედურება მარტო ის კი არაა, რომ ეს გ. გვაზავამ წამოიწყო, გაცილებით სათავზაროა ისიც, რომ ამ არაკაცობას აელიანდაგა ადრე გ. ბარამიასთვის სანდოდ მიჩნეული ა. წოწონავაც. სწორედ მის სასამსახურო კაბინეტში იგეგმებოდა მთავრობის თავმჯდომარის გასაძევებელი ქვებუ-ნაგობანი. თავად განსაჯეთ და გაიცნობიერეთ ამ ხროვაში რასაც ნიშნავდა ა. წოწონავა, როდესაც გაიგებთ მის ამაზრზენ ჩამშვებობას გ. ბარამიას სიცოცხლის ხელყოფის მცდელობასთან დაკავშირებით. დიახ, იმას მოგახსენებთ, რომ, როცა გ. გვაზავას, ა. წოწონავას და კომპანიას ახარეს, არააო გ. ბარამია ცოცხალი (ბუნებრივია, იცოდნენ, რასაც უნდა მოჰყოლოდა ეს და, რაც მთავარია, ვისი ხელებით), ა. წოწონავამ, თითქოს ეს-ესაა, საყვარელ ქალთან მოისარეცლაო, გ. გვაზავასთან, თ. ხუბუასთან, რ. ცატავასთან და ა. შ. ერთად სცადა გადატრიალება აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობაში, რისთვისაც მყისვე მისი შვილი გაგზავმა აფხაზეთის სამინისტროებში (მ. თამარაშვილის ქ.) და მათ მიულოცა "გ. ბარამიასგან თავდაღწევა".

ეს ყველაფერი თავისი არსით გახლდათ ამ ადამიანების (მინისტრების) სულიერ ხრწნადობათა ქურსუმში ჩასართულება: გ. ბარამიას გუნდიდან (მინისტრებიდან) ორად-ორის გარდა, სუყველამ მთავარობის თავმჯდომარის სავარძლის მოსარგებლად დაიწყო ე. წ. ჩალიჩი. ზუსტად ვიცი თუ რა რიგი დადგა მაშინათვე ბ. ახალაიას ნათესავი ერთი გალელი ცხვანტალა ყმაწვილის დედასთან, მანამდე არაფრით გამორჩეულ ქალბატონთან, რომელიც ე. წ. ლტოლვილთა აღმოსავლეთ მიმართულებაში მუშაობდა რიგით თანამდებობაზე. მასთან

მისალოცად და სათხოვნელად იყო მისული გ. ბარამიას მინისტრების უმეტესობა... მისი (ამ ქალბატონის) შვილი ხომ მთავრობის თავმჯდომარე ხდებოდა!

-ასეთიაო ცხოვრება, უყვარს ამის თქმა გ. გვაზავას. ვეთანხმები, ოღონდ, ასეთნაირად ულმერთო და ფეხაწევაში სულნავარჯიშევი ადამიანები იქცევიან მხოლოდ.

ამგვარი ხელგარჯილობის საფუძველი ამ ხალხის ზნეობრივ სიბერწეშია ჩაშენებული. ხოლო ზნეობრივი სიბერწე ვერ იქნება ჭეშმარიტების დედაბოძი.

როდესაც გ. ბარამიას გარემოცვა სამთავრობო გუნდს ქმნიდა, მეც მქონდა ჩემი შენიშვნები და ისინი, როგორც უკვე მოგახსენეთ, არც თუ მორცხვად გავახმოვანე, მაგრამ ეს იყო და ეს. თუმცა, დღეს ნიშნისმოგების დრო არაა, დასანანია, - რა ახლოს იყო სააფხაზეთოდ სულიერი გალიანდაგების საშუალება, რასაც სახლიკაცობის მოთხოვნილება უნდა მოჰყოლოდა.

გ. ბარამიას წინგაუხედაობასთან ერთად, სწორედ გ. გვაზავას, ა. წოწონავას, დ. გვაძაბიას, თ. ხუბუას, რ. ცატავას და ა. შ. საავმოსურნეო ხერგილებმა არ დაუშვეს ეს.

როგორ ან ვინ აუხსნის ამ წლების მანძილზე გ. გვაზავასგან გაცუცურაკებულ საზოგადოებრიობას, რომ თავისი სამწლიანი თავმჯდომარეობიდან წელიწადნახევარზე მეტი გ. ბარამია პირად სავარძელში საკუთარი ძვლების ახარაჩოებაღა იყო.

*ესეცაა საკითხავი - ასეთი საქმიანობის დროს რა აშთაგონებდა თაღლით გ. გვაზავას - საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ულუფის მპარავად „სახელგანთქმული“ დედის შვილობა თუ საქვეყნოდ ცნობილი მეუფის ძმობა. აი, რა უნდა იყოს სულ-სამშვინველის მკვლევარი მეცნიერისთვის საინტერესო.*

***

დიახ, ამ მხრივ გათვითცნობიერებული ადამიანების მონათხრობით დასტურდება, რომ სახელმწიფოში მოქმედებდა გასაიდუმლოებული ცხრაკლიტული, რომლის მიღმა ძმათა ახალაიათა თუ მათი გარემოცვის, უფრო ზუსტად, *მ. სააკაშვილის რეჟიმის მიერ ინერგებოდა არა მხოლოდ ადამიანთა წამების, არამედ და უპირველესად, მათი უკვალოდ გაქრობისა თუ მათით ხელმოთბობის* უთანამედროვესი ტექნოლოგიები. ეს ყველაფერი იმაზე არაკლები კი არა, უარესადაც კი ჩანდა რიგ შემთხვევაში, ვიდრე იყო ალბანელ აგრესორ-სეპარატისტთა მიერ სერბული კოსოვოსთვის თავსმოხვეული ათავზარებანი, სადაც, არც თუ იშვიათად, ჯანმრთელ ადამიანს აკვდინებენდნენ მხოლოდ იმისათვის, რათა მისი ორგანოები: თირკმელი, გული, ღვიძლი და ა. შ. იატაკქვეშურ დახლზე

გაეყიდათ (თუ ცნობილი სამართლადამცავის - დ. ლორთქიფანიძის დაკვირვებათა შესბამისად ჩავფიქრდებით, პასუხგასაცემი და ასახსნელია ის მდგომარეობა, რომ "ჩვენს" ციხეებში პატიმართა ცხედრებს ძალიან ხშირ შემთხვევაში შიგნეულობა გამოცლილი ჰქონდათ *(იხ. გაზეთი "საქართველო და მსოფლიო", 17 ოქტომბერი, 2012 წ.)*. ბატონ დიმიტრის მიაჩნია, რომ ადამიანთა შიგნეულობით ვაჭრობა იშვიათი არ უნდა ყოფილიყო მ. სააკაშვილისა და მისი თანამოსაქმეების აღმგველი ხელგამოღებისათვის.

***<u>ასე მაგალითად, ამავე გაზეთში დამოწმებულია შემთხვევა, როდესაც პატიმარი ცემით სიკვდილისპირამდე მიიყვანეს. მისი უგონო სხეული სხვაგან გაათრიეს, ხოლო ცემის ადგილზე ნაცემის ოთხი თანასაკნელი მოაწისლისკვრეს, ძალღივით ოთხზე ჩააცუცქეს და ენით აატლანკვინეს სიკვდილისპირამდე მიყვანილი მათი თანასაკნელის აქ დაღვრილი სისხლი.</u>***

ამრიგად, მიშნაცური ხროვა ჯალათობით ისაქმებდა თავს, ხოლო არჩევნების წინ ყველა მათგანი მეტნაკლები აღვირახსნილობით ერთობოდა. აი, ის "თუთიყუში" ბიჭუნა, ჩვენ დედის ნებიერა რომ გვეგონა და ე. წ. პარლამენტის თავმჯდომარეობით ერთობოდა იმხანად, თურმე, საკმაოდ "გუთოღალირიც" ყოფილა და სახელმწიფო ხაზინიდან ჩანაჯიბი თანხით თავისი თანამესარეცლე აფრიკაში წაიყვანა ***"ლომებზე სანადიროდ"*** *(გაზ. "ყველა სიახლე", 17 ოქტომბერი, 2012 წ.)*.

ამ დროს "- მ. სააკაშვილი ს. ორჯონიკიძეს შეადარაო", დასმენას დასმენაზე აგზავნიდა ჩემს წინააღმდეგ და მჯაშუშობდა "ხალხის რჩეული" რ. ქარაია, ნ. მგალობლიშვილი და ა. შ.

ბოდიში, ქართველი ერის სისხლისმსმელ ს. ორჯონიკიძესთან, ის ხაზინას ფულს არ ჰპარავდა, დახლზე შეგდებული და ნაწილ-ნაწილ "გასხვაქვეყნებულ" საქართველოს საფასურს პირწმინდად ადოვლათებდა საბჭოთა უნჯთშესალაგში. ამათთვის კი ზღვარი არ არსებობს, ერთმანეთის მიმდგომელ ხრწნილებად დიახ, ს. ორჯონიკიძეს გასწრებულ ოხრობად დაუდგინდნენ საქართველოს.

მე არ ვიცი, აფხაზეთის ა/რ-ის ხელმძღვანელობამ, პირველ რიგში, თაღლითმა გ. გვაზავამ - გორისა და სამთავისის მთავარეპისკოპოსის, მეუფე ანდრიას უფროსმა ძმამ, ასევე და განსაკუთრებით გ. გვაზავას დაკვეთების პირნათელმა შემსრულებლებმა, ქალბატონმა რ. ქარაიამ და "დისიდენტმა" ნ. მგალობლიშვილმა იცოდნენ თუ არა ბაჩო და დათა ახალაიების, მათთან ერთად მათი ბოროტმოქმედული გარემოცვის დღესაც კი ზედაპირულად და მხოლოდ შიგა და შიგ მხილებული საზარელი საქმიანობები, მაგრამ ამ მხრივ სიცხადე ასეთია, ისინი (თაღლითი გ. გვაზავა და მისი თანამოსაქმეები ნ. მგალობლიშვილი, რ. ქარაია, ა. წოწონავა, თ. ხუბუა, რ. ცატავა, რ. შამუგია, დ. გვაძაბია და ა. შ.)

ამ ***ბოლო ხანებში თანმიმდევრულად თანამშრომლობდნენ ამ სასაკლაოსთან და ვიმეორებ, გ. ბარამიას სახით საჭირო ნედლეული მიაწოდეს ამ ორფეხა ხორცსაკეპს, ხოლო, რაც შემეხება მე, ჩემი საასეთდარგო განედლეულება ვერ მოასწრეს მრავალი მიზეზის გამო. პირველ რიგში კი იმიტომ, რომ მე გ. ბარამიასავით*** არ გამომივლენია მერყეობა, უკან არ დამიხევია, თან მიზანმიმართულად და სახალხოდ ვამხელდი ან ვასაჯარისებდი როგორც მ. სააკაშვილის ძალადობრივი ხროვის ათარეშებას, ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის კომპარტიულ რაობა-გადმონაშთობასა და აქედან გამომდინარე, მათს სახალხო ნების საწინააღმდეგო ძირგამომთხრელობას.

დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს, ***გ. ბარამიას განედლეულების შემდეგ, ცხადია, გ. გვაზავა და კომპანია მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდა.*** დაიწყეს გ. ბარამიას სავარძელზე ვიღაცეების საჯდომთა დაზმანება, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ვ. მერაბიშვილმა ს. თოფურიძე მოუვლინა გ. გვაზავასა და მის თანამოსაქმეებს, გ. ბარამიას აღდგენილ უფლებათა გასანიშანსვეტებლად. თუმცა, არც ამით მომხდარა გ. ბარამიას "პოლიტიკური მკდვრეთით აღდგომა".

მოკლედ, ეს ამბავი, როგორც სარწმუნო წყაროდან ვიცი, ასე და ამრიგად მომხდარა, მე ამის დაბეჯითებით მთქმელს ვერ ვუთავდებებ, მართლა მოხდა თუ არა ასე, მაგრამ ამგვარად მომხდარს ძალიან ბევრი რამით ჰგავს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რა რის შემდეგ მოხდა, ჯერ ნეკნები ჩაულეწეს გ. ბარამიას და მერე ამოაძრეს კბილები თუ პირიქით. მთავარი გაკეთდა და ეს არაა მარტო გ. ბარამიას გალახვა, ამ წინგაუხედავი ძალადობით ხელყოფილი იქნა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის ზოგიერთი ქმედუნარიანი განაბიჯება, რომელიც შეჯერებული გახლდათ ამ მხარის სახალხო ძალისხმევასთან და სახლიკაცურ წინგახედვასთან. იგი გ. გვაზავას ხელმძღვანელობით შეთქმული თუ ჩასაფრებული პარტოკრატიის ავმოსურნეობითა და თვით გ. ბარამიას უგერგილობით, გნებავთ სიმხდალის გამო, გაუპატიურდა და შეიგინა, რის გამოც გაუმაქნისდა გარკვეულ ძალთა საძუძუმტეო ურთიერთმოძიების მცდელობანი.

როდესაც ვსაუბრობთ გ. ბარამიას სიმხდალეზე, აქ, კვლავ და კვლავ, დაჟინებით უნდა გავიხსენოთ 2011 წლის ზემოთხსენებული 28 თებერვალი, როცა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებული ელიტური კორუფციისა და აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დეოკუპაციის საკითხებში მათი არაკომპეტენტურობისა თუ უვიცობის წინააღმდეგ ყველასგან დამოუკიდებლად ადრე დაწყებული ბრძოლა განვაგრძე და შიმშილობის აქცია დავიწყე ჩემსავე ანუ საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის კაბინეტში, დილის 10 საათზე, მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი

დილიდანვე ფართოდ გაშუქდა მედიით, ჩემთან მოვიდა დაცვის პოლიციის აფხაზეთის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ყაზახაშვილი და მაგრძნობინა, რომ ამ ღონისძიებისგან საზოგადოებრიობა გამოჭენებული კორუფციის ბოლომდე გათვალსაჩინოებას ელოდა, რაც ხელისუფლებას საშუალებას მისცემდა გაეუვნებელეყო და აღეკვეთა ბოროტმოქმედებები. აფხაზეთის დევნილი მთავრობა ამით საშუალებას პოულობდა მთლიანად გადართულიყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სტრატეგიის სრულყოფაზე სამუშაოდ. იმის მიხედვით, რაც ართქმულში გავისიგრძეგანე, ეს იყო: - "იქ" ფიქრობდნენ, რომ მე წინამდებარე აქციით სახელმწიფოს გავუიოლებდი ქმედუნარიან გარდაქმნებს დევნილი მოსახლეობის მოთხოვნათა და აფხაზეთში შექმნილი ახალი ვითარების შესაბამისად, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქმედუნარიანი განაბიჯებები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შემოსასხეულებლად.

მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, "ართქმულიდან" გამოდიოდა, რომ ჩემი საპროტესტო აქციის მთავარი საზემოქმედო მიმართულებები 1. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებული ელიტური კორუფციის აღმოფხვრა და 2. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საკითხებისადმი კომპეტენტური მიდგომა, ამ მხრივ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპების, ტერმინოლოგიის და ა. შ. ასევე აქედან გამომდინარე შედეგებს (ისტორიის გაყალბება, აფხაზეთის მოსახლეობის სახლიკაცური ურთიერთობების ხელშეშლა და სხვ.) პოლიტიკური მიმოქცევიდან გაძევება "იქ" მხარდაჭერილი იქნებოდა უპირობოდ და ყოველმხრივ.

***<u>იმ ვითარებაში, როდესაც გ. გვაზავასა და კომპანიას პარლამენტიდან (მ. მაჭავარიანი, ხ. გოგორიშვილი, შ. მალაშხია და სხვ.), პრეზიდენტის კანცელარიიდან, გარემოცვიდან და ოჯახიდან (დ. ტყეშელაშვილი, კ. ნაყოფია, ს. რულოვსი), მთავარი პროკურატურიდან (მ. ზოდელავა, მისი მამა, აგრეთვე პროკურორი ა. ლაცუზბაია), იუსტიციის სამინისტროდან (ზ. ადეიშვილი), კონტროლის პალატიდან (ლ. ბეჟაშვილი თავისი აფხაზეთელი სიმამრის მეშვეობით), კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან (ს. თოფურიძე), მათთან ერთად მარად და ყველგან მყოფი ბაჩო და დათა ახალაიები ეზურგისქარებოდნენ, რითაც ისინი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კორუფციაში ათავქუდგლეჯილ ხელმძღვანელობასთან ერთად თავთავიანთი სამოგზბოსთვის ჩემს წინააღმდეგ ფეხაწყობილ მხარეს, ანუ ერთი ფრონტით მებრძოლ ძალისხმევას წარმოადგენდნენ,</u>*** გამოგიტყდებით, - რომ გითხრათ, "ართქმული" გამოხმაურება მეწყინა მეთქი, თქვენ დამიჯერებთ?! მით უმეტეს, რომ ძალზე მკაფიოდ ვიცოდი, ეს "იქ" აფხაზეთის დევნილი საზოგადოებრიობის ყველაზე ჯანსაღ აზრს ისეთი ზედმიწევნობით

გამოხატავდა, რომ ლ. ყაზახაშვილსაც ესახელებოდა თუნდაც რაღაც გრძლიობაში მასთან ურთიერთობა.

შესაბამისად, ლ. ყაზახაშვილს ვუთხარი, რომ მიუხედავად ჩემი ავადმყოფობისა, უკან დახევას არ ვაპირებდი და ნურავინ ეცდებოდა საზოგადოებასთან შეთანხმებულ ჩემს ნაბიჯებში აღმკვეთ ჩარევას.

ღამის 1 საათზე იგივე ლ. ყაზახიშვილი მომადგა გ. ბარამიას სახელით. შენობა საგანგებოდ იყო გაუკაცრიელებული, დაცვას მესამე სირთულის ზევით არ უშვებდნენ. 6 სართულზე, სადაც აფხაზეთის ხელისუფლება იყო განთავსებული (თბილისი, ა. ყაზბეგის გამზირი #42), მხოლოდ დაცვის სამიოდე წევრიღა ილანდებოდა.

ასეთ იატაკქვეშურ ვითარებაში შევხდვი გ. ბარამიას. იგი ოფლში გახვითქული, შეუჩერებლად ცახცახებდა. მან მითხრა, რომ მთელი დღე მას ურეკავდნენ პრეზიდენტის კანცელარიიდან, პარლამენტიდან და მთავარი პროკურატურიდან, ხოლო საღამოს პირადად ის მრისხანე, ტელევიზიების მიერ კანონის დამცველად გააურზაურებული ს. თოფურიძე - შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარ-ტამენტის უფროსის მოადგილე ესტუმრა აქ და ***ჩემს მიერ მხილებულ ელიტური კორუფციის მესადავეებს კი არ გაესაუბრა, პირიქით, ბოროტმოქმედების ჩაფარცხვა დაივალა,*** თან მოითხოვა აქციის შეწყვეტა ყოველმიზეზგარეშე, რადგან ”მ. სააკაშვილმა განაცხადა, - *”ქვეყანაში კორუფცია მოისპოო” და ახლა, როცა ს. საჯაია ელიტურ კორუფციას აწვება, ეს პრეზიდენტს ამტყუნებსო!”..*

მეორეც, ამავე შენობის მესამე სართულზე საქმიანობსო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო, რომლის შეუფერხებელ მუშაობასაც ექმნებაო საფრთხე ამ აქციის გამო.

ს. თოფურიძეს ისიც უთქვამს, რომ ყველაფერს დაპირდით, კომისიები შექმნით, გარანტიები მიეცით, ვითომ მისი მოთხოვნები შესრულდება ხვალვეო და ა. შ.

ასეც მოხდა, ჩემს მიერ წამოჭრილი საკითხი ”დადებითად გადაიჭრა”, გ. გვაზავამ და მისმა თანამოსაქმეებმა ”თავზე ნაცარი გადაიყარეს”. მათ უკან დაიხიეს. ასე ჩანდა, თითქოს მე გავიმარჯვე. მაგრამ ეს ასე რომ არ იყო, ყველაზე უკეთ მე თვითონ ვიცოდი, რადგან აქ ჯოგური ფეხაწყობიდან თავდაღწეული და ღირსებისთვის თავისგამწირავი ძალისხმევა ძალიან სუსტი გახლდათ.

სანამ სიტყვას განვაგრძობდეთ, ხმამაღლა და დანანებით უნდა განვაცხადოთ, რომ ბაჩო და დათა ახალაიების ნებისმიერი ათარეშება, რომელიც ყოველთვის ქართველი ერის ნებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ძალისხმევობდა, შედეგის თვალსაზრისით ამჯერადაც სახალხო საქმის ჩასაწალდად გაისარჯა: იმის მიღმა, რომ მათ გ. ბარამია

გალახეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს მას, გაცილებით საგანგაშო სხვა რამ მოხდა: 1. მათ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობისა და მათთან თანამოსაქმე აფხაზეთის პარტოკრატიული გარეწრების წაქეზებით გააძლიერეს გ. გვაზავას თაღლითურ-ბოროტმოქმედული ჯგუფი და 2. ამით ხელი შეუწყვეს გ. ბარამიას გარემოცვაში, მისი ნებით, თუ უნებლიედ, კვლავ აღორძინებული ქართულ (აფხაზურ) - აფსუური სახლიკაცობისკენ გადადგმული ნახევრადიატაკქვეშური ძალისხმევებისთვის საურთეირთო ხიდის ჩახერხვას.

მანამდე გ. ბარამიაში საინტერესო ის იყო, რომ თავისი ვინაობის გასწვრივ ცალკეული საეჭვო და დასაზუსტებელი საკითხი კი არ უსიერობდა მარტო, არამედ მისი გარემოცვის ზოგიერთი თვალსაჩინო წევრი ვითარების სიცხადე გახლდათ, რომელთაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დროებითი ოკუპაციის პირობებშიც კი ხელი მიუწვდებოდათ, რათა იქ დარჩენილი მოსახლეობის თვალსაწიერში ჩვენდამი კეთილგანწყობა ჩაემყნოთ. მისი (გ. ბარამიას) დამსახურება ის იყო, რომ მას ჭკუა ყოფნიდა, ხელი არ შეეშალა ამისთვის. ამას ისინი თავიანთი კეთილმოსურნეობითა და უანგარო საქმიანობით აღწევდნენ. სახეზე იყო პირველი საგრძნობი შედეგებიც, - დიახ, ***ჩვენს წინააღმდეგ გუშინ თოფმომარჯვებულთაგან არაერთმა ირჩია სულის თავშესაფარი უწმინდესისა და უნეტარესის მფარველობის ქვეშ.*** უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე საუბარი არაა მიზანშეწონილი, ის ჩუმად უნდა აკეთო, ერთს ვიტყვი მხოლოდ, გალახული კაცი ასეთ საქმეში სანიშანსვეტო ვერ იქნებოდა, რომ არა ზემოთხსენებული ექიმისა თუ სხვათა სახალხო ღირსება, რომელთაგანაც სათავეს იღებდა დროებით ოკუპირებულ აფხაზეთში დარჩენილ ადამიანებთან საურთიერთო გზათა სვლაგეზები, ეს ურთიერთმოძიება ჩიხში ჩაიხართებოდა. აი, რა საქმე შეაგდეს ბეწვის ხიდზე გ. გვაზავას, ა. წოწონავას, თ. ხუბუას, რ. ცატავასა და ა. შ. თაღლითობამ, ბ. და დ. ახალაიების, მ. ქარდავას კაციჭამიურმა ბუნებამ თუ წინგაუხედაობამ!.. როგორც საინფორმაციო წყაროებმა გადმოსცეს დღეს, ამ დილით ბ. და დ. ახალაიები, მ. ქარდავა და სხვები საზღვარგარეთ გაიქცნენ, ასეა, ტირანს სამშობლო არ ეერთსხეულება.

***

დიახ, ბატონებო, ხმამაღლა ვამბობ ამჯერადაც: აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო დღეს არ არის მსოფლმხედველობრივი ერთობა, მით უფრო, სულიერი გაერთსხეულება - შემართული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისათვის.

იგი სხვადასხვა ჩასაფრებულ გულისხმათა "ხეობებიდან" ჩამონადენი ნაგუბარია, რომელმაც გარემოებათა მდინარებისგან გამონარიყ ნაკაცართა ღორღისგან მოიკირწყლა საურთიერთო გზები.

ამ გზაზე მათი ბაცაცობა ვერ ამაღლდა ქურდულ მოწესეობამდეც კი, ამიტომ ეს ნაკლულობა შეივსეს ჩამშვებური სისასტიკის შუბლისძარღვგაწყვეტილობით.

ეს ყველაფერი საძრახობათა ჯერმონაცვლეობაში გაისაგნა.

***აღმოვჩნდი რა ასეთი ჯოგური ერთობის პირობებში, რომელიც ეროვნულ ღირებულებებსა და სახალხო ნებას მიმდგომლობდა, მე ვიპოვე ჩემში ძალა, გამეპიროვნებინა საკუთარი თავისთვის მ. სააკაშვილის ხმაბოდვითი პოლიტიკისა და შესაბამისად ე. წ. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოდ წოდებული ბოროტმოქმედული გუნდის მამხილებლის მოვალეობა. შედეგად, 2011 წლის 18 აპრილს ანუ ვნების კვირის პირველი მზის ამოსვლისთანავე, ორშაბათს, მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის წინარე დღეებში, მძიმე მარხვის მიმდინარეობისას, როდესაც სულს ქენჯნის პერანგი და ზნეობის საოხარი უნდა მოაცვა, "მარხვაში მყოფმა" გ. გვაზავამ ჯალათ ზ. შაშურკინის გულშეუძვრელობით ხელი მოაწერა სამსახურიდან ჩემი გათავისუფლების განკარგულებას, რომლის საფუძვლად შტატების შემცირება მიეთითა.***

სინამდვილეში ჩემი სამსახურებრივი დევნის ნამდვილი მიზეზი გახლდათ ჩემს მიერ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის სრული არაკომპეტენტურობის მხილება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დეოკუპაციის გზების მოძიებაში, ამავე ხალხის ბოროტმოქმედული საქმიანობის შეფასება და აქ გამოჭენებული კორუფციის დასაფარავად ამავე ინსტიტუციის დეპუტატებისა თუ რიგი თანამშრომლის შეთქმულების გასაჯარისება საზოგადოებისათვის.

დიახ, ეს იყო ჩემი პოლიტიკური რეპრესიების ნამდვილი მიზეზი, ხოლო დასჯის აღსასრულებელ საბაბად იქცა (რომელიც ნაწილობრივ მიზეზადაც გაფორმდა) ***ჩემს მიერ მ. სააკაშვილის არასახელმწიფოებრივი, არაეროვნული და არასახალხო საქმიანობის ამსახველი და მამხილებელი წიგნების გამოცემა 2005-2010 წლებში.***

როგორც მოგეხსენებათ ამ წიგნებთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რამოდენიმე დეპუტატმა ჩემს წინააღმდეგ დაწერა დასასმენი განცხადება და შეიტანა როგორც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, ასევე პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ე. წ. უშიშროების სამსახურებში.

***იმავდროულად გ. გვაზავას მითითებით დაიწყო ჩემს მიმართ ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რომ თუ არ წავიდოდი სამსახურიდან, გამანადგურებდნენ არა მხოლოდ მე, არამედ ჩემს შვილებსა და შვილიშვილებსაც.***

ის, რომ ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი "შტატების შემცირება" არ იყო, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩემი გათავისუფლებიდან მეოთხე დღეს (ხუთშაბათს) აფხაზეთის ა/რ-ის

უმაღლეს საბჭოში დაინიშნა 10 ახალი თანამშრომელი, მათ შორის ოთხი იმ დეპარტამენტის ტოლფარდ თანამდებობაზე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი.

საინტერესოა, რომ ჩემს მიერ გამოქვეყნებულ ბრალდებებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობისა თუ ბოროტმოქმედებების შესახებ, ისინი პასუხობდნენ ჩემი ლანძღვითა და ცილისწამებებით, რასაც არა მხოლოდ საუწყებათაშორისო განცხადებების სახე ეძლეოდა, არამედ ეს ქვეყნდებოდა პრესაშიც.

***ამ "მხილებებში" მე ბრალი მედებოდა მ. სააკაშვილის ღალატსა და ბერძნობაშიც კი (დედა ბერძენი მყავდა).***

რაც შეეხება მ. სააკაშვილის ღალატს, მე მას 1999 წლიდან საჯაროდ ვამხელდი უგნურ წინგაუხედაობებში, ასე, რომ მის "ღალატამდე", სულ ცოტა, მას მსოფლმხედველობრივად დაპირისპირებული არ უნდა ვყოფილიყავი და მისი ერთგულებით მეყოველდღიურა. აქ საინტერესოა გ. გვაზავასა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატთა საქციელი, რომლებიც მ. სააკაშვილის "ერთგულებისთვის იჭრიდნენ ვენებს", მათ ჯერ მათთვის ჩვეული ქვეშქვეშობით, შემდეგ კი აშკარად დაიწყეს ძირგამომთხრელი, მართლაც მოღალატური საქმიანობა მ. სააკაშვილის წინააღდმეგ, რითაც სხვა პოლიტიკურ ბანაკში ცდილობდნენ (და ცდილობენ) თვითდამკვიდრებას.

***

სათქმელს ნუ გავიმრუდებთ და საქმეც წინ წავიგდოთ: როგორც მოგახსენეთ, ს. თოფურიძის სათითისქნევო სტუმრობის შემდეგ ელდანაცემი გ. ბარამია არაშესაბამისად იქცეოდა. მას არნახული შიში დასჩემდა და სავარძლის დაკარგვა ელანდებოდა ყველგან და ყველაფერში.

2011 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც ჩემი მოთხოვნები "დაკმაყოფილდა", აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა ე. წ. კომისია, რომელსაც, ვითომცდა, უნდა აღეკვეთა კორუფცია და შეექმნა პირობები აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დეოკუპაციის სტრატეგიაზე სამუშაოდ. მომდევნო დღეებში ეს დარაზმვა, ჩემს სადამსჯელო მზაობად იქცა. სინამდვილეში გ. გვაზავამ, ა. წოწონავამ, თ. ხუბუამ, რ. ცატავამ, დ. გვაძაბიამ, "დისიდენტმა" ნ. მგალობლიშვილმა, "ეროვნული მოძრაობის წევრებმა" თ. მჟავიამ და თ. ლორთქიფანიძემ, რ. ქარაიასთან, გ. კალანდიასთან და ა. შ. ერთად სულ სხვა მიმართულებით, რაც მთავარია, ***აკრძალული წელსქვემოთა ხერხებით დაიწყეს ჩემი მიმწყვდევა ჩიხში.*** საქმე ისაა, რომ, თავის დროზე, როგორც არაერთგზის ვთქვი უკვე, ჯერ კიდევ 1999 წლიდან თანმიმდევრულად დავიწყე წვრთნაშეუსმენელი თაობის, ანუ ე. შევარდნაძის ნამესტნიკურ

ხელისუფლებაში პოლიტიკურ ბიჭუნებად გამოთარეშებული სიმრავლის მხილება, ამ საკითხზე გამოვეცი სქელტანიანი წიგნები: ***1. "დემოკრატიული" გადაგვარებით "ცივილური" გადაშენებისკენ" (2005 წ.); 2. "დღეები ცხედართა უხმო კივილისა" (2007 წ.); 3. "საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?!" (2008 წ.); 4. "ახალი საეთნოდივერსიო პოლიგონისათვის" (2008 წ.); 5. "როდესაც ზნეობა მთვარის შუქზე საწმერთულს იხდის" (2010 წ.)*** და სხვა.

***ჩემდა საამაყოდ, ამ წიგნებში მე ვამხილე აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო მიზნები საქართველოში და მისი ნამესტნიკის მ. სააკაშვილის საჭერქვეშოს, სანათესაოს, გარემოცვის არასახალხო შინაარსი. ამ მსჯელობაში მე მ. სააკაშვილის კოლაბორაციულ საქმიანობაზე საუბრისას პირში თქმის წესით გამოყენებული მაქვს მამხილებელი წინადადებები.***

ბუნებრივია, იმ ვითარებაში, როდესაც მოქმედ პრეზიდენტს ჩემს წიგნებში ასეთი შეფასება მიეცა და ქვეყნის მაოხარი ეწოდა, თანაც ხელისუფლებაში მიშნაცური ძალმომრეობა, განუკითხაობა, ჩასაფრება თუ უზნეობა ზეობდა, ***გ. გვაზავას ჩემს წინააღმდეგ ამით ანგარიშ-სწორებისთვის ზურგის ქარი კი არა სულაც გრიგალი აესვლაგეზა.***

მან დეპუტატთა ჯგუფს შეადგენინა საბეზღარი წერილი ამასთან დაკავშირებით, ***ამ დასმენას სათავეში ჩაუყენა "დისიდენტი" ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია, ნ. ლორთქიფანიძე, რ. ქარაია და დაიწყო*** ხელმოწერების შეგროვება ***"სახელმწიფოს მიმართ ჩემს არაკეთილსაიმედო-ობაზე".*** საჩივარი გაამრავალცალეს და შეიტანეს ყველა სათანადო სამსახურში. ***იმავდროულად დამიწყეს დაშანტაჟება იმ მხრივ, რომ ჩემი შვილიც სამართალდამცავ სამსახურებში საქმიანობდა და არც მალავდნენ, ხმამაღლა მიმკაფიოებდნენ: მიუხედავად იმისა, რომ კარგი პროფესიონალი არისო, მასაც შევუქმნითო პრობლემას.*** დიახ, ბატონებო, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ე. წ. დეპუტატთა ერთი ნაწილის, მათ შორის "დისიდენტ" ნ. მგალობლიშვილის ***ბრალდება,*** რომლითაც ჩემი ოპონენტები პრეზიდენტის კანცელარიაში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში და ა. შ. მიჩიოდნენ და რასაც ჩემს წინააღმდეგ ჩემს მიერ დაწერილი მამხილებელი წიგნების გამო, ვიმეორებ, იგივე პრეზიდენტის კანცელარია, პარლამენტი, იუსტიციისა და შს სამინისტროები, კონტროლის პალატა, მთავარი პროკურატურა და ა. შ. ***ეზურგისქარებოდა,*** დღეს საქართველოდან ლაჩრულად გაქცეულ ჯალათ ს. თოფურიძის ***მითითებათა შესაბამისად, ასეთი დასმენით ცდილობდა საპირწონე აეხერგა ჩემთვისაც, რასაც ჩემი გახელზორკილება უნდა მოჰყოლოდა: "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა გვაიძულა ამჯერად წერილობით მოგვემართა თქვენთვის, რადგანაც ყველა დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა ახლახან შექმნილი საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის ამავე უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ წლების მანძილზე მიზანმიმართულმა***

*ძირგამომთხრელმა საქმიანობამ. საკმარისია გადავავლოთ თვალი 2006-2010 წლებში მის მიერ წიგნად გამოცემულ პასკვილებს. მრავალთაგან მოვიყვანოთ თუნდაც ერთი 2006 (2007) წელს გამოცემული წიგნიდან ”დღეები ცხედართა უხმო კივილისა...” აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ერთი მაინც უნდა აღვნიშნოთ, გაგვიჭირდება, ვიპოვოთ ადამიანი, რომელიც ვერ ხვდებოდეს, რომ ამგვარი განცხადება მხოლოდ მტრის წისქვილზე წყლის მიშვებაა, რადგანაც სეპარატისტთა და ოკუპანტთა ოცნების რეალობად ქცევას ემსახურება უფრო, ვიდრე ქვეყნის გამთლიანებას. ასეთ შემთხვევაში ნამდვილად უცნაურად გვეჩვენება მისივე თვალსაზრისი მოწოდებული ამავე წიგნის 711-ე გვერდზე: <u>”ცნობისათვის: მიხეილ სააკაშვილი საზღვისწერო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება და საქართველოში იმის დაკანონებას ცდილობს, რაც ავადსახსენებელმა სერგო ორჯონიკიძემ 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით შეთხზა და დააკანონა”...</u>* დიახ, დიახ, ქრისტესმიერნო, აქ უცნაური მართლაც ისაა, რომ ჩემს ჩამოსახრჩობ ბეზღობას თაღლით გ. გვაზავას მითითებით ხელს რიგით მეოთხედ აწერდა მ. სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ”მებრძოლი”, უფრო მეტიც, ”დისიდენტად” თავდადგენილი ნ. მგალობლიშვილი, რომელიც მ. სააკაშვილის სალეღვისფოთლო საჩივარზე სხვა ხელისმომწერებთან რ. ქარაიასთან, თ. მჟავიასთან, რ. ცატავასთან, დ. გვაძაბიასთან. ა. წოწონავასთან და ა. შ. გ. გვაზავას მეთაურობით ***<u>დღეს ბაგაში შვრია ჩაყრილი ნახირივით მიიზანკება ბიძინა ივანიშვილის მიმართულებით, რათა მორიგი საშოვრით გაიდოვლათონ ჭერი.</u>***

ამ შემთხვევაში ისღა დამრჩენია, კეთილმოსურნედ შევეხმიანო ბატონ ბიძინას: ქრისტესმიერო, თქვენი გადასაწყვეტია თუ ვინ შეაღებს თქვენს ბჭისკარს, მაგრამ უფალი მავალებს, არაერთი ეკლესიის ამგები კაცი გაგაფრთხილოთ, ***<u>არ მიიშვება ეს ხალხი ყბურთან და ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით თუ კი პოლიტიკურ ნადში ამოიყენებთ მათ.</u>***

სხვათაშორის, კინაღამ დამავიწყდა, მ. სააკაშვილის შედარებამ ს. ორჯონიკიძესთან იმდენად „აღაშფოთა“ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, რომ მათ მიმდინარე 2012 წლის 23 მაისს კიდევ ერთხელ ”მამხილეს” პრეზიდენტის გაკრიტიკებაში და ზემოთგასაჯარისებული ამონარიდი შეუცვლელად გამოიყენეს საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარის, უფრო სწორად, ***<u>პოლიტიკურ ჯამბაზ</u>*** გია თორთლაძისადმი მიმისამართებულ განცხადებაში. რა თქმა უნდა, ”დისი-დენტი” ნ. მგალობლიშვილი ჩვეული სიბეჯითით აწერდა სხვებთან ერთად ამ ”დანოსზეც” ხელს, მაგრამ ამჯერად გ. გვაზავამ და თ. ხუბუამაც ჩემს წინააღმდეგ ჯაშუშობა საკუთარი ხელმოწერით ღიად დაადასტურეს.

ამრიგად, ჩემი პოლიტიკური შეხედულებები გ. გვაზავამ ჯერჯერობით წარმატებით გამოიყენა თავისი სავარძლის შესანარჩუნებლად და მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მისაჩქმა-ლად.

აქ საინტერესო ისიცაა, რომ გ. ბარამია ჩემმა წიგნებმა საერთოდ დააფრთხო, იმ დონემდე გააქალაჩუნა, თითქოს მ. სააკაშვილის შესახებ ის კრიტიკული შენიშვნები და მხილებები მისი ავტორობით გამოქვეყნებულიყოს.

მანამდე მასთან (გ. ბარამიასთან) შემისამართდა პრეზიდიუმის წევრის, პროფესორ ჯ. გამახარიას, აპარატის უფროსის ო. ჩარკვიანის, მომარაგების უფროსის ზ. ზარანდიას საჩივრები (რომ არაფერი ვთქვათ ჩემს განცხადებებზე), რომლებშიც ავტორები გ. გვაზავას მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამოძიებას ითხოვდნენ.

ამასთან დაკავშირებით 2012 წლის 23 მაისს კიდევ ერთხელ გ. გვაზავა მიუვარდა გ. ბარამიას და დაემუქრა: ***თუ შენ ამ განცხადებებს მსვლელობას მისცემ, ჩვენ გიჩივლებთ იმაზე, რომ მ. სააკაშვილზე კრიტიკული წიგნების გამომქვეყნებელი ს. საჯაია შენთან მეგობრობსო. თავის მხრივ, ამ განცხადებებთან დაკავშირებით "დისიდენტმა" ნ. მგალობლიშვილმაც გაჩუმება მოსთხოვა გ. ბარამიას, თორემ გაზეთში გამოვაქვეყნებ, მ. სააკაშვილის მაკრიტიკებელ კაცს გვერდში რომ იყენებდიო!..***

სხვათაშორის, რა ამის პასუხია და, მე დღეს შეკითხვა მაქვს იმ შეთქმულებთან, ჩემს ნაწერებსა და ნათქვამს მყისვე მ. სააკაშვილის (და არა ქვეყნის) უშიშროებაში რომ მიარბენინებდნენ და ჩაშვების წესით მაბეზღებდნენ, პირველ რიგში, რასაკვირველია, ***"დისიდენტი" და მტერსმიმკაკუნე ნ. მგალობლიშვილისგან ველი პასუხს: - ახლა, როდესაც მ. სააკაშვილის ბოროტმოქმედული ნაქნარი საყოველთაოდ მხილებული და გასაჯაროებულია, როდესაც სახელმწიფოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი და მისი მოადგილეები, შს ყოფილი მინისტრი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსები, იუსტიციის ყოფილი მინისტრი და მისი მოადგილეები, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილი ქალბატონი მინისტრი, მთავარი პროკურორი და მისი მოადგილე, ანუ მ. სააკაშვილის მთავრობის ძალოვანი თუ სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელობა, რომელნიც წესით სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლოებებს ფლობენ და უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ გაუმჟღავნებლობას ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, რამდენადაა სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის უხიფათო ის, რომ ესენი პირწმინდად, კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევით ლაჩრულად გაიძურწნენ საზღვარგარეთ, ამას თქვენ გეკითხებით მიმკაკუნენო, ისევ "ცოდვაში, სამშობლოს ღალატსა და უღირს საქციელში" მეთვლება ის, რომ თავის დროზე მივხვდი, გავბედე და ჩემი მაღალი თანამდებობის დათმობის ფასად საზოგადოებას დროულად განვუცხადე ამ ადამიანების ბოროტმოქმედული მოღვაწეობა?!***

...და მეორეც, რამდენადაც ვიცი, გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ბანაკში აპირებთ დედაწულიანად გადაბარგებას (ისევ ჩაწყობით, რა თქმა უნდა), ჰოდა, მიპასუხეთ, - თუ გაამხელთ იქ, ბატონ ბიძინასთან, - ***მ. სააკაშვილის ანუ სახალხო ნებას მიმდევმელი ამ არამზადის სასარგებლოდ რომ მაბეზღებდით ერთი წლის კი არა, ორიოდე კვირის წინაც, ბატონებო?!***

როგორც გავიგე, ძალიან ხელჩასაჭიდი საბაბით უკუიხმეს სა - მ. სააკაშვილ-ო "თავგანწირვა" "დისიდენტმა" ნ. მგალობლიშვილმა, რ. ქარაიამ, თ. ხუბუამ, დ. გვაძაბიამ, გ. გვაზავამ, ა. წოწონავამ, რ. ცატავამ და სხვებმა, როდესაც ეს, ქვემორე ამბავი გახმაურდა: წუხელ ტელეარხმა "კავკასიამ" გაასაჯარისა (9.10.2012 წ.), თურმე, 2012 წლის ზაფხულში ქალაქის მერიას მ. სააკაშვილის, გ. უგულავასა და საერთოდ მიშნაცური "თვალსიფხიზლის" თვალწინ ზოგიერთი მაღალჩინოსნის (მათ შორის პირველი პირებისიცო) გასართობად სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ბოზებთან "სანეტაროდ" გადაურიცხავთ შესაბამისი თანხა სასტრიპტიზო (გნებავთ საბორდელო) დაწესებულებისათვის ქ. თბილისში.

***თვითმხილველები მიმტკიცებენდნენ, რომ ხაზინაში ასეთ უბოდიშო ხელისფათურს განსაკუთრებით "გაუოგნებია" ქალბატონი რ. ქარაია და "დისიდენტი" ნ. მგალობლიშვილი. არ მჯერა და, აი, რატომ: სწორედ ეს ორი რაობა გაიყლორტა სხვებზე ადრე ჩემს წინააღმდეგ გ. გვაზავას სალეღვისფოთლოდ და დღემდე თავგანწირვით უარობენ გ. გვაზავას ცხრაგზის გამოჭენებულ არამზადულ საქმიანობას.*** არა, ქალბატონო რაისა და ბატონო ნუგზარ, გ. გვაზავას მიერ სახელმწიფო ხაზინიდან თავის საფუფუნებოდ, ასევე საპირისფარეშო თუ სასარეცლო საჭიროებისთვის ფულის მოტეხვა ნაკლები საძრახობა როდი იყო და თქვენ ამას დღემდე არ აღიარებთ. მე კი გეტყვით, რომ სწორედ, მ. სააკაშვილის, უფრო სწორად ***ქალბატონ სანდრასა და გ. გვაზავას მეუღლის "გულითადობამაც" იხსნა თაღლითი გ. გვაზავა კუთვნილი სასჯელისგან. ვიცი, გიფასდებათ, რომ თქვენი გარჯაცაა ამაში!..***

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ მიშნაცური ხელისუფლების მოსვლისთანავე მათ (მიშნაცებმა) საზოგადოების დასანახად დაიწყეს თანამდებობის ცალკეულ პირთა გასაჯარისებული დაპატიმრებები. "სამართლის" ასეთ მდინარებას ვერც აფხაზეთის ა/რ-ის ხელისუფლება ასცდა. იმ ხანად ***კორუფციაში დაადანაშაულეს და დააპატიმრეს დღეისათვის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, გ. გვაზავას კორუფციული ნახირის ერთ-ერთი მესადავე რ. ცატავა, დაკითხვებზე იბარებდნენ ასევე პრეზიდიუმის წევრს დ. გვაძაბიას,*** არა მხოლოდ მას და ა. შ. ასე, რომ ის ადამიანები, რომლებიც დღეს გ. გვაზავას თაღლითურ გარემოცვაში მოქმედი ბოროტმოქმედები ბრძანდებიან, ***თვით მ. სააკაშვილის მითითებით იყვნენ თავიდანვე***

***დაპატიმრებულები.*** შემდეგ ისე მოხდა, რომ მათგან ამოსახოწ-ამოსატყავებელი ამოიღლიავეს და თავი დაანებეს კი არა, თავად დაიწყეს მათი მეშვეობით სამიშნაცო მაქინაციების წარმოება. სწორედ ამ ”ღირსების” გამო ესარჩლებოდნენ და ყველა საშუალებით ხელს აფარებდნენ მათ მიერ ორგანიზებულ ელიტარულ კორუფციას. აი, ესაა მიზეზი იმის, რომ გ. გვაზავას თაღლითური ჯგუფი ამ წუთამდე დაუსჯელი გახლავთ, თორემ, მე კი არ ვამხელ მათ მარტო: ფინანსური, მაქინაციები, რომელშიც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რიგი თანამშრომელი ან თვითონ მონაწილეობს, ან კიდევ თავისი საეჭვო დუმილით თანამონაწილეობს, ***ძალიან მძაფრად აქვს ნამხელი პრეზი-დიუმის წევრს, პროფესორ ჯ. გამახარიას (მისი საჩივრები გამოქვეყნებულია ჩემს წიგნში ”შეთქმულთა თაღლითობები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, ნაწილი მეორე, თბილისი, 2012 წ.),*** თავის წერილობით ***პროტესტებში ჯ. გამახარია გ. გვაზავას გადადგომას სთავაზობდა (2011 წ. 17 იანვარი), ხოლო გ. ბარამიასგან მოითხოვდა საკითხის სამართლებრივ შეფასებას (2011 წ. 25 იანვარი, შესვლის #61, მტკიცებულებები 27 ფურცელზე).***

რაც შეეხება ზ. ზარანდიას საჩივარს, დამისამართებულს აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარის გ. ბარამიას სახელზე (23 თებერვალი, 2011 წ. #150, დამატებით მტკიცებულებები 11 ფურცელზე), მიუხედავად იმისა, რომ იმავე ხანებში ზ. ზარანდიამ გამოაქვეყნა საგაზეთო ინტერვიუ - ”საქართველოს რესპუბლიკა”, 2011 წ. 21 მარტი), იგი, ს. თოფურიძის თითისქნევათა შესაბამისად, მიინაგვისყუთა.

ამჯერად თანმიმდევრობით გავასაჯაროსებ როგორც ზ. ზარანდიას ზემოთხსენებულ განცხადებასა და მასთან ერთად ო. ჩარკვიანის მოხენებით ბარათს (2011 წ. 23.02.#152), ასევე რიგითი დევნილის - მ. ჯაფარიძის საჩივარს, რომლის მიხედვით თქვენ გაგიადვილდებათ გასიგრძეგანება ყოველივე იმის, რაშიც ვამხელთ კიდევაც გ. გვაზავასა და მის თანამოსაქმეებს:

***

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ბარამიას

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
უფროსის ოთარ ჩარკვიანის

მოხსენებითი ბარათი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის 2009 წლის ივლისში შესყიდული ავტომანქანის შესახებ და გამომდინარე ამა წლის 14 თებერვალს და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ამა წლის 10 თებერვლის #198406 წერილში

მოყვანილ გარემოებათა თაობაზე მოგახსენებთ, რომ ჩემთვის, როგორც აპარატის უფროსისათვის და ზ. ზარანდიასათვის, როგორც აპარატის სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსისათვის, უცნობი იყო ზემოთხსენებული ავტომანქანის წარმომავლობის ისტორია, შესყიდვის პერიოდში ავტომანქანა გაფორმებული იყო მოქ. დ. ქოქაშვილზე. არც ჩემი, არც ზ. ზარანდიას სამსახურებრივ უფლება-მოვალეობებში არ შედის ავტომანქანის წარმომავლობის ისტორიის დადგენა ან მოკვლევის ჩატარება თუ რა თქმა უნდა, ავტომანქანა შესაბამისი ორგანოების მიერ კანონიერად არის გაფორმებული მფლობელის სახელზე და მისი ტექნიკური მახასიათებლები, საიდენტიფიკაციო ნომერი და ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა შეესაბამება ავტომანქანისას და მისი მფლობელის საპასპორტო მონაცემებს.

თავად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ელ. გვაზავას ავტომანქანის შესყიდვამდე და არც შემდგომ როგორც ჩემთვის, ისე, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არც ზ. ზარანდიასათვის არ უცნობებია ავტომანქანის წარმომავლობის ისტროიის შესახებ.

ასევე მინდა გაცნობოთ, რომ 2009 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ კანონით (აფხაზეთის ა/რ საკანონმდებლო მაცნე, #6, 13,04,09-ის ცვლილებები) და შესაბამისად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 22 აპრილის დადგენილებით უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტში ავტოტრანსპორტის შესაძენად გათვალისწინებულ იქნა 48 ათასი ლარი და ამ თანხის მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე, ავტომანქანების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ერთ პირთან მოლაპარაკებით.

2009 წლის აპრილში შეძენილ იქნა 2 ერთეული ავტომანქანა, რაზედაც გაიხარჯა 20900 ლარი, 2009 წლის 15 ივლისს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტში მუხლობრივი ცვლილებების შედეგად ავტომანქანის შესასყიდი თანხა გაიზარდა 3355 ლარით.

შემდგომ ამისა, ავტომანქანის წარმოდგენისთანავე მის შესაფასებლად კომპანია "აუდიტ კონსალტინგ-2008"-სთან გაფორმდა ხელშკრულება და მათ მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ავტომანქანა არის აბსოლუტურად გამართულ მდგომარეობაში. იმავე დასკვნით ავტომანქანის საბაზრო ღირებულება განსაზღვრულია 32-34 ათასი ლარის ფარგლებში. ავტომანქანა შეძენილ იქნა 32 ათას ლარად. 2009 წლის 24 ივლისს გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე და აღნიშნული თანხა გადაირიცხა დ. ქოქაშვილის პირად საბანკო ანგარიშზე.

პატივისცემით, ო. ჩარკვიანი
2011 წლის 23 თებერვალი

***

სწორია, არ გეჩვენებათ, ო. ჩარკვიანი ამჯერად ისე გააფთრებით არა, როგორც 2010 წლის 16 სექტემბრის განცხადებაში (რომელიც დამისამართებული იყო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისადმი, იხ. *"შეთქმულთა თაღლითობანი..."* მეორე წიგნი) - მთლად მკაფიოდ არ ასაჯარისებს გ. გვაზავასადმი მიმისამართებულ ადრინდელ ბრალდებებს, მაგრამ თავშეკავებით

ადასტურებს, რომ თავმჯდომარემ კანონს თავხედურად გადააბიჯა, რაც გამოიხატა საბუთების გაყალბებაში, ანუ კვლავ ითაღლითა. თავის მხრივ ო. ჩარკვიანის გასწვრივ ზ. ზარანდიაც მოთქმით ეძებდა შველას, რომელიც დღემდე არ ეღირსა.

***

აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს
ბ-ნ გიორგი ბარამიას

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატის
სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის
დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ზურაბ ზარანდიას

განცხადება

თქვენთვის კარგად არის ცნობილი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის და სხვათა მიმართ ჩემს მიერ წერილობით წაყენებული კონკრეტული ბრალდებების შესახებ, რომლებიც *ფინანსურ დარღვევებს შეეხება.* სამწუხაროდ, უმაღლესი საბჭოს წევრებს, რომელთა სახელზე დაიწერა ჩემი განცხადებები, აგრეთვე უმაღლეს საბჭოში 2010 წ. ოქტომბრიდან 2011 წ. იანვრამდე მომუშავე აფხაზეთის კონტროლის პალატის აუდიტთა ჯგუფის ხელმძღვანელის გ. გვალიას, რომელსაც სიტყვიერად არაერთხელ მოვახსენე არსებულ კანონდარღვევათა შესახებ, ადექვატური რეაგირება მათზე არ მოუხდენიათ. უფრო მეტიც, *აფხაზეთის კონტროლის პალატა ყველაფერს აკეთებდა არა ნაკლოვანებათა გამოსავლენად, არამედ ე. გვაზავას სასარგებლოდ მათ დასაფარავად. ამაში საბოლოოდ მაშინ დავრწმუნდი, როდესაც გავეცანი კონტროლის პალატის აუდიტის პირველად აქტს, რომელსაც ე. გვაზავა რამოდენიმე დღე მალავდა. ამ აქტის მიხედვით, ე. გვაზავას მიერ ჩადენილ თაღლითობებში მე ვიყავი დადანაშაულებული.* მაშინ გადავწყვიტე უმაღლეს საბჭოში შემოტანილი ყველა განცხადება აფხაზეთის კონტროლის პალატაში შემეტანა, რაც გავაკეთე კიდევაც ა/წ 4 თებერვალს დილის 10-30 საათზე. რატომღაც იმავე დღესვე აფხაზეთის კონტროლის პალატამ საჩქაროდ უმაღლეს საბჭოში გამოაგზავნა აუდიტის აქტის საბოლოო ვარიანტი ისე, რომ არც კი განუხილავს და არ გაუთვალასწინებია წინადღით (3 თებერვალს) უმაღლესი საბჭოდან მიღებული შენიშვნები. ჩვენი ინფორმაციით ეს გაკეთდა ე. გვაზავასა და ნ. ქაშიბაძის შეთანხმებით და იმ ერთად ერთი მიზნით, რომ ჩემს მიერ კონტროლის პალატაში შეტანილ განცხადებებში დაფიქსირებული ე. გვაზავას მიერ ჩადენილი კანონდარღვევები არ ასახულიყო აუდიტის საბოლოო აქტში, იმ მოტივით, რომ ისინი ვითომ დაგვიანებით (საბოლოო აქტის შედგენის შემდეგ) იქნა მიღებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აფხაზეთის კონტროლის პალატის პირველად და საბოლოო აქტს შორის არავითარი განსხვავება არ არის. *საბოლოო აქტის მიხედვითაც ე. გვაზავას მიერ ჩადენილი კანონდარღვევები მთლიანად მე და აპარატის სხვა წევრებს ბრალდებათ. ამასთანავე, ხაზგასმით ვამბობ,* რომ ვგრძნობ ჩვენს წილ პასუხისმგებლობასაც.

*ა/წლის 15 თებერვალს ჩვენთვის ცნობილი გახდა ახალი გარემოებები ავტომანქანის შესყიდვისას ჩადენილი თაღლითობის შესახებ. ე. გვაზავას იგი ოჯახის წევრის, ძმისგან ამირან გვაზავასგან (მეუღლე ანდრია) შეუძენია და ამ დროს*

*კონტროლის პალატასთან ერთად ჩვენ გვადანაშაულებს ავტომანქანის შესყიდვაში (?!). ამ ახალი გარემოების შესახებ უკვე ვაცნობე უმაღლესი საბჭოს წევრებს, აგრეთვე აფხაზეთის კონტროლის პალატას, სადაც დიდი ძალისხმევა დამჭირდა ე. გვაზავას მამხილებელი განცხადებისა და დოკუმენტების დასარეგისტრირებლად, რაშიც გ. გვალია ხელს მიშლიდა.*

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები ე. გვაზავას მიერ ჩადენილ კანონდარღვევებზე მიუთითებენ, მაგრამ დავისაჯე მხოლოდ მე. ე. გვაზავას განკარგულებით სამსახურიდან გამანთავისუფლეს კონტროლის პალატის აქტისა და ჩემი განცხადებების განხილვამდე. უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ სამსახურში ჩემი აღდგენის თაობაზე ერთხმად მიღებული რეკომენდაციის შემდეგ ე. გვაზავამ მხოლოდ თარიღი და მოტივაცია შეუცვალა თავის განკარგულებას, რომელსაც ხელი მოაწერა 17 თებერვალს. გაუგებარია უმაღლესმა საბჭომ, რომელიც ახლა ქმნის დროებით კომისიას, ჩემს გარეშე როგორ უნდა შეისწავლოს განცხადებებში ჩვენს მიერვე მოტანილი ფაქტები, *რომლებსაც შეუძლია მთლიანად შეცვალონ კონტროლის პალატის შეფასებები.*

აშკარაა, რომ გავხდი ე. გვაზავას უკანონობისა და მასთან შეთანხმებებით მოქმედი აფხაზეთის კონტროლის პალატის (ნ. ქაშიბაძე, გ. გვალია), რბილად რომ ვთქვათ, უპრინციპობის, ტენდენციურობის მსხვერპლი.

ბატონო გიორგი, გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები, რათა დადგინდეს სიმართლე და ბოლო მოეღოს უკანონობას.თან ერთვის:

1. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრების სახელზე 2011 წლის 15 თებერვალს შეტანილი ჩემი განცხადება (2 ფურცელი).

2. ცნობები ე. გვაზავას ავტომანქანის ისტორიის შესახებ (92 ფურცელი).

3. აპარატის უფროსის ო. ჩარკვიანის განცხადება პრეზიდიუმის წევრების სახელზე (4 ფურცელი).

4. მედეა ჯაფარიძის განცხადება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე (1 ფურცელზე).

პატივისცემით ზ. ზარანდია

21.02.2011

***

წინამდებარე განცხადებას თანდართული მასალები გამოქვეყნებულია ამ ციკლის მეორე წიგნში, ამიტომ მათი ხელმეორედ გამოქვეყნების აუცილებლობა არაა, რაც შეეხება მედეა ჯაფარიძის საჩივარს, ის ახლახან მომიმისამართეს და რადგან საკმაო სიზუსტით ასახავს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არასახალხოობას - აქვე ვბეჭდავ თქვენთვის:

***

აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ გ. ბარამიას
ასლი: - აფხაზეთის ა/რ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს
მედეა ჯაფარიძის - აფხაზეთიდან დევნილი უსახლკაროს

განცხადება

ბოლო იმედს ვაქსოვ ამ განცხადებაში, მე უსახლკარო ქალს და ჩემ მეგობრებს *გვატყუებენ აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში, სადაც* დაგვაწერინეს განცხადებები და ა. წოწონავა დაგვპირდა საქმის განხილვას, გავიდა ერთი თვე და ჯერ ჩვენი საქმე არავის განუხილავს. *გვიპასუხეს, დეპუტატები შვებულებაში არიანო!..*

*რა დროს შვებულებაა, როცა ამდენი ხალხი ღია ცის ქვეშ, ქუჩაში ვყრივართ.* უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გ. გვაზავა არც კი შეგვხვდა. მისი დეპუტატები თავის ჭკუაზე არიან, მაგალითად გულრიფშელი დეპუტატი *ოლგა ნაგარნინა 7 თვეზე მეტია ხან ხარკოვში, ხანაც კიევში და მოსკოვში ატარებს დროს*. ვინ დამაჯერებს, რომ ის *რუსების სპეცსამსახურებთან არ მუშაობს.* როგორც ამბობენ ხელფასი ყოველთვის ეწერება თურმე, იმასაც ამბობენ, რომ მას ხელფასი გ. გვაზავას პირადი მითითებით არ უკავდება. ეს არის სამართალი, ჩვენ შიმშილით ვკვდებით, ო. ნაგარნინა კი უზრუნველყოფილია.

გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ ჩვენს დეპუტატებთან, რათა ისინი ამომრჩევლების გვერდით დადგნენ.

მ. ჯაფარიძე
21.02.2010 წ.

***

როგორც ხედავთ, საზოგადოებრივი ნდობა გ. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეებისადმი ხალხში არაა, მაგრამ აქ ყველაზე ნიშანდობლივი სხვა რამაა, გ. ბარამიამ, რომელმაც, როგორც მოგახსენეთ, დღეს საზღვარგარეთ გაქცეული მტარვალის - ს. თოფურიძის თითისქნევათა წყალობით, გ. გვაზავასთან შერკინება თავისი ორპირობის გამოც წააგო, ***მაშინ გაუმართლებლად მიაფუჩეჩა აშკარად ათავზარებული ბოროტმოქმედებები და არც გადაიკითხა ეს საჩივრები.*** ის არსებულ თვალსაწიერში უკვე არ იგულისხმება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარედ და ვითარების მოხალისე ხელისბიჭია მხოლოდ. ამრიგად თვით შემოფეთებული ასეთი სიცხადე და არა ჩემი ახირება, ისევ და ისევ, მერამდენედ და დაბეჯითებით უსვამს გ. გვაზავას, ა. წოწონავას, განსაკუთრებით მ. სააკაშვილისთვის "გამაკეთილშობებელ ზეწრად" გადასაფარებელი საჩივრით თავაწყვეტილ რ. ქარაიას, "დისიდენტ" ნ. მგალობლიშვილსა და "კომპანიას" პასუხგასაცემ კითხვას: ***ამ უბედურებას 2012 წლის 20 სექტემბერს თვითონ პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა საჯაროდ დაარქვა სისტემური მარცხი ანუ უფრო ყოვლისმომცველ პარტახად მიიჩნია ის ჩასვრილობა, რომელიც მან პირადად ქართველთა სამშობლოს დააზირთა ასე თანმიმდევრულად და რის გამობანასაც ამათ საწმერთულ-***

***თა ქვეშიდან საალმაფრენო შთაგონებით ცდილობდა წინამდებარე ქალბატონი მას შეფიცულ ანახირებასთან ერთად.*** დიახ, სისტემური მარცხიაო, განაცხადა თვით ჟამთაბერისგან დაწიხლულმა მ. სააკაშვილმა. თქვენ რას ემახით ამ ქარბორიასა და ცოდვისკითხვას, ანუ ერის შუბლზე მიმიზნებულ ლულას, - დიახ, თქვენ გეკითხებით და მიპასუხეთ, გარეწრად თავდადგენილო ხროვავ დღეს!

***

მოვლენათა ელვისებური ჯერმონაცვლეობა საოცარი გულმოდგინებით ანიშანსვეტებს ჩემს სიმართლეს მ. სააკაშვილის საქმეთა არასახალხოობის მხილებისას, ამიტომ, დიახ, დიახ, მხოლოდ ამიტომ, იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემი პოლიტიკური მრწამსის გამო ჯერჯერობით მხოლოდ სამსახურიდან ჩემს დათხოვნას დასჯერდნენ და რომელთა ბეზღობის საფუძველზე მე საგლდანისციხოდ გამეტებული, მხოლოდ უფლის ნებით გადავრჩი ბეწვზე, გასაგებია, ისევ და ისევ თუ ვუბრუნდები ამ საკითხს, თუმცა არა ნიშნისმომგები თითისქნევა, არამედ მოყვასის თანშემსწრეობა მავალებს კიდევ და კიდევ ხმამაღლა დავეკითხო რაისა ქარაიასა და ნუგზარ მგალობლიშვილის ჯაშუშურ ”თვალფხიზლობას” (რომლითაც ისინი წამგაუცდენლად მაბეზღებდნენ მ. სააკაშვილის საბოროტმგეშო ძრავებთან), - დიახ, ***დაბეჯითებით მოვითხოვ პასუხს: დღეს, როდესაც თვით ნინო ბურჯანაძე, რომელიც ე. წ. ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი ნაცადი მესადავე გახლდათ თავის დროზე, სამართლიანად და დაუფარავად აცხადებს (2012 წ. 12 ოქტომბერი, საზოგადოებრივი მაუწყებლობის მეორე არხი), რომ ”მ. სააკაშვილის სახით ხელისუფლებაში იყო ძალადობა, რომლის მსოფლმხედველობა იდგა ყოველივე იმის გათელვაზე, რაც ჩვენი ხალხისა და სამშობლოს უწმინდეს ღირებულებას წარმოადგენს”, ბუნებრივია, მაინტერესებს თქვენი გულწრფელობის ხარისხი და დამიდასტურებთ თუ არა ამჯერადაც, რომ მ. სააკაშვილის მხილება ჩემს წიგნებში, რომელიც მე, ჯერ კიდევ 1999 წლიდან დავიწყე, მართლა გჯერათ, რომ აზიანებდა ქართველი ერის უსაფრთხოების ბჭისკარს?!***

დიახ, იმ მ. სააკაშვილის შესახებ გეკითხებით ქალბატონო რაისა, ვიღაცისთვის მეუღლევ, დედავ და ბებიავ და ბატონო ნუგზარ - ”დისიდანტად” გათვითმარქვიებულო კაცო, - რომლის საპატიმროთა მიზნობრივად საწამებელ ოთახებში, როგორც ამბობენ და ქვეყნდება კიდეც, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე შესაბამისი შუშით საგანგებოდ მოწყობილი სათვალთვალოდან ***ერთდროულად პატიმრის გაუპატიურებასაც უყურებდა, მათ ცადაწვდენილ ბღავილსაც ისმენდა და თან მის მიერ მუშტრის თვალით შერჩეულ ასირონებებს იქვე***

***უშიშვლებდა აჭაკებულ ბაყვებს, რომელიც მისთვის აქვე მოთადარიგებულ ძვირფას, მაგრამ არაწმინდა სარეცელში ასევე ცადაწვდენილი სახვნეშარ-საკრუტუნო შორისდებულებით წერტილდებოდა. იმასაც ამბობენ, რომ ამ წამებათა ჩანაწერების ყურება თვით პრეზიდენტის ანუ მ. სააკაშვილის სასარეცლო თავაწყვეტების საშესავლო თავგართობა გახლდათ, რომელიც მისი ავადმყოფური ხმაბოდვების ცვედნურ თავმოუბმელობებს ამ საშინელებებთან ცნობიერი მიერთსხეულებით "ასალდკლდევებდა". ქალბატონო რაისა და ბატონო ნუგზარ, აი, რას "ამარადისებდით" თქვენ!***

ასეთი დაკვეთების აღსრულება არა მხოლოდ ხ. კალმახელიძისა თუ ძმათა ახალაიათა სასამსახურო გაპიროვნება გახლდათ, არამედ, როგორც ირკვევა, ***ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის სასაძირკვლო ლოდები შედუღაბებული იყო სწორედ ასე გაუკულმართებული გასქესებიდან გადმონადენი საავხორცო*** დორბლით, რომელიც მოაზრეშუმებული კი იყო ჩიორა თაქთაქიშვილის, ხათუნა კალმახელიძის, ვერა ქობალიასა და დათა მათთა აგოგმანებებით, მაგრამ ამის მიღმა ეშმაკის დაკვეთა სრულდებოდა.

ქალბატონო რაისა და "დისიდენტო" ნუგზარ, თაღლით გ. გვაზავას დავალებით ჩემზე საბეზღებელი თუ დასასმენი საჩივრების დამწერებო და ამ დასმენებზე მომდაღაზებელთა შემგროვებლებო, აქვე, სხვა რამეც მინდა გკითხოთ, როგორ ასრულებდით იმ ჯალათ ს. თოფურიძის საქმეს, რომელიც საგანგებო ტელეეკრანებიდან კინომსახიობივით "ნაფაზ-ნაფაზ" აცხადებდა ჩვენს მოქალაქეთა გაუბედურებებს და ყველაფრიდან იგრძნობოდა, რომ ამ დროს ***ისიც გულისწორს ჩახვეულივით მასში ჩასაჭურისებული კაცობის აყენებას ცდილობდა ამაოდ?!. უფრო მეტიც, როგორც ამბობენ, მაშინ ის მკვლელი შვილის მამაც ყოფილა და ეს შვილი საპატიმროდან პირდაპირ აშშ-ს უსაფრთხო საზღვრებს მიღმა გაუხიზნავს.***

ჩემმა სიძულვილმა სავსებით ნებაყოფლობით, აი, რის ჯაშუშად დაგადგინათ დროსა და სივრცეში. ღირდა ამად?!. ცუდი მოკავშირეა სიძულვილი, სულის წაწყმედისკენ მიჰყავს ადამიანი!.. თქვენი საზრუნავია, ათქმევინებთ თუ არა თქვენს მოდგმას, ეს რა ვერ გასარეცხი ლაფი გადმოგვასხითო თავზე!..

დიახ, ასეა ეს, ამ დღეებში ის, რაზეც მე ვაფრთხილებდი მ. სააკაშვილს, საკუთარმა დედამ და შვილმაც უთხრა, თურმე, მას და ურჩია, ხალხს ყელში ამოუხვედი და გადადექიო!.. მართალია, ეს, პირველს ხელის მოტეხვად, მეორეს კი წიხლის ჩაზელად დაუჯდა, როგორც ამბობენ, მაგრამ აქ მთავარი სხვა რამაა, მ. სააკაშვილს ახლა საკუთარ ჭერქვეშაც ეუბნებიან იმას, რასაც მე ადრე კეთილმოსურნედ ვურჩევდი, ხოლო მოხალისე რაისა და "დისიდენტი" ნუგზარი მჯაშუშობდნენ. - ახლა რას ფიქრობთ, დღეს?! ემზადებით თუ არა ქენჯნის პერანგის მოსაცმელად?! მკაფიოდ უნდა თქვათ ეს, არა მხოლოდ ჩემი, თქვენგან ზურგში

მახვილჩაცემულის, არამედ, ასევე თქვენგან თვალებში ნაცარ მიყრილი საქართველოს წინაშე!

***

ძალიან მინდოდა თავი შემეკავებინა და დღემდე ვახერხებდი კიდეც ამას, მაგრამ გულმოცემულებმა იმით, რომ ა. წოწონავას საქაღალდეში თავმოყრილ მასალებს არ ვასაჯაროსებდი, ასევე, გარკვეული მოსაზრებით არ ვაქვეყნებდი დევნილთა მოწოდებულ სამხილებს, ამათ იფიქრეს, რაკიღა ამდენი მხარდაჭერა გვაქვს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, პარლამენტიდან, მთავარი პროკურატურიდან, გენერალური ინსპექციიდან, კონტროლის პალატიდან და ა. შ. ამიტომ და ვინაიდან, როგორც ზემოთ გითხარით, სინამდვილეში, ასეთი მაღალი "სამართალდამცავი სახელმწიფო სამსახურები" აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მობუნაგე თაღლითებთან ერთად ჩემს მოწინააღმდეგე დაინტერესებულ მხარედ იქცნენ, გადაწყვიტეს, მოდი, ახლაა დროო და სერგი საჯაიას გადავუაროთ, სულაც გიჟად გამოვაცხადოთო...

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ის ფეხაწყობა, რომელიც მე ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დამიპირისპირდა, თქვენ თავად განსაჯეთ თუ რამდენადაა საააფხაზეთოდ ხელგარჯილი, როდესაც ქვემოთ მოყვანილ სამხილებს წაიკითხავთ, კიდევ ერთხელ, დაბეჯითებით მოგახსენებთ, - მხოლოდ ამიტომ გიქვეყნებთ მათ და არა თვალსასეიროდ.

როგორც წინა წიგნებშიც გეუბნებოდით, *ა. წოწონავას - საბჭოთა მილიციის პოლკოვნიკს, ანუ, აქედან გამომდინარე, უშიშროების ყოფილ გამობრძმედილ კადრს, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საზოგადოებრიობისათვის მიზანშეუწონელ და შეუფერებელ კაცად მიაჩნდა გ. გვაზავა* და ამაში, ალალად რომ ვთქვათ, მართალიცაა (სხვა საკითხია თუ თვითონ რამდენადაა ღირსეული). ეს გახლავთ იმ დროის ამბავი (2010 წლის ზაფხული), როდესაც ა. წოწონავა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სავარძლისათვის ქმედითად იჭერდა თადარიგს. პირველ რიგში კი, ეს, ასევე არაერთგზის მაქვს ნათქვამი, დეპუტატებზე საზემოქმედოდ, მათ შესახებ სხვადასხვა საძრახობას (კომპრომატს) აგროვებდა, ისიც უნდა ვთქვა, რომ, როგორც მე მეჩვენებოდა, რაღაც გრძლიობაში (რეგლამენტში) საკმაოდ გულახდილად განიხილავდა კიდეც ამ საკითხებს ჩემთან (მედიასთან საურთიერთოდ ჩემს თანადგომას აკოწიწებდა მისი ჭკუით). მე ასეთივე გულახდილობით ვუთხარი, რომ ის ვერ მოაგროვებდა თავმჯდომარეობისთვის საჭირო ხმებს.

მაშინ მან საგანგებოდ გამიხარაჩოა სამოქმედო გეგმა. კერძოდ, უნდა გამოყენებულიყო და ფართოდ გასაჯაროსებულიყო იმხანად გ. გვაზავასა და ზ. ზარანდიას (მომარაგების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს) შორის მომხდარი კონფლიქტი, რომელმაც საყოველთაოდ გამოაჭენა თავმჯდო

მარის კორუფციული საქმიანობები.

ერთხელ, მორიგი საუბრის დროს, რომლითაც, გიმეორებთ, ის ჩემს მხარში ამოყენებას ცდილობდა ამ საქმეში, მან გადმოალაგა გ. გვაზავას საქმიანობის ქუჩისფსკერული ხასიათი ჯერ კიდევ სოხუმის სამედიცინო სასწავლებელსა და უნივერსიტეტში, - გაქანებული მექრთამე იყოო, ამტკიცებდა. ნ. მესხიამ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ, ამჟამად დეპუტატმა) თავის წიგნში ბოლომდე არ თქვა ეს, რომ ემხილებინა, მაშინ ხალხი გაიგებდა, რომ არა მხოლოდ ომის ერთ-ერთი გამჩაღებელია და ამით რუსების საქმე გააკეთა, არამედ, სისხლისღვრის დროს დიდძალი ფულიც მოხვეტაო (რაც შეეხება ბატონ ნ. მესხიას, იგი თავის გახმაურებულ წიგნს ჯერ კიდევ ხელნაწერებში აკითხებდა ა. წოწონავას, რადგან იმ დონეზე ემლიქვნელებოდა, კაცი ეგონა). საერთოდო, ამბობდა ა. წოწონავა, გ. გვაზავას მამაც და დედაც ამ მხრივ "საოზეხეესო" დანაშაულობებით გამოირჩეოდნენო. არ მახსოვს ზუსტად, რომელი წელი იყო, მაგრამ მაშინ გახმაურდაო დედამისის ამბავი (გ. გვაზავას დედაზეა საუბარი) თუ რა ყოვლისმკადრებელი ბაცაცაა ეს ქალი, ამის შესახებ თამაზ ჩოჩიას ჰკითხეო. იგი ქ. ***სოხუმში საბავშვო ბაღის გამგე ყოფილა და ბავშვების სურსათ-სანოვაგე თუ სხვა ქონება დიდი ოდენობით გაუნიავებია, რისთვისაც მის წინააღმდეგ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე.*** მაშინ ამ ქალბატონს, ა. წოწონავას თქმით, უშველა იმან, რომ ის მილიციის "ნასედკა" ("კაკუნა") ყოფილა და ასევე საქალო მომსახურებას უწევდაო ამ მხრივ ვნება მოძალებულ მილიციელებს. ყველაზე მხსნელ ზურგის ქარად კი გ. გვაზავას დედას მაშინ, უცილობელი დაპატიმრების წინ, მოევლინა საქართველოს კპ სოხუმის ქალაქკომის მაღალი თანამდებობის პირი მ. გ. (ეს თ. ჩოჩიას - იმხანად სოხუმში ცნობილ კომპარტიელს შეუხსენებია ა. წოწონავასთვის. სხვათაშორის მაქვს არც თუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ თ. ჩოჩია ეხმარებოდა მას საშეთქმულებო ცრუმოძრაობათა დაქსელვაში). ამ ყოვლისშემძლე მ. გ.-ს ამნაირი ძნელად მოსაგვარებელი საქმე მისი ფართო გავლენის წყალობით აუცილებია გვაზავებისთვის. ამრიგად, მე არაფერს ვიჩემებ, მაგრამ თუ ა. წოწონავა მართალს ამბობს, მაშინ, როგორც ირკვევა, სახალხო დოვლათის მპარაობა მათ ჭერქვეშ რჯულისკანონი ყოფილა, რასაც ა. წოწონავას მტკიცებით, ***ადასტურებდა კიდეც გ. გვაზავას ხელმრუდობა კი არა მარტო, მისი დედის ხელუსუფთაობაც.*** ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ქალბატონის ქალურ ფათერაკებზე მე გ. გვაზვასთან დაახლოებული სხვა დეპუტატისგანაც მომისმენია (ის კაცი, რომელიც ახლოს იცნობს გვაზავების დოხორესა თუ ჭერქვეშეთს, სიმთვრალის დროს ძალიან მიმზიდველად ყვებოდა ამ ქალბატონის საგულისსწორო თავგართობებზე. ამჯერად არ ვამბობ მის ვინაობას იმიტომ, რომ მძიმედაა ავად). რაც შეეხება იმ მაღალჩინოსანს,

რომელმაც საპატიმროდან იხსნა იგი, მას მთელი სოხუმი იცნობს, ჯერჯე-რობით არ ვასაჯაროებ მის სახელსაც. თვითონ ანზორმა გააცხადოს.

ეს მასალები, 2010 წელს, მიუხედავად ა. წოწონავას დაჟინებული მოთხოვნისა, ქართულ მედიას არ მოვაწოდე და ეს გავაკეთე მარტო იმიტომ, - არ მეგონა ამ დონის ნაძირლები თუ იყვნენ. დღეს გამოვაქვეყნე და უფალი ხედავს, მხოლოდ იმისათვის, რომ იცოდეთ 1. რა ვინაობიდან მოდის გ. გვაზავა; 2. რამდენად შეიძლება ა. წოწონავას ნდობა, სანამდეა იგი გამტანი და 3. აფხაზეთის საზოგადოებრიობამ საფუძვლიანად უნდა გაისიგრძეგანოს ამ ადამიანების ქვეშქვეშური, უღირსებო და ყოვლისმკადრებლობითი ხასიათი.

ასეა თუ ისე, დღეს გ. გვაზავას ბოროტმოქმედული საქმიანობა ისე ჩაიფარცხა, როგორც დედამისის სულწაწყმედა მაშინ, მასთან თანამეხელკავე მილიციური თუ კომპარტიული ნომენკლატურის ხელშეწ-ყობით.

თავის მხრივ ა. წოწონავა, როგორც იმპერიათა უშიშროების კადრი და დღემდე ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მათი დასაყრდენი, სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ დევნილი მოსახლეობის სატკივრით არ ცხოვრობს კი არა, პირიქით, ხელს უშლის წინ გადასადგმელ ნაბიჯებს. ასე მაგალითად, როგორც გ. ბარამიას მთავრობის დერეფნებში ირწმუნებიან, საბჭოთა უშიშროების პოლკოვნიკი ა. წოწონავა 2011 წლის ზამთარში აფხაზეთიდან თბილისში გამოქცეულ აფსუა მოსახლეობაში ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმიანობის ათოხარიკებას ამაოდ, მაგრამ მაინც ცდილობდა, რითაც, ვითომცდა, მისი ჭკუით, გ. ბარამიას გარემოცვას დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) სახელს გაუტეხდა და ამით მის ქმედუნარიანობას გააუვნებელყოფდა. უფრო დაწვრილებითი საუბარი ამგვარ საკითხებზე ქვეყნის უშიშროების დონეზე უნდა ხდებოდეს, ამიტომ აქ დავსვათ წერტილი.

დიახ, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, ა. წოწონავა გახლდათ მილიციურ გააბლაბუდებებში ერთ-ერთი გამჭრიახად გზაგამგნები და მოწინააღმდეგის გამხაფანგებელი ნაძირალა. მას განსაკუთრებით არ მოსწონდა ჩემი სასამსახურო დამოკიდებულების ანგარიშვალდებულე-ბითი ხასიათი თ. ხუბუასთან, როგორც ამას დებულება ითვალისწინებდა. ამის გამო ხშირად მეუბნებოდა განჩებს. ვუხსნიდი, რომ თამაზი კურირებდა ჩემს დეპარტამენტზე გაპიროვნებულ მოვალეობებს, მაგრამ ამას ამგვარად არ ადასტურებდა თვითონ, თავისი თავი მიაჩნდა თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და უნდოდა მე, მედიასთან ჩემი მიბმულობის გამო, მის სასამსახურო განკარგულებაში ვყოფილიყავი.

ამ საკითხის გარშემო დავისას გამანდო, რომ თამაზთან ერთად სადღაც სანადიმოდ შესულს ერთ-ერთი გალელი პარტიზანი შეჰკითხვია, კარგად იცნობო თ. ხუბუას?!

-მეტ-ნაკლებადო, უპასუხნია ანზორს.

- მაშინ, ამ პირველი შემთხვევისთვის გაპატიებ, მაგრამ თუ მეორედ დაგინახე მასთან, ვიფიქრებ, რომ შენ ამ მეტრაკესთან სარეცელს იყოფო, ჩვენ, გალელები მას ასეთად ვიცნობთო!..

მართალია, ა. წოწონავა და თ. ხუბუა დღეს ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩემს საწინააღმდეგო ცილისწამებებზე აწერენ ხელს, მაგრამ იმავე საქაღალდეში ა. წოწონავას აღნუსხული აქვს სხვა ზეპირსიტყვიერებანიც თ. ხუბუაზე და ასე გამოჭენებული სხვადასხვა ჭორ-მართალი მისი სასარეცლო მდგომარეობის შესახებ.

საქმე ისაა, რომ ა. წოწონავა საზოგადოებაში გულმოდგინედ აგროვებდა დადასტურებებს თავის დროზე აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში გახმაურებულ ამბავზე, რომლის მიხედვით იმ დროს საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველი მდივანი შოთა შარანგია თ. ხუბუას მეუღლესთან, ქალბატონ დალილა ხორავასთან სასარეცლო განმარტოებისას გარდაცვლილა. ეს მომხდარა გალური ზღვისპირის რომელიღაც აგარაკზე. ყოველ შემთხვევაში, ა. წოწონავა ასე ირწმუნებოდა.

ა. წოწონავას მტკიცებით, მას, იყო რა შს გულრიფშის რაისამმართველოს უფროსი, არაერთხელ შეუწყვია ხელი გალის რაიკომის პირველი მდივნისთვის თავის გულისწორთან განსამარტოებლად, როგორც გულრიფშის, ასევე სოხუმსა და სოხუმის რაიონებში. აქვე გაიხსენა, რომ აწგანსვენებული შ. შარანგიას მამას, რომელიც სოხუმში, კელასურთან, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის ზემოთ ცხოვრობდა, მისთვის უთქვამს: *"აი, ეს შველი ჩემმა შოთამ მომიყვანა, ჯერ კიდევ ნუკრი იყო და მის სახსოვრად დამრჩა, ამიტომ ვუვლი, დალილამ დამღუპა, მას დააკვდაო ჩემი შვილი".* ა. წოწონავამ მეტი დამაჯერებლობისთვის ისიც გაიხსენა, რომ მას ამ შველისთვის ხანდახან საგანგებოდ ჩამოჰქონდა მთის ბალახი და თივა კოდორის ხეობის მაღალმთიანი სოფლებიდან (როდესაც ამას ვწერ, ვისიგრძეგანებ იმას, თუ რას მოიმოქმედებს თავმოყვარე და ღირსებაში მყოფი კაცი, როდესაც ვითარებას ასე დაუფარავად გაუმკაფიოებენ, მაგრამ მე თ. ხუბუას ა. წოწონავას ამგვარ საუბრებზე ორ წელზე მეტია, ვეუბნები და თან, როგორც არაერთგზის ხმამაღლა განვაცხადე, საკუთარი შეუგინებლობის დასაცავად თანამოსანგრეობაც აღვუთქვი მაშინ. მან კი ხელი აინუშშიც ჩაუგდებლად გაიქნია - ილაპარაკონო!..

...და მაინც, თუ თ. ხუბუა ამჯერად ისე აღშფოთდა, რომ ქალაჩუნურად კი არა, კაცურად დაავლო თოფს ხელი ჩემს დასამიზნებლად, მართალია, ეს სწორი არ იქნება, რადგან მისი

შეუგინებლობების გამლანძღავი და "დაუკრეფავის" გამხმაურებელი ა. წოწონავა გვერდში უზის დღესაც, მაგრამ, ამის მიუხედავად, მე კმაყოფილი დავრჩები, რადგან ჩავთვლი, რომ მასში ღირსება აჯანყდა და ზნეობაში აღორძინება მოინდომა).

თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ა. წოწონავა იმას, - რანაირ ნაბიჯებს გადავდგამდი მის გვერდით მე, ამაზე მიუთითებს ისიც, რომ მან გ. გვაზავასა და ზ. ზარანდიას წაჩხუბება იმწამსვე მაცნობა. ამ დროს მე სურამში ვატარებდი შვებულებას, ა. წოწონავამ დამირეკა და სასწრაფოდ ჩამოსვლა მთხოვა, რაზეც მე ფეხი ავითრიე.

მეორე დილით, უფრო სწორად, განთიადზე, ასე, 7 საათზე მომაკითხა მანქანით და თვითონ წამომიყვანა. გზაში დაწვრილებით ამიხსნა საქმის ვითარების მისეული ხედვა და ის მასალაც გამაცნო, რომელთა საფუძველზე იგი მოახერხებდა მოწინააღმდეგეთა კუთხეში მიმწყვდევას და თავმჯდომარის სავარძლის დაუფლებას.

მისი ჭკუით გარიგებაში მითრევდა. მე დრო ვითხოვე საქმის გასაცნობად. ორიოდე დღეში, ყოველგვარი გულითადობის გარეშე, სახაზინო წესით ვაუწყე, რომ საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტმანეტი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, მოვალე გახლდათ არა უწყებრივი ინტრიგებით დასაქმებულიყო, არამედ, მას უნდა ემუშავა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაზე. აი, აქედან დაიწყო ჩვენი "მხურვალე ძმობის" გაცივება.

საერთოდ, ა. წოწონავასთვის სიწმინდე, როგორც საურთიერთო ღირებულება, ამ ცისქვეშეთში არ არსებობს. გახსოვთ სულხან-საბას კუ და მორიელი, - ამ მგესლავისა არ იყოს, დაშხამვა მისი ჯიშისმიერებაა: ხომ ასე ეპირფერება დ. გვაძაბიას, თავის ჩემს საწინააღმდეგო ნაჯღაბნშიც კინაღამ სახლიკაცად მოიხსენია, სულ ახლახან (2012 წ. აგვისტო), ერთი საჩინო სოხუმელის გასვენებაზე, კაი გვარიანად შემოელანძღა დავითი:

*- ხარბი, უძღომელი და წინგაუხედავი კაციაო იგი. ზ. ზარანდიას როგორ შეადგენინაო აქტი სახელმწიფოსათვის ფულის მოტეხვაზე, ანდა ნათესავთან საბინაო დავა როგორ ვერ მოაგვარა ამხელა კაცმა, კონფლიქტი გაზეთის ფურცლებზე რატომ გამოაქვეყნებინაო, - ერთ ქალიშვილს მისი ჩარევის გამო ოჯახი დაენგრა ამ ხუთი წლის წინ, საბედნიეროდ, მეორე გოგო კარგ ბედში მოხვდა, მაგრამ მისმა ღორმუცელობამ აქაც გააფუჭაო საქმე: გოგო, რომლის ყოფილი ქმარი უშიშროების მაღალჩინოსანია, დაანამუსა, ვანო მერაბიშვილი (მაშინ ამ დარგის მინისტრი იყო), რომ გესტუმრებათ, დამირეკეთ ჩუმად და შენს ძმასთან ერთად გესტუმრებით, საქმეს სჭირდებაო. ასეც მოხდა, მაგრამ უშიშროებაში გამობრძმედილ სიძეს რას გამოაპარებდა, მან იეჭვა ეს "შემთხვევითი სტუმრობა", რომელიც გათვალისწინებული არ ჰქონდა და სატელეფონო ზარები შეამოწმა. მოკლედ, ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სიყვარულს ჭერი ჩამოენგრა ამის გამო...*

საქმე ისაა, რომ ა. წოწონავა ამას თანაგრძნობით კი არ ყვებოდა, ჩასაფრებული ავმოსურნის ნიშნისმოგებით აოთხივკუთხებდა.

სხვათაშორის დ. გვაძაბიას ვაჟი - დავითი ამჯერად აფხაზეთის მთავრობის სათავმჯდომარეოდ ემზადება.

კი ბატონო, სწორია, მამათა ლაჩრობაზე, მათ მიერ ერისა და ქვეყნის ღალატით აკიდებულ ცოდვაზე პასუხი არ უნდა ვაგებინოთ შვილებს.

ამიტომ, მე მაინცდამაინც არ ვუდღანებ ბატონ დ. გვაძაბიას, როდესაც დღეს წინ და უკან სირბილით საკუთარი შვილის, უმცროსი დავითის ჩასკვაჭება სურს მთავრობის თავმჯდომარის სავარძელში. არადა, არც დღესაა იგი დაბალ თანამდებობაზე, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლის მოადგილეა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით, თუმცა, მიუხედავად ასე ჟღერადი სამსახურისა, დევნილთათვის სასიკეთო, მამამისის საქმიანობისა არ იყოს, ბევრი არც არაფერი შეიმჩნევა მის მოღვაწეობაში.

ეს ასე კია, თუმცა, ამას მეორე მხარეცა აქვს: ***როგორ გავკადროთ, მაგრამ ამ მხირვ თავის დროზე აფხაზეთში მათი საქმიანობის შედეგით ამ მხარის გასასხვისებლად მოსაქვარეთა მოდგმამ იქნებ ცოტა ხანს თავი შეიკავონ და მაინცდამაინც დღეს არ შემოგვასკუპდნენ თანამდებობაზე, რა იცი, ეგება ჯიშმა ამათაც არასახალხო თვითდასაქმება გამოსტყუოს და საშველმა გვაქციოს ზურგი.***

მოდით, ეს საქმე სახალხო წარმომადგენლობის ნებას ვანდოთ: არაა აუცილებელი ბატონ დავით გვაძაბიას მოდგმიდან მოდგმამდე ***საკუთარი გირინი ეგონოს ჩვენი ხალხი!..***

***

დიახ, თქვენ გეუბნებით ამას სახლიკაცებო, გარწმუნებთ, არავითარი ხალისი ამ ამბების თხრობისათვის არც ამჯერად არ გამაჩნია, მაგრამ, კვლავ და კვლავ, გიმეორებთ, ამას ვაკეთებ მხოლოდ იმისათვის, რათა, ამგვარად გალანძღულ არამზადებს არ აყრევინოთ თქვენი მზერის სიწკონდისთვის მათ მიერ დანაშარდი ნაცარი. თქვენი ღირსება და სავინაო შინაარსი უფრო დიდ და შეუგინებელ მესვეურს იმსახურებს, ვიდრე გ. გვაზავას, ა. წოწონავას. თ. ხუბუას, დ. გვაძაბიას, რ. ცატავასა და ა. შ. ხელიდან ხელში გადანათრევი და მკერდნაფხრეწი ნამუსახდილობაა.

შეიძლება, ვინმეს მოეჩვენოს, თითქოს, არამკითხედ ვაქვეყნებდე ადამიანთა ხელშეუხებელ საიდუმლოს.

არა, ბატონებო!..

ამ შემთხვევაშიც მე ბრალს ვდებ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში თვითდამკვიდრებულ ვითომ ხელმძღვანელობას, რომლის საქმიანობა იმთავითვე გულისხმობს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სახალხო ნებასთან მიმდგომლობას და რომელიც მ. სააკაშვილის

ძალადობრივ განუკითხაობასთან ერთად წარმოადგენდა ერთ დიქტატორულ ძრავას, აქედან გამომდინარე, ებრძოდა ყოველივე იმას, რაც მ. სააკაშვილის ხმაბოდვებს არ იზიარებდა, ამის მკაფიო მაგალითი დღეს, ჩემდა საამაყოდ, აი, ***ამ მარჯვენით დაწერილი წიგნებიცაა, რომელთა გამო პოლიტიკური დევნის სამიზნედ დამადგინა ამ ხროვამ.***

გატყობთ, საცაა შემეკითხებით, თუ ასე ვერ იტანენ, როგორ ხდება, რომ ერთხმაში იცავენ ერთმანეთსო?!

***საკუთარ თავს იცავენ. იციან, თუ ეს საქმე ”სადაც ჯერ არს” გამოძიების საგანი გახდა, ისინი, სუყველა პირწმინდად, როგორც თანამონაწილეები, პასუხს ან ბოროტმოქმედებისათვის ან მისი დაფარვისთვის აგებენ. ამიტომ, ამჯერად მხოლოდ კორპორაციულმა ინტერესმა აანაბიჯა ეს ნახირი ერთ მწყობრში, რის გამოც ერთმანეთს საკუთარ ცოლებთანაც რომ წაასწრონ, გადაყლაპავენ, თორემ, ერთმანეთი ისე ეზიზღებათ, ერთი სული აქვთ თუ როდის ამოარწყევენ!..***

***

იმ ვითარებაში, როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სახელგატეხილი ყოველდღიურობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი მოსახლეობის ნდობის, ურთიერთობის, მხარდაჭერის, თანაგრძნობისა და ა. შ. გარეშე დარჩა, ტექნოკრატიული დასავლეთისა თუ ველიკოდერჟავნიკული ჩრდილოეთისათვის ხელსაყრელი დრო დადგა მისი გაუქმებისათვის.

რა თქმა უნდა, თავისი არაკომპეტენტურობისა და განსაკუთრებით კორუმპირებულობის გამო ის გახლავთ სრულიად უავტორიტეტო როგორც საქართველოს ხელისუფლების თვალში, ასევე მოსახლეობის წინაშე, ამიტომ მას, უავტორიტეტოს - ფუნქცია არა აქვს, შესაბამისად, არ უპიროვნდება სათანადო მოვალეობა არც საქართველოს მთავრობისგან და აღარც საზოგადოებისგან უზუსტდება პოლიტიკური დაკვეთები.

ესაა საგანგებოდ გასასიგრძეგანებელი საკითხი, რადგან იგი კორუფციისა და უსაქმურობის ბუნაგიდან უნდა გარდაიქმნას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის ერთ-ერთ სამართლებრივ და პოლიტიკურ ბერკეტად.

მანამ, სანამ საზოგადოების განწყობა მას ”ჯანდაბამდის გზა გქონიათი” ხვდება, ჩუმად, უხმაუროდ, ისევ და ისევ ტექნოკრატიული დასავლეთი და ველიკოდერჟავნიკის ჩრდილოეთი ერთმანეთთან შეთანხმებით თავთავისი სახრახნისით დაიწყებენ აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური აზრის დემონტაჟს.

საქმე ისაა, რომ როგორც ერთს, ასევე მეორეს სამათო პოლიტიკურ აზგაში საქართველოს გადანაწილების გეგმა, როგორც ძირითადი, ასევე, სამარქაფო შემთხვევისთვის აქვთ მოთადარიგებელი. ამ საქმეში აფხაზეთის

დევნილი ხელისუფლებაცა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან დევნილის სტატუსიც ***ორივე დაბრკოლებაა მათთვის, ამიტომ "ცივილურად" დადებენ დახლზე სრულიად საქართველოს და მასში დიდძალ ფულსაც გადაიხდიან, ხოლო ამ ეთნიდივერსიულ ყიდვა-გაყიდვას ღვთის წყალობად წარუჩენს გამათხოვრებულ და ჩიხში მიმწყვდეულ დევნილებს "ჩვენივე" არასამთავრობო თუ სამოქალაქო სექტორის ერთი ნაწილი ანუ მტრის ლეგიტიმური აგენტურა.***

არადა, იმის მიუხედავად, რომ ის დღეს აქ მოკალათებულ მედროვეებზე დაყრდნობით დაგეგმილი სახელგატეხვისათვის კორუფციის ბუნაგი მიზნობრივად გახადეს, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, გახლავთ 1991 წლის 31 მარტის სამართალმემკვიდრე და იმავე წლის 29 სექტემბრის არჩევნების შედეგი. აქედან გამომდინარე, ის უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობის საჭიროებაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საქმეში, ოღონდ სადღეისო სიცხადის გათვალისწინებით, აუცილებელია მის რიგებში სახალხო წარმომადგენლობითი კრების დელეგირება, რაც სათანადო სამართლებრივი შესწორებით უნდა მოხდეს.

აი, ასეთ პოლიტიკურ გზაჯვარედინზე გ. გვაზავასა და მის თანამოსაქმეებს საშუალება ეძლევათ, ჩამოირეცხონ საკუთარი ტანიდან კოლაბორაციული, ბოროტმოქმედული თუ ორპირული საქმიანობის ნაკვალევი, შეუდგნენ სახელმწიფოებრივი და სახალხო ნების შესაბამისად აზროვნებას და ***მართვის ბერკეტები, რომელიც მათ ხელში სათაღლითო ნებართვად იქცა, გადააწოდონ სახალხო წარმომადგენლობიდან არჩეულ მარჯვენას.*** სხვა შემთხვევაში, ანუ თუ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო კვლავ ელიტური კორუფციის ბუდედ დარჩა და იგი გამიჯნული აღმოჩნდა სახალხო ნებისგან, ის ისევ უფუნქციო იქნება და განიშანსვეტდება ჩასაფრებული თუ ავმოსურნე ძალების სამიზნედ, რამეთუ, როდესაც არ იქნება ასეთი პოლიტიკური აზრა, იმპერიისთვის არ იარსებებს აქედან (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედანი შინაარსიდან) გამომდინარე წინაღობა.

***

**წუთჩაფიქრება**: რა მაგის პახუხია და, თბილისში, ჩემს სატახტოში, დევნილად ჩამოსულს სულიერად გამისახლიკაცდა ბატონი შალვა მჭედლიშვილი, 40-იან წლებში ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებული პოეტი (იგი ა. კალანდაძის, ჩვენი, მართლაც და, მაფშალიას მეუღლე გახლდათ დაპატიმრებამდე).

გიყურებთ ახლა ხმაბაძვაში აზგერებულ და უცხოთუმეობაში გაჯიბრებულ სიმრავლეებს და მიკვირს რა ზუსტად გადმოსცა ამ ერის კაცმა თქვენი შემხედვარე ქართველის საჭირისუფლო მდგომარეობა:

*"დარცხვენილი იმზირებო,*

*ვეღარა სცნობ მშობელ ქალაქს,*
*და შენს ამაყ ქონგურებზე*
*ახლა ცხვრები სძოვენ ბალახს...”*

აქედან გამომდინარე, სათავზარო გახლავთ სწორედ ის, რომ ასეთ სიმრავლეთა გონებას არასოდეს მოესურვილება პასუხი გასცეს ამგვარ შეკითხვაზე: ***”...ნუთუ ყველაფერი ცრუ სიზმარი იყო, ეს მტკაველი მიწა დარჩა საქართველო?!”***

დიდი შემოქმედის მზერას არ გამოპარვია არც გზაჯვარედინი, რომლის გზაგასაყართან სადღეისოდ არჩევანს მოგვთხოვდა ქვეყნის ყოფნა-არყოფნა”:

***”ორი ნუგეში დარჩა დღევანდელ ქართველს,***
***ერთი სიკვდილი და მეორე არამზადობა”...***

დაახლოებით იგივეს დაეკითხა ქართველ ერს დამუკიდებლობის აღდგენის წინადღეებში დიდი ერისკაცი ზვიად გამსახურდია და ***”ქრისტეს თუ ბარაბას გზითო”*** - სვლაგეზის დაზუსტება ურჩია მას.

საუბედუროდ, ჩვენ დღემდე ბარაბას გზით მივბილიკობთ, რომლის გასწვრივ გამარჯვებათა სამჭედლო არ ილანდება არსად და არასოდეს.

***

**დასასრულ აღსარებასავით უნდა გავირაგადო:** მწერლობა (პუბლიცისტიკა) ჩემი მოვალეობა და სულის თავშესაფარი გახლავთ, რის გამოც ჩემს ქვეყანას მიმდგომელ ნებისმიერ მოქვეშქვეშეთა მხილება სახალხო ზნეობის კარნახმა გამიპიროვნა.

ასეთ ვითარებაში მე ვხედავ ჯიშის ნიშანსვეტისკენ ვერ დაძრულ და სვლაგეზ წარმთმეულ საზოგადოებას, რომელიც ხსნას თავსმოხვეულ ხმაბაძვაში ეძებს. მინდა დავეხმარო, ამიტომ ვეზვავღრიალები, მაგრამ ვერ ვარღვევ მის ყურდახშობას სამწუხაროდ ჩემდა...

ძალიან საგანგაშოა, რომ ასე უეროვნულსვლაგეზო ფეხაწყობას ქართველთა ერთი ნაწილისა, რომელთაც ერის მეკანონეებად გვიდგენენ ქვეყნის მიღმეთიდან, სულის ხსნა და ნეტარება მაინცდამაინც, გინდა თუ არა, ან აშშ-ს ან კიდევ ევროპის ტექნოკრატიულ უსულგულობაში ეგულება.

საუბედუროდ, მათ საგანგებო წინგაუხედაობით არ იციან, რომ ევროპის დედანი ღირებულება (და არა ცათამბჯენური უღმერთოება) სათავეს ქართველი ერის გონითი განფენის სივრცეში იღებს.

დღეს ჩვენ არ გვჭირდება ”რჯულისმდებლად” შემოთარეშებული და თითისმქნეველი ევროპა (არც აშშ და არც რუსეთი), ანუ ჩვენთვის ბრმად მისაღები არ უნდა გახდეს ის ცნობიერება, რომელმაც საქართველო არა სულიერად, არამედ პოლიტიკურ დაკვეთათა ამწუთიერების შესაბამისად მიიბაწრა.

მე ეს რომ არ ვუთხრა სრულიად საქართველოს, წაწყმედისკენ გავიწალდავ გზას მაშინ!...

***

დიახ, ბატონებო, რაც შეეხება აქ გამოქვეყნებულ საძრახობებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სახიფათო ყოველდღიურობიდან, ეს გახლავთ მტკიცებულება შესახებ იმის, რომ ***<u>არ შეიძლება, ამ ულირსებო არავინობაში საადამიანო ღირებულებამ გაიზაფხულოს!..</u>***

მოკლედ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, სადაც საბჭოთა პარტოკრატიული გადმონაშთის გარდა, მოღვაწეობენ ”დისიდენტები” (როგორც თვითონ აცხადებენ): ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია და თ. ლორთქიფანიძე, სახალხო მოძრაობის წარმომადგენელი ა. მარშანია, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წევრი ჯ. გამახარია, ეს ინსტიტუცია იქცა ბოროტმოქმედული საქმიანობის მწარმოებელ და პოლიტიკური რეპრესიების განმახორციელებელ აპარატად. აქ, სადაც საეჭვო გარიგების შედეგად არათუ ერთხმად იჩქმალებოდა ელიტური კორუფცია, არამედ სწორედ წეღან ჩამოთვლილი დეპუტატების - ნ. მგალობლიშვილის, თ. მჟავიას, თ. ლორთქიფანიძის და ა. შ. გაშმაგებული მესადავეობით, ა. მარშანიას - ამ ”დამაშვრალი უფლებადამცველის” და გაუმართლებლად გარინდული ჯ. გამახარიას თვალწინ დღემდე იდევნება აქედან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ ორგანიზებული ბოროტმოქმედებების მამხილებელი მოუსყიდველობა. დიახ, სწორედ ამიტომ, ნუ ჩამითვლით ამას თვითდამკვიდრების მცდელობად, - ამის მაგალითად, შორს ნუ წავალთ, აი, აგერ ვდგავარ მე - პოლიტიკური დევნილი: წელსქვემოთა ილეთების აქვეშქვეშების შედეგად ამ წუთამდე საველე-სასანგრო მდგომარეობა თავსმოხვეული კაცი.

მე ვეკითხები ახლა, ამ წუთებში (9.10.2012 წ. 8,40) რადიო ”ობიექტივში” აფხაზეთიდან დევნილთა ***<u>ღირსებისთვის,</u>*** ”გაბრძოლილ” ღრმადპატივცემულ ქალბატონს ა. მარშანიას, - ***<u>ქრისტესმიერო დაო, არის თუ არა თავაწყვეტილი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ელიტური კორუფცია და თუ არის, რა იღონეთ მის აღმოსაფხვრელად?! თქვენც ხომ იქ მოღვაწეობთ, რატომ არ ამყარებთ წესრიგს თქვენს გარშემო? ხომ არ ჯობდა აქედან დაგეწყოთ? ან იქნებ არ არის?! მაშინ მკაფიოდ მიპასუხეთ ეს და მყისვე მოვიხდი ბოდიშს.</u>***

იცით რას გეტყვით, სანამ თქვენ თქვენს გარშემო, თქვენს რიგებში საკუთარ სახელს არ დაარქმევთ დევნილი მოსახლეობის უფლებათა გამქელავებს და მათი ულუფის მიმთვისებლებს, ***<u>ქალბატონო ადა, ბატონო ჯემალ,</u>*** იქნებ გაითავისოთ, რომ უხერხულია თქვენგან დევნილთა დაცვაზე საუბარი, რადგან ყველაზე დიდი თანადგომა და მათი უფლების დაცვა ამ ხალხისათვის იქნება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოსა და

მთავრობაში ამ ოცი წლის მანძილზე ფეხმოკიდებული ბოროტმოქმედებების გამჟღავნება აქედან.

ამის გარეშე თქვენი პოლიტიკური მონოლოგი ზურგის ქარად რჩება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი მოსახლეობის უპირველესი დამღალატებლებისა და საზურგე მახვილით სახალხო შეუგინებლობასთან მიმდგომლებისათვის.

...და ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა შევუყიჟინო საზოგადოების ყურადღებას - მე ამ ხალხს, ამ ერთი წლის წინ, წინგახედვისკენ მოვუწოდებდი და ვაფრთხილებდი, მაგრამ ისინი "საიმედო" ზღუდედ შემოელარტყნენ მაშინ მ. სააკაშვილს, "- ***ჰარიქა, ემანდ რამეს არ შემოეკბიჩოსო".*** აქედან გამომდინარე, ერთიც უნდა გკითხოთ, ჩვენს ოდაბადეს ჩახორცმეტებულნო: როდესაც დღეს ჩემზე "დანოსს დანოსზე" აგზავნით "სადაც ჯერ არს", გიფიქრიათ, რომ ეს უნდობარ მტკიცებულებად დაგიხვდებათ ერთ დროს?!

არადა, ახლაც კატის სიმარჯვით უნდათ ამათ ოთხ ფეხზე დახტომა, ***"ბიძინა ივანიშვილისთვის ვიქნევდით ხმალსო!"*** ვირეშმაკული გამოორღობებაა ეს, მაგრამ მთავარი სხვა რამეა ამჯერადაც, მ. სააკაშვილის "ერთგულების" მაგალითზე თქვენი თვალით გაისიგრძეგანეთ, თუ რა გრძლიობისაა გ. გვაზავასა და მის თანამოსაქმეთა "საიმედოობა".

9.10.2012 წ.

**≈*≈**

## მკვდრადშობილთა ზნეობაში აკვარცხლბეკების ამაო მცდელობანი, ანუ როდესაც "მცირე შეპაექრებაც" სხვის კალთაში თავშეჩურთულს მოგინდება

*"იხარებდით მართალნი უფლისა მიერ, და წრფელთა შუენის ქებაი..."*
*"საჯენ უფალო მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა..."*
*ფსალმუნი, 5-32, 34*

*"...და მე შემეძლო*
*მეხილა ცხადად,*
*რაც იგულისხმა ბუნებამ შენში..." /ოთარ ჭილაძე/*

მიმდინარე (2012) წლის 7 ნოემბერს, საღამოს, სახლში მიბრუნებულს, კარებზე მიმაგრებული საკმაოდ მოზრდილი კონვერტი დამხვდა. გარედან არაფერი ეწერა მას. გითხრათ სიმართლე, მოულოდნელობებთან საკმაო საურთიერთო გამოცდილების გამო, თავდაპირველად გადაგდება დავუპირე ასე გაუხსნელად. მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მძლია და

გავხსენი. მასში ბატონ დ. გვაძაბიას იამბე აღმოჩნდა - გაწელილი 6 გვერდზე: ***"სინდისი!.. გტკიოდეს სინდისი! (მცირედი შეპაექრება ბ-ნ სერგი საჯაიასთან).***

ერთი გაფიქრება დავიჯერე, რომ იამბე მისი დაწერილი იყო და გამიკვირდა, სად უწიგნური დ. გვაძაბია, რომელსაც ბოლომდე თავისი მატრიკულიც არა აქვს ჩაკითხული და სად ესოდენ ვრცელი ამონარიდები გოეთეს "ფაუსტიდან", ასევე დამოწმება წმინდა ილია მართლის "კაცია-ადამიანისა?!" ან კიდევ მიმოწაფება სიტყვის სახელგანთქმულ დიდოსტატთან და ზნეობის ქრისტესმხედართან - მიხეილ კვესელავასთან: ***"ადამიანში ჯერაც არ არის დაძლეული ველური, არც არასოდეს დაიძლევა, რადგან ბუნებაა მისი. ყველა ერთნაირია, შესაფერ გარემოში ყველა გამოიჩენს თავის მხეცურ ინსტინქტებს. თავისთავად არც სიკეთე არსებობს და არც ბოროტება, ამას ადამიანები ქმნიან. სიკეთე ფარისევლობაა, ნიღაბი; ბოროტება - არსი! ამიტომ: ყველა ბოროტია! ყველა დამნაშავეა! ყველა ცოდვილია! ყველა აგებს პასუხს! ყველა უნდა დაისაჯოს!.."***

რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ვეთანხმები ამის დამმოწმებელს, რადგან ეს ასეა იქ, სადაც საზოგადოება უფალთან ზურგშექცევით დგას და ეშმაკს, ანუ დ. გვაძაბიურ ყოვლისმკადრებლობას მიემოწაფა. საერთოდ კი, ეს წინადადება შინაარსიდანაა ამოგლეჯილი და არ ასახავს მ. კვესელავას მსოფლმხედველობას. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამონარიდს იმოწმებენ მხოლოდ იმიტომ, რათა მავანთა ნაკითხობა წარმოაჩინონ, მივიღეთ უკუშედეგი, - ეს ამონარიდი მოპაექრის სამტკიცებელს არ ელიანდაგება.

კი ბატონო, არ გეკამათებით, წერილში ჩანს საგარეუბნო დონის "მოაზროვნე", დაახლოებით იმნაირი, დიდოსტატ კონსტანტინეს შარდინ ალშიბაია რომაა ("მთვარის მოტაცება"), აი, ისეთი, უვინაო, უსქესო, ყველა საკითხზე არაარსებითი, ზოგადთარგული, ფარისევლური თუ ჩასაფრებითი პასუხის მქონე, თუმცა ამჯერად ეს "შარდინულებიც" დ. გვაძაბიას მოხმობილი არაა, ამ დონეზეც ვერ ქაჩავს ის. იგი იმ თვალსაწიერის რაობა გახლავთ, ზემოთხსენებული "კაცია-ადამიანის (?!)" მთავარი მოქმედი ქვემძრომი რომაა და, ბუნებრივია, ასეთი ამონარიდებისკენ მისი გემოვნება მიდრეკილი არაა, მას არც ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა!..

თავის მხრივ, წინამდებარე იამბის დამწერიც უნდა დამეთანხმოს, რომ ამგვარი ამონარიდით დ. გვაძაბიას რუნგუ გემოვნების წარმოჩენა მორიგი ყალბისმქნელობა გახლავთ. თავის მხრივ, ეს ყალბისმქნელობა სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლის მცდელობა გარდაუვალობის წინააღმდეგ, რაც უკვეა ამაო გარჯა დროსა და სივრცეში. გარდაუვალი კი დ. გვაძაბიური თაღლითობის გამოაშკარავებაა სახალხოდ.

დიახ, ბატონებო, მიუხედავად წინამდებარე იამბის სიბრჭყვიალისა, თვით მ. კვესელავაც არაა დამოწმებული მთავარ აზრთან შესაბამისობაში

და, რაც მთავარია, დედნიდან: ამ ბოლო დროს გაზეთში ”ასავალ-დასავალი” ქვეყნდება ნაწყვეტები ამ მოაზროვნის ”ას ერგასის დღიდან” (პირველ ვარიანტში ”ათასი ფუთი ბრალდება”) და დ. გვაძაბიას დაკვეთის შემსრულებელს ამით უსარგებლია. რაც შეეხება დ. გვაძაბიას, მას, რამე რომ იყოს, მიუხედავად მისი დიდი თანამდებობისა, ამ რიგითი გაზეთის დაკონსპექტებაც არ შეუძლია დამოუკიდებლად.

სწორედ ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბატონ დავითს, როგორც თანმიმდევრულ პარტოკრატ ქვემძრომს (შეადარეთ ”კაცია-ადამიანის”(?!) მთავარ რაობას), ***<u>ყველაფრის სხვისი ხელით, მათ შორის კინაღამ ქორწინების პირველი ღამისაც კი, ჩაგანთიადება არათავისი ანამკვრივებით ესურვილება,</u>*** ცხადია, ეს ყველაფერი დ. გვაძაბიას დაწერილი ისეა, როგორი სიმართლეცაა მის მიერ ჩემს წინააღმდეგ გამოთითშვერილი ”ბრალდებები”. ეს გახლავთ ერთი გამოორღობებული ხეპრე, იგი, როგორც მის ოდაბადეში იტყვიან, თელოღურელი შინაარსიცაა თავისი ცხოვრების რაგვარობით.

ვაი, სანგარო დავით, ამ ამონარიდის დედანი, რომლის აფრიალებით გინდა გამაკვირვო, ჯერ კიდევ 20-ე საუკუნის 60-იან წლებში, მე მგონი 1967 თუ 68 წლის ჟურნალ ”მნათობის” ნომრებიდან მაქვს გადაღეჭილი, მანამდე კი თვით სულკურთხეულ მ. კვესელავას ლექციების მაქვს მოსმენა მეწილხვედრა თსუ-ს აუდიტორიებში, რომელსაც სტუდენტობის გარდა თბილისის საზოგადოებაც ესწრებოდა და შიგადაშიგ მე, როინ კონჯარია და მამრიკო ბასარიაც ვენაკადებოდით სოხუმიდან. მართლა ხარ ცოდვა, რომ არ იცი, რა ჭექა-ქუხილს იტეხ მაგ უგნურ თავზე!.. წაგასწრეს ხელმრუდობაში, დაყენდი რა, მაგრამ არა, ისიც უნდა და თან სულსაც სამოთხეში უნდომებს დაბინავებას მისი ჭკუით.

ამ იამბის თხზვისას დ. გვაძაბიას აშკარად დაავიწყდა, რომ მე ლიტერატურულ ტექსტში, ასე თუ ისე, ვერკვევი, რადგან სახელმწიფო გამოცდები მასავით სხვის მიერ 30-იან წლებში დაკონსპექტებული სასამიანო ლექციებით არ ჩამიბარებია. ცოტა ოფლიც მაქვს ნაღვარი ამ საქმეში, ამიტომ, ვანსხვავებ ქალის ნაწერს, კაცის ხელწერისგან. მოზრდილის მეტყველებას - ჭარმაგის ნაასომთავრულებისგან და ა. შ. აქედან გამომდინარე, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, წინამდებარე იამბე 6 ფურცელზე, ქალბატონის, თანაც, ისე რა მოკეკლუცოს, ოღონდ დაბის დაწყებითი კლასის ცოტა ხელშეშველებული მასწავლებლის დონეზე მომჭევრმეტყველის დაწერილია. კი, ბატონო, შეიძლება მას რაღაც ნაშრომიც გააჩნდეს, მაგრამ ერთია რაღაც ნაჯახირევი და მეორე - სულის სამკვიდრისი სიდიადეში.

ვერ დავიფიცებ, მაგრამ ამ ქალბატონის სიტყვათმარაგი, რომლითაც იგი ამჯერად შემკვეთ დ. გვაძაბიას მოემსახურა, ასე მგონია, მისგან წლების წინ ჩანაჩურჩულევი სწორედ ამ ბუხართან და ტახტზე, რა ვქნა, ახლაც მკაფიოდ ამებგერა ყურში. ***<u>არადა, თითქოსდა ისეთი გარდახდილი</u>***

***სიცხადეა, ლამის მაფიქრებინოს, რომ ამ ქალბატონს არანაკლებ ვიცნობ, ვიდრე თავისი თანამეცხედრე მეთქი.*** ამიტომ, ამხელა წერილში არ მინდა იგი უსახელოდ ვიყოლიო და ამის გამო დღეს ასე გავრცელებული სახელით ქეთი - მივმართოთ აწი, როცა ეს ჩვენს წინამდებარე რაგადობას დასჭირდება. იმედია, ჩემს წერილს გზადაგზა ისე შემოუერთსხეულდება, იგი დ. გვაძაბიასი კი არა, - ეს ქეთი, ჩემიაო, კვლავ უფლებად დამიდგინდება პირადად მე!..

ასე და ამრიგად, ამ იამბით თვით ქალბატონმა ქეთიმ გადამიჯვარედინა ხმალ..., უკაცრავად, კალამი. რა გაეწყობა, ერთგვარი სიამოვნებითაც კი ვღებულობ ამ იამბის ნამდვილი შემოქმედის შემოფეთებულ აჯირითებას, ანუ, როგორც თვითონ ამბობს - ”მცირე შეპაექრებას”, ოღონდ, ქალბატონო ქეთი, ცოტა აქეთ შემოგოგმანდით, დ. გვაძაბიას ნათაღლითარ ოღროჩოღროში არაფერი წაიმტვრიოთ და აგერ, ამ ტახტის კიდეზე დაბრძანდით. თქვენთვის დრო როგორ არა მაქვს, ვიპაექროთ დილამდე... თუმცა, ეს კია, მანამდე იმ ”სიტყვაკაზმულობისთვის” გამაცემინეთ პასუხი, რამაც ბატონ დავითს ამაყადააწევინა თავი: ***”კვანტის დადებას კანტი წაგეკითხაო!”*** არადა, დათო გვაჯა, საშეგონებოდ იმანუელ კანტს ქართულად და რუსულად როდესაც ვესულიერებოდი და შენ წარმოიდგინე, შიგადაშიგ გერმანულად თუ ბერძნულადაც ველექსიკონებოდი, მაშინ შენ, შენს ცნობიერში კომბოსტოს ნახუჭუჭევიდან არც თუ დიდი ხნის თავდაღწეული, თხმელის ჭველონაში საქვარობდი შენდახელსაცქვიტოდ. ნუ უარობ, ატყვია ეს შენს რაობას.

ახლა კი ჩემო ხოხობო, უყურადღებოდ რომ დამრჩი ტახტის კიდეზე. ბუხრისკენ მოაბრუნეთ ზურგი, აცივდა ცოტა... თავი აქეთ მოწიეთ, მარცხენა ყურის ბიბილოსთან უნდა ჩაგჩურჩულოთ რაღაც, თუმცა, მანამდე ხელზე უნდა გეამბოროთ, ესეც ასე. არ დაგიმალავთ, ამ საზისნახო მკლავზე ამბორისას საზემოკოცნო ცდუნებამაც გადამიგრიგალა.

რა ვქნა, ცოტა კი მეხათრება, მაგრამ გავბედავ და გკითხავთ, რამ გაიძულათ დ. გვაძაბიას საონჯღორო დაკვეთის შესრულება. თვითონ დაეწერა, მაგრამ ამნაირ ხალხს, თავად რომც შეეძლოთ ამის გაკეთება, სხვისი ათოხვარება მაინც უყვართ. ისე, ერთი რამ იცოდეთ, ჩემს საკეთებლს მე ვაკეთებ ყოველთვის. ჩემს სათოხარს მე ვთოხნი, სამაჟიროს - ვმაჟირავ, სათანასარეცლოს - მე თავად ვეთანასარეცლები, ჩემს საწერს კიდევ მე თვითონ, საკუთარი მარჯვენით ვაასომთავრულებ. ***პირველ რიგში, აი, ეს განსხვავებაა ჩემსა და დ. გვაძაბიას შორის.***

ისე, ჩვენში დარჩეს და, ეს წერილი რომელ მაგიდაზეც დაიწერა ისიც ვიცი, რამდენი გქონდა წნევა ამის დაწერისას, ესეც გავარკვიე, თქვენ წარმოიდგინეთ და დ. გვაძაბიას თანამოსაქმე ქალბატონი რ. ქარაია რომელ კველაზე იჯდა, ცხადადაა გარკვეული, თან ისიც თუ როგორ აისახა ეს ყველაფერი სა - დ. გვაძაბიო მრიცხველში. ის კი არადა, აფხაზეთის ა/რ-ის

უმაღლესი საბჭოს შტატიანმა მკითხავმა, მშვენიერმა რ-მ თუ რა უმკითხავა ყავაზე იმ დღეს, ისიც კი დავადგინე!... ეგ რაა, თქვენ წარმოიდგინეთ, იმ საათებზე ისიც მეუწყა, რომ სამკითხაო მოსტუმრებულმა რაისამ, როცა ჩაათავა ჩემს მიერ დაწერილი თქვენი მამხილებელი წერილის ბოლო გვერდი, ეს რა დაუწერიაო და როგორც ამბობენ, მარტში აჯანყებულ ქაბლასავით უზმუვლია ღრმად პატივცემულს.

ასეთ დროს იტყვიან, *”რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო”,* - ***ჭკუის მაგივრად სიძულვილი რომ არ დაუბოგინებდეთ სატვინოში, სხვა რამეს იტყოდა ესოდენ დასახსომი ქალბატონი, თუნდაც ამას:*** დავით დავიდოვიჩ, ნუთუ ეს ბოროტმოქმედებები აქ, ჩვენთან ხდება, შენ როგორ დაისვარე ამაში ხელი ან მე რამ დამიხუჭა თვალსამზერი, როგორ წავიწყმიდე სული და რისთვის ვმალავ ასეთ ხელუსუფთაობას დღემდეო!.. მაგრამ არა, აქ, ამ მკვდრადშობილებაში ზნეობა არსად ჭაჭანებს, ***აქ ბაყვ ნაშიშვლარებმა კაბის კალთის ჩაწევა თუ მოასწრეს, მყისვე უფლებას გაიპიროვნებენ, - კაბა აწეული არ გქონდაო,*** ხატზე დაფიცებით რომ ”დაგიმტკიცონ”. უფრო მეტიც, ჰარიქა, მიდი, ქსა ბიჭებო, სერგი საჯაიას ჭკუა ვასწავლოთო და თან თავიანთი საყველ-პურო თუ ჩიქორთული წერა-კითხვის ცოდნით ფაუსტს დაიმოწმებენ და ზნეობასაც შეგახსენებენ კი არა, ყოფაქცევაში თავის მოწესრიგების სწავლებასაც მოგინდომებენ!..

***ეხ, დათო, ჯიჯი, შენი არ იყოს, მეც იმ დროის შვილი ვარ, მაგრამ შენი ”განსასწავლი” გზისგან განსხვავებით, მე ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როდესაც იმ ტაბაკობაზე, სადაც დიდი ნიკანდრო ბასილაია გვეერისკაცებოდა, მე თამადად ამირჩიეს, ხოლო სახალხო არტისტმა ლეო ჭედიამ ჩემი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ცნობილი მონოლოგები წარმოთქვა, ოთარ ჭურღულია თავისი დისერტაციის ხელნაწერს გვიან ღამემდე მიკითხავდა, შემდეგ იყო და ზვიად გამსახურდიასგან საერისკაცო რწმუნება მებოძა და თანამებრძოლად დამადგინა. ერის სამსახურისთვისო, - მომეფერა მუხრან მაჭავარიანი და საკუთარი ლექსები მაჩუქა, შალვა მჭედლიშვილმა - გულაგგამოვლილმა ერისკაცმა გულში ჩამიკრა, კოტე ჩოლოყაშვილმა უღალატო დამარქვა... - როგორ მეცოდება ამ წუთში ჩემი თავი, რადგან აქ ჩამოთვლილ სამამულო ძალისხმევათა გასწვრივ, რომელთა მოფერებებში მიმკლაურია, მე, სერგი საჯაიას თქვენგან თავსმოხვეულ ასეთ ქუჩისფსკერულობასთან მიწევს ურთიერთობის რკვევა. მეორეც - დ. გვაძაბიას მოლექსეობამ გამახსენა: კვანტი რომ გამოსდო დავითს, ის (დავითი), სულ ცოტა, რაობა მაინც უნდა იყოს!.. არადა, ერთი ჩვეულებრივი გურდღუ იმეცნახირება მარაქაში მისი სახით!***

არადა, ამ კაცის ნაზუკოლა წინამდებარე ქალბატონი ქეთი, აგერ, უტიფრად რომ ასკვაჭია ტახტზე, შეხეთ რას მაბრალებს ისე

გულშეუძვრელად, ***<u>თითქოს, ამას რომ ჩავდიოდი, იმ დღეებში ღამენათევს მისი ოთახიდან გამოსვლისას მომეჯახუნოს კარი:</u>*** ***”ისე არ დავმდაბლდები და დავხურდავდები ბ-ნი სერგის დაბალი ფასეულობებით განპირობებულ ცდუნებებზე ვისაუბრო, იმაზე, რამდენი, რა მატერიალურ-ფინანსური დანაშაული მიუძღვის მას ქვეყნისა და ერის წინაშე*** (იმდენი ჩემსა და შენს შორის მტყვნის დედის ძუძუ მ...ან და კეთილებიც იგულისხმე მასთან. მე ვამბობ ამას, სერგი საჯაია და ვზიდო ეს დაგინება ცოდვად). ***ამის შესახებ კომპეტენტურმა ორგანოებმა იზრუნონ. მაღალი ტაძრის მსახურმა დაბალი ტახტის მონა-ყმა შანდლის ქურდობისათვის კი არ უნდა საჯოს, არამედ ელაპარაკოს ქურდობასა და ავხელობაზე, როგორც სულიერი დეგრადირების გამოვლენაზე. რადგან ბ-ნი სერგი განათლებულობაზე დებს თავს, მით უფრო უპრიანი იქნება მასთან მორალის ფილოსოფიაზე, მის ესთეტიკასა და ეთიკაზე ვესაუბრო, თუმცა აღარც ეს ღირს, რადგან დახვეწილი ნიღაბითა და მახვილი ჭკუა-გონებით ბ-ნი სერგი უფრო შორს წავიდა, საგზლად კი, ამ შორეულ და ცოდვილ გზაზე, ორპირობის ბოღჩა გამოიკრა და სიცრუის გუდა აიკიდა ზურგზე. აი, ეს უკვე ქურდობაზე გაცილებით მეტი სიმახინჯე და დანაშაულია”...***

ერიჰა... ეს ყველაფერი ხომ თვით ამის დამწერი ქალბატონ ქეთის სახეზოგადობაა, უწიგნური დავითის ხელისგოგონობა რომ გაიპიროვნა: იცით, ქალბატონო ქეთი, რომ დ. გვაძაბია ტაძრის სახეობებში არ ერკვევა, იგი ამ ხუთი წლის წინ პირველად მე შევიყვანე ქ. თბილისის ამაღლების ეკლესიაში. ეს ერთი და მეორეც, ეს ამონარიდი, ზეპირად არა, უშეცდომოდ წაიკითხოს დავითმა და მე აქვე მოგიხდით ბოდიშს. თავისი თანამშრომლების მაინც არ რცხვენია ამ გამოჭენებულ მედროვეს. მათ ხომ იციან, რომ იგი გლახა ჭრიაშვილზე უკეთესად ვერა და ვერ ბურდღინობს. რაც შეეხება დეგრადირებას, შეხედეთ დ. გვაძაბიას, მერე თავადაც ჩახედეთ სარკეს და დარწმუნდებით, რასაც ნიშნავს იგი! ან როდის გახდა ურწმუნო, ორპირი, რუნგუ და ბაცაცა დ. გვაძაბია ”მაღალი ტაძრის მსახური”, რომ მას მიწიერი ხელმრუდობანი არ მოეკითხოს?! ასეთ დროს სულის თავშესაფარი მხოლოდ და წმინდა წერილში უნდა ეძებო: ***”მიხსენ მე ცილისწამებისგან კაცისა და დავიცვნე მე მცნებანი შენნი!..” (ფსალმუნი, 17-117).*** ***<u>მოცემულობა ძალზე საგანგაშოა, - ამ 6 ფურცლის გაასონიშნებით, თქვენ ხელი მოაწერეთ სულის ეშმაკისთვის მიყიდვის ხელშეკრულებას!..</u>***

ასეთი იამბის შემხედვარეს, ხანდახან მეჩვენება, ქალბატონო ქეთი, რომ არ ვიცი, ნებით თუ უნებლიედ, მაგრამ ცხადია, არათუ დ. გვაძაბიას, მთლიანად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის ბოროტმოქმედული საქმიანობის მიმართ დაქირავებულ მდგომარეობაში იმყოფებით. ამ დროს გგონიათ, რომ ნაბიჯებს თქვენი მიზანსწრაფვების შესაბამისად დგამთ, მაგრამ გავიწყდებათ მთავარი, არ ხდება ასე, სულით და ხორცით დაქირავებული, სურს ეს თუ არა მას, მხოლოდ დამქირავებ-ლისთვის იხარჯება.

ამიტომ, გირჩევთ, კარგად გაისიგრძეგანოთ თუ ვინ დაგიქირავათ.

გარდა ამისა, ქალბატონო ქეთი, თქვენ ისე დარწმუნებით აცხადებთ, ვითომცდა, ყოვლად უსაფუძვლოდ მინდა, გამოვჩნდე განათლებულ კაცად, თითქოს საუკუნის ნახევარი ჩემს გვერდით გაგეტარებინოთ. თავსატკივრად ნუ გაიხდით ამას, - ***მე ვარ განათლებული ადამიანი!*** ამიტომ, ვიცი, რაკიღა ჩემს გარშემო მტაცებელთა ხროვა ჩასანგრდა, წამითაც არ უნდა მოვადუნო სიფხიზლე. მით უფრო, დრო ის გრაგნილია, უფალმა საკუთარი მარჯვენით რომ მოაასომთავრულა. საბედნიეროდ, მასზე გ. გვაზავა, ა. წოწონავა, თ. ხუბუა, დ. გვაძაბია, რ. ცატავა, რ. ქარაია და ა. შ. ღირსებით ვეღარასოდეს წაიწერენ თავს უფალთან და სამშობლოსთან ორპირობის გამო.

რა თქმა უნდა, მე არა ვარ უფლებამოსილი ვინმეს, მათ შორის თაღლითების პასუხისმგებლობის საკითხი აღვძვრა, მაგრამ თვით უფალი მავალებს, ვამხილო ის, ვისაც ავიწყდება, რომ ქვეყნის ბიუჯეტი არის ადამიანებზე ზრუნვის იარაღი და არა სახელმრუდო საშუალება.

აქ ჩემი მარტოობა - ეს მარტო მანძილი კი არაა მართლმსაჯულების სასწორამდის, იგი ზღუდეცაა ჩემს მწუხრისბჭობათა გარშემო, რათა ყველაზე აწონილ-დაწონილი ნაბიჯებით ვიარო საუფლო ნიშანსვეტისკენ!..

შენ გეუბნები ამას, ჯემალ (გამახარია), წინამდებარე დ. გვაძაბიას გახელისგოგონებულ ქალბატონ ქეთის მართლა ავუხსნიდი თავის დროზე საბჭოთა უშიშროების გენერალ გ. ლომინაძის, და მას მიტმასნილ ნ. მგალობლიშვილის, ა. გასვიანისა თუ სხვათა, მათ შორის საკუთარი მძღოლისთვის ვაშლით სავსე ჩახვიას წამრთმევი დ. გვაძაბიას მიერ შორსგამიზნულად დაყრილი ცილისწამებების მიზეზებს, ამ მხრივ, არ დავიზარებდი ახსნა-განმარტებასაც, ***მაგრამ ქალბატონ ქეთის სხვა რამ აინტერესებს, ამის წამოძახებით ეჩვენება, რომ წელსქვემოთა ილეთი წარმატებულად ჩამიტარა და ჰგონია, პირდაპირ ყვავჯებში მტაცა ხელი.***

დიახ, ბატონო ჯემალ, მე არც შენი და არც სხვათა დაცვა არ მჭირდება, მაგრამ, როდესაც იმ პრეზიდიუმის წევრი, რომლის არც თუ რიგითი თქვენცა ბრძანდებით, - თქვენს გვერდით ძალიან ქვეგამხედვარედ ავრცელებს აშკარა, *ასგზის თვით ზ. გამსახურდიასგან და საერთოდ, ეროვნული მოძრაობისგან მხილებულ ჭორს, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თქვენც ხელს უწყობთ და თანამონაწილეობთ საბჭოთა უშიშროების მიერ მიზნობრივად გავრცელებული ცილისწამების სადღეისოდ გამოხმობაში,* ***რითაც, რაღაც მიზეზის გამო, ურიგდებით სიცრუის ჯოგში თავდადგენას, მით უმეტეს, როდესაც თქვენ თვითონ იცით ამ ჭორის დროდადრო "გააუცილებლობის" სადამკვეთო სადავეები., უფრო მეტიც, პირადად თქვენთვის აქვთ ახსნილი ამ მხრივ კომპეტენტურ პირებს, რომ მ. კოსტავას სახელობის ფონდში აფხაზეთიდან მხოლოდ მე მქონდა საქმე მოწესრიგებული ბოლომდე. ახლა რატომ ხართ***

***ჩუმად, ეს ხომ მიზნობრივად საეჭვო დუმილია, მეგობარო და თქვენ მოგიწევთ ამისთვის ეროვნულ მოძრაობას გასცეთ პასუხი.***

მანამდე კი კეთილს ინებებთ და მაგ მურგვას მის ხელისგოგოსთან ერთად მოათრევ აქ, ჩემს ბინაზე და დაანახებ, თუ როგორ, ანუ საკუთარ ხალხზე არაუკეთესად ცხოვრობს აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, რომლის ხელში 1993 წლის შემოდგომაზე სახალხო ქონება ***იყო. მე იმ დროზე მოგახსენებთ, როდესაც დ. გვაძაბია საკუთარი თავისა და პირადი ქონების გადასარჩენად თავისი რაიონიდან ხალხს გაეპარა, უმწეოდ დააგდო ისინი და გამოიქცა, ხოლო მე ამ ადამიანების უბედურების ზონიდან გამოყვანას ვხელმძღვანელობდი. ასეთია მოცემულობა, რომლის თანამონაწილე ჩემთან ერთად თქვენცა ხართ, ბატონო ჯემალ და რატომ მალავთ, რატომ გესირცხვილებათ ეს?!***

სიტყვა გამექცა. ამის შემდეგ მათ ჩატენი ავტობუსში და მიათრევ ქ. თბილისის საკრებულოს უკან, გალაკტიონის ქუჩის #15-ში, სადაც გახლავთ მ. კოსტავას საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი და მაგ ქვებუნაგურ თვალსამზერში აუფრიალებ სიმართლეს, რასაც ასე არამზადული სიჯიუტით უმრუდებენ გზას.

დ. გვაძაბიას საკუთარ თავში ხომ არ ვეშლები, რომელიც, როგორც ა. წოწონავა გაიძახოდა, შემწეობის თანხას (და არა მხოლოდ მას) ჰპარავდა აფხაზეთიდან (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან) დევნილ თანამოძმეებს.

***შეახსნებე, რომ, ხომ არ დაავიწყდა, ქ. თბილისში, 2010 წლის 20 ოქტომბერს, ა. ყაზბეგის გამზირზე, ხალხის თვალწინ როგორ წაიჭირა ზ. ზარანდიამ სახალხო ქონების დატაცებაში, როგორ შეუდგინა სათანადო აქტი, "ჩური" როგორ უძახა მასაც და როგორ აბღავლა...***

დღეს როგორ მიბედავს ეს პეშვგაშვერილი მედროვე ზნეობის შეხსენებას ან თქვენ რანაირად უზიხართ გვერდით ამ ქრესტომათიულ ბაცაცას, აი, ამაზე თუ გაქვს პასუხი, ჯემალ!

დიახ, შენს გვერდით მჯდომს, რატომ აბედვინებ ამას ამ ჩასველებაშემშრალს. როდესაც ეს უსირცხვილო ამგვარი ხმაბოდვებით ერთობა, ხომ არ დაგავიწყდათ, ბატონო ჯემალ, რომ 1992 წელს ჯაბა იოსელიანმა ორჯერ გასცა ჩემი (მდაბალი რიგითის) და რამოდენიმე ერისკაცის (სხვათაშორის, შენიც) დახვრეტის განკარგულება.

სწორედ, გუშინ, როდესაც მეგობრის წვეულებაზე შევხვდი, იმ დროს სოხუმში სამთავრობო და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა ს. წურწუმიამ ვ. კადენეცის - სოხუმის რ-ნის ყოფილი ხელმძღვანელის დასწრებით გაიხსენა, თუ როგორ დაავალა მას ჯაბა იოსელიანმა ჩვენს დასაპატიმრებლად და შემდეგ დასახვრეტად გაყოლა, ანუ სერგი საჯაია, რევაზ ასმავა, ჯემალ გამახარია და ა. შ. უნდა "გაესაღებინათ". ამ სიაში მე პირველი ვეწერე,

თურმე, ჯემალ! საბედნიეროდ, ს. წურწუმიასთან ერთად აღმოჩნდნენ წინგახედულებიც, რომელთაც დაუმოწმეს ბატონ სერგოს და გადააფიქრებინეს ბოლო წუთს ჯაბას ამ გადაწყვეტილების შესრულება და ა. შ. (სხვათაშორის, იმ დროს ჯაბას აუტანლად ასტკივებია კუჭი და ს. წურწუმიას ვიღაც მეწამლის ნახელავით მოურჩენია იგი, რის გამოც, მადლიერმა "სარდალმა" თხოვნა შეუსრულა სერგოს).

ჩვენი დახვრეტის საფუძველი კი ეროვნული ხელისუფლების ერთგულება და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასასხვისებლად შემზადების მხილება იყო, რაც დ. გვაძაბიას კოტიტა თითებითაც ხდებოდა.

აი, ვინ არის ქვეყნისა და ქართველი ერის მოღალატე და რადაც არ უნდა დამიჯდეს, ქვეყნის უშიშროებასა და პროკურატურას შევასწავლინებ როგორც პირადად ჩემს, ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. სხვა საქმე მე ახლა არ მაქვს. ამ ნაგვისგან უნდა გავასუფთავო ჩემი ხალხის ყოველდღიური გარემო.

ახლა, რაც შეეხება იმას, თუ ვინ როგორ დახურდავდება და რა დონეზე დაიმდაბლებს ეს ხელისგოგო თავს: შენ გეუბნები, ქალო, ისეთი შუბლისძარღვგაწყვეტილობით ასრულებ რუნგუ დ. გვაძაბიას დაკვეთას, ასე მგონია, ესესაა, წრეზე ჩამოგატარეს. დახურდავებული და თავდამდაბლებული კი არა, მკაფიოდ ვხედავ, ხუთ ლარად როგორ შეახტები ცვედან ლაჯებზე დავითს.

არ აწივლდე ახლა, მეეჭვება, მაგრამ თუ მაინც დადიხარ ეკლესიაში რ. ქარაიასავით ხანდახან თავზე თავსაფარმოსახურად, ჰკითხე მოძღვარს, ის, რაც გააკეთე, შენთვის უცნობ კაცს ლაფისროლას რომ უნდომებ, ეს ნაკლები თუა სადმე ჩირგვებში საჩუმათო ფეხებაწევაზე.

***შენ იცი, რაა სამშობლო?! ეს რომ იცოდე, ჩემს ძალიან მოკრძალებულ ვინაობასაც დალანდავდი სადმე მის კალთებზე, იმ კალთებზე, სადაც, გიმეორებ, სულაც უმნიშვნელო, ცვრის ხელა იქნებ, მაგრამ ჩემი სამამულო ოფლიცა და სისხლიცაა ჩაწვეთებული მასში, განსხვავებით დ. გვაძაბიასგან, რომელიც ჩახორცმეტებაა ოდაბადეში მხოლოდ!..***

აი, ვინა ხარ შენ, თავს დაიმდაბლებ კი არა, უკვე ხარ სიმდაბლე და ვერც ვერასოდეს აიმაღლებ სხეულს, რადგან სულით ხარ ჯუჯა და ბერწი...

მკაფიოდ და ხმამაღლა უნდა ვთქვა, რომ იმ არემარეში, სადაც დ. გვაძაბია წინამდებარე მოცემულობასა და აქედან გამომდინარე შინაარსში ისაგნება, ყოველგვარი საუბარი ღვთივსათნო ღირებულებებზე ზედმეტია, თუმცა, მე ვაფასებ, რომ მან შეძლო მისი ნათაღლითარი სიცხადის მოთვალსაწიერება და არასასურველად მიიჩნია იგი, ამიტომ, მათს შელამაზებას ცდილობს. ეს კარგია, ოღონდ ცუდი, ძალიან სააუგო გახლავთ ის, რომ მას ამჯერადაც ვირეშმაკული ილეთებით უნდა, თავი

დაიდგინოს წესიერებაში. დავით გვაჯა, თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ კუთხეში მისირღინებულ გ. გვაზავასთან გაქვთ საქმე, რომელთანაც შედარებით დიდი ტურა ხართ და ისე გამოუდის მას, პატარა ტურა დიდ ტურას ატყუებდაო. დ. გვაზავასთან თქვენ იმარჯვებთ, რადგან მასთან შედარებით თქვენ მართლა ბრძანდებით დიდი და არაერთგზის ნახაფანგარი ტურა.

***მე სხვა ჯიშისა ვარ, დავით, უფლის მონიშნული ზნეობრივი ნიშანსვეტებისკენ ვიწვალდავ გზას და ვიცი, უფლის კარნახით ტურაზე უკეთ ვიცი მისი ოინები, ამიტომ, მიდი, ასეთი წერილები თქვენ და ანზორმა უცვალეთ ერთმანეთს. მე ამგვარი მახათგაყრილობით თვითდასაქმებისთვის არ მცალია.***

***

ბატონო ჯემალ, არ შემიძლია არ შეგახსენოთ და ან დამიდასტურეთ ან უარყავით, რომ ჯერ კიდევ 2011 წლის იანვარში თავმჯდომარის მოადგილეს თ. ხუბუას და თქვენ, ასევე მომარაგების დეპარტამენტის უფროსს ზ. ზარანდიას არაერთხელ გითხარით, რომ ა. წოწონავა ზეგავლენის მოსახდენად ყველა დეპუტატზე, განსაკუთრებით კი თ. ხუბუაზე, გ. გვაზავაზე, დ. გვაძაბიაზე, რ. ქარაიაზე, ნ. მგალობლიშვილზე და ა. შ. საძრახ "მტკიცებულებებს" აგროვებდა, რომელთა მოხერხებულად გასაჯარისებას მოითხოვდა ჩემგან. მე მაშინ ისიც გირჩიეთ და მოგიწოდეთ კიდევაც, რომ მისი სეიფიდან ამოგეღოთ ეს საზემოქმედო მასალები, თანადგომასაც დაგპირდით, აგიხსენით პირადად თქვენ, რომ სულ უფრო ავანტიურისტული ხდებოდა ა. წოწონავას სურვილი სასამსახურო კიბეზე ზესვლისკენ, რაშიც თუ გვერდში არ დავუდგებოდი, იგი მ. სააკაშვილის მამხილებელ ჩემს წიგნს მიიტანდა იქ, სადაც საჭირო იყო.

მე მას ვუპასუხე, რომ ჩემი ყველა წიგნი იდო ეროვნულ ბიბლიოთეკაში და იქ, "სადაც ჯერ არს", იცოდნენ, რაც ეწერა მასში.

]თქვენ მაშინ, არ ვიცი, იქნებ შეგეშინდათ და ამიტომ, არ დამიდექით გვერდში და შეუწყვეთ ხელი ა. წოწონავას ამ სამხილების გადამალვაში.

აქვე, ხმამაღლა გეკითხებით, რის საფუძველზე იკვირვებენ ზუსტად დღეს ესენი ა. წოწონავას მიერ გაწეულ ძირგამომთხრელობას, როცა მთელი 2011 წელი არათუ თ. ხუბუასა და ჯ. გამახარიას, არამედ, მთლიანად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს მოვუწოდებდი, ამოეღოთ ის მასალები, მაგრამ იმის გამო, რომ მათში ძალიან ბევრი რამ მათზე სწორი ისაგნებოდა, თან შეიძლება, ჟურნალისტებისთვის გასაჯარისებულიყო, აგერ, პირში გეუბნებით, თავი დაიზღვია და პრეზიდიუმმაც ერთხმად შეუწყო ხელი ა. წოწონავას, რათა ეს მასალები თავაუტკივებლად გაერიდებინა იქედან.

აქედან გამომდინარე, ჩემს საფუძვლიან აღშფოთებას იწვევს ის, რომ თ. ხუბუა ისე იჭერს თავს, თითქოსდა, ყოველივე ეს ჩემგან მანამდე არ

გაუგია, ხოლო თქვენ, ბატონო ჯემალ, რაღაც საეჭვო მიზეზიდან გამომდინარე, არ ინებეთ ამა წლის 9 ნოემბერს, როცა გაფართოებულ კრებაზე ჩემს საკითხს იხილავდით და ეს ამბავი არ გააცხადეთ, ანუ ჩემს მიერ ა. წოწონავას ჩასაფერებულ საქმიანობაზე თქვენ თითქმის ორი წლის წინ რომ იყავით გაფრთხილებულები, კრებას დაუმალეთ, რითაც თაღლით ა. წოწონავას თავდაძვრენის საშუალება მორიგჯერ მიეცით.

არ ვარგა ასე, ჯემალ, ვშიშობ, ღმერთს არ გაუხარდება ეს.

***

ბატონო ჯემალ, როგორც ცნობილმა მოღვაწემ სოხუმიდან ვ. კ-მ გაიხსენა, ჯერ კიდევ ე. შევარდნაძის დროს, აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი უმაღლესი საბჭოს დეპუტაცია მოსკოვს ჩავიდა საინფორმაციო საქმიანობისთვის (90-იანი წლების მეორე ნახევარი იყო). დაინიშნა შეხვედრა რუსეთის დუმის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან. ”ჩვენს” დეპუტაციას ხელმძღვანელობდა გ. გვაზავა.

ვერც საქმიან შეხვედრებზე და ვეღარც პრესკონფერენციაზე გ. გვაზავამ ვერ მოახერხა, თურმე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა ეთნიკური წმენდის, გენოციდის, ყოფითი და სულიერი ცხოვრების ნაკვალევთა განადგურების დამაჯერებელი ახსნა-გასაჯარისება. მას საქმეზე ზედმიწევნითი ზერელობით უსაუბრია, გაუბედავად, ბლუკუნით, შიგადაშიგ, ვითომ, ძველბიჭური გამოხდომებით...

ბოლოს მოთმინება დაკარგულ გიორგი ტიხონოვს, დუმაში ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობის პირს უთქვამს, რისთვის ჩამოხვედით, რისი თქმა გსურდათ, ვერ გავიგეთო, - მომავალში, როცა ჩამოსვლას მოინდომებთ, საკითხი მოამზადეთ და რაც გინდათ, მკაფიოდ გვითხარითო!

”ჩვენი” პრესკონფერენციის შემდეგ ვ. არძინბას ჩაუტარებია იქვე, ისეთივე ღონისძიება და ხელში აუყვანია მთელი დარბაზი.

ასეთი უჭყანო, უვიცი და უსულგულოა გ. გვაზავა სამამულო საქმიანობაში. აბა, გაიხსენეთ, ორთაჭალაში კინაღამ მთელი ოცი წელი აფსუური ლიტერატურის ფუძემდებლის - დ. გულიას ძეგლი ცხვირმომტვრეული იდგა. მიდამო სანაგვედ იყო გადაქცეული. ამ წლების მანძილზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ მოკლებია გ. გვაზავას ცოლის სარეცხებს, ხოლო ცნობილი მწერლის ძეგლის შესაკეთებლად თანხა ვერ გამოიძებნა, სანამ პენსიონერებმა ვ. კადენეცმა და ს. წურწუმიამ თავიანთი დანაზოგიდან 2012 წლის ზაფხულში არ დადეს საჭირო თანხა და ოთარ ღურწკაიას - ვარჩელი (დ. გულიას სოფელია) მოქანდაკის მონაწილეობით ხელოსანს არ მოაწესრიგებინეს შელანძღული ძეგლი. ანდა, გახედეთ ვ.

ვეკუას მემორიალს, ნაგვითაა წალეკილი იქაურობა და მერე გადით და მოათვალიერეთ გეიდარ ალიევის ძეგლი აბანოთუბანში, თვით რუსთაველის აქანდაკება თუა ასე მოვლილი. სირცხვილი ჩვენი!..

მე გეკითხებით, თქვენ, თუ ო. ღურწკაიას, ვ. კადენეცისა და ს. წურწუმიას წინგახედვამ გაინაბიჯა ქველმოქმედებისკენ, თქვენ რატომ არ შეგაწუხათ ამან და არ მოგაგვარებინათ ეს, არც თუ მეორეხარისხოვანი საქმე, რაც უწყებრივად მოგეთხოვებათ, ზნეობას რომ თავი დავანებოთ?!

სხვათაშორის, დ. გულიას ძეგლის მდგომარეობას არც აფხაზეთის სულიერების ცენტრის ხელმძღვანელი, აფსუა ქალბატონი ს. ქეცბა შეუწუხებია, რომელმაც დ. გულიას ხსოვნის საღამო არაერთხელ ჩაატარა თბილისის ცენტრში.

ორთაჭალაში დ. გულიას ძეგლისთვის არც მაშინ მიუკითხავს ვინმეს, იგი ხომ შოთა რუსთაველის გამზირიდან მოშორებითაა!..

***

...ამასობაში ცოტა გავცხარდი, ბოდიში ქალბატონო ქეთი, შევრიგდეთ, დილამდე კი გვაქვს დრო ამ ტახტზე, მაგრამ საქმეც წავიგდოთ წინ და მომისმინეთ კარგად: მე მგონი მეათედ ვიმოწმებ ჩემს წერილებში, მაგრამ ღირს საგაკვეთილოდ ეს. კ. გამსახურდია იგონებს ერთგან სწორედ საამადგილოდ დასამოწმებელს, - *მეორე მსოფლიო ომის დროს, ბერლინში ფრანგი ოკუპანტები შემოვიდნენ, საღამოს მეძავებთან მოინდომეს გართობა. ფრანგმა ჯარისკაცებმა ფული აძლიეს გერმანელ "იმნაირებს". აღშფოთდნენ ეს ქალბატონები - თქვენ გერმანელების სისხლი არ შეგშრობიათო და ახლა გერმანელი ქალის ალერსი გინდათო საყიდლად?!*

წეღან კი ავბობოქრდი, მაგრამ მართალი ვიყავი, აბა, მშვიდად გავისიგრძეგანოთ, რაკიღა, ფულზე არ გაიყიდა, ხომაა ის მეძავი თქვენზე დიდი. თქვენ, მერე რა, რომ თაღლით და ლაჩარ დ. გვაძაბიას ხელმოწერით აკეთებთ ამას, თვითონ მიცნობთ მე იმ დონეზე, რომ ვიღაცის, თუნდაც უანგარო თხოვნის გამო, თქვენთვის უცნობ კაცზე თავს ასე უტიფრად მისცეთ უფლება, თქვენი ცილისმწამებლური აკრიახების შესაბამისად ამრავალცალოთ ესოდენ მხილებული სიცრუე?! თან წმინდა წერილსაც ეპოტინებით ამ დროს, არადა: *"არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა, წამებითა ცრუითაო" (9).* უფალი რჩევას კი არ გაძლევთ უბრალოდ, პირდაპირ მოითხოვს თქვენგან, არ ემსახუროთ სიცრუეს, ან კიდევ, გაიხსენეთ ცხრა ნეტარება: *"ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისთვის, რამეთუ იგინი განძღნენ" (4); "ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა" (8).*

საუზნეოდ თქვენდა, მთელი ეს 6 ფურცელი იამბესი ჩემზე ცილისწამებათა მიზნობრივ გაოთხივკუთხებასა და დ. გვაძაბიას "კარგი კაცობის" წარმოჩენას ემსახურება. კი ბატონო, სწორი ხართ, რაღაცაში შევთანხმდეთ: მე ქვემოთ ჩამოვთვლი იმ ბრალდებებს, ჩადენილს დ.

გვაძაბიას მიერ ქვეყნისა და ერის წინაშე, რასაც დამანგრეველი შედეგები მოჰყვა და რისი დამტკიცება მე შემიძლია ილორის წმინდა გიორგის ხატის, სახალხო მსჯავრისა თუ სასამართლოს წინაშე, ხოლო თქვენ მტკიცებულებებით უარყავით ეს. დიახ, ამის გასწვრივ საპირწონე რაღაც ყურმოკრულობებით კი არ წამომიყენოთ, როგორც ამ იამბეში აკეთებთ ამას. მე შემიძლია გითხრათ, საერთოდ ვინა ხართ, რა დამსახურება გაძლევთ უფლებას ან თქვენ ან თაღლით დ. გვაძაბიას, თავი გამიტოლოთ მეთქი, მაგრამ არ გეუბნებით. "მხილებებს", რომელთაც ამიფრიალებთ, როგორც წეღან გითხარით, ***მარწმუნებლად უნდა დაუდგეთ ილორის წმინდა გიორგის ხატის, სახალხო მსჯავრისა და სასამართლოს წინაშე.***

სანამ რამოდენიმე შეკითხვას დაგისვამდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ მე დ. გვაძაბიასთან არაფერი საპირადო სარკვევი არ მაქვს, მას ვამხელ მხოლოდ ქვეყნის ღალატში, უზნეობაში, ორპირობაში, გარეწრობაში და ა. შ. თითოეული ამ თითმიშვერის უკან ძალიან ცხადი და ვერ წაშლილი ბოროტმოქმედებაა, ჩადენილი მის მიერ. ამ ბრალდებებს ***მე ხელმოუწერლად კი არ ვავრცელებ ჩასაფრებული, ხელს ვაწერ და სამართალდამცავ სამსახურებში ვარდგენ, თუმცა, დღემდე დ. გვაძაბია და მისი თანამოსაქმეები მ. სააკაშვილის რეჟიმისგან არნახული ზურგის ქარით სარგებლობენ, იმ რეჟიმის, რომლის მხილებისთვის მასთან დამასმინეს, პოლიტიკური დევნა მომიწყვეს, ქუჩაში გამაძევეს და შემდეგ თვითონ უღალატეს მას და სხვა ბანაკში გადაბარგდნენ, ისე, რომ არც უგრძვნიათ სინდისის ქენჯნა, რას ვერჩოდით იმ მართალ კაცსო. აი, რა არის უსინდისობა!***

მაშ, ასე, დარწმუნდით, ნახეთ თუ რას ვედავები მათ:

***

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული
დეპარტამენტის უფროსს ბატონ გენადი ქაჩიბაიას

სერგი საჯაიას (მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბანი,
შანდორ პეტეფის ქ. #17, ტელ.: 599 11 75 93; 275 46 72)

განცხადება

როგორც არაერთგზის მოგახსენეთ, 2012 წლის 10 აპრილს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შევიტანე განცხადება, სადაც აღწერილი მქონდა ის ბოროტმოქმედებები, რაც ხდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში. მას შემდეგ ამ დანაშაულობათა შესახებ განცხადებები უშედეგოდ, მაგრამ ისევ და ისევ მოგეწოდათ, კერძოდ: 2012 წლის 1, 18, 28 მაისსა და 14 ივნისს დაწვრილებით გაუწყეთ მხილებულ თაღლითობათა და მათ მფარველთა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაზე. ამ ვითარებაში არანაირი გამართლება არ შეიძლება, მოეძებნოს იმას, რომ ამ ნახევარი წლის მანძილზე მთავარი პროკურატურა არ დაინტერესდა ასე გახმაურებული დანაშაულობებით.

პასუხი იმაზე, თუ რა ბედი ეწია ხსენებულ განცხადებებს, დაიწყო თუ არა გამოძიება ამასთან დაკავშირებით, დღემდე არ მიმიღია.

2012 წლის 26 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მივმართე განცხადებით, რითაც ვითხოვე, სათანადო წარმოებით გაერკვია - ხომ არ არსებობს პროკურატურის მხრიდან საეჭვო მიკერძოება, ანდა, რაიმე სახის ბოროტმოქმედული გარიგება. ასევე, ვთხოვე, მას დაევალებინა პროკურატურისთვის, წერილობით გამცემოდა პასუხი ყოველივე ამაზე. არც ამის შემდეგ გამარკვიეს ვითარებაში.

სამაგიეროდ, 2012 წლის 5 და 16 ივლისს წერილით მეცნობა, რომ ჩემი განცხადებები გენერალური ინსპექციიდან გადაიგზავნა საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულ დეპარტამენტში. უფრო დაწვრილებითი პასუხი თუ რა დონეზეა გამოძიება, ასევე არ მიმიღია დღემდე.

აქვე აღვნიშნავ, რომ: ისარგებლა რა ზედმიწევნითი გულგრილობით წარმოებული გამოძიებით (თუ საერთოდ მიმდინარეობს გამოძიება, რაც მეტად საეჭვო ვითარებას ქმნის), მიმდინარე წლის 22 აგვისტოს გაზეთში "ყველა სიახლე" გია გვაზავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავდა, რომ მე მას ცილს ვწამებ, რადგან პროკურატურამ არავითარი პასუხი არ გასცა ჩემს განცხადებებს. უფრო მეტიც, გამოჭენებულმა ბოროტმოქმედებებმა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოდან მიმართეს სასამართლოს და მიჩივიან, ვითომცდა მათზე ცილისწამების გავრცელებისათვის. ასევე მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომელიც ვრცლად შემიძლია, მხოლოდ პირადად მოგახსენოთ, ანუ ასეთი ნებსითი თუ უნებლიე მხარდაჭერით გულმოცემული გია გვაზავა ავრცელებს ხმებს, თითქოს საქმე ჩააწყო პროკურატურაში და ჩემს განცხადებებს არც არავინ განიხილავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით მოვითხოვ: შემჭიდროებულ ვადებში წერილობით მაცნობეთ, თუ რა ძალისხმევა მოჰყვა ჩემს განცხადებებს, ვინაიდან თქვენი დუმილი სინამდვილეში იქცა ჩემს მიმართ მორალური, პოლიტიკური და "სამართლებრივი" ტერორის განხორციელების ნებართვად.

პატივისცემით, სერგი საჯაია

17.09.12 წ.

***

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას

სერგი საჯაიას (მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბანი,
შანდორ პეტეფის ქ. #17, ტელ.: 599 11 75 93; 275 46 72)

განცხადება

იმ ვითარებაში, როდესაც ამ დღეებში გასაჯაროებული ამაზრზენი ბოროტმოქმედებების (მსჯავრდებულთა ღირსების შელახვის, გაუპატიურების, წამებისა და ა. შ.). გამო ქართულ საზოგადოებას თავს მოეხვა საყოველთაო გაოგნება, აღშფოთება და სახალხო რისხვა, დიახ, როდესაც იკვეთება არა მარტო სასჯელაღსრულებით უწყებაში, არამედ, მთავარი პროკურატურის, შს და იუსტიციის სამინსიტროებისა და ა. შ. დანაშაულებრივი, საეჭვო და არაჯეროვანი საქმიანობა, რაც, თვით პრეზიდენტ მ. სააკაშვილის განმარტებით (2012 წ. 20

სექტემბერი, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხი) წარმოადგენს სისტემურ მარცხს, ხოლო საზოგადოების შეფასებით (2012 წლის 21 სექტემბერი, ტელეარხი "კავკასია") იგი გახლავთ სისტემური ბოროტმოქმედებები, ასევე, შესაბამისად მთავარი პროკურატურის ანუ თქვენივე განცხადებისა (2012 წ. 22 სექტემბერი, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხები), რომელიც საზოგადოებას მოუწოდებს, - ამხილოს ნებისმიერი ძირგამომთხრელი საქმიანობა სახელმწიფოს წინააღმდეგ, - დაბეჯითებიოთ მოვითხოვ, ცნობად მიიღოთ ჩემს მიერ მიმდინარე წლის 10 აპრილს, 1, 18, 28 მაისს, 14 ივნისს, 4 აგვისტოს და 17 სექტემბერს მთავარ პროკურატურაში, ხოლო ივლისსა და აგვისტოში იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში შეტანილი განცხადებები, რომელთა მიმართ კანონით დაზუსტებული შესაბამისობა უნდა განხორციელდეს. როგორც უნდა მოგეხსენებოდეთ, მათში მე ვამხილე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის, რიგი დეპუტატისა და საჯარო მოხელის მიერ ორგანიზებული ელიტურ-კოლექტიური კორუფცია, ასევე მისი თანმიმდევრული დაფარვა. უფრო მეტიც, საქართველოს მთავარი პროკურატურის ლობისტური და გენერალური ინსპექციის გულგრილი დამოკიდებულება ამ გამოჯენებული დანაშაულებებისადმი სწორედაც რომ წარმოადგენს მტკიცებულებას იმაზე, რომ სამართალდამცავი სამსახურები ჯერ კიდევ საიმედოდ ვერ დგანან ზნეობისა და კანონიერების სადარაჯოზე.

მოგმართავთ რა თქვენ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ წინამდებარე განცხადება, რომელიც თქვენ მოგეწოდათ თანდართულ მასალებთან ერთად, განხილული გახლავთ დევნილი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან.

]ისინი, კანონით გათვალისწინებულ ვადებში, ჩემთან ერთად ელიან თქვენს პასუხს.

პატივისცემით, სერგი საჯაია

24.09.12 წ.

***

საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ ა. კბილაშვილს

სერგი საჯაიას - მწერლის
(მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბანი,
შანდორ პეტეფის ქ. #17, ტელ.: 599 11 75 93; 275 46 72)

განცხადება

ბატონო არჩილ,

მოგახსენებთ, რომ 2012 წლის 10 აპრილს; 1, 8, 28 მაისს; 14 ივნისს, ასევე მიმდინარე წლის 4 აგვისტოსა და 17 სექტემბერს განცხადებებითა და მას თანდართული მტკიცებულებებით მივმართე მთავარ პროკურატურას, რომელშიც აფხაზეთის ა/რ-ის ხელმძღვანელობას ვამხელდი მათ მიერ ორგანიზებულ ბოროტმოქმედებებში, რომელმაც მიიღო თანმიმდევრული ელიტური კორუფციის სახე. ამასთან ერთად მივუთითებდი, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე ელიტურ კორუფციას მფარველობდნენ პრეზიდენტ _მ. სააკაშვილის მეუღლე ს. რულოვსი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დ. ტყეშელაშვილი, პარლამენტიდან - დ. ბაქრაძე, მ. მაჭავარიანი, ხ. გოგორიშვილი, შ. მალაშხია, გ._

*თორთლაძე და ა. შ.; შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ს. თოფურიძე, იუსტიციის მინისტრი ზ. ადეიშვილი, გენერალური ინსპექციიდან ნ. ბიწკინაშვილი, კონტროლის პალატის უფროსი ლ. ბეჟაშვილი, საქართველოს მთავარი პროკურორი მ. ზოდელავა (მამამისის შუამავლობით), რაც მთავარია, ძმები ახალაიები და ა. შ.*

არც ერთ ჩემს განცხადებაზე დღემდე მთავარი პროკურატურიდან პასუხი არ მიმიღია. საკითხის განხილვით არც იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას შეუწუხებია თავი, რომელსაც ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით 7-ჯერ მივმართე.

ბატონო არჩილ, საქმის გამზირი ძალიან მოკლედ ასე გამოიყურება: 1 ვმსახურობდი რა 2002-2011 წლებში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ბოლო დროს მისი პრეზიდიუმის ბოროტმოქმედული და არაკომპეტენტური საქმიანობის გამო, მასთან კონფლიქტური ურთიერთობა შემექმნა; 2. ასევე, ვინაიდან 2005-2010 წლებში გამოვაქვეყნე პრეზიდენტ მ. სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი, არასახალხო, როგორც დრომაც დაადასტურა, ქვეყნის სახალხო ნების საწინააღმდეგო საქმიანობის ამსახველი 5 სქელტანიანი წიგნი (საერთო ჯამით 3000 გვერდამდე), რომლებშიც ვამხილე მ. სააკაშვილის მკვდრადშობილი საქმიანობა.

აქედან დაიწყო ჩემს წინააღმდეგ ორგანიზებული რესპრესიები და როგორც "პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო და მოღალატე", სამსახურიდან ძალზე ცინიკური ფორმით გამაძევეს.

ბატონო არჩილ,

მოგმართავთ რა თქვენ, დაბეჯითებით გთხოვთ, 1. თქვენთვის ჩვეული მიზანდასახულობით, გულსიხმიერებითა და ადამიანთმოყვარეობით შეისწავლოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 10 აპრილიდან დღემდე წარმოვადგინე და რომელთა საფუძველზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას ვამხელ დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა და, უპირველეს ყოვლისა, მათ მიერ ორგანიზებული ელიტური კორუფციის თანმიმდევრულ წარმოებაში;

2. განსაკუთრებით გთხოვთ, გამარკვიოთ, ქვეყნის პრეზიდენტის მხილება მის არასახალხო და მიზანშეუწონელ საქმიანობაში, რომელიც დროით დასტურდება, არის თუ არა ქვეყნის (გნებავთ ხელისუფლების) ღალატი და ამის საფუძველზე გატარებული რეპრესიები პიროვნების წინააღმდეგ, ნიშნავს თუ არა მის პოლიტიკურ დევნას?!

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,

სერგი საჯაია - ნ. ნიკოლაძის, გ. შარვაშიძისა და ზ. გამსახურდიას პრემიათა ლაურეატი; მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

განცხადებას თან ერთვის: 1. წიგნი "შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში", 2012 წ. მეორე ნაწილი;

2. ჯ. გამახარიას, ო. ჩარკვიანის, ზ. ზარანდიას - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატისა და პასუხისმგებელი თანამდებობის პირთა მხილებები გ. გვაზავას კორუფციის შესახებ 33 ფურცელზე;

3. ს. საჯაიას სტატია "მომტრისკაკუნე ანაბიჯებები ე. წ. აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებაში..." 25 გვ.

2.11.2012 წ.

***

ღრმადპატივცემულო ქალბატონო ქეთი, დ. გვაძაბიასთვის თქვენი ვინაობის მიქირავებით თქვენ ცოდვა დაიტეხეთ თავს, ***ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს სხეულის რომელი ნაწილი, სული ან გონება გააქირავეთ,*** რაკი ის ღვთივსათნო საქმეს არ ემსახურება და გამიზნულია სახალხო ნების საწინააღმდეგო შეთქმულების დასაფარავად, ამიტომ მე აქ ვამთავრებ თქვენთან ზნეობაზე საუბარს. ახლა ამ ტახტიდან აზრძანებას გთხოვთ და გარეთ გაზრძანებისკენ მოგიწოდებთ, თან გირჩევთ, თქვენ იმხელაზე ივნეთ სული ამ ცრუმოწმეობით, რომ მხოლოდ გულწრფელი სინანულით შეიძლება გაიგნოთ გზა უფლისკენ. *რა თქმა უნდა, თქვენმა ქვეგამხედვარე უტიფრობამ, ურცხვმა ტყუილებმა და ყოვლისმკადრებლობამ მეც თავს მომახვია სისუსტე და, მართალია, თქვენთვის დამსახურებული, მაგრამ ჩემთვის შეუფერებელი წინადადებებით მალაპარაკა ერთი კვალობა!.. ღმერთმა შეგინდოს, წადი, კარგს იზამ თუ ამ საძრახ საქმეს შეეშვები!..*

*******

აი, აქედან მკითხველის თვალწინ და მის საყურადღებოდ მინდა, დ. გვაძაბიას შევახსენო ***თუ რატომ არა აქვს მას უფლება ილაპარაკოს ზნეობაზე და თავი სახალხო ნების გამომხატველად დაიდგინოს: 1***. *ის გახლავთ 1992 წლის გაზაფხულზე აგრესორ სეპარატისტებთან გარიგებული, კერძოდ, იყო რა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს დეპუტატი, იმისათვის, რათა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შემცირებულიყო ქართველთა ხმა, იგი დათანხმდა ვ. არძინბას ცრუ მოძრაობულ ჩანაფიქრს - გულრიფშის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე გადასულიყო და დაეთმო დეპუტატის მანდატი, რითაც დააღალატა ქართული მხარე. ეს გახლავთ პირველი ღალატი (დ. გვაძაბიას ღალატებს ავითვლი მხოლოდ 1992 წლიდან, მანამდელ მის სავერაგო საქმინაობაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, ერთს კი ვიტყვი, იგი არასდროს არ იყო ხალხისთვის სამოგებო და ყოველთვის უპირისპირდებოდა სახალხო ნებას); 2. ეწეოდა რა ორმაგ თამაშს, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთვის (აფხაზეთისთვის) ველიკოდერჟავული ძალების მიერ თავსმოხვეული საომარი ავანტიურის დროს მან დაიწყო ე. შევარდნაძის პროვოკაციული პოლიტიკის გატარება, რითაც დაუპირისპირდა აფხაზეთის მოსახლეობის სახალხო ნებას, რის გამოც ე. შევარდნაძემ შეუნარჩუნა გულრიფშის რაიონის გამგებლის თანამდებობა (ღალატი მეორე); 3. მიუხედავად იმისა, რომ 1992-93 წლებში დ. გვაძაბია ასრულებდა გულრიფშის გამგებლისა და, შესაბამისად, რაიონში თავდაცვის შტაბის უფროსის მოვალეობას, მან თავისი დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობისა და ბოროტმოქმედული გულგრილობის გამო არ შეიმუშავა მშვიდობიანი მოსახლეობის*

*უსაფრთხო ადგილებში დროული გახიზვნის გეგმა და ამისათვის არ გაატარა სათანადო ღონისძიებები, რის გამოც 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ქართული სახელმწიფოს მტრების მიერ გულრიფშის რაიონის ოკუპაციის დროს უმწეო მოსახლეობა გახდა ერთბაშა ჟლეტის, ძარცვის, გაუპატიურებისა და ა. შ. მსხვერპლი (ღალატი მესამე); 4. დ. გვაძაბიამ არ განახორციელა საჭირო ზომები იმისათვის, რათა ლათა-ჭუბერის მონაკვეთში ქ. სოხუმის, ასევე სოხუმისა და გულრიფშის რაიონებიდან ლტოლვილ მშვიდობიან მოსახლეობას საშუალება მისცემოდა უსაფრთხო ადგილებში მიზნობრივ წინააღმდეგობათა გარეშე გაეღწია (ძარცვა, კუთხურობის გამოვლენა, გაუპატიურება და ა. შ. - ღალატი მეოთხე); 5. თვითონ დ. გვაძაბიამ, გულრიფშის რაიონის გამგებელმა და თავდაცვის შტაბის უფროსმა, 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში აფხაზეთის, კერძოდ კი სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ოკუპაციის დროს, არ მიიღო მონაწილეობა თავისი რაიონის მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებში გასაყვან საევაკუაციო სამუშაოებში, ანუ არ შეასრულა ის მოვალეობა, რაც მის მაღალ სახელმწიფო თანამდებობაში იგულისხმებოდა, დროზე ადრე გამოიპარა, რათა საკუთარი თავი ეხსნა და ქონება გამოეხიზნა (ღალატი მეხუთე); 6. დევნილობის დროს დ. გვაძაბიას ე. შევარდნაძის ხელისზიჭობისთვის უკანონოდ აღედგინა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება (ღალატი მეექვსე); 7. ამ ხნის განმავლობაში დ. გვაძაბია, იყო რა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე, როგორც სანდო წყაროები ამტკიცებენ, თანმიმდევრულად ეწეოდა ორგანიზებულ ბოროტმოქმედებებს, რამაც მიიღო ელიტური კორუფციის ხასიათი, რომლის დროსაც იგი დანაშაულებრივი გზით ისაკუთრებდა დევნილებისთვის განკუთვნილ ქონებას, შემწეობას და ა. შ. (ღალატი მეშვიდე); 8. ბოლო დროს დ. გვაძაბია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობაში ორგანიზებული ელიტური კორუფციის ერთ-ერთი თავკაცია და კვლავ უკანონოდ იჯიბავს დევნილთათვის განკუთვნილ თანხებს (ღალატი მერვე); 9. ჩაეფლო რა ელიტურ კორუფციაში, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სხვა ხელმძღვანელობასთან ერთად ჩაშალა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციაზე მუშაობა (ღალატი მეცხრე). ამ ჩამონათვალის გაგრძელება საკმაოდ შეიძლება, რომელთა უკან ისეთი მტკიცებულებებია, რომელთა გადარეცხვა თვით ჟამთაბერსაც არ შეუძლია.*

<u>*ასეთ დროს დ. გვაძაბიას მხრიდან რაიმე სიწმინდეზე, კაცობაზე, სამშობლოზე თუ ამ ღირებულებათა შესაბამის ტკივილზე წუთჩაფიქრება გახლავთ სისხლაღრევა მშობლიურობასთან და სახალხო თვალსაწიერის გაუპატიურების მცდელობა, რადგან ზნეობაზე რომ ილაპარაკო, ზნეობაში უნდა იცხოვრო, რაც დ. გვაძაბიას სულის მოთხოვნილება არც არასოდეს ყოფილა!..*</u>

<u>*მახსენდება, როდესაც ზ. ზარანდიამ ის სახელმწიფო ქონების დატაცებაში ამხილა (2010 წ. 20 ოქტომბერი), როგორი ჩასველებული დაილანდებოდა იგი თავზარისგან, კინაღამ მუხლზე დაცემული იხვეწებოდა, ციხეში არ გამიშვათო. აი, ეს კაცი, ის კი არადა, კიდევ მეტი, - თავისი საქმიანობით მტრის ჯაშუში დ. გვაძაბია, მე ერის ღალატზე რომ მესაუბრება, ეს ჩვენი საზოგადოების სისუსტეა!*</u>

დღეს ჩანასველი შეიშრო და შეხედეთ, ღირსების კვარცხლბეკზეც უნ-

და აცოცება. არ გამოგივა, დათო გვაჯა, შენ კი გგონია ამგვარად, მაგრამ ხალხი არაა შენი გირინი!

ასეთ ვითარებაში მდგომარეობა სულაც არ გახლავთ იმგვარი, ”ჯანდაბამდის გზა გქონიათო”, მივუკურთხოთ მამაპაპურად და ჩვენი გზა განვაგრძოთ. ჯერ ერთი, ვერ განვაგრძობთ, იმიტომ, რომ ეს გზა ჩაიხერგა, მეორეც, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ისეთი მნიშვნელობის ინსტიტუციაა, რომლის შეტოვება ამ პოლიტიკური არამზადებისთვის თავისთავადაა დანაშაულიც, წინგაუხედაობაც და საბოლოო ჯამში არასახალხოობაც (2012 წლის 8 ნოემბერს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შედგა გაფართოებული თათბირი, რომელსაც პრეზიდიუმის წევ-რებისა და დეპუტატების გარდა დაესწრნენ აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებიც. მართალია, გასაგები მიზეზების გამო მასზე სათანადო საოქმო ჩანაწერი არ შედგენილა, მაგრამ თავად განსაჯეთ, თითქმის ხუთი საათის განმავლობაში განიხილებოდა საკითხი - ***მართლა გააჩნია თუ არა ა. წოწონავას კომპრომატები მათზე და გამანდო თუ არა ისინი მე.*** ეს ერთი, მეორეც: ***სახელმწიფო დაწესებულებების სხდომა, სადაც თუნდაც მტერზე და სახელმწიფო დამნაშავეებზე თითს გაიშვერენ, - მოკალიო, იქვე მთავრდება ყოველგვარი ზნეობისა და სამართლიანობის მარაგი.*** სამწუხაროდ, ”საგულითადო” წრეში ჩემი ”გაუვნებელყოფის” აუცილებლობა მარტო რ. ცატავას არ წამოუყრანტალებია, იგი გაიმეორა დ. გვაძაბიამაც - სინდისზე სხვისი შპარგალკით მოლაქლაქე რუნგუმაც, კაცმა, რომელმაც ”გაპაექრება” სხვის მიერ დაწერილი ბარათით მომინდომა. სხვათაშორის, თვითონ მას, კიდევ ერთხელ წააკითხეთ ”თავისი ნაწერი” და თუ ამას გამართულად გაართვა თავი ან შესძლო აქ ხმარებული უცხოური სიტყვების განმარტება, რომელთა მეშვეობით, როგორც წესი, აზროვნებითა თუ გემოვნებით მოგარეუბნე ადამიანები ცდილობენ ”საინტელექტო ფირნიშის” შემოკვართებას, დიახ, ბატონებო, ნიძლავს ვდებ და ერთ მამაპაპურ ნადიმზე გიწვევთ ამ შემთხვევაში.

***ერთხელ გითხარით, იგი (დ. გვაძაბია) ყველაფერს სხვისი ხელით კეთებასაა მიჩვეული, - კომპარტიის რაიკომში იყო, სხვისი წანაკითხი მარქსიზმით ”მოღვაწეობდა”, დღეს ეკლესიაში შედის ხოლმე სხვის დასანახად, თუმცა იქაც სხვის ანანთებ სანთელზე და ლოცვაზე გადის იოლად, ახლა ეს წერილი და... იგიც სხვას დააწერინა, ეგ ამ მხრივ ისეთი ვირეშმაკია, გააჩერეთ, თორემ, საკუთარ თავსასთუმალზეც მის მაგივრად სხვას დააგალებს დაძინებას...***

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, რომელიც ამჯერადაც რაისა ქარაიას მოძახილითაც ურჩევდა საქმეს ”ჩაშვებაში” მხილებულ ა. წოწონავას, აი, რა მახათგაყრილობით ისაქმებდა თავს: იმის ნაცვლად, რომ იმაზე იმსჯელონ, სინამდვილეში ჰქონდა თუ არა ადგილი იმ ბოროტმოქმედებებს, რომელთაც მე ვამხელ და რანაირად აღმოფხვრან ეს

ხელმრუდობები, ისინი მთავარ თავსატკივრად ა. წოწონავას საჯოგო კეთილსაიმედოობის დადგენას მიიჩნევენ. ამასთან დაკავშირებით ხმამაღლა ვაცხადებ, ***ნუ ახრახნისებენ ახალ ველოსიპედს, აგერ ვარ მე და სადაც უნდათ იქ დაველაპარაკები ამ ხალხს ნებისმიერ მათთვის საინტერესო საკითხზე,*** რა "ენაზეც" უნდათ იმ "ენაზე" შევუჩერდები სასაუბროდ, ოღონდ ერთი პირობით, ეს უნდა მოხდეს აფხაზეთიდან პატივმისაგები ადამიანების თანდასწრებით და იგი შემდეგ უნდა განიგრძოს ტელეპაექრობის სახით და თუ რატომ, ეს ზემოთ მოგახსენეთ, - მათ მთელი ერთი წელი ვიწვევდი, ერთად გადაგვევლო თვალი ა. წოწონავას მასალებში თუ რა იყო ცილისწამება!..

ამ ხალხის სულთახსირობას კიდეგანი არ გააჩნია. სწორედ ამიტომ, ამასთან დაკავშირებით უფრო მეტის თქმაც შემიძლია: მაშინ ა. წოწონავამ არც თუ ორაზროვნად მიმანიშნა, რომ მან იცოდა თუ როგორ მოიარეს სამეგრელო 2008 წლის ჯერ საპრეზიდენტო და შემდეგ საპარლამენტო არჩევნების წინ ჯ. გამახარიამ და ზ. ზარანდიამ (შიგადაშიგ მეც), შემდეგ რა მოსაზღვრულობაში გაისაგნა სააგიტაციო მუშაობა მიშნაცების წინააღმდეეგ და ა.შ.

ეს კი ა. წოწონავას აზრით, ჩვენ გვავალდებულებდა მისი ავანტიურებისთვის მხარი დაგვეჭირა, - აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა 2010 ან 2011 წლებში, ჩემი დაბეზღების კვალდაკვალ ან სულაც მანამდე, რაკი ჯ. გამახარიაში კონკურენტს ხედავდა, მას, პრეზიდიუმის რამოდენიმე წევრთან ერთად, ამ მხრივაც სათანადო საბეზღებელი მოხსენებითი ბარათით მიემერთოს როგორც პრეზიდენტის კანცელარიისთვის, ასევე შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისათვის.

სხვები ვინ იყვნენო?-დაებადება კითხვა ჯ. გამახარიას. აქ უკვე თვითონ გაისარჯოს და პირადად დაადგინოს თუ ვინ წამოიკიდა ის საჩამშვებო კისრულზე. ისე კი, იმ ხალხის თაღლითბებს დღემდე ეზეწრება დამაფიქრებელი გულმოდგინებით.

გასაგებია, მ. სააკაშვილის წინააღმდეგ ჩემი საქმიანობა არ წამომაძახოსო ან რაიმე შანტაჟი არ მომიწყოსო და ბატონმა ჯემალმა თავი აარიდა ა. წოწონავას საკაცღმერთო ხელგარჯილობის მხილებას. სამწუხაროდ, ამან არ უშველა, შანტაჟი მას, ეტყობა, მაინც მოუწყვეს, რის გამოც, პირში წყალი ჩაიგუბა და საბელშებმულივით იძულებულია დღეს ემხარდამხაროს კიდეც ამ არამზადებს. ასეა, ყოყმანი საქრისტესმხედრო ძალისხმევასთან, უკვეა საკუთარი კისრის დაზმანება საეშმაკისკერძო კუნძზე!..

წინამდებარე წერილზე ვმუშაობდი, როდესაც 9 ნოემბერს, ჩემთვის სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ ამ საგარჩევო სხდომის შემდეგ, მთელი ამ ხნის მანძილზე, ა. წოწონავას ჩასაფრებულ დ.

გვაძაბიასა და რ. ქარაიას, რაკიღა საშუალება მიეცათ, სამიზნეს გასწორებოდნენ და შური ეძიათ, მათ წააქეზეს თ. ხუბუა, რომელიც ა. წოწონავას საცემად მივარდნია. თავის მხრივ ა. წოწონავას ასეთი კოალა-ციური ანგარიშსწორებით შეშინებულს, მზაობა გამოუთქვამს, რომ ჩემი ბრალდებების უარსაყოფ წერილს გამოაქვეყნებდა.

ასეთ დროსაა, რომ იტყვიან, კიდევ ხომ არ გინდა რამეო: ***<u>პასუხს საზოგადოებას გასცემთ და არა მე,</u>*** მეც თქვენთან ერთად, როგორც თქვენი ბოროტმოქმედებების მამხილებელი მხარე, ხალხს წარვუდგები. ეს უნდა ჩაიწეროს ფირზე და აი, იქ დასვით კითხვები და გიპასუხებთ, შეგეკითხებით მე და მკაფიოდ მიპასუხებთ თქვენც, იმაზე კი არა, ჩაგიშვათ თუ არა ანზორმა ან რა გზით მოვიპოვე თქვენი თაღლითობების სამხილები, ეს ჩემი საქმეა, უმთავრესი გავარკვიოთ, ***<u>ჩაიდინეთ თუ არა ის, რაშიც იმხილებით ასე ცხადად და მკაფიოდ.</u>*** ა. წოწონავა არაა აქ მთავარი, ***<u>მის გარდა ხალხი მოგდევთ თქვენი ბოროტმოქმედებების სამხილებით.</u>***

დიახ, მე მზადა ვარ და გიწვევთ აფხაზეთის საჩინო პიროვნებების დასწრებით, გნებავთ ჟურნალისტებისთვის დახურულ კარებს მიღმა ან მათთვის ღია პირობებში ***<u>კიდევ ერთხელ გავასახალხოო თითოეული ჩემი ნათქვამის სისწორე და ნაწერის უტყუარობა,</u>*** რომლებიც მომდინარეობს საზოგადოებისგან მოწოდებული, მათ შორის ა. წოწონავასგან მიჩუმათე-ბული წყაროებიდან.

***<u>ის, რომ აურზაურით მიეკორტნეთ ა. წოწონავას, ესეც თქვენი ილეთია, - იმდენად გაგისაჯარისდათ ზნეობრივი ჩასვრილობა და ბოროტმოქმედული საქმიანობა, რომ საკვანძო არსის ბანზე აგდებით და არარსებითში ”თავგამართლებით” ცდილობთ საერთო ”სიმართლის” ახარაჩოებას. არ გამოგივათ. ჯერ პასუხი გაეცით ხალხს, ხართ თუ არა ბოროტმოქმედები და მერე, კი ბატონო. თქვენი ჩაშვებისთვის წინ წიხლით გაირეკეთ ა. წოწონავა.</u>***

ამასობაში, როგორც არასდროს, ისე დავშორდით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სტრატეგიას და ამ მხრივ ***<u>ამაში მტერზე ნაკლები წვლილი როდი გაიღო თვით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ.</u>***

სხვათაშორის, როგორც კი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მორიგი ვირეშმაკობები ვამხილე და შევუთვალე, საქმეზე ისაუბრონ, ბანზე ნუ აგდებენ სიტყვას მეთქი, - ამას ვინ ეკითხებაო ჩვენს საქმეს, კვლავ უწივლია რ. ქარაიას და ერთხმაში აყოლია მეწვრილბაცაცე გ. გვაზავა, მისი თანამოსაქმე დ. გვაძაბია და როგორც ა. წოწონავა ირწმუნებოდა, საჯდომვერდაცული თ. ხუბუა.

ისევ შენ უნდა მოგმართო, ჯემალ, ამის თაობაზე, ეს ხალხი, მართლაცდა, ასეთი რუნგუ ***<u>როგორაა, რომ არ იცის, რა ესაფუძვლება ჩემს ამ უფლებას: 1993 წლის შემოდგომაზე თუ მე მეკითხებოდა უბედურების</u>***

***ადგილებიდან მათ მიერ ბედის ანაბარად მიტოვებული მათი უმწეო ამომრჩევლების უსაფრთხო ადგილებში გადმოყვანა, მეტი საქმე არა მაქვს, დღეს ამ ხალხისგან რწმუნებაბოძებულმა კაცმა თქვენ შეგითანხმოთ, გავაცხადო თუ არა, სად რას იპარავთ, სად რა ჩაიდინეთ, ის კი არადა, კიდევ ვერ გიმეტებთ საკადრისად, თორემ ზოგიერთ თქვენგანს ომში ცხედრებით საქმოსნობაც "გისალკლდევებთ" საარამზადო გამოცდილებას. თვალი გაახილეთ მიწაზე, თქვენს ცოდვებში მოითვალსაწიერეთ თავი და მიხვდებით ვინც და რად მეკითხება მე!***

თქვენ ამ ოცი წლის ე. წ. დეპუტატობამ, ეტყობა, კაცღმერთობის მადაზე მოგიყვანათ და "რატომაც არას" წესით საკუთარ შპს-დ ხომ არ მოგესაკუთრათ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო?! (აქ ერთი საცდურიც არსებობს, ასეთ დროს ადრე დუელში იწვევდნენ ღირსებაში მყოფი ადამიანები ერთმანეთს. დუელს აქვს ერთი თვისება, მის მონაწილეთაგან ორივე მხარე მაღალზნეობრივი უნდა იყოს. წინამდებარე შემთხვევაში მე საქმე მაქვს ზნედაცემულ ადამიანებთან, რომელთათვის სულიერი ხრწნილება ზეშთაგონების სავანეა).

ის გაბილიკება, რისკენაც ვირეშმაკ დ. გვაძაბიას ოინი და ქალბატონ ქეთის ხელკავი მემახათმემარჯვება, თუ მას გავუყევი, უსათუოდ ჩამომასადგურებს სწორედ სამახათსაყრელო თავგასართობთან. ამიტომ, ეს წერილი, ***რომელიც აუცილებლად უნდა დამეწერა, კიდევ ერთხელ უნდა განვაგრძო ჩემი ქვეყნის ჭირისუფლებთან სასაუბროდ.*** რაკიღა ასეთი ხელგამოღება დ. გვაძაბიასთან, რ. ქარაიასთან, გ. გვაზავასთან, თ. ხუბუასთან, ა. წოწონავასთან და ა. შ. თავიდანვე მკვდრადშობილი საქმეა, იძულებული ვარ, მივმართო ქვეყნის სატკივარში არც თუ ურიგოდ ჩახედულს, მაგრამ ამ, მის გარშემო დღემდე მონავარდე ბოროტმოქმედებებისა და დანაშაულებრივი უვიცობის მიმართ კვლავ და კვლავ საეჭვოდ გარინდულ ***ჯემალ გამახარიას, რომელსაც ეს არათუ პიროვნულად, სამსახურებრივად ევალება, ანუ იგი ასეთი საქმიანობისთვის ყოველთვიურად სახელფასო ანაზღაურებას იღებს.***

***

ასე და ამრიგად, ბატონო ჯემალ, თქვენი უფლებაა, მომილოცავთ თუ არა დაბადების დღეს, ამისთვის არავითარ შემთხვევაში არ აგიტალახებთ ჭიშკარს, არც ჩემი საპირადოსთვის მოგაბეზრებთ თავს, მაგრამ ყველა საქმეს განზე გადადებთ და, რაკიღა, ამ ბოლო დროს საკმაოდ თანმიმდევრულად მარიდებთ თავს, განმარტოებით კი არა, სახალხოდ მიპასუხებთ ამ კითხვებზე:

1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა არ გახლავთ ელიტური კორუფციით თვითდასაქმებული?

2. შეუძლია თუ არა ორგანიზებულ კორუფციაში ჩაფლულ ინსტიტუციას სახალხო ნების შესაბამისი საქმიანობა?

3. როგორ გაიბილიკებთ ხვალისკენ, - თქვენს გარშემო ათარეშებულ კორუფციასთან შეგუებით (ანუ მასში თანამონაწილეობით) თუ მასთან (ბოროტმოქმედებასთან) დაპირისპირებით?

4. მეთანხმებით თუ არა, რომ ზნეობრივ კომპრომისს ამორალიზმი ჰქვია?

და ბოლოს, იმ დროს, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დევნილი მოსახლეობა დღეს მსოფლიოში მიმოფანტულ უიაფეს მუშახელადაც კი არა, მათი უმეტესობა სამონათვაჭრობო თუ სამოჯამაგირეო ნედლეულად იქცა, - ის, რაც აფხაზეთის ა/რ-ის უვიც და ბოროტმოქმედ ხელისუფლებაში ხდება, ***<u>არ დამიმალავს, გაგისაჯაროსეთ. ისიც გითხარით, რომ ესენი არა მხოლოდ ხელმრუდულ დანაშაულში, არამედ ზნეობასთან მიმდგომლურ, სისხლაღრეულ და საშიშინერსო ცოდვებშიც იმხილებიან.</u>*** ამიტომ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, გიმეორებთ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა თავის ხელისუფლებად არ მოიაზრებს.

ასეთი ვითარება კი პოხიერებაა ჩასაფრებული ძალებისთვის, რომელთაც არა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, არამედ სრულიად ქართველთა გადაშენება ეოცნებებათ ჩვენს მიწაზე.

როგორც "საერთო გაზეთი" (7.11.2012 წ.) ირწმუნება, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ქვეყანაში 12 500 ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაცია ყოფილა, რომელთა უმეტესის მიზნები თუ რამდენად ეთანამგზავრება საქართველოს სახალხო სვლაგეზსს, ვერაფერს ვიტყვი, იმედი მაქვს, რომ მათ შორის არაერთი იქნება ისეთიც, რომელთაც ***"ერის წყლული აჩნიათ წყლულად"***, მაგრამ ის 5 ან 6 ე. წ. არასამთავრობო, რომელიც ასე ზღვარსგამცდარი გულგაშლით ფულიანდება საზღვარგარეთიდან და ქართველთა უფლებებს იცავს კი არა, საქართველოა მათი აულაგმავი და უტიფარი თარეშისგან დასაცავი, - აშკარად არ ელიანდაგება ქვეყნის სასიცოცხლო ძალისხმევას (ისე, ცნობისათვის: როგორც საქმის მცოდნენი ირწმუნებიან ამ 12 500-ში, ორის დასახელებაც გაჭირდება, რომელსაც კაცი თავდებად დაუდგება და იტყვის, - ესენი საქართველოს მიზნებს ემსახურებიანო, აქედან გამომდინარე, ეს ე. წ. არასამთავრობოები ავთვისება სიმსივნის დარად ხრავენ საქართველოს, ყოველ შემთხვევაში, მათი უმეტესი ნაწილი ამისთვისაა).

ზემოთ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, როდესაც ქართველთა ეროვნულ ვინაობაზეა საუბარი, დაბეჯითებით უნდა გავიმეოროთ, რომ სახელმწიფო, რომელსაც ასე წინგაუხედავად ვბაძავთ და მისი ყოფითი ყოველდღიურობა რჯულისკანონად გვინდა მოვიხვიოთ თავს, თავისი არსით არ წარმოადგენს ეროვნულ წარმონაქმნს. ეს გახლავთ დაპყრობილ

მიწაზე ახარაჩოებული საეთნოფაბრიკაციო პოლიგონი, რომლის საქარხნო წარმოებისათვის დღემდე სხვადასხვა ქვეყნებიდან შეიზიდება ეთნონედლეული იქ. ამიტომ, ეროვნული ვინაობა, როგორც დროისა და სივრცის ბუნებრივი რაობა, ამ კონვენციური სახელმწიფოსთვის, ანუ აშშ-სთვის გაუგებარი და სახიფათოც კი გახლავთ. მათთვის ადამიანური სადაურობა არ უერთსხეულდება სამშობლოს. აქ ეროვნებას ჩაენაცვლა მოქალაქეობა, რომელიც იგივდება პიროვნების ლეგიტიმურ მისამართთან. ეროვნება, როგორც ადამიანთა ვინაობა, მათთვის უმაქნისი შინაარსი გახლავთ. აქედან გამომდინარე, არ გამოგვივიდეს ისე, რომ ველიკოდერჟავული აგრესიის ნაცვლად ტექნოკრატიული დასავლეთის სადენაციონალიზაციო "ხავერდოვნებას" შემოვუძღვეთ, ***ერთიც და მეორეც ეშმაკს წაუღია, ჩვენ ამ სამყაროში პონტო-კავკასიის სახელმწიფოების, ქვეყნებისა და ხალხების გონითი განფენის ლასკარად უნდა ავიღორძინოთ თავი.***

დიახ ბატონებო, ამ ხალხს (ე. წ. არასამთავრობოებს) აშთაგონებს მხოლოდ ის, რაც ზურგში მახვილის ჩამცემია ქართველი ერისთვის. ავიღოთ თუნდაც ე. წ. "ზოდიში" - პარაჟენცულ-კაპიტულანტური ძირგამომთხრელობა. იგი ნელი მოქმედების კი არა, სულაც მყისფეთქებად ნაღმად მოგვახრახნა მტრის ლეგიტიმურმა აგენტურამ. ეს გახლავთ ისეთი დივერსია, რომელიც ხელს ძალიან მიზანმიმართულად შეუშლის აფხაზ (ქართველ) - აფსუათა შორის მუძუმტეობის აღდგენას, - ეს პირველ რიგში, ამავე დროს, იგი სიმართლის გაყალბებაა, უპირველეს ყოვლისა!

ხმამაღლა ვამბობ, ის, რაც ასეთი ვითომ სამოქალაქო საზოგადოებისთვის მისაღებია და სახელმძღვანელო, პირწმინდად მიუღებელია ქართველი ერის სახალხო ნებისთვის.

რაღაც არ მახსოვს, ***აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს თავისი აზრი ჩურჩულით მაინც გამოეთქვას ამის თაობაზე.***

თქვენ, ბატონო ჯემალ, ***კიდევ და კიდევ პირდაპირ გეკითხებით, მიგაჩნიათ, თუ არა ჩემს წინააღმდეგ პოლიტიკურ დევნად, ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მითითებით, დეპუტატთა ჯგუფმა შეადგინა ჩემი საბეზღებელი წერილი იმის გამო, რომ მე არ შემეშინდა თავის დროზე და საქართველოს არასახალხო პრეზიდენტის მხილება ქვეყნის წინააღმდეგ საქმიანობაში ჩემი ხუთი წიგნით (2005-2010 წ.წ.) გავბედე.***

აი, ეს გ. გვაზავამ, რომელიც მე არაკომპეტენტურობასა და ელიტურ კორუფციაში დავადანაშაულე, როგორც დღეს საყოველთაოდ ცნობილია, გამოიყენა "მიზეზად" და "შტატის შემცირების საფუძველზე" ***სამსახურიდან დამითხოვა ბრწყინვალე აღდგომის წინადღეებში.***

არადა, პრეზიდენტ მ. სააკაშვილს დღეს მარტო ჩემგან კი არა, სრულიად საქართველოსგან ედება ბრალი ქართველი ერის სახალხო

ნებასთან დაპირსიპირებაში. მოსახლეობა ერთსულოვნად აგროვებს ხელმოწერებს მისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად, ამავე დროს, ქართული გაზეთები, რადიო და ტელევიზია შეუწყვეტლივ ავრცელებენ მასზე ასეთ დასაბუთებულ ცნობებს: ***"არსებობდა გეგმა, რომლის მიხედვითაც ქართული გენოფონდი უნდა განადგურებულიყო და საქართველოში ქართველი 700 000-მდე უნდა დასულიყო. ჩამოსახლებული უცხოტომელები კი, ცხადია, მ. სააკაშვილს მისცემდნენ ხმას... ეს გეგმა მ. სააკაშვილს უნდა განეხორციელებინა" (გაზ. "ყველა სიახლე", 7.11.2012 წ.).***

ამ მიზნით მისმა რეჟიმმა 300 000 მამაკაცი, ანუ საქართველოში ამ ცხრა წლის მანძილზე, სხვადასხვა დროს, მამრობითი სქესის თითქმის ნახევარი ციხეში ჩასვა, რასაც აქედან გამომდინარე დამანგრეველი და გამაუკუღმართებელი შედეგები მოჰყვა (აი, რისი მხილების გამო ვდგავარ დ. გვაძაბიაზე, რ. ქარაიაზე და ა. შ. მაღლა და რის გამო გამათავისუფლეთ სამსახურიდან!..).

თქვენს თვალწინ, ასეა ეს, ბატონო ჯემალ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ ჯვარზე გამაკრა არა მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტ მ. სააკაშვილს ქვეყნის საწინააღმდეგო საქმიანობაში ვამხელდი (მისთვისაც და გ. გვაზავასთვისაც სულაც ერთ დღეს დაქცეულა საქართველო), არამედ, იმისათვის, რომ თავი არ მოვიტყუე და დავინახე პირადად მისი (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს) არაკომპეტენტუ-რობა, ბოროტმოქმედებები, ციდაკაცობანი...

ჩემთვის თქვენგან თავსმოხვეული ასეთი ჯოჯოხეთი იმდენად დაუმსახურებელი და აუტანელი იყო და არის, ***ასე რომ არ მყვარებოდა ჩემი ქვეყანა და ძლიერი ნებისყოფა რომ არ მქონოდა, რაც მთავარია, უფლის რწმენაში რომ არ ვყოფილიყავი, თქვენს რიგებში ნანახი სულმდაბლობის გამო მართალა შემზიზღდებოდა და შევიძულებდი ასე უანგაროდ ჩემს მიერ ჩემი სულისთვის შემოსისხლხორცებულ ქვეყანას, მით უფრო, საზოგადოებას, რომელიც მე პირადად, ყოველთვის როდი მომქცევია ღვიძლი შვილის საკადრისად!..***

თქვენი დანაშაული დევნილთა წინაშე, გაცილებით მეტია, ვიდრე გამოჭენებული თქვენი არაკომპეტენტურობა თუ ბოროტმოქმედებები, ***თქვენ იმედი და სულიერი ვინაობა წაართვით ჩვენს ხალხს.***

თქვენი საქციელით, თქვენს მიერ ჩვენი საზოგადოების სულიერების დანაგვიანებას მოჰყვა მათი აზროვნების გადათრევა ხმაბაძვასა და გამდაბიურებაში. უინტელექტობამ, რომლითაც თქვენ (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა) ყოველდღიურობთ, ჯერ გაქუჩისფსკერულება - შემდეგ კი გათახსირება მოუნდომა ჩვენი ხალხის ვინაობას.

ყოველივე ამის გამო, ქვეყანას აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოც მიუძღვება სააზროვნო ჩიქორთულში. არადა, არსებობს უფლით

დადგენილი აუცილებლობა, რომელიც საფუძველს წარმოადგენს ერის მარადიულობისთვის. ასე მაგალითად, თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ სასიცოცხლო ხასიათისაა ქვეყნის სახელმწიფო ენის გამოყენებისას თუნდაც რეკლამის სფეროში, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფო დონის მიმოწერებზე, უცხოეთთან ურთიერთობაზე, საქმისწარმოებაზე, ეთნიკურ უმცირესობებთან თანასახლიკაცობაზე და ა. შ. ჯეროვანი პატივი მივაგოთ მას ქვეყანაში ზნეობრივი სიწმინდისა და წესრიგის დამყარება იწყება დედაენისადმი დამოკიდებულებით. იმით, თუ რამდენად ცხოვრობ მასში და აზროვნებ მშობლიურ წესში (აბა, შეადარეთ, როგორ სასიამოვნოდ მოესალბუნა საქართველოს მოსახლეობის ჭრილობებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ მისი პირველი ვიზიტისთანავე საზღვარგარეთთან ურთიერთობაში საქართველოს სახელმწიფო ენის შემოძღოლა).

იმის ნაცვლად, რომ ათასნაირი უხამსობა შემოგვაქვს დასავლეთიდან, ხომ არ ჯობდა შემოგვეტანა ის დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი, რომლითაც დედაენის უსაფრთხოებას იცავენ რიგი ქვეყნები (თუნდაც საფრანგეთი, გერმანია, კანადა და ა. შ.).

ქართველი ერი, როგორც კაცობრიობის სახეობა და სულიერი შენაკადება, მარადიულყოფილი რომ იყოს, ამისათვის მასზე ყოველდღიური ზრუნვაა საჭირო. საზრუნავი კი არა, ყოველწამიერ უკუღმართობათა უპირველეს სამიზნედ იქცა იგი თქვენს ხელშიც.

ამ მხრივ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს წესით თავად უნდა ახსოვდეს თუ რა დღეში იყო ეთნოდივერსიულ აფხაზეთის ასსრ-ად ფაბრიცირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ჩვენი ხალხი ე. წ. ინტერნაციონალური დემოგრაფიული სურათის ხელოვნურად შექმნის გამო.

*როგორც პიროვნების, ასევე და პირველ რიგში, ერის თავისუფლება სამყაროს არსებობისა და უფლისეული მშვიდობის აუცილებელი პირობაა, რადგან სამყარო ადამიანისთვის შეიქმნა, ხოლო ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას მხოლოდ ეროვნული თავისუფლება განაპირობებს. თავის მხრივ ეროვნული თავისუფლება, თუ კი მასში დიდმპრობლურმა აღვირახსნილობამ გაიტოტა, ის იმავდროულად კარგავს თავისი მარადიულყოფის სადავეებს, რამეთუ, დიდი შემოქმედის მიგნებისა არ იყოს, "...ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს, არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვასართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც" (ო. ჭილაძე).*

ის, რომ ქვეყანაში 12 500 ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტირებული, რომელთაგან თითქმის სუყველა ტექნოკრატიული

დასავლეთიდან ფულიანდება მეთქი, ეს გახლავთ ქართველთა დენაციონალიზაციის ”ხავერდოვანი” საშუალება.

აბა, დააკვირდით თუ ვინ ქსელავს ასეთი ”წვრილმანების” ამრისხანებას: ასე მაგალითად, გურიის სოფელ ნიგვზიანში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მთიანი აჭარიდან ჩაასახლეს აჭარლები, ოსმალთა იმპერიის დროს ძალით გამუსლიმებული თანამოძმენი ჩვენი. ქართველთა ძალად გამუსლიმება იმდენად სასტიკი იყო, რომ ოსმალებმა ათიათასობით ადამიანს მოჰკვეთეს თავი აჭარაში, ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთში, ლაზეთში... რადგან ისინი არ იცვლიდნენ რჯულს. საკმარისი გახდა, საქართველოში ”ქუდზე კაცად” დამდგარიყო ეროვნული მოძრაობა, რომ მუსლიმმა ძმებმა დაიწყეს წინაპართა რწმენაში აღორძინება. აი, ამ ბუნებრივი მდინარების დაგუბება და დამუხრუჭება სცადეს პროვოკატორებმა აქ, თანაც ისე, თითქოს ქართველი მართლმადიდებლები იყვნენ მოძალადეები.

ვინაიდან, გარედან ჩასაფრებულ ძალებს საქართველოში დღეს საბჭოთა ავტონომიების მსგავსად სჭირდებათ ახალი სახის არაქართული ცნობიერი სივრცე, ამისათვის ე. წ. არასამთავრობოებისა თუ სამოქალაქო სექტორის მეშვეობით იინკუბატორებენ ე. წ. სქესობრივ, ეროვნულ და ა. შ. უმცირესობებს.

2012 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მანძილზე ყოველდღიურობდა გააფრთებული ”გამოსარჩლება” მამათმავლობისა, ხელოვნურად ანაბიჯებული სარწმუნოებრივი უმცირესობებისა თუ სხვა სახის არაკეთილმოსურნე შემოთარეშებებისა. ასეთ დროს, სამზირ-საფეხსაბიჯო თადარიგისთვის შემოჯაშუშებულ ზესახელმწიფოთა ”მსხვილი ბიზნესმენები” თუ წვრილი მოვაჭრეების საგანგაშო ისაა, რომ ქართველი ერი, ასე თუ ისე, წინააღმდეგობას უწევს თავსმოხვეულ გადაგვარებას. ჩასაფრებული ძალების საზურგისქაროდ ცნობიერ დივერსიას ეწევიან არა მხოლოდ კერძო ტელევიზიები თუ გამოცემები, არამედ, საქართველოს მოსახლეობისგან დაფინანსებული საზოგადოებრივი მაუწყებლობის ორივე არხი და რადიო, რომელსაც, სხვა რომ არაფერი, სახელფასო გასამრჯელოს შესაბამისად მოეთხოვება ქართველთა მარადიულყოფისთვის გარჯა.

ამის სახეზოგად მაგალითად მინდა შეგახსენოთ სახალხო დამცველის კანდიდატად საზოგადოებრიობის მიერ წამოყენებული დიმიტრი ლორთქიფანიძის შემთხვევა, როცა მას ყოველი მხრიდან დაუწყეს სანადგურებელი თავდასხმები იმისთვის, რომ მან დაგმო პედერასტული მოძრაობების აგრესიული გამოხდომები.

დღეს ფაქტობრივად ”ხავერდოვნად” დათრეულ საქართველოში (მისი მეორე ნაწილი ხიშტითა და ტანკებითაა ოკუპირებული და მიტაცებული)

ფაშიზმად და ქსენოფობიად განიხილება ნებისმიერი გამოვლენა სამშობლოსადმი სიყვარულის, უფლისადმი თაყვანისცემისა და ა. შ.

***ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები ამ შემთხვევაში მტერს ახმოვანებენ. ასეთი ზურგის ქარის შედეგად ე. წ. უმცირესობა არათუ ქართველ ერზე უფრო დაცულია დღეს საქართველოში, არამედ მკაფიო ნიშნებიცაა იმის, თუ როგორ იქვეშევრდომებს ეს "უმცირესობა" ქართულ მოსახლეობას და როგორ აძევებს ქვეყნიდან ეროვნულ შინაარსს. ჩვენს ქვეყანაში იგი ე. წ. უფლებადაცვით საქმიანობაში ჩანიღბული, უტიფრად უდიდმპყრობლდება ქართველ ერს.***

როდესაც ეს ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო თვითდამკდრებას (უფრო სწორად გადიდმპყრობლებას) ცდილობენ, ***მათ უნდა მოეთხოვოთ იმ თანხათა წარმომავლობის გაცხადება, რომელთა საშუალებით არსებობენ და საქმიანობენ, უნდა დაზუსტდეს ისიც, თუ რამდენად არიან ეს დამფინანსებლები ქართველთა, გნებავთ საქართველოს მოქალაქეთა ეროვნული თუ სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველები, რა პასუხისმგელობას იპიროვნებენ ისინი ჩვენი სახალხო უსაფრთხოებისა და მარადიულყოფის ძალისხმევაში და ა. შ. არსებობს თუ არა რაიმე საექსპერტო დასკვნა, რომ ასეთი პროექტები საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მიმართ ძირგამომთხრელი არაა?!***

ყველაფერს უნდა წინგახედულება: არმენებმა, რომლებიც კავკასიაში, რამდენიმე ათასი წლის წინ, მაგრამ მაინც მოსული ხალხია, დამკვიდრდნენ რა ქართულ სომხეთსა და ჰაიასაში, არათუ ეს მითავისებული მიწები, არამედ დამხდურთა ძველი სახელებიც გაარმენეს თვით ქართველთა ცნობიერებაში და ამჟამად თავიდანვე არაარმენული სომხეთი და ჰაიასა ჩვენთვის იგივეა, რაც არმენი ან არმენეთი.

ამნაირად მოხდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიც, სადაც ჩვენი დოყლაპიობის გამოც მოხერხდა ის, რომ აფხაზი არაქართველი გვგონია...

ბატონო ჯემალ, ასეთი გახლავთ გარემო, როდესაც ახალ ვითარებასთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წინაშე უნდა დაზუსტდეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სამერმისო გზები. ***ამ გზის გაკვლევა მოგიწევთ ბევრნაირი დაბრკოლების პირობებში, რომელიც დაგროვდა წინა ხელისუფლების მოღალატური საქმიანობის გამოც, რისი მხილებისათვის, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, სამსახურიდან დამითხოვეთ მე.***

ისეთი თითიდან გამოწოვილი "თეორიები", როგორიცაა "აფხაზეთის სხვაქვეყნობა", მოძრაობა "ზოდიში", ქართველებისა (აფხაზებისა) და აფსუების ჩვენთან "ვერთანაცხოვრების" აზრი, აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" აღიარება და ა. შ. წარმოადგენს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ახალი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების საქარხნო (საწარმოო) გეგმათა შემადგენელს.

ამ გარემოებაში, როდესაც დღე და ღამ თავს უნდა იმტვრევდეთ სწორედ ასეთი საკითხების გასიგრძეგანებაზე, აბა, დადექი ილორის წმინდა გიორგის ხატთან და ერთი მითხარი, ხომ არის თქვენი საქმიანობა მახათმომარჯვებაზე უფრო უაზრო (სხვათაშორის, ძალიან მაინტერესებს, იმისთვის, ყოველივე ამას შენ რომ გეუბნები, ამათთაგან რომელიმე თუ მოგიბოდიშებს, ჩვენთვის სათქმელი მოგაკერა შენო!..).

ამას გეუბნებით პირში და ამისთვის, რა ვქნა, ვიყო ცუდი. როგორ გავბედავ ან ვითავხედებ ისე, რომ დიდ ილიას დავეწყვილო, მაგრამ ჩემზე თითისმქნევლებს ამ წმინდა კაცის გულიდან ამონახრიალებს შევახსენებ: *"ზრიყვნი ამბობენ..."*

***

გასაკვირია, მაგრამ რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ საქართველოს დაეთმო ქრისტესმხედრული სულისკვეთება და ქვეშევრდომულ ყოველდღიურობას შემომძღოლოდა. ხომ არიან ჩვენი თანაზომადი ქვეყნებიც, მაგრამ ისინი უფრთხილდებიან თავისთავადობას და ახერხებენ კიდევ მის ხელშეუხებლობას.

ტექნოკრატიული დასავლეთისადმი წახმაბაძება ჩვენთან 12 500 ე. წ. არასამთავრობოს წყალობით მიიჩნევა დემოკრატიად და ოდნავი დაეჭვება უცხოელთა შემოთარეშებისადმი მსოფლიოსთვის ხელოვნურად შინაარსდება ქსენოფობიად, რითაც ქართველ ერისკაცთა სახით "კაცობრიობის მტრის" ხატის კულტივირება ხდება ყოვლად უსამართლოდ.

სწორედ ტექნოკრატიული დასავლეთის საამისო პროექტი გახლდათ ეროვნული (ზ. გამსახურდიას) ხელისუფლების სისხლიანი პუტჩით დამხობა, ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის შემოძღოლა და არა მხოლოდ ეს.

ამ ძალების მიერ ტექნოკრატიული დასავლეთისადმი წაწოლის გასწვრივ რუსეთის ორღობული ლანძღვა ატარებს არა რუსული დიდმპყრობლობის მხილების ხასიათს, არამედ, ამით კოწიწდება მიზნობრივი ხელოვნურობით გამოორღობებული განცდა, ვითომცდა ჩვენი "დამოუკიდებლობის" პოლიტიკური შინაარსი თანაზომადი გახლავთ ქვეყნის "დამოუკიდებლობის" არსებული ხარისხისა.

12 500 ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაცია და ჟურნალისტთა ძალიან დიდი ნაწილი კონფლიქტურ ურთიერთობაშია ქართველი ერის სახალხო ნებასთან. ასე მაგალითად, საზოგადოებრივ მაუწყებელზე (2.11.2012 წ.), ჟურნალისტმა ეკა კვესიტაძემ გააფრთებით "ამტკიცა", რომ ჩვენ სანამ არ შევიცვლით დამოკიდებულებას ერთსქესიანთა ქორწინებისადმი, დასავლური კულტურა ჩვენთვის გაუგებარი დარჩებაო, სამწუხაროდ, სახალხო დამცველობაზე კანდიდატად წარდგენილმა ქალბატონმა ლია მუხაშავრიამ "წინააღმდეგობა" იმ ნაწილში გაუწია ამ დებულებას, რომ

*”ქართული საზოგადოება თავისი ჩამორჩენილობის გამო ჯერ არ ყოფილა მზად ამისათვის და ნაადრევია ეს”.*

საზოგადოებრივი მაუწყებელი კიდევ უფრო თითისმქნევლობით შეუდგა ამ საკითხის განხილვას, ანუ ამისკენ მოწოდებას გადაცემაში ”ჩვენი ეზო” (4.11.2012 წ.). ხოლო იმავე დღეებში ზემოთხსენებულმა ეკა კვესიტაძემ კვლავ და ამჯერად გაორმაგებული გაწიწმატებით შეუტია დედა ეკლესიას, თან ახალი ხელისუფლება ”ამხილა” მისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში. ***ყოველივე ამით საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას აიძულებენ თავისი ვინაობა (იდენტობა) გააიგივოს და მოიძიოს არა ერის რჯულის კანონში თუ სახალხო მეხსიერებაში, არამედ ე. წ. არასამთავრობოთა დაკვეთით ნებადართულ თვალგახელაში.*** არადა, როდესაც ერის მარადიულყოფა დაცული არ არის ნებისმიერი შემოთარეშებულის ხელის წამოკვრისაგან, სწორედ მაშინ, თავდაცვის საბაბით იქმნება ფობიობის საფუძველი.

ყოველივე ამაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლი იმას, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ჩემდამი სიძულვილმა ისე გამოარუნგუა, რომ კანტი კუნტად, ათასში ერთხელ სწორად გასვლაგეზებულ ნაბიჯსაც კოჭლობით დგამს: მიმდინარე წლის 2 ნოემბერს მან მონაწილეობა მიიღო სოხუმის დევნილ სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ჩატარებულ სამეცნიერო სხდომაში, სადაც, სავსებით სამართლიანად დაისვა საკითხი აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) რწმენისა და სამშობლოსათვის დაცემულთა წმინდანთა დასში ჩარიცხვის შესახებ, თუმცა არის ერთი „მაგრამ“...

მოგმართავთ რა თქვენ, ბატონო ჯემალ, შეგახსენებთ, რომ პირადად ჩემი პროექტი გახლდათ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ეგიდით, რომელიც თავის ათვლას იწყებს 2004 წლის მარტიდან მარტყოფის ლექტორიუმით, რაზედაც შესაბამისი დადგენილებების მოძიება თქვენს კანცელარიაშიც შეგიძლიათ (გახსოვთ, მაშინ იქ წარმოდგენილი ბრწყინვალე მოხსენებით დაიწყეთ თქვენი გახმაურებული წიგნისთვის ”აფხაზეთი და მართლმადიდებლობა” პირველი ქვათლილების აკედლება).

შემდეგ სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა ამ პროექტით, უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს ძალიან ქმედითად შემოენაკადეთ, რითაც ამ მხრივ მუშაობა გაძლიერდა. ასევე, ამ ღონისძიებაში გარკვეულ მიმართულებებს შედეგიანად უხელმძღვანელეთ, რასაც მოჰყვა თქვენი ცნობილი წიგნები და ა. შ.

თქვენ უნდა დამეთანხმოთ, რომ ამ პროექტის განხორციელებისას, განსაკუთრებით მისი დევიზის *”მართლმადიდებლობა და ქართველი ერის*

*თვითიდენტიფიკაციის საკითხის" დასამტკიცებლად* მე საკმაოდ ძნელი ზღუდეების დაძლევა მომიხდა. მერე იყო და ჩვენ საამაყო დონეზე ჩავატარეთ სამეცნიერო კონფერენცია. სწორედ ასეთი დებულებით, რომელიც თვით უწმინდესმა და უნეტარესმა აკურთხა და დაამშვენა თავისი მონაწილეობით.

ამ კონფერენციის მასალები ცალკე წიგნადაც გამოვეცით, 2005 წელს. ***აქვე, პირველად როგორც ქართულ, ასევე არაქართულ საზოგადოებათა საყურადღებოდ, დავსვით საკითხი აფხაზეთში სარწმუნოებისა და სამშობლოსთვის მოწყვეტილთა წმინდანთა დასში შერაცხვის შესახებ: მათ შორის XVII-XX საუკუნეებში რწმენისა და სამშობლოსათვის დაცემულ, გვარ-სახელ მივიწყებულ მამულიშვილთა, ასევე პირველი აფსუა მღვდლის ივანე გეგიას ( XIX საუკუნე), კომანელი მღვდლის ანდრია ყურაშვილისა და მისი სტიქაროსნის, აფსუა მოღვაწის - იური ანუას ( XX საუკუნე) საკითხის დიდა ეკლესიაში წმინდა სინოდის სამსჯელოდ წარდგინებაზე (იხ. კრებული "მართლმადიდებლობა და ქართველი ერის თვითიდენტიფიკაციის საკითხი", თბილისი, 2005 წ.).***

მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამას 2004-2007 წლებში ვამუშვებდით და გ. გვაზავა შესაბამისი კომისიის წევრი ბრძანდებოდა, იმ 25 ღონისძიებიდან, რომელიც ამ დონეზე ჩატარდა, იგი დაესწრო სამს (მათაც არა ბოლომდე), სხვა დროს მას ამისთვის არ ეცალა, - საბუთების გაყალბებით სახელმწიფოს ხაზინიდან ფული ჰქონდა მოსატეხი.

ჰოდა, როგორც გავიგე, გ. გვაზავას აუკრძალავს 2 ნოემბერის ღონისძიებაზე იმის აღნიშვნა, რომ ეს საკითხი ჩვენ წამოვჭერით და წმინდა სინოდის წინაშე დავსვით ჯერ კიდევ 2005 წელს.

ამით გ. გვაზავა ისტორიას ვერ გააყალბებს, მაგრამ თქვენგან მიკვირს, მარტო პროფესიონალი კი არა, ცნობილი ისტორიკოსისთვის რა ისეთი სა-კარიერო დაბრკოლებაა ***სულით წინკეს მსგავსი გ. გვაზავასგან*** ათვალის-წუნებული ს. საჯაია, ***რომ მისი სახელისგან გამიჯვნას იმგვარ სასახელო საქმეშიც ცდილობთ, როგორიც იუნესკოს ეგიდით საქართველოში ქრის-ტიანობის გავრცელების 2000 წლის საიუბილეო ღონისძიებების ღირსეული გაძღოლაა მასთან ერთობლივად.*** თქვენგან, ზ. გამსახურდიას რწმუნების მქონე მოღვაწისგან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი) დევნილი მოსახლეობა ***მხოლოდ ერთგულებას მოითხოვს, ხოლო ერთგულება ნიშნავს, იყო იქ დროულად, სადაც სახალხო სიმართლეს სჭირდები. ხალხში კი თქვენს ასეთ საეჭვო დუმილს თავისი სახელი აქვს. ჯერჯერობით არ მინდა იგი ხმამაღლა ვთქვა.***

ასეთ დროსაა, ჟამთაბერი წამგაუცდენელ სიფხიზლეს რომ გვავალებ: თუ შენ არ შეგიძლია, ხელი შეუშალო ცუდ საქმეს, ასე ჩათვალე,- საძრახობას აკეთებ შენც!.. თუმცა, მე მაინც უკან ვერ დამახევინებს ეს.

წელან გითხარით, საზოგადოება, ძალიან რბილად რომ ვთქვათ,

ყოველთვის არაა გულისხმიერი ჩემი სიწრფელისა და თავდადებისადმი. მე არაერთგზის გამოვცადე ჩასაფრებულთა ავმოსურნეობა, არათუ ჭარმაგობაში, ბავშვმაც, ყმაწვილმაც: *"მივყვები გამზირს, ისე მიცქერენ, თითქოს ჩახსნილი დამრჩა სასირცხვო, მივყვები გამზირს, ამდენი მზერის ვერწაკითხული აანბანება, მერიდებიან, გამირბიან და, ასე მგონია, დამწყევლეს კიდეც, რომ დედაწმინდას - მეც კაცი მქვია!... (1969 წ.).*

ბატონებო, დაანებეთ თავი ჩემი წერილებისადმი ხიშტით მოგებებას და გულდასმით წაიკითხეთ ისინი. მათში მკაფიოდ გიცხადებთ მიზეზს თუ რის გამო არა გაგაჩნიათ ფუნქცია დღეს.

არადა, სად გაქვთ თქვენ ისეთი ფუფუნების უფლება, ვირეშმაკ და თაღლით დ. გვაძაბიას მიერ სხვისი ბაგეებით გახმოვანებულ "პაექრობებს" აუწყოთ ფეხი. ამიერიდან მე არ შევუჩერდები "საპაექროდ" მას, რადგან ჩვენ სხვადასხვა წონაში გამოვდივართ, მან ჯერ თავის მჩატე წონაში მოიმაგროს მუხლი.

დიახ, დიახ, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, დაბეჯითებით გეუბნებით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ბოლოსდაბოლოს, გაიცხადეთ, ***რომ მე ჩემი დაწერილი მამხილებელი წერილებით არ გახლავართ რიგითი მოვლენა თქვენს გასწვრივ, როგორც ეს მიგაჩნიათ დღეს. ერთი წამითაც რომ წარმოიდგინოთ თუ რა გულდადებით კითხულობს ჩემს წერილებს ის ხალხი, თქვენ რომ თქვენი "ამომრჩეველი" გგონიათ, მიხვდებით, რომ ნამდვილად არა გაქვთ საქმე თავდასაიმედებლად და არასოდეს გაიელვებდით ამპარტავნულ ეჭვებს, - რაიმე მეკითხება თუ არა ამ საკითხებში მე!***

კინაღამ დამავიწყდა, თავისი იამბის დასაწყისში დ. გვაძაბიამ რაღაც ზნეობის ტკივილის მაგვარი ახსენა. რაიმესი რომ შეგრცხვეს, შუბლის ძარღვი არ უნდა გქონდეს დ. გვაძაბიასავით გაწყვეტილი.

ბატონო ჯემალ, ძალიან დამავალებთ თუ მაგ რუნგუ და ნახელმრუდალ ხეპრეს მკაფიოდ აუხსნით, - ***ერთადერთი სატკივარი, რაც სისხლის ადუღებამდე ოხშივარდება ჩემში, ესაა ის სიცხადე, - ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ხელისუფლებად რომ გამოინახორა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთმა უპირატესმა ნაწილმა ამ ცისქვეშეთში. ვინც მის საზინადროში, ანუ საუკუნის სანაგვეში ჩაიხედავს, უსიტყვოდ დამეთანხმება ამაში.***

დასასრულ კარგს იზამთ, თუ კი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრები მიემოწაფებით ასეთ სიბრძნეს: *"დიდია თავისუფლების ხარისხი, როცა შეგიძლია არ სცოდო, მაგრამ უდიდესი თავისუფლებაა, როდესაც აღარ შეგიძლია სცოდო" (ნეტარი ავგუსტინე).* ესაა ერთადერთი გზა, რათა წინ ჯოხით არ გაგირეკოთ საზოგადოებამ!.. - ღმერთმა გაგიხსნათ და გაგინათოთ გონება!

**13, 14, 11. 2012 წ.**

***

**მინაწერი:** წუხელ, 13 ნოემბერს, ჩემი დაბადების დღის წინმსწრებად, უწმინდესის წირვის შემდეგ მეტეხის ხიდიდან მობრუნებული ვფიქრობდი იმაზე, თუ რამდენად ღირსეულად მიმესვლებოდა იმ შანდალთან, სადაც ქართველმა მამულიშვილმა წამგაუცდენლად უნდა უნთოს სანთელი წამებულ ათთა ბევრთა (100 000) სახალხო სიდიადეს.

ამ დროს შემომეხმიანა ერთი მეგობარი და მოლოცვის შემდეგ მაუწყა, რომ ტელევიზიაში ("ობიექტივი"), იმ დროს, როდესაც ხელოვნურად "გამაიაწყნეთელებული" ა. მარშანია გამოდიოდა, დაურეკავს მისთვის რომელიღაც მაყურებელს და უთხოვია, აზრი გამოეთქვა ჩემს წიგნებზე.

*"- ეგ უვარგისი კაცია, მიმიფურთხებია მისი წიგნებისთვისო",* საფურთხებლად სახალხოდ "განუხვნია" ბაგეები მარშანიათა ნაშიერს და როგორც მითხრეს, შესაბამისადაც წაუქნევია თავი (კიდევ კარგი, დავაშარდეო, არ თქვა, თორემ, არ გინდოდა ასე საჯაროდ სათანადო მიხვრა-მოხვრის შესრულება?!).

ილორის წმინდა გიორგიმ შეუნდოს და საღ ჭკუაზე მოიყვანოს ეს, არ ვიცი ჩემსკენ რისთვის წამოფეთებული ქალი, რადგან აშკარაა, პოლიტიკური კლიმაქსის ტყვეობაში გამომწყვდეულს, ეტყობა, არასაკმაო ნახედნობის გამო (არ ვამბობ აღზრდას, რადგან სწორედ ეს აკლია მას), იგი მოსწყდა სამართლიანობას, თორემ, როგორ არ ახსოვს, ცხონებული დედამისი, ***<u>ქობულეთში დასასვენებლად წაბრძანებული, სწორედ ამ წიგნებს კითხულობდაო,</u>*** თვითონ მას აქვს ჩემთვის ნათქვამი და აწგანსვენებულ მამამისს, ბატონ ლორიკსაც დაუდასტურებია ეს, რაც, რა თქმა უნდა, მსიამოვნებდა...

საქმე ამ წიგნებში არაა. აქამდე არ გამიხმაურებია, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ქალბატონი ადა, შეეკრა რა კოლაბორაციულ და ხელმრუდ სიმრავლეს აფხაზეთის ა/-რის უმაღლეს საბჭოში და არა მხოლოდ ***<u>აქ, სწორედ თავისი ხელმოწერით იცავდა მათ გვერდით მ. სააკაშვილს ჩემგან მხილებისას და ამით სამარადჟამო ერთგულებას უდასტურებდა ქვეყნის მაოხარს, საჯაროდ კი დევნილთა თუ სხვა სახის საპროტესტო აქციებში ვითომ ებრძოდა მიშნაცურ რეჟიმს, დამეთანხმებით, ამას ორპირობა ჰქვია.</u>***

ჩემი ცხოვრების გზაზე იმდენი დაცემა მაქვს ნანახი, არც ეს გამკვირვებია, მაგრამ არ გამხარებია, რადგან იმ ქვეყნის ქუჩისფსკერში (და არა ზეპურთა შორის), სადაც ის სწავლობდა, შეფურთხებას, როგორც წესი, კაბის კალთის ამოწევა და საჯდომის მოშვერა მოსდევს ხოლმე...

მადლობა იმ თანამოძმეს, რომელსაც გავახსენდი და ა. მარშანიასადმი თავისი შეკითხვით საჯაროდ გაათვალსაჩინოა, ვინ ვინაა და *"კოკასა შიგან რაცა სდგას..."*

და ბოლოს, ადა, ქალბატონო: თქვენ რასაც აკეთებთ, ამას ძალიან

თავშეკავებულადაც რომ გითხრათ, ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედების დაფარვა ჰქვია და იგი დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსით, ეს იურიდიული განათლების მქონე პირს კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, ხოლო, რაც შეეხება "ჩემი კაცობის უვარგისობას", თქვენ თქვენს (ქვეშ) მდებარე მეუღლის კაცობა აფასეთ, მე და თქვენ არასოდეს ვყოფილვართ იმ მდგომარეობაში, ამ მხრივ ჩემს კაცურ რაობაზე წარმოდგენა შეგქმნოდათ!..

დიახ, თქვენ, ქვაბ-ავაზაკთა შორის ნებიერად მოთავისსაქმეს, რა თქმა უნდა, გავიწყდებათ, რომ ჩემი სიმართლის მოპარვაც ქურდობაა!

აქ დავსვათ წერტილი, დააკლდეს ჩემს კაცობას, ის, რასაც იმსახურებთ და არ გავახმოვანე... მე დავამთავრე შენთან საუბარი, ოღონდ, ერთი იცოდე, საზოგადოებაში, სადაც დაგლანდავ, მე გავასაჯარისებ, თუ რამდენად ხარ სახალხო ნების დამცველი და საერთოდ, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ვინ ბრძანდება ნიღაბახდილი ადა მარშანია.

ამას გპირდები.

...და ბოლოს, - მის ქმარს ვეუბნები: რამე საქმე გაუჩინე დ ა თავი დამანებოს მაგ ქალმა, შენ გეუბნები, ბიჭო!..

<u>კვლავ მინაწერი: ...</u>და ბოლოს, კვლავ გიმეორებთ, - ილორის წმინდა გიორგის ხატის წინაშე შენ იმაზე უპასუხე საზოგადოებას, ხარ თუ არა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ბოროტმოქმედი ხელმძღვანელობის თანამოსაქმე?!. რაც შეეხება ჩემს რაგვარობას, იგი შენთვის არავის დაუდგენია სულმრუდობათა ნებართვად. აი, ამას რომ გულწრფელად მოაწესრიგებ, კი ბატონო, მერე ემასწავლებლე ხალხს!..

**14.ნოემბერი.2012 წ.**

**≈*≈**

<u>საქართველოს პარლამენტის წევრს;</u>
საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის
აქტზე ხელმომწერს; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
საჩინო წარმომადგენელს - **ბატონ პაატა ბარათაშვილს**

**სერგი საჯაიას** - მცხ: სოხუმი - იაშთხვა, მიმინოშვილის ქ. №112;
დროებითი საცხოვ: თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. №17
ტელ.: 2 75 46 72; 599 11 75 93

განცხადება

**ბატონო პაატა,**

მოგახსენებთ, რომ 1999 წლიდან ვამხელდი და ვუპირისპირდებოდი ე. შევარდნაძის კოლაბორაციული რეჟიმის წიაღში ჩასახულ ცრუდემოკრატთა პოლიტიკურ ხროვას, რომელიც 2003 წლის ნოემბრიდან

მ. სააკაშვილის არასახალხო, ყოველივე ქართულს მითარეშებულ, უგნურ და წინგაუხედავ დიქტატურად გაისაგნა. ამასთან დაკავშირებით თვით ამ ძალადობრივი, კინაღამ კაცღმერთული მმართველობის პირობებში, კერძოდ 2005-2010 წლებში გამოვაქვეყნე ექვსი სქელტანიანი წიგნი, რომლებშიც ავსახე ***მ. სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური გარემოცვის კოლაბორაციულ-ნამესტნიკური შინაარსი, მათი მოღალატურ-იმპერიული ხასიათი, რაც მთავარია, გავასაჯარისე ე. წ. მ. სააკაშვილიზმის, როგორც დეგრადაციული პროცესისა და საქართველოს "ზავერდოვანი" გადაშენებისკენ გამძღოლის ნამდვილი რაობა:*** ***1. "დემოკრატიული" გადაგვარებით, "ცივილური" გადაშენებისაკენ" – 2005 წ.; 2. "დღეები ცხედართა უხმო კივილისა" – 2007 წ.; 3. "საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?!" – 2008 წ.; 4. "ახალი საეთნოფაბრიკაციო პოლიგონისათვის" – 2009 წ.; 5. "ზ. გამსახურდია და პონტო-კავკასიის ცნობიერი რაობისთვის" – 2009 წ.; 6. "როდესაც ზნეობა მთვარის შუქზე საწმერთულს იხდის" – 2010 წ.***

ამავე დროს, ვმუშაობდი რა აფხაზეთის ა/რ-ის დევნილ უმაღლეს საბჭოში საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად, ხელმძღვანელობისგან ***მოვითხოვდი, აგრე-სიული სეპარატიზმისა თუ მათი პატრონების საინფორმაციო დივერსიათა საპირწონედ შეგვემუშავებინა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის მსოფლმხედველობრივი საფუძველი და ქმედუნარიან პოლიტიკურ სვლაგეზთა სამოქმედო გეგმა, რაც, სამწუხაროდ, ყოველმხრივ იბლოკებოდა*** აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის საბჭოთა პარტოკრატიული ნაწილისაგან, რომლებისგანაც უპირატესად შედგება კიდეც, საუბედუროდ ჩვენდა, ესოდენ მნიშვნელოვანი ინსტიტუცია.

აქედან გამომდინარე, საკუთარი სამკვიდრისიდან დევნილი მოსახლეობის ქუდზეკაცური ნების გათვალისწინებამ, ჩემი ბიოგრაფიის შესაბამისად, სავსებით სამართლაიანად მომთხოვა, საზოგადოებისთვის სიმართლე მეთქვა თუ ***რატომ იქცა აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება ოდიოზურ, კორუფციულ, არაკომპეტენტურ, უფუნქციო და ა. შ.*** სიმრავლედ, ანუ მე საყოველთაოდ გავასაჯარისე, რომ ასეთი ბოროტმოქმედული და ორპირული პოლიტიკური აზრის ქვეშ, არავითარ შემთხვევაში არ იჭედება საოცნებო გამარჯვება, ვინაიდან იგი (წინამდებარე პოლიტიკური ჯოგი) ასრულებდა და ასრულებს არა სახალხო ნებით ნაკარნახევ სასიცოცხლო დაკვეთებს, არამედ, ***მ. სააკაშვილის კოლაბორაციასთან გარიგების გამო, ის არასოდეს არ ანხორციელებდა საკუთარ ამომრჩეველთა განაწესებს.***

ამავე დროს, მართალია, ვიცოდი, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ***მიზნობრივად ორგანიზებული კორუფცია წარმოადგენდა მ.***

***სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთ განტოტებას,*** რომელსაც დაუფარავად და თავხედურად, საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრის წესით მფარველობდნენ პრეზიდენტის ოჯახი (ს. რუელოვსი), საპრეზიდენტო ადმინისტრაციის სამსახური (დ. ტყეშელაშვილი), პარლამენტი (დ. ბაქრაძე, მ. მაჭავარიანი, პ. კუბლაშვილი, ხ. გოგორიშვილი, შ. მალაშხია, პ. დავითაია, ლ. ვეფხვაძე, გ. თორთლაძე და ა. შ.), კონტროლის პალატა (ლ. ბეჟაშვილი), იუსტიციის სამინისტრო (ზ. ადეიშვილი), მთავარი პროკურატურა (მ. ზოდელავა), შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (მოადგილე ს. თოფურიძე) და, რა თქმა უნდა, ძმები ახალაიები... - მე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებული ელიტური კორუფციის შესახებ მტკიცებულებები გადავუგზავნე, ჯერ საქართველოს პარლამენტს (2012 წ. თებერვალ-მარტი), შემდეგ კი მთავარ პროკურატურას (2012 წლის 10 აპრილი), მასვე დამატებითი მასალები მივაწოდე მაისში, ივნისში, სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში). ასევე, არაერთგზის (2012 წლის ივლის-ნოემბერი), მივმართე იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, თუმცა, ეს მტკიცებულებები სამართლებრივი ზემოქმედების საგნად, წინამდებარე ლობისტთა მფარველობის გამო, ვერ იქცა. ის კი არადა, იგი ცალკეული პროკურორის (ა. ლაცუზბაია), ამ საქმით საეჭვოდ დაინტერესებული მთავარი პროკურორის მამისა და თქვენ წარმოიდგინეთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ბოროტმოქმედი ხელმძღვანელობის საერთო ქილიკის საგნადაც დადგინდა.

უფრო მეტიც, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ, გულმოცემულმა მ. სააკაშვილის რეჟიმის ერთსულოვანი მხარდაჭერით, ***გამოიყენა რა საბაბად ჩემი მარჯვენით დაწერილი მ. სააკაშვილის მოღალატური საქმიანობის მამხილებელი წიგნები, სულ უფრო და უფრო მიზანმიმართული ხასიათი მისცა ჩემს წინააღმდეგ ორგანიზებულ პოლიტიკურ შანტაჟს,*** დევნას, შეურაცხყოფას, სამსახურებრივი საქმიანობის ხელოვნურ ხელშეშლას, გაახშირა მუქარები ჩემი და ჩემი შვილის (ის შს სამინისტროს სისტემაში მუშაობდა) წინააღმდეგ, იყო კულუარული საუბრები ანგარიშსწორებაზეც, რაც 2011 წლის 18 აპრილს, ბრწყინვალე აღდგომის წინადღეებში, ვნების კვირის პირველ დღეს, ”შტატების შემცირების” საბაბით სამსახურიდან ჩემს დათხოვნაში გამოიხატა, თუმცა, 21 აპრილს, ამ ”შემცირების” მესამე დღესვე, ”რეორგანიზაციის” შედეგად 10 ახალი შტატი იქნა დაშვებული და, შესაბამისად, დაინიშნა ამდენივე თანამშრომელიც.

თავხედურმა ანგარიშსწორებამ ისე აიწყვიტა ამასობაში, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ დამდო რა ბრალი ”ცილისწამებებში”, 2012 წლის სექტემბერში ჩემს წინააღმდეგ ***სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლის ტაქტიკურ მიზანს წარმოად-***

***გენს მთავარი საკითხის ე. წ. გადაფარვა ძირითად პრობლემაზე მსჯელობის ბანზე აგდების წესით.***

ბატონო პაატა, მოგმართავთ რა თქვენ, შეგახსენებთ, რომ 1993 წლის შემოდგომაზე, როდესაც დასავლეთ საქართველოში აღსდგა ეროვნული და კანონიერი ხელისუფლება (რომლის წევრი თქვენც ბრძანდებოდით), ***მე დავინიშნე აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.*** სწორედ თქვენი, ანუ ეროვნული ხელისუფლების ხელმძღვანელობით სხვა, ამ დროისათვის მახასიათებელ საქმესთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, საყოველთაო უბედურების ადგილებიდან უსაფრთხო გარემოში პირადად ჩემი პასუხისმგებლობით გადმოგვყავდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობისა და რიგი დეპუტატის მიერ აგრესორთა თარეშს პირისპირ შეტოვებული უმწეო და მშვიდობიანი მოსახლეობა.

ვიცნობ რა აფხაზეთის ხელისუფლებად წოდებულთა კაცღმერთულ ბუნებას, ამ პოლიტიკურმა კაცუნებმა, ისევე, როგორც თავის დროზე უღალატეს ეროვნულ ხელისუფლებას და ე. შევარდნაძის მეგზურებად დაიდგინეს თავი, ხოლო, შემდეგ მ. სააკაშვილის ”ვარდებით” გამოიფინენ რუსთაველის გამზირზე, იმის გამო, რომ მათ ხელშია საინფორმაციო ბერკეტები, არ გამოვრიცხავ, ახლაც მოახერხონ თავიანთი თაღლითურ-კორუფციულ ათავხედებათა შენიღბვა. ასეთ შემთხვევაში ***უბედურება ის კი არაა, რომ მათი მხრიდან კვლავ გაგრძელდება ჩემი პოლიტიკური დევნა და შანტაჟი, არამედ, გაწბილებული დარჩება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი, მრავალტანჯული, გენოციდს გადარჩენილი და ეთნიკური წმენდის შედეგად სამშობლო წართმეული ხალხი.***

სწორედ ამიტომ, დაბეჯითებით გთხოვთ, ბატონო პაატა, პირველ რიგში, დევნილთა საზოგადოებრიობას და შემდეგ მეც დამდოთ მოყვასური პატივი, რათა, იმგვარად, როგორც ეს შეჰფერის ზ. გამსახურდიას თანამებრძოლს და თქვენს სულიერ თუ ჯიშისმიერ არისტოკრატიულობას, თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებითა და სადეპუტატო რწმუნების შესაბამისად გადასცეთ საქართველოს მთავარ პროკურორს წინამდებარე მტკიცებულებები აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ორგანიზებული ელიტური კორუფციისა და დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობის შესახებ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საკითხებში, რომელსაც პირადად მ. სააკაშვილი და მისი გარემოცვა მფარველობენ და რისი მხილების გამო მე და ჩემი ოჯახი გავხდით პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი, უფრო მეტიც, ამ ძალების მიერ დაქსელილი შანტაჟის სამიზნე ვართ დღემდე.

პატივისცემით,

**ს. საჯაია** - მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; ომის ვეტერანი; უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი; ზ. გამსახურდიას (2005 წ.), ნ. ნიკოლაძის (2007 წ.) და გ. შარვაშიძის (2009 წ.) პრემიათა ლაურეატი.

**≈*≈**

## როცა პანღურნათხლეშს "აზნეობრივებენ", ანუ წერილი გაზეთ "ახალ თაობას"

თქვენი გაზეთის 20 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ა. წოწონავას მორიგი ცილისწამება, რომელშიც იგი მისთვის ჩვეული სიმდაბლით ცდილობს, სინამდვილე კვლავაც მრუდე სარკეში წარმოაჩინოს. მაგრამ მანამდე ის მოკავშირეების შეკოწიწებას, ისევ და ისევ, აკრძალული ილეთებით ეპოტინება, კერძოდ, მისი ნაბოდვარის სათაურად გამოტანილია "ბრალდება", თითქოს, მე გენო ადამიასა და თამაზ ნადარეიშვილის სახელების გალანძღვას ვცდილობ.

**ცნობისათვის,** - ჩემს წიგნებში საკმაოდ ვრცელი საუბარი მაქვს არათუ ცხონებული გ. ადამიასა და თ. ნადარეიშვილის, არამედ, მთლიანად იმ ეპოქის შესახებ და დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომია თუ რამდენად "ვლანძღავ" მე ამ პიროვნებებს, რამეთუ, ეს წიგნები შეგიძლიათ, მოიძიოთ საქართველოს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქის ბიბლიოთეკებში. უფრო მეტიც, როდესაც 2004 წლის 13 იანვარს, კალანდის წინა ღამეს, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა, მათ შორის ჩასაფრებულმა ა. წოწონავამ თ. ნადარეიშვილს პუტჩი მოუწყო, მე თ. ნადარეიშვილს დავუდექი გვერდში, რადგან იგი, ე. შევარდნაძის პოლიტიკური ხლართების მძევალი, ამ სულმოკლეებზე მაღლა იდგა ყოველმხრივ.

ამჯერად მე არ შევუდგები ამგვარ სიმდაბლეთა ნაბიჯ-ნაბიჯ მხილებას, მალე გამოვა ჩემი წიგნის ***"შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში"*** მესამე ნაწილი და იქ ვისაუბრებ უფრო ვრცლად, ოღონდ, მკითხველი უნდა გავარკვიო მთავარში, ა. წოწონავასა და მისი თანამოსაქმეების ოინი ამ წუთშიც ვირეშმაკულია, მათ უნდათ, უსაგნო კამათში ჩემი ჩათრევით სიტყვა ბანზე ააგდონ და მკითხველი "მათ მოედანზე" გაიტყუონ, საიდანაც მათი ქურდობის ნაკვალევს მარჯვედ ჩააცხრაკლიტულებენ.

საქმე ისაა, რომ დავუშვათ და მე მართლა ცუდი კაცი ვარ, განა ეს გამოდგება მათთვის იმის ნებართვად, რომ მათ წლიდან წლამდე არათუ იპარონ დევნილი მოსახლეობისათვის განკუთვნილი თანხები, არამედ, დაქსელონ კარგად ორგანიზებული კორუფცია?!

სამწუხაროდ, ამ თანმიმდევრულ ბოროტმოქმედებებს მფარველობდნენ ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის მეუღლე ს. რულოვსი (როგორც თავმჯდომარე გ. გვაზავა ტრაბახობდა, მისი ცოლი მეგობრობს მასთან), პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი დ. ტყეშელაშვილი, კონტროლის პალატის ყოფილი უფროსი ლ. ბეჟაშვილი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დ. ბაქრაძე, მოადგილე მ. მაჭავარიანი, ხ. გოგორიშვილი, ს. მალაშხია, გ. თორთლაძე, პირადად ყოფილი მთავარი პროკურორი მ. ზოდელავა, შს სამინისტროს კუდის ყოფილი უფროსის მოადგილე ს. თოფურიძე და, რა თქმა უნდა, ძმები ახალაიები.

ის, რომ ა. წოწონავა, გ. გვაზავა, დ. გვაძაბია, რ. ცატავა, თ. ხუბუა და ა. შ. ორგანიზებული კორუფციის მესვეურები არიან, ამის შესახებ მე მასალები თავის დროზე გადავეცი მთავარ პროკურატურას, სამწუხაროდ, ზემოთ დასახელებული ლობისტების გამო, მათზე გამოძიება დღემდე არ დაწყებულა.

ამასთან დაკავშირებით, მე მზადა ვარ, ქვეყნის უშიშროებასა და სამართალდამცავ სამსახურებს (და არა მ. სააკაშვილისას) მივცე დაწვრილებითი ჩვენება, რომელშიც დავადასტურებ, რომ ამ ხალხმა 1. ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინ უღალატა ამომრჩეველთა განაწესს - იმპერიათა დაკვეთის შესაბამისად, აგრესიულ სეპარატიზმს ხელი შეუწყვეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საომარი ავანტიურის წამოწყებაში და როდესაც ომი წააგეს, უმწეო მოსახლეობაზე ადრე გამოიქცნენ; 2. მთელი ეს წლები ისინი ეწევიან ბოროტმოქმედულ საქმიანობას, ანუ იპარავენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხებს, აყალბებენ საბუთებს, ეწევიან გამომძალველობას და ა. შ.

სწორედ ამიტომ, 2010-2011 წლებში, მას შემდეგ, რაც ისინი ქვეყნის ღალატში, ასევე აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხებში არაკომპეტენტურობასა და ორგანიზებულ კორუფციაში დავადანაშაულე, მათ მოისაზაზეს ჩემს მიერ დაწერილი პრეზიდენტ მ. სააკაშვილის მამხილებელი ხუთი წიგნი (2005-2010 წლები) და მომიწყვეს რა შანტაჟი, ასეთი ***"პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობისთვის"*** სამსახურიდან დამითხოვეს.

"ჩემს მიერ გავრცელებული" წერილი, რომელზედაც საუბარია თქვენს გაზეთში, გახლავთ არა საჭორაო და გასართობი, არამედ, მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 2 ნოემბერს შეტანილ ჩემს განცხადებაზე თანდართული მასალების, მათ შორის ჩემი მომავალი წიგნის ერთი ნაწილი.

ვინაიდან ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ამ საკითხებისადმი მიდგომები შეიცვალა, მათ ახლაც, ჩვეულებრივი ყიამყრალობით სურთ ფონს გასვლა. საქმე ისაა, რომ მასალა, რომელიც მხოლოდ ჩემი მოწინააღმდეგეების გასაცნობად გავაგზავნე ელექტრონული ფოსტით

პირადად მათთვის, რათა გაეგოთ თუ რაში იმხილებოდნენ კიდევ, თქვენთვის ჩემგან ხელმისაწვდომი ვერანაირად ვერ იქნებოდა და თქვენ ტყუილს ბეჭდავთ. რადგან ამ "ინტერვიუში" შეკითხვაც და პასუხიც ერთი კაცის დაწერილია.

ა. წოწონავა ბაცაცა, ყალბისმქნელი და გაუტანელია ყველგან და ყველაფერში, აქაც დააღალატა თანამოსაქმეები და გამოაქვეყნა დახურული საკითხი.

რაც შეეხება ჩვენს დაპირისპირებას, იგი დაიწყო მას შემდეგ, რაც მან ვერ მოახერხა ჩემი ჩათრევა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მის მიერ 2010 წელს ორგანიზებულ ავანტიურაში, როცა მას გ. გვაზავას ჩამოგდება და თავმჯდომარეობა სურდა. ხმამაღლა ვამბობ, ჩემს წერილებში მოყვანილ ნებისმიერ ბრალდებასთან დაკავშირებით მზად ვარ, ვუპასუხო ილორის წმინდა გიორგის ხატის, სახალხო მსჯავრისა და მართლმსაჯულების წინაშე ყველა შეკითხვას და დავამტკიცო ჩემი სისწორე - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში დღეს რაიმე სახალხო პოლიტიკა კი არ იწარმოება, არამედ დათარეშობს თავაწყვეტილი კორუფცია, რომლის ორგანიზატორები არიან გ. გვაზავა, ა. წოწონავა, თ. ხუბუა, დ. გვაძაბია, რ. ცატავა და სხვები. სამწუხაროდ, დანარჩენები თავიანთი საეჭვო დუმილით ხელს უწყობენ იმის მიჩქმალვას, რომ ა. წოწონავა და "კომპანია" გახლავთ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ერთობა.

...და ბოლოს, ა. წოწონავას წინამდებარე ყიამყრალობასა და ქმედებებს თავისი მიზეზი აქვს. საქმე ისაა, რომ მას თავმჯდომარის მოადგილე თ. ხუბუაზე კომპრომატების გავრცელებისთვის, როგორც იქნა, გაბედა და თავად თ. ხუბუამ ამოარტყა, თურმე, პანღური, თან აიძულეს, ჩემზე ეს ლაფის სროლა მოეწყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუჩერებდნენ თანამდებობრივ უფლებამოსილებას. არადა, როგორი საქმეა ეს, - ასე, მაგალითად, როდესაც ამ რწმუნების შედეგად შეგიძლია, 500 ლარად შეისყიდო უმაღლესი საბჭოს გამართული მანქანა და შენი ჯართი შენს "მშობლიურ" სამსახურს მიჰყიდო 9.900 დოლარად (ასე ესმით სასამსახურო მოვალეობა ხალხის ამ სახის "რჩეულებს").

ეს დავალება მან შეასრულა, ანუ ა. წოწონავას არ შეუჩერებემ აწი სათანამდებო უფლებამოსილებას და ასე პანღურამორტყმული გამოცხადდა კიდეც იგი სამსახურში.

ეს საუბარი რომ არ გაგრძელდეს მონოლოგის წესით, მე არა თუ ა. წოწონავას, მთლიანად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს ვიწვევ სახალხო დებატებში ჩვენი მხარის ღირსეული პიროვნებების წინაშე. ნუ ჩქარობს საბჭოთა უშიშროების გამობრძმედილი კადრი, ამხანაგი ანზორი ჩემი ბიოგრაფიისათვის ჩირქის მოცხებას, ის - განსხვავებით სასტვენის აკომპანიმენტით დაქსელილი მისი ვინაობისა, ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას თვალსაწიერში ნაბიჯდებოდა.

*აი, ეს განსხვავებაა სერგი საჯაიასა და "სვისტოკა" ანზორას შორის.*

რაც შეეხება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ბოროტმოქმედ პრეზიდიუმს, იგი სულ მალე გახდება მთავარი პროკურატურის შესწავლის საგანი და საზოგადოება ნახავს, ვინც ვარ მე და ვინცაა ეს ხალხი.

აქ უნდა მივმართო "ოპოზიციონერ" ვ. ყოლბაიას და ჯ. გამახარიას, - ჭკვიანი ხალხი მგონიხართ, ნუ გადააყოლებთ გ. გვაზავას, ა. წოწონავას, თ. ხუბუას, დ. გვაძაბიას, რ. ცატავასა და... ჩასვრილობებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, - ის საჭიროა.

მართალია, ჩემი ჯანმრთელობის გამო, მე არ ვიცი, როდემდე შევძლებ ფეხზე დგომას, მაგრამ ერთი რამ უდავოა, სანამ თვალის გახელა შემიძლია, მე არ დავიშურებ ძალისხმევას, არა თუ თანამედროვეობას, არამედ, მოდგმიდან მოდგმამდე გავუსაჯაროსო ჩემს ხალხს თუ რა იყო იმის მიზეზი, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობა ასეთ დღეში აღმოჩენილიყო.

ტყუილად ფაფხურობთ, თქვენ შეგეძლოთ საქმე მ. სააკაშვილთან მოგეჩალიჩათ, მაგრამ ამას ვერ ჩააწყობთ ჟამთაბერთან.

(გაზ. "ახალი თაობა", 21.XI.2012)

**≈*≈**

## ნაპანღურალი (პირველი) მოადგილე
## ანუ
## ავყიური ამონარწყევები ჩაშვებისთვის გალახულ ანზორასი

*"...განიცადე გონებასა შენსა, ვითარ განვლე შენ უდაბნოი იგი დიდი და საშინელი"*

*მე-2 სჯული - 2,7;*

*"აქ განისვენებს გრაფ დე რესტოს და ბარონ დე ნუსინჟენის მეუღლეთა მამა, ბატონი გორიო, დასაფლავებული ორი სტუდენტის ხარჯზე..."*

*ონორე დე ბალზაკი;*

*"-მე გული მწყდება, რომ შენი პურიც ცხვება ცომისგან... რომ შენი წყალიც გაფილტრულია მიწის ქანებში... ხოლო ის ქალი, შენთან რომ წვება, არ შეიძლება, რომ იყოს ქალი..."*

*ოთარ ჭილაძე*

ა. წოწონავაზეა საუბარი, "ზობიკს" რომ ეძახდნენ მეტსახელად რუსულენოვან საბჭოთა მილიციაში, ხოლო ამავე უწყების ქართველ თანამშრომელთა შორის "ყლინჯად" მოიხსენიებდნენ, განუზომელი და უგნური სიხარბისაგან ათოხარიკებული განაბიჯებების გამო.

პირადად ჩემთვის ეს კაცი თავისი გარეგნობით, მიმოხრით, მისწრა-

ფებებით, ხმაზოდვათა თვალსაწიერითა თუ საბჭოთა ჩეკისტურ-სახლმმართველობითი გაბეჯითებით პირდაპირ მიწაზე გადმოსკვაჭებული და ერთ წყვილ ფეხზე ორ ხირკედ, ანუ უტვინობად გადმომყნობილი შვონდერისა და შარიკოვის *(მ. ბულგაკოვის "ძაღლის გული")* ზედმიწევნითი თვითდამკვიდრებაა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში და არა მხოლოდ აქ.

წერილი, გაზეთმა "ახალმა თაობამ" (2012 წ. 20 ნოემბერს) ასეთი საეჭვო მკლავდაკაპიწებით რომ გამოაქვეყნა და, რომელიც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ჩემს წინააღმდეგ "საბრძოლველად" საგანგებო ხელშეკრულებით დანიშნულ გ. წუწუნავას შედგენილსა ჰგავს, რაც მართალი, მართალია, იგი ა. წოწონავას სულის, უკაცრავად, მას სული და, შესაბამისად, ზნეობა არა აქვს, - ის მისი თვითმქოქი ძრავის შიგთავსი გახლავთ, ანუ *"კოკასა შიგან..."*

...და მაინც, მისი ხმაზოდვის ძირითადი არსი ასეთია: 1. თითქოს მე არამიზნობრივად მოვიხმარე მ. კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის სახსრები; 2. ჩემს ხელში ქართული ენა დეგრადაციას განიცდის; 3. სოხუმის რ-ნის სკოლებში, სადაც მე მასწავლებლად და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ვიმუშავე, მიზანშეუწონელი სახელი დავტოვე და 4. ა. წოწონავას აზრით, მე ვარ ძალიან ცუდი, უკურნებლად სულელი კაცი.

რაც შეეხება, ა. წოწონავას ცილისწამებებს მ. კოსტავას ფონდის შესახებ, ამასთან დაკავშირებით იგივე პასუხი მაქვს, რაც ასეთივე ლაფისსროლისთვის მოვუმისამართე ნ. მგალობლიშვილსა და დ. გვაძაბიას: *"იმდენი ჩვენს შორის მტყვნის... ცოცხალი და მკვდარი..."* მეთქი, კინაღამ ვაღრიალე ენის წვერამდე მოარაგვებული რისხვა, მაგრამ უფალმა გამომაფხიზლა, მე ჯერ წინა დაგინებისთვის მოცმული ქენჯნის პერანგი არ გამიხდია, არადა, იმ მიმისამართების ღირსი დიახაცაა ნ. მგალობლიშვილიცა და დ. გვაძაბიაც, თუმცა, მე ამჯერად მაწუხებს ის, რომ ჩემს ჭაღარას გაექცა ეს სიტყვები... თორემ, ასეთი მიმმისამართებელი არ აკლიათ მათ და მე რაღად უნდა წამომცდენოდა!

კი ბატონო, ეს ყლინჯი (ანზორა) ამაზე მეტის ღირსია, მაგრამ მისგან გამეტებული მშობლები იმ საშინელებების დროს (1993 წლის სექტემბერი) მომხდურმა კაციჭამიებმა საკუთარ ეზოში წააკლეს ა. წოწონავას სიხარბეს. საქმე ისაა, რომ ამ გამოჭენებულმა ბაცაცამ იმ ყოფნა არ ყოფნის წუთებში, დახარბდა რა მილიციურად ნაშოვნ ქონებას და კვლავ მის მოხვეჭა - შერგებაზე იზრუნა, თავისი მხცოვანი, ავადმყოფი და უმწეო დედ-მამა - თითქმის ალყაშემორტყმული გულრიფშის რაიონიდან კი არ გაარიდა აგრესორ-სეპარატისტებს, პირიქით, ღვთის მადლით იქედან გარიდებულები ისევ უკან გააბრუნა, - სახლ-კარს მიმიხედეთ, მოხუცები ხართ, არაფერი გემუქრებათო და ჭურვების სკდომის ქვეშ გამოამწყვდია თავისი

აკანკალებული დედ-მამა.

საბჭოთა მილიციის პოლკოვნიკის ვარაუდი, რომ კრემლისმიერი ძალებისგან მოსადავებული აგრესორ-სეპარატისტები ხელს არ ახლებდნენ მათივე საბჭოთა მილიციელის დედ-მამას, არ გამართლდა, პირიქით მოხდა, არ დაინდეს ეს უმწეო მოხუცები და საკუთარ კარ-მიდამოში, რომლის შემოსანახადაც ისინი ა. წოწონავამ ასე დაუცველად და სახიფათოდ დატოვა, კედელზე მიყენებულნი სასტიკად აწამეს და შემდეგ დახვრიტეს. ის კი არადა, რამოდენიმე დღე დაუმარხავნი ეყარნენ ღია ცის ქვეშ. შემდეგ ვიღაც კაცობაგაღვიძებულებმა ჩააკვეხეს მიწაში. დღეს, გიორგობას (23 ნოემბერს), მუხლზე მდგარი, ანთებული სანთლის წინაშე გულწრფელად ვამბობ, ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს ეს უმწეო მოხუცები, ტარიგად შეწირულები ჩვენს მხარეს. მათ ამ სიკვდილით ცოცხალ ა. წოწონავაზე მეტი სამსახური გაუწიეს ჩვენი ოდაბადის შინაარსის მარადიულობას. ვიმეორებ, ღმერთმა აცხონოს მტრის სისასტიკესა და ა. წოწონავას სიხარბეს შეწირულ მხცოვანთა სულები!.. ისეთი რა უჭირდა ა. წოწონავას, დიახ, თანამშრომლებში "ზობიკად" და "ყლინჯად" წოდებულს, ავადმყოფი, მიხრწნილი და უმწეო მოხუცები დროზე გამოეხიზნა და იქ, ხელში არ მიეჩეჩებინა აგრესორ-სეპარატისტთა სისხლმწყურვალობისთვის?!.

ნუ გაგიკვირდებათ ეს: აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, მართალია, ფიზიკურად არსებობს, მაგრამ ის მორალურად ამორტიზებულია და დანგრეული. სწორედ ასეთ სულიერ დაცემაში ანზორა შვონდერ-შარიკოვიც გამოინახირებდა ხოლმე და როგორც მისი რუსი "პადელნიკები" იტყვიან, ***"и он ловил каиф..."*** საერთოდ კი ეს ჯოგი საკუთარი გამორჩენისთვის თვით უფალს აცვამდა ხელმეორედ ჯვარს, ამის საშუალება რომ ჰქონდეს.

ვწერ ამ სტრიქტონებს და ა. წოწონავას საქციელს გასასიგრძეგანებლად მიველიანდაგები მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე უძღებ შვილთა სულმდაბლობების გასწვრივ.

თითქოს მსგავსებაა, მაგრამ არცაა, ონორე დე ბალზაკის ***"მამა გორიო"***-დან ეს ნებიერა ქალიშვილები აფარფატებული ანგელოზები ბრძანდებიან მასთან შედარებით: ***"იქნებ მას იუსტიციის სამინისტროს იმ განყოფილებაში უმსახურია, სადაც ჯალათები აგზავნიან თავიანთი დანახარჯის ანგარიშებს, თუ რამდენი შავი ტილო დაეხარჯათ მამის მკვლელებზე, რამდენი ნახერხი იხმარეს გილიოტინის კალათებში და რამდენი თოკი მისი დანის დასამაგრებლად. ან იქნებ გადასახადის ამკრეფად იყო ნამყოფი საქონლის სასაკლაოს ჭიშკართან..." (ონორე დე ბალზაკი, "რჩეული თხზულებანი", თბილისი, "საბჭოთა საქართველო", 1973 წ. გვ. 281).***

რის ქალიშვილები! ჩემი აზრით ანზორაზე ასგზის მაღალია თავის ზნეობით ამავე რომანიდან მადმუაზელ მიშონო, - დაბერებული

კურტიზანი ქალი, - თუ მამა გორიოს ქალიშვილები საკუთარ მამას თავისი უმწეობის გამო თაკილობენ და სიკვდილის წინ მარტოდმარტო ტოვებენ, მათზე მდაბალია ჩვენი „ამაგდარი“ მილიციელი, რადგან მან საკუთარი ძალით უბედურებას თავდაღწეული მოხუცები ქონების გამო, უკან, ცხადლივი საფრთხისკენ მიაბრუნა გულშეუძვრელად.

ერთი შეხედვით, მამა გორიოს ქალიშვილებსა და ანზორა შვონდერ-შარიკოვს შუა, თითქოსდა, მოქმედებითი თუ გამოსახვითი განსხვავებაა ნამდვილად, მაგრამ მათ შორის ერთჯიშისმიერია მთავარი - სულის გაუკუღმართება, ანუ მომხმარებლური დამოკიდებულება მშობლისადმი კი არა მარტო, მათი გამეტებაც კი, გამორჩენის მიზნით.

ზემოთ მოგახსენეთ, მადმუაზელ (ანზორას სიტყვითი მარაგის მიხედვით ბოზი) მიშონო ზნეობრივად მათზე მაღალია მეთქი. განა ასეთი საქციელი საამისო ქველმოქმედება არაა?! *"-...ამბობდა, ერთ მოხუცს ვუვლიდიო, რომელიც შარდის ბუშტის ანთებით იყო ავად და საკუთარ შვილებს მიეტოვებინათ, რადგან უფულო ეგონათო"... (იქვე).*

კიდევ ერთხელ ვხრი თავს ა. წოწონავას მშობლებისა და ათასობით ჩვენი თანამოძმის ნაწამებ სულთა ხსოვნის წინაშე, რაც შეეხება სულხარბ ა. წოწონავას, კი ბატონო, სწორედაც რომ ვეთანხმები დიდოსტატ კონსტან-ტინეს, *"...ცხოვრება ავ ძაღლსა ჰგავს ხანდახან, თუ შეკრთი და უკან დაიხიე, ბარკლებს გამოგჭამს, იცოდე"* და რადგან ამ "ზობიკის" თუ "ყლინჯის" (მოდი, აწი უფრო ლიტერატურული სახელით - "შკონდერ-შარიკოვით" მოვიხსე-ნიებ) ცხოვრების წესი სხვა არაფერია, თუ არა ლეგალური ხელცდუნებების ჩაკრიალოსნება, მე იგი თავის ნამდვილ რაობაში უნდა გამოვუქანდაკო შთამომავლობას, მაგრამ მანამდე, თავს უფლებას მივცემ, საკითხს გადავუხვიო: ***როგორც ჩემი წიგნებიდან საზოგადოებას მოეხსენება, 1993 წლის 16 სექტემბერს, აგრესორ-სეპარატისტების მიერ, შეთანხმების ვერაგულად დარღვევის გამო, ოკუპირებული აღმოჩნდა ბესლეთის ხეობის ზედა წელი, შედეგად, დედაჩემი და ჩემი და მტრის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოემწყვდივნენ. თქვენ ისიც გახსოვთ, რომ არმენმა ბოევიკებმა ს. იაშთხვის ოკუპირების შემდეგ ჩემი სახლიდან გამოიტანეს ჩემი პალტო, ჩამოკიდეს ჩემს ეზოში, ტყემლის ხეზე და სიმბოლურად "დახვრიტეს". ჰოდა, აგრესორ-სეპარატისტთაგან ასე დასახვრეტი სერგი საჯაიას დედასა და დას ამ, სისხლის უმად მსმელ აგრესორ-სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსარჩლედ დაუდგა ათობით ბერძნის, რუსის, ესტონელის, არმენის და, რაც მთავარია, აფსუას ჭერქვეშეთი: ისინი ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად გულმოდგინე ძებნისა, არათუ ხელში არ ჩაუგდეს კაცი-ჭამიებს, არამედ, ორი წლის შემდეგ მშვიდობიანად გამოხიზნეს მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე. ვერ ვიტყვი, რომ ეს ორი წელი ცხონებული დედაჩემისა და ჩემი დისთვის სალხინო წლები იყო, მეტსაც***

***გეტყვით, მათ საკუთარ თავზე იწვნიეს იმ უნდობარ გარემოებათა მთლი ვერაგობა და სიძულვილი, მაგრამ ჩემი კაცობის პატივმიმგებლებმა ისინი კიდევაც დაძებნეს და შეიფარეს, ხოლო შემდეგ, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით, განსხვავებით ა. წოწონავასი, ჩემი სიკეთის სამაგიეროდ ცოცხლად და მათი ხელბარგით, როგორც გითხარით, მდ. ენგურამდე მშვიდობიანად ჩამოაცილეს. მე ამას ნიშნისმოგებით როგორ ვეტყვი უზიარებლად და წამებით დახვრეტილი მოხუცების შვილს, მაგრამ თვითონ იგი, იმის მაგივრად, რომ წამებულთა სულს თავისი სიკეთით აოხებდეს, პირიქით, ცოდვით უმძიმებს სულს. კიდევ ვიმეორებ, ამ შვონდერ-შარიკოვს ნიშნისმოგებით არ ვუსაფრდები, მარადღე ვამბობ, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის დედ-მამას და საერთოდ, სამშობლოსთვის წამებულთა სულებს, ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე და იმის პასუხადაც კიდევ, თუ რა წონა ჰქონდა აფხაზეთში*** ა. წოწონავას და განსხვავებით მისგან, რა ვინაობაში მომიაზრებდნენ მე!..

რაკი სიტყვას მოჰყვა, ბარემ იმაზეც გავცემ პასუხს, თუ როგორ ვიღვაწე მე სახალხო განათლების სისტემაში, რასაც ეჭვქვეშ აყენებს ”ანზორა შვონდერ-შარიკოვი”: 1971 და, თუკი ჩემი სტუდენტობის წლებსაც ჩავთვლით, მაშინ 1968 წლიდან 1993 წლამდე გაზეთები ”ახალგაზრდა კომუნისტი”, ”სახალხო განათლება”, ”საბჭოთა აფხაზეთი”, ”კომუნისტური შრომა”, აფხაზეთის რადიო და ა. შ. ფართოდ აშუქებდნენ ჩემს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობას და მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას (ამაზე უფრო ვრცლად შევჩერდები ქვემოთ). ასე, რომ აქაც ”ზობიკი” და ”ყლინჯი” ანზორა კოვზ, ბოდიში, სასტვენ ნაცარში ჩავარდნილია, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, ყველა ე. წ. ინტერნაციონალურ ადგილებში, სადაც ვითარების დასამშვიდებლად მიშვებდნენ სამუშაოდ, 1991 წლის 31 მარტს, სახალხო რეფერნდუმზე, არაქართველმა მოსახლეობამ საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა. ასეთი არის სიცხადე, მაგრამ ეს არაა მთავარი, საყურადღებო ის უნდა იყოს, რომ საზოგადოებაში ჩემი და ანზორის წონადობა არაა თანაზომადი, ამ მხრივ სასწორის პინა მის მხარეზე უნუგეშოდაა ზეატყორცნილი ჩემდა სასარგებლოდ.

სანამ მ. კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდთან დაკავშირებულ საკითხებს შევეხებოდე, პასუხი უნდა გავცე ამ შვონდერ-შარიკოვის ბრალდებას ჩემს ენასთან დაკავშირებითაც. ქვემოთ მექნება საუბარი აფხაზეთის ა/რ-ის სასამართლოს სხდომაზე, 21 ნოემბერს, სადაც ჩემთან დაპირისპირებულმა მხარემ, მათ შორის ”ზობიკმა” წარმოადგინა მტკიცებულებები მათი ”კარგი კაცობის” შესახებ. ა. წოწონავას ”საღირსებო” ჩამონათვალში აღირიცხა ”მისი” სამი წიგნი, რომელთაგან ორი ა. წოწონავური ხმაბოდვითი ჩიქორთულიდან ქართულად

თარგმნილი ჩემს მიერ რომაა, ამას ნების მიერ ექსპერტზე მათი წარდგენა დაგიდასტურებთ, რადგან ასეთი ჩემეული წინადადებები მარტო მე მახა-სიათებს და მის საგანგებო გამხმოვანებელსა და ამწერლებელს გულწრფელად ვურჩევ, გაითვალისწინოს, რომ, არათუ ვიცნობ ანზორა შვონდერ-შარიკოვის ხელწერასა თუ ბურდღინის შინაარსს, არამედ, ისეთი წვრილმანებიც არ დამვიწყნია, როგორ ეშლება მას ასო-ნიშანი "წ" – "შ"-ში, რამდენია მისი მაჯისცემის ძგერა, როდესაც "წიგნების წერისას" ცალკეული ასოები ავიწყდება და ა. შ. სხვათაშორის, ასეთი წინადადებები, "ა. წოწონავას წიგნში" რომაა, ერთი ზეპირად ათქმევინეთ და ვხედავ, წიგნიერი კაცი ხართ, აღრიცხეთ მის მიერ დაშვებული შეცდომები: ყოველივე ამის შემდეგ მე ცოტა სინდისის ქენჯნას ვიგრძნობდი, როდესაც ცნობებს " ა. წოწონავას წიგნების" შესახებ ავაფრიალებდი. იმას მოგახსენებთ, რომ ჩემი ასეთი სიტყვათმარაგი და წინადადებები დიახაც ეამაყებოდა იმ დროს ბატონ ანზორს მისი ხელმოწერით გამოქვეყნებულ წიგნებში, ამიტომ, უფლებას ვიტოვებ, ხმამაღლა ვთქვა, არც თუ ცოტა ღვაწლი მაქვს ა. წოწონავას ავტორობით გამოსულ წიგნებზე და თუ რაოდენი, ამის მოწმე მაშინ მთელი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო იყო, რომელიც ამ შვონდერ-შარიკოვის "მწერლობაზე" საკმაო ხორხოცით ქირქილებდა. ასევე არ წაშლილა ჩემი წვლილი ამ ხმაბოდვათა გაწიგნებაში, რადგან ვირეშმაკ ანზორას და ამაში უნდა დამეთანხმოს მისი ღრმადპატივცემული მეუღლე ქალბატონი ლონდა, დიახ, მას დღემდე არ გადაუხდია ჩემი მეგობრის - აწგანსვენებულ აბესალომ სურმავას (ხუთი წლის წინ გარდაიცვალა) სასტამბო ხარჯები სამას ლარამდე და საკომპიუტერო ვალი 30 ლარის ოდენობით (2006 წლიდან) პირველი ჯგუფის ინვალიდ სიმონ გოგიძისთვის. ეჭვი გეპარებათ? აი, ბატონი სიმონის ტელეფონები: 247-93-21; 277-32-16; 597-11-86-13, დაურეკეთ და თუ აღმოჩნდა, რომ ამ უსინათლოთა საზოგადოების წევრს ა. წოწონავამ შრომის საფასური მისი თვიური ანაზღაურების 0,1% ოდენობით ამ ექვსი წლის მანძილზე ბოლომდე აუნაზღაურა, შემარცხვენეთ მაშინ!.. (სხვათაშორის არც ჩემთვის გადაუხდია თავის ხმაბოდვათა გაწიგნების საზღაური).

ახლა რა გამოდის, ჩემი ენა ვარგა მხოლოდ იმ დროს, როდესაც "ა. წოწონავას წიგნებს" ვწერ და გაუკუღმართებულია მაშინ, მის სულნაცდურობებს რომ ვასაჯარისებ?! ცოტა გაუგებარია ეს. ისე, რა ამის პასუხია და ჩემს ენაზე სულ სხვა აზრის არიან ცნობილი ენათმეცნიერები მ. ტაბიძე, მ. ნაჭყებია, თ. გვანცელაძე, ტ. ფუტკარაძე. საყოველთაოდ ცნობილი მწერალი, პროფესორი ს. სიგუა, პედაგოგი ლ. ესათია; ლიტერატურათმცონდე, პროფესორი მ. მირესაშვილი და ა. შ. რაც მთავარია, ჩემს ენას მაღალ შეფასებას აძლევდა თვით ზ. გამსახურდია და ახლა ვის დავუჯერო, ზემოთჩამოთვლილთა ღრმად განსწავლულობას თუ

ა. წოწონავას ჩიქორთულ ხმაბოდვებს, განპირობებულთ საბჭოთა მილიციურ "ასვისტოკებაში" გასაგნებული გემოვნებით?! (ამასთან დაკავშრიებით იხილეთ ავტორთა კრებული "სერგი (გიორგი) საჯაია - 65", თბილისი, 2011 წ.).

აქვე ერთ საკითხსაც შევეხები, რომელიც ჩემი ქართულის დაწუნების გასწვრივ შემომიშვირა ანზორა შვონდერ-შარიკოვმა: ესაა ჩემი "ბერძნობა"... ამის შესახებ მე არაერთი იამბე მაქვს გამოქვეყნებული, მაგრამ ცნობიერებით გირინ ა. წოწონავას და მის ასეთსავე ამალას ვურჩევ დედაჩემის, აწგანსვენებული ბერძენი ქალბატონის ეფემია ერალიდის წერილები წაიკითხოს გაზეთებში "სახალხო განათლება" (1989 წ. 17 ივნისი), "ლიტერატურული საქართველო" (1989 წ, 24 ივნისი), "Народное Образованые"-ში (1989 წ. 19 ივნისი), ასევე თვალი გადაავლოს ა. გელოვანის წიგნს "სიბრძნის სიმფონია", თბილისი, "საბჭოთა საქართველო", 1990 წ. გვ. 800).

მკითხველი დამეთანხმება, რომ ასეთი წერილების ავტორის შვილს, მადლიერების გრძნობის მქონე ქართულ საზოგადოებაში არავინ აკადრებს და ვერც გაუბედავს საეჭვო ზედწოდებით "Грек" მიმართოს. ეს უფრო ა. შვონდერ-შარიკოვის სხეულის იმ ნაწილის მოსურვილებაა, სადაც სატვინოს მაგივრად ჟამთაბერმა ღამის ქოთანი დააკვეხა. მეორეც, ამ ქსენოფობიური (უყვარს „ლიბერალ“ ანზორს ეს სიტყვა) პასაჟით, რომლითაც ა. წოწონავა და "კომპანია" ჩემს გაშოლტვას ცდილობდნენ, როგორც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მუშაობის დროს, ასევე ჩემი იქედან დათხოვნის შემდეგაც (იხ. "საერთო აგზეთი", 2011 წ. 4, 11 ივნისი), მ. სააკაშვილის ერს დაპირისპირებული საქმიანობის მამხილებელ ჩემს წიგნებთან ერთად - ***"ჩემი პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობისა"*** და აქედან გამომდინარე დევნის "არგუმენტი" გახდა, რითაც ა. წოწონავა, გ. გვაზავა, რ. ცატავა, დ. გვაძაბია, თ. ხუბუა და სხვები ჩემს მიერ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ორგანიზებული ელიტური კორუფციის, როგორც სინამდვილეში არსებული ბოროტმოქმედული სიცხადის გადაფარვას ცდილობენ.

რაღა შორს წავიდეთ, თვით ა. წოწონავაა ბერძნების მონათლული და დევნილობაშიც არაერთხელ გაუწიეს მას დახმარების ხელი "Грек"-ებმა, მაგრამ ზოგიერთს პატივისცემა მუხლზე უდევს, წამოდგება და მიწაზე გადმოუცვივა.

რაც შეეხება დედა ეკლესიას, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება გახლდათ ამ პარტოკრატიული და ათეისტური ნომენკლატურის დედა ეკლესიის წიაღში მოქცევა, ზოგიერთთან ეს შევძელი, ზოგთან არ გამომივიდა. ეს, რომ ასეა, ამის შესახებ არა ერთი დადგენილება ინახება თვით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში. იგი საჯარისდებოდა მედიაში და შეიწუხეთ

თავი, მერე დაასკვენით თუ რა ხარისხის ცრუპენტელაა წინამდებარე ა. შვონდერ-შარიკოვი, მოფერებით - შარიკა.

ახლა, რაც შეეხება მ. კოსტავას ფონდს, რომელიც ამ შემთხვევაში ”ტუზად” უჭირავთ ა. წოწონავას, დ. გვაძაბიას, ნ. მგალობლიშვილს, სხვებსა და სხვებს, რათა ასე თავსმოხვეულ ბანქოს მაგიდაზე მათი ჭკუით ”წამწვან” და უიმედო ვალში გადამაგდონ ერთხელ და სამუდამოდ: წინდაწინ გეტყვით, სიხარულისგან ასე ნაადრევად ნუ ჭყლოპინებთ, ეგ ”ტუზი” ნაყალბევია, ბანქოს ამ შეკვრიდან არაა, ასე, რომ თქვენივე შემოთავაზებული ილეთის წესებით, ნებისმიერ გორაგადში, ”სხადნიაკს” რომ ეძახით თქვენ, სამმაგ ვალდებულებას ამოგანალებენ უზოდიშოდ.

ამასთან დაკავშირებით არაერთხელ მითქვამს, მაგრამ კიდევ ერთხელ შევახსენებ მკითხველს: 1990 წლის იანვარში ზ. გამსახურდიას წინადადებით მე - აფხაზეთის პარტოკრატიის მიერ ”გაეროვნულებული მიმკაკუნეების” თვალში ერთი ”რიგითი” სკოლის დირექტორს, ერთპიროვნულად მომეცა რწმუნება მეხელმძღვანელა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მ. კოსტავას ფონდისთვის. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მხრიდან ასეთმა ნდობამ გააოგნა ”მოეროვნულეთა” ჩაჯაშუშებული ჯგუფი, რომლებიც შემდეგ ჩამისაფრდნენ და დამიპირისპირდნენ კიდევაც. დასამალი არაა, თანხებმა, რომლებმაც, თავი მოიყარეს ჩემთან, ასევე მოაქცია ჩემს ხელში გარკვეული ზეგავლენებიც. სწორედ ამ ზეგავლენათა მოსადავება სცადა აფხაზეთში ”ქართულმა” პარტოკრატიულმა ნომეკლატურამ, რასაც დავუპირსპირდი სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

იმხანად, 1989 წლის ზაფხულში, 15-16 ივლისის სისხლიანი მოვლენების შემდეგ აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულმა პოლკოვნიკმა გ. ლომინაძემ საჭიროდ მიიჩნია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად 1990 წლის მარტის არჩევნებში კენჭი ეყარა ქ. სოხუმის ერთ-ერთი საარჩევნო ოლქიდან. მან სავსებით სწორად გათვალა და გ. ანჩაბაძისა - იმ დროს საქართველოს კპ ცკ-ის მდივნისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ასევე, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის - ლ. ხაბურზანიას რჩევით გადაწყვიტა ჩემთვის მხარდაჭერა ეთხოვა.

ამ მიზნით 1990 წლის თებერვლის ერთ გვიან ღამით, სახლში მეწვივნენ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე მ. დგებუაძე და შს სამინისტროს პოლკოვნიკი, შემდგომში გენერალი ვ. დავითაია.

მათი მეშვეობით სოხუმში, ე. წ. ი. სტალინის სამთავრობო აგარაკზე შევხვდი გ. ლომინაძეს: გავისაუბრეთ და მე ასეთი მხარდაჭერა არ მიმიჩნევია შეუძლებლად, ოღონდ, ვთქვი, რომ იგი ეროვნული

მოძრაობისთვის უნდა შემეთანხმებინა. როგორც იცით, ეს არჩევნები ჩაიშალა მაშინ.

ბუნებრივია, გამობრძმედილმა გ. ლომინაძემ შეამჩნია, რომ მე ასეთ საქმეებში ზემდგომად არა აფხაზეთის "ქართულ" პარტოკრატიასა და მის ნომენკლატურას, არამედ, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ვაღიარებდი, აქედან გამომდინარე, მან მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი საქმიანობიდან ჩემი ჩამოშორება ყველა მიზნის მიმღწევი ილეთის გამოყენებით, რაშიც მან მოხერხებულად გამოიყენა აფხაზეთელი "დისიდენტების" ათუხთუხებული შური და ავმოსურნეობითი ჩასაფრება.

თუ როგორ განვითარდა შემდგომი მოვლენები, მე ეს არაერთ ჩემს წიგნში მაქვს აღწერილი და ამჯერად აქ შევჩერდები, ოღონდ, ისევდაისევ, აღვნიშნავ ერთ მთავარს, 1992 წლის 11 აგვისტოს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ, ამ ქვეგამხედვარე ცილისწამებათა შედეგების გამო, სინანული გამოთქვა ეროვნული მოძრაობის ერთი ჯგუფის თანდასწრებით, ხოლო 2010 წლის იანვარში ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროფ. ჯ. გამახარიას - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს საგანგებოდ მიაკითხა მანამდე მისთვის უცნობმა მ. კოსტავას ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ ვაჟა შერვაშიძემ (ტელ.: 593618323) და დაბეჯითებით უთხრა, რომ მე, სერგი საჯაიამ მ. კოსტავას ფონდში კეთილსინდისიერად ვიღვაწე და აფხაზეთიდან მხოლოდ მე მქონდა მასთან საფინანსო ურთიერთობა ბოლომდე მოწესრიგებული. შემდგომში, როდესაც ამასთან დაკავშირებით გავესაუბრე ბატონ ვაჟას - ამის მიზეზი იყოო ის უსაფუძვლო ცილისწამებები, რომლებსაც ჩასაფრებული ძალები ასე უსინდისოდ ავრცელებენ, რითაც არა მხოლოდ შენი, არამედ ეროვნული მოძრაობის სახელგატეხვას ცდილობენო ამით.

არ დაგიმალავთ, 2012 წლის 21 ნოემბერს მივმართე თვით მ. კოსტავას ფონდს და, რაკიღა ეშმაკს არ სძინავს, ვკითხე, რაიმე დავალიანება ხომ არ მერიცხებოდა აქ. პასუხად მივიღე, რომ ნებისმიერი, რომელსაც მოუნდებოდა გარკვევა მ. კოსტავას ფონდის (ტელეფონი 2983901) საქმიანობაზე, გნებავთ ჩემს შესახებ, კერძოდ მერიცხებოდა თუ არა რაიმე სახის გაფლანგვა ან თანხის არამიზნობრივი ხარჯვა, სათანადოო საბუღალტროო მონაცემებზე დაყრდნობით, შეუფერხებლად მიიღებდა სწორ პასუხს.

ასე, რომ  კეთილმოსურნეებს, რომელთაც ჩემი ზნეობრივი სისუფთავე აბედნიერებთ და ავმოსურნედ ჩასაფრებულებსაც ყველა საინფორმაციოო წყაროო დავუსახელე, სადაც მ. კოსტავას ფონდის საქმიანობისა და ამ მხრივ ჩემი თანამონაწილეობის შესახებ ზედმიწევნითი ზუსტი ცნობების მიღება შეგეძლებათ. არის კიდევ ერთი ზნეობრივი დამისამართება - ქალბატონი მანანა, მაგრამ მის ტელეფონს, მრავალი გასაგები მიზეზის გამოო, მე არ დაგისახელებთ, თქვენ თვითონ მოიძიეთ.

ბუნებრივია, ა. წოწონავასნაირი შვონდერ-შარიკოვებისათვის ეს წყაროები სანიშანსვეტო არაა. ისინი ჯიუტად, კვლავ და კვლავ, მათ მიერ ჯერ კიდევ 1990 წელს დაქსელილ ჭორებს იმეორებენ და ამრავალცალებენ. რა ამის პასუხია და, მას შემდეგ, რაც მე ჩემი ნებით წამოვედი (1990 წ. მაისი) იქედან, მ. კოსტავას ფონდი დაკლული დათვის ტყავივით გაიყვეს ნ. მგალობლიშვილმა, გ. ბახიამ, გ. მაისურაძემ, რ. კემულარიამ, თ. ანთიამ, ვ. დარასელიამ და ა. შ. და, რამდენადაც ვიცი, მილიონობით მანეთი აიღეს საქვეანგარიშოდ მაშინ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად ვიცი, ეს თანხა სად და როგორ დაიხარჯა, საერთოდ, თუ რა სახე მიიღო შემდგომში ყოველივე ამან, მე უფრო მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, ვიდრე ამის კვლევაა. ვისაც გაინტერესებთ, მიდით და დააზუსტეთ, - თუ მოაწესრიგეს ამ ადამიანებმა საფინანსო ურთიერთობა მ. კოსტავას ფონდთან: მე თვითონ ამ მოვლენებზე საკმაოდ ვწერე და წიგნიც კი გამოვეცი, ასე, რომ თუ გინდათ, იგაკვეთილეთ ეს წყაროები, არადა, ერთი თქვენი...

ამდენად, როცა ჩემს საქმიანობაზეა საუბარი მ. კოსტავას ფონდში, ნურავისში შეგეშლებით მე... კიდევ გეუბნებით, სათქმელი, რაც საჭირო იყო, ვთქვი, დღეს არ მჭირდება და არც ვადებ ხელს არავის, ეს გააკეთოს საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელმაც "ქსა-ჰარიქას" წესით ასე უღმერთოდ, უსამართლოდ და ცილისმწამებლურად, თან ოცწლიანი ჩასაფრებით ჩამისანგრდა მე... იგი გახლავთ ყოვლად უღირსი სიმრავლე და მე მათ არაფერს ავუხსნი, მეტი საქმე არა მაქვს, - ანგარიში საზოგადოების ღვთივსათნო ნაწილს ჩავაბარე ერთხელ და მასთან მაქვს საქმე მხოლოდ.

როდესაც ა. წოწონავაზეა საუბარი, უნდა მოგახსენოთ, რომ, ის, როგორც რაობა, დარჩა საბჭოთა მილიციელად. თავად განსაჯეთ, ეს კაცი დღემდე იმით ამაყობს, რომ, როდესაც ამ ოცდაათი თუ რამდენიცაა წლის წინ შს სამინისტროს გულრიფშის რაისამმართველოს უფროსად დანიშნეს, იმ დღეებში მისდამი რწმუნებული რაიონის რომელიღაც სოფელში თუ დაბაში ხუთიოდე ახალგაზრდას, თუ არ ვცდები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ერთმანეთში ჩხუბი მოსვლიათ და თავადვე მშვიდობიანად გაშველებულან. შერიგებულ ბიჭებს თავს დასდგომიან ა. წოწონავას მიერ მიგზავნილი მილიციელები და დაუპატიმრებიათ ისინი.

ამასთან დაკავშირებით ა. შვონდერ-შარიკოვის ცნობილი წინამორბედის აგენტს შ...ს დაურეკავს მისთვის და უთხოვია, გამოეშვა ეს ბავშვები.

აი, სად გამოუჩენია საბჭოთა ჩეკისტს "პრინციპულობა" და წინამორბედის აგენტის ჯინაზე "ტროიკის" სისასტიკით ამ ბიჭებზე საქმე შეუდგენია, შედეგად კი ორ-ორი წლით აუკიდებია მათთვის "სროკი". ახლა გეკითხებით მე თქვენ, ის ოყლაყი, ვინც მოზარდს ცელქობის გამო საციხოდ გაიმეტებს და სამისდღეშიოდ დაუნგრევს ცხოვრებას, როდესმე

მოისურვებს სახალხო თავგანწირვას?!

სხვათაშორის, მ. კოსტავას ფონდმა ერთ საკითხთან დაკავშირებით მისკენაც გამაბილიკა ერთ დროს: ყველა გულრიფშელმა იცის, რომ ს. მაჭარაში, ზღვასთან ახლოს, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის აგურით მყარად ნაგები შენობა იდგა. მიმდებარე სავარგულები ათწლების მანძილზე ნაკელით პოხიერდებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ფერმიდან საქონელი ზღვისპირს მოაცილეს, მაგრამ შენობა და გარშემო ნანაკელარი მიწები ადგილზე დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ გულრიფშის მკვიდრი მოსახლეობიდან ათასობით ადამიანი წლების მანძილზე ამაოდ ითხოვდა აქ სამოსახლოსა და ბინას, იმ დროინდელმა მესვეურებმა გულრიფშის რ-ნისა, მათ შორის კი, პირველ რიგში, წესით გულრიფშის "სიფხიზლემ" ა. წოწონავამაც რატომღაც ადგილობრივებს არჩია "მუშახელის" შემოყვანა მეზობელი არმენეთიდან, შედეგად, 24 არმენის კომლი დაბინავდა ფერმის ამ შენობაში და 24 საკარ-მიდამოდ დაუნაწილდათ მიმდებარე სავარგულებიც. დიახ, სამართლიანობა მოითხოვს, გავაცხადო, ასობით ამგვარ საქმეში და უფრო უარესშიც ა. წოწონავა მარტო არ იყო - ის ან თანამოსაქმეობდა სხვებთან, ან სხვები თანამოსაქმეობდნენ მასთან.

ის, რომ დღეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს კლანოკრატიული ერთობა აკონტროლებს და არა ინსტიტუციური სისტემა, ეს ნათლად გამოჩნდა 2012 წლის 21 ნოემბერს, სასამართლოს სხდომაზე, სადაც განიხილეს გ. გვაზავას, ა. წოწონავას, თ. ხუბუას, დ. გვაძაბიას, რ. ცატავას, თ. მჟავიას, რ. შამუგიას, ნ, მგალობლიშვილის, მ. კვარაცხელიას, ა. გასვიანის, რ. ქარაიას, თ. ლორთქიფანიძის, გ. ლომინაძისა და ე. ასტემიროვას სარჩელი ჩემს წინააღმდეგ. ეს თაღლითები და მათთან თანამოსაქმეები ცილისწამებას უწოდებენ ჩემს მიერ მათ მხილებას პოლიტიკურ არაკომპეტენტურობასა თუ ელიტურ კორუფციაში. აქ მე კიდევ ერთხელ დავინახე, რომ ამ ჯოგური ფეხაწყობისთვის, რომელმაც ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში ისე შემოაფინა საკუთარი თომარჯიღები, თითქოს ეს-ესაა, დიდგორის "ძლევაი საკვირველი" მხოლოდ მათი მარჯვენით მიეშინაარსა საქართველოს, დიახაც რომ ფეხებზე დასაკიდია სახალხო ნება. ამ ხალხს, რაკიღა, მათ სირცხვილის გრძნობა არ გააჩნიათ, საქართველოც და შესაბამისად, მათი სამსახურებრივი მიწერილობაც მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა თუ გამორჩენის მისაღებ ობიექტად მიაჩნიათ.

სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში საზოგადოების ერთი ნაწილის სულიერი სიმხეცე და უუნარობა, რათა საკუთარ გონებაში დაამარცხოს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ბოროტმოქმედული, მტაცებლური და არასახალხო ბუნება, საშუალებას აძლევს მათ, კვლავაც უტიფრად აყარონ ნაცარი სახალხო მზერას.

ის, რომ მათ სასამართლოს წარმოუდგინეს ფირმანები მათი ჯილდოების, სამეცნიერო ხარისხებისა და ა. შ. შესახებ (რასაც ყოველგვარი ქვეფიქრების გარეშე, ვუსურვებ, რომ მშვიდობაში მოხმარდეთ), ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიჩნევ იმის საპირწონედ, რაშიც ვედავები მათ, ამწუთამდე ე. შევარდნაძის ბეჯით და თანმიმდევრულ მიმდევრებს შევახსენებ, რომ როდესაც 1973 წელს ამხანაგმა ედუარდმა გასცა საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის, აკადემიკოს პ. გელბახიანის ციხეში ჩასმის ბრძანება, მას, იმ დროისათვის გაცილებით არანაკლები სინჯის სამთავრობო ჯილდოები, საზოგადოებრივი მდგომარეობა და სამეცნიერო ხარისხები ჰქონდა, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია, წაყენებულ ბრალდებაზე პასუხი ეგო (სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანად გამოიძია საბჭოთა მილიციამ მისი საქმე, ეს ა. წოწონავამ უფრო იცის, რომელიც იმხანადაც ამ უწყებაში "ერისკაცობდა").

***დიახ, მეგობრებო, ის, რომ ეს გამონახირებული ერთობა დღემდე, ამ ოცი წლის მანძილზე აფხაზეთის ხელისუფლებად იწოდება, ეს გახლავთ ჩვენი საზოგადოების კონფორმისტული სულისკვეთება და თანაარსებობის უნარი არასახალხო ძალისხმევასთან.***

მათი ასეთი დაუსჯელობა საშუალებას აძლევს ამ სიმრავლეს, ზურგი აქციოს სახალხო ნებას და დოქტორ მენგელის გულშეუძვრელობით ატაროს ცდები საზოგადოების ზომბირებისა და თავისი თვითდამკვიდრების ასაკვარცლხბეკებელი საშუალებების დასაზუსტებლად.

ძალიან მაინტერესებს, ნუთუ სირცხვილის გრძნობა არ შეაწუხებთ, როდესაც გაიხსენებენ, - მათი უფლების დამცველი გ. წუწუნავა ხმამაღლა, ბეჯითი სცენისმოყვარის მონდომებით თუ როგორ საუბრობდა მათ რიგებში X-ის პიროვნულ თუ სამეცნიერო "ღირსებებზე", იმ X-ზე მოგახსენებთ, რომლის დისერტაციის დაცვიდან გამოსული რამოდენიმე ქალბატონი, დღეს ჩემს წინააღმდეგ რომ აწერს ხელს, როგორ აცხადებდა, რომ ***"სირცხვილისგან დაწვას ძლივს გადაურჩა"...***

სხვა რამეც შემიძლია, მათ შესახებ გავიხსენო, მაგრამ ეს ყველაფერი მათ სინდისზე იყოს. ერთს კი ვიკითხავ, მათ შორის ერთ-ერთი დეპუტატი ქალბატონის "საკადემიკოსო" ნაშრომთა ნუსხაში თუ შედის ის საჩივრები, რომლებსაც საქართველოს კპ ცკ-ში იგი შესაშური დაბეჯითებით აგზავნიდა 1989-90 წლებში და უჩიოდა მიხეილ თემურის ძე ბღაჟბას - საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ყოფილ პირველ მდივანს, ეროვნებით აფსუას, იმხანად ნ. ვავილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის განყოფილების დირექტორს, რომლის ეროვნული ნიშნით გადაყენებას და მის ადგილზე ჩასკვაჭებას ცდილობდა იგი თავად.

სხვათაშორის აწგანსვენებულ მ. ბღაჟბას დამსახურებაა ნ. ს. ხრუშჩოვის ქართველთსაპობითი ხრიკების საწინააღმდეგო

თანმიმდევრულობა, რომლის მიმართ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მადლიერია, ის ქართველთანაგ მხოლოდ ამ ქალბატონისთვის გახდა ჩასაფრების სამიზნე.

საინტერესოა, რომ ისტორიულ სამშობლოში მიბრუნებულმა სოხუმელმა ნიკოლოზ (კოკა) კონსტანტინიდიმ, ათენში, 2007 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი მ. ბჟღაბაზე (**"Страна Сухумия"**), რომელშიც ავტორთან საუბრისას მ. ბღაჟბამ დაწვრილებით გაიხსენა ნ. ხრუშჩოვის ვერაგული გეგმები იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდა იგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ჩამოშორებას ჩვენი ქვეყნიდან.

ჯერ კიდევ 1991 წელს ბატონი მიხეილი სწუხდა თურმე, რომ კრემლის ქვეგამხედვარობასთან ერთად და აგრესორ-სეპარატისტებისა თუ "ქართველ" პარტოკრატთა დანაშაულებრივი წინგაუხედაობის გამო ვითარება უფსკრულის პირთან მიიჩიხა: ***"...Происходит распод Союза. Верх берут центробежные силы. В этих случаях все зависит от ума и мудрости тех, кто несет ответственность за сохранение мира у себя в республике. Если грузинские и абхазские политики могут найти правильные пути для урегулирования имующихся противоречий, то мир в Абхазии можно будет сохранить. Хотя я в этом не уверен"*** (დასახ. წიგნი, გვ. 313).

იმას, რომ მ. ბღაჟბას უსაფუძვლოდ არ ეეჭვებოდა მშვიდობის შენარჩუნება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), კრემლის დიდმპყრობლობისა და აგრესორ-სეპარატისტთა ავანტიურების გარდა, განაპირობებდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციის ერთი ნაწილის არაკომპეტენტური დემარშები და მ. ბღაჟბაზე საჩივრების მწერ ქალბატონისნაირთა უგნური ხელგარჯილობები.

განვაგრძოთ საუბარი. თავისი ხელმოწერით გავრცელებულ ხმაბოდვაში ა. წოწონავა ერთგან წერს *"... გონებაში მყისიერად გაცოცხლდაო"*, ანუ რაღაც ამბავი ("ჩემი ცუდკაცობა") ფიქრზე უსწრაფესად შეჭრილა მის უტვინო სატვინოში. მართალია, ვირეშმაკობიდან ერთხელ თავდაძვრენილი, ყოველთვის ვერ მოახერხებს თავდაძვრენას, მაგრამ ა. წოწონავა, საზოგადოების კონფრომისტული ნაწილის წყალობით, დღემდე აღწევს ასგზის ნასაძრახისი თავის შენარჩუნებას, რაც შეეხება გონებას, მას ეს არ გააჩნია და რაღა გაუცოცხლდებოდა. შესაკითხი მისთვის სხვა რამაა, ***მოჰპარა თუ არა მან სახელმწიფოს დევნილებისთვის განკუთვნილი თანხები?!***

რაც შეეხება ჩემს მიერ *"სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობას"* და ა. შ. თუ როგორ და რა დონეზე ვასრულებდი მე ასეთ მოვალეობას აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, ოფიციალური საბუთები ამის შესახებ მისსავე კანცელარიაშია დაცული, მაგრამ აქ სხვა რამ მინდა ვთქვა, იმ დროს, როდესაც მას ჩემი ჩათრევა სურდა თავის ავანტიურებში, მეყო პირდაპირობა და მშვიდად ავუხსენი, რომ მას ა. გვაზავას

ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრა კი არა, მისი სავარძელი სურდა, რაც ასეთი ქვეშქვეშური ილეთებითა და თანამშრომლებზე შეგროვილი კომპრომატებით არ მოხერხდებოდა, ვინაიდან და რადგან მასში სახელმწიფოებრივად მოაზროვნეს არ ხედავდნენ (დღეს მას ამის ბანზე აგდების იმედი აქვს წინამდებარე სასამართლოთი, რადგან ყველა ილეთში წააგო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 2012 წლის 22 ნოემბერს, სასამართლოს მეორე დღეს, როგორც გადმომცეს, მან ტელეფონით უპასუხა ვიღაცას, რომ მოსამართლე მისი ყოფილი კოლეგისა და მეგობრის შვილია... აი, რისი იმედი აქვს მას, ამის მიუხედავად, არ მჯერა, რომ თუნდაც მეგობრის შვილი, წინგაუხედავად და ერთბაშად გადაიხრება თაღლით ა. წოწონავასა და მასთან მიერთსხეულებული ბოროტმოქმედი კომპანიისკენ).

არადა, დღემდე ვერ გამიგია და ძალიან მაინტერესებს, ა. წოწონავა, რომელიც ასეთი წინადადების *"გონებაში მყისიერად გაცოცხლდა"* სამ წარმოთქმაში ცხრა შეცდომას დაუშვებს და სიტყვას - *"მყისიერად"* განმარტებითი ლექსიკონის გარეშე ვერ ახსნის, რატომ წამეკიდა ასე სადანასისხლოდ მხოლოდ იმიტომ, რომ მე ჩემი გავლენები არ გამოვიყენე მის მიერ თავის კოლეგებზე მოგროვილი კომპრომატების გამოსაქვეყნებლად?!

მე ხომ არასოდეს გამიმტყუნებია იგი იმაში, რომ მას აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა სურდა?! უბრალოდ ვუთხარი, შენ დეპუტატები ხმას არ მოგცემენ მეთქი და ეს ასეც იყო. ისინი დღეს "ესიყვარულებიან" მას მხოლოდ იმიტომ, რათა მან (ანზორამ) პირი არ მოაღოს და ეს კომპრომატები არ გამოუქვეყნოს მათ.

აქ ერთიც უნდა ვთქვა, წინამდებარე სასამართლოზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს უფლებათა დამცველისა და ამ ინსტიტუციაში საგანგებო ხელშეკრულებით მოსაქმიანე გ. წუწუნავას განცხადებით, რომელიც მან 21 ნოემბერს სასამართლოზე გამოაოთხივკუთხა, თურმე, ეს თოთხმეტი პოლიტიკური ძუძუმტე, ძველი ბერძნული ქოროს დასივით რომ შემოანტიგონდა, მხოლოდ ფეხაწყობათა მიმსგავსება კი არაა, არამედ, გახლავან აფხაზეთის ყველაზე საპატიო და ანგარიშგასაწევი პიროვნებები. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოება ვეჭვობ, ასე ერთბაშად დაეთანხმოს ამაში გ. წუწუნავას, რომელსაც, სხვათაშორის, ჩემდა სამარცხვინოდ არასოდეს შევხვედრივარ იქ, სადაც ჩემი მხრისა და გნებავთ ქვეყნის ყოფნა არყოფნა წყდებოდა და არ ვიცნობ, - მე არ ვედავები, რადგან ამას, ჩემდა და მისდა დაუკითხავად, თავად ჟამთაბერი გაასომთავრულებს. მე მათ მხოლოდ ოთხ საკითხზე ვთხოვ პასუხს: ***1. მართალია თუ არა მათი კოლეგის ნ. მესხიას ბრალდება მათ მიმართ, რომ ისინი, 1992-93 წლებში ე. შევარდნაძის ხუნტასთან ერთად, ძალიან რბილად რომ ვთქვა, კოლაბორაციულ საქმიანობას ეწეოდნენ?! 2. უსაფუძვლოა თუ არა აფხაზეთის ა/რ-ის პრეზიდიუმის წევრის ბატონ ჯ. გამახარიას აპარატის***

***ყოფილი უფროსის ო. ჩარკვიანისა და მომარაგების დეპარტამენტის ასევე ყოფილი უფროსის ზ. ზარანდიას ბრალდებები გ. გვაზავას მიმართ, რომელიც არაერთგვაროვანი სახით (განცხადებები, მოხსენებითი ბარათი, საჩივარი), სხვადასხვა დონეზე (აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი), არაერთგზის (2010-2012 წლებში) მიეწოდა დამისამართებულებს და რომლებშიც, ასევე ძალიან რბილად რომ ვთქვა, ეს უკანასკნელი ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში იმხილება?! 3. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა დამდო თუ არა ბრალი 2011 წლის 11 აპრილსა და 2012 წლის 23 მაისს საგანგებო და ოფიციალური საჩივრით, იმაში, რომ მე ჩემი წიგნებით ვამხილე ნაციონალური მოძრაობის სახელისუფლებო დიქტატი, რასაც მოჰყვა სახელმწიფოსათვის საზიანო შედეგები?! 4. ამავე დროს, ადასტურებს თუ არა ჩემს სისწორეს დღევანდელი ხელისუფლების ბრძოლა წინა ხელისუფლების ბოროტმოქმედული საქმიანობის წინააღმდეგ და ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მე პოლიტიკური დევნისა და შესაბამისი შანტაჟის გზით მაიძულეთ, წამოვსულიყავი სამსახურიდან?!***

აი, ესა მაქვს მე სარკვევი და არა ის, ჩემთან დაპირისპირებული ქოროს შთამომავლობას თუ რა სინჯის რელიკვია შეხვდება მათი ჯილდოების სახით!

*******

ახლა, რაც შეეხება ბატონ გ. წუწუნავას აღნიშნულ სასამართლოზე ცოტა მჩატედ ნათქვამს აფხაზეთის მოწინავე თუ საუკეთესო ინტელიგენტებზე: ასეთად თავდამდგენი პატივმოყვარეობა, როგორითაც ჩემს წინააღმდეგ ალაშქრებული ქორალის წარმოჩენა სცადა პატივცემულმა ადვოკატმა, ააშკარავებს იმას, რომ ამ ხალხმა მართლა არ იცის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს სულიერი ვინაობა. ბუნდოვნად ესმით სიტყვა ინტელი-გენტის რაობა და ა. შ.

ამგვარი კაცღმერთული ანავარდების სურვილი აზრადაც არ მოუვიდოდათ იმ მართლა სულნათელ ინტელიგენტებს სოხუმიდან, რომლებთანაც ურთიერთობით გამაბედნიერა ცხოვრებამ: პროკლე თურქიას, კიწი გეგეჭკორს, ლეო ჭედიას, ფუცუ ქუჩულორიას, ნიკანდრო ბასილაიას, თამარ ოდიშარიას, ელგუჯა მირესაშვილის, ვლადიმერ ჭანტურიას, ოთარ ჭურღულიას, შოთა აკობიას, ვანო ქვაჩახიას (გალაკტიონის რუსულად მთარგმნელს... მანოლის მეტაფიდის ("ვეფხისტყაოსნის" ბერძნულად მთარგმნელს)... ღმერთმა გაანათლოს მათი სულები, აი, ვისი თვალფხიზელი მზერა ვერ გაკვეთილობს დღეს საზოგადოებისთვის, სამწუხაროდ ჩვენდა...

"საინტელიგენტო" მადა, რომლითაც ისინი თვითდამკვიდრებას ამაოდ ცდილობენ, ძალზე ქონდრისკაცულია ჭეშმარიტად სოხუმელი ინტელიგენტების: ამბროსი ხელაიას, გიორგი შარვაშიძის, არზაყან

ემხვარის, თედო სახოკიასა და ა. შ. ერისკაცობასთან. ამ ხალხს არ უთქვამს საკუთარ თავზე, ინტელიგენტები ვართო!

მეორეც. ღრმადპატივცემული ადვოკატი შეეცადა სასამართლოზე პოეტ პაატა შამუგიასთვის ჩემგან უსაფრთხოებისთვის თავდაცვის გოდოლები აღემართა.

ერთ რამეს ვეტყვი ამასთან დაკავშირებით. მე პაატას, მის დედ-მამას და ძმებს ჯერ კიდევ იატაკქვეშეთში მყოფი (1993-94 წლებში) ჩემთვის მონაკითხიდან ***ერთი თხილის გულის ცხრა ძმაზე გაყოფის წესით*** ვუგზავნიდი ცხელ-ცხელ პურებს, რითაც ჩემს სიცოცხლეს ვიგდებდი საფრთხეში, რადგან შეიძლება, კვალს გამოყოლოდა ჩასაფრებული... იმ დროს მის მამას - ბატონ როსტომს გასალახად დასდევდა ეს, დღეს მასთან მოლაციცე ხალხი და მე მთხოვდა შველას იგი.

აი, ის კაცი ვარ დღესაც.

რაც შეეხება მის კრიტიკას, ის, რაც მე მომაწერა გ. წუწუნავამ, დაბეჭდილია გაზეთ "ქრონიკის" (#10, 2010 წ. 7 მარტი) სტატიაში ***"...სიტყვა "სამშობლო" გაცილებით უზრდელურად ჟღერს, ვიდრე სიტყვა "ტრაკი"...*** ავტორი გელა ზედელაშვილი მიიჩნევს და მეც ვეთანხმები, სამამულოდ გარჯილს, რომელსაც სამშობლო გასათავისუფლებელი აქვს, სხვა სულისკვეთება სჭირდება.

ამჯერად სულის პურობად შევთავაზე რჩევა ახალგაზრდა კაცს, რადგან ***"ქართველო, ხელი ხმალს იკარ"*** არასოდეს უნდა მოგეჩვენოს ყავლგასულობად.

***

**წუთშესვენება შეხსენებისათვის:** ბატონო ჯემალ (გამახარიას), მაგ ბობიკს გადაეცით, რომ ერთი მასალის ქსეროასლი, რომელშიც დ. გვაძაბიასა და მის ნათესავს შორის ატეხილი საბინაო დავა იყო აღწერილი და რომლისათვის ***"მსვლელობის მიცემას"*** დაჟინებით მოითხოვდა, - ჩემთანაა დღესაც. ამ და ამის მსგავს მოთხოვნათა შეუსრულებლობას თუ მიიჩნევს იგი ჩემი მხრიდან ***"სამსახურებრივი მოვალეობისთვის თავგაურთმელობად",*** ეს მისი საქმეა. მაგრამ გააფრთხილე, რომ, როდესაც იუარებს, ეს არ მიქნიაო, მაშინ დამატებით აუწყე, იმ ორი ქსეროასლიდან მე სწორედ ისა მაქვს, მან, სათავმჯდომარეო სავარძლის მოლოდინში მონერვიულემ, მღელვარებისგან საკუთარი ხელმოწერებით რომ ააჭრელა!..

ის კი არ წამოვიღე, რაც მომცა, ვიცოდი, ვინც იყო და მეორე წამოვიღე, სადაც მოადაღაზა ხელი!..

ეს, მართლა გ,რდღუ... მე, რომ ინტრიგების დაქსელვა მდომებოდა, დ. გვაძაბიას მივაწვდიდი მას და ღრმადპატივცემული დავითი ქათამსაც დამიკლავდა, თან თ. ხუბუასგან ნაპანღურევ საჯდომზე გაცილებით ადრე სამაზაკვალო დაღად ამოაჭედდა გახურებულ ნალს. ეს აწიც არ ასცდება

და იკითხოს მერე ზეზეულად სეთურისა და ასინეთას ამბები, რათა, თავის უტვინო ხირკეში მოიძიოს მსგავსება მათთან.

***

იმ წუთებში, როცა ა. წოწონავას ლაპარაკი ესურვილება ან ზნეობაზე ან კიდევ კაცობაზე, ბუნებრივია, იგი ფონს გასვლას, ისევ და ისევ, თავისი მილიციური ილეთებით ცდილობს, მაგრამ ***"სწორედ მისი ომამდელი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე"*** (როგორც ის თავის ავყიობებში ტრაბახობს), ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობა ვერ გაიხსენებს, რომ იგი რამენაირად ან რაღაცაში წადგომოდეს ხალხს, პირიქით კი იყოო, ამბობენ!

თავი დავანებოთ საბჭოთა კანონებითაც მის ბოროტმოქმედულ გარიგებებს დამნაშავეთა სამყაროსთან, გნებავთ სახალხო თუ სახელმწიფო ქონების დამტაცებლებთან, ან იმას, თუ როგორ არ თაკილობდა იმ უბრალო მძღოლსაც ჩაჯდომოდა წილში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ნებადაურთველად ცდილობდა რუსეთში სავაჭროდ გაეტანა სხვადასხვა მეკონ-მოკონი.

ყოველივე ამნაირზე ომამდეც და ომის შემდგომაც მე შემიძლია ქვეყნის შესაბამის უწყებას მოვახსენო, მხოლოდ იმიტომ, რათა არ დაზარალდნენ ისინი, ვისგანაც ეს ყოველივე ვიცი.

ის, რომ ა. შვონდერ-შარიკოვი ისეთი ნაგვისფსკერელი მილიციელია, რომელსაც ხალხი "კუსოჩნიკს" ეძახდა, ამის დასტურად მე ერთ გახმაურებულ ამბავს გიამბობთ, რომელიც საქართველოს კპ გულრიფშის რაიკომის ბიურომაც განიხილა და იგი ემსხვერპლა კიდეც კინაღამ ამ სულმდაბლობას. ამაზე იმ დროს საზოგადოება განცვიფრებით საუბრობდა, ხალხს უკვირდა თუ სანამდე შეიძლება, დაეცეს სულხრწნილი ხარბი: მე-20 საუკუნის 80-იანი წლების რომელიღაც ბედნიერ შემოდგომაზე, სოფელ განახლებაში, მდ. კოდორის პირზე, ერთ-ერთმა მექორწილე კომლმა ქორწილის წინადღეებში ვერ მიუტაბაკა შესაფერისად მილიციის უფროსს, ის კი არა, შესაფერისი ქედმოხრით არ დაპატიჟა ქორწილში. ყოველივე ამის გამო, შს სამინისტროს გულრიფშის რაისამმართველოს უფროსმა ა. წოწონავამ, იმავე კოდორისპირის ღვიძლმა შვილთაგანმა, პოლკოვნიკის სამხრეებით ბეჭდამძიმებულმა, ამისათვის მოიცალა და დასასჯელად (გაუგებარია, რისთვის?!) ქორწილის ღამესა და მეორე დღეს (შაბათ-კვირას) დენი გამოურთო მთლიანად კოდორისპირს.

აი, ასე ემსახურებოდა მართლმსაჯულებას იგი!..

კი, მაგრამ როგორ დაამტკიცებო, სამართლიანად მკითხავთ თქვენ. როგორ და, ჯერ ერთი, პარტიის რაიკომის სხდომათა ოქმების ასლები იგზავნებოდა საქართველოს კპ ცკ-ში, აქედან არქივში მიდიოდა. ნახეთ და ვისაც გაინტერესებთ, იკვლიეთ. მეორეც, ა. შვონდერ-შარიკოვმა ხელი

ჩაჰკიდოს თავის გავრილას, ღვთისმშობლის ხატის წინ ჩახედოს გულრიფშელთა ძველ თაობას და დაიფიცოს, რომ მას დენი არ გაუთიშავს თანასოფლელის ქორწილის ღამეს კოდორელებისათვის ან ეს საკითხი რაიკომის ბიუროს არ განუხილავს!..

ასეთი კაციც მართავს დღეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი მოსახლეობის ბედს!..

***

...და ერთსაც ვიტყვი: ამ სულთახსირის შვილი მინდა კაცურად გავაფრთხილო, - თუ მამამისი გაბედავს და იმ რეპლიკით ჩაივლის კიდევ ერთხელ ჩემს გასწვრივ, როგორც მან ეს გააკეთა 21 ნოემბერს, სასამართლოს დარბაზში როცა შედიოდა, მაშინ უფლის წინაშე უფლებას დავიტოვებ, ისეთ რაობად დავუდგინო ეს საკუთარი დედ-მამის სიკვდილისთვის მიმჩეჩებელი მურგვა, რომ, არათუ მისმა შვილიშვილმა, საუკუნეების შემდგომმა საკუთარმა მოდგმამაც სირცხვილისგან არწყიოს ამ სისხლაღრეული ქვებუნაგისა და ნაგავჩატენილი თვითმავალი ლაგუჯისგან ასათავებელი ბინძური სისხლი!..

***

როდესაც ვიხსენებ ა. წოწონავას ***"გონებაში თუ როგორ გაცოცხლდა მყისიერად"*** საკუთარი უმწეო მშობლების იქ, საალყოდ გამზადებულ გულრიფშის რაიონში ჩატოვების გეგმა, რათა ნაარმალი ქონება გადაერჩინა, სურვილი მებადება, ვიღრიალო ყველა გზაჯვარედინზე ერთი ცადწვდომილი გამტანობა, რომელიც ნამდვილად მოხდა,

- იმედია, დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), ოღონდ, კატასა და ძაღლს შორის: 1993 წლის სექტემბრის იმ სისხლიან დღეებში ყველასთვის და მათ შორის ბესლეთის ხეობლებისთვისაც ცხადი გახდა, რომ მათი ოდაბადე ვერაგულად და ორპირულად გაიწირა. სხვებთან ერთად თავსაშველად აიყარა აკაკი ახვლედიანის კომლიც.

ტყვიების წვიმაში არათუ ქონების, საქონლის ან რაიმე ღირებულის წამოძღვანება ან შემომგზავრება, ზოგი ვერმოკაცე თავზარდაცემული შეუძლოდ მყოფ თავისიანსაც არ უცდიდა და ბედის ანაბრად სტოვებდა... ასეთ წამ-წუთში, აბა, ძაღლისა და კატისთვის ვინ შეინელებდა ნაბიჯს?!

...ჰოდა, ამ დროს, აკაკის ფაცურა სიბებრის გამო ძლივს დგებოდა ფეხზე. კი დააპირა მინჯესთვის გამოყოლა, მაგრამ ასიოდ გოჯის წაძუნძულების შემდეგ მიხვდა, რომ ისევ საკუთარ ლაფაროში სჯობდა, დალოდებოდა სიკვდილს, რა თქმა უნდა, სახლში დარჩა კატაც, რომელსაც არც მოუნდომებია სხვენიდან ჩამოსვლა.

უკან გაბრუნებულ ძაღლს ერთი კი გახედა აკაკიმ და გაიფიქრა, მანდ

ეგდოსო, მაინც არ უწერიაო დიდი დღე!

ღვთის მადლით ცოლ-შვილით ცოცხლად გამოაღწია იმ აღგვას და აქ, თბილისში იყო იმ წელს. დამავიწყდა მეთქვა, აკაკის მეუღლე - ქალბატონი სოფია ყუბანელი ბერძენი გახლდათ. სწორედ ცოლოურის წყალობით, ზაფხულში სოფია ჯერ სოჭში და იქედან, ძმების თანხლებით, სოხუმს ჩავიდა ორიოდე კვირით, ბუნებრივია, საკარ-მიდამოსაც აკითხა ბესლეთის ხეობაში. მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გახარებული ფაცურა ძლივსძლივობით, ბებრული უმწეობით, მაგრამ მაინც გამოეგება ამ ჭერქვეშეთის დიასახლისს. ეგ, იყო, უფრო მობერე-ბულიყო... სასიმინდედად გამოიკნავლა კატამაც.

გასაგებია ის საპარტახო სურათიც, რაც ნათარეშალ სახლსა და ეზოში დახვდებოდა სოფიას, თუმცა, კიდევ ერთი დაუჯერებელი იამბის მოსმენა აწი ელოდა: საღამოს, იქაური მეზობლის ქალმა, ესტონელმა როზა ტალომ, რომელიც ცოტა შორს კი ცხოვრობდა, მაგრამ როგორც კი გაიგო მისი ჩამოსვლა, შემოაკითხა, - ძაღლის გადარჩენით გაკვირვებულ სოფიას უთხრა, რომ ეს კატის წყალობით მოხდა, რადგან იგი ფაცურას თავის ნაალაფარსა და ნანადირევს უყოფდა. ის კი არადა, - ჩემთან შემოპარულს ლუკმას რომ გადავუგდებდი, აქეთ მოარბენინებდა, შემდეგ ისევ მომაკით-ხავდაო მორიგი ულუფისთვისო.

როგორც გინდათ, გეთანხმებით, ამის დაჯერება არაა ადვილი, თუმცა, ჩემთვის ეს უეჭველია და მეტსაც გეტყვით, იმ კატისა და ძაღლის სახლიკაცობა ჩემს თვალში გაცილებით ცადწვდენილია, ვიდრე ანზორაში შვილის პასუხისმგებლობა, სამშობლიურო თავგანწირვაზე კი ლაპარაკიც ხომ ზედმეტია!..

***

რამდენიმე დღის წინ ერთმა სოხუმელმა, მისმა ყოფილმა თანამშრომელმა მითხრა, ანზორი ეროვნულ მოძრაობას ფულითაც ეხმარებოდაო. რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობას, დაბეჯითებით შემიძლია, განვაცხადო, რომ ა. შვონდერ-შარიკოვი ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას მეთაურობით აღმავალ ძალისხმევას არასოდეს დადგომია გვერდში, პირიქით იყო, ხოლო თუ რად დამკვიდრდნენ დროსა და სივრცეში სხვა "ეროვნული მოძრაობები", ამას ახლა ბრმაც ხედავს. მეორეც, თუ ეს შვონდერა ვინმეს რამეს აძლევდა, უანგაროდ არც ეს ხდებოდა, იმ კაცს მიტინგებზე იგი "ერისკაცად" უნდა მოეხსენებინა.

უფრო მეტსაც გეტყვით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) 1992 წლის მოვლენების წინ "ქართულმა" პარტოკრატიამ აგრესორ-სეპარატისტთა დემარშების საპირწონე ღონისძიებებისთვის რაღაც ფულის შეგროვება დაიწყო და სოფ. ბაღმარანში, ავტოინსპექციის შტაბ ბინაში იყრიდნენ თავს. აქ დაიბარეს ჩვენი ანზორაც.

იქ მისულმა, პურველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ითხოვა, სია მაჩვენეთო, გადახედა და 200 მანეთი დადო მაგიდაზე, თან გააფრთხილა, ვისაც ეს ეხებოდა, - მე სიაში არ ჩამწეროთ და ფულს კიდევ გამოგიგზავნითო.

აქედან გამოსულმა, ცოტა ხანში შს სამინისტროს სოხუმის საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილის, ანუ საკუთარი კაბინეტიდან დაურეკა და აცნობა სეპარატისტ კოლეგებს ამის შესახებ, - ფულს აგროვებენო ქართველები!..

ვითარების გამწვავება არ უნდოდაო, მეტყვით თქვენ. თუ ასე იყო(არც უნდა ნდომებოდა) და ეს ყველაფერი გასაკიცხი იყო (გეთანხმებით, რომ სულ ცოტა, ამგვარი ძალისხმევა საეჭვო გახლდათ და როგორც დრომ დაადასტურა, უშედეგოც), მაშინ მას ჯერ პირდაპირ მათთვის ეთქვა, რომ ასეთი დაპირისპირება მკვდრად შობილ შედეგს მოუტანდა ორივე მხარეს.

ამისგან თავის არიდებით მსგავსი ნაბიჯის გადადგმას, ჩვეულებრივ დაბეზღება ჰქვია.

აი, ვინ იყო თქვენი ჩამშვები, იმ სიაში ჩაწერილო ქართველებო, მაშინ!

***

საქმეში ჩახედული წყარო ამ ოთხი თვის წინ მკაფიოდ იტყობინებოდა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ 2012 წლის ზაფხულს, ვიწრო წრეში ჩატარებული მოლაპარაკების შემდეგ, გადაწყვიტა ***"არ ჩაყოლოდა სამარეში"*** მიშნაცურ მოძრაობას,.

ამჯერად, როგორც ეს სარწმუნო წყარო კვლავ იუწყება, იგივე მიშნაცების აგრესიული, ანუ რევანშისტული აურზაურისა თუ ათარეშების მცდელობის გამო, გ. გვაზავამ, ა. წოწონავამ, თ. ხუბუამ, რ. ცატავამ, დ. გვაძაბიამ და ა. შ. უკუიხმეს თავიანთი ადრინდელი გადაწყვეტილება და გადაწყვიტეს ***"არც მწვადი დაწვან და არც შამფური"*** ანუ სასწორის პინის მდგომარეობის მიხედვით აირჩიონ მხარდასაჭერი მხარე!..

***

**ცნობისათვის:** მას შემდეგ, რაც ანზორას, შვონდერ შარიკოვული ცილისწამებები გამოქვეყნდა იმის შესახებ, თითქოს - ყველგან, სადაც ვიმუშავე, ***"ცუდი კვალი დავტოვე"***, ჩემმა ყოფილმა მოადგილემ, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგმა, ბატონმა დავით შონიამ ორი დღე იმუშავა, საჯარო ბიბლიოთეკაში და ერთი სავსე საქაღალდე მომართვა გაზეთებიდან გადაასლებული ცნობებით, რომლებიც ჩემს შესახებ ღაღადებენ, რომ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ეს ა. შვონდერ-შარიკოვს ეოცნებება!..

ამ არც თუ ცოტა მასალიდან, თქვენს ყურადღებას სამ პუბლიკაციაზე შევაჩერებ:

***1970 წ. ივნისი, გაზეთის "საბჭოთა აფხაზეთი"*** - გამოქვეყნდა ჩემი, ანუ ახალგაზრდა შემოქმედთა წრის ხელმძღვანელისა და მეგობრების ტ. მოსიას, გ. ძიძიგურის, ჯ. შონიას, რ. სალიას და სხვათა სურათი, რომლის ქვეშ მინაწერი იუწყებოდა, რომ მე იმ დროს, ჯერ კიდევ ყმაწვილი, ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ვეწეოდი.

***1973 წ. 30 დეკემბერი, გაზეთი "სახალხო განათლება"*** - დაიბეჭდა ჩემი სურათი, რომლის მინაწერი იტყობინებოდა, ***რომ "სოხუმის რაიონის სოფელ ქვემო იაშთხვის საშუალო სკოლაში კარგ მასწავლებელთა რიგებში სიამოვნებით დაგისახელებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ს. საჯაიას. მეხუთე კლასში, სადაც იგი ასწავლის 28 მოსწავლე ირიცხება, მათგან 8 ხუთოსანია, 6 ოთხოსანი.***

***ახალგაზრდა მასწავლებელი მარტო თავისი საგნის კარგად გადაცემით არაა შემოფარგლული. ხელმძღვანელობს სკოლის მხატვრული კითხვის წრეს...***

***ს. საჯაია ეწევა შემოქმედებით მოღვაწეობასაც. თანაავტორია წიგნისა "გზის დასაწყისი"...*** და ა. შ.

***1983 წ.*** - იძულებული ვარ, ამ ჩასაფრებულთა მიერ საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის ყრის გამო აღვნიშნო, თუ რამდენად მაღალ დონეზე ფასდებოდა სპეციალისტების მიერ ჩემი სასკოლო მოღვაწეობა, რომ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტიულ-სამეურნეო კრებამ სკოლის მართვის ჩემეულ სტილს ***ახალი ტიპის ხელმძღვანელობა უწოდა.*** იცით, ეს რას ნიშნავდა საბჭოთა სინამდვილეში, თანაც აფხაზეთში?!

უხერხულია და მე აქ თავს ავარიდებ ბატონ დ. შონიას მოძიებული ათობით მასალის გამოქვეყნებას, სადაც ისტორიისთვის აღნუსხულია ჩემი ეროვნულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობის საგზაჯვარედინო მოვლენები, ვიტყვი მხოლოდ რამოდე-ნიმეს:

***იაშთხვის სკოლაში (1969-76 წლები)*** - მე შევქმენი ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის კაბინეტი, იმ დროისათვის ერთადერთი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. შემდეგ მოწინავე მასწავლებლებს აფხაზეთის რ-ნებში, მათ შორის ქ. სოხუმში მე დავეხმარე ასეთი კაბინეტის შექმნაში;

***სოხუმის რაიონი, პავლოვკის სკოლა (1978-1981 წლები)*** - აქ ხელმძღვანელობამ გადმომიყვანა ჩაშლილი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ასამაღლებლად. შევქმენი ხეხილის სასკოლო ბაღი და ხალხთა კულტურულ-ლიტერატურული თანამეგობრობის კაბინეტი, დავსახელდი სკოლათა შორის შეჯიბრში გამარჯვებულად. ამირჩიეს აფხაზეთის მასწავლებელთა ყრილობის დელეგატად. კომპაქტურად დასახლებული ბერძნებისთვის შემოვიღე ბერძნული ენის სწავლება. შეგიძლიათ გაისიგრძეგანოთ თუ რას ნიშნავდა ეს იმ დროს ან რატომ დაუჭირა მხარი

1991 წლის 31 მარტს ბერძენმა მოსახლეობამ საქართველოს დამოუკ-იდებლობას?!

***ოდიშის სკოლა (1981-1987 წლები)*** - ამავე სკოლაშიც აფხაზეთის ა/რ-ის ხელმძღვანელობამ გადმომიყვანა უკიდურესად ჩაშლილი და გაპარტახებული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აქაც შევქმენი ბესლეთის ხეობის მხარეთმცოდნეობითი სასკოლო მუზეუმი, გავაშენე ხეხილის ბაღი, ავაშენე მასწავლებელთა სახლი, კვლავ გავიმარჯვე სკოლათა შორის შეჯიბრებაში, რისთვისაც საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის V ტომში სოხუმის რ-ნის ლოგოდ ჩემდამი რწმუნებული სკოლის შენობა მოთავსდა. ჩემთან ჩატარდა ხალხთაშორისი კულტურის დღეები, რაც ფართოდ გაშუქდა აფხაზეთის პრესაში. ჩემი სკოლა დასახელდა ტელეხიდში მოსკოვი-ვაშინგტონი და ა. შ. გავაძლიერე ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება. აქაც შემოვიღე ბერძნული ენის გაკვეთილები.

***1987-1989 წლებში*** - ვხელმძღვანელობდი ახალშენის სკოლას (ეს არის ცნობილი კომანის მახლობლად, გუმისთის ხეობაში). დავიწყე აქაურ (სოფ. შუბარა) ლაზებში გამათვითცნობიერებელი მუშაობა, მათთან ჩამოვაყალიბეთ რუსთაველის საზოგადოების უტა არსაკიძის განყოფილება (იხ. სოხუმის რაიონის გაზეთი „კომუნისტური შრომა“, 1989 წ. იანვარი). არმენი მოსწავლეებისთვის შემოვიღე მათი ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება. შევუდექი მხარეთმცოდნეობითი კაბინეტის შექმნას.

***1989-1993 წლები - სოხუმის რაიონში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო მოსახლეობის მოთხოვნით გადმომიყვანეს თავისუფლების სკოლის ხელმძღვანელად.*** ავაშენე ახალი სასწავლო კომპლექსი.

***

აქვე ერთიც მინდა, ავაკოდორო, - ნუ გამიდღანებს მკითხველი, რადგან ამ შემთხვევაში ეს სატრაბახო აკაცემერთება არა და არაა. საქმე ისაა, რომ თუ ა.შვონდერ-შარიკოვი ყოვლად უსაფუძვლოდ თავს უფლებას აძლევს ჩემზე თავისი ავყიობები ამრავალცალოს, რატომ იქნება მიზანშეუწონელი საჩინო და პატივმიგებული ერისკაცების საპირისპირო აზრი ჩავუპალოო მას სიცრუისგან ჩახრწნილ ხორხში: **„ჰიპოთეზა. საბრძოლო რაზმი „იაშთხვა“ რომ არ ყოფილიყო, სოხუმი 18-19 სექტემბერს აღებული იქნებოდა, რადგან „ღია ჭიშკარში“ ერთი ჯარისკაციც არ იდგა და მოსახლეობა ვერ მოასწრებდა სოხუმიდან გასვლას. რაზმმა ერთი კვირით შეაჩერა სოხუმის აღება ...**

**... ზემოთ მოცემული მასალების ფონზე გთავაზობთ გამოსაკვლევად ჟიული შარტავას, ვახტანგ ვეკუას, სერგი საჯაიას, მთელი რაზმისა და სხვათა როლს სოხუმისა და მისი რაიონის ქართული მოსახლეობის გადარჩენაში.**

**პატივისცემით პროფესორი ჯემალ ჯინჯიხაძე, 20 ივლისი, 1999 წელი (აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, „იაშთხვა“ – 1993 წელი“, თბილისი, 1999წ.).**

მიდით და იკვლიეთ, ბატონებო!.. ძალიან დამავალებთ ამით.

***

აქ გვერდს ვერ ავუვლი, ბატონ ბორის კაკუბავას ერთ კაცურ გაშინაარსებასაც, თუმცა, სამწუხაროდ, უნდობარი დროის განკარგვათა შესაბამისად, ჩვენ იმხანად სხვადასხვა ბანაკებში აღმოვჩნდით: მას პროფესორ გ. კილასონიასთან საუბრისას დაბეჯითებით აღუნიშნავს, რომ მე, ჩემს თითქმის უწვერულ ბიჭთან ერთად, იარაღით ვიცავდი ოდაბადეს.

გეთანხმებით, „იარაღით დაცვა“ ამ სამარცხვინო ომისთვის ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ სიმართლე ის გახლავთ, რომ 1993 წლის 27 სექტემბერს, საღამოს, როდესაც სოხუმი ერთ კოცონად იწვოდა, მდ.მაჭარის გზაგასაყართან, სწორედ ბ. კაკუბავასთან, შ. წულეისკირთან, აწ განსვენებულ ჯ. რაფავასთან და ა.შ. ერთად ვითათბირეთ თუ რა გზას დავდგომოდით...

მე მათ განვუცხადე, რომ თუ ოჯიბინეს ფონთან გავიდოდით კოდორზე, სადაც ჩვენს ძალებს დერეფანი ჰქონდათ, სამკვიდრისიდან ძალით აყრილი მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ჩვენ ავიღებდით პასუხისმგებლობას(გაგვაჩნდა ცნობა იმის შესახებ, თუ რას აპირებდა ჯაბა იოსელიანი კოდორის ზემო წელში).

იმაში რომ ეს ხალხი არ გვენდო მაშინ, მათ ვერ გავამტყუნებ, დრო იყო მეთქი, უნდობარი!

სხვა რამ მინდა, ვთქვა, ისინი დამემოწმებიან, რომ იმ წუთებში გულრიფშის რაიონი მიტოვებული ჰქონდა ბედის ანაბარად როგორც რაიონის აღმასრულებელ ხელისუფლებას, ასევე ყველა აქაურ დეპუტატსა და მათ შორის, რა თქმა უნდა, ა. წოწონავასაც. აი, ესაა სიცხადე, ანუ ფაქტი!..

***

ახლა ეს ჩასაფრებულები შეიძლება ამიხტნენ - საბჭოთა რეჟიმი გაქებდაო, წამოიკნავლებს, სამშობლოსთვის ორი ხე რომ არაა აქვს დარგული ისეთი ხეპრე.

დამშვიდდით ბატონებო. ამ საქმეში თავიდანვე ვემოწაფებოდი დიდოსტატ კონსტანტინეს, ბატონ მუხრანსა და ჭეშმარიტ ქრისტესმხედარს ზ. გამსახურდიას. ბატონი ზვიადი გვასწავლიდა, რომ ეროვნული საქმე უნდა აკეთო იმ იარაღითა და საშუალებით, რასაც ეპოქა იძლევა. შენ რომ ამ სამსახურში არ იყოო, ამ ადგილზე ვინმე სულით შავრაზმელს დანიშნავდნენო და იგი, რასაც შენ აკეთებ, იმის საწინააღმდეგოს მოიმოქმედებსო. ამგვარადვე მაკვალიანებდა დიდი მუხრანი.

მეორეც, არც იმ ეპოქას სჭირდებოდა მაღალი გადმოსახედიდან ა. შვონდერ-შარიკოვივით გამოჭენებული "კუსოჩნიკები".

მე დღეს საბჭოთა ეპოქაში გაკეთებულ არც ერთ ჩემს სახალხო საქმეზე და გამოქვეყნებულ წერილზე უარს არ ვამბობ, ნებისმიერი მათგანი მესახელება, რადგან გულმართალი ვიყავი სამშობლოსთან.

***

ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საკითხებში კონტრპროდუქტიულ ინსტიტუციად იქცა, ეს შემთხვევითი სულაც არაა. დღეს ის არ ცხოვრობს დევნილი მოსახლეობის სულიერი თუ ყოფითი ყოველდღიურობით, მისთვის სახალხო უბედურება პატივმისაგებ შინაარსად არ განიხილება. მათ ხელში არაფერი არაა ისე დაუცველი, როგორც ჩვენი მოსახლეობის სამამულო სულისკვეთება.

ამის მიხედვით, სწორედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა გახლავთ ის ხალხი, რომელთათვის შეფურთხება კი არა მარტო, რომც გადააღამისქოთნოთ კიდეც, იმწამსვე მოიხოცავენ, აქვე შეიწმენდ-შეიმშრალებენ და ვითომც არაფერი, უტიფრული სულერთიათი განაგრძოობენ საკუთარ ამონასაქმთან ნებივრობას.

ამ საქმეში ისინი არ თაკილობენ შიგადაშიგ სალეღვისფოთლოდ წაეპოტინონ სხვათა პატივმისაგებ აზრასაც: მახსოვს, 2004 წლიდან თუ როგორი თანმიმდევრულობით ცდილობდა ა. წოწონავა ჩემთან „გაგულითადებას“. ამას ორი მიზანი ჰქონდა, - 1. საკუთარი ხელმოწერით წიგნთწარმოება და 2. მოკავშირის მოძიება საკარიერო ავანტიურაში.

ზემოთ მოგახსენეთ, თუ რა ვითარებაში გამოქვეყნდა „მისი“ „აფხაზეთი-პრობლემა, მიზეზები, გზები...“

მაშინ ამით ახარხარებულმა გ. ფაცაციამ არ დაიზარა და „ა. წოწონავას წიგნიდან“ თითქმის იმდენივე გვერდის „ს. საჯაიზმები“(სიტყვათქმნადობა, პოლიტიკური ტერმინები, სინტაქსური წყობა და ა.შ.) ამოწერა, რამდენ ფურცელსაც ეს ბროშურა შეიცავდა. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არ დარჩენილა ოთახი, ამაზე არ ეჟრიამულოთ ბატონ გერმანესთან ერთად „ა. წოწონავას“ წიგნნაჩუქარ თანამშრომლებს. სხვათაშორის, ის, მაშინ ყველას ეტრაბახებოდა, - შეხეთ, ს. საჯაიააო „ ჩემი “ წიგნის რედაქტორი.

რაც შეეხება მის მეორე და „შევსებულ გამოცემას“, აქაც საკმაოდაა ჩემი წვლილი, რასაც ახლა არა, მაგრამ იმ დროს მიფასებდა კიდეც იგი, როდესაც ამ წიგნის შეკოწიწებისას „ჩემს თანაავტორებს“ , უფრო სწორად, თანამოსაქმეებს, ასეთი გაასომთავრულობები ჩაართვევინა მასში: **„აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიულ-სამართლებრივი პრობლემის შესწავლის**

**საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ლორიკ მარშანიამ, ჯემალ გამახარიამ, ბადრი გოგიამ, ზურაბ პაპასკირმა, ბეჟან ხორავამ, დავით ჩიტაიამ, მალხაზ ბარამიძემ, დაზმირ ჯოჯუამ, კობა ოყუჯავამ, ლია ახალაძემ, სერგი საჯაიამ და სხვებმა**“... (ა. წოწონავა, „აფხაზეთი: პრობლემა, მიზეზები, გზები...“ თბილისი, 2011წ. გვ.11).

სხვათა შორის, ჩემი სახელი, რომელიც თავდაპირველად ბატონი ლორიკის შემდეგ ეწერა, მე გადმოვატანინე მას ჩამონათვლის ბოლოში. აქვე, დამოწმებულ ლიტერატურაში მითითებულია ჩემი ორი წიგნი. რას ვერჩი, დამიფასა!

მას შემდეგ, რაც მისმა ვერაგულმა ორპირობამ ჩვენი გზები დააშორიშორა, მან „თავისი“ წიგნის რედაქტორთა შემადგენლობიდან გამრიცხა, ასევე, ამოიღო ამ ნამამითადარი ნაცოდვილარიდან ცალკე თავი, რომელშიც მიმოვუხილე დედაეკლესიის მზრუნველობითი დამოკიდებულება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხებისადმი და ა.შ.

... და მაინც, მიუხედავად ა. წოწონავას მითითებათა შესაბამისად მისი ასისტენტების მიერ გამოჩენილი ხელგარჯილობისა, „მის ნაშრომში“ „ს. საჯაიზმები“ ან დედნის ან კიდევ ნაკვალევის სახით გვხვდება თითქმის ყოველ მეორე აბზაცში.  არ ვედავები, მიჩუქნია, ოღონდ, როდესაც სასამართლოზე დავისას, ჩემთან თავისი „ინტელექტუალური თანაზომადობის“ მტკიცებულებად ჩემსავე ნასაქვარებ წიგნებს ამიფრიალებს მისი ადვოკატი, შეიძლება ექსპერტიზა მოვითხოვო იმის დასამტკიცებლად, სინამდვილეში თუ ვისი მახათმყრელობაა  მისთვის ესოდენ თავმოსაწონი ნადაღაზები.

...რა ამის პასუხია და, ა. წოწონავას მშობლიურ სოფელში მაქვს განაგონი ერთი წახუმრება: თავშეხვეულ ბუჯგას ჰკითხეს, ვინ გაგიტეხაო თავი. მან თავის სამამაკაცოზე მიუთითა. როგორო, ჩაეძიენ.

როგორ და, მე რომ აღათიასთან არ დავწოლილიყავი, ჩაგუ არ გაჩნდებოდა, რომ არ გაჩნდებოდა, ხომ არ გაიზრდებოდაო, რომ არ გაიზრდებოდა, არც კველას არ აიღებდა და არც თავში არ ჩამარტყამდაო...

ასეა ჩემი საქმეც, რა მრჯიდა, „წიგნებს“ რომ ვუწერდი!

***

ასეთია ჩემი სამსახურებრივი ბიოგრაფია. ახლა იქეთ ვეკითხები ანზორა შვონდერ-შარიკოვს. შე, მართლა ყლინჯო, გიმეორებ, 1968-1993 წლებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ჩემი მოღვაწეობის შესახებ ცნობები ქვეყნდებოდა აფხაზეთის ყველა საოლქო, სოხუმის რაიონულ, რესპუბლიკურ და ე. წ. საკავშირო გაზეთებშიც კი. ამის საპირწონედ მაჩვენე თუნდაც ერთი კედლის გაზეთი კი არა, უბრალო ქაღალდის ნაგლეჯი, სადაც შენი მოღვაწეობა იყოს შექებული ან ატაცებუ-

ლი საგაკვეთილოდ.

ჩემს ბიოგრაფიას ჟამთაბერის ნიშანსვეტიდან ნაჯახითაც ვერ აათლი. ის, ასეთი, ჩემდა საამაყო ფურცლებისგან შედგება და იგი საიმედოდაა დაცული, ამიტომ, შენი გადანარწყევი მასზე, რა თქმა უნდა, უსიამოვნო სიმყრალეა, მაგრამ წამიერია, რადგან დროის მოუსყიდველობა შენვე აგატლანკინებს შენსავე ამონასაქმს!..

ისევ უნდა მივმართო პროფესორ ჯ. გამახარიას, - შე, კაი კაცო, 24 საათი საჯარო ბიბლიოთეკაში იღწვი, ამ პუბლიკაციებს სარეველასავით ყოველ ნაბიჯზე ვხვდებიო, ბარე ათჯერ გაქვს ჩემთვის ნათქვამი, მაშინ მიდი და მაგ ბობიკს შენ უთხარი, რაც წერია ჩემზე, იქნებ, იხსნა მისი სული ცოდვისგან!..

***

აქ დავამთავროთ, დრო თავად გაშოლტავს ნებისმიერ კაცუნას, რომელიც მოინდომებს მიმდგომლობას ზნეობის სიწკონდესთან: ამ ბოლო დროს ჩვეულებრივზე თავჩაღუნული მეჩვენა ბატონი თ. მჟავია, რა ჭირს მეთქი, ვიკითხე, მეგონა მოძღვრის შეგონებას ემოწაფებოდა.

შვილი დაუჭირეს თაღლითობისთვისო! არგასახარად მენიშნა. უფალი შეეწიოს, მაგრამ, როგორც წესი, თაღლითისგან ოდითგანვე თაღლითი ამოიყლორტავს ხოლმე...

ამ წუთში მე სხვა რამ მაუბედურებს: ის ხალხი, რომელიც 2012 წლის 21 ნოემბერს ქოროდ შემოიფინა სასამართლოზე, საუტიფროდ მოჯიუტობს კვლავ. მართალია, მე წინა დღეს კენჭის გავლა გადავიტანე და იქ, მაღალი სიცხის გამო, ბევრი ვერაფერი მოვითვალსაწიერე, მაგრამ მათი გამომეტყველების მიხედვით რაც დავიმახსოვრე, ისაა, რომ ისინი მათ მიერ გაშინაარსებული საძრახი სიცხადის შესაბამისად მონანულის თვალსაწიერში არ იმზირებოდნენ.

იმ ბოროტმოქმედებებს, რომელთა გამო ლეღვისფოთლობას იპიროვნებენ, სულ მალე მისცემენ შეფასებას "იქ, სადაც ჯერ არს" და მაშინ სიმწრისა და შერცხვენის ოფლი კი არ გადმოაწვიმებთ განსაბანად, სადამსჯელო კოკისპირულით გადმოაშარდავს უტიფარ სატვინოში გონების ნარჩენთა გრძნობაზე მოსაყვანად ურმით მადევათა აღსრულება (მ. ჯავახიშვილი) მათ და მათგან, პირველ რიგში, ანზორა შვონდერ-შარიკოვს...

არადა, როგორ შეგეძლოთ ნებისმიერ თქვენგანს სამამულო ღირსებაში თავდადგენა!

გავა წლები და უფლის ნებით ჩვენს წინაპართა წმინდა საძვალეებს დრო მისაგებელს უსათუოდ მიაგებს.

კუთვნილი მოგვეგება ჩვენდა უკითხავად ჩვენც.

...და მე, კიდევ ერთხელ გულწრფელად ვამბობ, - ჩემი ტანჯული, ავადმყოფი და დღეს თუ ხვალ სამარეში ჩასაწვენი სხეულით მუხლს

ვიყრი ა. წოწონავას სასტიკად წამებული მშობლებისა თუ მათნაირების ხვედრის გამზიარებელთა ხსოვნის წინაშე... და იმ ადგილზე, სადაც გადმოცემით ისინი განისვენებენ და რომლის ყოველი მტკაველი ჩემთვის მშობლიურია, შთამომავლობის მეხსიერებას ამ უბედურთა ვინაობას ასე გავუნიშანსვეტებ: *"აქ განისვენებენ ღირსეული დედა და მამა საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრისა, რომელმაც ქონების შესანარჩუნებლად უმწეო მშობლები შეატოვა გამძვინვარებულ მტერს!.."*

ღმერთმა გვიცხონოს წინაპრები და მარადიულყოს ჩვენი შთამომავლობა!..

ილორის წმინდა გიორგი გველოდება იქ, აი, რა დაავიწყდათ აფხაზეთის ხელისუფლებაში!

**23.11.2012 წ. გიორგობა**

**≈*≈**

## "გაიღვიძეთ, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო!.."

*"მიხსენ მე მოქმედთაგან უშჯულოებისათა და კაცთა მოსისხლეთაგან მაცხოვნე მე";*

*"ასპიტსა და ვასილიკოსსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი"... ფსალმუნი - 58,2; 90, 14.*

*"პურის ჭამა ადვილია, მაგრამ პატიოსანი პურის ჭამაა ძნელი"... დიდოსტატი კონსტანტინე*

*"...თუ გესმის ჩემი, თუ ჩემი მძლავრი სუნთქვის ნასახი მართლა შემორჩა ამ ხმელ ფირფიტას, რომელიც ახლა ჩემი ხელივით გიჭირავს ხელში, შენ გააგრძელე, რაც მე მინდოდა და გაამრავლე შენისთანები" /ოთარ ჭილაძე/.*

***

მახსოვს, 1974 წელი იყო, მგონი: - მოსკოვში ვუყურე იმ დროს გახმაურებულ ფრანგულ კინოფილმს "ორნი ქალაქში" (**25 ოქტომბერი, 1973 წ.**). გენიალური მსახიობის წინამდებარე ფილმში "მსოფლიო მამობილად" აღქმული ჟან გაბენის (ჟომენ კაზმენის) საადამიანმწრთობო განიშანსვეტებასა და ურაინდესი ალენ დელონის ალალმართალი გმირის - ჯინა სტრაბლიჯის თანმიმდევრულად მიზნობრივი მოკვდინების მაღალმხატვრულმა სულისშემძვრელობამ, იმ მოსკოვური საზოგადოების წიაღში, **"რომელსაც ცრემლებისა არ სჯერა"**, ანუ გულქვად დადგენილი სიმრავლის უპირატეს ნაწილში სასწაულებრივად გააღვივა ადამიანური თანაგრძნობისკენ მიდრეკილი გრძნობები (უფრო გვიან მსოფლიომ ისიც გაიგო, რომ უფალსწვდომილი ვაჟა-ფშაველა ალენ დელონის უფაქიზესი

სულის ერთ-ერთი მეგზურთაგანი ყოფილა). სხვათაშორის, კონოსტუდია ”მოსფილმის” მაღალ მხატვრული კინოსურათი **”მოსკოვს ცრემლებისა არ სჯერა”** *(1979 წელი, რეჟისორი ვლადიმერ გენშოვი. მთავარ როლებში ვერა ალენტოვა და ალექსეი ბატლოვი)* ასევე გახლდათ ადამიანური ღირსების გამოსარჩლება.

მე მიზნად აქ ვერ დავისახავ ამ ნაწარმოებების განხილვას. იგი კინომცოდნეთა საქმეა, - ჟან გაბენი და ალენ დელონი ამ წუთში მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, ***რომ წამგაუცდენელი სიფხიზლე, რომელიც ადამიანთა ბედის სადარაჯოზე ასე სჭირდება საზოგადოებრივ ფეხაწყობას, ყოველთვის როდი ეადვილება დროის გადაცდომებს.***

საბედნიეროდ, ამგვარ გარემოში განგება კაცობრიობას ზოგჯერ აიარაღებს ხოლმე ეპოქალური შეძახილით, გნებავთ პაროლით, რომელიც მას ზნეობრივი თვითმობიებისთვის სჭირდება.

კინოფილმში ”ორნი ქალაქში” სისწორის პირისპირ გაჯიუტებული ეპოქის მიზნობრივი თვალსწახუჭვისა და ყურდახშობის ჩასაწალდად გენიოსმა ჟან გაბენმა შეძახილი ***”- გაიღვიძეთ, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო”,*** სიმართლის, ანუ ალენ დელონის გმირის წინააღმდეგ შეთქმულ იმ ხროვას მოუქნია გასაშოლტად, რომელმაც ამ მშვენიერების მოსაკლავად გულმოდგინედ აიკაპიწა მკლავი!..

არ შეიძლება, მომხმარებლური სულისკვეთებით აემგზავრო უფლისკენ გასაგნებ გზას!.. სწორედ ასეთი შეგონების შესაბამისად ვთხოვ წინამდებარე სასამართლო სხდომას, ამ ე. წ. სარჩელის გარშემო, რომლის უკან ეროვნულ-სახალხო ნების გადამთარეშებლები დგანან, ნუ დაიდგენს თავს ერთი რიგითი საკითხის განმხილველად, რამეთუ იმის მიხედვით, რა სიღრმისეულობითაც გაისიგრძეგანებს იგი ამ თოთხმეტი მოსარჩელის არზაში ჩანიღბული ჯალათის ხელგამოღების თავმიზეზს, იმდენად მკაფიოდ გაასაჯირებს იგი მიზეზებს თუ რატომ, რისთვის ან როგორ მოხდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ჩამოგლეჯა დედო სხეულიდან და ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის ერთბაშა ჟლეტა თუ განდევნა მშობლიური სამკვიდრისიდან. ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევ, შეგახსენებთ, **რომ ჟამთაბერი ჩვენდა უკითხავად წერს ამ სხდომის ყველაზე ზედმიწევნითი სისწორის ოქმს.**

ამის გამო, სანამ ჩამესმის ჟან გაბენის გამოსარჩლება ***”- გაიღვიძეთ, ბატონო ნაფიცო მსაჯულებო!”*** - იმედს ვიტოვებ, რომ მართლმსაჯულება ინებებს ძილქუშიდან თავდაღწევას და ამით დაიმედებული, ნიშნად სახალხო ნების მარადიულობისა, მეც კიდევ ერთხელ მივემოწაფები დიდ ვაჟას და ჩემთა ძალისხმევათა გასასალკლდევებლად ასე ვაარაგვებ სულს: ***”ძალღ იყოს თქვენის მკვდრისადა!..”***

მთავარი მიზეზი, ამ სულადობათა მხრიდან ჩემი ჯოგური დევნისა, გახლავთ ჩემს მიერ მათი ძალიან მკაფიოდ მხილება როგორც სახალხო

ნების ღალატში, ასევე სამსახურებრივ ბოროტმოქმედებასა და არაკომპეტენტურობაში, რის შესაფუთადაც ჩასაფრების წესით გამოიყენეს პრეზიდენტ მ. სააკაშვილის არასახელმწიფოებრივი, არასახალხო, არაეროვნული, ორპირული და კოლაბორაციული საქმიანობის გასაჯარისება ჩემს წიგნებში, რომლის შესახებაც „სადაც ჯერ არს" გაგზავნილი ბეზ-ღობით შეეცადნენ მიეფარდათ პირადი შურისძიება ჩემს წინააღმდეგ.

ის, რომ მოქალაქე მ. სააკაშვილი თავს არ მოიაზრებს ქართული სულისკვეთების წიაღში, ან ეროვნულ-სახალხო შინაარსისა თუ სამშობლოს პირმშოდ, უფრო მეტიც, მას თავი არ მიაჩნია ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტად და უფრო აშშ-ს მოხელეა, ამაზე დამაჯერებლად მეტყველებს ქურთუკი, ამ ბოლო დროს რომ აცვია და რომელზეც მიკერებულია აშშ-ს სახელმწიფოს დროშისა და გერბის გამოსახულება. საუბედუროდ, ასე საქუჩისფსკერულოდ გამოწყობილი ხვდება იგი როგორც საზღვარგარეთელ ოფიციალურ პირებს, ასევე, ამგვარად ჩნდება საზოგადოებრივ ადგილებში.

ამ შემთხვევაში მსოფლმხედველობრივ საკითხებზე, აქედან გამომდინარე პოლიტიკურ მიზანსწრაფვებზე ან მისდა შესაბამის გემოვნებაზე საუბარი, ვატყობ, წყლის ნაყვაა და რაკიღა მოსარჩელეებიც ამას „ჩამოხრჩობილის სახლში თოკის ხსენებასავით" გაურბიან, რათა ასე უფრო ადვილად დამდონ ბრალი, ვითომცდა, ცილისწამებაში, იძულე-ბული ვარ კიდევ ერთხელ კი არა, უკვე მერამდენედ განვმარტო, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობასთან დავა ამ ინსტიტუციის გარეთ მე არ გამომიტანია, პირიქით, მრავალი, ქვეყნისთვის წინგახედული მიზეზის გამო, ყველაფერი გავაკეთე, რომ იგი მის კედლებში მოგვარებულიყო.

ვინაიდან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის 1. არაკომპეტენტურობის; 2. კორუფციული საქმიანობისა და 3. ა. წოწონავას ან რ. ცატავას თავმჯდომარედ გასაყვანად დეპუტატთა და აპარატის თანამშრომელთა ერთი ჯგუფს ხელს აძლევდა აწეწილი ვითარება, მდგომარეობამ შეიძინა ის შინაარსი, როგორადაც იგი შემდგომ მის გარეთ გაქშუილდა.

აქ ძალზე წინგაუხედავად იმოქმედა გ. გვაზავამ იმ მხრივ, რომ მან ყველაფერი გაიღო ამ ინსტიტუციიდან ჩემს გასაძევებლად, რადგანაც ჩემში ის ხედავდა მისი კორუფციისა და არაკომპეტენტურობის თანმიმდევრულად და უზავოდ მამხილებელს.

პირველი, რაც მან გააკეთა, ეს იყო ჩემი განსაქიქებელი წერილის დაკვეთა ნ. მგალობლიშვილისთვის *(გაზეთი "განმათავისუფლებელი", 2011, #3)*, რომელშიც უხამსობითა და ბილწსიტყვაობით ვიყავი მოხსენიებული და, რაც მთავარია, მბრალდებოდა ყოვლად უსაფუძვლო, დროსა და სივრცეში არ არსებული თითიდან გამონაწოვები.

ამას, როგორც იცით, მოჰყვა ჩემს მიმართ ორგანიზებული შანტაჟი, რაც გამოიხატა მ. სააკაშვილის დღეს უკვე არაერთგზის, ფართოდ და ყველასგან გაკრიტიკებული საქმიანობის ჯერ კიდევ წლების წინ მხილება ჩემს წიგნებში, ამის გამო საჩივრის შედგენა დეპუტატთა ჯგუფის მიერ, რომლის უკან გ. გვაზავა იდგა და რომლითაც ჩემს, ანუ ბოროტმოქმედებათა მამხილებლის გაძევებას მოითხოვდნენ სამსახურიდან.

და ეს ხდებოდა იმის გასწვრივ, როცა ჩემი საპროტესტო აქციის შემდეგ, ვითომცდა, ჩემს მიერ დასმული საკითხების გამოსასწორებლად სათანადო კომისიაც კი შეიქმნა და ***"შეუდგა საკითხის შესწავლას!"..***

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, 2011 წლის 18 აპრილს, ვნების კვირის დასაწყისში, აღდგომის (24 აპრილი) წინ მე ე. წ. "შტატების შემცირების" მოსაბაბებით გამათავისუფლეს სამსახურიდან, თუმცა ამავე აღდგომამდე, დიდ ხუთშაბათს, ანუ 21 აპრილს (სამი დღის შემდეგ), აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ ათი ახალი შტატი დაიმატა. შტატების დამატება, პირველ რიგში, შეეხო ჩემი დათხოვნის წინ "შტატებ შემცირებულ" ჩემდამი რწმუნებულ დეპარტამენტსაც.

ჩემი პოლიტიკური დევნა, რაკი სახეზე იყო პრეზიდენტ მ. სააკაშვილისადმი და საერთოდ ნაციონალური მოძრაობისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება, „პოლიტიკურ მიზანშეუწონლობად" მოსაბაბდა, სინამდვილეში კი, კიდევ და კიდევ გეუბნებით, გ. გვაზავამ და მისმა თანამოსაქმეებმა ჩემზე შური იძიეს, დიახ, - აფხაზეთის ა/რ-ის ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობისა და ორგანიზებული კორუფციის მხილების გამო წინასწარგანზრახულად დავისაჯე.

ამის შემდეგ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მხრიდან ყველა საშუალება, მათ შორის ნაძირლური ილეთებიც კი, მოემსახურა ჩემს განქიქებას და საზოგადოების წინაშე ჩიხური ვითარების შექმნას ჩემთვის, რომელიც არ გამორიცხავდა ჩემს ფიზიკურ განადგურებას ან ჩემი შვილების რეპრესიებს. ვითარებას, რომელიც ჩემზე ერთხელ და სამუდამოდ გადავლისთვის იხლართებოდა, მე წინ აღვუდექი ჩემი საგაზეთო პუბლიკაციებით, რომლის საპასუხოდაც დაპირისპირებულმა მხარემ ცილისწამებათა მთელი წყება მომანიაღვრა და არც ერთი მათგანი, გარდა ჩემი ღირსების ხელყოფისა, მიზნად არ ისახავდა ჩემს მიერ წამოყენებულ ბრალდებებზე პასუხის გაცემას. უფრო მეტიც, ჩემგან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსათვის მიმისამართებულ განცხადებებს არ ღებულობდა კანცელარია. ეს დღემდე ასეა: მიმდინარე წლის 27 ნოემბერს აქ შეტანილი განცხადება დღეს, 8 დეკემბერსაც არაა აღრიცხული, მაშინ, როდესაც იმავე დღეს პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში შეტანილ განცხადებაზე ერთი კვირის წინ, 1 დეკემბერს მივიღე პასუხი.

აქვე ვაცხადებ, რომ არც ერთი ჩემი წერილი არ ეფუძნება ცილისწამებებს და ნებისმიერ გამოთქმულ ამბავს ჰყავს პირველწყარო, რომელთა ვინაობის შესახებ უფრო ამომწურავად, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ სათანადო სამსახურებთან შემიძლია საუბარი.

მაგრამ ჩემს წერილებში ერთია დაპირისპირებული მხარის საზოგადოებრივი რაობის წარმოჩენა და მეორე - მათი ორგანიზებული კორუფციის მხილება, რომელიც თავიანთ არაკომპეტენტურობასთან ერთად განაპირობებენ კიდეც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის დეოკუპაციის უნუგეშო სტაგნაციასთან მიარტახებას.

ამიტომ, მოწინააღმდეგე თოთხმეტეულის წინამდებარე ე. წ. სარჩელს ასეთნაირი სახით, უფრო სწორად, ძირითადი საქმიდან კვალაცდენის მცდელობას, მე, ამ სასამართლოს სხდომაზე, ვერ მივიჩნევ უფლისეული ღირსებისთვის ხელგამოღებად, ***<u>რადგან მიზანი პიროვნებათა ღირსების აღდგენის შესახებ ვერ მიიღწევა თუ ამ პიროვნებებს ეს ღირებულება არ გააჩნიათ. იმ შემთხვევაში თუ ისინი მართლა სჩადიოდნენ იმას, რაშიც მათ ამხელდნენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს აპარატისა და მომარაგების ყოფილი უფროსები ო. ჩარკვიანი და ზ. ზარანდია, მაშინ ეს ხალხი, რაც არ უნდა დავუდასტუროთ ჩვენ მათ ღირსებაში ყოფნა, მაინც ვერანაირად ვერ დაიდგენენ თავს ზნეობაში.</u>***

აქედან გამომდინარე, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, უპირველეს ყოვლისა, მკაფიო პასუხი გასაცემი, აი, ამაზე გახლავთ: - ***1. 2010 წელს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა გ. გვაზავამ თაღლითური გზით, ანუ საბუთების გაყალბებითა და სამმაგ ფასად მართლა მიჰყიდა თუ არა საკუთარი ამორტიზებული მანქანა მისდამი რწმუნებულ ინსტიტუციას, ანუ უმაღლეს საბჭოს? 2. მან ასეთივე გზით უფრო ადრე, როდესაც მას თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა აქ, ასევე შეიძინა თუ არა საეჭვო ვითარებაში სასამსახურო მანქანა, რასაც იმ დროს კულუარულად არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა მოჰყვა? 3. ასეთივე თაღლითობით შეისყიდა თუ არა ა. წოწონავამ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გამართული მანქანა 500 დოლარად და საკუთარი ამორტიზებული ავტომანქანა შეასყიდვინა თუ არა იმავე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს 9.900 დოლარად? 4. 2010 წლის ზაფხულში საკუთარი ვალის დასაფარავად გამოწერა თუ არა გ. გვაზავამ 9 თანამშრომელზე ყალბი მივლინება დღეში 30 ლარის ოდენობით და მიგაჩნიათ თუ არა ასეთი ქმედება თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით საბუთების გაყალბებად? 5. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ გ. გვაზავას მიერ ყალბი მივლინების თანხის საკუთარი ხელით აგროვება (30-30 ლარი) არის თუ არა ჯგუფური ბოროტმოქმედების ორგანიზება სახელმწიფო დაწესებულებაში? 6. გ. გვაზავას მიერ, ისევ და ისევ, საბუთების გაყალბებით სახელმწიფო***

*ბიუჯეტის გამოყენება ოჯახური საჭიროებებისათვის (სარეცხი, სხვადასხვა მეკონ-მოკონების შესყიდვა, დაბადების დღის გადახდა და ა. შ.) ნიშნავს თუ არა ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას, ანუ ბოროტმოქმედებას? 7. 2010 წლის 20 ოქტომბერს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს აპარატის მომარაგების დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ შედგენილი აქტის შესაბამისად საბიუჯეტო თანხების დატაცებაში მხილებული დ. გვაძბია - ამავე ინსტიტუციის საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, სულ ცოტა, ვალდებულია თუ არა ფართო საზოგადოებას განუმარტოს - ეს აქტი, რომელიც დღემდე არავის გამოუცხადებია ბათილად, შეესაბამება თუ არა სისწორეს? 8. თუ ამგვარ საქმიანობას მართლა ეწეოდნენ აქ, ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის ა/რ-ის პრეზიდიუმის წევრების, დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომელთა მხრიდან აქვს თუ არა ადგილი წლების მანძილზე დანაშაულის დაფარვას თუ მასში  თანამონაწილეობას არა? 9. ასეთი დანაშაულებრივი გარემოს მაორგანიზებელი სიმრავლე, შეიძლება თუ არა იყოს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთი) დეოკუპაციის სტრატეგიის დაზუსტებაზე თავის შემწუხებელი?*

ამ ვითარებაში, ასეთი კითხვებისთვის საფუძვლის არსებობის გამო, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიზანი გახლავთ თავისი სააურზაურო საშუალებებით წინამდებარე სასამართლოს მეშვეობით ***1. შექმნან ჩემზე შემტევი სახესურათი და ჩამაყენონ თავის მართლების მდგომარეობაში; 2. კვლავაც საკითხის გადაფარვისა და სიტყვის ბანზე აგდების წესით გვერდი აუარონ და მიზნობრივი ფარდა გადააფარონ იმ ბოროტმოქმედებათა გამოჭენებას, რომელიც მათ სახელთანაა დაკავშირებული.***

ამის მისაღწევად ისინი თვალშეუწვდენელი უსირცხვილობითა და ყოვლისნებადართულობით საქმიანობენ. **იქცნენ რა აგრესიული გლობალიზმისა და ველიკოდერჟავული დიდმპყრობლობის საადგილო მეგზურებად, მათ მხარდასაჭერი ზურგის ქარი გაინაღდეს ამით და დათანხმდნენ საქართველოს (განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) განახლებას კვლავაც საეთნოფაბრიკაციო პოლიგონად, სადაც არა მხოლოდ გენმოდიფიცირებული საძოომით, არამედ, ასეთივე გენმოდიფიცირებული ცნობიერებითა და სულიერებით ცდილობენ არათუ საზოგადოების რაღაც ნაწილის, - სრულიად საქართველოს გამოთაყვანებას.**

ასეთია ის ზოგადი მიზეზი, რამაც აასათავა დავა ჩემსა და წინამდებარე კრებითობას შორის. დიახ, ეს დაიწყო **მათ მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გაშინაარსების დანაშაულებრივი სიმცდარიდან,** რომელსაც აგრესიული სეპარატიზმი თავისი დაპყრობითი ბუნების შესაბამისად მიზანმიმართულად აკეთებდა, ხოლო აფხაზეთის

ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, თავისი უვიცობისა და ბოროტმოქმედული მისწრაფებების შესაბამისად, შედეგის თვალსაზრისით, ისეთივე საქმიანობა გამოსდიოდა.

განა რა უნდა ყოფილიყო მიუღებელი იმაში, რომ მე ჩემი სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და კომპეტენტურობის ფარგლებში ვცდილობდი, პასუხი გამეცა ეთნოფაბრიკაციული დიდმპყრობლობის-თვის, რომ აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა და არა ქართველების მიერ დაპყრობილი ქვეყანა, როგორადაც მას განგებ წარმოაჩენენ დიდმპყრობლური ძალები. ამ მხრივ, მე ამის საპირწონედ სათანადო ექსპერტების დახმარებით ჩემს მიერ დამუშავებულ, პრეზიდიუმის მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ საკითხებს ძირითადად ვერ ვანხორციელებდი, რის გამოც: ***1. ვითხოვდი ჩემდამი რწმუნებული დეპარტამენტის სათანადოდ აღჭურვას, სამუშაო პირობებს და ა. შ. 2. აფხაზეთის დეოკუპაციის მსოფლმხედველობრივ დაზუსტებასა და სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას; 3. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელ პირთა (განსაკუთრებით გ. გვაზავას) საჯარო განცხადებებისთვის ვოლუნტარისტული მიზანშეუწონლობების არიდებას და მისთანანი.***

ასეთი იყო ჩემი დავის მოსაზღვრულობა მანამ, სანამ მკაფიოდ არ დავინახე, რომ ამ საქმეში შემფერხებელი არა მარტო მათი უვიცობა, არამედ მათ მიერ წლების მანძილზე ორგანიზებული კორუფციის განტო-ტებები იყო.

ამ საკითხის გარდა, მათ იციან და უფალმა, ამ ხალხთან არაფერი მაქვს სადავო: ნუ ღალატობენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილ მრავალტანჯულ მოსახლეობას, ნუ აყრიან თვალებში ნაცარს, ნუ ძარცვავენ, ნუ აფურთხებენ სულში და ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ასი წელი არ ამოვიღებ ხმას!

აქვე მინდა ვურჩიო, უფრო სწორად, ვკითხო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, - ხომ არ მიბაძავს იგი ახალ ხელისუფლებას, როდესაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ცალკეული მინისტრები, მთავარი პროკუ-რორი და ა. შ. მათ მიმართ გამოთქმულ კრიტიკას პასუხობენ არა ლაფისროლით, ლანძღვით, კუთხეში მიმწყვდევის მცდელობითა და, რაც მთავარია, უკიდურესად ბანზე აგდებული, არამკაფიო შეპასუხებით, არამედ, მშვიდად, აუღელვებლად, თანმიდმევრულად უსაჯარისებენ საზოგადოებას თუ რაშიცაა საქმე, იქნებ ამათაც მოიღონ ამგვარი მოწყალება და აგვიხსნან, რომ მტკიცებულებები, რომლებიც არსებობენ და რომლებითაც ამ შემთხვევაში ვისარგებლე მე, გახლავთ ყალბი, ამიტომ, აქედან გამომდინარე, მათზე დაყრდნობით მე დავუშვი შეცდომა.

ამგვარ ვითარებაში მეც არ მიველეწები ყოველდღიურობას წინმსწრებმტკიცებითი (აპრიორული) აკვიატებით და იქნებ ბოდიშით

გავეგებო ამ, მართლა, გამაწბილებელს ჩემთვის, მაგრამ დადასტურებულ ალალმართლობას.

...მაგრამ ესენი არა, მე ვეუბნები, 9 კაცზე რომ ყალბი მივლინება გამოწერე შენი ვალის დასაფარავად, ეს ბოროტმოქმედება მარტო კი არა, უჭკუობაც ხომაა მეთქი? ის მპასუხობს, შენ ნაძირალა ხარო. კი ბატონო, ვიყო მე ნაძირალა, მაგრამ გაძლევს შენ ნებართვას ჩემი ნაძირლობა სახელმწიფოს ხაზინაში ხელისფათურისთვის?! ახლა მეორეც, ნაძირლობა თქვენს ჯოგში მოიკითხეთ, თქვე უტიფრობად გამოორღობებულებო!

***

როგორც ვითარება ადასტურებს, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობასა და დეპუტატთა თუ თანამშრომელთა გარკვეულ ჯგუფს საკმარისად მიაჩნია, საზოგადოების წინაშე გაითამაშონ თავდადება კეთილი ზრახვებისადმი, რათა, მათი ჭკუით, თვალებში ნაცარმიყრილი სახალხოობიდან მათთვის საკაცღმერთო კვარცხლბეკი გამოითხოვონ.

ისინი ასეთ დროს აფრიალებენ მათ მიერ ძვრაუქმნელობად მიჩნეულ ერთ საეჭვო დებულებას, - ***"რაკიღა გარემოებამ, სხვადასხვა წინგაუხედაობათა გამო სწორად ვერ გათვალა და ასეთი მდგომარეობა, აგერ უკვე ოც წელზე მეტია, გაგვიპიროვნაო, აქედან გამომდინარე, არც უნდა გაბედოთო ჩვენი საქმიანობის მიზეზ-შედეგობრივი გასიგრძეგანება!"..*** ამის შესაბამისად, მათ განზე გადადეს ყველა საწესდებო მოვალეობა და, დროსა თუ სივრცეში „საკუთარი უცოდველობის" აღმართვას შეუდგნენ პოლიტიკურ აზრად.

უცნაურია ამ თვითმოკაცღმერთე კრებითობის მსჯელობაც. ცხადია, მათი მოღვაწეობის საბედისწერო შედეგი, უნდოდათ მათ თუ არა ეს, სულ სხვა საკითხია, მაგრამ ყოველივე ამისგან გამომდინარე საუბედურო ყოველდღიურობა, რომელიც თავს მათი წინგაუხედავი ძალისხმევითაც მოგვეხვა ჩვენ, იმიტომ, რომ ამ ხალხს არ სურს ეს, არ უნდა, აღმოჩნდეს საზოგადოებრივი შეფასების, აწონ-დაწონვისა და დაგაკვეთილების მიღმა.

არადა, დღემდე ნებისმიერი მცდელობა, დაეჭვდე მათ კაცღმერთობაში, მათგან განიხილება მცდელის "ცუდ კაცობად".

მათ მიერ აღიარებული ჩემი "ცუდ კაცობის" მიზეზიც ესაა, თუმცა, არსად არ აზუსტებენ, რა საქმის გამოც ვარ „ცუდი". რა თქმა უნდა, ნებისმიერ კაცს უფლება აქვს, არ გაიგულითადოს ან ცუდად მიიჩნიოს კაცი და არ დაპატიჟოს საკუთარი დაბადების დღეზე, მაგრამ უფლის სამართალში ასე არ ხდება: შენ, რაღაც გაუმკაფიოებელი ან ჯოგური ერთობის გამო არ გიყვარდეს ადამიანი, თან საზოგადოებას თითისქნევით მოსთხოვო, აი, ეს ცილისწამებები, მე რომ ვამრავალცალებ ამა და ამაზე, დაიჯერეთ და რადგან ჩვენ ***"ხოში გვაქვს არ გვიყვარდეს იგი"***, თქვენც ***"ცუდ კაცად უხმეთო"***; ეგრე სადაა?!

მე გეკითხებით თქვენ, კი ბატონო, მკაფიოდ, გამარკვიეთ, რაში გამოიხატება ჩემი ”ცუდკაცობა”, დამაჯერეთ, მითხარით, იქნებ მოგისმინოთ და მე თვითონ მოვიცვა საოხარი ან ქენჯნის პერანგი...

***<u>კიდევ და კიდევ გიმეორებთ: ამიხსენით, გაძლევთ ჩემი ”ცუდკაცობა” ნებართვას თქვენ, ასე ფეხაწყობით ძარცვოთ და ატყუოთ ქვეყანა?!</u>***

სწორედ ასეთ მიზანს ემსახურება ამ დღეებში გავრცელებული დ. გვაძაბიას ხმაბოდვა, ა. წოწონავას აყროლება და, რა ვქნა, ჩემდა სამწუხაროდ, ა. გასვიანის ნებაყოფლობითი კი არა მარტო, - მოხალისე თანამოსაქმეობა მათთან.

მათ აქვს საერთო თარგი, რომლის მიხედვით ს. საჯაიაში არ შეიძლება იყოს რაიმე სიკეთე, სამამულო, საერისკაცო, სახელმწიფოებრივი... ჰოდა, ასე სადამკვეთო თარგში უღმერთოდ, განუკითხავად ასაგნებენ ს. საჯაიას, როგორც შინაარსს... მათ არ აინტერესებთ ჭეშმარიტი არსი. მთავარია, თვითონ აღმართონ მათ მიერ გასურათხატებული აზრა, რის გასწვრივაც ადამიანურს კი არა, ნებისმიერი ცხოველისთვის ჩვეულებრივ, თანაარსებობის წესრიგსაც არ აჭაჭანებენ ამ ***<u>მიზნის მისაღწევად. ჩემზე მოდიან გადამუხლუხების წესით, - ჩავქოლოთ, დედა ვუტიროთ, არ გავახაროთ... მერე რა, რომ ამ კაცს უფლით დადგენილი უფლება აქვს, გაგვდის და გადავუაროთ, ჩვენ ბევრი ვართო, მთელი ნახირი...</u>***

ეს ასე რომ არ იყოს, და მათ მართლა რომ აინტერესებდეთ თუ როგორ მოხდა მათ მიერაც ნებით თუ უნებლიედ ხელშეწყობილ ”საკენ-ჭუბერის” სატანჯავ გზაზე ადამიანური სახის უკიდურესი გაუკუღმართება, მაშინ ამ უბედური ადამიანების შეშველებისას ჩემი ხელმძღვანელობით გაწამწუთებულ ძალისხმევებსაც მოჰკრავდნენ სადმე თვალს, მაგრამ არა, ასეთი მიზანი არა აქვთ, გამრუდებული, მათ მიერ ჩასწორებული ”სინამდვილე” სჭირდებათ. არადა, მათგან არაერთი იყო მაშინ ჩემთან შემოსადგურებული და როგორც დრომ დაადასტურა, არა საქმისთვის, არამედ, ორიოდ გორო პური რომ მიეთავისა რიგში ჩაუდგომლად!..

ასეთ დროს, ბევრი მიზეზის გამო არ გამკვირვებია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ელექტრონულ გვერდზე (scofara@mail.ru) დადებული ბატონ ა. გასვიანის 13 გვერდიანი ცალთქმა ”სიცრუით პყრობილი”.

აქაც ისაა მთავარი, რომ, როგორც გითხარით, ყველა ეს ნაავყიარი გ. გვაზავას ნებადართულობათა მიხედვითაა დაწერილი, რომელმაც უნდა ”გააუტყუაროს” ***<u>1. კვლავ და კვლავ ჩემი ”უსაშველო ცუდკაცობა”; 2. გ. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეების ”მამულიშვილობაში” ეჭვის შეტანის მკრეხელური რაობა და 3. თითქოსდა, ჩემი საქმიანობა ემსახურება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გაუქმებას მტრის დაკვეთათა შესაბამისად და არა აქ თავაწყვეტილი კორუფციის მხილებას (რომელიც თავისთავადაა თვითგანდგომა სახალხო დაკვეთებისგან).</u>***

დავიწყოთ იმით, რომ ა. გასვიანი ვირეშმაკ გ. გვაზავასთვის ამჯერად

ხმის რაოდენობისთვისაა მოლაქუცებული ინახში, თორემ, მას აქ არავინ არაფერს ეკითხება, ამიტომ მე, ისევ და ისევ, თავსატკივარზე ვისაუბრებ და გზადაგზა, თუ ეს საჭირო გახდა, პასუხსაც გავცემ ა. გასვიანის ***"მეც ნახირ ნახირაოს"*** მსგავს შემონაღრენებს.

მთავარი კი ისაა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, რომლის საღირსებო ჩამონათვალში რაც არ უნდა გულმოდგინედ აღინუსხოს სხვადასხვა ჯილდოთა თუ სამეცნიერო ხარისხთა და ა. შ. რაოდენობა, **მას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობა არავითარ შემთხვევაში არ აღიქვამს თავის ხელისუფლებად.** ასეთია სახალხო დამოკიდებულება მისდამი, ამიტომ, ჩემი ადრინდელი საუბარი სახალხო წარმომადგენლობითი კრების საკითხზე, რომლის შესახებ აზრის გაჭაჭანებას ხიშტით ხვედებიან აქ, იქნებოდა ერთგვარი ხიდი მოსახლეობასა და ინსტიტუციას შორის, რაც, აქედან ორგანიზებული კორუფციისა და კაცღმერთული რეციდივების გაძევების შემთხვევაში, შექმნიდა პირობებს ქმედუნარიანი საქმიანობისათვის.

მიუხედავად ჩემ მიერ თანმიმდევრულად გასაჯარისებული მხილებისა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არამართლზომიერებათა შესახებ, კვლავ შეგახსენებთ, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საქმეში ჩემზე არანაკლები თუ მეტი არა, წვლილი აქვთ გაღებული თვით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს, ბატონ ნაპოლეონ მესხიას, რომელიც თავის წიგნში ***"როგორ გასხვისდა აფხაზეთი" (ქართველ და რუსულ ენებზე, თბილისი, 2008 წ.)*** მიიჩნევს და ***ასაბუთებს, რომ ველიკოდერჟავულ აგრესიასთან და სეპარატისტული ეთნოფაბრიკაციის ავანტიურებთან ერთად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისება განაპირობა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რიგი დეპუტატის მერყეობამ, არათანმიმდევრულობამ, წინდაუხედაობამ და ხშირ შემთხვევაში*** მოღალატურმა თუ ორპირულმა საქმიანობამ.

ამ საკითხში საინტერესო ისაა, რომ ამ მხრივ უფრო შორს წავიდა დღეს ჩემთან დაპირისპირებული ფეხაწყობის ერთ-ერთი მედგარი მესვეურთაგანი ბატონი ნ. მგალობლიშვილი, როცა თავის პუბლიკაციაში ***"როგორ უღალატეს ქართულ საქმეს ქართველმა დეპუტატებმა"*** ხმამაღლა განაცხადა: *"- კორ: ამბობენ, რომ ეს ქართველი დეპუტატები შეირჩნენ არა "მრგვალი მაგიდიდან", არამედ პარტიული ნომენკლატურიდან და მითითებებს რუსეთიდან იღებდნენ?*

*- ნ. მგალ.:* ***სინამდვილეში მართლაც იყო ფაქტები.*** *მაგალითად, თქვენ რომ ახსენეთ სამი დეპუტატის გამგებლად დანიშვის ფაქტი, თუმცა კონსტიტუცია არ კრძალავს დეპუტატის ადგილობრივ ორგანოში არჩევას.* ***პირადად მე ძალიან გავბრაზდი ამაზე.***

*კორ.: - რატომ იყო აუცილებელი დეპუტატის დანიშვნა ამ რაიონებში?*

*ნ. მგალ.: იმიტომ, რომ* ***ისინი მიდიოდნენ არძინბასთან მოლაპარაკებებზე და თანამდებობაზე.***

*კორ.:* ***ანუ გარიგებაზე?***

*ნ. მგალ.:* ***დიახ,*** *სხვათა შორის თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც მათ* ***არძინბას "პრიანიკებზე" გაყიდული დეპუტატები ვუწოდე... დღესაც უმაღლესი საბჭოს წევრები არიან"... (გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2010 წ. 13 მარტი, გვ. 3)***

ახლა მე გეკითხებით ბატონო აკაკი, იცით თუ არა თქვენ, რომ როდესაც აი, ამას და ამგვარებს აქვეყნებდით ერთმანეთზე, მე მაშინ ერთი ერთზე შევდიოდი ან თ. ხუბუასთან ან გ. გვაზავასთან და ვეუბნებოდი მათ, ფუნქცია შეეძინა ინსტიტუციას და გარეთ არ გაგვეტანა, შიგნით მოგვევლო ამ საქმისთვის, - თქვენ მიერ ყბადაღებული ***"აზელვაც" მაშინ ითქვა, - გაიძვერა გ. გვაზავას ვუთხარი, დაანებეთ შენ და ნუგზარმა ჩემს წინააღმდეგ ქვეშქვეშობას თავი, საწმოხონო საქმით დაკავდით, თორემ, ორივეს ერთმანეთში აგზელთ მეთქი. აი, რაგვარი სიზუსტით იმოწმებთ ჩემს ნათქვამს!..***

სამწუხაროდ, ხალხი, რომელიც სახალხო გზავნილებზე უნდა მეკამათებოდეს, აკვიატებული სირეგვნით ცდილობს წინგაუხედაობაში ჩემს ჩათრევას, თორემ, ნეტავი თავსამტვრევი მარტო ის იყოს, მომწონს თუ არა ა. გასვიანის შემოქმედება, რომელთაგან, სხვათაშორის ნოველა "საოხარს", რომელიც 70-იან წლებში დაიწერა, ახლაც კმაყოფილებით აღვნიშნავ. ატყვია მას დაფიქრებული კაცის ხელი.

რაკი სიტყვას მოჰყვა, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ა. გასვიანის საქმიანობას, ასე ვთქვათ, ***"სულთმცოდნეობაში"***, ამ დარგში ჩემი ნაკლებგანსწავლულობის გამო ვერ შევაფასებ, შევიხსენებ მხოლოდ ერთს, - როდესაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში 2004 წელს, იუნესკოს გადაწყვეტილების შესაბამისად წარმოვადგინე პროექტი ***"საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავის შესახებ"*** (რაზეც, საპატრიარქოსთან ერთად სათანადო საიუბილეო კომისიაც შეიქნა) და დაგეგმილ ღონისძიებებში გათვალისწინებული იქნა სამეცნიერო კონფერენცია, დავადგინეთ, რომ წარმოდგენილი მოხსენებების რეცენზირება დარგობრივ ინსტიტუტებში მომხდარიყო. მაშინ თეოლოგიაში წარმოდგენილი ნაშრომების, მათ შორის ა. გასვიანის მოხსენების შეფასება ვთხოვეთ სასულიერო აკადემიას, რომელმაც, რბილად რომ ვთქვა, ეს ნაშრომი არ მიიჩნია ისეთად, როგორადაც მას აღიარებს ბატონი კაკო და არ დაუშვა მისი წარდგენა სამეცნიერო კონფერენციაზე. იგი, ღვთის მადლით, ასევე უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევასთან ერთად, თვით კათოლიკოს პატრიარქის -ილია II მონაწილეობით ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. მას ესწრებოდნენ სახელოვანი მეცნიერები. ამ კონფერენციაზე წაკითხული ყველა მოხსენება

იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად(„აფხაზეთი და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები “, თბილისი, 2005 წ.).

რაც შეეხება იმას, რომ მას მახვშს ვემახდი, განსხვავებით მისგან, მე ახლაც კეთილმოსურნედ ვემარჯვები მას, - ”საოხარის” ავტორს პატივს ვცემ, მაგრამ აქვე ასომთავრულდება არაერთი შეკითხვა, რომელზეც პასუხს მე მარტო კი არა, დროის მოუსყიდველობა ითხოვს. ერთსაც ვეტყვი ბატონ აკაკის ამ უფლისწვდომილებასთან, ანუ მახვშობასთან დაკავშირებით: მე-20 საუკუნის სამოციან წლებში ცნობილმა რუმინულმა მწერალმა ვიქტორ კერნბახმა საოცრად სამართლიანი და პატივმიმგები წიგნი გამოაქვეყნა საქართველოზე, რომელშიც განიხილა ქართული სადღეგრძელო და დაასკვნა, რომ სადღეგრძელოში ქართველი როცა აქებს სადღეგრძელებელს, მას მიუთითებს თუ როგორი უნდა იყოს იგი. გარდა ამისა, მახსოვს, ბატონ აკაკის ადრე მოსწონდა ერთი ჩემი სტრიქონი *”- კაცს გამარჯობას იმიტომ ვეტყვი, რომ შევახსენო კაცობა მისი!..”* ასე, რომ ღმერთმა გაგიმარჯოს, აკაკი, ოღონდ იმ გულმართლობაში, რა სისწორეცაა თქვენს წინამდებარე წერილში!..

გავყვეთ სათქმელს და დავუბრუნდეთ ზემოთხსენებულ კითხვებს: *1. ბატონო აკაკი, 1992-93 წლებში, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ეთნოდივერსიული ძალები ცდილობდნენ ძუძუმტე ქართველ-აფსუათა კონფლიქტის გასწვრივ დაექსელათ თვით ქართველთა მხარეთშორისი დაპირისპირება, ამის შესახებ მოგმართეთ თუ არა თქვენ, მაშინ აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილესა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რაც მთავარია, საზოგადოება ”ლემის” გამგეობის თავმჯდომარეს, წარმოგიდგინეთ თუ არა შესაბამისი სამოქმედო გეგმა, მოიწონეთ თუ არა იგი, რომლის მიხედვითაც მაშინ გაზეთ ”აღდგომაში” (1993 წ. თებერვალი). ერთმანეთის გვერდი გვერდ გამოვაქვეყნეთ ჩვენ-ჩვენი სათანადო წერილები? 2. ჩემს წიგნში ”დღეები ცხედართა უხმო კივილისა”, რომელსაც თქვენგან განსხვავებით გაზეთში ”საქართველოს რესპუბლიკა” (2009 წ. 4 აგვისტო), მაღალ შეფასებას აძლევენ პროფესორები ს. სიგუა, ა. აბრალავა და ცნობილი პოეტი დ. ივარდავა, მე გამოქვეყნებული მაქვს ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის მითითებით აფხაზეთიდან, ანუ საკუთარი სამშობლოდან, ეთნიკური წმენდის შედეგად დევნილი მოსახლეობის ხელმეორე გენოციდის მაგალითები საკენ-ჭუბერის ხეობებში და რომელშიც აღვნიშნავ ადგილობრივი მოსახლეობის გულისხმიერების უამრავ შემთხვევას, ასევე ყაჩაღთა ვინაობას (რომელთა შორის მამაძაღლობდნენ ამ ხეობაში საგანგებოდ მოსული მძარცველები, მაგრამ არც თუ ცოტა იყვნენ ადგილობრივი გარეწრებიც), ჰოდა, მიპასუხეთ, ეს წიგნი სად, როგორ და რანაირად მოემსახურა სვანებისა და მეგრელების წაკიდებას? 3. იცით თუ არა, რომ იმხანად მე, ვიყავი რა ეროვნულ*

***ხელისუფლებაში აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ემანდ, თქვენს გვერდით მოღვაწე დეპუტატ ჯ. გამახარიასთან ერთად რა ძალისხმევაც გავიღე იმ ქაოსურ ვითარებაში, როდესაც ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის დაგეშილი პროვოკატორების მიერ სამეგრელოში საპროვოკაციოდ დაქსელილი ხმების "სვანებმა გაძარცვეს მეგრელებიო", - გასაუვნებელსაყოფად და აღსაკვეთად მიმოვრბოდით ჭუბერსა და ზუგდიდს შუა, რათა არ დაგვეშვა საქართველოდან შორს დაკვეთილი კუთხეთაშორისი დაპირისპირება? გინახავთ ამ საკითხზე ჩემი პუბლიკაციები ან ყოველდღიური გამოსვლები ზუგდიდის ტელევიზიით?! (ეს მასალები დაცულია, ბატონო კაკო). 4. ბატონი აკაკი, ზემოთხსენებული წიგნის 133, 135 და ა. შ გვერდებზე როდესაც ამგვარად ვწერ: <u>"ასე თანაგრძნობითა და სახლიკაცურად იქცეოდა აქაური სვანების დიდი ნაწილი. სამწუხაროდ, ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის სისხლიანმა ხელისუფლებამ აქ თავი მოუყარა ყველა კუთხის (მათ შორის სამეგრელოს) ნაძირალას, რათა ეს ძარცვა სვანებს დაბრალებოდათ"</u>, თქვენ მოგმართავთ, მწერალო კაცო, შეინჯღრიეთ ზნეობის ცხრაკლიტული და თქვით ხმამაღლა, ეს, როგორც თქვენ წერთ, - "სვანებისა და მეგრელების" დაპირისპირებას ემსახურებოდა თუ ამის საწინააღმდეგოს?! (არ მინდა, ახლა უფრო მეტი გითხრათ, ვთქვათ, ასე: თქვენ მაშინ ჯ. იოსელიანის გულის მოგებაზე ფიქრობდით, უფრო). 5. იცით, თუ არა, რომ მ. კოსტავას სახელობის ფონდში (ეს რა სათქმელია, მაგრამ, მაინც) ჩემი ხუთთვიანი საქმიანობის მანძილზე ასამდე კაცს ამ ხეობიდან ან სახლ-კარი ვუყიდე, ზოგისთვისაც სათანადოდ კუთვნილი, მაგრამ განგებ შეფერხებული საკარ-მიდამო გამოვაყოფინე, სხვებსაც ჩაწერაში დავეხმარე (რასაც აგრესიული სეპარატიზმი ასე ებრძოდა), ახლა თქვენ გამარკვიეთ, რამდენ კაცს მოუმართეთ ხელი პირადად?! ამ მხრივ ჩემი საქმიანობა უფრო დაწვრილებით თუ გაინტერესებთ, მიბრძანდით მ. კოსტავას ფონდის არქივში. 6. 1993 წლის შემოდგომაზე სამეგრელოში საკენ-ჭუბურის ხეობებიდან გამოვლილ გაძარცულ დევნილებთან იმ მიზნობრივი განწყობის გასაფანტავად თუ რა შრომა გავწიეთ, რაც მოჰყვა ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის ხალხთმოძულეობას, დაგიზუსტებიათ იმ დროს ზუგდიდში მყოფ ბ. აფრასიძესთან, თ. მურღვლიანთან და ან სხვასთან, რომლებიც ჩახედული გახლავან ამ საქმეში?***

(ამასთან დაკავშირებით უფრო გვიან, 1994 წ. ეროვნული მოძრაობის სახელით გამოქვეყნდა მიმართვა კოდორის ხეობის მოსახლეობისადმი, რომელსაც ხელს მე ვაწერდი).

***ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის მითითებათა შესაბამისად, ყოვლად უსაფუძვლოდ, 1994 წლიდან, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა არა ერთი განმაქიქებელი და ცილისმწამებლური წერილი სამეგრელოზე, რომელთა ავტორები თავს ერთდროულად მოიაზრებდნენ***

*როგორც ”ლემის”, ასევე ”მხედრიონის” წევრებად (მათ შორის გამოირჩეოდა ლ. ფალიანი (იხ. ზემოთხსენებული ჩემი წიგნი). მასში ავტორები განსაკუთრებული ზიზღით და ავყიური ქილიკით, თან ხმაბოდვითი ყურმოკრულობების დონეზე, აქვეყნებდნენ ჭორებს მეგრელთა ”პირუმტკიცობასა” თუ მათ მიერ აფხაზეთის ჩაბარებაზე. ასეთ დროს, ამ ჩასაფრებათა საპირწონედ, ბატონო აკაკი, რაღაც არ მახსოვს, ხმა ამოგეღოთ და პასუხი გაგეცეთ, - ასე არამც თუ წერა, ფიქრიც არ შეიძლებაო!.. ხომ არ ვტყუი, ბატონო ჩემო? 8. მას შემდეგ, რაც თქვენ გაგათავისუფლეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან, ამ ინსტიტუციაში შემოვიდა საჩივარი (11.04.2006 წ., #92 - კოლ.) რომელსაც აშკარად ეტყობოდა სვანეთისთვის შეუფერებელი განაწყენებული კაცის დაკვეთით მსჯელობა არარსებულ ”სვანთა დევნაზე”. არ ვიცი და ამიტომ არ ვიტყვი, რომ წერილთან, როგორც დღევანდელი თქენი თანამოსანგრეები ამბობდნენ თქვენს ზურგსუკან, რაიმე შემხებლობა გქონოდეთ, მაგრამ თუ ემსახურება იმ წერილში გამოხატული განწყობა საქართველოს გაერთსხეულებას?! (წერილს შეგნებულად არ ვაქვეყნებ, იგი ისედაც გახსოვთ, მაგრამ თუ არ გახსოვთ, მისი გადათვალიერება თქენს კანცელარიაში შეგიძლიათ, შემიძლია ასლი მოგაწოდოთ). 10. ...და ერთიც, როდესაც ჯ. იოსელიანთან ერთად კოდორის ხეობაში სვანურ ქუდს, ესოდენ საპატიოს და, როგორც თქვენი იამბის მასთან დაკავშირებული განწყობით მეთანხმებით, ანუ ბატონ ჯაბასთვის დაუმსახურებელ ღირსებას იხურავდით, სწორედ ამ ქუდის საერისკაცო შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც სულაც არაა მარტო თავსაბურავი, მოგეთხოვებოდათ თუ არა გაგეთვალისწინებინათ, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ეთნიკური წმენდის შედეგად დევნილი მოსახლეობის მიზნობრივი ძარცვა, გაუპატიურება, სულში ჩაფურთხება და ა. შ. რომელიც ე. შევარდნაძის ხუნტამ სწორედ იმ ხეობაში მოაწყო შორსგამიზნულად და რადგან იგი ხელოვნურად სწორედ აქაურ, ამ სვანურ მოსახლეობას დაბრალდებოდა ამ ამბის დამქსელავთა გათვლით, დიახ, გევალებოდათ თუ არა იმის მხილება, რომ ეს ვერაგობა ჩასაფრებული ძალების ხელში იქცეოდა ისეთ ნაღმად, რომელსაც ყოველთვის დასჭირდებოდა ძალიან წმინდა ხელებით და არნახულად შორსგამხედვარე მოპყრობა?*

ამ და სხვა საკითხებზე აქ ვაპირებ წერტილის დასმას, რადგან თქვენი ძმის, ბატონი ვახტანგისა და ჩემს საუბარს 2011 წლის იანვრის ბოლო კვირაში ამ წუთამდე ვცემ პატივს და ***კარგად გაიცხადეთ, რას ეხებოდა იგი ან რას არ ვამბობ ხმამაღლა.***

ამასთან ერთად, ამ სამი კვირის წინ თქვენი ვაჟი შემხვდა მეტროში, - უბინაო დევნილების აქციაზე მიდიოდა, ისე გულწრფელად გადამეხვია, დააკლდეს ჩემს კაცობას იმ ნაღმების არ გამოყენება, რომელიც რიყის

ქვებივით მიყრია აგერ და რომლის სათითოო გამოტყორცნასაც სავსებით სამართლიანად იმსახურებთ. რა თქმა უნდა, ეს ნაღმები თქვენვე დაიგროვეთ თქვენი საქმით და არა მე.

აქვე დაბეჯითებით აღვნიშნავ, რომ არ ეკადრება თქვენს თითქმის ოთხმოცწლეულს (ღმერთმა დიდი ხნის ჯანი მოგცეთ), ვინმეს კარის მეხოტბედ იქცეთ, თქვენს სულში ჩაიხედეთ და გაისიგრძეგანეთ, არა, ხმამაღლა ნუ იტყვით, თქვენსავე თავს შეახსენეთ, თავის დროზე როგორ დაგიხასიათებიათ ისინი, ვისზედაც ჯოგური ერთობის წესით დღეს ასე შემოსაკვართ ჯავშნად იდგენთ თავს.

დიახ, ბატონებო, მართალია, ბატონი აკაკი აშკარად მდებს ბრალს სვანეთისა და სვანებისადმი არაკეთილგანწყობაში, მაგრამ სანამ შემაჯამებელ პასუხს გავცემდე, ჩვენი წინაპრების უფალსწვდომილი სამართლის თანახმად, რომელიც სვანეთში, საამაყოდ ჩვენდა, თავანკარადაა დაცული, ***დაბეჯითებით უნდა დავეკითხო, - ეს ყველაფერი, რასაც მაბრალებთ, განაგონი გაქვთ, თუ პირადად, თქვენი თვალსამზერიდანაა მკაფიოდ ნანახი?***

განაგონი კი არა 1992 წლის სექტემბერში 23-ე ბრიგადის მე-2 ბატალიონის ერთ-ერთი მებრძოლი (გვარს პირადად გეტყვით) ჩვენთან, მოძრაობა "ჭყონდიდელის" ხელმძღვანელობასთან მოვიდა და დაიჩივლა, - დღეს გუმისთაზე ა. გასვიანი იყო ჩვენთან და ხმამაღლა თქვა, მეგრელები სანდო არ არიან, ისინი ზვიადის მხარეზე გადავლენო; მეორეგან ხმა მოგვწვდა, - მეგრელთა ბრძოლისუნარიანობა დაგეწუნოთ თითქოს!.. მაგრამ, ეს მე პირადად არ მინახავს, არც მომისმენია და ამისთვის ვერ დაგემდურები.

სამაგიეროდ სხვა რამის მოწმე ვარ. 1992 წლის ივნისში, როდესაც კბილებამდე შეიარაღებულმა "მხედრიონმა" მორიგჯერ დაარბია და ააწიოკა სამეგრელოს მშვიდობიანი მოსახლეობა, როგორ იფიქრებდა მეგრელების სიძე, ერისკაცი გოგი ხაფთანი, ჩვენი სვანეთის პატიოსანი შვილი, რომ თქვენ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მოღვაწე წარმოშობით სვანეთელი ქართველები თანაგრძნობას დაამადლიდით დათოფილ ოდიშს და გაზეთ "აღდგომაში" გამოქვეყნებულ სათანაგრძნობო მიმართვაში, რაკიღა თქვენთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, მათი გვარ-სახელი რომ არ მოვაწეროთ, ეწყინებათო და თქვენი და აწგარდაცვლილი ერთი დეპუტატის გვარები მოაწერა სათანაგრძნობო განცხადებას მან.

მახსოვს, როგორი ამრისხანებით მოსთხოვეთ სახტად დარჩენილ გოგის ამ ხელმოწერების უარყოფა. ამის მოწმე მე ვარ, ჩემო ბატონო.

აი, რა ხანგრძლივობით ***"ისალკლდევა"*** იმ პუბლიკაციებმა, რომლებიც გაზეთში "საქართველოს ცის ქვეშ" მართლა ქვეყნდებოდა კანონიერების მხარდასაჭერად ერთ დროს და მერე ჩუმჩუმურად შეწყდა.

ახლა რაც შეეხება საზოგადოება *"ლემს"*, არც ამაზე გიპასუხებთ ისე, როგორც თქვენა გაქვთ გათვლილი: 1992 წელს, როგორც უკვე მოგახსენეთ, სამეგრელო არაერთგზის დაილაშქრა *"მხედრიონის"* ანუ უკეთური თანამოძმეების მიერ. ამის უპირველესი მიზანი გახლდათ ის, რომ სამეგრელოში როგორმე დროსა და სივრცეში არ არსებული სეპარატისტული განწყობა გაეღვივებინათ, რისთვისაც ჯ. იოსელიანის დაგეშილი ყაჩაღები სათანადო "წყობილ სიტყვაობასაც" იყენებდნენ, *მაგალითად, "ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა..."* გაზღაოდნენ ბეზერ კოლხეთს გონებაჩლუნგი არამზადები (ისე, კაცმა რომ თქვას, რატომაც არა, მართლა მაინტერესებს, თქვენს შემოქმედებაში როგორ აისახა "მხედრიონის" ეს ნაძირლური თარეშები "სამეგრელოში").

ასეთ დროს, რაკი "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება დაიშალა, თან მისმა წევრმა ზოგიერთმა პარტიამ და პიროვნებებმა აშკარად უღალატეს მას, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისთვის საჭირო გახდა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და სათანადო პაროლის დაზუსტება, რაც, ჩემდა საამაყოდ, მე დამევალა.

ეს ის დრო იყო, როდესაც არაკეთილმოსურნე ძალები სამეგრელოს გარეთ და მის დაუკითხავად ცდილობდნენ შეექმნათ ასეთი ორგანიზაციები *"სამეგრელო", "კოლხეთი", "ეგრისი", "ოდიში"* და ა. შ. და მათზე მეგრელისთვის უცხო სეპარატისტული სულისკვეთება მიეხრახნათ, უფრო მეტიც, პროვოკატორები მოითხოვდნენ „დროებით“, კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე გამოეცხადებინათ სამეგრელოს ავტონომია, გამოიცა სამეგრელოს მიღმა ე. წ. მეგრული გაზეთი *"ტორონჯიც"*, რომელიც 1993 წლის 7 იანვარს, შობას, ზუგდიდის ცენტრში, კოცონზე დაწვეს მეგრელებმა.

იმ ვითარებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმიანობა, ჩემი წინადადებითა და დასაბუთებითაც გარდაიქმნა ყველაზე სწორ ეროვნულ სვლაგეზად - ჭყონდიდურ-აღმაშენებლურ მიმართულებად, ანუ ჩამოყალიბდა არა კუთხოპარტია, არამედ სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა "ჭყონდიდელი".

დიახ, მე გავაკეთე ეს, ბატონო აკაკი, რისთვისაც ამ მხრივ ჩემი ძალისხმევა 1992 წლის 11 აგვისტოს ქ. გროზნოში, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ეროვნული მოძრაობის საჩინო წარმომადგენელთა, კავკასიელ უხუცესთა და თვით ჯოჰარ დუდაევის წინაშე ხმამაღლა განაცხადა, *"ჭყონდიდელის ძალისხმევა გადაარჩენს საქართველოს"-ო.* რა თქმა უნდა, მან ამაში უპირველესად პოლიტიკური ორგანიზაცია კი არ იგულისხმა, არამედ ის მსოფლმხედველობა, რომელიც ჩვენ ეროვნული მოძრაობის სახმობად (პაროლად) დავადგინეთ და რომელიც არასოდეს არ ყოფილა დიდმპყრობელი, ის პონტო-კავკასიაში ლასკარული წესრიგითა და სახლიკაცობით აზროვნებდა მხოლოდ.

ამის შემდეგ ისევ სვანური სამართლით გეკითხები, თქვენ მნახეთ მე, როცა "ვაგენტობდი რუსეთის სასარგებლოდ" თუ განაგონი გაქვთ ეს?!

მაშინ მიპასუხეთ, თუ ეს ისეა, როგორც, თქვენ, ნუგზარი და ანზორი ერთხმაში ირწმუნებით, - ეკუთვნის თუ არა კგბ-ს მადლობა იმისათვის, რომ მე, სერგი საჯაიამ, "რუსეთის აგენტმა ზედსახელით "Грек". ჩემს თანამოსანგრეებთან ერთად 1992-93 წლებში ჩავშალეთ 1. სეპარატისტული ავანტიურის თავსმოხვევა ჩვენთვის და ოდაბადისთვის და 2. არ დავუშვით სადღაც ჯანდაბაში დაგეგმილი სვან-მეგრელთა დაპირისპირება (სხვათაშორის, ეს საკითხები 2012 წლის 7 დეკემბერს მ. კოსტავას წმინდა ეზოში განვიხილეთ ეროვნული მოძრაობის პატივმისაგებ ხალხთან. დამოკიდებულებას თქვენს ბრალდებებთან თავად მოგახსენებენ ჩემგან და თქვენგანაც პატივმისაგები ადამიანები ე. საღლიანი და შ. ქალდანი).

რა თქმა უნდა, **"ლემიც", "კოლხეთიც"** და ა. შ. ქართული ცნობიერების დედაბოძია, მაგრამ მათ, როგორც ნებისმიერ ქართველს ყოველთვის უნდა ერტყათ ასე ჩასაფრებულ ავმოსურნეთაგან დამცავი ჯავშანი.

***ამ ქვეყანაზე ძალიან ცოტა მეგულება, ვისაც შეუძლია, მასწავლოს სვანთა რაგადობის პატივმიგება, მე მასში არც თუ ცუდად ვიკვლევ ეროვნულ ანუ ზოგადქართულ თვალსაწიერს და არაერთი სიტყვა დედოქართულის ამ ნაირსახეობიდან შევიტანე ჩვენი ერის წყობილსიტყვაობაში.***

რაც შეეხება მართლა "КГБ"-ს, ეს თქვენს რიგებში მოიკითხეთ, რადგან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის სია, რომელიც ვითომ ეროვნული მოძრაობის სახელით გამოაქვეყნეთ, აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის გენერალ გივი ლომინაძის, მისი მოადგილის ალეკო ლომინაშვილისა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოლკოვნიკ ავთანდილ იოსელიანის კაბინეტში შეადგინეს 1991 წლის სექტემბერში.

პოლკოვნიკ ა. ლომინაშვილზე ის შემიძლია შეგახსენოთ, რომ იგი ხელმძრვანელობდა "ჩვენს" საარჩევნო კომპანიას, შედეგი აგერ ხართ თქვენ!

წინამდებარე თოთხმეტეულის, რომლის ხელგამოღებული წევრიც ბატონი კაკოც ბრძანდება, - საიერიშო ძალისხმევათა უცნაურობა ისიც გახლავთ, რომ ეს ხალხი, რომელიც წინმსწრებმტკიცებითი აკვიატებულობით ჩემზე გაბღავის "ცუდი კაციაო", - რისთვისო, თუ ჩაეძიები, მკაფიოდ ვერ აგიხსნით მიზეზს იმისას, თუ რატომ უდგენენ არასასურველ კაცად ჩემს თავს საზოგადოებას, ანუ ისინი ხროვული ერთხმაყმუილით ჯერ მაცხადებენ ასეთად, მერე მიყენებენ ამის შესაბამის "ბრალს" და მხოლოდ ამის შემდეგ იკაპიწებენ მკლავს ან "ბრალდების მტკიცებულობათა" მოსაძიებლად, ან კიდევ "ჩემი ცუდკაცობის" წარმოსაჩენად.

რაც შეეხება ”ჩემს ცუდკაცობას”, რომელიც კინაღამ ამ ინსტიტუციაში მათი ერთსულოვანი საქმიანობის სახელმწიფო პოლიტიკად იქცა, ასეთ მიზანს განაპირობებს მხოლოდ ის, რომ მე ნებისმიერი მათგანის ორპირობა აწი საძიებელი სიცხადეების მიხედვით კი არ ვიცი, თავიანთ დედან რაობაში მყავს თითეული გამჭოლად მოთვალსაწიერებული.

ამიტომ, მათი აზრით, თუ ჩემს სახელგატეხვას მოახერხებენ, რაც ზნეობრივ საზოგადოებაში ვერ მოხერხდება, ცხადია, ქუჩისფსკერულ სიმრავლეში „სახელგატეხილი კაცის“ ნათქვამი სიმართლეც ხმაბოდვად აღიქმება, შესაბამისად მისი ქმედუნარიანობა, ისევ და ისევ მათი აზრით, გაუვნებელყოფილია მასზე ჩასაფრებული ჯოგისთვის.

რაც შეეხება თქვენს მიერ გ. ბარამიას დაცვას, ამაო ხელგამოღებაა ესეც: ბატონ გიას გარშემო მყოფ საჩინო ხალხთა სააფხაზეთო გეგმებს გამორჩენისთვის კი არა, ქვეყნის წამდგომლობისთვის დავუჭირე მხარი, ყველაფერს თქვენი სიწამხდრითა და ჯუჯაკაცობით ნუ ზომავთ, მე ცოტა, თქვენგან განსხვავებულად მესმის ზნეობა. ჩემი თანამდებობის საკითხი, კითხეთ თ. მჟავიას, ცოტა მაღლა გადაწყდა გაცილებით ადრე, გიამ აღასრულა მხოლოდ ის.

მეორეც, თქვენ განგებ არ ამახვილებთ ყურადღებას, როდის შემოვულაწუნე მას პირველად, კარგად გაიცხადეთ, საერთოდ თუ იყო სარბიელზე დღეს ხელისუფლებაში მოსული პოლიტიკური პარტია მაშინ?!

თუ გნებავთ, მესამეც, - იმ დროს, როდესაც საბჭოთა უშიშროება, ჩასაფრებული ”ერისკაცების” შურზე დაყრდნობით... (ის წაიკითხეთ, რასაც შეგნებულად არ ვაასოზგერებ თქვენთვის მისაპიროვნებლად) კაჭას კაჭაზე მიდებდა დასაბრკოლებლად, ამ არასახალხო მოწარამარეებთან ურთიერთობის რკვევისას მე გვერდში მედგა მაგ კაცის ბიძა, მაშინ კიდევ უფრო ახალგაზრდა გიასთან ერთად. და რადგან არ მინდა ჟამთაბერს სახელგატეხილად დაუდგინდეს და ამიტომ, თანაც, რაკი ჩემი შინაურული კეთილმოსურნეობა ყურად არ იღო, ხმამაღლა ვეუბნები, ***ნუ ხარ ლაჩარი, გაბედე და ერს სახალხო გასალკლდევებად დაუდგინდი მეთქი***. ჩემგან არ ელის მას საფრთხე, თქვენი ”პო სიტუაციი” საქმიანობისგან უხაფანგდება მთელი ეს წლები ამ კაცს სამოღვაწეო სადავე. აი, ამაში ვეკამათები მას, თორემ გ. გვაზავასა და ა. წოწონავას ის რომ ჯობია ცხრაგზის, ეს ძალიან ცოტაა სამამულო ძალისხმევისთვის. ისე, თუ კარგად გაისიგრძეგანებს, ძალიან დროული ”შპარგალკით” შევაიარაღე...

არამამრული, ვერმომახვშე და ციდაკაცურ ილეთებს რომ მიუსადავდით, ბუნებრივია, სირცხვილგარეცხილ მდგომარეობაში ვერ ხედავთ თუ როგორ, თუმცა ამაოდ, ეხელისბიჭებით ჩასაფრებულთა აკრძალულ წელსქვემოთა ილეთებს: მართალია, მანდ, ინსტიტუციაში რომ

გერიცხებიან იმ ჯაშუშების წყალობით ბატონ ზვიადსა და ჩემს შორის კი მოხერხდა რაღაც გრძლიობაში გაუგებრობის დაქსელვა, მაგრამ, კაკო ბატონო, 1990 წლის აგვისტოში, როცა ჯ. იოსელიანთან ერთად თქვენ, მაშინ ზ. გამსახურდიასთან დანა-სისხლად დაპირისპირებული ბანაკის ბინადარსა და ე. წ. კონგრესის მომავალ წევრს, მოგეჩვენათ, რომ მე მას, კაცუნათა ხვანჯების წყალობით ჩემდამი დაუმსახურებელი მოპყრობის (ჯ. იოსელიანის სიტყვებია ეს) გამო დავუპირისპირდებოდი და მთხოვეთ, ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ მომზადებულ 1 საათიან ტელეგადაცემაში (საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით) მიმეღო მონაწილეობა (ის გადაიცა 1990 წლის 30 სექტემბერს, ზემოთხსენებული კონგრესის "არჩევნების" დღეებში, იგი ხომ რამდენიმე დღე გრძელდებოდა). მიუხედავად იმისა, რომ მ. კოსტავას სახელობის ფონდთან დაკავშირებით ამ ტელეგადაცემამ მაღალი შეფასება მისცა ჩემს საქმიანობას, რაც გამოიხატა კოდორის ხეობის მკვიდრთა ჩემდამი სამადლობელ გამოსვლებში, ***თქვენდა გასაკვირად, დიახ, ბატონო, კაკო (გასავ) გასვიანო, თქვენდა განსაცვიფრებლად მე გადაჭრილი უარი ვთქვი, დავპირისპირებოდი ბატონ ზვიადს, ისევე, როგორც იმავე წლის მაისში, ფორუმის სხდომაზე გავაკეთე ეს. მასალა, 1990 წლის 30 სექტემბრის ტელეგადაცემაზე,*** ჩემდა საბედნიეროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის არქივშია, გამოითხოვეთ, ნახეთ, დარწმუნდით.

რა თქმა უნდა, მე იმ დროს მისთვის მცდარად მიწოდებულ საკითხებზე მოთაფლული ენით მასთან არც და ვერც ვისაუბრებდი (ამით განვსხვავდები ძალიან ბევრისგან), მაგრამ მიუხედავად იმ დროს საქართველოს ტელევიზიის ორგზისი მცდელობისა (პირველად 1990 წლის ივლისის ბოლოს), მე არ დავპირისპირებივარ "კოლხური კოშკის" სიდიადეს, ასე, რომ ბატონებო, რაც არ უნდა ამრუდოს ზ. გამსახურდიასთან დაკავშირებით ვინმე რ. შამუგიამ "კოლხური კოშკისა" და ჩემი ურთიერთობა, რომელ ხატზეც (დიდება მის მადლმოსილებას) არ იფიცოს ამ ათეისტმა იგი, თქვენ წარმოადგინეთ - ჩემგან ღრმადპატივცემულმა ჯ. ჯოლოხავამაც ცხრაგზის რომ წაიწყმიდოს სული (თუმცა, არ მჯერა), - დიდმა ზ. გამსახურდიამ დამოკიდებულება ჩემდამი საჯაროდ გამოხატა ზემოთხსენებულ შეკრებაზე ქ. გროზნოში 1992 წლის 11 აგვისტოს თავისი გახმაურებული მოფერებითა და ჩემი საქმიანობის მაღალი შეფასებით, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც მისი წინადადებით 1993 წლის 1 ოქტომბერს აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დავინიშნე და პირველი, რაც ამ თანამდებობაზე გავაკეთე, ის იყო, რომ საგანგებო ჯგუფი, რომელთა შორის გულანთებული სვანებიც იყვნენ, ლათამდის (კოდორის ხეობა) ჩავიდა იგი მაშინ ვითარების მოსადავებლად. სიმართლე ასეთი გახლავთ და არა ისეთი, როგორადაც ის

მიზნობრივად და გ. გვაზავას თითისქნევით იქსელება ჩემს წინააღმდეგ. ძალიან ცუდია, რომ ამ საქმის ერთ-ერთი რიგითი მოხალისე ხართ.

მთავარი ისაა, რომ ჩემს მოწიწებას "კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობრივი ცნობიერებისადმი და პატივისცემას მის ბინადართადმი ჩემგან არასოდეს დამისამართებია წინგაუხედავი ან რაიმე სახის როშვა, გიმეორებთ, ჩემს მიერ, გასაგები მიზეზების გამო, გამოხატული ნებისმიერი განწყობა ყოველთვის იყო არა ისეთი, როგორადაც თქვენ ხელოვნურად თხზავთ და ამრავალცალებთ, არამედ ის გახლდათ იმნაირი, როგორც ეს ეკადრება ზნეობაში მყოფ კაცს და არა ბატონი ზვიადის სახელს ამოფარებულ ან ამით მოკეკლუცე შარახვეტიას, მაგალითად თქვენ (თუ ამ ცილისწამებებს შეგნებულად ავრცელებთ) და თქვენს მიერ დასახელებულ ცრუ მოწმეებს. დიახ, მე, მის თანამოსანგრეს, როგორადაც მან სახალხოდ დამადგინა, როდესაც 1992-93 წლებში ესოდენ დიდი რწმუნებები გამიპიროვნა, ვინ - ვისგან და, თქვენგან ნამდვილად არ მესწავლება ეს.

როდესაც ზ. გამსახურდიასთან ჩემს დამოკიდებულებაზეა საუბარი, აქ მე სულ სხვა რამითა ვარ ცნობილი: ქართულ ლიტერატურაში მე მომეწერება ასეთი ცნებების დამკვიდრება ***"კოლხური კოშკის" ცნობიერება", "კოლხური კოშკის" მსოფლმხედველობა", "მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 7 წლის შემდეგ ილიას ესროლეს, მეოცე საუკუნის დასასრულამდე 7 წლით ადრე - ზვიადს*** და და ა.შ. ასეთ ვითარებაში ის უხამსობა, რისი მოწერაც ჩემთვის გინდათ, თქვენს ყიაში მოიკითხეთ. მეორეც, თოთხმეტეულმა ქორომ, რომელმაც დღეს სასამართლოში მიჩივლეთ, პირწმინდად სუყველამ, სხვადასხვა დროს უმუხთლეთ და უღალატეთ ზვიადს, როდესაც ე. შევარდნაძის მხარეზე გადახვედით (მნიშვნელობა არა აქვს გულწრფელად თუ ორგულად), რასაც ქვეყნის განადგურება მოჰყვა. ამას მე მარტო კი არ გეუბნებით, ბატონი ზვიადის აზრიც გახლდათ ასეთი. ამავე დროს, დღეს თქვენს რიგებშია ის კაციც, რომლის პოლიტიკური თუ სამოხელეო, გნებავთ, თანამდებობრივი თვალსაწიერის წიაღში მოკლეს ქრისტესმხედარი კაცი. აი, ვის უნდა მოსთხოვოთ ახსნა-განმარტება შესახებ იმის, თუ როგორ მოხდა, რომ ამ კაცის თვალწინ, რომლის ნებართვის გარეშე ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა სამეგრელოში, საეჭვო გარემოში დაიღუპა ერისკაცი და ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი?!

ისე, სხვებზე ჭკვიანი ხართ მაგ ჯოგში, მათსავით ყოველთვის მკვდრადშობილ საქმეს არ ელეწებით, შიგადაშიგ და შერჩევით აკეთებთ ამას. ასე მაგალითად, ამჯერად თავს იკავებთ მ. კოსტავას ფონდთან დაკავშირებული ცილისწამებების მასშტაბურ გამრავალცალებაზე. თუმცა, იგი თქვენი წერილის პირველად ვარიანტში გქონდათ. საიდან ვიცი? იმ დღესვე მომირბენინეს, ბატონო კაკო, იმ დღესვე, იგი და იქედან ვიცი.

ერთიც უნდა გითხრათ, აბა, თავზე მამაშვილური ხელი დაადეთ თქვენს ვაჟს, მე რომ ასე კაცურად მომემარჯვა ამას წინათ, დადექით წმინდა კვირიკეს მადლმოსულ ხატთან და დაიფიცეთ, - მართლა გჯერათ ა. წოწონავას, გ. გვაზავას, დ. გვაძაბიას თუ სხვათა ნახმაზოდვარი?! თუ გჯერათ და ამიტომ გარშემომეწყვეთ ლოდსატყროცნებით, ვეცდები, გაგიგოთ, მაგრამ ეს რომ ასე არაა, თქვენზე უკეთ ვინ იცის იგი?!

...და ბოლოს, იმ ჯოგს თქვენ მხოლოდ სიმრავლისთვის სჭირდებით, მხცოვანო კაცო, თორემ, ეგ გაიძვერები დღეში სამ-სამ კაჭას რომ გიმზადებენ, როგორ დავიჯერო, რომ ვერ ხვდებით, არადა, დასანანია, არ მემეტებით ერთჯერადი გამოყენების ნივთად და ბრმა იარაღად, მაგრამ ეს ხვედრი თქვენც არ უნდა მოიხვიოთ თავს, ქრისტესმიერო!.. სამწუხაროა, რომ ისეთ სააუგო სიმარტივეს ვერ ხედავთ, როგორიცაა მ. სააკაშვილის მხარდამჭერად დადგენა თქვენი. მტერი ვერ გაუკეთებდა ეროვნულ მოძრაობაში ნამყოფ კაცს ამას და თქვენ თვითონ მოხალისედ მიართვით საკუთარ თავს ეს საძრახობა, ვაგლახ!

***

საქმე ითხოვს და ისევ უნდა განვმეორდე, დიახ, ამ შემთხვევაში ბატონ აკაკის რომ მართლა აინტერესებდეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გამკრიტიკებლებთან არსობრივი კამათი, იგი, როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, ამას დაიწყებდა პატივცემული ნაპოლეონ მესხიას ასევე უკვე დამოწმებული წიგნით ***"როგორ გასხვისდა აფხაზეთი"***, რადგან ან ნაშრომის გამოცემისას ბატონი ნაპო ამ ინსტიტუციის თავმჯდომარის მოადგილე გახლდათ, ამიტომ მან ძალიან ბევრი რამ იცის ჯერაც უთქმელი.

შემდეგ მიმოიხილავდა იმ დროს პრეზიდიუმის წევრის ნუგზარ მგალობლიშვილის, კვლავ და კვლავ, ზემოთ ხსენებულ წერილს გაზეთ ***"საქართველოს რესპუბლიკაში"*** ასეთი გააურზაურებული სათაურით ***"როგორ უღალატეს ქართულ საქმეს ქართველმა დეპუტატებმა"***.

ამის შემდეგ, სულ ცოტა, პასუხს მაინც გასცემდა ბატონ ნუკრი ბაღდავაძის წიგნს ***"საქართველოს ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტი" (თბილისი-სტრასბურგი, 2011)***, რომელშიც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა მიჩნეულია უკიდურესად არაკომპეტენტურად.

აქედან გამომდინარე, აქ დამოწმებული სამი ავტორიდან, რომლებიც მიწასთან ასწორებენ ამ ინსტიტუციის არაჯეროვან საქმიანობას, ორი გახლდათ პრეზიდიუმის წევრი და ერთ ხმაში ამბობდნენ, რომ დღეს აქ მოღვაწეთაგან **დ. გვაძაბია და რ. ცატავა გახლავან ვ. არძინბას "პრიანიკს" დახარბებული" ანუ ადვილად მოსაქრთამი და ქართული საქმის მოღალატენი (ნ. მგალობლიშვილი), ნ. მესხია თავის მხრივ უფრო**

__პანორამულ და მკაფიო ბრალდებებს უყენებს მათ. იგივეს აკეთებს ექსპერტი ნ. ბაღდავაძე.__

ახლა მე გეკითხებით, რატომ ვერა სცემთ ამ ხალხს უბატონოდ ხმას და რა ისეთ დაბალ ღობედ მიმიჩნიეთ, მე, რომ ასე "ქუდზეკაცურად" დამესხით თავს?! რასაც წაიღებთ, ამასაც ნახავთ!

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი რამ ახლებურ შეხედვას და შეფასებას მოითხოვს ამჟამად, მაინც ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს, ვიდრე ა. გასვიანთან ურთიერთობის გარკვევა. მით უმეტეს, როგორც პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ერეკლე საღლიანმა ამა წლის 7 დეკემბერს მ. კოსტავას ეზოში განგვიცხადა, მას, თურმე, ა. გასვიანისთვის უთქვამს, __*"მ. სააკაშვილთან როგორ დააბეზღე, ან სვანებთან დაპირისპირებას როგორ აბრალებ კაცს, რომელმაც ამდენი გაგვიკეთა და ჩვენგან ხელისშეშლისა და ლანძღვის მეტი არაფრით შევპასუხებივართო.*__

__*მარტო ის ეყოფა მაგას კაცობისთვის, 1993 წლის შემოდგომაზე რა პროვოკაციაც აიცილა ჩვენს-ჩვენს კუთხეებსო!..“*__

აქედან გამომდინარე, ისეთ საკითხებს, როგორიცაა გასული საუკუნის 80-იან წლებში მისთვის (ბატონი აკაკისთვის) გარკვეული წრეების მიერ (გ. მიშველიანი) სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან საეჭვო თანამშრომლობის დაბრალება, მე ამჟამად ჟამთაბერის საწყობში არ ვეძებ. სხვათაშორის, ამაზე მასთან 1989 წლის დეკემბერში რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობასაც ჰქონდა დახურული და დელიკატური საუბარი, მე იმ დროს ამ ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი, ბატონი აკაკი გამგეობის წევრი. მაშინ გამგეობამ დაზუსტება ითხოვა, - ე. წ. სახალხო დიპლომატიის ქვეშ მოთარეშე კუთხოკრატიისა თუ ეთნოკრატიის ნომენკლატურასთან გარიგებებში ხომ არ გვითრევენო და ა. შ.

სხვათაშორის, ბატონი ა. გასვიანი წერს, თითქოს, ჯ. იოსელიანი, რომელიც სამეგრელოში (და არა მხოლოდ აქ) მოსახლეოის დიდ ნაწილს სამართლიანად სძულთ, ვითომცდა, აქეთ ეტენებოდა მას და სოხუმში, როცა ე. შევარდნაძესთან სურათს იღებდნენ, გვერდით მიუჯდა.

არ ვიცი, შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ, როდესაც 1990 წლის აგვისტოში ისინი მეწვივნენ, რათა ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ ავემხედრებინეთ (რაც, როგორც იცით, ვერ შესძლეს), მაშინ პირიქით ჩანდა - თვითონ ა. გასვიანი მოჰყვებოდა ჯ. იოსელიანს.

ერთ რამეს თუ მატყობთ, მართლა ვცდილობ ე. საღლიანისა და ბატონი ვახტანგის (კაკოს ძმის) ხათრით იმაზე საუბრისთვის თავის არიდებას, თუ როგორი წონა ჰქონდა ან მას, ან სხვა ხელისუფალს აფხაზეთის მთავრობიდან კოდორის ხეობაში. კოდორელებმა ეს ძალიან ცხადად გამოხატეს ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ, როდესაც ხეობაში

ხალხისთვის მორიგჯერ თვალებში ნაცრის მისაყრელად შვეულმფრენით ჩაფრენილ ე. წ. აფხაზეთის ხელისუფლებას, რომელსაც მაშინ პირადად ბატონი კაკოც წარმოადგენდა, სულ პანღურის ცემითა და კეტების რტყმით როცა აძევებდა. რამდენადაც ვიცი, ა. გასვიანი ამის გამო იქ დიდხანს ვერ ჩადიოდა.

ეს ხალხი, მართალია, დღეს ამავე ხელისუფლების მოღალატური თუ ორპირული საქმიანობის გამო იქედან, კოდორის ხეობიდან განდევნილია, მაგრამ ისინი აქ, თბილისში ბრძანდებიან დღეს და კარგად იციან, რისთვისაც სცემეს მაშინ აფხაზეთის ხელისუფლება.

ბატონო ვახტანგ (კაკოს ძმას), ძალიან კარგად, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ იმაზე დაწვრილებით ვიცი, იქ რაც ხდებოდა ნებისმიერი მიმართულებით, მათ შორის, მკაფიოდ წარმოიდგინეთ, სასკოლო ცხოვრებაშიც, რომელსაც თქვენ უძღვებოდით.

და თუ მაინც არ ისვენებთ, იმ დროს მომხდარ ამბავს გეტყვით, რომელიც, რომელიღაც ჩემს წიგნშიცაა დაწვრილებით აღნუსხული: ერთი ჩვენი საერთო ნაცნობი, რომელსაც აფხაზეთის ხელისუფლებაში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე ჰყავდა თავისი ძმა და რომელიც დევნილებში *"ჰუმანიტარულ დახმარებას"* არიგებდა, მოხდა ისე, რომ ფულის სასესხებლად მიადგა ასევე ჩვენს საერთო ნაცნობს და უთხრა: ***"ხუთი ათასი დოლარი მასესხეო ორი თვით, ამასობაში "ჰუმანიტარული დახმარების" ახალი პარტია შემოვა, გავაფულებ და ვალს პროცენტიანად გავისტუმრებო".*** ეს 1994 წელს ხდებოდა, ბატონო აკაკი, როდესაც ხუთიათას დოლარად რუსთაველზე იყიდდი კარგ ბინას.

ახლა მეორესაც გეტყვით, იმ დროს შვილი მყავდა მძიმე ავადმყოფი, რაღაც წამლისთვის ასი დოლარი დამჭირდა. ის, ვისგანაც ეს ასი დოლარი საპროცენტოდ მისესხეს, აფხაზეთის მთავრობად წოდებულ ინსტიტუ-ციაში მუშაობდა და ვისაც მან ეს ფული ასესხა, სწორედ კოდორის ხეობიდან ბრძანდებოდა. ის, აქ, თბილისში ცხოვრობს დღეს. ეს კია, მთავრობის წევრმა არ იცოდა, ჩემთვის რომ სესხულობდნენ ფულს.

როგორ დაამტკიცებო ამას, სავსებით სამართლიანად, ბატონი აკაკი კი არა, თქვენ თუ შემეკითხებით, ჩემო ვახტანგ, მაშინ ასე გიპასუხებთ, თქვენი და ერეკლე საღლიანის ხათრით, დაიწვიეთ ბატონი კაკოც, *მე მარტო მოვალ სადაც თქვენ სამი იქნებით და იქ მოგახსენებთ, თუ როგორ დაგიმტკიცებთ ამას მარტო კი არა, საუკუნის გამოცდის წინაშე აფხაზეთის ხელისუფლებად წოდებული ციდა კაცუნების შერცხვენას!*

***გადაწყვიტეთ, მე მზადა ვარ!..***

ისე კი, ჩემი მიზანი არავითარ შემთხვევაში არაა "საოხარის" ავტ-ორთან დაპირისპირება, სხვა რამისთვის წამოვდექი, ნუ მეჯებირებით წინ, თქვენ გ. გვაზავასთვის მხოლოდ საბარიკადო საგანი ხართ, ვერანაირად დააგუბებთ სიმართლეს, მისი შეკაშხალება მკვდრად შობილი საქმეა.

ვუყურებ ამ თოთხმეტეულს და განცვიფრებული ვარ, მართლაცდა რას ნიშნავს უწყებრივ-კორპორაციული თვალსაწიერით შემოსაზღვრული ინტერესებიდან გამომდინარე ხელშეკრულებითი "ერთსულოვნება": ორ კვირაზე მეტია, რაც ფრაქცია "ერთიანი საქართველოსთვის" თავმჯდომარეს და დღეს "ცნობილ ოპოზიციონერ" ვ. ყოლბაიას მივმართე განცხადებით, რათა საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის მიწოდებული მასალები მიეღო ცნობად და იგი, იმის შიშით, გ. გვაზავამ არ დამიქნიოსო თითი, ჯერაც არაა აღრიცხული კანცელარიაში, ანუ არაა გალეგიტი-მირებული. უფრო მეტიც, რამხელაზე უნდა იყოს გოლიათი ჯოგური ერთობის გრძნობა, რომ მან გ. ლომინაძისა და ა. წოწონავას ათუხთუხებული ურთიერთსიძულვილი გააგრილა და ისინი ერთ მწყობრში ჩააყენა, ან ნ. მგალობლიშვილი, რომელიც ა. წოწონავას თაღლითობათა გამო ყველა გზაჯვარედინზე საჩივარს ან ახმოვანებდა ან აფრიალებდა და რის გამოც თავად ა. წოწონავამ მას სახაფანგოდ ჟურნალისტი მიუგზავნა, რათა ის ცნობილი ინტერვიუ გამოეტყუებინა, დღეს ხელკავის მდგომარეობაშია ამ რუნგუსთან.

კი ბატონო, თქვენი საქმისა, იცით თქვენ. კიდევ და კიდევ იმ გულმართლობით გევლოთ, როგორითაც მიყენებთ შეთითხნილ ბრალდებებს მე, თქვენი ჭკუით კუთხეში მიმწყვდეულს... გეუბნებით, ეს ხროვა უღრანული წესით თქვენც მოგადგებათ, მე მასთან საძალისხმევო გამოცდილება გამაჩნია, ამიტომ, არც მეშინია მისი და, მიუხედავად იმისა, მთლად მახვშურად არ გამოგივიდათ კი არა, სიმართლესთან ჩაიჭერით (შე კაცო, ჩემს წინააღმდეგ თუ აპირებდი ხელმოწერას, იმის წინ რაღას შემოდიოდი ჩემთან სულიერებაზე სასაუბროდ, ამას ეძახიან ღალატს), დიახ, მიუხედავად ამისა, როცა თქვენ მოგადგებიან დასანარცხებლად, მარტო არ დაგტოვებთ, სახლიკაცად ამოგიდგებით მხარში!..

მაგრად ვდგავარ ფეხზე, შენს მიერ ჩემთვის ყელში დანის გამოსმის მიუხედავად!..

**9 დეკემბერი, 2012 წ.**

*******

*„ვითარმედ იოტის ერთმან ათასები და ორმან წარიქციოს ბევრები,*
*არა თუმცა ღმერთმა განიჭნა იგინი და უფალმან მისცნა იგინი?"*
*მეორე სჯული - 32.30;*
*„ოჰ, ზეცის ძალნო, დედამიწავ, რაღა ვთქვა კიდევ?*
*თუნდ ჯოჯოხეთიც მათთან იყოს! ფუ, ამ სიცოცხლეს!"*
*უილიამ შექსპირი „ჰამლეტი";*
*„ეხლა ჯაყოს მარტო ხევისთავის გვარი და შენისთანა კნეინა გაკლია.*
*მაშ, მაშა!.."*
*მიხეილ ჯავახიშვილი.*

**11.12.2012 წ. 16 სთ. ქ.თბილისის სასამართლოს შენობა(სოხუმისა და**

გაგრა-გუდაუთის სასამართლო, მოსამართლე ზ. ესებუა): სასამართლოს სხდომა, რომელიც მოსამართლის საეჭვო "ჩაურევლობის" გამო უფრო ქუჩურ "სხადნიაკსა" და "სუდილიშჩეს" ჰგავდა, არავითარ შემთხვევაში არ ისახავდა მიზნად სიმართლის დადგენას (როგორც ჩანს, ნამდვილად ჰქონდათ ამ მხრივ დამშვიდების საფუძველი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობაში, როდესაც ამ ყოვლად უსაფუძვლო, მათი ნამდვილი ბოროტმოქმედებების მიმფარდავ ე. წ. სარჩელს ადგენდნენ, - მოსამართლე ჩვენი მეგობრის შვილიაო!). სამწუხაროდ, წინამდებარე სასამართლოს სხდომა, კვლავდაკვლავ, მორიგ ცილისწამებათა აშხეფებით, ნაცვლად ჩემს მიერ გასაჯაროსებული მათი ჯგუფური კორუფციის მხილებისა, არაარსებითი და საჭორაო ამბების აფრიალებით მთავარი საკითხის გნიასში ჩათრევას ცდილობდა.

დიახ, ე. წ. მოსარჩელეები თავიანთი უადგილო წამოძახილებით, ცინიკური "სხარტულებით", თითისქნევებით, უკიდეგანო ცილისწამებებითა თუ ზნეობას გამიჯნული მიზნის მიმღწევი ყველა საშუალებით ცდილობდნენ აერიდებინათ თავი არსებითზე საუბრისაგან და, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, სასამართლოს სხდომა მათთვის სანუკვარი "სხადნიაკისა" და "სუდელიშჩესთვის" დაემსგავსებინათ.

ამის საპირწონედ მიგებებულმა ჩემმა სისუფთავემ და კეთილმოსურნეობამ გამიჩინა იმედი, რომ მიუხედავად ავმოსურნეობითი ჩასაფრებისა, დღეს ამ სხდომას ვერავინ გამოიყენებს ლანძღვისა თუ ანგარიშსწორებათა იმგვარი ტირაჟირებისათვის, რომელიც სახალხო თვალსაწიერის წინაშე, სულბინძურ კაცად ეცდება ყოვლად უსაფუძვლოდ ჩემს დადგენას, ამიტომ მკვდრადშობილ ოცნებად დარჩება ე.წ მოსარჩელეთა იმედი იმაზე, - გასულ ზაფხულს მათი ლობისტების, მფარ-ველებისა და თანამოსაქმეების დაპირება საჩემოდ გამამტყუნებელი გადაწყვეტილების შეთითხვნის თაობაზე, თოვლზე წაწერილივით დადნება, რადგან ამ მფარველების უმეტესობა, - ამ სამი თვის წინ მაღალი და საკვანძო სახელმწიფო თანამდებობათა მქონენი, დღეს ან გაქცეულები არიან საქართველოდან, ან კიდევ პროკურატურის გამომძიებლებს რიგში დგომით აძლევენ ჩვენებას მათ მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებზე.

აქვე ხმამაღლა და ხაზგასმით ვაცხადებ, რომ სასარჩელო განცხადებებში 2012 წლის 11 დეკემბრის გაჟღერებული ბრალდება ჩემი კრიტიკული დამოკიდებულების გამო პრეზიდენტი მ. სააკაშვილის მიმართ, - სინამდვილეში გახლდათ 2011 წლის 18 აპრილსა და შემდგომ ჩემზე განხორციელებული მორალური, პოლიტიკური და სამსახურებრივი რეპრესიების საფუძველი, რაც, სხვათაშორის, დღემდე გრძელდება.

იმ ვითარებაში, როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა უარი უთხრა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ პროგრამას და ერის სახალხო ნება

საყოველთაოდ ანდო პოლიტიკურ კოალიციას "ქართული ოცნება", რაც იმავდროულად წარმოადგენს ეროვნულ-სახალხო შეფასებასა თუ განაჩენს წინა ხელისუფლების ოდიოზურ საქმიანობაზე, - სრული ზნეობრივი და სამართლებრივი საფუძველი გამაჩნია ყველას გასაგონად განვაცხადო, რომ ეს არჩევნები იმავდროულად, მართალია ირიბად, მაგრამ მაინც გახლდათ სახალხო გამოკითხვა იმაზე, მართალი ვიყავი თუ არა, როდესაც მ. სააკაშვილის პოლიტიკურ პროგრამას არ მივიჩნევდი საქართველოს მოსახლეობის სულისკვეთებად.

დასტურს ჩემს სისწორზე არა მარტო ჩემს წიგნებსა თუ წერილებში, დღეს პირწმინდად ყველა მედია-საშუალებაში ამოიკითხავთ.

პატივცემულ სასამართლო სხდომას უნდა შევახსენო, რომ მთავარი მიზეზი, რისთვისაც თოთხმეტეულისგან საჩივარმიმიზნებული ჩემი წიგნი *"შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობანი..."* დაიწერა, გახლავთ მკაფიო პასუხის მოპოვება ამ, ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე:

1. გ. გვაზავამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, თანამდებობით დევნილი მოსახლეობის პოლიტიკურმა წინამძღოლმა, თავისი ოჯახისთვის ნაჩუქარი და ხუთჯერ ნაავარიევი მანქანა თაღლითური გზითა და საბუთების გაყალბებით, ერთპიროვნულად, თან სამმაგ ფასად (32 000 ლარად) მიჰყიდა თუ არა იმ ინსტიტუციას, რომლის თავმჯდომარეც თავადაა და რომელსაც ემსახურება ეს მანქანა?

2. რამდენად კანონიერია ასეთი საქციელი და იწონებთ თუ არა ამას?

3. გადაამეტა თუ არა მან ამით თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას?

4. ნიშნავს თუ არა ეს ფინანსურ დარღვევას ანგარებითი მიზნით?

5. თაღლითური ყიდვა-გაყიდვის "გასასამართლიანებლად" გ. გვაზავამ გააფორმებინა თუ არა ყალბი საბუთები?

6. ყალბი საბუთების გაფორმებაში მან (გ. გვაზავამ) შანტაჟის გზით ჩაითრია თუ არა თანამშრომლები?

7. ამით დანაშაულს მიეცა თუ არა ორგანიზებული და ჯგუფური ხასიათი?

8. ასეთ ქმედებაში იმხილება თუ არა სახელმწიფო სახსრების დატაცება?

9. არის თუ არა დამაეჭვებელი შესყიდვისთანავე "ახალი" მანქანის კაპიტალურ რემონტზე დაყენება და ამისთვის დამატებით რამოდენიმე ათასი ლარის გადახდა?

10. გააფორმა თუ არა გ. გვაზავამ ყალბი მივლინებები აპარატის თანამშრომლებზე საკუთარი ვალის გადასახდელად?

11. რა ჰქვია იმას, როდესაც თითქმის 3 ათას ლარიანი ხელფასის მქონე ადამიანი თავისი ვალის (200 ლარი) დასაფარავად პირადად აგროვებს თანამშრომლებიდან მათზე ყალბად დარიცხულ "სამივლინებო" 30-30 ლარს?

12. აქვს თუ არა გამართლება იმას, როცა ხელისუფლების პირველ პირს სახლიდან სამსახურში მოსაყიდად მოაქვს საკუთარი, 1975 წელს გამოშვებული ბაქოს კონდიციონერი, რომელიც - ამორტიზებული და უვარგისია და მაინც მოითხოვს, ახალი კონდინციონერის შესყიდვად გააფორმონ იგი, ფული კი მას

გადასცენ?

(მე შემიძლია ეს ჩამონათვალი ზარე 3 გვერდზე განვაგრძო, მაგრამ გ. გვაზავასთან დაკავშირებით ჯერ ამაზე გამეცით პასუხი). შემდეგ:

1. იყიდა თუ არა ა. წოწონავამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოზე რიცხული გამართული მანქანა 500 ლარად, ხოლო საკუთარი, ისევ და ისევ ამორტიზებული მანქანა, მოჰყიდა თუ არა "მშობლიურ" ინსტიტუციას 9 900 ლარად?

2. ამასთან დაკავშირებით 2009-2010 წლებში წერდა თუ არა ნ. მგალობლიშვილი საჩივრებს ა. წოწონავას წინააღმდეგ და დღეს რის გამო უკუ იხმო მან თავისი ადრინდელი განცხადებები?

3. რატომ არ აბრუნებს დღემდე თ. მჟავია თავისი თავმჯდომარეობის დროს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოზე რიცხულ და ბაცაცურად ხელსგაყოლილ ძვირადღირებულ ნივთებს და რას აკეთებთ თქვენ ამის მოსაგვარებლად?

4. მიგაჩნიათ თუ არა ზემოთჩამოთვლილ ბრალდებათა მტკიცებულებად - ა) სსიპ საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს პასუხი (#198406, 16 თებერვალი, 2011 წელი); ბ) საქართველოს შს სამინისტროს წერილი #285207, 09 მარტი, 2011წ.; გ) შს სამინისტროს საინფორმაციო ბანკიდან ამონაბეჭდი გ. გვაზავას ე. წ. "ახალი მანქანის ისტორიის შესახებ"; დ) აპარატის ყოფილი უფროსის ო. ჩარკვიანის საჩივრები გ. გვაზავას ოჯახური კორუფციის შესახებ აფხაზეთის მთავრობისა და პრეზიდიუმის წევრთა სახელზე 2010-2011 წლებში და ა. შ.?!

5. ამხელს თუ არა კორუფციაში საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს 2010 წლის 20 ოქტომბერს შედგენილი აქტი მის მიერ სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ? (იხ დასახ. წიგნი, გვ. 147).

***

ბატონო მოსამართლევ, ჩემი წიგნი, რომელიც წინამდებარე 14 მოსარჩელის სამართლებრივი დავის საგანი გახდა, მათ ძალიან მკაფიო ბრალდებას უყენებს, კერძოდ, ოჯახურ და ელიტურ კორუფციაში ადანაშაულებს მათგან ერთ ნაწილს, ხოლო მეორეს კი ხელს ადებს აქ, თქვენს წინაშე კიდევ ერთხელ გასაჯარისებულ ამ ბოროტმოქმედებათა დაფარვაში.

ასეთ დროს, დავუშვათ, მე "ნამდვილად გახლავართ" ე. წ. "Грек"-ი, მართლა "ვთხოვე პატიება" ე. შევარდნაძეს და ა. შ. დაბეჯითებით გეკითხებით და გამარკვიეთ, რა შუაშია ეს ყველაფერი ამ თოთხმეტეულის მიერ ასე ჰაერზე გამოთქმულ ბრალდებებთან, ***ან აძლევთ ჩემი "ცუდკაცობა" მათ ნებართვას, სახელმწიფო ხაზინაში აფათურონ ხელი?!***

დიახ, თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელის ქოროდ გამოხდომის, ერთხმაში ბილწსიტყვაობისა და საქსა-ჰარიქო შეძახილის გასწვრივ, რაკიღა მოსამართლის ცალმხრივი ***"შემწყნარებლობით"*** გულმოცემულმა გ. წუწუნავამ, - ამ ფეხაწყობის სატყუილო ძალისხმევათა ***"ფარმა და მახვილმა"***, მაინც ვერ მოახერხა თეთრი ძაფით ნაკერი, თითიდან გამოწოვილი მოხსენებიდან ბუნდოვნების გაფანტვა, უფრო მეტიც, იგი, მიუხედავად რიხიანი გასაჯარისებისა, ვერა და ***ვერ აეფარდა იღლიიდან გამოჩრილ***

*"მამლის კუდს" - მტკიცებულებას მათ სავაგლახო საქმეთა.*

მთელს ამ აბდა-უბდაში ერთადერთი სიცხადე ის მინზობრივი სიცრუე გახლავთ, თითქოს ჩემს ამ წიგნს ისინი მხოლოდ მაის-ივნისში გაეცნენ. ქვემოთ მიხვდებით ასეთი ვირეშმაკობის თავმიზეზს. არადა, თვითონ მათ მიერ სარჩელში დამოწმებული ჩემი მიმართვა შესაბამისი დამისამართებებით (გაზეთი "ილორი", ***28 თებერვალი, 2012 წ.***) იუწყებოდა, რომ რამოდენიმე ხნის წინ, ანუ იანვარში მე გამოვეცი ზემოთხსენებული წიგნი, რომელშიც ვამხელდი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ორგანიზებულ ელიტურ კორუფციას (მანამდე ეს წიგნი ჩაბარდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას (2012 წ. 14 თებერვალი, იხ. აქტი - ი-196), ამასთან ერთად, იგი მივაწოდე სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წიგნთსაცავს, როგორც ქ. თბილისში, ასევე ქვეყნის ყველა საუნიევრსიტეტო ქალაქში).

იმავე 28 თებერვალს, სამშაბათ დღეს, ამ გაზეთის ათობით ეგზემპლიარი, ჩემს ამ წიგნთან ერთად, მივართვი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თ. ხუბუასა და პრეზიდიუმის წევრს ჯ. გამახარიას, რომელთაც მათივე თხოვნით შევხვდი, რადგან, როგორც მათ მითხრეს, რ. ცატავა, რომელიც მწვავედ იყო მათი აზრი გაკრიტიკებული ამ წიგნში, მომავალში "ასე არ გამეწირა", ანუ ამ წიგნს მაის-ივნისში კი არ გაეცნო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, როგორც გ. წუწუნავა ირწმუნება, არამედ მისი გამოსვლისთანავე - 2012 წლის იანვარ-თებერვალში, რადგან აფხაზეთის ა/რ - ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უკვე იცოდა, რაც ეწერა მასში, ცალ-ცალკე, თითქმის ყველამ მომიგზავნა შუამავალი, მაგრამ ასეც არ იყოს, თ. ხუბუასა და ჯ. გამახარიას თხოვნა რ. ცატავას დანდობაზე არ ნიშნავს იმას, რომ ეს წიგნი უკვე წაკითხული ჰქონდათ ამ ინსტიტუციაში?! მით უფრო, მე მათთან გამოვხატე მზაობა მაშინ მათივე პრეზიდიუმის წინაშე გამეცა პასუხი ნებისმიერ წამოჭრილ კითხვაზე.

სხვათაშორის, იმავე დღეს ამ წიგნის რამდენიმე ცალი გაზეთთან ("ილორი") და შესაბამის განცხადებასთან ერთად, ასევე გადავეცი საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს აპარატს.

ახლა გამახსენდა, ჩემს წიგნზე თვითონ გ. გვაზავას ჰქონდა საუბარი 2012 წლის სარვამარტო ბანკეტზე, როცა მან ***ერთად დგომისკენ და ჩემს წინააღმდეგ "ქუდზეკაცური" დარაზმვისკენ მოუწოდა*** აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებსა თუ აპარატის თანამშრომლებს. მაშ, რისთვის სჭირდებათ დღეს ე. წ. მოსარჩელეებს იმის მტკიცება, თითქოს, ისინი მხოლოდ 2012 წლის მაის-ივნისში გაეცვნენ ამ წიგნს?! აი, აქ მარხია ძაღლის თავი. საქმე ისაა, რომ მათი გათვლითა და ზეპირი განცხადე-ბებით, ვინაიდან, როგორც ისინი ირწმუნებიან, მოსამართლე მათი მეგობრის შვილია (ისევე, როგორც მთავარი პროკურორის *მამა იყო მათი*

*მეგობარი*), ამას უნდა მოჰყოლოდა ამ სასამართლოზე ჩემი გამამტყუნებელი დადგენილება. ამის შემდეგ მათგან მართული მედია ატეხდა აურზაურს შესახებ იმის, რომ, მე გამოუსწორებელი "ინტრიგანი" ვარ, ეს კი მთავარ პროკურატურას უფრო გაუადვილებდა მ. ზოდელავას მითითებით მათი კორუფციის ჩამოწერას. ამის შემდეგ არც იმ **"კონტროლის პალატის მიერ მათ შემოწმებას"** დაივიწყებდნენ და ყოველმხრივ ააფრიალებდნენ მათ დასკვნას, - შედგენილს მათვე შეკვეთის შესაბამისად...

ვერაფერს იზამ, ჩალითაა ზოგჯერ ქვეყანა დაფარული, - მაშინ ლ. ბეჟაშვილთან, კონტროლის პალატის თავმჯდომარესთან ა. წოწონავამ მილიციაში თავისი ყოფილი მოადგილის მეშვეობით ჩააწყო ეს საქმე, რადგან იგი ლევანს ეცოლისიანებოდა თუ რაღაც ამდაგვარ დამოკიდებულებაში იყო მასთან. სიტყვის თავისუფლების შესახებ კანონი ამ წიგნის მიმართ სასამართლოზე ურთიერთობის გარკვევის უფლებას მათ ასი დღის განმავლობაში აძლევდა. ამ ვადაში უნდა მოესწროთ სასამართლოში სარჩელის შეტანა. ეს დრო გავიდა აპრილში. იმავე აპრილში, რაკიღა მასალები მათი კორუფციის თაობაზე მოხვდა მთავარ პროკურატურაში, მათმა ლობისტმა მ. ზოდელავამ, რახან დარწმუნდა, რომ მე არ ვეშვებოდი სახელმწიფო ხაზინის წინააღმდეგ მიმართული კორუფციის მხილებას, ერთ-ერთ ტაქტიკურ სვლად აირჩია ჩემი დადანაშაულება წინამდებარე სასამართლოზე. რაც, მე არ ვიცი, ახლა როგორ სახეს მიიღებს, მაგრამ მაშინ უეჭველად ჩემი "გამტყუნებით" დამთავრდებოდა. დიახ, ეს იყო ძალიან მარტივი ვირეშმაკობა და სათანადო ტაქტიკური სვლა: რაკი სასამართლო, ხელგამოღებული მ. ზოდელავას, ძმათა ახალაიათა თუ სხვათა სამფარველო დაკვეთების შესაბამისად, თავის მხრივ მთავარ პროკურატურას მისცემდა საშუალებას, „ვერ აღმოეჩინა" თაღლით გ. გვაზავასა და მისი ბოროტმოქმედი თანამოსაქმეების ხელცდუნებებში დანაშაულის ნიშნები, აქედან გამომდინარე, პროკურატურის მიერ მიზნობრივი თვალახვევით გაკეთებული დასკვნა პირდაპირ გაქვეყნდებოდა სასამართლოზე „ჩემი გამტყუნების" შინაარსობრივ გაგრძელებად.

***

**ცნობისათვის**: საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრისა და კომიტეტის თავმჯდომარის; იუსტიციის ყოფილი მინისტრის; მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილის; განათლების ყოფილი მინისტრისა და ამჟამად ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის დირექტორის - ნიკა გვარამიას დაპატიმრებით (19 დეკემბერი, 2012 წ.) არა მხოლოდ ***მიშნაცურმა მოძრაობამ მიიღო ძლიერი დარტყმა, არამედ ამით მ. სააკაშვილის***

***"სავისფერსისხლოვ" კორუფციას აუფეთქდა ბოროტმოქმედ ხელებში მამხილებელი ნაღმი.***

ბუნებრივია, ეს დაპატიმრება არც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკურ ჭერქვეშ დაქსელილი ბოროტმოქმედებების თავაუტკივებლობისთვის იქნება ზურგის ქარი.

სხვათაშორის, 2008 წელს, არ მახსოვს, მთავარი პროკურორის მოადგილე იყო თუ განათლების მინისტრი მაშინ, ნ. გვარამიამ დაურეკა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას (პირადად გ. გვაზავას ერთ-ერთ სატელეფონო საუბარს ამასთან დაკავშირებით, მეც შევესწარი) და სთხოვა, - ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობ, მამაჩემის რჩენა მიჭირს და რაიმე სამსახურში მომიწყვეთო იგი, რათა, თავი თვითონ ირჩინოსო.

იმ დროს, როდესაც ასობით უმუშევარი, მაგრამ აფხაზეთის საკითხებში ღრმად ჩახედული ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა ამაოდ ატალახებდა მისაღებს აქ და ვერ შოულობდა სამსახურს, "ხელმოკლე და საწყალ" ნიკას მამას - ანზორ გვარამიას თავშეუწუხებლად ებოძა მთავარი სპეციალისტის თანამდებობა 700 ლარამდე ხელზე აღებული ხელფასით თვეში. თუმცა, ამ ხუთი წლის მანძილზე იგი, როგორც თვითონ აცხადებს და არც მალავს ამას, - **"სად მცალიაო ამისთვის"** და მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ გამოცხადდა "სამსახურში".

სამაგიეროდ ნ. გვარამიამაც - ***"ხელი ხელს ბანს და ორივე კი პირსაო"*** და თავადაც იღვაწა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ამძუვნებული კორუფციის ჩასაფარცხად 2011-12 წლებში მ. ზოდელავასთან თუ დანარჩენ სამიშნაცო ქუდზეკაცობასთან ერთად.

განცვიფრებისგან სიმწრის ოფლში ჩაიხარშები კაცი, - რა დონის უზნეო უნდა ყოფილიყო "ხელმოკლე" ნიკა, რომ თავის "უსახსრობაზე" ეწუწუნა და პირადი დანაზოგით საკუთარი მამის რჩენაზე ეთქვა უარი იმის გასწვრივ, როდესაც ქრთამის აღებისა თუ სხვადასხვა თაღლითობის გზით მილიონობით დოლარს იჯიბავდა (ეს, რაშიც ჯერჯერობით ამხილეს?!).

წინამდებარე შემთხვევა გახლავთ სამიშნაცო კორუფციის ***შიგნეული შინაარსის ერთი მორიგი, მკაფიო ამოყროყინება!..***

***

როგორც დიდოსტატმა კონსტანტინემ ამოიგმინა, „აუუ, ლამარიაა" ასეთ დროს დასაძახებელი, მართლაც!..

საქმე ისაა, რომ, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, - ***რაც არ უნდა აჩუმათოს ეშმაკმა ნაქნარი, იგი მაინც გაცხადდება!***

2011 წლის 28 თებერვალს, დილის 9 საათზე, როგორც კი დავიწყე თაღლით გ. გვაზავას მამხილებელი აქცია, აბღავლებული გია, თავისი

დედისა და ცოლის თანაათოხარიკებითა და ხმააყოლით, სააჯოდ მიადგა სართულით ზემოთ თავის მეზობელს, იმ დროისათვის ყოვლისშემძლე დათა ახალაიას, დიახ, ბატონებო, სწორედ, აი, იმ... როლანდის ძესა და ბაჩოს ღვიძლ ძმას: მიშველეთ, ვიღუპები, ახლა ამას მოჰყვება ხალხის თავმოყრა და ჩემი გადაყენება თანამდებობიდანო!..

ივარგა დათამ, როგორც გახსოვთ, რაღაც ერთ საათში ამ ჯოგს ს. თოფურიძის დასტუმრება გადმოუგდო მაშველ რგოლად. მან, თავის მხრივ, თითისქნევით დაადგინა: **„პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა განაცხადა, კორუფცია არააო ქვეყანაში და ს. საჯაია ამ ალალ-მართალ ხალხს ტყუილს უგონებს-ო"**. უფრო გვიან, სწორედ აქ, დ. ახალაიასა და ს. თოფურიძის დონეზე გაიცა მ. სააკაშვილის მხილებათა ხუთწიგნად გამომქვეყნებლის, ანუ ჩემი სამსახურიდან გაძევების ნებართვაც.

არადა, ახლა მაინც ხედავთ, დღე ერთია და მთავარი პროკურატურა თითო-თითო კი არა, შეკვრა-შეკვრა აპატიმრებს მ. სააკაშვილის გარშემო დარაზმულ ვათანმარებს. რა თქმა უნდა, მათ შორის უპირველესი ბაცაცა, გნებავთ, მეღუმურგილე თვითონ გ. გვაზავა გახლავთ, რომლის ბოლოც ბრალდებულის სავარძელია.

აქ ერთიცაა აღსანიშნავი, - თავის მხრივ ბატონმა გ. გვაზავამაც კეთილმეზობლურად უგულმხურვალა დათას, როდესაც 2011 წლის გაზაფხულზე გ.ბარამიას **„ცოტა მოუზომავი"** ნათქვამი ბაჩოზე მყისვე მიურბენინა მას (დათას). გათვლა „სწორი" იყო: ვირეშმაკმა გ. გვაზავამ ამით **„კვიციც გახედნა და მამიდაც მოინახულა"**, ანუ დათაც მოიმადლიერა და თავისი პირადი მტერი - გ. ბარამიაც გაწირა.

ამის შემდეგ რაც მოხდა, იცით. ამბობენ, გ. ბარამიას ფრანგ კატორღელ ვოტრენივით (ონორე დე ბალზაკი, „მამა გორიო") აქვსო ბაჩოსა და ვახოს ნახელავი სამისდღემშიო იარები ამოშანთული ზურგზე, რომელთა შორის, ბასრი თურქული დანით ამონახოწი ყოფილა საგანგებო.

რაკიღა გ. გვაზავას მფრველები დღეს ან უფლებაშეზღუდულად იღრინებიან გარეთ, ან კიდევ ციხეში **„ეშალაშინებიან ფიცრებს"**, არ გაგიკვირდეთ თუ გ. ბარამიამ სამაგიეროს მიმისამართება მოუნდომოს გ. გვაზავას, - ვერც გაამტყუნებ, ძნელია სასიკვდილოდ გამეტების დავიწყება.

ამგვარ საქმეზე იყო, რუსმა მუჟიკმა რომ წამოიძახა, „весело живем"- ო, ხოლო მისმა ქართველმა თანაფარდმა მახათის გაყრა დაუწყო ერთ საჩოთირო ადგილს...

შენ მხილებული ხარ, გია, ასეთ დროს უფალი გვაფრთხილებს: **„ხოლო, უკუეთუ ნათხარსა შინა იპოოს მპარავი და მოწყლული მოკუდეს, არა არს ესე კაცის - კლვაი"**(გამოსლვათა - 22, 2).

წინ ქრისტესშობის დიდი დღესასწაულია, ვფიქრობ აღსარებას ჩვეულებრივ თქვენს მეუფე ძმას ეტყვით. სთხოვეთ მას, განგიმარტოთ ეს დიადი სწავლება ძველი აღთქმისა.

***

ვაი, რა უაზროდ მაკარგვინებთ დროს ან როგორი მკვდრადშობილებით აეჯავშნეთ მ. სააკაშვილს!.. თქვენთვისაც დახლია ეს ქვეყანა, თორემ, მკაფიოდ გაისიგრძეგანებდით ე. წ. ნაციონალური მოძრაობის მიერ საქართველოში გაფესვებულ ელიტურ კორუფციას: ბ. და დ. ახალაიების, ნ. გვარამიას, გ. ზოდელავას თუ სხვათა, დღეს სიტყვამუნწად, მაგრამ მაინც ახალი ხელისუფლების მიერ მხილებული ბოროტმოქმედებები, სამწუხაროდ, მხარდაჭერილი და **"დემოკრატიის ნათებად"** შეფასებული აგრესიული გლობალიზმის მიერ, მანამ, სანამდისაც იგი კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს ქართული ვინაობის დენაციონალიზაციას, მვრუქმნელობად ეცდება დგომას. ასეთივე წარმატე-ბით დაერქმევა ტექნოკრატიულ დასავლეთში „სახალხო ძალა" ნებისმიერი სიმრავლის პოლიტიკურ ათარეშებას, თუ იგიც ქართველთა ეროვნულ სულისკვეთებას დაუპირისპირდება.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ე. წ. დასავლეთისთვის ყოვლად მიუღებელია საქართველოში ეროვნული თვითშეგნებით ცხოვრება, ამიტომ, მას არ უნდა ჩვენი ჯიშისმიერი გემოვნება და, აქედან გამომდინარე, ერის ცნობიერება ***თანმიმდევრულ სახალხო მსოფლმხედველობად და სახელმწიფოებრივ აზროვნებად იქცეს.***

როდესაც ქართველთა სამშობლოში, ანუ მითაჟამიდან მართლმადიდებელ ქვეყანაში მუსლიმთა (ან მიზნობრივად შეკოწიწებული ე. წ. უმცირესობების, სინამდვილეში აგრესორების) "უფლების" დასაცავად აყაყანდება სულგაყიდული პროვოკატორი და მის მხარდასაჭერად აშშ-ს ელჩი ჩაირბენს, ან კიდევ, რაც ყველაზე სავაგლახოა, ამ ჩასაფრებითი დროშერჩევის ამეწყერებისას ვითომ ქართული საინფორმაციო საშუალებები საშუაკაურო წიოკობას აუტეხენ სრულიად საქართველოს, - უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყანა ისევ უცხოეთის ჩექმებ ქვეშ გმინავს.

ნება თქვენია, ასეთი ქარბორიის წიაღში მე არ გეუბნებით, რომ მყისვე ხიშტები მოიმარჯვეთ მეთქი, თუმცა, ნურც საჰოოპუნო ხასიათს მიესადა-ვებით, რადგან სამშობლო განსაცდელშია ამ დროს, მაგრამ არა, თქვენ საკუთარი დაცემით ტკბებით ამნაირ საქურსუმო ყოფაში.

თავის დროზე ძირძველ ქართულ მიწებზე "არაქართული" სახელმწიფო წარმონაქმნების - აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის ასსრ-ისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს შექმნაც და მათ გასწვრივ ლორესა და ჰერეთის საქართ-ველოდან ჩამოგლეჯა იმ დროს (არაფერს ვამბობ რუსეთის, გნებავთ თურქეთის მიერ მისაკუთრებულზე)"ქართული" საზოგადოებისათვის დაახლოებით ისეთი ღონისძიება გახლდათ, როგორიცაა დღეს გურიის სოფელ ნიგვზიანსა თუ ქართული სისხლით ატალახებულ ქვემო

ქართლში ყურით მოთრეული თავსმოხვევა, - ე. წ. „ქართველ მუსლიმთა უფლების დაცვა“.

იმ დროსაც, როგორც ამას დღეს აკეთებს აშშ-ს ელჩი, იმ ჟამინდელი ”მშვიდობისმოყვარეები” ასეთ საზურგე მახვილს „ხალხთა ძმობას“ არქმევდნენ და ამგვარად აქვეყნებდნენ, რა ძმობაც აღმოჩნდა, ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ ვინმე უფიქრდება დღეს ასე ყოველგზაჯვარედინზე გააურზაურებულ ”უფლებადაცვებს” რა საბედისწერო შედეგი მოჰყვება ჩვენი ბედკრული ქვეყნის მომავლისათვის?!

სამწუხაროდ, სახალხო სიბრძნე *”წინა კაცი უკანას ხიდიაო”*, ჩვენთვის საგაკვეთილო დებულებად ვერა და ვერ იქცა.

***...სწორედ იმიტომ, რომ იგი თანამედროვე პოლიტიკური სიცხადის არა აღმავალ, არამედ ხლართულ თავმოუბმელობაში ისადგურებს თავს, მან სრულიად გაანიავა და გაფლანგა სახალხო ნდობა, ხოლო ასეთი თვისების გამო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო საბოლოოდ დღეს იქცა აფხაზეთის ხელისუფლების ნაკლულვანებად და არა ამ მხარის მოსახლეობის არსებითობად.***

***

ამის მიუხედავად, მე არ გავურბი საუბარს ამ წიგნის ძირითად დებულებებზე, მაგრამ მოვითხოვ, იგი დავიწყოთ არსებითიდან, ანუ იქედან, რასაც ვამხელ - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში თავაწ-ყვეტილი ელიტური კორუფციიდან (სხვა რამეზე მტკივა გული, აფხაზეთის საზოგადოებრიობა, რომლის თვალწინაც ხდება ეს არამზადობა და იგი **მაინც იტანს** ასე უმოწყალო ნაცრის შეყრას თვალებში, თან ოდნავადაც არ გრძნობს ამით თავს შეურაცხყოფილად, ეტყობა, სწორედ ასეთი ე. წ. ხელისუფლების ღირსია. რა დიდი ძიება ამას სჭირდება, კაცმა საკუთარი მანქანა საკუთარ სამსახურს სამმაგ ფასში მიჰყიდა, რა არის გაუგებარი?!

აქ მეორეცაა, ჩანს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს იმ დონეზე მოსწყდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დევნილი მოსახლეობა, რომ არც ახსოვს დღეს იგი, ამიტომ, არანაირი ურთიერთობა მასთან არა აქვს).

რაც შეეხება იმ ბრალდებას (ა. გასვიანი, გ. გვაზავა და ა. შ.), თითქოს მე ვასრულებ მტრის დაკვეთას და ვცდილობ აფხაზეთის ა/რ--ის უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის გაუქმებას, რასაც ჩასაფრებული ძალების მხრიდან მყისვე მოჰყვება შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივ ღონისძიებებში შენიღბული საოკუპაციო ძალისხმევები, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორიცაა გ. გვაზავას ხელსისუფთავე. ამიტომ, დამშვიდდით, ბატონებო, სწორედ ამის საწინააღმდეგო მუშაობის გაძლიერების, სათანადო ინტელექტუალური თუ ტექნიკური ბაზის

მიზანმიმართული ჩამოყალიბების, მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლებისა და პოლიტიკური სვლაგეზის სრულყოფა - დაზუსტების გამო ვიბრძოდი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მთელი ეს წლები, მაგრამ აქ ამაზე უფრო მეტი საზრუნავი გქონდათ, - ***როგორ გარეცხილიყო ბიუჯეტის თანხებით გ. გვაზავას სარეცხი და მერე რა გზით ჩამოგეწერათ იგი***. ასე, რომ ეს და მსგავსი ბრალდებები საკუთარ თავს წაუყენეთ, რადგან, ჯერ ერთი, ამ ინსტიტუციაში კორუმპირებული პერსონის (გნებავთ, პერსონათა) მხილება არ ნიშნავს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ ბრძოლას და მეორეც, არის საკითხები, რაშიც მართლა მაქვს პირში წყალი ჩაგუბებული და ნამუსს ვუნახავ რაღაც-რაღაცეებს, თორემ, ამ მხრივ... დამანებეთ თავი რა, ***სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ, მკაფიოდ გეკითხებით, მოიპარა თუ არა გ. გვაზავამ სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო ფული?! - ამაზე მიპასუხეთ.***

***

**გავყვეთ სათქმელს:** ამრიგად, 11 დეკემბერს, სასამართლოს სხდომაზე, თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელის საერთო, მაგრამ შემაცდენელ გნიასს აყოლილმა და ამის გამო ზურგისქარმობერილმა გ. წუწუნავამ უდიდეს "მკრეხელობად" მიიჩნია ჩემს მიერ ამ ხალხის დადანაშაულება კოლაბორაციონიზმში. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, - ვიცი თუ არა ამ სიტყვის მნიშვნელობა მე(?!).

ეეეჰ, მართლა რა ვუთხრა წუთისოფლის უცნაურ აბრუნდს: ბატონო გია (წუწუნავა), თქვენ "ა. წოწონავას" ჩემს მიერ დაწერილი წიგნებით მოხიბლულს, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ ბეგარას მე თავგართობის დონეზე ვასრულებდი და არა სულის პურობის მიზნით, თუმცა, "ა. წოწონავას წიგნების" ზოგიერთ გვერდზე ამ სასამართლოს სხდომაზე თქვენი გამაამაყებელი და განათლებულობის შესავსები ტერმინოლოგია რომაა და რომელთა მნიშვნელობა მართლა არ იცის ბატონმა ანზორმა, ***ჩემი, ამ „გასახმობი“ მარჯვენით დაწერილი გახლავთ იგი, გია ბატონო!***

აქვე გეტყვით, მართლა ქრისტესმიერი მოყვასობით გირჩევთ, ყოველგვარი წინმსწრებაკვიატებითი (აპრიორული) ხიშტით მიგებების გარეშე წაიკითხეთ ჩემი წიგნები, იგი ძალიან ბევრ ინტელექტუალს მოსწონს, რა ვიცი, იქნებ, თქვენც შეგეცვალოთ აზრი. სხვათაშორის, აქვე გეტყვით, რომ ჩემეული სიტყვათქმნადობის ხერხებზე ამ მხრივ თქვენზე გაცილებით წიგნიერ და, რაც მთავარია, პროფესიონალს აქვს არაერთი მხარდამჭერი შეფასება გამოქვეყნებული.

თქვენს განათლებულობასთან ეს რა შესადარებელია, მაგრამ სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებს დედანში შემიძლია მოვეფერო, თან, წესით თქვენთვის ნაცნობი რუსული ლიტერატურა, თავის დროზე

პირველ წყაროებში მაქვს დაკონსპექტებული, "ისე რა" ვკითხულობ ძველ სლავურ ტექსტებს და ასეთი ხარისხით ჩავაბარე სახელმწიფო გამოცდა. რაც შეეხება ჩემს ქართულს, - მთელი ცხოვრება ერის საგანძურთა საცავებში ან ბიბლიოთეკებში რაც სიძველეთა მტვერი მაქვს ნაყლაპი, თოთხმეტეულის საპირწონედ რომ შეაგდო, წონაში ჩემს მიერ საკუთარი განათლების გახვავიანებისას ჩანასუნთქი მტვერი გადასწონის. ასე, რომ - მთლად თქვენსავით არა, მაგრამ ძირითადად ვხვდები, რასაც ნიშნავს კოლაბორაციონიზმი. <u>ამიტომ, ასეთი უხერხული წახუმრებით ვერც საკუთარ მჭევრმეტყველებას აარიდებთ ზნეობრივ თუ სასაუბრო ჩიქორთულს და ვერც მე მიზამთ ძვრას, რადგან თქვენ ხელს რომ ჰკიდებთ, ის ძაბვა არა ვარ, ცოტა მასზე მაღალი ძაბვა გახლავართ</u> და დაიჯერეთ ეს. ამავე დროს, როგორც პროფესიონალი, ორ რჩევას კეთილგანწყობით მოგცემთ: 1. <u>ნურასოდეს შეაფასებთ ვინაობის შინაარსს მასზე მიზნობრივად შექმნილი ან ხელოვნურად თავსმოხვეული სტერეოტიპით. ეცადეთ, თქვენ თავად ჩასწვდეთ ნებისმიერი მოვლენის ფუძემდებლურ არსში;</u> 2. რამოდენიმე უცხოური სიტყვისა და ქართულ ასო-ბგერათა მყარი შეხამების გამოთქმა აშკარად გიჭირთ, რაც თვალში საცემია და ვინაიდან, თქვენი ხელობა ლაპარაკთანაა (და არა ლაქლაქთან) დაკავშირებული, ნამდვილად არ დაგზარდებით, გულწრფელად შემიძლია, ამ მხრივ საჭირო ორიოდე ენის გასატეხი და დასახვეწი სავარჯიშო შეგირჩიოთ.

***...და ერთიც, მე არასოდეს ვუსვამ წინადადებას წერტილს მანამ და არ ვაქვეყნებ მას, სანამ არ დავრწმუნდები, რომ მასში სახალხო აზრის ჩადება მოვახერხე.***

***

სასარჩელო მოხსენების კითხვისას გ. წუწუნავას ზემოთხსენებულმა "სხარტულებმა" მოსარჩელე ა. გასვიანს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ, რაც მეტს მიყვირებდა ან თითს დამიქნევდა, ამით მისთვის დაკვეთილ ბრალდებებს მეტი დამაჯერებლობით გაახმოვანებდა, თან უფრო "ტყვიაგაუმტარად" აეჯავშნებოდა გ. გვაზავასა და "ძმათა მათთა" სასირცხვოდ გამოჭენებულ თაღლითობებს, ასე და ამრიგად, უფრო ეჭვმიუწვდომლად დაადგენდა "ჩემს ცუდკაცობას". ღრმად პატივცემულმა იფიქრა, ასეთი რიხით თუ მიაწვებოდა, მოხერხებულად გადააფარებდა ფარდას მის გვერდით ჩადენილ ბოროტმოქმედებებს (ცრუ მოწმის თვისებაა ეს), თან, ამისგან დაფეთებული, კუთხეში მიჩიხულივით ავკანკალდებოდი, შედეგად, აქვე ვაღიარებდი "ჩემს ცუდკაცობას".

ვამშვიდებ მას, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ეს 1992-2012 წლები, ანუ 20 წლის მანძილზე ის მოღვაწეობს ყელამდე სისხლსა და ბაცაცობაში ჩაფლული ადამიანების გვერდით (იხ. ნ. მესხიას ჩვენთვის უკვე ნაცნობ

წიგნში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დახასიათება), მე ა. გასვიანი ელიტურ კორუფციაში არ დამიდანაშაულებია და არა იმიტომ, რომ თუ მოინდომებ, აქ ვერაფერს გადააწყდები, - იმიტომ, მხოლოდ იმიტომ, დიახ, აი, ეს ***"თუ მოინდომებ"*** არ მამოძრავებდა არასდროს, ანუ მისდამი ჩასაფრებული არ ვყოფილვარ ამ მხრივ.

ადამიანი, რომელმაც რაღაც წამგაელვებაში ჩემს ნაწერებში ასეთი ქვემორე შეამჩნია, არ გავხადე სამიზნე იმაში, რაშიც მთავარი ძრავა არ გახლდათ, ის შეიძლება, მხოლოდ თანამძრავი ყოფილიყო იმ პოლიტიკური ხლართის.

არადა, იყო დრო, როდესაც ბატონი კაკო ჩემზე ასე წერდა:

**რეცენზიები ბატონ სერგი საჯაიას პუბლიკაციების შესახებ**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საინფორმაციო-იდეოლოგიური მუშაობის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა ბატონ სერგი საჯაიას ნაშრომი <u>"ჩრდილო-დასავლეთ საქართველო - ცხუმ-აფხაზეთი და ველიკოდერჟავული ეთნოდივერსიები",</u> რომელშიც განხილულია აქტუალური საკითხები:**

**1. აფხაზეთის მოსახლეობის დენაციონალიზაციის რუსული იმპერიული მეთოდები;**

**2. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული გამოუცხადებელი ომი 1992-93 წ.წ.**

**3. აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის გენოციდი.**

**4. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დეოკუპაციის გზები.**

**5.აფხაზეთის დეოკუპაციის მთავარი მიმართულებანი.**

**აღნიშნული ნაშრომი საქართველოს სახელმწიფოებრივი-იდეოლოგიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შენაძენია.**

**10.07.2003 წ.**

**აკაკი გასვიანი**

საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა და საინფორმაციო იდეოლოგიური საკითხების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, მწერალი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

***

შეკითხვები, რაც მის (ა. გასვიანის) მიმართ გამიჩნდა, მე უკვე გამოვაქვეყნე, აქ მთავარი ის კი არაა, რას შევეკითხები მე, ერთი რიგითი მოკვდავი, საგულისხმო სხვა რამ გახლავთ: ***<u>რა პასუხს მოსთხოვს მას მოუსყიდველი ჟამთაბერი 1993 წლის შემოდგომაზე საკენ-ჭუბერის ჯვარცმის გზაზე მომხდარი საუკუნის სირცხვილის შესახებ</u>***, რომლის ასაცილებლადაც ის მრავალი მიზეზიდან გამომდინარე იყო ვალდებული. გვინდა თუ არა მე ან ბატონ კაკოს, ასეა ეს.

ასევე ვერსად გაექცევა იმ სიცხადეს, რომ იგი გ. გვაზავას ბოროტმოქმეული მოღვაწეობის *"გამსამართლიანებლად"* ერთგვარი შთაგონებითა და მოხალისედ დადგინდა თან წარბშეუხრელად სტყუის, როდესაც მას ამართლებს.

ამჯერად, რაკიღა სიტყვას მოჰყვა, აღვნიშნავ, რომ მან პასუხი ვერ გამცა იმაზე თუ *1. როგორ მოხდა, რომ 1993 წლის შემოდგომაზე საკენ-ჭუბერის ხეობაში ასე უმოწყალოდ გაიძარცვა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ეთნიკური წმენდის შედეგად ოკუპანტთა მიერ მოწყობილი მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდს გამოქცეული ხალხი? 2. თანამდებობრივად და საზოგადოებრივი მდგომარეობით იყო თუ არა იგი ვალდებული, ან, როგორც ამ მხარის შვილს, მოეთხოვებოდა თუ არა, ეს უბედურება აერიდებინა ამ კუთხისათვის? 3. წაიკითხა თუ არა მან ბოლომდე ჩემი წიგნი "დღეები ცხედართა უხმო კივილისა" და სად, რომელ გვერდზე აღმოაჩინა მან მცდელობა, - ერთმანეთს დავუპირისპირო სვანი და მეგრელი"*

კიდევ ერთხელ ვამბობ, მე არსად მითქვამს, რომ 1993 წლის შემოდგომაზე საკენ-ჭუბერის ხეობაში ადგილობრივმა მოსახლეობამ გაძარცვა მეთქი უმწეო ლტოლვილები, პირიქით, არაერთი აქაურის თავდადების, გულისხმიერებისა თუ თანაგრძნობის მრავალი მაგალითი გამოვაქვეყნე, ამავე დროს, თუ მთლად ცადაწვდენილი არ იყო, ისეთი „ცოტა რა" საძრახობანი ჟამთაბერის სანაგვეში გადავყარე, მაგრამ ვიტოვებ უფლებას, ვკითხო და მკაფიო პასუხი მოვსთხოვო ბატონ აკაკის, რომელიც, მისი თქმით აქ იმყოფებოდა და რომელსაც, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისევ და ისევ და კვლავ და კვლავ, სამსახურებრივად მოეთხოვებოდა დაეცვა ეს უმწეო ადამიანები ძარცვისგან, გაუპატიურებისგან, სულში ჩაფურთხებისგან, სად, როდის და რანაირად აიკაპიწა მკლავები ან რა გააკეთა მან ამისგან თავდასაღწევად?! მას მართლა თუ შესტკივა ამ მხარის სახელზე გული, ამას თვითონ, ჩემი შეკითხვის გარეშე უნდა ცდილობდეს, რადგან ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის ხუნტამ, რომელთა ძალადობრივი მმართველობის ერთერთთაგანი ბრძანდებოდა იგი თავად, - სამეგრელოს მოსახლეობის რაღაც ნაწილსა და გაძარცვულ დევნილებში განამტკიცა აზრი, რა თქმა უნდა, შორსგამიზნულად, რომ ეს უბედურება მათ საკენ-ჭუბერის ხეობათა მკვიდრმა მოსახლეობამ დაატეხა. არ გავფანტოთ ეს საძრახობა და არ ვუწამლოთ ხელოვნურ კიბოს? (სხვათაშორის, ბატონი ა. გასვიანი როდესაც სვან-მეგრელთა დაპირისპირების მცდელობას ყოვლად უსაფუძვლოდ მაბრალებს, ასე აყალიბებს შესაბამის დებულებას - *"სვანებისა და მეგრელების ეთნიკური დაპირისპირებაო" (?!)*

(ბატონო აკაკი, როდესაც ქართული მხარეების კარგ თუ ცუდ ურთიერთობებზეა საუბარი (დიახ, სამწუხაროდ, იყო ცუდი მაგალითებიც), არ შეიძლება კუთხეთაშორისი გაუგებრობანი მივიჩნიოთ ეთნიკურ დაპირისპირებად, რადგან ჩვენ, უკლებლივ ყველანი„

საქართველოს მხარეებიდან, დედო ქართული შინაარსის ერთსხეული ნაირსახეობანი ვართ).

ახლა, რაც შეეხება იმას, რომ ბატონ ა. გასვიანს არ ვუნახივარ იქ, სადაც ის იყო: მე 1992-93 და მომდევნო წლებში, ისევე, როგორც მანამდე, ყოველთვის იქ ვიყავი, სადაც ჩემი ქვეყნის ბედი წყდებოდა, რა ვქნა, არც მე მინახავს იქ ბატონი აკაკი, რადგანაც იგი იმხანად ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის გვერდით წამგაუცდენლად ტრიალებდა, თან - ვინ იცის, სად დამჭირდებაო და სამახსოვრო სურათებს იღებდა, რისთვისაც, მას *"ე. შევარდნაძისგან არასანდოდ მიჩნეულს"* (როგორც თვითონ აცხადებს), არ მოჰკლებია მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდოები, თანამდებობები და საქართველოს პარლამენტის წევრობაც კი "მოქალაქეთა კავშირის" კვოტით (რასაც თითისქნევით „ჩემზე აღმატებულის" მტკიცებულებად იყენებს ამ სასამართლოზე). ბუნებრივია, ასეთ ადგილებში მე არ ვიქნებოდი, ამით ვამაყობ და იმითაც, რომ ზვიად გამსახურდიას ვედექი მაშინ გვერდში, როდესაც იგი დედა საქართველოსთვის ძალისხმევობდა. ეს განსხვავებაა ჩვენს შორის, მეტი არაფერი!..

აქედან გამომდინარე, ის, რომ დღეს საბრძოლო მოკვლევას მიფრიალებთ თქვენს მხედრულ წარჩინებაზე, ეს აკეთეთ იქ, სადაც იმაზე, თუ რა მოხდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ან ე. შევარდნაძის დაკვეთით დაწერილი ან კიდევ თქვენი წიგნების მიხედვით იციან მხოლოდ. მე ამ უბედურებაში, ჩემდა სასახელოდ და სამწუხაროდ თქვენდა, ძალიან ღრმად კი არა, ძირისძირობამდე ვარ ნამკლაურევი (როდესაც ა. გასვიანმა სასამართლოს სხდომაზე სვან-მეგრელთა დაპირისპირებათა პროვოცირების მცდელობა დამაბრალა, იქ იყო დღეს ასევე მოსარჩელე და იმ დროს ჩემი "თანამოსანგრე" რ. შამუგიაც, რომელიც მაშინ ზუგდიდში ხედავდა თუ რა როგორ ხდებოდა, მაგრამ კაცობა არ ეყო, დამდგარიყო კორპორაციულ დაკვეთაზე მაღლა და სიმართლე ეთქვა, პირიქით, ამაზე ისე იქირქილა, თითქოს სასაცილო ანეგდოტი მოესმინოს. ამგვარად მლიქვნელები იქცევიან. ო, როგორ ჰგავდა ეს იმ ჩასიძებულის ხარხარს, გატყავებულმა ტურამ რომ უთხრა, შენ მაინც რა გაცინებს, შე გლახა, ვის-ვის და ჩასიძებულს ხომ ვჯობივარო!).

ამიტომ, ვიყრი რა მუხლს ყველა სამამულო ზვარაკის წინაშე, ხმამაღლა ვაცხადებ, ქალბატონო რაისა (ქარაია), თუ ეს ასეა და თავი გაიმეტა, დიდება თქვენი შვილის სამშობლოსთვის დაღვრილ სისხლს! ბატონო შოთა (ხეცურიანს), თავს ვხრი თქვენი ძის ხსოვნის წინაშე, უფალმა ნათელში გიმყოფოთ იგი! კაკო ბატონო, პატივი და მუხლმაგრობა თქვენს საბრძოლო მოკვლევას, ***მაგრამ პირდაპირ გეტყვით, სწორედ მათი ღირსება გავალდებულებთ, თაყვანი მიაგოთ ამ შინაარსს და ცრუმოწმედ არ დადგეთ გ. გვაზავას კორუფციული გამოჭენების დასაფარავად!***

***

ორფეხა თვითმავალი, რომელზედაც ქვემოთ მექნება საუბარი, ყოვლისმკადრებელი შუბლისძარღვგაწყვეტილობა გახლავთ. მისთვის ჯერ არსმენილი ამბავია ის, რომ ყველანაირი "გამარჯვება" აკრძალული ილეთებით, მკვდრადშობილებაა მხოლოდ, რადგან, თქვენ შეიძლება მიწაზე წარმატებულად მოიტყუოთ, მაგრამ ღმერთს ვერ აუხვევთ თვალსამზერს.

საერთოდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსთვის მომგებიანი იქნებოდა ცოტა უფრო თავმდაბლური, არაკაცღმერთული და, რაც მთავარია, აპრიორული აკვიატებისგან გარიდებული რიტორიკა.

აქ პირიქითაა. რაკიღა დაკვეთა მოითხოვს, ს. საჯაიას "ცუდკაცობა" ამტკიცო, შენი ხელგარჯაც ამ დავალებას უნდა მოარგო.

სწორედ ამიტომაა ამათთან ნ. მგალობლიშვილის ავყიური ამონაყროლები "სიტყვის დიდოსტატობა", თორემ, ამ თოთხმეტეულიდან ბარე თორმეტი სულელს და ლოთს ემახის მას ზურგსუკან.

...და მაინც, სანამ მას ჯეროვან პასუხს გავცემდე, ქალბატონ რაისას უნდა შევეხმიანო: - არაა ისე, ქალბატონო, თქვენ რომ გესურვილებათ, დროის წერა-მწერალი იმის მიხედვით კი არ ჩაგაასომთავრულებთ თავის რვეულში თუ რამდენად ხმამაღლა გაიბღავლებთ "ჩემს ცუდკაცობაზე" ცილისწამებებს, არავითარ შემთხვევაში, იგი დინჯად გაისიგრძეგანებს ხალხის მოუსყიდველ მეხსიერებაში თუ რაგვარ ვინაობად დავდგინდით ან რა კვალი დავტოვეთ ეპოქის მატიანეში.

ამ მხრივ, ის, რაც ჩემზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაიწერა ჩვენი სააფხაზეთო ცხოვრების დროს, არც ერთი მათგანი არ მესირცხვილება, არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, ნებისმიერი თქვენგანი რას არ გაიღებდა, ჩემზე ასეთნაირად გაასობგერებული ნაფეხურები იმჟამინდელ ჟურნალ-გაზეთებში არ იყოს. მოკლედ, ამ ყველაფერს, თვალის თვალს მისწორებით, პირდაპირ გახლით სახეში, - ტყუით, ქალბატონო რაისა, როცა ამტკიცებთ, აფხაზეთში ს. საჯაიას ჩემს თანაბრად არავინ იცნობდა და მან მხოლოდ თბილისის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა მოახერხაო, იმ თბილისის, რომელიც თითქმის ორ მილიონ ხიზან ადამიანს რომ აპურებს და ასმევს ყოველდღე. გეკითხებით, გინახავთ, წაგიკითხავთ, მოგისმენიათ თუ რა იწერებოდა აფხაზეთში ჩემზე და რომელ მათგანზე იტყოდით დღეს უარს თქვენ? ან რატომ არ უნდა გენახათ? მაშ, რითი ხართ თქვენ ჩემზე დიდი, ამის განიშანსვეტებას რომ ცდილობთ ასე გაშმაგებით?! ასეთ კვარცხლბეკებს დრო აპიროვნებს, ქალბატონო და არა თქვენი ამპარტავნობა.

კი ბატონო, გეძახდით სულიერ დას, სხვებსაც გულწრფელად ვთანამოსანგრეობდი, აბა, გაიხსენეთ, როგორ ვცდილობდი, დედო

ეკლესიის წიაღში მოგვეძია თავი არა რიტუალურად, როგორც ამას დღეს აკეთებთ ხანდახან, არამედ, სულიერად, უფლისწვდომილებით. გეთანხმებით, ჩემი გულმხურვალე წარწერით გჩუქნიდით ამ მარჯვენათი ამოწერაქვებულ წიგნებს, თქვენ კი, ამ დროს ჩემს საბეზღებელ წერილებს აგზავნიდით იქ, „სადაც ჯერ არს“.

მე გულწრფელად გედექით ძმად და ძმის უფლებით ვმარგლიდი თქვენს გარშემო ჯოლოკეტს. უფრო დიდი მიზნის გამო ვიტანდი და არ დავცინოდი თქვენს ამპარტავნულ გამოჭენებებს, სულიერ გაგარეუბნებას, მაგრამ ყველამ პირი შეკარით და ქვეშქვეშური განცხრომა ინდომეთ მაშინ, როდესაც მე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კორუფციიდან გამოყვანის და მისთვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფუნქციის გაპიროვნებისთვის დავისაქმე თავი საზოგადოების გარკვეულ, ანგარიშგასაწევ ნაწილთან და, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ზოგიერთ დეპუტატთან თუ აპარატის თანამშრომელთან ერთად.

რომელი თქვენგანი დაიფიცებთ ილორის წმინდა გიორგის მადლმოსილი ხატის წინაშე, რომ გ. გვაზავა არ არის კორუმპირებული, მაგრამ ხმამაღლა ამას არ იტყვით, რადგან სანახევროდ გწამთ ღმერთი, სანახევროდ კი ეშმაკს ემოწაფებით. დიახ, გეფერებოდით ქრისტესმიერი გულწრფელობით (მლიქვნელი თქვენს - თქვენს თავში მოიძიეთ სუყველამ), რადგან მე ***"კაცს გამარჯობას იმიტომ ვეტყვი, რომ შევახსენო კაცობა მისი!"*** სამწუხაროდ, ვერ შევძელი თქვენთან ეს.

შემდეგ ის იყო, დასაკლავ მოზვერასავით მომინდომეთ საბელის ჩაბმა კისერზე და საქონდაქრესთან მირეკვა: ასე ისაგნება ეს, - მ. სააკაშვილთან საბეზღებელი საჩივრით მაშანტაჟებდით, რათა აღდგომის წინადღეს, ცოდვაც რომ მქონოდა, მიტევების ჟამს, ამგვარად, გადავლის წესით გაგემეტებინეთ ამის დაუმსახურებლად ( თქვენი შვილის სამამულო სისხლის წვეთს გაფიცებთ, თქვით ხმამაღლა, იმ აღდგომას როგორ გუნებაზე დაიკავეთ წითელი კვერცხი, რა უაღსარებეთ მოძღვარს, რაში არ უტყდებით საკუთარ თავს?!).

ამას თქვენ ხელმძღვანელობდით, ქალბატონო და იცით, ახლა რაღაც კაცურ წესებზე რომ ცდილობთ, ვითომცდა, აღაღადებას, ბარე ათჯერ შევედი გ. გვაზავასთან კეთილმოსურნე საუბრისათვის, შემდეგ თ. ხუბუასთან ერთად განვიხილე საგანგაშო მდგომარეობა, ბოლოს. პრეზიდიუმის წინაშეც ვიმსჯელეთ და, რომ არ დაადგა საფრთხეს საშველი, მხოლოდ მაშინ ვთქვი ხმამაღლა, რაც იყო, რის წინაშეც აღმოვჩნდით. თქვენ გაიტანეთ ეს ამბავი გარეთ, თავი აარიდეთ მის მოგვარებას შიგნით, სულ უბრალოდ შეიძლებოდა ეს. კიდევ ვიმეორებ, სუყველა თქვენთაგანის რაობა და მიზანსწრაფვა ვიცოდი, მაგრამ მაგ პოლიტიკური აზრის მნიშვნელობას ვუფრთხილდებოდი მაშინაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, განსხვავებით თქვენგან, დღესაც!

ერთსაც დაგავალებთ, ამ წუთში ისეთი სითბოთი გეუბნებით ამას, ძმის დაღუპვა რომ მოგისამძიმრეთ და ისეთივე დოზას ვგრძნობ თქვენგან, როგორც მაშინ, როცა ჩემი გამზრდელი ძმის გარდაცვალება თანამიგრძნეთ: გულწრფელად გაეცით პასუხი, უხმოდ, თქვენთვის: ***<u>სასამართლოს სხდომაზე მოგეწონათ ნ. მგალობლიშვილის ხმაზოდვითი ყოვლისმკადრებლობა და ამ გემოვნებით აპირებთ სახალხო თანადგომის გაპიროვნებას აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსთვის?!</u>*** დაბეჯითებით გთხოვთ, თქვით ეს თქვენთვის, უფლის წინაშე, კვლავ და კვლავ, გიმეორებთ იმ თქვენი შვილის დაღვრილი წმინდა სისხლის წვეთებს გაფიცებთ, გააღვიძეთ თქვენში დედა და ჭირისუფალი ჩვენი უბედური ოდაბადის, - ამოიღაღადეთ, გესახელებოდათ იმ წუთებში ნ. მგალობლიშვილთან ერთ ზანაკში ყოფნა?!..

არ მოხდება ეს, მე უკან ვერ დამახევინებთ, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს ხალხს საუკუნის ღალატი თავის სიცხადეში უნდა გავუთვალნათლივო!..

***

ხო, ნუგზარს რაც შეეხება: ზემო ბურსში (სოხუმის რ-ნი) იყო ერთი ავადმყოფი გალუსტი, ჭკუასუსტი ღვთისშვილი (არმენოფობია არ დამაბრალოთ), რომელიც (ბოდიში მკითხველთან) ხელზე დაისაქმებდა, ხანდახან სახეზეც წაისვამდა, ისეც ხდებოდა, აბეზარ ბავშვებსაც გაეკიდებოდა ამგვარად აღჭურვილი. ახსოვს ის უბედური იქედან დევნილ ასაკოვან ხალხს.

ღმერთო შეგცოდე და, წინამდებარე სასამართლო სხდომაზე ნ. მგალობლიშვილის გამოსვლა სწორედ ასეთი ჭკუასუსტის და შეურაცხადის საქციელს ჰგავდა. ყველაფერი, რაც მან ილაპარაკა, მისი ჭკუით ჩემდა ჩირქ მოსაცხებად, მორიგი დიდი წინგაუხედაობა გახლდათ თქვენი!.

დავიწყოთ იმით, რომ მისი შთაგონებითი წამოძახილი შესახებ იმის, რომ, ვითომცდა, საბჭოთა უშიშროებამ მე ზედწოდებით ”Грек” ჩამითრია თავის სამსახურში, ისეთვე სიმართლეა, როგორც მისი თავდადება ზ. გამსახურდიასადმი, განსაკუთრებით 1992-93 წლებში, სამაგიეროდ, იგი (”Грек”) უტყუარი მტკიცებულებაა მისი ქსენოფობიური, ამ შემთხვევაში ბერძენთმოძულეობითი მიდრეკილებისა.

დედაჩემის ბერძნობა მას ყოველთვის მიაჩნდა ჩემი ***”ეროვნული არაკეთილსაიმედოობის”*** გამოხატულებად და ამას იგი 1990-91 თუ მომდევნო წლებში ყველა გზაჯვარედინზე გაჰყროყინებდა. რაც შეეხება ქსენოფობიას, რა თქმა უნდა, ნებისმიერმა უნდა იცოდეს, რომ საქართველო ქართველთა სამშობლოა, ყველა არაქართველს, რომელსაც ჩვენთან უნდა ცხოვრება, ქართველი გულმხურვალედ ისახლიკაცებს, აძლევს ყველანაირ საშუალებას, დარჩეს თავის ეროვნულ ვინაობაში, მაგრამ სახლიკაცს, სულ

ცოტა, ის მაინც უნდა მოეთხოვებოდეს, საძირკველი არ მოურღვიოს საკუთარ სახლს. ამის მისაღწევად კი თვალფხიზელი უნდა იყო შინაც და გარეთაც. მაგალითად, თუ შენი ქვეყნის პრეზიდენტი(მ.სააკაშვილი) აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრის ქურთუკმოცმული გამოჩნდება საზოგადოებრივ ადგილებში და მსოფლიოს გაემლიქვნელება ქართველთა სახელმწიფოს მესვეურის უფლებით, თუ მეტს ვერ შეძლებ, ტაში მაინც არ დაუკრა და არ მოუწონო ეს სირეგვნე...

ნუგზარის ბერძენთმომძულეობა ამ მოთხოვნილებების ხელყოფის გამო არ იყლორტება, მას, უბრალოდ, "ხოში აქვს" და სძულს ბერძნები. თუ როგორი "პირუმტკიცენი" გამოდგნენ ბერძნები აფხაზეთში, ეს დადასტურდა 1991 წლის 31 მარტს, როცა მათმა უპირატესმა ნაწილმა სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა და განსაკუთრებით 1992-93 წლების საომარი ავანტიურის დროსაც, როდესაც ქრისტესმიერებს არ მოუმარჯვნიათ საზურგე მახვილი.

ნ. მგალობლიშვილი, როგორც თვითმავალი რაობა, დიახაცაა ყოვლად უსაფუძვლო ამბიციების კოშკზე გაბელადებისათვის ხელგამოღებული. იგი, როგორც ათუხთუხებული შური და ბოღმა, ჩასაფრებული, მკაფიო სამამულო შინაარსის არმქონე, გზაკვალარეული და ღირსება გადარწყეული თავმოუბმელობა გახლავთ. ეს არის სახეზოგადი პერსონაჟი გრიგორი კლიმოვის გახმაურებული წიგნიდან ***"წითელ ბრძენთა ოქმები"*** და ვინც კარგად იცნობს ამ ცნობილი სამხედრო, გნებავთ საბჭოთა უშიშროების მკვლევარის წიაღსვლებს ადამიანთმცოდნეობაში, დადასტურებებს იმაზე, თუ რა იწვევს სულის საპყრობას, სისხლაღრევის მოთხოვნილებებს, მიდრეკილებებს მიმდგომლობისკენ და ა.შ. -არ იუცხოებს ამ შედარებას. ავტორის დასაბუთებული მტკიცებით ასეთ ადამიანებს, არც თუ იშვიათად, კაცობრიობის წინამძღოლებად და ერის ბელადებად მიაჩნიათ თავი, ისინი ყველგან და ყველაფერში, არის რა ჩასაფრება მათი ზეშთაგონება, ეძებენ საავყიო სამიზნეს.

წინამდებარე სასმართლოზეც სწორედ ნუგზარის ბელადური "წამგაელვება" გახლდათ მისი ხმაბოდვა იმის შესახებ, თითქოს მე მას ეროვნულ მოძრაობაში "მიღება" ვთხოვე, რაზეც მან ***"უარით გამომისტუმრა".***

ეხ, ნუგზარ, ნუგზარ, უწიგნურო კაცო, შენ რომ ქართული ეროვნული მოძრაობის ათვლას მოსკოვში შენი ჩამატარებლების დღიდან არ იწყებდე, იცნობდე 60-იანი წლების სოხუმის ცხოვრებას ამ მხრივ, ან წარმოდგენა გქონდეს იმაზე, თუ რას ***მირჩევდნენ ჯერ კიდევ სტუდენტს და შემდეგ ახალგაზრდა პედაგოგს დიდი მუხრანი, მურმან ლებანიძე, ოთარ ჭილაძე, ლეო ჭედია, ნიკანდრო ბასილაია, ოთარ ჭურღულია, შოთა აკობია, ლერი პაქსაშვილი, შემდგომში ერის ქრისტესმხედარი ზვიად გამსახურდია***, ის მაინც გეცოდინებოდა თუ როგორ გამოიხატა მათი რჩევები ჩემს გამოქვეყნებულ წერილებში.

ან ეს მითხარი, შენ, ეროვნული მოძრაობის ჩაშვებისთვის 1989 წელს ტელეეკრანიდან მხილებულო, ***როდის და ვინ დაგადგინა ეროვნული მოძრაობის მესაშვედ?!*** ან როგორ უნდა დაგავიწყდეს ის ამაგი, ქალბატონ თ. ოდიშარიასა და ბატონ მ. ბერიას თხოვნით რომ გავწიე ბერძენ მოსახლეობაში, რათა ხმა მოეცათ შენთვის?! შენ არ თქვი, მაშინ ***დეპუტატი შენი წყალობით გავხდიო?!*** რა დაგაფიცო, სიწმინდე შენ არ გაგაჩნია და არ აღიარებ ახლა ამას, მაგრამ ეს, საბედნიეროდ, იცის ხალხმა.

ან რა დონემდე უნდა გამოგაჩლუნგოს ჩასაფრებითმა სიძულვილმა, რომ სერგი საჯაიას დააბრალო, თანაც სასამართლო სხდომაზე. - ე. შევარდნაძეს სთხოვდაო პატიებას.

შენ იმ ოდენობამდე თვლა რომ იცოდე, რამდენი წერილიც მაქვს გამოქვეყნებული „თეთრ მელაზე" მე 1991 წლიდან 2001 წლამდე, თავადვე გაისიგრძეგანებდი თუ რა უგუნურობა დაარეხვე ამით (2001 წლიდან, უფრო სწორად, 1999 წლიდან მე საჯაროდ განვაცხადე, რომ ამ ვითარებაში, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდა აგრესიული და ჭაობური დემოკრატია, მათზე თვალარიდება და მათ ნაცვლად ე. შევარდნაძის უპირველეს სამიზნედ დადგენა, გზას უკვალავდა უფრო ვერაგს - მ. სააკაშვილის დიქტატურას).

ყველგან, სადაც ეს აინტერესებთ, ცნობილია, რომ მე 1992 წლიდან, ვიყავი რა ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ზნეობით დაშვებული ყველანაირი საბრძოლო საშუალებით ვებრძოდი ე. შევარდნაძის სისხლიან ხუნტას, რისთვისაც ჯ. იოსელიანის მიერ 1992 წელს შეყვანილი ვიყავი დასახვრეტთა სიაში, რისი დადასტურება დღეს შეუძლია, იმ დროს ქ. სოხუმში სამთავრობო სასახლის კომენდანტს, პოლკოვნიკ ს. წურწუმიას, სამთავრობო დაცვის წევრებს კ. უბილავას, ფ. იობაშვილს, ასევე ბორის კაკუბავას - რომელმაც 1992 წლის მაისში ერთი ერთზე გამაფრთხილა კიდეც ამის შესახებ.

მართალია, ჩემი იატაკქვეშა რადიოგადაცემები, რომელიც იმხანად მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა, დღეს ხელმისაწვდომი არაა, მაგრამ მაინც შემორჩა აუდიო და ვიდეო მასალები თუ რისკენ მოვუწოდებდი მაშინ მოსახლეობას. ამ საკითხთან დაკავშირებით პირადად ზ. გამსახურდიასთან, რომელიც ნ. მგალობლიშვილის მტკიცებით - "არ მენდობოდა", ჩაწერილი მაქვს 1 სატელევიზიო და 4 საგაზეთო ინტერვიუ ***(იხ. ჩემი „ანადგურებენ საქართველოს, ებრძვიან ქრისტეს", თბილისი, „ჭყონდიდი", 1999 წ.)***.

იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ ჩავაწყვეტინო ხმა ამ შურის ბოღმიან ტიკჭორას, ცოტა ვრცელი ამონარიდი უნდა დავიმოწმო პირადად ბატონი ზვიადის მიერ დაბეჭდვამდე წაკითხული "არასტანდარტული ინტერვიუდან", რომელსაც მან 1992 წლის 1 ნოემბერს, ქალაქ გროზნოში, ქალბატონ მანანასთან ერთად მაღალი შეფასება მისცა. იგი, წესით ჯ.

გამახარიასაც უნდა ახსოვდეს, ისიც იქ გახლდათ მაშინ. ეს ინტერვიუ იმ წლებში არაერთგზის დაიბეჭდა ეროვნული გაზეთებში, მათ შორის გაზეთში *"საქართველოს სამრეკლო" (1993 წ. თებერვალი): "მას შემდეგ, რაც "კოლხურ კოშკში" "მრგვალ მაგიდას" მიტმასნილთა ცრუბეზღობების წყალობით "შერისხული" ვიყავი, სულ ერთხელ შევხვდი ბატონ ზვიადს - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს - ცხუმ-აფხაზეთიდან დეპუტაციის შემადგენლობაში, როდესაც გადავწყვიტეთ ამ მხარეში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ჩვენი აზრი გვეთქვა. ეს იყო 1991 წლის იანვარში, მაგრამ მაშინაც ხსენებულმა ჯუჯაკაცუნა "პოლიტიკოსებმა", დღეს მისგან განზე უბრალოდ გამდგარებმა კი არა, მის წინააღმდეგ მებრძოლებმა, იმდაგვარად მაჯობეს, გვარიან ხანს სათოფედ არ მიკარებდა იგი.*

*წამოვდექი და მინდოდა ქალბატონ მანანასთვის მეთქვა, - თქვე დალოცვილებო, ახლა რომ მსაყვედურობთ, თავს გატეხდით და არ მიკარებდით მეთქი, მაგრამ დამასწრო და განაგრძო: ეს არისო "კოლხური კოშკის" ერთგულება?! (სერგი (გიორგი) საჯაია, "ანადგურებენ საქართველოს, ებრძვიან ქრისტეს", თბილისი, "ჭყონდიდელი", 1999 წ. გვ. 14).*

ან ეს წაიკითხე თვალფხიზლად, შე სულაჭვახებულო და თავად დაასკვნი თუ რა უფლებები გამიპიროვნა ზვიადმა თავის გვერდით: *"არადა, ჩვენი გამარჯვების თაფლობის თვეებში ჩემს სტატიებსა და ზეპირ გამოსვლებში აღვნიშნავდი იმ საფრთხეს ცხუმ-აფხაზეთში, ჰოოპუნათი თავგართულები რომ ვერ ამჩნევდნენ და რისი არიდებაც შეიძლებოდა. მაშინ ამისათვის დღეს ჩასაძირად გამეტებული გემის ეს გამეცადინებული, უკვე ყოფილი თანამგზავრები "ოპოზიციონერს" მეძახდნენ, დღეს კი მათვე ვეუბნები, უკვე სხვა გემბანზე მოსეირნეებს: მე ვდგავარ პიროვნებასთან, რომელმაც დიდოსტატთან და სულმნათ მერაბ კოსტავასთან ერთდ "კოლხური კოშკის" ცნობიერებით შეაიარაღა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღუდგინა ერს"... (იქვე, გვ. 16).*

რაც შეეხებათ *"სხვა გემბანზე მოსეირნეებს"*, მათ შესახებ ბატონ ზვიადს მკაფიო აზრი გააჩნდა და იგი შენ თავად დაძებნე, რაღატომ უნდა გითხრა. მე სხვა რამ შემიძლია, ვთქვა, ზვიადისეული იმ შეფასების მიმისამართებებმა, ზნეობის ნასახი რომ ჰქონდეთ, ***კაცს, რომელსაც მათ გამო ამ ერისკაცმა მოუბოდიშა, ახლა მაინც უნდა ჩაუარონ ქენჯნის პერანგით, მაგრამ მათ არც დღეს შესტკივათ გული მასზე, უბრალოდ, სჭირდებათ მისი სახელი!..***

ასე და ამრიგად, ამას ვერავინ დაუმალავს დროს, - იმდროინდელი ეროვნული გაზეთები ერთმანეთის მიყოლებით ბეჭდავდნენ ჩემს წერილებსა თუ საბრძოლო მოწოდებებს ე. შევარდნაძის წინააღმდეგ. აქვე, ხმამაღლა ვაცხადებ, რომ 1992-93 წლებში ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის სახელით შედგენილი ძალიან ბევრი პოლიტიკური საბუთი ან ჯ. გამახარიას ან ჩემი დაწერილია. ეს ასე გაგრძელდა 1994-95 წლებშიც და ა. შ. ანუ იმ დროსაც, როდესაც მოსარჩელეთაგან ძალიან ბევრი თანამდებობის განაწილებით იყო დაკავებული, ხოლო თქვენგან ბედისანაბარად მიტოვებული ხალხი შველას საჭიროებდა.

რაც შეეხება კონვერტს, რომელიც, თითქოსდა, მე გავატანე ე. შევარდნაძესთვის გადასაცემად ზ. ზედიას.

როგორც არაჩასაფრებულმა ძალებმა იციან, 1993 წლის 1 ოქტომბერს მე, ზ. გამსახურდიას წინადადებით, დავინიშნე აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ მხრივ თუ რა ვაკეთეთ, ეს საყოველთაოდ ცნობილია და არ განვმეორდები. დადგა 1993 წლის 4 ნოემბერი. ე. შევარდნაძის სისხლიანი თოფოსნები ადმირალ ბალტინის ტანკებთან ერთად, ზუგდიდში შემოვიდნენ. საგანგებო სახელმწიფო მინისტრად სამეგრელოს რეგიონში დაინიშნა გ. ლომინაძე, ხოლო ზუგდიდის გამგებლად - ე. ჩარგაზია. დიახ, ეს ის ედიშერ ჩარგაზია გახლდათ, რომელმაც იმავე დღეებში ბროშურად გამოსცა სახელმძღვანელო ***"როგორ გავანადგუროთ ზვიდისტები"***.

ასეთი იყო ვითარება, როდესაც "მხედრიონის" სათარეშოდ დადგინდა სამეგრელო, აქედან გამომდინარე, მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევები, სახლ-კარის გადაწვა და დახვრეტები ყოველდღიურობად იქცა.

ამგვარ გარემოში ის მებრძოლები, რომლებიც ზ. გამსახურდიას მომხრენი იყვნენ და აფხაზეთიდან ჩვენ გადმოგვყვნენ ზუგდიდში, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში იყვნენ ნაბრძოლები, მაინც "მხედრიონის" სამიზნე ხდებოდნენ.

ერთ დღეს, ზ. ზედია, რომელიც ჩემი მოადგილე იყო, მომადგა იმ ბინაზე, სადაც იატაკქვეშურ მდგომარეობაში ვიყავი. მან გადმომცა ზ. გამსახრუდიას მომხრეებისადმი გ. ლომინაძის დანაბარები, თითქოსდა, იგი ამზადებდა აფხაზეთის გასათავისუფლებელ შეტევას და წინადადებას გვაძლევდა, მიგვეღო მასში მონაწილეობა ზვიადის მომხრეებსაც, ანუ გავერთიანებულიყავით.

ეს საკითხი ჩვენ განვიხილეთ და შექმნილ თავსმოხვეულ ვითარებაში დავადგინეთ, რომ ვინაიდან, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასგან ნაბრძანები გვქონდა, არ დაგვეშვა მტრის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია, ამ მკაფიო მიზნისთვის, ისევე, როგორც ადრე, გვებრძოლა.

სწორედ, ეს აისახა იმ წერილში, თან მოვითხოვეთ, შეხვედრა მოსალაპარაკებლად შემდგარიყო ნეიტრალურ ადგილზე. ასეთი მოლაპარაკება ჯერ გადაიდო, შემდეგ საერთოდ არ შემდგარა, მაგრამ ყოველივე ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ ათობით შეიარაღებული მებრძოლი, რომელიც სხვა შემთხვევაში, უბრალოდ "მხედრიონის" ცოცხალი სამიზნე გახდებოდა ან, უკეთეს ვითარებაში, ციხეში მოხვდებოდა, ჩაირიცხა იმხანად საგანგებოდ, ანუ აფხაზეთში საბრძოლველად შექმნილ ბატალიონში, რომელსაც პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი) თ. ხაზალია ხელმძღვანელობდა. ეს ბიჭები ყოველდღე გადიოდნენ წვრთნას, მიიღეს სამხედრო ეკიპირება, ჰქონდათ კვება, სითბო, ბინა და, რაც მთავარია, შეუნარჩუნდათ კაცისთვის ყველაზე მთავარი - სამხედრო პატივი და

ღირსება.

***<u>აი, რა იდო იმ კონვერტში შე, მართლა სულმახინჯო ჩლუნგო  და ამ ”სიკეთესთან” ერთად - ქალაჩუნავ!</u>***

რამდენად ვითხოვდი ე. შევარდნაძისგან შეღავათს, ეს ჩანს იქედან თუ რა დევნა, რეპრესიები, დაპატიმრება და ა. შ. გამოვიარე მაშინ, სხვათაშორის, იმხანად თავი გამოვაცხადე პოლიტიკური მოსაზრების გამო უმუშევრად.

ყოველივე ამაზე და უფრო მეტზე ჩემს შესახებ იმ დროის გაზეთები ღაღადებენ.

საერთოდ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე ელიტური კორუფციის მესვეურებს მაშველ რგოლად ნ. მგალობლიშვილი იმთავითვე მოევლინა, როდესაც ე. წ. გაზეთში ”განმათავისუფლებელი” (2011 წ. აპრილი) ”მეორე ფრონტი” გამიხსნა, ***”აქაოდა შენ თვითონ ხარ კორუმ-პირებულიო”*** და მისთვის ჩვეული ქვეშქვეშობით მის მიერაც ჩემზე უსაფუძვლოდ გავრცელებული, დროისგან და თვით ზ. გამსახურდიასგან მხილებული თუ დაგმობილი ჭორი ამოქექა თავისივე ამონასაქმებიდან: ***<u>”ჩემს მიერ მოხმობილი ვირტუალური ”სისტემის” ჭეშმარიტი ”მენდელეევია” სერგი საჯაია, მისი მესაჭე და წინამძღოლი (ეროვნული მოძრაობიდან მოსვლისთანავე მ. კოსტავას ფონდიდან კორუფციისთვის გაძევებული)...”</u>***

***<u>როგორც მოგახსენეთ ეს ცილისწამება თავის დროზე დაგმობილია თვით ზ. გამსახურდიას მიერ,</u>*** ვრცლად ამის შესახებ არაერთხელ მაქვს ნასაუბრევი, მაგრამ მოსარჩელეთაგან ნ. მგალობლიშვილის წინამდებარე ნახმაზოდევს თავის მხრივ ა. წოწონავაც და დ. გვაძაბიაც ”თავიანთ” წერილებში მიფრიალებენ.

ხმამაღლა ვამბობ, ბატონო მოსამართლევ, მ. კოსტავას ფონდი სადღაც გამქრალი არაა, იგი აგერ, სატახტოს გულში - გალაქტიონის M17-ში გახლავთ, ხოლო მოსარჩელეები კეთილს ინებებენ და იქედან ცნობას მოიტანენ, რითაც დაადასტურებენ ”ჩემს კორუმპირებულობას”. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს მონაჭორი უნდა დადგინდეს მიზნობრივ ცილისწამებად.

ჩემდა საამაყოდ, ასეთ დასტურს დროსა და სივრცეში ვერ დაძებნის ვერავინ, მისი არ არსებობის გამო.

*******

2012 წლის 25 დეკემბერს, დღის 12 საათზე, თბილისში, რუსთაველის ძეგლის წინ შემხვდა ვაჟა (ივანე) შერვაშიძე - მ. კოსტავას ფონდის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე.

იქეთურ-აქეთურზე გულის მოფხანის შემდეგ, წინამდებარე სასამართლოზე ნუგზარის ცილისწამებებზე ჩამოვარდა სიტყვა. ამასთან

დაკავშირებით მან გაიხსენა, რომ ამ შვიდი წლის წინ, ე. ი. 2005 წელს, ანუ ნ. მგალობლიშვილი მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე მისდგომია მას და უთქვამს, - ნუ ამბობო, თითქოს, ს. საჯაიას ყველა საბუთი მოწესრიგებული ჰქონდაო ფონდში (სხვათაშორის, იმგვარი ცილისწამებების გავრცელება, ნუგზარი რომ ამრავალცალებს, ვაჟა ადამიასაც კი - ჩემს დაუძინებელ მტერს, მაშინ მ. კოსტავას ფონდის სათათბიროს თავმჯდომარესაც არ უკადრებია). ის კი არა და, ნუგზარას რჩევაც კი მიუცია ვ. შერვაშიძისთვის იმაზე, თუ რა ელაპარაკა მას ამ ფონდთან დაკავშირებით ჩემზე.

თუ რატომ იყო ეს ნუგზარისთვის აუცილებელი, რომ 13 წლის მოუკითხავი ცოლ-შვილის მონახულებამდე მიიჩნია საჭიროდ ვ. შერვაშიძის წაქეზება ჩემს წინააღმდეგ, ეს, თვითონ მას ჰკითხეთ. აი, ასეთი „სიმართლით ერისკაცობდა და ერისკაცობს" ეს თვითმავალი ბოღმა.

იმ დღეს, ბატონმა ვ. შერვაშიძემ ისიც განმიცხადა, ჩემი ტელეფონი გაქვსო და თუ საჭირო იქნა, სასამართლოზეც დავადასტურებო ამას.

როგორც ირკვევა, ეს შემთხვევა გამონაკლისი არაა. ნ. მგალობლიშვილი, იმის ნაცვლად, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისთვის იღწვოდეს და სახალხო განაწესს ასრულებდეს, ძირითადად ან არაფხიზლად დაროშაობს, ან კიდევ, ჩემს სალანძღავად იგზაჯვარედინებს საავყიო სვლაგეზს. ასეთია მისი ყოფითი თუ პოლიტიკური ყოველდღიურობა.

... და ბოლოს, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ის გრძლიობა, რომელშიც ჩვენ მოგვიწია საქმიანობა, რა თქმა უნდა, მოითხოვს პირუთვნელ შესწავლასა და აწონ-დაწონილ შეფასებას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ნ. მგალობლიშვილის ან მისნაირთა მიზნობრივი ჩასაფრებებით, არამედ, ეროვნულ-სახალხო წარმომადგენლობითი კრების დასკვნის დონეზე, რომელთანაც, თუ ეს შეიქმნა, მე მართლა მექნება სასაუბრო.

***

**<u>ცნობისთვის:</u>** სასამართლოს სხდომის შემდეგ მე და ჩემი მეგობრები დავუკავშირდით ზ. ბედიას და გადავამოწმეთ, მართლა უთხრა თუ არა მან ნუგზარს, თითქოს მე ე. შევარდნაძეს შერიგებას ვთხოვდი. გაგიჟდა კაცი, ეს რა უსინდისო ყოფილაო. თავის მხრივ ზაურსაც დაურეკავს ნუგზარისთვის ამის თაობაზე.

ამის შემდეგ, როგორ გგონიათ, რანაირად განვითარდა მოვლენები? როგორ და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ნუგზარი აღტაცებითი შორისდებულებით ოთახიდან ოთახში მიმორბოდა, ს. საჯაიამ პატიება გვთხოვაო!

ისემც რა გითხრა შენ, სანამ სერგი საჯაიამ შენ პატიება არ გთხოვოს, მაგრამ ასეც ხდება, *”მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო”.*

ახლა რაც შეეხება სულიერებისთვის ვინმე ნუგზარას მიერ ჩემი წიგნების... განსაქიქებელ მცდელობას: ჩემს შემოქმედებაზე წერილები აქვთ მიძღვნილი პროფესორებს ს. სიგუას, ტ. ფუტკარაძეს, მ. ტაბიძეს და ა. შ. ყველას ვერ ჩამოვთვლი. იმის სახეზოგადობად, თუ რა შეფასებას აძლევენ მას საქმის მცოდნენი, ერთ პატარა ამონარიდს გაგაცნობთ:

***

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომა, 2009 წელი, 18 მარტი

შოთა გოგოხია - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი.

მინდა სასიხარულო ინფორმაცია მოგაწოდოთ: აფხაზეთიდან დევნილი ცნობილი ქართველი მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი, კრიტიკოსი, ჩვენი თანამემამულე, ყველა თქვენგანისათვის კარგად ცნობილი პიროვნება სერგი საჯაია აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ წარადგინა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიაზე. მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული პრემიის მოსაპოვებლად იყო დიდი კონკურსი, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ, გაიმარჯვა ბატონმა სერგიმ და დაიმსახურა ეს პრემია. დღეს ჩვენ აქ გვესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აღნიშნული პრემიის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე, პოეტი, ყველასათვის ცნობილი ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. მე ვთხოვ მას, განახორციელოს ეს პროცედურა.

მაყვალა გონაშვილი - საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:

მოგესალმებით და მინდა დავადასტურო, რომ მართლაც უამრავი მასალა იყო შემოსული და მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს ეს პრემია უნდა გადავცე ბატონ სერგი საჯაიას, წიგნისთვის ”დემოკრატიული“ გადაგვარებით, „ცივილური“ „გადაშენებისაკენ”.

<u>როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ბატონო სერგი, უნებლიედ გამახსენდა - ტიციან ტაბიძეს აქვს ასეთი სიტყვები: ”ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს, სხვას არავის აქვს ერის სახელით ლაპარაკის უფლება, ეს მწერლის საღვთო საქმეა და თუ ვინმეს საქართველოს მოკვლა სურს, ჯერ მწერალს უნდა ესროლოსო”. აი, თქვენი წიგნი სწორედაც რომ არის საღვთო წიგნი და სიმართლის წიგნი. დიდი მადლობა ამისათვის და გილოცავთ ამ პრემიას.</u>

შოთა გოგოხია:
დიდი მადლობა, ქალბატონო მაყვალა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონო სერგი, დღევანდელ დღეს, ამ სასახელო, არაჩვეულებრივი პრემიის მოპოვებას.

სერგი საჯაია:
დიდი მადლობა საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს და

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიას, მე ამას ვღებულობ როგორც ავანსს მომავლისთვის.

***

გარდა ამისა, როდესაც საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თუნდაც ერთი ნაწილი, ისეთი ეროვნული სახელების გასწვრივ, როგორიც ბრძანდებოდა დიადი მუხრანი, მედგარი ერისკაცი ჯოჰარ დუდაევი, სახელგანთქმული მოღვაწე ირაკლი გოცირიძე და ბრძანდება აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე - *"ღვთისა და ერის სამსახურისთვის"* მოგანიჭებს ***ზვიად გამსახურდიას სახელობის ეროვნულ პრემიას (20004 წ.), იქ რა უნდა ჰქონდეს სათქმელი სულხრწნილ ნუგზარს, მაგრამ არა, კორპორაციული დაკვეთა მისგან სწორედ ჩემს ლანძღვასა და ცილისწამებას მოითხოვს.***

ვაი, იმ სიმრავლეს, პოლიტიკური კლიმაქსის წყვდიადში ჩაძირული ნ. მგალობლიშვილის იმედად რომ დარჩა!

ცნობისათვის: ***ზ. გამსახურდიას პრემია 1995 წელს მიენიჭა პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებების გაერთიანება "მრგვალ მაგიდას", სადაც მე ბატონი ზვიადის წინადადებით წარვდგინდი ინდივიდუალურ წევრად და ამასთან ერთად წარმოვადგენდი ე. პ. მ. "ჭყონდიდელს", ანუ ეს პრემია მიენიჭა "მრგვალი მაგიდის" ყველა წევრს, მათ შორის მეც. ჩვენს გარდა იგი იმავდროულად მიენიჭა ი. გოცირიძეს, მ. მაჭავარიანს, ჯ. დუდაევს და ვ. ვანზიდლერს. შემდგომში (2004 წ.) ეს პრემია მე ცალკეც მომენიჭა, როგორც გითხარით, - ღვთისა და ერის სამსახურისთვის - ო, იუწყებოდა შესაბამისი კომისია(იხ. გაზ. „დედანი ენის სასწაული", 2004 წ. 14 ნოემბერი).***

***

ახლა კი, ბატონო მოსამართლევ, დაბეჯითებით გთხოვთ, ცნობად მიიღოთ წინა სხდომაზე ოქმში ჩაწერილი ნახმაზოდვარი ნ. მგალობლიშვილისა, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, გახლავთ არა მხოლოდ სიცრუე, არამედ მიზნობრივი ცილისწამება, ანუ კანონთან ართავსებადი, ე. ი. დასჯადი ქმედება.

კეთილი ინებოს და მოახსენოს სხდომას, - სად, როდის და რომელ არქივში მოიძია მან მტკიცებულება ჩემი აგენტობის შესახებ ზედწოდებით "Грек" და ეს ყველაფერი წარმოუდგინოს სასამართლოს, რომლის წინაშეც წინა სხდომის დროს მოხდა მის მიერ ამ ცილისწამების გახმოვანება.

***წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ნიშნავს, თქვენი თანხმობითა და ხელშეწყობით, სასამართლოს გამოყენებას ჩემს მიმართ ცილისწამებათა მიზნობრივი გავრცელების საშუალებად.***

***

12 დეკემბერს, სასამართლოს სხდომის მეორე დღეს, ელექტრონული

ფოსტით მივიღე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს აპარატის ყოფილი უფროსის, ო.ჩარკვიანის ახსნა-განმარტებითი ბარათის ასლი, რომლითაც მას პრეზიდიუმისთვის მიუმართავს 2012 წლის 4 მაისს (73-ჩ) გადავხედოთ მას და შემდეგ გავარკვიოთ, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს:

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს**
**უმაღლესი საბჭოს აპარატის დეპარტამენტის უფროსის ოთარ ჩარკვიანის**
**04.05.2012 წ. №73-ჩ**

**მოხსენებითი ბარათი**

**უკანასკნელ ხანებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართ ცილისმწამებლური წერილების ავტორი ს. საჯაია თითქმის ყოველ განცხადებასა თუ პუბლიკაციაში იყენებს ჩემს ე. წ. ”განცხადებას” უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი. სწორედ ამ ”განცხადების” ისტორიის შესახებ მინდა გავაკეთო განმარტებები: როგორც მოგეხსენებათ, ბატონი ელ. გვაზავას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შემდგომ ს. საჯაიამ და ზოგიერთმა მისმა წამქეზებელმა, რომელთაც თითქოსდა თავიანთი შემუშავებული აფხაზეთის დეოკუპაციის გეგმა გააჩნდათ, განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან ე. გვაზავას კურსს, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სტრატეგიიდან და დაიწყეს უმაღლესი საბჭოსა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ აღვირახსნილი, ცილისმწამებლური კამპანია. ისინი არ თაკილობდნენ შანტაჟის, დაშინების მეთოდებს, საფუძველშივე არასწორი, მონაჭორი ფაბრიკაციების გავრცელებას. ისარგებლეს რა ს. საჯაიამ და ზ. ზარანდიამ იმით, რომ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ტარდებოდა საქართველოს და აფხაზეთის კონტროლის პალატების გეგმიური შემოწმება, მე, როგორც აპარატის უფროსს და მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, მაიძულებდნენ დამეწერა იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც თითქოსდა ბატონი ე. გვაზავას მითითებით ხორციელდებოდა. ყოველი დღე, სამუშაო თუ უქმე, ჩემთვის იქცა კოშმარად, რადგან რიგრიგობით, ზ. ზარანდია, ს. საჯაია შანტაჟითა და დაშინებებით ცდილობდნენ ზ. ზარანდიას განცხადებებსა და მოხსენებით ბარათებში მოყვანილი მოგონილი ფაქტები დამედასტურებინა. იყო ჩემს საცხოვრებელ ბინაში დილა-საღამოს მოსვლების, ტელეფონით მუქარის ფაქტები. ბოლოსდაბოლოს, რათა როგორმე ჩამეცხრო ვითარება, მათი კარნახით დაიწერა ზემოხსენებული ”განცხადება”. მე მხოლოდ ის შევძელი, რომ არ გამეტარებინა ის როგორც ოფიციალური დოკუმენტი უმაღლესი საბჭოს კანცელარიაში, რამაც მათი კიდევ უფრო მეტი გაღიზიანება და ჩემთან ურთიერთობის დაძაბვა გამოიწვია. მათ ჩემგან მალულად მოახერხეს ამ ”განცხადების” ასლის გადაღება და ამით კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით შანტაჟირება, რათა სახალხოდ გამეცხადებინა უმაღლეს საბჭოში თითქოსდა არსებული ფინანსური დარღვევების შესახებ.**

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის სამსახურებრივი დანიშნულების ავტომანქანა შეძენილ იქნა ამისათვის გამოყოფილი შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით. რაც დაადასტურა უმაღლეს საბჭოში ჩატარებულმა აუდიტორულმა შემოწმებამაც, *<u>ხოლო რაც შეეხება კონდიციონერს, ეს</u>***

*<u>განპირობებული იყო ისევ და ისევ საბიუჯეტო სახსრების მცირედ, მაგრამ მაინც დაზოგვის მიზნით და</u>* არა მათი მითვისების განზრახვით, მოგეხსენებათ, რომ ავტომანქანების რემონტსა და ტექმომსახურებას ხელმძღვანელობდა და აწარმოებდა თავად ზ. ზარანდია და ის ვალდებული იყო თავად უზრუნველეყო ამისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში განეხორციელებინა რემონტები, მაგრამ მისივე წინადადებით და *<u>დაჟინებული თხოვნით თითქოსდა წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად მცირევადიანი მივლინებებისათვის განკუთვნილი თანხა 180 ლარი თავადვე წაიღო პროფილაქტიკის ვალის გასასტუმრებლად</u>*, ხოლო მივლინებების მის მიერვე გაფორმებული დოკუმენტაცია თავადვე ჩააბარა ბუღალტერიას.

უმაღლეს საბჭოში ს. საჯაიას, ზ. ზარანდიას და მათი ზოგიერთი თანამოაზრის მიერ შექმნილი არაჯანსაღი, ტენდენციური და პროვოკაციული ვითარებიდან გამომდინარე მე იძულებული ვიყავი დამეწერა განცხადება უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნით.

გაცნობებთ რა ყოველივე ზემოხსენებულს, მინდა რომ სწორად ვიყო გაგებული, რამეთუ ჩემს საქმიანობაში, მოყოლებული 1998 წლიდან დღემდე, ყოველთვის ვცდილობდი არ შემებღალა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ავტორიტეტი და ჩემი მცირედი წვლილი შემეტანა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაუმჯობესებისა და აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების პროცესში მისი როლის ამაღლების საქმეში, აპარატში ჯანსაღი სამსახურებრივი ატმოსფეროს შექმნაში.

ოთარ ჩარკვიანი

4.05.2012.

***

ჩემს ადრინდელ წერილებში მე ვწერდი, რომ, ჯერ კიდევ 2007 თუ 2008 წელს, როდესაც მაშინ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. გვაზავამ ახალი სასამსახურო მანქანა საეჭვო მითქმა-მოთქმის დათანამგზავრებით იყიდა, ო. ჩარკვიანმა ეს საკითხი გაასაქმა, მაგრამ შემდეგ შეაწყვეტინეს.

ამის გამო თავმჯდომარედ მოსვლისთანავე გ. გვაზავამ მას შევიწროება და ამრეზით ყურება დაუწყო, მაგრამ, რაკიღა მან აქ ორგანიზებული კორუფციის შესახებ საკმაოდ ბევრი იცის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ბრძანდებოდა, - ის არ გააძევეს, ჩამოაქვეითეს, მაგრამ მოსთხოვეს, დაპირისპირებოდა იმ წრეს, რომელსაც ა. წოწონავას თაოსნობით გ. გვაზავას ”ტახტიდან ჩამოგდება” სურდა.

სხვათაშორის, მე, როდესაც მან აპარატის უფროსის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, ვკითხე, თუ რატომ გააკეთა ეს.

მაშინ მიპასუხა, რომ ის ძალები, რომელთაც ადრე ემხრობოდა, ერთმანეთში შეუთანხმებლად და უთავბოლოდ მოქმდებდნენ, ამიტომ დამარცხდებოდნენ. ის გარეთ აღმოჩნდებოდა, ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა. კაცმა რომ თქვას, ამაში ის მართალი იყო.

ბუნებრივია, ო. ჩარკვიანი მასზე უდიდესი ზეწოლის შედეგად მაწერს ისეთ რაღაცეებს, რაც მის სინდისზე იყოს. ერთხელ, როდესაც იგი აფხაზეთის ა/რ - ის ხელისუფლებაში 1998 – 2002 წლებში ორგანიზებული დანაშაულის გამო დააპატიმრეს და ყველაფრის მისთვის შეხოცვა სურდათ, ვაჩუქე პატარა სასწაულმოქმედი ხატი ***"შენ ხარ ვენახი"*** (დიდება მის სახელს) და ვუთხარი, არ შინებოდა, ძმასავით დავუდექი მაშინ, როცა, მისი დღევანდელი „კეთილმოსურნეები" იმ დროს, როდესაც იგი დაკითხვაზე იყო, მისი ადგილის გაყიდვას სცდილობდნენ. მჯერა, ადრე თუ გვიან, ის წმინდა ხატი მას აღაღადებს სიმართლის სათქმელად, დღეს კი სხვა რამ მინდა ვთქვა, მტერი არ გაუკეთებდა ამას კაცს, რაც ო. ჩარკვიანის ახსნა-განმარტების ჩემთვის გამომგზავნებმა გაუკეთეს საკუთარ თავს. ***კერძოდ: 1. მტკიცდება, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კანცელარიაში არ ხდებოდა შემოსული საბუთების გატარება, თუ ეს ხელმძღვანელობას არ სურდა; 2. ო. ჩარკვიანი აღიარებს, რომ გ. გვაზავამ საკუთარი კონდიციონერი მოიტანა, რათა "სახელმწიფო სახსრები მცირედ, მაგრამ მაინც დაეზოგათ"*** (მართალია, ო. ჩარკვიანი, წინა ახსნა-განმარტებითი ბარათისგან განსხვავებით, რომლითაც მან 2010 წლის 16 სექტემბერს ასევე პრეზიდიუმს მიმართა, ამჯერად სხვა, უფრო "კეთილშობილ" მოტივაციას უპიროვნებს კონდიციონერის შეძენას, მაგრამ არსებითს ვერ უარყოფს, მისდაუნებურად აღიარებს, რომ აღნიშნული კონდიციონერის წარმომავლობა მეტად საეჭვო გახლავთ (ეცადნენ, მაგრამ მისი არსებობის კვალი ვერ წაშალეს და ამნაირი ფორმულირებით „გაამართალსწორეს"("გააპრავეს"); ***3. ო. ჩარკვიანი აღიარებს, რომ მცირევადიანი მივლინებების თანხების სხვა მიზნით ათვისება აქ ჩვეულებრივი მოვლენა იყო*** (ვინ-ვინ და ო. ჩარკვიანმა უნდა იცოდეს, რომ, რაც არ უნდა კეთილშობილი იყოს მიზანი, სახელმწიფო თანხის ერთი მუხლიდან მეორეში გადაყვანა ამგვარი წესით, საფინანსო წესრიგის დარღვევაა და იგი სისხლის სამართლის საქმეა, გარდა ამისა, სიყალბე არასოდეს ემსახურება კეთილშობილ მიზანს).

***ვიმეორებ, ყველაზე მთავარი, რაც ამ განცხადებიდან ირკვევა, ისაა, რომ ო. ჩარკვიანი ადასტურებს გ. გვაზავას მიერ კონდიციონერის "მცირედ, მაგრამ თანხების მაინც დაზოგვის მიზნით" მოტანასა და მოკლევადიანი მივლინებების ყალბად გაფორმების ფაქტს, ანუ სიყალბის "კეთილშობილი მიზნით" ჩადენას.***

აი, რა თეთრი ძაფით ნაკერი "სიმართლით" მოღვაწეობენ ეს თაღლითები, რომელთაც ქვეყნის ბედი გაუპიროვნა უხანო დრომ. არადა, საზოგადოება იზრდება ხელისუფლების გმირობისა და თავგანწირვის მაგალითებზეც.

მე ვეკითხები ქალაჩუნა ო. ჩარკვიანს, რომლის სახლი მართლა არ ვიცი, სადაა, - კარგი, მე დაგაშინე, დაგზაფრე, დაგამუხლისჩოქე და

დაგაწერინე ის განცხადება, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ სახელმწიფო დაცვით გამეძგილ აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში გ. ბარამიასთვის გადასაცემად რომ მოარბენინე, ახლა, უკვე მეორედ შედგენილ მოხსენებით ბარათში (23.02,2011 წ. #152, ფურც. 3), საკუთარი ხელით როგორ ჩაწერე ***"...რომ ჩემთვის, როგორც აპარატის უფროსისთვის და ზ. ზარანდიასთვის როგორც აპარატის სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური დეპარტამენტის უფროსისთვის, უცნობი იყო ზემოთხსენებული ავტომანქანის წარმომავლობის ისტორია"...,*** ანუ მიკიბულ-მოკიბულით, მაგრამ მაინც აღიარე - გ. გვაზავა თაღლითიაო. ახლა რა გამოდის, 2012 წლის 4 მაისს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსადმი დამისამართებულ ახსნა-განმარტებით ბარათში ო. ჩარკვიანი მისდაუნებურად აღიარებს, რომ 2011 წლის 23 თებერვალს, ისე, "ხოშისთვის" მას ტყუილი მოუხსენებია აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარისთვის, რაც სხვა არაფერია, თუ არა სიცრუის მიზნობრივი გავრცელება, ანუ დასჯადი ქმედება.

ახლა აქეთ მოიწი, თვალებში ჩამხედე და თქვი ხმამაღლა, რომელი რევოლვერით გადექი თავზე გ. ბარამიას მისაღებში და რაგვარად გაიძულე ან დაგეწერა ეს ან მთავრობის კანცელარიაში გაგეტარებინა (როგორც გავარკვიე, უთქვამთ, დატოვე და გავაფორმებთო, მაგრამ გარეთ არ გამოსულა, სანამ ამ ახსნა-განმარტებითი ბარათის შემოსვლის ნომერი არ დააზუსტა). გაშინებდნენ, ეს რომ დაგეწერა? გებღავლა, გეწივლა და გადაგერჩინა თავი!

ან გაზეთების რედაქციებში რომ მიარბენინებდი შენს განცხადებებს, მაშინ ვინ დაგაშინა, ვინ გადგა სულთამხუთავად, როდესაც განცხადებას გ. გვაზავას არამზადობის შესახებ ხელში აძლევდი პრეზიდიუმის წევრებს ა. წოწონავას, თ. ხუბუას, რ. ცატავას, ჯ. გამახარიას, თ. მჟავიას, ვ. ყოლბაიას... ან ის გაიხსენე, სად და როგორ გადმომეცი ეგ ოთხი ფურცელი შენი ფლიდური ჩაქირქილებით, ***ახლა შენ იცი, რაც უნდა გააკეთოო,*** რაში მითრევდი, შენი ჭკუით, ***რა უნდა გამეკეთებინა მე?!*** (ცოტა ადრე, ეს მასალა ამავე მიზნით გადმომცა ა. წოწონავამაც).

სხვათაშორის, მე შენ რომ გგონია, იმაზე მეტი მაქვს საბუთები შენს საქმიანობაზე 1998 წლამდეც, უფრო ადრეც, ჯერ კიდევ აფხაზეთში და შენ რომ „უფრთხილდები" იმ უმაღლეს საბჭოშიც, ის კი არადა, ჩემთანაა იმ სიის ხელნაწერიც, შიგ ყალბი მივლინებების ანაგროვები თანხა რომ ჩაადაღაზე, რაც მართალი, მართალია, 2012 წლის 4 მაისის მოხსენებითი ბარათის შესახებ ამა წლის 12 დეკემბრამდე არაფერი ვიცოდი, ამაზე მე ზომებს მივიღებ, რათა, იმან, ვინც ასეთ რამეებს დროულად მაწვდიდეს უნდა, აღარასოდეს შეუშვიროს თავი ამგვარ დოყლაპიობას და ასეთი რამ ათოხარიკებულად მომაწოდოს.

მე შენ ერთხელ დაგინდე. რა კაცი ხარ, ბიჭო, როდესაც იმ რაიონში,

სადაც პირველი თანამდებობის პირი იყავი, კუდის რიკამდე გაგძარცვავენ, შემდეგ ტყვიას დაგახლიან ფეხებში და პანღურით აგინალებენ საჯდომს. შენ ყველა ქვეშქვეშობა გაპატიე, რაც ამ ხნის მანძილზე გაგიკეთებია ჩემთვის. რა? - იცი ეს შენ.

აი, ამას ოთარ, რომ მე შენ, ვითომცდა, დაგაშანტაჟე, სამისდღემშიოდ დაგამახსოვრებ, შენ თუ არა სთქვი სიმართლე, თუ ვინ მოგაწერინა ხელი ამ ნაბეჭდზე, სულ მალე ციხეში იმას ამოუჯდები გვერდით, დიახ, იმას, ვინც მართალ კაცზე ლაფისმსხმელად დაგაყენა, აქაოდა, ხელფასს გამლევ და ქსა-ჰარიქაო.

***

სწორია, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თაღლით ხელმძღვანელობას შეუზღუდავი საინფორმაციო თუ ფინანსური საშუალებები გააჩნია, - წარმომაჩინოს ერთ მოცლილ, აბეზარ, უსაქმურ და ცუდ კაცად.

ამიტომ, ჩემი გულწრფელი სურვილი - გავუთვალისჩინო საზოგადოებას მისი სრული უნიათობა, დანაშაულებრივი გულგრილობა და თავარიდება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სათავზარო სატკივრისადმი, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ჩემი უთანასწორო ბრძოლა სიმართლის გასააბრებლად!

აქ სავაგლახო ის კი არაა მარტო, თუ რას ფიქრობენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის კორპორაციული პაროლის ქვეშ დარაზმული დეპუტატები ან აპარატის თანამშრომლები (ისინი ხელფასს სწორედ ამ კორპორაციული სოლიდარობისთვის - "ერთად დგომისთვის" იღებენ და არა ჩვენი მხარის ოკუპაციიდან დასახსნელი რაიმე ღირებულის მოძიებისთვის), სათავშიცემო სულ სხვა რამ, - საზოგადოების დანაშაულებრივი ხელის ჩაქნევა გახლავთ, სწორედ.

ამიტომ ბედავს გ. გვაზავას თაღლითური სიმრავლე ასეთ უტიფარ გამოხდომებს, თორემ, ის, რომ მას დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში არ მიესვლება, ეს სულ არ აღელვებს მას.

ცხადია, კითხვას, თუ სად გაქრა ერისკაცული სული ან სახელმწიფოებრივი აზროვნება აფხაზეთის შემოქმედებით, სამეცნიერო და ა. შ. საზოგადოებებში, ან როგორ დაიფხრიწა სახალხო განჩინება - არავინ გაგვიბედოს თვალებში ნაცრის მოყრა, -უდავოდ გააჩნია თავისი მკაფიო პასუხი.

სწორედ ეს პასუხია იმის პასუხიც თუ რა ათარეშებს ასე დაუსჯელად დღემდე ბოროტმოქმედებას ისეთი სახალხო და ეროვნულ-პოლიტიკური აზრის ქვეშ, როგორიცაა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო.

ასეთ დროს, ნეტავ, თავსატეხი ჩემი ლანძღვა, ან კიდევ, თუნდაც ჩემს მიმართ სრულიად დაუმსახურებელი ლაფისსროლა იყოს მხოლოდ.

მე კი  არა, დიდ ილიას, - წმინდა ილია მართალს ემახდნენ ”მტარვალს” და ”ერის მოღალატეს”, ზვიადსაც აკადრეს ეს. მახსოვს, 1988 წელს სოხუმში ერთმა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა მერაბ კოსტავას უძახა სულელი და ანტისაბჭოთა ელემენტი, გიჟიც...

ეტყობა, დიდი ილიას ამოგმინვა - *”ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს...”* ყველა სამამულო ძალისხმევის საზღაურია!

აი, ეს მტკივა მე და არა გ. წუწუნავას შეკითხვა, ვიცი თუ არა, რას ნიშნავს კოლაბორაციონიზმი!..

ვიცი, ბატონო, - ეს თქვენი სახეზოგადი შინაარსია!

***

ასეა ეს, ესენი ბოღმაში თავს იმ შურის გამო იღრჩობენ, მათდამი ჩემი დაუზავებლობა რომ ახსენებთ ყოველწამიერად საზოგადოებისგან მათთვის მიპიროვნებულს, რომელსაც ამ უთანასწორო ბრძოლით მათ მაგივრად მე ვეჭირისუფლები, რადგან ისინი ამ მოვალეობას, რა ხანია, გაემიჯნენ.

თუ მე არ ვიქნები, არც ამის შემხსენებელი ეყოლებათ, აი, რატომ უნდათ ჩემი დაძირვა ლაფში.

დავდივარ საკუთარი ცრემლის თვითმავალ ჭურჭლად გადაქცეული კაცი, ჩემი მხარშავი ტკივილების ხმაშეწყობით შეზგერებულ ჯერმონაცვლეობაში, ერთი სული მაქვს, ამოვიოხრო მაინც, რათა, არ გასკდეს ამ რაოდენობის სულმდაბლობისგან დანაფლეთი გული, მაგრამ ჩემს თავს მივუტოვებ პატივისცემას, ჩემი აზარბაცებით ამათ რომ მივა-ნიჭო სიამოვნება. ასეთ წუთებში ვემოწაფები დიადი ვაჟას ზვიადაურს, ხელფეხშეკრულს რომ მიესია უკაცობური სიმრავლე, ხოლო მან საკუთარი სისხლის ამოხრიალებად ამოულიანდაგა უფლისკენ გასაგნები სახმობი სამარადკაცო სულისკვეთებას: *”ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა”.*

***უფალო, მომეცი ძალა საქართველოში ქართველად დავრჩე!..***

**14.12.2012 წ.**

*******

**<u>მინაწერი:</u>** გითხრათ სიმართლე, სასამართლოს სხდომაზე ამ თოთხმეტეულის გნიასმა და ერთხმაში მტკიცებამ იმისა, თითქოს საძაგელი კაცი ვარ, ჩამაფიქრა კი არა, სულით ხორცამდე გამასიგრძეგანებინა საკუთარი თავი. კი ბატონო, რთული ხასიათი მაქვს, არა ვარ ადვილად საურთიერთო, მაგრამ მაინც, რატომ ხდება ასე, რომ ნ. მგალობლიშვილმა იქილიკა, ა. წოწონავამ იხმაბოდა, ხოლო ქალბატონმა რაისამ რაც თქვა, იმას ნიშნავდა, ამ კაცს აფხაზეთში ხერშვინით ხვდებოდნენო!..

ეს თუ კი ასეა, ჩემთვის სულ ერთი არაა, რა ვინაობადაც დავუდგინდები ჩემს მოდგმას და...

გადათვალიერება დავუწყე აქ, დევნილობაში მომისამართებულ წერილებს, კარგი, ქალბატონ რაისას თქმისა არ იყოს, თბილისელები, თელაველები, ქუთათურები, ბათუმლები, ახალციხლები, ფოთელები, ზუგდიდლები "გავაცურე", მაგრამ რანაირად მოვახერხე მე, კაცმა, რომელსაც ელექტერონული ფოსტის მეტი სხვა საურთიერთო საშუალება არა მაქვს, ასეთი წერილების მიღება სტამბოლიდან, მოსკოვიდან, ბაქოდან, პარიზიდან, ათენიდან, ნიუ-იორკიდან!..

გადავახარისხე ზუსტად 47 ამგვარი წერილი და სასამართლო დავას, რომელიც გონებაჩლუნგ და ჯიბგირ ა. წოწონავასთან მექნება აწი, თან დავურთავ. მანამდე კი ქალბატონ რაისასა და შურში ცოცხლად ჩახარშულ ნუგზარს ვუპასუხებ, - მართლა მეცოდებით, რადგან ასეთ წერილებს არასოდეს, არავინ არ მოგწერთ თქვენ. არც კოდორის ხეობაში ჩანაცოცხ ო. ჩარკვიანს მოიკითხავენ ამგვარად!..

***

**რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია**
**სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო**
***"ივერია"***

**რუსეთი, 191144, სანკტ-პეტერბურგი,**
**სტარორუსკაიას ქ. №8/2**
**10.03.06 №08**

***ჩვენი ქვეყნის დიდ პატრიოტს,უძვირფასესი წიგნის***
***"დემოკრატიული" გადაგვარებით - "ცივილური" გადაშენებისაკენ"***
***ავტორს, აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს***
***ბატონ ს. სააჯაის***

ბატონო სერგი (გიორგი)!

გულთბილად მოგესალმებით და გადმოგცემთ უღრმეს მადლობას შესანიშნავი წიგნის შექმნისათვის. ამასთან ერთად გამოვთქვამთ უღრმეს კმაყოფილებას და დიდ მადლიერებას თქვენი წიგნის "დემოკრატიული" - გადაგვარებით "ცივილური" გადაშენებისაკენ" რუსეთში დროებით მცხოვრები ქართველებისთვის საჩუქრად გამოგზავნისათვის.

მისასალმებელია ის, რომ თქვენ ყოველგვარი შელამაზების გარეშე, პირდაპირ ამახვილებთ ყურადღებას იმ ნეგატიურ ტენდენციებზე, რაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის ნამდვილი დემოკრატიული გზით განვითარებასა და *ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას.*

ბატონო სერგი!

თქვენი წიგნის წაკითხვის შემდეგ ძალიან დამიმძიმდა გული და წამიხდა კეთილი განწყობილება. ალბათ დროა, ქართულმა საზოგადოებამ აიმაღლოს ხმა და დაიცვას ჩვენი ღირსეული *წინაპრების სისხლის ფასად* მოტანილი *ქართული*

*ცნობიერება და ეროვნული სულიერება, რათა არ განადგურდეს და არ დაიკარგოს მისი* ღირსება ქართველ ერთან ერთად.

დიდი მადლობა თქვენ, *იმისათვის რომ დგახართ ერის საუნჯის სადარაჯოზე და ხმალამოღებული იცავთ მის ეროვნულ ცნობიერებას "ცივილური გადაშენებისაგან".*

ღმერთმა დაგლოცოთ და შეგაძლებინოთ კეთილი საქმის კეთება.

ღრმა პატივისცემით,
რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია
სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო "ივერიის"
პრეზიდენტი, საპატიო კონსული სანკტ-პეტერბურგში
ბადრი კაკაბაძე

***

ასეთი იყო თქვენი დადრა, ჩემო ნანო, თეკლე, უტა, თარაშ, უჯუშ (გიორგი)... ღირს ამგვარი თვალგახელით თოთხმეტეულის მრავალთავიან და გოლიათ ციდაკაცობასთან შერკინება!

**14.12.2012.**

***

*"დედაკაცო, აჰა, ძე შენი!.."*
*იოანე - 19,27;*
*"ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ"...*
*იაკობი - 4, 3;*
*"ჩვენი ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა,*
*თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია..."*
*წმინდა ილია მართალი;*
*"მარგომ ჯაყოს ახალუხი და საცვლები თვითონ შეუკერა,*
*თავით ფეხებამდე ჩააცვა, ხევისთავთა ხმალ-ხანჯალი ჩამოჰკიდა..."*
*მიხეილ ჯავახიშვილი*

***

**26.12.2012 წ.** გრძელდება ჩემს მიერ (დროის დასტურით უკვე საზოგადოებისგანაც) მხილებულ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საზეპურო, ანუ ელიტურ ბოროტმოქმედებათა გადაფარვის მცდელობა სასამართლოს სხდომაზე არაარსებითი საკითხების განხილვით.

თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელე სინამდვილეში სასამართლო განხილვაზე კი არ დადის, არამედ საკუთარი წინმსწრებმტკიცებითი აკვიატებების გასასაგნებლად ირჯება, ანუ თვითმკვიდრდება იმის გასაქან-დაკებლად, თითქოს, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო არ შეიძლება, რაიმეში ცდებოდეს და ის ყოველთვის და ყველგან ეჭვმიუკადრებლად მართალია!..

არადა, სწორედ ეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ლ. მარშანია ირწმუნებოდა თავის

დროზე, ძირითადად "არჩეული იქნა", უფრო სწორად, დაკომპლექტდა სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან, მაშასადამე, იმპერიულ ძალებთან თანამშრომლობის საფუძველზე (დიახ, ამის შესახებ ბატონი ლორიკი არაერთ თავის ნაშრომში წერდა, მაგრამ ცალკეული მხილებების საფუძველზე, ვრცლად ეს გარიგება მიმოიხილა თავის წიგნში *"Правда о трагедии Абхазии" (თბილისი, 1997, გვ. 23-24).*

ლ. მარშანიას ნაშრომები ამის შესახებ უტყუვრად ადასტურებენ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში შემოპარული და საეჭვოდ მოხელისფათურე ძალების საქმიანობას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობის სახალხო ნების საწინააღმდეგოდ, რასაც მოჰყვა ის, რაც არის. ამაზე ახლა შორს წაგვიყვანს საუბარი, მაგრამ არ შემიძლია, ლ. მარშანიას ზემოთხსენებული წიგნიდან ერთი შემზარავი მაგალითი არ მოვიყვანო, როცა, როგორც დრომ დაადასტურა, ყოვლად თვითმარქვიად (და შემდგომში ბატონ ზვიადთანაც გვქონდა ამ საკითხის დაზუსტების საშუალება), ვითომცდა "მრგვალი მაგიდის" სახელით, ცალკეულმა ჯგუფებმა ყველანაირი საარჩევნო წესის დარღვევითა და გაყალბებით ოჩამჩირეში ხალხის მიერ ხმამიცემულ ლ. მარშანიას ნაცვლად "დეპუტატად" გაიყვანეს ვ. აშხაწავა - შემდგომ აფხაზეთში მოსახლეობის გენოციდის მოწყობისა და ეთნიკური წმენდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. დიახ, აი, ასეთი სისხლისმსმელის "არჩევა", ვიმეორებ, როგორც პროფესორი ლ. მარშანია იტყობინებოდა, ვ. არძინბას მითითებასთან ერთად, ნ. მგალობლიშვილის, თ. მჟავიასა და სხვა ცრუ "მრგვალი მაგიდელის" ძალისხმევებმაც განაპირობეს.

აქედან და ამისთანა ქმედებებიდან გამომდინარე, მარტო ის, რომ სხვა იმპერიულ ხვანჯთან თუ აგრესიული სეპარატიზმის მუხანათობასთან ერთად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ცალკეულ დეპუტატთა წინგაუხედავი პოლიტიკის (ეს ძალიან რბილად და მიმტევებლურად რომ ვთქვათ) შედეგიცაა დღეს გასხვისებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედოსხეულიდან ჩამოგლეჯა, თაობიდან თაობაში აზორგებული ცოდვა გახლავთ, ხოლო ასეთი გარიგება იმგვარი საუკუნეთო ბოროტმოქმედებაა, რაც ამ ხალხს (თოთხმეტეულს) არ უპიროვნებს სახალხო რწმუნებას, - იყონ აფხაზეთის ხელისუფლებაში (ეს მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ, ამას წინათაც გითხარით, რომ დღეს ასეთია საზოგადოებრივი განწყობა, დადასტურებული ისეთი ცნობილი მოღვაწეების ნაშრომებში, როგორებიც არიან ლ. მარშანია, ნ. მესხია, გ. სალუაშვილი, ნ. ბაღდავაძე და ა. შ.).

იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას ჩამოსცილდნენ ის ბოროტმოქმედი თანამდებობის პირები, რომლებიც აფხაზეთის ა/რ-ის ლეგიტიმურ სახელისუფლებლო შტოებში ორგანიზებულ კორუფციას ღიად და აშკარად მფარველობდნენ, დიახ, დიახ,

სწორედ ასეთ დროს პატივცემულ სასამართლო სხდომას შევახსენებ, რომ ჩემს წინამდებარე წიგნში წარმოჭრილი საკითხები, რომელთაც თოთხმეტი ე. წ. მოსარჩელე ედავება, არ შეიძლება ნომენკლატურული გარჩევების ან პოლიტიკური ვაჭრობის თემად ვაქციოთ, რადგანაც იგი (ეს წიგნი), უპირველეს ყოვლისა, ***გახლავთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს გასწვრივ ჩვენთა ღირებულებათა სხვადასხვაობის საკითხი, რაც ვერ იქნება ჩემი მხრიდან რაიმე დათმობის, გადაფასებისა თუ აზრის შეცვლის საგანი. მე არ ვარ ის კაცი, რომელიც შუადღემდე ერთ მხარეს იყურება და ნაშუადღევს მის საწინააღმდეგოდ ილაციცება.***

დიახ, წინამდებარე წიგნი, რომელიც მანამდე, 2011 წელს ყველანაირად და ყოველმხრივ გასაჯარისებული წერილების კრებულს წარმოადგენს, გამოიცა 2012 წლის 15 იანვარს. 14 თებერვალს მისი ცალები და ელექტრონული ვერსია უკვე გააჩნდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას; 28 თებერვალს იგი მიეწოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თ. ხუბუასა და პრეზიდიუმის წევრს ჯ. გამახარიას; 7 მარტს ის, სათანადო განცხადებასთან ერთად *(იხ. გაზ. "აისი", 2012 წ. 19 მარტი; გაზ. "ილორი", 2012 წ. 20 მარტი),* სახელმწიფო დაცვის აფხაზეთის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ლ. ყაზახაშვილის მეშვეობით გადაეცა იგივე თ. ხუბუას დეპუტატთა ჯგუფთან განსახილველად **(შესვლის №55, 2012წ. 9 მარტი).** აქვე უნდა განვაცხადო, რომ 2012 წლის იანვარში ზ. ზარანდიამ გამომართვა ამ წიგნის ორი ცალი და მითხრა, - ერთი ჩვენი საერთო მეგობრისთვის მინდაო. ირკვევა, რომ გაცილებით ადრე, სწორედ ამ ცალით გაეცვნენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ჩემს წიგნს. მანამდე (2011 წლის განმავლობაში), როგორც მოგახსენეთ და გახსოვთ, კრებულში მოთავსებული წერილები გამოქვეყნდა *"საერთო გაზეთში", გაზეთ "ილორში",* აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ელექტრონულ ჩახვიაში (ვებ-გვერდზე - *scofara@gmail.com*) და ა. შ. რომელთაც იმავე გაზეთებში იმავდროულად, ანუ 2011 წელსვე გამოეხმაურნენ, მართალია, ცილისმწამებლურად, ლანძღვითა და ლაფის სროლის წესით უპასუხეს ჩემს მიერ წამოჭრილ საქვეყნო სატკივარს, მაგრამ მაინც შემომებოღმიანნენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ცალკეული დეპუტატები (გ. ფაცაცია, ნ. მგალობლიშვილი), მათ შორის თავმჯდო-მარის მოადგილე ა. წოწონავა, ასევე, აქედან საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სახელით გაავრცელეს "საგანგებო" განცხადებაც, რომელშიც მათი სულიერი ამონარწყევი მიმოიყროლა ირგვლივ. ასე, რომ ისინი ამ წერილებს ჯერ კიდევ 2011 წელს იცნობდნენ საფუძვლიანად. უფრო მეტიც, ხმამაღლა ვაცხადებ, 2012 წლის 10 აპრილისათვის ეს წიგნი ჩაბარებული იყო საქართველოს პარლამენტის, მისი იურიდიული კომიტეტისა და ანტიკრიზისული საბჭოს

თავმჯდომარეებს, იუსტიციის სამინისტროს, მთავარ პროკურატურას და ა. შ. სადაც მათი მფარველები უკვე ადგენდნენ მათ დასაცავ ცრუ მოძრაობებს, ***ანუ 2012 წლის 8 აგვისტოსათვის, როდესაც თოთხმეტეულმა ე. წ. სარჩელით მიმართა სასამართლოს, - ამ წიგნის გამოცემიდან გასული იყო 6 თვე და 23 დღე; საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ჩაბარებიდან - 5 თვე და 25 დღე; აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსთვის განსახილველად გადაცემიდან 5 თვე და 8 დღე; ამდენივე დრო იყო გასული გაზეთ "ილორში" (2012 წ. 28 თებერვალი - 6 მარტი) ჩემი მიმართვის გამოქვეყნებიდან. მასში აღვნიშნე კიდეც იმის შესახებ, რომ ეს წიგნი უკვე გამოიცა, ასევე, 2012 წლის 20 მარტიდან, როდესაც მე დავიწყე საპროტესტო აქცია (გაზ. "ილორი", 2012 წ.27 მარტი), განაბიჯებული გახლდათ 4 თვე, ...და ბოლოს 2012 წლის 10 აპრილიდან, როდესაც წინამდებარე ნაშრომი უკვე ჩაბარებული გახლდათ ზემოთ დასახელებულ სახელმწიფო ინსტიტუციებში, ჩაკრიალოსანდა სამი თვე და 29 დღე. ყველა ეს ვადა, როგორც ხედავთ, ბევრად აღემატება იმ ხანგრძლივობას, ანუ 100 დღეს, რომლის განმავლობაშიც მათ (თოთხმეტ მოსარჩელეს) უფლება ჰქონდათ სარჩელი მოემზადებინათ და მიემართათ სასამართლოსთვის***, მით უფრო, რომ წიგნში მოთავსებული მასალა, როგორც ეს ხმისჩახლეჩამდე აყვირებით გითხარით, 2011 წლის განმავლობაში, ანუ ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა მეთქი ზემოთ მითითებულ მედია საშუალებებში, რაზედაც (ესეც გითხარით), სხვათაშორის, სიტყვის ბანზე აგდების წესით, უსაშველო ცილისწამებებითა და აულაგმავი ლანძღვით მპასუხობდნენ ერთსხეულად აგნიასებული ეს ვაიწარმომადგენლები ხალხისა.

აქ სავირეშმაკო ილეთი ძალიან მკაფიო მოცემულობას მოიცავდა: წინა ხელისუფლების დროს, როდესაც სამართალდამცავ ინსტიტუციებში ბოროტმოქმედება აღმავლობის გზაზე იდგა, რასაც ადასტურებს კიდეც ამ დღეებში საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრის (და არა მხოლოდ მის) წინააღმდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აღძვრა და სამართალდამცავი სამსახურების სადღეისო დამოკიდებულება ყოფილი მთავარი პროკურორისადმი, თანაც კონტროლის პალატის ყოფილი უფროსის დადანაშაულება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აღმოჩენილი კორუფციის წარმმართველებთან თანამონაწილეობაში, ასევე შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის (თავის მოადგილესთან ერთად) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და ა.შ. არადა, ყველა ეს ხალხი მფარველობდა გ. გვაზავას კორუფციულ საქმიანობას. რა თქმა უნდა, წინამდებარე ე. წ. სარჩელი მათი რჩევებითაც მომზადდა ჩემს მიერ მათი მხილებების საპირწონედ, ***რათა ზემოთხსენებულ "სამართალდამცველთა" ზურგის ქარის წყალობით დავდანაშაულებულიყავი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი***

***საბჭოს მიმართ "ცილისწამებების გავრცელებაში"***, ეს კი მართული მედია საშუალებებით გასაჯარისდებოდა ჩემს მიერ მხილებულ კორუფციაში "დანაშაულებრივი ქმედებების ვერ აღმოჩენად", მოკლედ, დანარჩენი ***სულაც სათაღლითო ცრუმოძრაობათა და თვალებში ნაცრის მყრელობაში ხელსიმარჯვის საქმე ხდებოდა.***

მიზანი დღესაც იგივეა: ასეთი არარსებითი საკითხების თავსმოხვევით უნდათ გადაფარონ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში დაქსელილი ჯგუფური ბოროტმოქმედებები. ეს ხალხი მართალი რომ იყოს, აი, იმ საკითხებზე - მათი ჯგუფური ბოროტმოქმედებების ასხმულად რომ მკაფიოვდება, ახსნა-განმარტებით უნდა იწყებდეს სასამართლო დავას.

ამავე დროს ხმამაღლა მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ესოდენ ღრმადპატივცემული სასამართლო, რომელმაც თუ თავს მოიხვია თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელის შენიღბული ცრუმოძრაობები, ნებით თუ უნებლიედ ***მოემსახურება მთავარი საკითხიდან ჩვენს გატყუებას***, საარსებითო სვლაგეზიდან გადახვევას, ანუ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მიზანმიმართულად წარმოებული ბოროტმოქმედებების შეგნებულ შენიღბვას. ამდენად, ეს ვერ ჩაითვლება დავის არსებით განხილვად, ***სანამ არ დავადგენთ მთავარს, არის თუ არა კანონიერი წინამდებარე ე.წ. სარჩელი.***

ბატონო მოსამართლევ, როგორც გახსოვთ, წინა სხდომაზე (26.12.2012 წ.) გ. გვაზავამ განაცხადა, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ (ლ. ბეჟაშვილმა) 2010 წლის ოქტომბერ-დეკემბერში "შეამოწმა" აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო და იქ "ვერ აღმოაჩინა" კანონდარღვევები. გ. გვაზავას ამ განცხადებას იმიტომ შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ "ჩატარებული შემოწმება" და ამის შესაბამისი დასკვნა გ. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეებისათვის, თავიანთი აწ უკვე მხილებული მფარველების წყალობით, დღემდე იქცა ისეთ შემოჯავშნებად, რომელშიც ეჭვის შეპარება კინაღამ სახელმწიფოს ღალატად განიხილებოდა და განიხილება, ამიტომ, თავისი ბოროტმოქმედული საქმიანობის შესახებ ყველა სამხილს, გ. გვაზავა ამ დასკვნას უპირწონებდა. ე. წ. შემოწმების ეს "დასკვნა", როგორც უკვე მოგახსენეთ, ***თავის დროზე გარიგებითა და ჩაწყობით, ძალიან აშკარა თვალწახუჭვისა და ყურდახშობის პირობებში დაიწერა*** (ადრე გითხარით, რომ დ. ახალაიასა და გ. გვაზავას „კეთილმეზობლობამაც" იქონია ამაზე გავლენა, თანაც ლ. ბეჟაშვილს (ესეც გითხარით) რაღაც ახლო ნათესაობა ჰქონია ა. წოწონავას ყოფილ მოადგილესთან და ა. შ.).

თუ როგორი ეჭვმიუტანლობა გახლავთ საქართველოს კონტროლის პალატის ის ავადსახსენებელი "დასკვნა", ამაზე, ისევ და ისევ ვიმეორებ, მართალია, ირიბად, მაგრამ ამავე დროს, მკაფიოდ მეტყველებს 2012 წლის

28 დეკემბერს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის დ. დარახველიძის მიერ გამოქვეყნებული განცხადება ***(საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხის პროგრამა "მოამბე", ასევე II არხის გადაცემები)***, რომელშიც ამ სამინისტროს წინა ხელმძღვანელობა იმხილებოდა ლტოლვილთათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგისა თუ სხვადასხვა ძვირადღირებული ნივთის (გაზქურები, ღუმელები, ტელევიზორები და ა. შ.) დიდი ოდენობით მითვისება-გადამალვაში, ანუ, ძალიან რბილად რომ ვთქვა, - მათ ბრალი წაეყენათ ამ ქონების არადანიშნულებისამებრ, ხელმრუდი მიზნით გამოყენებასა და ზოგიერთი მათგანის შეგნებულ გაუვარგისებაში. ზარალი, როგორც თვალის ერთი შევლებით ჩანს, რამოდენიმე მილიონ ლარს აღემატება.

გასაკვირი, ისევე, როგორც ***<u>გ. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეების "შემოწმების" შემთხვევაში, აქაც ის გახლავთ, რომ კონტროლის პალატამ, რომელმაც კ. სუბელიანის მინისტრობის გრძლიობა ორჯერ "ძირისძირამდე შეამოწმა", როგორც ირკვევა, აქაც მილიონობით ლარით ღირებული ქონების დანაკლისი, განიავება თუ განგებ, საეჭვო ვითარებაში გაფუჭება "ვერ შეამჩნია"</u>***. ის კი არადა, ხელმრუდი კ. სუბელიანის "უანგარობა" "ჭეშმარიტებად" დაადგინა და, რა გასაკვირია, "არ შეემჩნია" ამასთან შედა-რებით წვრილი ნაჯიბგირალი გ. გვაზავასი. მით უფრო, როდესაც მას, როგორც გასაგებად გითხარით, თვით ლ. ბეჟაშვილისგან (თუ რატომ, ეს უკვე მოგახსენეთ) მიზნობრივად მზერა მოსადავებული "შემმოწმებლები" "უმართალსწორებდნენ" ("უპრავებდნენ") ნათაღლითარ საბუთებს ***(მინისტრმა დ. დარახველიძემ ამ "შემოწმებას" ბოროტმოქმედებაში კონტროლის პალატის თანამონაწილეობა უწოდა. სხვათაშორის, ამ დღეებში დააპატიმრეს ვანის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე სამსახურებრივი მანქანის საბუთების გაყალბების გამო (სამსახურებრივი სიყალბე). ასეთი სიყალბე და საბუთების გახელმრუდება გ. გვაზავას სათავმჯდომარეო ყოფაქცევის ღერძული მიმართულება გახლავთ).***

ასე და ამრიგად, ამის გასწრივ თავისი ბაცაცობის, ზნეობრივი ქონდრისკაცობისა თუ პოლიტიკური უმეცრების აფარდება თაღლითმა გიამ იმითაც სცადა, რომ ჩემი მოღვაწეობის გაქილიკება სცადა, "თავის წიგნებს მის გარდა არავინ კითხულობსო".

ვინ როგორ კითხულობს ჩემს წიგნებს, ეს უწიგნურ გ. გვაზავას გასარკვევი არაა, მაგრამ უბედურება ის კი არ გახლავთ, რომ მას დასიზმრებითაც ვერ დაესიზმრება თუ ვინ რას კითხულობს ჩემს წიგნებში, - სათავშისაცემო ისაა, რომ ***<u>აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მესვეურებს განაგონიც არ აქვთ ის საკითხები, რასაც, როგორც ამ რაობაში განსწავლულნი და საქმის მცოდნენი ადასტურებენ, ჩემდა საამაყოდ, მოიცავენ ჩემი წიგნები</u>***. სამაგიეროდ, ბატონი გია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართულობას ამ მხრივ ანგარიშგასაწევ

წრეებში მსჯელობისას და თავის პოლიტიკურ განცხადებებში, ახერხებს რა საასეთსაკითხო ფუძემდებლური დებულებების გვერდის ავლას, ამგვარი ყურმოკრულობებით "ამტკიცებს", თითქოსდა, "სოჩა" (ქ. სოჭის სახელი) წარმოსდგება "სო რჩა"-დან (ის, რომ, ჯერ ერთი, "სოჩას" ქართულად "სოჭი" ჰქვია, რაც ბგერობრივად არ ემთხვევა "სო რჩა"-ს და "სოჩა" გარუსულებული "სოჩის" გადმოღებაა, ეს გ. გვაზავას განაგონიც არა აქვს, მეორეც, - სოჭის შინაარსობრივ რაობაზე, რომელიც მის ქართულობას ნამდვილად ადასტურებს, სამეცნიერო წრეებში სხვადასხვა მოსაზრებაა, რომელთაგან, მე პირადად, პროფესორ ზ. რატიანის გამოკვლევებისკენ ვიხრები). აი, ამ დონის, - ორიოდე "ბირჟავიკისა" თუ ნორილსკელი ტურისტის სათამადოდ ვარგული "მწიგნობარი" გახლავთ იგი, ამიტომ, წიგნების კითხვაზე საუბარი გ. გვაზავასთან, რომელსაც ***ბოლომდე ი. გოგებაშვილის "დედა ენაც" არა აქვს ჩაკითხული, დროის განიავებაა.***

მისი ქილიკით ჩემს წიგნებს ლაფი ვერა და ვერ მოეშხეფება, თავს კი იუწინდურებს: ჩემი ნაწერები ზ. გამსახურდიას მოსწონდა, - სულნათელ მირანდა ფალავანდიშვილისა და დიდოსტატ კონსტანტინეს ***"კოლხურ კოშკში" გაერისკაცებულ ქრისტესმხედარს.*** ამის გასწვრივ, მართლაცდა, ვინ გდია გ. გვაზავა, ან რა ისეთი "იავნანურით" გაინაოჭა ტვინი, რომ არ მოსწონს ჩემი ნაწერი. ეს მისი სულბერწი თვალსაწიერის ხელმოცარულობაა და მეტი არაფერი, რაც "გამოსულობა" ჰგონია საწყალს!.. (მის "იავნანურთან" დაკავშირებით ერთხელ უკვე მოგახსენეთ ა. წოწონავას აზრი).

სანამ სიტყვას განვაგრძობდე, ბარემ იმასაც ვაცნობებ ჩემს "პოლიტიკურ არაკეთილსაიმედოობაზე" საჩივრის შემდგენლებს და ერთხელ კიდევ გავახმიანებ, რომ 2012 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გაასაჯარისა სამართლებრივი დევნა იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზ. ადეიშვილის მიმართ. ამასთან ერთად, 2012 წლის 29 დეკემბერს, 14 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხის პროგრამა "მოამბეში" (ასევე II არხზე) ითქვა ასეთი დაუეჭვებელი წინადადება პრეზიდენტ მ. სააკაშვილის შესახებ: ***"როგორც აქამდე არაერთხელ გადაჩეხა ქვეყანა, გამორიცხული არაა, მომავალშიც მოუნდეს ეს და ამიტომაა საჭირო კონსტიტუციური შესწორების მიღებაო"!..***

ახლა მე ვეკითხები ჩემზე საბეზღარი წერილის ხელმომწერებს, აქაოდა, თავის წიგნებში მ. სააკაშვილს აკრიტიკებსო, რატომ არ უჩივით "მოამბეს"?!.. აქვე შეგახსენებთ, საახალწლოდ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ***რომ სისტემა დამარცხდაო, ანუ მ. სააკაშვილის რეჟიმი აღმოჩნდაო მკვდრადშობილი.*** მეც იგივე ვთქვი იმ განსხვავებით, რომ ეს განვაცხადე ძალიან დიდი ხნით ადრე ჩემს წიგნებში. ამ წიგნებს თქვენ უჩივლეთ მაშინ, ახლა ***უჩივლებთ თუ არა იმავე მიზეზის გამო, რისთვისაც მე დამაბეზღეთ, ბატონ ბიძინა ივანიშვილს?***

თავისუფლება და სამშობლო მხოლოდ ჯიშისმიერი მეხსიერების ენით ანუ საკუთარი კულტურით მეტყველებს და ქვეყნის სააზროვნო წესში ცხოვრობს. მისი სანიშანსვეტო სვლაგეზი უფლისკენ გზის გაგნებაა. სხვანაირი თავისუფლება, რისკენაც გ. გვაზავას თაღლითური ხელგარჯი-ლობა გეწევათ, სინამდვილეში ზნეობასთან ზურგით დგომაა და სათარეშო აღვირახსნილობა გახლავთ, რომლისთვისაც სიმართლე მხოლოდ ისაა, რასაც ეს ჯოგური სიმრავლე ახმოვანებს (არადა, როგორ არ მინდა ამგვარ ჯოგურ ფეხაწყობაში დაიდგინონ თავი!).

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ეთნიკური წმენდის შემდეგ დევნილობაში დაბადებული თაობა, რომელიც ხელოვნურად მოსწყდა ოდაბადურ გარემოს და თავი თავსმოხვეულ სიცხადეში და უნდობარ გარემოში ჩამოიყალიბა ვინაობად, დღეს კინაღამ არ აზროვნებს იმ წესით, როგორც გადმოგვეფესვა წინაპრებისგან.

ჩვენ ვერ შევძელით მათთვის ბუნებრივად ჩაგვეჯინჯებინა მშობლიური მეხსიერება და სასახლიკაცო ხიდი ჩაინგრა ჩვენსა და მათ შორის. დღეს მათი უმრავლესობა ***არცაა თავისი აზროვნების წესით აფხაზი, ანუ ამ მხარის ქართველი. მათთვის ეს მხარე არაქართულ ქვეყნად იქცა.***

ასეთ დროს, ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო იცლის ამგვარი თავგართობისთვის და თავს არიდებს სახალხო თავსატკივრის ჭირისუფლობას, თანაც ყოველმიზეზგარეშე ცდილობს გ. გვაზავას ბოროტმოქმედებათა მიფარდებას, - ***გახლავთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ზნეობრივ-სახალხო პარტახი***. რა თქმა უნდა, იმის გასწვრივ, რომ ჩვენ, როგორც მსოფლმხედველობრივად განსხვავებულ მხარეებს გვძულს ერთმანეთი, უფრო სწორად, მათ ვძულვარ მე და ეს მთელი სიცხადით დადასტურდა სასამართლოზე განსაკუთრებით ნ. მგალობლიშვილის ამონაროშ ყოვლისმკადრებლობასა თუ სხვათა ნახმაბოდვარში, ამის მიუხედავად, ის, რაც მათმა ადვოკატმა გ. წუწუნავამ გაახმოვანა, სხვა არაფერი იყო, გარდა იმისა, რომ ეს ხალხი, ანუ სახელმწიფო ინსტიტუცია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, თავიანთ მთავარ საქმედ იხდიან მათ „სახალხო მოღვაწეობაში“ არა რაიმეს თვითკრიტიკულს(შეადარეთ, თვით უწმინდესისა და უნეტარესის ქადაგებები და ეპისტოლეებია თვითგანწმენდითი და სინანულისკენ მოგვიწოდებენ), არამედ, ყველა საშუალებითა და ილეთით ჩემს ყოველმიზეზგარეშე განადგურებას მიხაფანგებენ. ამიტომ ჩემს წინააღმდეგ საბრძოლველად დაქირავებულმა გ. წუწუნავამ დაუფარად განაცხადა 2012 წლის 26 დეკემბერს, რომ ***”ჩვენ შენს წინააღმდეგ ომს ვაწარმოებთო”.***

იმ ვითარებაში, როდესაც ***აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო მთლიანად ამაზეა გადართული და სხვას არაფერს აკეთებს, ამისთვის იხარჯება სახსრები, საამისოდ ახალ სახელდახელო სამსახურებში***

***ინიშნებიან სათანადო გაიძვერობით დაჯილდოებული ადამიანები***, ძნელია, ამაში არ დაეთანხმო გ. წუწუნავას - ადვოკატსა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ საგანგებო ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომელს. ***დიახ, იგი იმგვარადვეა დაქირავებული, როგორც სასულთო უწყებაში ნებისმიერ კაცისმკვლელთან (ქილერთან) ხელმოწერით ასომთავრულდება სათანადო გარიგება***, იმ განსხვავებით, რომ იგი საზურგე მახვილის, ჩანიღბული ტყვიისა თუ შემტკბარი საწამლავის მაგივრად ***სიცრუითა და სიყალბით მემშვილდისრება.*** ...და ეს იმიტომ, რომ მათთვის ამ დავაში მათგან განიშანსვეტებული მიზანი არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ, აქ ჯოგურად ჩადენილი ბოროტმოქმედებებისა და სიყალბეების "გამართლსწორებაა".

ამ ხალხისთვის (თოთხმეტი ე. წ. მოსარჩელისათვის) არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა არგუმენტი. დავუშვათ, დაგაბრალეს ტროლეიბუსის მოპარვა და მისი გადამალვა სადღაც უღრანში. შენ ეუბნები, რომ ამას ვერ იზამდი მხოლოდ იმის გამო, - გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე, ტროლეიბუსს ვერ წაიყვანდი იმ დასაწვავ უღრანში.

არა, არავინ ჩაფიქრდება იმაზე, მართლაცდა, როგორ უნდა წაეყვანა ამ კაცს ტროლეიბუსი კაცშეუღწეველ ქურსუმში, ამის მაგივრად ერთხმად აგნიასდება თოთხმეტივე, - ხომ თქვეს, ხომ დაარეხვეს, - როგორ შეიძლება, ეს ჭეშმარიტება არ იყოს, იგი ხომ კაცღმერთების საფიხვნოდან გახმოვანდა!

ზუსტად ასეთია მათი მიდგომა ჩემს მიმართ მათ მიერ წაყენებულ საჩივრებშიც. აქვთ მეორე სასაქციელო მარქაფაც: იყავი შენ მართალი, მერე რა?!. გამდის, ხოში მაქვს და გიმტკიცებ, ხალხს ვაჯერებ, რომ შენ მტყუანი ხარ, - ასე გეუტიფრებიან თავხედურად.

დღეს, როდესაც ყველა საინფორმაციო საშუალება ერთხმაში იტყობინება მ. სააკაშვილის არასახალხო საქმიანობას, ლამის უთოც კი იმას ირწმუნება, რომ ***"მ. სააკაშვილს ქვეყნის წინაშე არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი, აფხაზეთი და ახალგორი, გინდაც ცხინვალი დაგვაკარგვინა თავისი უჭკუობით"*** -ო - რევაზ ჩხეიძე - კინორეჟისორი, სახალხო არტისტი ***(საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი, 4 იანვარი, 2012 წ.)***; სხვაგან კიდევ თითს მკაფიოდ იშვერენ - ***"მაჰიდი სააკაშვილი იდიოტიზმის ზღვარზე"***-ო ***(გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 5 იანვარი, 2013 წ.)***, როდესაც თითქმის ერთმა მილიონმა ქართველმა საკუთარი ხელმოწერით დაუჭირა მხარი მის გადადგომას, ხოლო 4 იანვარს ქალაქებში - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, თელავი, ზუგდიდი, ფოთი და ა. შ. სახალხო ქუდზეკაცობამ მოითხოვა მ. სააკაშვილის გადადგომა უკანონოდ გახანგრძლივებული თანამდებობიდან, დიახ, ბატონებო, როდესაც საქართველოში 50-მა ორგანიზაციამ იგი ქვეყნის ღალატში ამხილა, რაც მთავარია, ცნობილმა

მწერალმა რეზო ჭეიშვილმა ხალხმრავალ გაერთმუშტებაზე 2013 წლის 4 იანვარს პრეზიდენტის სასახლის წინ გაახმოვანა სრულიად საქართველოს სახალხო განჩინება ამ მტარვალის გადადგომის მოთხოვნის შესახებ ***(გაზ. "ახალი თაობა", 5 იანვარი, 2013 წ.)***, ასევე, 8 იანვრის ბრიფინგზე ერთსულოვნად დაიგმო ამ კაცის მაოხარი წინგაუხედაობა, ასეთ ვითარებაში კი არ გექილიკებით, მართლა, ადამიანურად მაინტერესებს, ***ეს თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელე ისევ იწონებს მ. სააკაშვილის საპრეზიდენტო საქმიანობას?!.*** თუ არ იწონებს და თვალი აეხილა, რატომ არ აღიარებს, - ამ უბედურებასთან დაკავშირებით, რასაც ***მ. სააკაშვილი ჰქვია, ს. საჯაიას ჩვენამდე ჰქონდა თვალები ახელილი***.

მე ამ შეკითხვას არ დაგისვამდით თქვენ, - მ. სააკაშვილის იმ ერთადერთ მომხრესავით რომ გამოჩენილიყავით პრეზიდენტის სასახლესთან 2013 წლის 4 იანვარს, თან მასავით ხმის ჩახლეჩამდე ლექსების კითხვით ხელი შეგეშალათ ათიათასობით მოქუდზეკაცისთვის და ამგვარად დაგეცვათ თქვენი საყვარელი ბატონი მიხეილი ამრისხანებული საზოგადოებისგან. - არადა, სახალხო ნება უყოყმანოა, ***ნაცმოძრაობის ნარჩენებისგან ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო სამსახური უნდა გათავისუფლდეს!..*** ყოველდღე ***მოითხოვს ხალხი და თქვენც მოგიწევთ პასუხის გაცემა, - ისევ მ. სააკაშვილის მხარეზე ხართ დღეს?!.***

არა, თქვენ ასე არ გინდათ, მარტო თევზი გიყვართ, ფეხის დასველება - არა!

ეს 14 ე. წ. მოსარჩელე გ. გვაზავასთვის გახლავთ 14 ლოდი (ვერაფერს იტყვი, აკვაჭებს ბიჭი), რომელზედაც უკვე მოიპირკეთა ბაქანი თავისი სათავმჯდომარეო სავარძლისთვის, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნებისმიერმა ამ თოთხმეტთაგანმა ეს ხვედრი არა თუ მოხალისედ, რაღაცნაირი ზეშთაგონებითაც კი გაიპიროვნა. ასეთ დროს, შენ რომ მათთვის უფლისგან ისევ სულჩადგმაზე ილოცო, 14-ვე ლოდი შენს ჩასაქოლ 14 ლოდსატყორცნად ამრისხანდება.

ამის საუკეთესო მაგალითად იმ დღეს (2012 წ. 26 დეკემბერს) გამოიძერწა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. ხუბუა, რომელიც, როგორც მან წაყვედრებით განაცხადა, ერთ დროს მეგობრობდა, თურმე, ჩემთან!..

საქმე ისაა, რომ მან იმისათვის, რათა მიეჩქმალა ჩემი წიგნის გამოცემის თარიღი, რასაც მნიშვნელობა ეძლევა წინამდებარე ე. წ. სარჩელის კანონიერების განსაზღვრისას, სასამართლოს ამ სხდომაზე "ვერ გაიხსენა" თუ რა წიგნი და რომელი გაზეთი მთხოვა დილაუთენია 2012 წლის 28 თებერვალს. ეს კია, ვერ უარყო, რომ ჯ. გამახარიასთან ერთად შემხვდა და "რაღაც წიგნი" გამომართვა*(სისწორეში გარკვევისთვის შევიდეს საკუთარ კანცელარიაში და გაეცნოს, 2012 წლის 9 მარტს რა*

*მასალას დაესვა №55*). ეს შეხვედრა მას შეუთანხმებია პრეზიდიუმთან, ***"რათა პირში მოეხალა ჩემი ცუდკაცობა, რადგან უკადრის საქმეს ჩავდიოდი"***, *თურმე*. ამით იგი იმ ქალივით ირჯება, სანახევროდ ქალწულობას რომ ელაციცება, სანახევროდ კი ფეხმძიმობას ეერთსხეულება. რახან ამაზე წავიდა საქმე და თ. ხუბუა ფეხის ქირას ითხოვს ***"ჩემთან მეგობრობისთვის"***, აქვე, უმცდარად უნდა გავარკვიო, ვის ვისი რა მართებს ჩვენ ორში. რაკიღა თ. ხუბუამ მისხალი სამამაკაცო ღირსებაც არ შეირჩინა, თუ ჟამთბერისგან მამაკაცობაში აღდგენა უწერია, მე ვეცდები ვაპოვნინო იგი და კიდევ ერთხელ შევახსენებ თუ რისთვის მთხოვა მაშინ, სისხამზე შეხვედრა: ***1. დამენდო რ. ცატავა და არ გამომექვეყნებინა მომდევნო წიგნში ის სამხილი, რაზეც პირველ ნაწილში მივანიშნებდი და რომელიც არა მხოლოდ მას (რ. ცატავას), არამედ, მისი (თ. ხუბუას) თქმით, მთელს გალის რაიონს მოსჭრიდა თავს (აქვე "გამანდო", რომ თუ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, რ. ცატავა ერთ წიგნს თავისი ხარჯით გამომიცემდა); 2. მისი გადმოცემით, - რ. ცატავას ჩემთან შეხვედრა სურდა და ხომ არ შევხვდებოდი მას?! 3. უნდა გამეგო თ. ხუბუასთვის, რადგანაც იგი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პირველი პირი არ იყო და, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, - მართალი ვარ, მეტის გაკეთება არ შეეძლო; 4. დიდი მადლობელი იყო წიგნებისა და გაზეთებისთვის, რომლებიც მას და ჯ. გამახარიას გადავეცი, ეცდებოდა, პრეზიდიუმზე განეხილა ესენი და კარგი იქნებოდა თუ მანამდე ოფიცია-ლურ წრეებში არ დავარიგებდი; 5. განცხადება, რომელიც მას და დეპუტატთა ჯგუფს დავუმისამართე, მისთვის არ გადამეცა, რადგან მას ამისთვის გაუწყრებოდა გ. გვაზავა და ჩემთან მეგობრობაში დასდევდა ბრალს (შემდგომში იგი თანდართული წიგნით, როგორც ზემოთ გითხარით, პოლკოვნიკ ლ. ყაზახიშვილის მეშვეობით გადავეცი. იხ. ზემოთ დამოწმებული ჩანაწერი კანცელარიის სააღრიცხვო წიგნში); 6. მან (თ. ხუბუამ), როდესაც საკუთარი სასამსახურო მანქანით წამომიყვანა მ. კოსტავას სახლ-მუზეუმისკენ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადამიხადა იმაზე, რომ ასე გავუგე და, მიუხედავად იმისა, რომ მე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ვებრძოდი ელიტურ კორუფციას, ის ჩემთან მეგობრობით ამაყობდა, რადგან (როგორც მან თქვა) იცოდა ჩემი წონა.***

აი, ეს იყო იმ დილით ჩვენი სასაუბრო დღის წესრიგი, რომელსაც თითქმის ბოლომდე ესწრებოდა ჯ. გამახარიაც და თუ იმანაც არ გადათქვა, წესით უნდა გაახსენდეს ეს ყველაფერი ბატონ თამაზს ***(ახლაც თვალწინ შემზარავად მიდგას სასამართლოს სხდომაზე თ. ხუბუას მუხანათური ყურისგდება ადვოკატ გ. წუწუნავას კარნახისადმი, - "არ გაეხსენებინა" თუ რა წიგნი გადავეცი იმ დღეს. კი ბატონო, მე თამაზს დავარტყი მაგრად, ეს მან დაიმსახურა, მაგრამ მოქნევამდე ყოველთვის წინასწარ***

***ვაფრთხილებდი, რასაც გამოიწვევდა მისი ორპირული ქვეშქვეშობები. ახლაც წინგასახედად ვაფრთხილებ, - ბატონო თამაზ, მე თქვენ ხელში დაგაკავებთ სათქვენოდ შესაფერის ცოცხს, როდესაც მომდევნო წიგნში გალის მოსახლეობის მიერ მოწოდებული მასალების შესაბამისად, აღვწერ 1993 წლის შემოდგომაზე თქვენდამიც რწმუნებული რაიონის მოვლენებს, გამოვაქვეყნებ თქვენს საეჭვო და რიგ შემთხვევაში მოღალატურ საქმეებს, რომელთაც მოჰყვა ქვეყნის უბედურება. ეს იქნება არა მარტო სახალხო ბრალდება თქვენს "მოღვაწეობაზე", არამედ უტყუარი დახასიათება ე. წ. დეპუტატ თ. ხუბუას არაბედიანური ვინაობის).***

ვიმეორებ, ჩემი წიგნები ***"შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობები"..*** და გაზეთ **"ილორის"** იმ დღის ნომრის ეგზემპლარებიც მაშინ გადავეცი მათ. რაც შეეხება იმას, რატომ თვრამეტი ("თვრამეტია-ნელები"), ეს რაოდენობა 17-ზე მეტია და ნაკლები გახლავთ 19-ზე, ანუ იმდენია, რამდენმაც შეთითხნა ჩემი საბეზღარი და ჩემგან მ. სააკაშვილის "დასაცავი" განცხადება, რომელთაგან 16-მა ხელი მოაწერა მას და ორმა, გ. გვაზავამ და კიდევ ერთმა, ანუ იმავე თ. ხუბუამ, იმ ხანად ანონიმად არჩიეს ყოფნა.

ახლა, რაც შეეხება თ. ხუბუას "მეგობრობას". თავიდანვე მან სცადა, რაკი ის დეპუტატი იყო, საბჭოთა ჯარში გავრცელებული "დედოვშჩინის" მაგვარი ურთიერთობა, სთქვა კიდეც - ***"არადეპუტატები დეპუტატებს უნდა მოემსახურონო"***, მაგრამ მე მას ამ მხრივ კოვზი ნაცარში ჩავუგდე, რადგან მკაცრად ავუხსენი, ეს მეორედ არ ეთქვა ჩემთან, ვინაიდან, ძალიან ცოტა მეგულებოდა დეპუტატი, რომელმაც ეთნიკური წმენდის დროს არ მიატოვა თავისი ამომრჩეველი და ჩემზე მეტი გააკეთა უბედურების ადგილებიდან მათ გამოსაყვანად. მართლაც, ამის შემდეგ ის და სხვაც ამ საკითხში ჩემთან თავშეკავებული იყო, თუმცა, დანარჩენი თანამშრომლების მიმართ ასეთი ამპარტავნობა თავს იჩენდა ხოლმე.

მას სხვა რამისთვის ვჭირდებოდი. მართალია, ახლა ეს თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელე ცდილობს, წარმომაჩინოს ისეთ კაცად, რომელსაც, თითქოს, ყველა გაურბის, მაგრამ თუ როგორ გამირბიან მე პირიანი ადამიანები ან რა დონეზე მენდობიან ისინი, ეს ვინ-ვინ და თ. ხუბუამ ძალიან კარგად იცის. ისიც უნდა ახსოვდეს მას, თუ როგორ გამოიყენა ჩემდამი საზოგადოების ასეთი ნდობა თავისი თავსატეხების მოსაგვარებლად არა მარტო მან, უამრავმა ამ თოთხმეტ ე.წ. მოსარჩელეთგან. იცის კი არა, ეს სულ ზეპირად გაიმკაფიოვა მან. აქ ფულთან ურთიერთობაზე მაქვს საუბარი: - მიუხედავად მათი არაკეთილსაიმედოობისა ამ საქმეში, ისინი მრავალგზის გამომიყვანია ჩიხური ვითარებიდან და თავად გამიცია პასუხი მათი უპირობისგან თავსმოხვეული უსიამოვნებებისთვის. ***ფულთან ურთიერთობას აქვს ერთი ღერძული წესი, მასთან შემხებლობა ხელებსუფთა და პირმტკიცე კაცისთვისაა უთავსატეხო. ამასთან***

***დაკავშირებით აქ დავსვათ წერტილი. დააკლდეს ჩემს კაცობას, რაც არ ვთქვი.***

**სხვა რამ მინდა გავასაჯაროსო:** 2010 წლის გაზაფხულზე, იმ დროს, როდესაც ა. წოწონავა და რ. ცატავა ცალ-ცალკე, თავთავისთვის გეგმავდნენ გ. გვაზავასთვის სავარძლის წართმევას, მოხდა ისე, რომ გაზეთ ***"საქართველოს რესპუბლიკაში"*** გამოქვეყნდა ნ. მგალობლიშვილის ინტერვიუ, რომელშიც, კაცმა რომ თქვას, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებზე ძირითადად სიმართლე ითქვა ***("როგორ უღალატეს ქართველმა დეპუტატებმა ქართულ საქმეს", 13 მარტი, 2010 წ.).*** არ ვიცი, ამ ინტერვიუს მომზადებასთან რა შემხებლობაში იყო ა. წოწონავა, მაგრამ ნ. მგალობლიშვილის შეფასება ვ. არძინბას მიერ გალის, სოხუმისა და გულრიფშის რაიონების გამგებელთა დანიშვნაზე, ჯერ ერთი სწორი იყო და მეორეც, ა. წოწონავას ეს ხელს აძლევდა ამის სისწორის გამო კი არა, იმიტომ, რომ სათავმჯდომარეო სავარძლისთვის ბრძოლაში მოწინააღმდეგეს (რ. ცატავას) აართმევდა ქულებს.

აქ მიუღებელი ნ. მგალობლიშვილის სულ სხვა დებულება იყო: ***"...თქვენ შეგიძლიათ არძინბას არჩევის შემდეგ, იმ დღესვე იქნას მოწვეული საოლქო კომიტეტის პლენუმი, სადაც მე დამაბრუნებთ ჩემს თანამდებობაზეო, ანუ პირველი პირი კვლავ ადლეიბა გახდებოდა. მან პირობა დადო, რომ აფხაზეთის კონსტიტუციას შესაბამისობაში მოიყვანდა საქართველოს კონსტიტუციასთან"...***

ჯერ ერთი, ნ. მგალობლიშვილის ეს მსჯელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მსოფლმხედველობრივ შინაურობას აფხაზეთის პარტოკრატიასთან, თორემ, ვის-ვის და "მრგვალი მაგიდის" სიით ხელისუფლებაში მოსულს უნდა მოეხსენებოდეს, რომ აფხაზეთის ასსრ მოსახლეობამ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ხმა "მრგვალ მაგიდას" მისცა, ანუ კომპარტია ამ არჩევნებში, ისევე, როგორც სრულიად საქართველოში, დამარცხდა, აქედან გამომდინარე, ამ დროისათვის ბ. ადლეიბას არჩევა საქართველოს კპ აფხაზეთის (უკვე) რესპუბლიკური კომიტეტის პირველ მდივნად, ***მას ვერ გახდიდა პირველ ხელისუფლად. ამიტომ, ის, რომ ეთნოკრატიული კომპარტია ქართულ საქმეს გააკეთებდა, იმ დროს გარედან შემოგდებული არაეროვნული დაკვეთის გახმოვანებაა. უფრო მეტს გეტყვით, ქართული საქმე აფხაზეთში "ქართულმა" პარტოკრატიამაც არ გააკეთა... აქ სხვა რამაა საგულისხმო: კომპარტიული ინერციით ნ. მგალობლიშვილი ისევ საბჭოთა ბერკეტებში ეძებდა „გამოსავალს"!..***

აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 4 დეკემბერის სესიამ, მიუხედავად მისი წინააღმდეგობრივი ხასიათისა, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია ბ. ადლეიბას გარეშეც შესაბამისობაში მოიყვანა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან.

უბედურება სხვა რამ გახლდათ, - რომლის ფესვებიც, ისევ და ისევ, ეროვნულ მოძრაობაში მიზნობრივად დელეგირებული ზოგიერთი მედროვის ორპირულ და წინგაუხედავ ბუნებაში იდო.

თავის მხრივ ა. წოწონავამ სცადა ამ ინტერვიუსთვის მეორე ნაღმიც მიეხრახნა: კერძოდ, რაკი გ. ბარამიასა და თ. ხუბუას შორის ამ დროს ურთიერთობა დაიძაბა, ა. წოწონავამ მთავრობის თავმჯდომარის "შეშველება" იმით მოინდომა, რომ რ. ცატავა წააქეზა თ. ხუბუას წინააღმდეგ. აქ თავისთავად მეორე ნაღმს ემარქაფებოდა მესამე ნაღმიც: მას (ა. წოწონავას) სურდა, ურთიერთობა გაეფუჭებინა ჩემსა და თ. ხუბუას შორის. ***ამიტომ რ. ცატავას "გაანდო" თავიდან ბოლომდე მიზნობრივად შეთითხნილი ტყუილი, - თ. ხუბუას დაკვეთით მოამზადებინაო ს. საჯაიამ შენს წინააღმდეგ ნ. მგალობლიშვილის ეს ინტერვიუ ჟურნალისტს.*** ერთ დღეს ა. წოწონავამ მითხრა, - ხომ ვართო ჩვენ ძმები, - კი მეთქი, ვუპასუხე. - მაშინო, მითხრა, მე რაღაც ვუთხარი რ. ცატავას და შენ თუ გკითხა, დაუმოწმეო. ამასობაში ვიღაც შემოვიდა და ეს საუბარი შეწყდა...

ცოტა ხანში დამირეკა გ. ბარამიას მდივანმა და სასწრაფოდ მთხოვა გამოცხადება მთავრობის თავმჯდომარესთან. იქ დამხვდა რ. ცატავა. გ. ბარამიამ კონიაკი ჩამოასხა და გვადღეგრძელა, შემდეგ რ. ცატავამ აიღო სიტყვა და მე მომმართა, - ***ხომ ხედავ, ამ კაცს თ. ხუბუა და გ. გვაზავა მუშაობის საშუალებას არ აძლევენ, სასწრაფოდაა ჯერ თ. ხუბუა მოსაშორებელი, ამას მე გავაკეთებ, ანზორმა ყველაფერი მითხრა, მაგრამ შენ უნდა მოახსენოო პრეზიდიუმს, რომ ჩემს წინააღმდეგ გაქეზებსო... თუ თ. ხუბუა არ მოვიშორეთ, ჩვენ ჩიხში აღმოვჩნდებითო.***

მე ვუპასუხე, რომ ასეთი დავალება თ. ხუბუას არ მოუცია და ვერც მომცემდა, ეს იყო ტყუილი, მეორეც, მე არ ვარ ის კაცი, ვისაც ვინმეს წინააღმდეგ წააქეზებენ ან თითზე დაიხვევენ. ა. წოწონავას ამაზე პასუხს მოვთხოვდი (მოვთხოვე კიდეც, რაზეც მიპასუხა, რომ ძმობა ხანდახან ასეთ კომპრომისს მოითხოვსო. მაშინ ავუკრძალე ჩემი სახელის გამოყენება მომავალში თავისი ინტრიგებისათვის). ბოლოს გ. ბარამიას განვუცხადე, რომ თუ თ. ხუბუა მავნებელია და დავრწმუნდი ამაში - მე თვითონ ვიცი, როგორც ვებრძოლო მას მეთქი.

სხვათაშორის, გ. ბარამიამ მითხრა, მე შენ თ. ხუბუას წინააღმდეგ ბრძოლას კი არ გავალებ, ის მითხარი, მართლა მოითხოვა თუ არა შენგან რ. ცატავას გაშავებაო.

ამით დავამთავრეთ ის საუბარი, როცა რუდიკი გამოვიდა მისგან, იმავე დღეს და იმ წუთშივე შევხვდი გ. ბარამიას ცალკე და გულმოსულმა ვუთხარი, რომ ა. წოწონავას და რ. ცატავას მე არ ვენდობოდი, ამიტომ მათი თანდასწრებით არასოდეს ესაუბრა ჩემთან მსგავს საკითხებზე, რადგან მათი ორპირული ბუნების გამო, ისინი უფრო მომგებიან ვითარებაში, შუბლისძარღვშეურხევლად უღალატებდნენ მასაც და ჩამიშვებდნენ მეც

(შემდგომში ეს ასეც მოხდა).

ასევე, იმ პირისპირ შეხვედრაზე გ. ბარამიას განვუმარტე, რომ, რაც შეეხებოდათ თ. ხუბუასა და ჯ. გამახარიას, - ჯ. გამახარიას დრო არ ჰქონდა მის წინააღმდეგ დემარშებისთვის, ამაზე პასუხს მე ვაგებდი პირადად, ხოლო თ. ხუბუასთან უფრო რთულად რომ იყო საქმე, ეს გავუცხადე, - მაგრამ მისდამი რ. ცატავასა და ა. წოწონავას გეგმების შესაბამისი საქმიანობა გამოუსწორებელი შეცდომა რომ იქნებოდა, არც ეს დამიმალავს, - რომელიც წინ ძალიან ცუდად დაგვხვდებოდა. - თუ შენ წინააღმდეგი არ იქნები, მე ვიმუშავებ იმისთვის, რომ თქვენს შორის ურთიერთობა დავათბო მეთქი.

ამის შესახებ მე არავისთან არ მისაუბრია, ჯ. გამახარიას ვუთხარი მხოლოდ, რომ თ. ხუბუასა და გ. ბარამიას ურთიერთობის დათბობისთვის ხელშეწყობა ცუდი არ იქნებოდა. ასეთი საუბარი აგრეთვე მქონდა მაშინ მთავრობის აპარატის უფროსთან მ. თორიასთან, რომელსაც ავუხსენი, რომ თუ თ. ხუბუას საკითხის განხილვა ა. წოწონავასა და რ. ცატავას მიერ მიწოდებულ კონტექსტში განვითარდებოდა, ეს იქნებოდა სახაფანგო სვლა, რადგან ამ ადამიანებს, ვინაიდან ისინი ორპირები არიან, ზნეობრივი ღირებულება არ გააჩნიათ, ამდენად, ღალატი მათთვის აბანოში შესვლასავითაა მეთქი (დიდი იმედი არ მაქვს, რომ მოინდომებენ, მაგრამ ყოველივე ამის სისწორის გადასამოწმებლად, სურვილის შემთხვევაში, არაერთი ბერკეტი აქვს როგორც თ ხუბუას, ასევე - ჯ. გამახარიას).

საერთოდ, ყველანაირ ორთაბრძოლას თავისი მიზეზები აქვს, - როგორც შემეძლო, ვებრძოლე ქვეყნის მტრებს, რომლებიც ახლაც მისანგრდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მიუხედავად მათი თანამდებობრივი აღმატებისა, ***<u>მათზე უკეთ შევერკინე სამშობლოსთან მოორპირეებს</u>***.

ნებისმიერ თაღლითობას, რომელიც რაღაცნაირად ახერხებს პოლიტიკურ თვითდამკვიდრებას, ბოლო მაინც ისტორიის სანაგვეში აქვს.

წეღანაც ვთქვი, - ახალ წელს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მ. სააკაშვილის პოლიტიკური დიქტატურა, როგორც სისტემა, დამარცხდაო. ***<u>ახლა რა ვქნა მე, თუ ამ კაცის ქართველთსპობითი ხასიათი</u>***, ***<u>განსხვავებით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს იმ თვრამეტი მაზეზღარისა და ამ თოთხმეტი ე.წ. მოსარჩელისა, ძირფესვიანად ვიცოდი მისი თვითდამკვიდრების დღიდანვე</u>***. კი ბატონო, მესმის - ასეთი სიცხადე მოითხოვს იმას, რომ ჩვენ შევძლოთ პატიება მათთვის, ვინც აღიარებს და მოინანიებს საკუთარ თავში ორპირულ ცდუნებათა ათარეშებას.

მაგრამ მანამდე უფლებას დავიტოვებ, ქვემორე შეკითხვები დავუსვა ე. წ. მოსარჩელე თოთხმეტეულს: ***ბატონებო, დამისახელეთ ასპარეზი, გარდა თაღლითურისა, რომელშიც წინ გამისწარით და ჩემზე უფრო არგეთ ქვეყანას?***

***<u>გამომიფინეთ რაიმე ისეთი სულნამცეცობა, რომლითაც მე ან ჩემმა</u>***

*ჭირქვეშეთმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) თუ აქ, დევნილობაში ვუგანეთ ჩვენს ხალხს? - გადახედეთ იმდროინდელ ჩემს საქმიანობასა და ამ მარჯვენით შედგენილ წერილებს, ერთი - ძალიან რიგითის კვალობაზე, არ ვიბრძოდი ქართული საქმისთვის? არ ვიცავდი ქართულ ენას? არ ვაღვივებდი მამულიშვილობას? სადმე უპასუხოდ დავტოვე ქართულზე შემოქნევა?!..*

*შური და უმადურობა იმთავითვე ამემგზავრა, კაცუნათა ხროვა გულითადი მაყრიონივით მომსდევდა საშუაკაუროდ. მახსენდება, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად რომ დავიწყე მუშაობა, მოსწავლეებს კლასგარეშე მეცადინეობებზე ქართულ ასომთავრულს ვასწავლიდი (ის მაშინ საშუალო სკოლაში არ ისწავლებოდა, ხუთი წლის შემდეგ შეიტანეს მე-8 კლასის პროგრამაში). სასწავლო ნაწილის გამგემ პედსაბჭოზე აღნიშნა, რომ "მე სრულიად უსარგებლო საქმეს ვეწეოდი და მოსწავლეთა გადატვირთვისთვის" საყვედური გამომიცხადეს. ასეთივე ბედი მეწია, როდესაც მოსწავლეებს მოვთხოვე ჟურნალების "მნათობის", "ცისკრის" და ა. შ. გაზეთის "ლიტერატურული საქართველოს", კიდევ მსოფლიო ლიტერატურის 80 ტომეულის თუნდაც გადათვალიერება.*

*საყვედური ასევე მაქვს მიღებული შემდგომში, როცა სკოლის დირექტორად დავინიშნე და ფაკულტატიური საათების ხარჯზე ქართულ ენასა და ლიტერატურასთან ერთად, გავაძლიერე საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება, ბერძენი და არმენი მოსწავლეებისთვის კლასგარეშე მეცადინეობის სახით დავიწყე მათი ენისა და ისტორიის სწავლება და მიმოხილვა...*

*დიახ, მე აფხაზეთის ა/რ-ის საბჭოთა სკოლებისთვის ასეთ "ჯერ არ გაგონილ მკრეხელობას" როდესაც ჩავდიოდი, ზოგიერთი თქვენგან "ზეპურთაგანი" ქართულ მიწას ყიდდა და კოლაბორაციულ საქმიანობას ეწეოდა. კოლაბორაციული მოღვაწეობისთვის მაინც და მაინც მტრის მწყობრში ანაბიჯება არაა საჭირო, ის განზე დგომისას უმართებულო დუმილითაც ხდება.*

*ასეთი განწყობა ზურგის ქარად კი არა, პირდაპირ ეგრიგალებოდა თქვენს სასაშოვრო ხელგამოღებას, მისი პირმშოა, ვთქვათ ასე, სახეზოგადობად - თქვენი თვითმიზნური ჩალიჩი საზღვარგარეთული ავეჯისთვის, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო გემოვნებასთან. ასეთივე მიზნით იშენებდით სრა-სასახლეებს, გეხელმარჯვებოდათ შვილების ჩაწყობით ჩარიცხვა თავმოსაწონ სასწავლებლებში, ეს არ იყო ძალისხმევა სულის პურობისა თუ მშვენიერებისთვის, წიგნიერების ან განათლებისთვის, იგი გახლდათ მხოლოდ ღიპი თქვენს ბერწ სულებზე, რადგან ვერა და ვერ მიეერთსხეულეთ დიადს, უფლისეულს.*

*თქვენ იმგვარად რუსდებოდით ჩიქორთულში, რომ ვერ იწყალუხვებდით რუსულ სულიერებას და ამ ხალხისგან მხოლოდ მათი*

*ყოფითი მანკი და ველიკოდერჟავნიკულ სისასტიკეს ემოწაფებოდით (ეს ასეა დღესაც, როდესაც ხმაბაძულები დასავლეთის ქუჩისფსკერულობაში ნებივრობთ და არა მის მაღალ სულიერებაში).*

*თქვენ ისე გამოგაძევეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან), რომ ერთხელაც არ მიერთსხეულებიხართ თქვენი წინაპრების ნახუროთმოძღვრალ ბიჭვინთას, ლიხნს, ანაკოფიას, კომანს, ბაგრატის ხიდსა და სასახლეს, დრანდას, მოქვს, ბედიას, ვერ კითხულობდით მათზე ამოწერაქვებულ ასომთავრულს, თქვენს რუსეთუმე ყურთასმენას არ ესმოდა მათი ქართული აღაღადება. ამ სიწმინდეთა ჭერქვეშ არ ანთებდით სანთელს, არ გილოცნიათ წინაპართა სალოცავებზე... სოჭში მაღალხარისხიანი არაჟანისა და ძეხვისთვის ჩადიოდით და არა მისი სულიერი შემომშობლიურებისათვის!*

*ქართული თეატრი თქვენთვის არ არსებობდა, წიგნებს კარადის გასაწყობად ყიდულობდით... მე, მაშინაც ეტყობა თეთრი ყვავი, ამას იმთავითვე ვამხელდი და ქართველად ვცხოვრობდი, როდესაც თქვენ პირწმინდად ქართულ (მეგრულ) გალის რაიონში რუსულ სკოლებს ერთი მეორის მიყოლებით ხსნიდით, ხოლო ქ. გალის რუსული სკოლა გასარუსებელ ინკუბატორად აქციეთ, სადაც 1989 წელს 1306 მეგრელი სწავლობდა, უფრო სწორად რუსდებოდა.*

აბა, მოითვალსაწიერეთ თქვენი თავმჯდომარისა თუ მისი მოადგილის შვილებიდან, რომელს აქვს მშობლიური განათლება მიღებული?!

მართალია, რაკიღა იბადება კაენური სული, ქვეყანაში ბოროტმოქმედები ყოველთვის იქნებიან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ, როგორც ახალი ხელისუფლება გვპირდება, ხელისუფლებაში არ იბოგინებენ ბოროტმოქმედები.

ასეთ ვითარებაში ა. გასვიანს, თქვენს მიერ დახლართული ხვანჯებში ასე ულმერთოდ ჩათრეულ თითქმის 80 წლის მხცოვანს (ღმერთმა მეორე იმდენი უზობოს) კიდევ ახალი ნახმაზოდვარი გაუვრცელებია ჩემზე.

ბატონო კაკო, ტყულად იწვალებთ ამ მხრივ თავს, მე გითხარით მთავარი, რასაც უფლის ნებით ჟამთაზერიც ადასტურებს, - თქვენ ღვთისა და ერის წინაშე ძალიან ბევრი პასუხგასაცემი კითხვა დაგიგროვდათ. ახლა, რაც არ უნდა ამოისაქმოთ პოლიტიკური კლიმაქსის ტყვეობაში მონებივრე თოთხმეტეულის საამებლად, ეგ სიმყრალე მე ვერას მავნებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემი სულიერი სავანე უფლის სახლია და არა თქვენმიერი, მაშასადამე, სამუხანათო ჯოგის ხართა, რომელშიც ეს ადამიანები იბინადრებენ საკუთარ თავს.

რაც გინდათ წერეთ. მეც დავწერ იმას, რასაც უფალს მიმოწაფებული ზნეობა მიკარნახებს. ვერც თქვენ და ვერც მე, მიუხედავად იმისა, რომ მიწიერ სიბრტყეზე არამზადული გაშლიგინებისა თუ თვითმარქვია

გაძეგლება - გაკვარცხლბეკების დიდოსტატები ხართ, ვერ ჩავაწყობთ საქმეს ჟამთაზერებთან.

დიახ, გადავწყვიტე მომავალში არ ვუპასუხო ამ უღმერთოთა ქილიკს, ყურმოკრულობების გავრცელებას, ცილისმწამებლურ ავყიობებს, ამით ისინი დროს საკუთარ საძრახობაში თვითონ უძეგლებენ თავს, ***სალანძღავად ამაოდ მოელეწებიან ჩემს ვინაობას და ძვრასაც ვერ უზამენ მის მიწიერად საავკარგო შინაარსს, რომელსაც უფლისკენ გზის გაწალდვის გარდა, სხვა საზრუნავი არ გააჩნია დღეს***.

დროს აქვს საოცრად უმცდარი სამართლიანობა, ***- ნებისმიერი ნაგავი, რომელიც, რაღაც გაუგებრობის გამო წმინდა ადგილზე იყრება, სიწმინდედ არ გარდაიქმნება, ჟამთაბერი მას საბოლოოდ საკუთარ რაობაში ასაგნებს და მკაფიო სახელსაც აქედან გამომდინარე უზუსტებს, ამიტომ, ბუნებრივია, ნაგავს ნაგავი ერქმევა მუდამ!..***

ამასობაში, როგორც უკვე გითხარით, ხელისუფლებამ მზაობა გამოთქვა შესახებ იმის, რომ ყოფილი მთავრობის ბოროტმოქმედებები, თუ მათი ჩამდენები მოინანიებენ მას, პატიებული იქნება.

ჩემის მხრივ ასეთ დროს ვერც მე ***"ვიქნები რომის პაპზე უფრო კათოლიკე"*** და უფლისა და ჩვენი ტანჯული დევნილი მოსახლეობისთვის მიმინდვია ეს საქმე. ერთიც გაითვალისწინეთ, აწი ვერ გიზურგისქარებთ ***დათა და ბაჩო ახალაიები, დავით ტყეშელაშვილი, დავით ბაქრაძე, მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, გიორგი ბარამიძე, მურთაზ ზოდელავა, ზურაბ ადეიშვილი და ა. შ., თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც მიხეილ სააკაშვილი - ქალბატონ სანდრა რულოვსთან ერთად.***

იფიქრეთ ამაზე.

მანამდე კი შეგახსენებთ, ჩემი უკანდაუხევლობით ვეცდები, თქვენში ჩავაცხრო სისწორისთვის ჩაფურთხების ნებისმიერი მცდელობის მადა, რამეთუ, ეს სულაც არ იქნება ამპარტავნობა თუ ხმამაღლა გავაოთხივკუთხებ, - ***მე, ეტყობა და ბევრი რამიდანაც ჩანს ასე, თქვენზე ერთგულად ვეშვილე ჩემს ხალხსაც და ქვეყანასაც, ვემოწაფე ერის მეხსიერებას, რაც მთავარია, ღვთისმშობლის დედობრივი კალთისკენ გავიბილიკე შარა!..*** განსხვავებით თქვენგან, მე შური, ჩასაფრება და ბოღმა არ მაპირისპირებს თქვენთან, ***- ნებისმიერ თქვენგანში ეშმაკს დაშეგირდებულ ქართველს მივსტირი და მხოლოდ ამიტომ ჩავინიშნები დროის რვეულში თქვენზე მკაფიოდ.*** იკითხეთ წმინდა წერილი, ხსნა მხოლოდ მის წიაღშია: ***"გულისხმა - ყავთ აწ, უგუნურნო ერისანო და ცოფნო, ოდესმე გულისხმა - ჰყოთ. რომელმან დაჰნერგა ყური, არა ნუ ესმოსა? ანუ რომელმან შეჰქმნა თუალი, არა ნუ ხედავსა? რომელი სწავლის თესლებსა, არა ნუ ამხილოსა, რომელთა ასწავის კაცთა მეცნიერებაი? უფალმან უწყის ზრახვანი კაცთანი, რამეთუ არიან ამაო..." (ფსალმუნი - 13, 93).***

***

თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელის ავყიური თავდასხმები სასამართლო სხდომაზე და მათ შორის ნ. მგალობლიშვილის, გ. ფაცაციას, ა. წოწონავას, დ. გვაძაბიას, ა. გასვიანისა თუ სხვათა საგაზეთო ცილისწამებები ზუსტად ისეთივე მიზეზის "საპირწონე" და იგივე შინაარსის მატარებელია, როგორითაც დიდ ილიას ესხმოდა თავს ***"...ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები"*** *("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის...")*: ***"- დამიშინეს საშინელი ლაფის სეტყვა და თან დამყვიროდნენ: გიჟია, გიჟია!***

***მაგრამ არც ერთხელ მე არ მომხვედრია, სულ საწყალს ლუარსაბსა ხვდებოდა და წებოსავით ზედ ეკვროდა, ასე, რომ იმათი ნიმუში ლუარსაბი ხომ მოტლაპული იყო, უფრო ამოიტლაპა.***

***ახლა, მკითხველო, ზიანი ვის მისცეს იმათა? მე, თუ თავიანთ თავსა? რასაკვირველია, თავიანთ თავსა, იმიტომ, რომ თუმცა მე მესროდნენ ლაფსა, მაგრამ ის ლაფი ჯერ ხომ იმათ უსვრიდა ხელებს, მერე იმათვე პორტრეტს ხვდებოდა და მით უფრო ტალახის ფერი და ნიშანი ემატებოდა"*** *("მითამ ესეც წინასიტყვაობაა!!!")*.

არადა, ჩემი მიზანი უფლისეული თანადგომაა მხოლოდ: ***"კიდეც იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო, რომ ამოტლაპული ხარ გუბეში, რომელსაც შენ სამასხროდ ცხოვრება დაგირქმევია: იქნება შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხო"*** (*იქვე*).

მეტი საქმე არა აქვთ: გ. გვაზავა, რომელიც ხელმრუდობისა და ორპირობის სახეზოგადობად დადგინდა საქმეში ჩახედული საზოგადოებისათვის, თოთხმეტეული ე. წ. მოსარჩელის შემოსაჯავშნ რაობად იქცა. აქაც იმნაირივე ხელგამოღებაა, როგორც წმინდა ილია მართლის მიერ გასაჯარისებულ ტლაპოში: ***"... როგორ არ გესმის? ჩვენი ლაფი მაგას აცხია და მაგისი ჩვენა, გაიგე? რომ მიგყავს, სად მიგყავს? მაგის შერცხვენა ჩვენი შერცხვენაა. ამოდენა ხანია, ვიმალებით ამ ოხერს ადგილას და ჩვენი სახელისთვის გუბიდან თავი ვერ ამოგვიყვია, უცხომ არ დაგვინახოსო, დღეს კი შენ მოსულხარ, ქვეყანას უნდა გაჩვენოთო. სადაურია? თავი დაგვანებე..." (იქვე).***

რაღა დავუმატო დიდი ილიას ამ სტრიქონებს, რომელთა წერისას, დამეთანხმებით, გეგონება ამ თოთხმეტი ე. წ. მოსარჩელის სასამსახურო პირადი საქმეები წინ ედო საქართველოს სულიერ მამას. ისევ მისი სიტყვებით დავამთავროთ ამ ამონარიდთა ასხმულა: ***"... ამ წუმპეს*** *(აქ ჩავსვათ "აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს" - ს. საჯ.)* ***ქართველები*** *(იქნებ ჩავანაცვლოთ სიტყვა "თვალებში ნაცარშეყრილი საზოგადოება," ს. საჯ.)* ***სამასხროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომლებიც შიგა ლპებიან, - ადამიანებს..."*** *(იქვე)*.

დიდება უფალს, ყური როგორ არ უნდა მიაგებო უფალსმიწვდენილ ამ ღაღადისს?... და თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება ამ შედარებათა ტოლფარდობაში, მან არ იჩქაროს, - კეთილი ინებოს და სასამართლოს შენობაში თვალი შეავლოს თოთხმეტეულისა თუ მათ გულშემატკივართა ერთსულოვან შემოუტიფრებას და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს დასკვნა!..

***

ეს კი განცხადებაა შესახებ თქვენი თარეშული ბოროტმოქმედებებისა თუ ვერაგული ჩასაფრებებისა:

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს
საქართველოს მთავარ პროკურორს, ბატონ არჩილ კბილაშვილს
აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ბარამიას
აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას

*ნ. ნიკოლაძის, გ. შარვაშიძისა და ზ. გამსახურდიას პრემიათა ლაურეატის,*
*მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრის*
*სერგი საჯაიას, მცხ. ქ. თბილისი, ვაზისუბანი, შანდორ პეტეფის ქუჩა №17, ტელ.: 2 75 46 72; 599 11 75 93*

განცხადება

ბატონო ბიძინა,

ბატონო არჩილ,

მოგახსენებთ, რომ 2012 წლის 10 აპრილს, შემდეგ 01, 08, 28 მაისს, 14 ივნისს, ასევე მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბერში, უფრო გვიანაც, კერძოდ, 2 ნოემბერს განცხადებებითა და თანდართული სათანადო მტკიცებულებებით მივმართე საქართველოს მთავარ პროკურატურას. ჩემს მიერ წარმოდგენილი სამხილით აფხაზეთის ა/რ-ის ხელმძღვანელობას, კერძოდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს ვამკაფიოებდი მათ მიერ ორგანიზებულ ბოროტმოქმედებებში, რომელმაც მიიღო თანმიმდევრული ელიტური კორუფციის სახე. ამასთან მივუთითებდი, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე ელიტურ კორუფციას მფარველობდნენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დ.

ტყეშელაშვილი; პარლამენტიდან - დ. ბაქრაძე, მ. მაჭავარიანი, ხ. გოგორიშვილი, შ. მალაშხია, გ. თორთლაძე და ა. შ.; შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების ყოფილი უფროსის მოადგილე ს. თოფურიძე, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზ. ადეიშვილი, გენერალური ინსპექციიდან ნ. ბიწკინაშვილი, კონტროლის პალატის ყოფილი უფროსი ლ. ბეჟაშვილი, საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორი მ. ზოდელავა, ძმები ახალაიები და სხვები.

არცერთ ჩემს განცხადებაზე დღემდე მთავარი პროკურატურიდან პასუხი არ მიმიღია, საკითხის განხილვით არც იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას შეუწუხებია თავი, რომელსაც 2012 წლის ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით 7-ჯერ მივმართე.

მოგახსენებთ, რომ 2002 წლიდან 2011 წლამდე ვმუშაობდი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს აპარატში სხვადასხვა საპასუხიმსგებლო თანამდებობაზე, ხოლო ბოლო ორი წელი საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად ვსაქმიანობდი.

2009 წლიდან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბოროტმოქმედული და არაკომპეტენტური საქმიანობის გამო კონფლიქტური ურთიერთობა შემექმნა იქაური მაღალი თანამდებობის პირებთან(გ. გვაზავა, ა. წოწონავა, თ. ხუბუა, დ. გვაძაბია და ა.შ.). აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც 2005-2010 წლებში ჩემს მიერ გამოქვეყნებული პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი, არასახალხო, ქვეყნის ეროვნული ნების საწინააღმდეგო საქმიანობის ამსახველი ხუთი სქელტანიანი წიგნი (საერთო ჯამში 3000 გვერდამდე), რომლებშიც მხილებული მყავდა მიხეილ სააკაშვილის მკვდრად შობილი საქმიანობა, - ჩემს მიმართ განხორციელებული ყოველდღიური რეპრესიების საბაბად იქცა.

ასე და ამრიგად, აქედან დაიწყო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ჩემს წინააღმდეგ ორგანიზებული დევნა და როგორც ზემოთ აღვნიშნე მ. სააკაშვილის, მისი ახლობლებისა თუ გარემოცვის დანაშაულებრივ საქმიანობაზე ჩემს მიერ შედგენილი მამხილებელი წიგნების მოსაბაბებით, დამიწყეს რა მიზნობრივი დაშანტაჟება, როგორც ***"პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო და მოღალატე", სამსახურიდან ძალზე ცინიკური ფორმით გამაძევეს.*** ამასთან ერთად, გარდა პოლიტიკური ნიშნისა, მათ ხელზე დაიხვიეს დედაჩემის ბერძნული წარმომავლობა, რისთვისაც ეთნიკური ნიშნით დაიწყეს ჩემი გამორჩევა და დევნა, თავიანთ პუბლიკაციებში დამამცირებელი ფორმით დამიწყეს მეტსახელით "Грек" მოხსენიება, ყველანაირად ცდილობენ მათ მიერვე შეთხზული "ჩემი მეტსახელისა" და დედაჩემის წარმომავლობისათვის ხაზის გასმას.

მოგახსენებთ, რომ იმ უკანონობის თაობაზე, რაც ხდებოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, ღიად ვაცხადებდი მაშინაც,

როდესაც ვმუშაობდი აფხაზეთის ა/-ის უმაღლესი საბჭოს აპარატში და შემდგომ, სამსახურიდან გაძევების მერეც განცხადებებით მივმართავდი (და მივმართავ) საქართველოს რიგ სამართალდამცავ სამსახურებს, ასევე პარლამენტს, კერძოდ, პარლამენტის ანტიკრიზისულ კომისიას.

როგორც უკვე განვაცხადე, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ჩემს წინააღმდეგ ყველაზე უფრო გააქტიურდნენ მას შემდეგ, ***როდესაც 2005-2010 წლებში გამოვაქვეყნე პრეზიდენტ მ. სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი საქმიანობის ამსახველი წიგნები***, ამის საპასუხოდ 2011 წლის 11 აპრილს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა საბეზღებელი საჩივრით მიმართა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და დაუყოვნებლივ ჩემი გათავისუფება მოითხოვა, რაც თავსმოხვეული შანტაჟის გზით, 2011 წლის 18 აპრილს, ბრწყინვალე აღდგომის წინა დღეებში „შტატების შემცირების" საფუძველზე ჩემს გათავისუფლებად გაფორმდა( მესამე დღეს „შტატებ შემცირებულმა უწყებამ" 10 ახალი თანამდებობა დაიმატა). ის, რომ ჩემს მიმართ განხორციელებული რეპრესიის საბაბი მ. სააკაშვილის მხილებაა, ჩანს ერთი წლის შემდეგ შედგენილ დოკუმენტში, როცა 2012 წლის 23 მაისს საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარის გიორგი თორთლაძის სახელზე დამისამართებულ მომართვაში ჩემი სამსახურიდან განთავისუფლებაზე პირდაპირ უთითებენ, რომ *"უმაღლესი საბჭოსა და მისი აპარატის ხელმძღვანელობის მხრიდან არასათანადო კონტროლის ვითარებაში ბატონი ს. საჯაია დაკავებული იყო ძირითადად პირად ამბიციებზე შეთხზული წიგნების გამოცემით, რომელიც გამოირჩევა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, მისი დეპუტატების, საქართველოს ხელმძღვანელობისადმი ცილისმწამებლური ბრალდებების სიმრავლით".*

დიახ, ზემოთ უკვე აღვნიშნე, ამიტომ პირდაპირ მოგახსენებთ და სათანადო მტკიცებულებასაც წარმოგიდგენთ, რომ 2011 წლის 11 აპრილს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ჯგუფმა გ. გვაზავას სახელზე შეადგინეს საჩივარი, სადაც მაბეზღებდნენ, რომ მე ვაკრიტიკებდი მ. სააკაშვილის ხელისუფლებას და ეს გახლდათ აბსოლუტური საფუძველი ჩემი თანამდებობიდან განთავისუფლებისა, ვინაიდან, მათი თქმით ***"ვიყავი პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პიროვნება"***, ამდენად, ისინი ამას მ. სააკაშვილის საამებლად არც მალავდნენ და თავსაც კი იწონებდნენ. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მე პრეზიდენტ მ. სააკაშვილისადმი ჩემი უარყოფითი შეხედულებების გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი გავხდი.

უფრო მეტიც, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის გიორგი თორთლაძის სახელზე 2012 წელს დაწერილ ზემოთხსენებულ მომართვაში აპელირებას უკეთებენ და ხაზს უსვამენ

ჩემს ციტატას წიგნიდან („დღეები ცხედართა უხმო კივილისა“, თბილისი 2007 წ. გვ. 712.) *__”ცნობისათვის: მიხეილ სააკაშვილი საზიდისწერო ნაზიჯის გადადგმისათვის ემზადება და საქართველოში იმის დაკანონებას ცდილობს რაც ავადსახსენებელმა სერგო ორჯონიკიძემ 1922 წელს 20 აპრილის დეკრეტით შეთხზა და დააკანონა...”__*

მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ გამოცემულ ყველა წიგნში მითითებული ბრალდება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საქმიანობისა და ხელისუფლების მაღალჩინოსნების ბოროტმოქმედებათ შესახებ გასაჯაროსებული მხილებანი დასაბუთებული მაქვს მყარი და არგუმენტირებული მტკიცებულებებით. რამდენადაც, აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, დაიწყოს გამოძიება და რეაგირება მოჰყვეს იმ უკანონობას, რაც ხდებოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, მხოლოდ ამიტომ, საზოგადოების ერთი ნაწილის რწმუნების საფუძველზე, ვცდილობ თქვენი ყურადღება მივაპყრო წინამდებარე გამოჭენებას - სახალხო უფლებათა დარღვევისა. ცხადია, რომ ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ხელს არ აძლევდათ გამოძიების დაწყება, ვინაიდან ეს, სხვადასხვა საეჭვო მიზეზის გამო, იქნებოდა პროკურატურის მხრიდან მიკერძოება და ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ შესაძლოა კომერციულ გარიგებასაც ჰქონოდა ადგილი, ამიტომ, როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, პასუხი თუ რა ზემოქმედება მოჰყვა ჩემს განცხადებებს, ძალიან საეჭვო სურათი იხატება ამით, მაგრამ უნდა ვთქვა, - არ მიმიღია!..

აქვე აღვნიშნავ, რომ ისარგებლა რა არაეფექტური გამოძიებით, 2012 წლის 22 აგვისტოს გაზეთში ”ყველა სიახლე” გ. გვაზავა აღნიშნავდა, რომ მე მას ცილს ვწამებ, რადგან პროკურატურამ არანაირი რეაგირება არ მოახდინა ჩემს განცხადებებზე, უფრო მეტიც, იმავე 2012 წლის 8 აგვისტოს აფხაზეთის ა/რ - ის უმაღლეს საბჭოს დეპუტატებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს და ითხოვენ *”პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას, და სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებას სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ”.*

თავის დროზე ყოფილი მთავარი პროკურორის მ. ზოდელავას, ასევე, საზოგადოებისთვის საზედისწეროდ ცნობილი ძმების ახალაიებისა და ს. თოფურიძის გეგმის შესაბამისად, რომლებიც რატომღაც მფარველობდნენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ორგანიზებულ კორუფციას, ამ სასამართლოს მიზანი უნდა ყოფილიყო ჩემი დადანაშაულება ცილისწამებაში, რითაც გადაიფარებოდა ჩემს მიერ მხილებული წინამდებარე კორუფცია.

ამის შესაბამისად, ისეთი საკვანძო საკითხები, რომლებიც ჩემი წიგნის ღერძული შინაარსი გახლავთ, ე.წ. მოსარჩელეთა ყურადღების მიღმა

განგებ დარჩა მაშინაც და რჩება დღესაც.

მთავარი, რაშიც მე ამ ხალხს ვედავები, გახლავთ ორი რამ: *1. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობა აქედან გამომდინარე შედეგებით და 2. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ელიტური კორუფციის ორგანიზება, რაც გამოიხატა მთელ რიგ დანაშაულებრივ საქმიანობაში.*

მოგმართავთ რა კიდევ ერთხელ თქვენ, თავს უფლებას ვაძლევ, შეგეკითხოთ და მკაფიო პასუხი მოვითხოვო ამაზე: *1. ის, რომ გ. გვაზავამ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და წესით დევნილი მოსახლეობის პოლიტიკურმა წინამძღოლმა, თავისი ოჯახისთვის ნაჩუქარი და ხუთჯერ ნაავარიევი მანქანა თაღლითური გზითა და საბუთების გაყალბებით, ერთპიროვნულად, თან სამმაგ ფასად მიჰყიდა იმ ინსტიტუციას, რომლის თავმჯდომარეც თავადაა, არის თუ არა დანაშაული? 2. ასეთ ქმედებაში ისაგნება თუ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება? 3. ნიშნავს თუ არა იგი ფინანსურ დარღვევას ანგარების მიზნით? 4. ის, რომ თაღლითური ყიდვა-გაყიდვის ”გასასამართლიანებლად” გ. გვაზავამ აიძულა თანამშრომლებს ყალბი საბუთების გაფორმება, არის თუ არა ბოროტმოქმედებაში ადამიანთა ჯგუფური ჩათრევა? 5. არის თუ არა სიყალბე, ამდენად, ბოროტმოქმედება ”ახალ და გამართულ” მანქანად შესყიდული ავტომობილის შესყიდვისთანავე კაპიტალურ რემონტზე დაყენება და ხელახალი თაღლითობით დამატებითი სახსრების ”მოტეხვა”? 6. ის, რომ გ. გვაზავამ საკუთარ თანამშრომლებზე ყალბად გააფორმა მოკლევადიანი მივლინებები, რათა პირადი ვალი დაეფარა, არის თუ არა დანაშაული? 7. დიახ, დიახ, ის, რომ სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირი თვითონ აგროვებდა ყალბად დარიცხულ ფულს, გარდა სისხლის სამართლის დანაშაულისა, არის თუ არა ზნეობრივი დაცემა? 8. ან კიდევ, გ. გვაზავას მიერ თავის საკუთარი, ნახმარი და უვარგისი კონდიციონერის „ახალ“ ნივთად შესყიდვა აფხაზეთის ა/რ -ის უმაღლესი საბჭოსათვის - სიყალბესთან, ამდენად, დანაშაულთან ერთად, ნიშნავს თუ არა სინდისგარეცხილობას?. 9. დაბეჯითებით გთხოვთ, განმიმარტოთ, - ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. წოწონავამ თავისი ამორტიზებული მანქანა ამ ინსტიტუციას მიჰყიდა 9.900 დოლარად, ხოლო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოზე რიცხული გამართული მანქანა თავად 500 დოლარად შეისყიდა, შეიცავს თუ არა დანაშაულის ნიშნებს? 10. ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ცალკეული თანამდებობის პირებს საკუთარ სარგებლობაში აქვთ მითვისებული სახელმწიფოს ძვირადღირებული ნივთები, არის თუ არა დანაშაული? 11. ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს დ. გვაძაბიას მომარაგების*

_დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა 2010 წლის 20 ოქტომბერს შეუდგინა აქტი ფინანსების დატაცებასა და არამიზნობრივ ხარჯვაზე, ნიშნავს თუ არა თანამდებობის პირის დანაშაულს? 12. ის, რომ ამ აქტზე დღემდე არაა ზომები მიღებული, იგივდება თუ არა ბოროტმოქმედების მიჩქმალვასთან? 13. ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ცალკეული თანამშრომლები თვალს ხუჭავდნენ აქ ორგანიზებულ ელიტურ კორუფციაზე, არის თუ არა დანაშაულის ხელშეწყობა? 14. და ბოლოს, არამხოლოდ მე, საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელის პასუხს კითხვაზე: ის, რომ ყოველივე ამისა და თვით პრეზიდენტ მ. სააკაშვილის მხრიდან ერის სახალხო ნებას დაპირისპირებული საქმიანობის თანმიმდევრული მხილებისთვის მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი ს. საჯაია სამსახურიდან, ისევ და ისევ, თაღლითური ყალბისმქნელობითა და შანტაჟით გამათავისუფლეს, ნიშნავს თუ არა ჩემს პოლიტიკურ დევნას და არის თუ არა ეს სისხლის სამართლის დანაშაული? (მზად ვარ ნებისმიერ ამ ბრალდებასთან დაკავშირებით მოწმედ დავიკითხო)._

სწორედ ამიტომ, ყოფილი მთავარი პროკურორის მ. ზოდელავასა და შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დ. ახალაიას, მასთან ერთად ს. თოფურიძის რჩევით წარმოდგენილი იქნა, ხოლო ზემოთ აღნიშნულმა სასამართლომ 2012 წლის 8 აგვისტოს წარმოებაში ყოვლად უკანონოდ მიიღო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფის ე.წ. სარჩელი. რადგან ჩემი წიგნი "შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში" გამოიცა 2012 წლის 15 იანვარს, ხოლო ამ დროიდან სარჩელის სასამართლოში შეტანამდე გავიდა 6 თვე და 24 დღე, რაც სამი თვითა და ორი კვირით აღემატება ვადას (100 დღეს), რომლის განმავლობაშიც მათ შეეძლოთ ამ სარჩელის კანონიერად შემოტანა სასამართლოში, აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს სხდომები უკანონოა და იგი მიმდინარეობს ზემოთ აღნიშნული კორუფციის გადაფარვის მიზნით.

ასევე მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომელიც შემიძლია პირადად მოგახსენოთ დაწვრილებით, რომ ასეთი ნებსითი თუ უნებლიე მხარდაჭერით გულმოცემული გ. გვაზავა ავრცელებდა ხმებს, თითქოს იმ დროს საქმე ჩააწყო პროკურატურაში და ჩემს განცხადებებს არც არავინ განიხილავდა (ასეც მოხდა).

აფხაზეთის ა/რ - ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები დღემდე განაგრძობენ ჩემს პოლიტიკურ და ეთნიკური ნიშნით დევნას. ამავე დროს ჩემს სახელგასატეხად ინდომებენ საზოგადოებრივი აზრის ამხედრებას, გაზეთების მეშვეობით აქვეყნებენ სტატიებს, რომელშიც მომიხსენიებენ მეტად შეურაცხმყოფელი სიტყვებით და ამით ცდილობენ ჩემს

დისკრედიტაციას.

ჩემს განცხადებას დავურთავ შესაბამის მტკიცებულებებს და წერილებს, რომელზსაც ვაქვეყნებდი როგორც აფხაზეთის ა/-ის უმაღლესი საბჭოს აპარატში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ყოფნის დროს, ასევე 2011 წლის 18 აპრილის შემდეგაც, როდესაც ჩემი პოლიტიკური ხედვის გამო უკანონოდ გამანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ამავე განცხადებას ვურთავ იმ მიზნობრივად შეთითხნილ და შეურაცხმყოფელ საგაზეთო სტატიებს, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ იბეჭდებოდა.

ბატონო ბიძინა,

ბატონო არჩილ,

დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენთვის ჩვეული მიზანდასახულობით, გულისხმიერებითა და ადამიანთმოყვარეობით შეისწავლით იმ მტკიცებულებებს, რომლებიც საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 10 აპრილიდან დღემდე მაქვს წარდგენილი და რომელთა საფუძველზეც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობას ვამხელდი (და ვამხელ) დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა და, უპირველეს ყოვლისა, მათ მიერ ორგანიზებული ელიტური კორუფციის თანმიმდევრულ წარმოებაში.

სიმართლის დადგენით მსურს გავარკვიო და საზოგადოებისთვისაც ნათელი გახდება, რომ ქვეყნის მაოხარი პრეზიდენტის მხილება მის არასახალხო და მიზანშეუწონელ საქმიანობაში ნიშნავს თუ არა სახელმწიფოს (გნებავთ ხელისუფლების) ღალატს და ამის საფუძველზე გატარებული რეპრესიები, არის თუ არა გამოვლენა ჩემი პოლიტიკური დევნისა?!

მოგმართავთ რა თქვენ, დაბეჯითებით გთხოვთ, შეისწავლოთ ჩემს მიმართ განხორციელებული პოლიტიკური, სამსახურებრივი და მორალური რეპრესიების მიზეზები და ამასთან დაკავშირებით განახორციელოთ ასეთ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

დანართი: 5 ფურცელზე.

1 წიგნი.

პატივისცემით:
ს. საჯაია.
29.11.2012 წ.

***

<u>ძალიან მკაფიოა მოცემულობა:</u> აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური აზრის ქვეშ არ არსებობს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობის სულიერი და საერთოდ, - ვინაობითი უსაფრთხოება.

სწორედ ამიტომ, არასოდეს ასე თვალსაჩინო არ ყოფილა დაპირისპირება ამ ე. წ. დეპუტატების უმეტესობასა და თავის დროზე მათ ამომრჩევლებს შორის, რომელთა რიგები, გასაგები მიზეზების გამო, დღეს საკმაოდ შეთხელდა, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადოებაში სავსებით ბუნებრივად მათ ჩანაცვლებულ და დამკვიდრებულ ახალ თაობაზე.

ცხადია, თავისი ორპირული ბუნების გამო, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს უპირატესი ნაწილი დევნილი მოსახლეობის ბედისწერად იქცა, რომელსაც არასდროს აინტერესებდა ხალხის ბედი, პირიქით, ამ ნომენკლატურამ მათი ნდობა უსირცხვილოდ გამოიყენა პირადი კეთილდღეობის მისაღწევად.

ასეთ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თაღლითი და ბოროტმოქმედი ხელმძღვანელობა იმგვარი სახეზოგადობით იქანდაკებს თავს, თითქოს, მის გვერდით დევნილი მოსახლეობა "სიამტკბილობდეს", სახალხო ნების პატივმიგება ქარს გამოკიდებად რჩება, რადგან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) მიზნობრივ სასაკლაოს გამოქცეული ხალხის სამართლებრივ-პოლიტიკური და ა. შ. დაუცველობა საკუთარი ოდაბადიდან დევნილებს მხოლოდ სამრისხანო განწყობისა (ემოციისა) თუ ამის შესაბამისი შორისდებულების ანაბარა სტოვებს.

დიახ, გ. გვაზავა, თავის ბოროტმოქმედებებთან ერთად, არ შეესაბამება სახალხო შინაარსს და დღეს მისი „პოლიტიკური ძალისხმევა" დევნილთა ყველა თაობის ბედკრულ ყოველდღიურობათა გაუპატიურების მცდელობად იქცა. უფრო მეტიც, გ. გვაზავას შემოჯავშნებული ე. წ. 14 მოსარჩელე ჩვენი ხალხის (აფხაზობის) სააზროვნო წესს დაპირისპირებული და მიმდგომელი სიმრავლეა, რომელიც დღემდე პარტოკრატიული სულისკვეთებით იგეშება. ამის გამო ისინი შეშლილობამდე დასული სიძულვილით იმანქანებიან ერთ მრავალჭანჭიკა ძრავად, აქედან გამომდინარე და იმიტომაც, რომ ამ ოცი წლის მანძილზე არასოდეს მდგარან სახალხო ნების გვერდით, - საკუთარი გვარ-სახელით, ანუ ღვთის ხატად არ სახალხოობენ და ე. წ. ტრესტის მაგვარ გაერთიანებაში ხელშეკრულებითი ურთიერთობით ძალისხმიერდებიან არა მარტო ჩემს წინააღმდეგ, არამედ, ყოველგვარი გამამჭვირვალის წინააღმდეგ, რომელიც ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის მანკიერებათა ასხმულებთან მათ მიერთსხეულებას გაასაჯარისებს ან დაადასტურებს.

კიდევ ერთხელ გიდასტურებთ: ესენი, გ. გვაზავას თაოსნობით, ქუჩისფსკერული თვითდამკვიდრებები არიან აფხაზურ (ქართულ) ცნობიერებაში, რის გამოც არ მოიცავენ გ. შარვაშიძის, ა. ემხვარის, ა. ხელაიასა და ა. შ. (მხატვრული სახეზოგადობა - თარაშ ემხვარი, უჯუშ ემხა...) ქრისტესმხედრულ ცნობიერებას. რა თქმა უნდა, მანქანურ ერთ-სხეულებაში მათ შეინარჩუნეს ჭანჭიკური სიძულვილი ერთმანეთისადმი

(მაგ. ა. წოწონავა - თ. ხუბუა; ა. წოწონავა - დ. გვაძაბია; ა. წოწონავა - რ. ცატავა; ნ. მგალობლიშვილი - ა. წოწონავა; რ. ქარაია - ა. წოწონავა...), ***მაგრამ იმის შეგნება, რომ მათი ხსნა გაერთმანქანებაშია, უნდა ვაღიარო, რომ შესაშურ საერთო ფრონტს აქმნევინებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფი (თოთხმეტეული) სააფხაზო სულიერებისა თუ ვინაობის თვალსაზრისით ძალიან უსახური რაობაა.***

და ერთიც, ნ. მგალობლიშვილის მოძალადური ხელგამოღება, გნებავთ, მისი ყოვლისმკადრებლობა, ვშიშობ, ისე გაუბუნდოვანებს სვლაგეზის გასიგრძეგანებას მათ, რომ საბოლოოდ აღმოჩნდებიან იქ, სადაც თავს მოიყრის სუყველა, ვინც ზ. გამსახურდიას უორპირა, ანუ ჟამთაბერის სანაგვეზე დაიდებენ სამარადისო ბინას.

რაც მართალი მართალია, ამ კაცის (ნ. მგალობლიშვილის) სახესურათი არაა ერთსახოვანი: ***ეს არის "მგზავრის წერილებიდან" (ი. ჭავჭავაძე) გადმომხტარი რუსის ბლენძის, ყაშა ლაზარესა (მ. ჯავახიშვილი) და ნიკიფორეს (ჭ. ამირეჯიბი) ზედმიწევნითი ერთობლიობა, ანუ მათი ერთარსად გაერთსხეულება.***

აქ სამწუხარო ისაა, რომ იგი ერთეული არ ყოფილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. მისმა და მისნაირთა კაცღმერთული პატივმოყვარეობის მადამ, საცდურებზე მიწუწკებამ, ორპირულმა მერყეობამ, ლაჩრულმა გაიძვერობამ და ა. შ. უზრუნველყვეს კიდეც ეროვნული ხელისუფლების დამხობა, რასაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) და ცხინვალის მხარის გასხვისება მოჰყვა.

აქ, ცოტა მეუხერხულება, მაგრამ უნდა ვთქვა, რადგან ნ. მგალობლიშვილისა თუ მისთანათა გაშმაგებას ჩემს წინააღმდეგ ერთი, - უფრო სწორად, ორი შორეული ამბავი განაპირობებს.

დღეს ამათ რომ ჰკითხო, გეტყვიან, თითქოს ზ. გამსახურდია მათ გამაცნეს და ა. შ. მაგრამ ვინ ვის და როდიდან იცნობდა, ეს გაირკვა 1989 წლის აგვისტოს ბოლოდან, როდესაც ზ. გამსახურდიამ, ისე, რომ ამათ არც იცოდნენ, დამიბარა თბილისში ("კოლხურ კოშკში"), რათა რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე, რომელიც იმავე წლის 2-4 სექტემბერს გაიმართა ქ. თბილისის ფილარმონიაში, მოხსენებით გამოვსულიყავი აფხაზეთის საკითხზე ***(მოგეხსენებათ, ასეთ რამეს შემთხვევით გაცნობილს არ ანდობენ).***

ამავდროულად აფხაზეთიდან, ასევე ყრილობაზე გამოსასვლელად ჩამოვიდა რამოდენიმე კაციც, ***რომელთა მოხსენებები შეჯერდა არა "კოლხური კოშკის" ცნობიერებასთან, არამედ, აფხაზეთში მოფაცური ვითომ ეროვნულთა და "ქართული" პარტოკრატიის ნაზავთან.***

...დაიწყო ყრილობაც, პირველსავე დღესა და მეორე დღის პირველ ნახევარში, როდესაც აფხაზეთელი მომხსენებლები გამოდიოდნენ,

მიუხედავად იმისა, რომ ესენი საკმაოდ ცნობილი ადამიანები იყვნენ, არაჯეროვანი მოხსენებების გამო, მათ სიტყვა შეაწყვეტინეს და ტრიბუნიდან სტვენით ჩამოაგდეს *(რა თქმა უნდა, ეს არც მაშინ გამხარებია და არც დღეს ვარ ამით ბედნიერი).*

და, აი, 3 სექტემბერს, ნემსს რომ ვერ ჩააგდებდი ისე გადაჭედილ ფილარმონიაში, ბოლო გამომსვლელად დაღლილი დელეგატების წინაშე მეც მომეცა სიტყვა. ის, რომ ეს ყრილობა თავიდან ბოლომდე ფირზეა ჩაწერილი, მაძლევს ამის გაცხადების უფლებას: პირველივე აბზაცის ჩათავებიდან ბოლომდე დარბაზი ტაშისკვრით ამყვა, ხოლო ტრიბუნიდან ჩამოსული, ხელში აყვანილი გამიყვანეს გარეთ, რათა მიმესწრო ვაკის პარკში მიტინგისთვის და აქაც, ბატონი ზვიადის დავალებით, სიტყვით გამოვსულიყავი. რუსთაველის საზოგადოების ყრილობამ ფეხზედგომით მიაგო პატივი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სახალხო სატკივარს, რომლის გადმოცემა, ეტყობა, მე შევძელი (ჩემი მოხსენება 1989 წლის ნოემბერში დაიბეჭდა თვითგამოცემით ჟურნალ ***"ქართვლის დედა"***-ში).

თბილისისა და სრულიად საქართველოს აქ დამსწრე საზოგადოებრიობის მიერ ამ დონის აღიარებას ყველა მილოცავდა, აფხაზეთელი დელეგატების გარდა, ანუ ამ დღიდან ამათი სახით დაუნდობელი მტრები ჩამისაფრდნენ.

ამ ჯგუფის მტრობა შემდგომში კიდევ უფრო გააწყალუხვა პირადად ჩემთვის ზ. გამსახურდიას წინადადებით აფხაზეთში მ. კოსტავას ფონდის რწმუნებების გაპიროვნებამ (სხვათაშორის, მან გამაფრთხილა და დამისახელა ვითომ ეროვნულთა ერთი ჯგუფი, რომელთაც არ უნდა მოეხერხებინათ ფონდთან "გაშინაკაცება". მე, სამწუხაროდ, რადიკალური ურთიერთობა ვერ მივაგებე მათ. აი, ეს იყო შეცდომა).

სხვა "დანაშაული" ამ ხალხის წინაშე არაფერი ჩამიდენია, ***გარდა იმისა, რომ მანამდე ყოველთვის მხოლოდ ზ. გამსახურდიას ერთი ერთზე მიცემულ დავალებას ვასრულებდი და იმჯერადაც ეს გავაკეთე.***

ესაა, დიახ, აქედან გამომდინარე სიძულვილია მათი ერთსხეულებრივი იერიშის შთამაგონებელი დღესაც, - შური, ჩასაფრება, - მე რატომ მჯობიაო... - ***იმიტომ გჯობივარ, შე ღვთის გლახა, შენზე უფრო გავიმეტე სამშობლოსთვის თავი!..***

ბუნებრივია, გაერთიანებული თოთხმეტეულის სისასტიკე, ავადმყოფური ბოღმა, ჩასაფრება, უღმერთობა, არაკეთილშობილება, დაუნდობლობა, რომელიც ამ შემთხვევაში ჩემს წინააღმდეგ იმიტომ ერთმუშტდება, ***რომ მე გავბედე და დავადგინე ის მიჯნა, რომლის მიღმა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა, მ. სააკაშვილის ზურგის ქარით ათოხარიკებული, ჯოგურ ცხოვრებაში იდგენდა თავს.***

***აქედან ისინი ერთხანს კიდევ მოახერხებენ საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრას, მაგრამ ვეჭვობ, რომ დიდხანს!..***

კი ბატონო, გეთანხმებით, ეს სიმრავლე შლეგურად, შესაშური თავგამეტებით ცდილობს თავისი სახელისუფლებო გრძლიობის გახანგრძლივებას, მაგრამ თქვენც ***უნდა აღიაროთ, - წყალწაღებულიც ასე ჩამარწუხებული ეჭიდება ხავსს...***

ის, რომ გ. გვაზავა, თავის თანამოსაქმეებთან ერთად, ***ადამბლავებს ზნეობას, ის, რომ ამასთან აღვირახსნილობა სახალხო ნებად საჯარისდება, არავითარ შემთხვევაში არ გადააქცევს მას დევნილთა პოლიტიკურ, სულიერ, ზნეობრივ თუ ვინაობით თავშესაფრად.*** ასეთია სიცხადე. ამავე სიმრავლეს არ შეუძლია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ჩადენილი გამცემლობის შეფასება, - რადგანაც, ***თვითონაა ქვეყნის მტრებთან გარიგებულიც და მათი არამზადობების თანამონაწილეც, ამიტომ ამ ე. წ. დეპუტატთა ბაგეებით რაღაც ღირსებისა და ღირებულების აღდგენაზე ან თავისუფლების, განათლებისა თუ სულიერ აღორძინებაზე, ბოლოსდაბოლოს, საკუთარ ვინაობაში კვლავაღდგომაზე საუბარი გახლავთ ღვთისგმობის ტოლფასი ხელგარჯილობა.***

ეს ასეა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არა აქვთ უნარი მსოფლმხედველობრივი, ზნეობრივი და ა. შ. ***წინააღმდეგობა გაუწიონ ჩვენი აფხაზობის წინააღმდეგ ყოველმხრივ შემოთარეშებულ ქუჩის-ფსკერულობათა შეთქმულებებსა თუ ჯანყს,*** არამედ სულ სხვა რამის გამო, ***სწორედ, ეს სულნაცდურობა გახლავთ მათი საშოვრისა და მიწიერი სალაფავის წყარო.***

ახლა რას ითხოვთ ჩემგან, შევეგუო ამას?

აღარასოდეს!..

***...და ბოლოს, მკაფიოდ განვმარტავ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ნაბახი ხელისუფლებისა თუ მათი თანამოსაქმეების წინგაუხედაობის, უვიცობის, თაღლითობის, ბოროტმოქმედებების, ორპირობათა და ა. შ. მხილებას ნურავინ გააიგივებს ჩემს ბრძოლად ლეგიტიმურ ინსტიტუციებთან.***

ამავე დროს, კი ბატონო, მხარს ვუჭერ პრემიერ-მინისტრის ადამიანთმოყვარეობას, თუმცა, მე პირადად მხოლოდ თავისი სინანულის შესაბამისად მივუტევებ ბოროტმოქმედ თანამდებობის პირს, თუნდაც ის გ. გვაზავა ან მისი თანამოსაქმე იყოს, ***მაგრამ ამასთან ერთად, ეს არ უნდა მოხდეს ჩემს მიმართ მათი მხრიდან განხორციელებული პოლიტიკური, მორალური და ზნეობრივი რეპრესიების მიჩქმალვის ხარჯზე.***

**07.01.2013 წ.**

***

*”დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავესხნე*
*მტერნნი შენნი ქუეშე ფერხთა შენთა”...*
*ფსალმუნი - 16, 109;*

*”მოვალეობის ფანდურს ზოგჯერ ეშმაკიც*
*აჟღარუნებს”...*
*მიხეილ ჯავახიშვილი;*

*”ერთად ჩადენილი ავკაცობა თურმე უფრო მტკიცე*
*დუღაბი ყოფილა მეგობრობისთვის...”*
*მიხეილ ჯავახიშვილი*

**<u>21.01.2013 წ.</u>** 21 იანვარს სასამართლოს სხდომა ჩემი ავადმყოფობის გამო გადაიდო. წინა დღეს (20 იანვარს) ავლაბარში, პრეზიდენტის სასახლის მიმდებარედ შედგა სრულიად საქართველოს ღირსების შეკრება, რომელმაც კიდევ ერთხელ სახალხოდ ამხილა მ. სააკაშვილის მოღალატური საქმიანობა. ქართული ხელოვნების სახალხო მოღვაწემ, დიდმა კინორეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ქართველი ერის სახელით ე. წ. პრეზიდენტისადმი თავის ღია წერილში (19 იანვარს), ქვეყნის სხვა ერისკაცებთან ერთად გაათვალსაჩინოა ქართული სულიერების განადგურების, ეროვნული ღირებულებების გაუპატიურების, მეცნიერებისა და კულტურის ხელყოფის თანმიმდევრული მცდელობანი, რამაც ბატონი მიხეილის საქმიანობაში, ქვეყნისათვის მტრული ძალების ჩასაფრებულ დაკვეთათა შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკის სახე შეიძინა. ამასთან ერთად, ქართული საინფორმაციო საშუალებები ყოველდღიურად იუწყებიან, რომ ***”მ. სააკაშვილის ქმედებებში წვეთი არ არის ქართული!..” ”უნდა გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც გენოციდი მოუწყო საქართველოს მოსახლეობას. უნდა გასამართლდნენ მ. სააკაშვილის მაღალჩინოსნები ელიტარული კორუფციისათვის, რომლის სათავეში სწორედ მ. სააკაშვილი დგას” (გაზ. ”ახალი თაობა”, 8 იანვარი, 2013 წ.).***

ღრმად პატივცემულ საზოგადოებას ვთხოვ, დამდოს პატივი და კიდევ ერთხელ შეიხსენოს თუ რას ვამბობდი ან ვწერდი მე ამ ქართველთსპობით მოვლენაზე ჯერ კიდევ 1999, 2000, 2005, 2006, 2007, 2008, 2009, 2010, 2011, 2012 წლებში ჩემს საგაზეთო წერილებსა თუ წიგნებში (სხვათაშორის, როგორც დღეს ირკვევა, ერთი პერიოდი ამ არაქართული პოლიტიკის ძალისხმევას იმ დროს შეცდომაში შეყვანილი დღევანდელი პოლიტიკური უმრავლესობა უმართავდა ხელს), აწონ-დაწონეთ, როგორი უკანდაუხევლობით ***<u>ვამხელდი ამ უტიფარ მიმდგომლობას ქართულ სიწმინდეებთან და რანაირი ჩასაფრებით დამა-ბეზღა ამისათვის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთმა</u>***

***ჯგუფმა***, მათ შორის წინამდებარე ე. წ. 14 მოსარჩელემ, ***უფრო მეტიც, მ. სააკაშვილის მაოხრული საქმიანობისთვის ფარდის ახდა*** ბრალდებადა მაქვს წამოყენებული სარჩელში, რომელსაც პატივცემული სასამართლო იხილავს ამ წუთებში.

დიახ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მ. სააკაშვილზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე პოლიტიკურ ცრუმოძრაობებში გზააბნეულებს, ანუ იმ დროს, როდესაც პირდაპირ ქუჩაში დაიხვრიტა არა ერთი მსხვერპლი ამათი სიგიჟეებისა, მე ვაქვეყნებდი და ხელს ვაწერდი, რომ ***"მიხეილ სააკაშვილი საბედისწერო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება და საქართველოში იმის დაკანონებას ცდილობს, რაც ავადსახსენებელმა სერგო ორჯონიკიძემ 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით დააკანონა..."***

ამის გასწვრივ, დიახ, ჩემთვის საამაყოა იმის აღნიშვნა, რომ მიუხედავად ამ მარჯვენით დაწერილი მ. სააკაშვილის მამხილებელი ჩემი ხუთი წიგნის პოლიტიკურ დევნად აკიდებისა, 2012 წლის 5 თებერვალს ღრმადპატივცემულმა რეზო ჩხეიძემ თითქმის იგივეს გამეორება, რასაც მე ვამზობდი ამ უბედურების წინმსწრებად ***("მ. სააკაშვილის ჯაშუშური საქმიანობა"; "კაცური ცნობიერება არა აქვს"; "მოღალატე და ქვეყნის გამყიდველი..."*** საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი, 4 სთ.), რაც, ისევ და ისევ ადასტურებს ჩემს სისწორეს. უფრო მეტიც, ამავე დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმაც პრესკონფერენციაზე, პირდაპირ ეთერში სინანულით აღნიშნა, რომ იგი თავიდანვე ვერ გაერკვა მ. სააკაშვილის ვერაგობებში და მხარში ედგა კიდეც მას.

მახსოვს, 2003 წლის ნოემბრის იმ დღეებში, როდესაც ე. წ. ვარდების რევოლუციის დანაშაულებრივი სიყალბე ითხზვებოდა, მთავრობის სასახლის წინ ჩავლილს მომიტინგეთა შორის შემხვდა ბესო დანელია - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თანამშრომელი და გია ჩიქოვანი - სოხუმის მერის მოადგილე დევნილობაში (ამჟამად ი. ალასანიას პარტიისა და კოალიცია "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი). მათ ჩემი დანახვა გაუხარდათ, რადგან ეგონათ, რაკი ე. შევარდნაძეს ვებრძოდი, ამ მიტინგში მივიღებდი მონაწილეობას. მაშინ პირდაპირ ვუთხარი ჩემი არ აღფრთოვანებით გაოცებულებს, ***"- უფრო უარესი და მტრის დაკვეთების ბეჯითი აღმსრულებელი მოდის სახალხო ნდობის ნიღაბში, რომლის მხილებას წლები დასჭირდება-მეთქი!.."***

ყოველივე ამის გასწვრივ, იხელთა რა ამ დღეებში დრო აფხაზეთის "ქართული" პარტოკრატიის ნაცადმა შემადგენლობამ (დ. ჯაიანი, ს. კაპანაძე...), ყოვლად თვითმარქვიად მან თავი დაიდგინა "ქართული ოცნების" შემადგენლად და პირადი საეჭვო ანაბიჯებები აფხაზეთიდან (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან) დევნილი მოსახლეობის სახალხო ნებად გამოაცხადა. თავის მხრივ ეს შემთხვევა მარჯვედ მოისადავა ადრე ***"მ. სააკაშვილის უსაფრთხოებისთვის ბარიკადებზე მდგარმა"*** აფხაზეთის

ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ და მათ მიუერთა მ. სააკაშვილის წინააღმდეგ წიგნების დაწერისთვის სამჯერ ჩემი დამბეზღებელი ნ. მგალობლიშვილი - სწორედაც აფხაზეთის "ქართული" პარტოკრატიის რიგებიდან ეროვნულ მოძრაობაში შესაგნებული კაცი.

მათ (დ. ჯაიანის, ს. კაპანაძის, ნ. მგალობლიშვილის) მიერ 18 იანვარს ჩატარებული პრესკონფერენცია, როგორც მოსალოდნელი იყო, მიზნად ისახავდა არა აფხაზეთის დეოკუპაციის საკითხების განხილვას, არამედ კლანებად დაყოფილი ე. წ. აფხაზეთის ხელისუფლების ურთიერთ-ანგარიშსწორებას (გ. გვაზავა - გ. ბარამიას პოლიტიკურ ქვეშქვეშობათა ე. წ. თვრამეტიანელთა სასარგებლოდ გადაწყვეტას).

სწორედ ამიტომ პრესკონფერენციას ესწრებოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რიგი დეპუტატი თავჯდომარის მოადგილის თ. ხუბუას თაოსნობით, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო (რესპუბლიკური) ორგანიზაციისა და საბჭოთა უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსნები ზ. ერქვანია, თ. ჩოჩია, ლ. ცაავა და ა. შ.

წინამდებარე თვითმარქვია პრფესკონფერენციამ სცადა გადაქცეულიყო მაშველ რგოლად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მძვინვარე ელიტური კორუფციისათვის და თავისი პარტოკრატიული ჰოოპუნათი სცადა, გადაეფარა აქედან გამოჭენებული ბოროტმოქმედებები.

არ შევცდები თუ დაუფარავად ვიტყვი, რომ ეს სიმრავლე არად დაგიდევს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საზოგადოებრიობის სახალხო ნებათა გაქელვასაც კი, ოღონდ თავად გაიმყარონ მდგომარეობა და ამისათვის თვალებში ნაცრის მიყრის წესით საიმედოდ შენიღბონ პირადი ორპირობები (თუ მეტი არა). მოსახლეობისთვის თვალშისაცემი უნდა იყოს, რომ ამ ფეხაწყობას სახელმ-წიფოებრივი და ეროვნული მიზანი არ აერთიანებს, უფრო მეტიც, მათი სადღეისო გაერთმუშტების მიზეზი ამ სიმრავლის მიერ ერთად ჩადენილი ფარისევლობების მიფარდების სურვილი გახლავთ.

აქ მთელი უბედურება ისაა და ეს არცაა დასამალი, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ამ ინსტიტუციის მრავალმხრივ რესურსს, პირველ რიგში კი საინფორმაციო საშუალებებს წარმართავს იმგვარი საზოგადოებრივი აზრის გასამარავალცალებლად, რომელიც ამ უკიდურესად უთანასწორო დაპირისპირებაში მიზნობრივ ცხრაკლიტულში მამწყვდევს და ამის გამო ქვეყანას ვერ ან უკეთეს შემთხვევაში ნაკლებად ვუსაჯარისებ ე. წ. აფხაზეთის ხელისუფლებად წოდებულ შეთქმულ თაღლითთა ბოროტმოქმედულ საქმიანობას.

ამას ემატება თვით დევნილი საზოგადოების გაუმართლებლად ნებაყოფლობითი მზერამიშვერა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავკაცთა მიერ უმოწყალოდ თვალებში ნაცარმყრელობისთვის, რითაც

ისინი სიცრუის მორევში ჩასაძირად გადაგდებულ სისწორეს კლდეს მომწყდარი ლოდივით ეტვირთებიან.

არადა ასეთი სიცხადის პირისპირ ყველამ უნდა გაისიგრძეგანოს, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გათავისუფლება დროსთან არაერთხელ ჩაჭრილ სიმრავლეზე დაყრდნობით ვერ მოხერხდება და აქ პირველ რიგში იგულისხმება როგორც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა, ასევე აფხაზეთის "ქართული" პარტოკრატიის გადმონაშთები. სახალხო ნება უნდა ჩაიფესვოს ღირსებაში მცხოვრებ ადამიანთა სულებსა და ერთსხეულ, არა წილადური საზოგადოების ძალისხმევაში, ანუ თავისუფლება მხოლოდ შეუგინებლობაში, ზნეობრივ სისუფთავესა და უფლისეულ ჭეშმარიტებაშია. აქედან გამომდინარე, თავისუფლება არ ნიშნავს ზნეობრივი შეზღუდვის არ არსებობას.

პოლიტიკურ ჯორკოზე მიხრახნილი ნომენკლატურა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არ აცნობიერებს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცე ჩასაფრებულ ძალებს სურვილს უმატებს, რომ ხელისუფლების ყველა რგოლში (შეადარეთ მ. სააკაშვილის ხროვას), მათ შორის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში სახელგატეხილი, ამდენად, ადვილად მოსასადავებელი ჯოგი ჰყავდეთ.

აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არაფერი ისე საცოდავი, დაუცველი და უნუგეშო არაა, როგორც დევნილი ადამიანის სახალხო ნება. იგი ამ დღეში ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის ძალადობასთან ერთად. იმპერიის მეგზურებთან აფხაზეთის ხელისუფლების საეჭვო თანამოღვაწეობამაც ჩააგდო, რამაც უზრუნველყო ქვეყნის დანაწევრების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება.

რა თქმა უნდა, ამ საქმეში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო კონტრპიოდუქტიული ინსტიტუციაა, სადაც მოსაქმიანე ხალხის ერთი საგრძნობი ნაწილისთვის ერთ დღესაც დაქცეულა მთელი საქართველო, ოღონდ ისინი არ აახრახნონ იმ ნომენკლატურულ სავარძლებს, რომლებსაც უკვე ოცდაორი წელია სალარტყო ლურსმნით მიეჭედნენ.

იმისათვის, რომ გაიმკაფიოოთ დევნილთა ტანჯული მდგომარეობა, უნდა გაიცხადოთ მონაცემები საქართველოს მოქალაქეთა შრომითი მიგრაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ დასაქმებულთა 48% მძიმე ფიზიკური, ე. ი. კატორღულ შრომაში ღაფავს სულს. ესაა მსოფლიოში სავალალო მეორე მაჩვენებელი მექსიკის შემდეგ. ამ კატორღელთა უპირატესი ნაწილი ამავე მონაცემებით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობაა, რომელთა მდგომარეობა ამ 22 წლის მანძილზე მსჯელობის საგნადაც არ ქცეულა ე. წ. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში.

სამაგიეროდ (და ეს ზემოხსენებულმა ე. წ. პრესკონფერენციამაც

დაადასტურა) აქ კაცღმერთობის კვარცხლბეკებს მხოლოდ სიზმარში კი არა, ცხადშიც ეპოტინებიან. ასეთი ხუშტურებისგან თავდაღწევა ადვილი და მარტივი არაა, მას სახალხო საყრდენი სჭირდება. ამას შესძლებს არა მყისიერი შეგრძნებებით მოსაქმიანე, არამედ ეროვნული მსოფლმხედველობით თანმიმდევრულად მოღვაწე საზოგადოება.

სწორედ ამის გამო ვაკადრებ და შევეკითხები ამ საზოგადოებას, - ის, რაშიც მკაფიოდ დავდე ბრალი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას, არის თუ არა სახალხო ნების ღალატი, ამდენად ბოროტმოქმედება და თუ მეთანხმებით, რომ ეს არაა ეროვნულ-სახალხო მიზნების შესაბამისი საქმიანობა, მაშინ ***რატომ ცდილობთ ამგვარ გულმხურვალე დამოკიდებულებას მასთან?!***

ასეთ შემთხვევაში და ამნაირ წრეში არავის ვლანძღავ და არავის ღირსებასა თუ თავმოყვარეობას არ ვეხები, რადგან იმას, რაც არა აქვთ, ვერ შეეხები!..

დიახ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მართვის ხერხები, ისევე, როგორც ე. შევარდნაძისა და მ. სააკაშვილის თარეში, აცდენილი იყო ეროვნულ-სახალხო ღირებულებებს. ამაშია მისი ვერაგული შინაარსი და ორპირული ბუნება. არ ვმალავ, - ამის მხილებითა და გასაჯარისებით ***მე ვასრულებ ჟამთაბერისგან მოპიროვნებული სარკის მოვალეობას.***

ბუნებრივია, იმის აღნიშვნით, რომ სირცხვილის გრძნობა ადამიანური სიფხიზლეა, მე არაფერს ვამბობ თქვენთვის აქამდე ყურმიუჩვეველს, მხოლოდ ის მინდა გავამკაფიოო, რომ ასეთი რამ ასევეა ღვთივნებადართულობა ერისკაცობის გაპიროვნების დროს, აქედან გამომდინარე, იგი, უპირველეს ყოვლისა, სახალხო ანგარიში გახლავთ საკუთარ მოვალეობაზე პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ასე უცხოა თქვენთვის!

***აგრესიული (და არა სულიერებათა გამწყალუხვებელი) გლობალიზმის ყოვლისშთამთქმელ ყოველდღიურობაში, სადაც ადამიანებს პიროვნული, ამდენად, ეროვნულ-სახალხო თვითშეგნების გადასარჩენად გვიწევს ბრძოლა, სწორედ სირცხვილის გრძნობა განაპირობებს ზნეობრივ ურყეობას და მსოფლმხედველობრივ სახალხოობას.***

სამწუხაროდ, მე ამ თოთხმეტ ე. წ. მოსარჩელეში ვერ ვხედავ სირცხვილისგან შუბლაქავებულ და სინანულისკენ მიდრეკილს. მხოლოდ ეს გახლავთ იმის საფუძველი, რომ ასე დაჟინებით მოგიწოდებთ და გირჩევთ, - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ორპირული სულცდუნებების საშიშროებათა წინაშე ყველამ მკაფიოდ მოიაზროს არა მხოლოდ გვერდით მდგომი, არამედ და პირველ რიგში საკუთარი თავი.

ეს არავითარ შემთხვევაში არაა მარტო ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხი, აი, რა არ გესმით თქვენ: ისინი გამობრძმედილები არიან ფარისევლობასა

და ვერაგობაში. მათ თქვენზე მეტი ეშმაკობა მოიხვავრიელეს თვითდასამკვიდრებლად. თავიანთი ყოვლისმკადრებლობით ისინი გაუუცხოვდნენ ღვთიურ მადლს.

დღეს მათ თავიანთი უხილავი დივერსიების ”გასამართლსწორებლად” ყოვლისმკადრებელი და თავის დროზე საკმაოდ ”გაეროვნულებული” ფლიდი ნ. მგალობლიშვილი ჰყავთ, აი, ის ნ. მგალობლიშვილი, ”კოლხურ კოშკს” რომ ვერ უერთგულა და რომელსაც მისი სულნამცეცა ბუნების გამო, ნებისმიერ დროს მოახრახნებენ ყოვლისმკადრებლობას, რითაც მის მორიგ ხმაბოდვას კიდევ ერთხელ ჩამოჰკიდებენ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არსებული ელიტური კორუფციის მიმფარდავ და გადამფარავ საკითხს.

ასეთ შემთხვევაში, ბოდიში, მაგრამ ხმამაღლა უნდა შეგახსენოთ, რომ ***მე საკმაო ხანი ვიცხოვრე და ყოველთვის ვამბობდი (ყოველ შემთხვევაში ვცდილობდი მეთქვა) არა მას, რაც მხოლოდ მე წამადგებოდა საკეთილდღეოდ, არამედ ვაოთხივკუთხებდი დაბეჯითებით იმას, რაც გაუსახალხოვდებოდა ჩემს ქვეყანას.***

თუ დამიჯერებთ, წინამდებარე მორიგი განცხადებითაც სისწორის მყარ აკვარცხელბეკებას ვცდილობ:

***

განცხადება

ბატონო მოსამართლევ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ დავადასტურო პატივისცემა კანონისა და სისწორის მიმართ.

სწორედ ასეთი პატივმიგებითი შეგნება მხდის იძულებელს, ხმამაღლა განვაცხადო, რომ თოთხმეტი ე. წ. მოსარჩელის დავა ჩემს წიგნთან (”შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში”, თბილისი, 2012 წ. 15 იანვარი) დაკავშირებით, ჯერ ერთი, მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამართლებრივ საფუძველს მოკლებულად, რამეთუ საქართველოს კანონის სიტყვისა და გამოხატვის შესახებ მე-19 მუხლის თანახმად სასამართლოში საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეიძლებოდა გაცნობოდა მას. აქედან გამომდინარე, ხსენებული წიგნის გამოცემიდან (2012 წლის 15 იანვრიდან) სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლოში სარჩელის შემოტანამდე (2012 წლის 8 აგვისტო) გასული გახლავთ ექვსნახევარი თვე, უფრო ზუსტად 196 დღე, რაც, როგორც მკაფიოდ ხედავთ, 96 დღით, მაშასადამე, ***თითქმის მეორე იმდენით აღემატება იმ 100 დღეს, რომლის განმავლობაშიც მათ შეეძლოთ, ეს სარჩელი კანონიერად შემოეტანათ სასამართლოში.***

რაც მთავარია, აქ პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ჩემს მიერ მთავარ პროკურატურაში შეტანილი განცხადებები ადრე თუ გვიან კანონის შესაბამისად იქნება განხილული, თოთხმეტი ე. წ. მოსარჩელის მიზანი, თანახმად მათი თავის დროზე მფარველი და დღეს ქვეყნიდან გაქცეული ყოფილი მაღალჩინოსნების მ. ზოდელავას, დ. ახალაიას, ს. თოფურიძისა თუ სხვათა

ერთობლივი გეგმისა, გახლავთ წინამდებარე სასამართლო სხდომისათვის არაარსებითი საკითხების განხილვათა თავსმოხვევით ესოდენ მაღალი და პატივმისაგები სასამართლოს გატყუების მცდელობა ელიტური კორუფციის მხილებისაგან და შედარებით უმნიშვნელო საკითხებზე დავაში თავგართობით ასე გამოჭენებული ბოროტმოქმედებების გადაფარვა, რასაც ძირითადად ეძღვნება კიდეც ზემოთხსენებული ჩემი წიგნი. ის, რომ წინამდებარე მოსარჩელეთა თვალსაწიერში ამჯერად ეს ბოროტმოქმედებები არ მოექცა და ისინი ამ დანაშაულობებს საეჭვო დუმილით უვლიან გვერდს, ეს გახლავთ მათი შორსგამიზნული (დღემდე მათთვის შედეგის მომტანი) ცრუ მოძრაობა, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ჩემს წიგნში აღწერილი ელიტური კორუფციის არ არსებობას, რომელშიც ყელამდეა ჩაფლული აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა, რომელთაგან ზოგიერთი სწორედ ამ ე. წ. სარჩელზე ხელ-მოწერით ნიღბავს საკუთარ ხელმრუდობას.

ამის შესაბამისად, ვინაიდან დღემდე ჩატარებულ სხდომებზე ე. წ. მოსარჩელეები ცდილობენ სასამართლოს ტრიბუნა აქციონ ჩემი ლანძღვისა და ცილისწამებების გამრავალცალების საშუალებად, რაც არანაირად არ მოემსახურება სისწორის, ანუ ჭეშმარიტების დადგენას, ის კი არადა, იგი მოდავეთა მხრიდან კვლავაც დაუფარავად ისახავს მიზნად ჩემს ფსიქოლოგიურ ტერორსა თუ პოლიტიკურ რეპრესიას, რომლის საფუძველზეც 2011 წლის 18 აპრილს ყველაზე არაადამიანური ხერხით გამაძევეს სამსახურიდან, უფლებას ვიტოვებ, მოგმართოთ თქვენ, ბატონო მოსამართლევ და განვმარტო, რომ ვერა და ვერ დავივალდებულებ თავს ე. წ. მოსარჩელეთა არაარსებითი ანუ წიგნში მხილებული ელიტური კორუფციის მიზნობრივად მიმჩქმალავ შეკითხვებზე პასუხით დავისაქმო თავი.

ეს დავა არ ემსახურება მოსარჩელთაგან საჩივარმიმისამართებულ ჩემს წიგნში გამოთქმული ძირითადი ბრალდებების განხილვას და მიზნად არ ისახავს სადავო საკითხის გარშემო სისწორის დადგენას.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ე. წ. მოსარჩელეთა სურვილს ამ შემთხვევაში წარმოადგენს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებული ელიტური კორუფციის გადაფარვა, რასაც მე ხელს ვერ შევუწყობ.

...და ბოლოს, ბატონო მოსამართლევ, ვაკვირდები რა ამ სხდომებზე თქვენს ძალისხმევას, იმედს ვიტოვებ, რომ ხელს არ შეუწყობთ კვლავ პოლიტიკურ თაღლითობათა თარეშსა და ელიტური კორუფციის მიჩქმალვის მცდელობას.

პატივისცემით

ს. საჯაია.

6.02.2013 წ.

***

*"არა დღე ერთ, არცა ორ დღე, არცა ხუთ დღე,*
*არცა ათ დღე, არცა ოც დღე, არამედ ვიდრე*
*თვესა დღეთასა ჰჭამდეთ, ვიდრემდე წარმოხდეს*
*ცხვირით თქუენით და გექნეს თქუენ ნავღელ,*
*რამეთუ ურჩ ექმნენით უფალსა..."*
*რიცხუთა - 11, 19-20;*

*"წუხელ სიზმარში მიმიძღოდა ჩემი ცხედარი,*
*და მივდიოდი, მივკიოდი საშიშ ქარიშხალს..."*
*ტერენტი გრანელი*

__25.02.2013 წ. 16 სთ:__ ბატონო მოსამართლევ, წინამდებარე სარჩელში, რომელიც დაიწერა 2012 წლის აგვისტოში და მის შემდგენლებს საცრუმოძრაობო რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ მ. სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი მთავარი პროკურორი მ. ზოდელავა, ასევე შს სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირები დ. ახალაია და ს. თოფურიძე (რომლებიც, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობისთვის ქვეყნიდან გაიქცნენ და მართლმსაჯულებას ემალებიან), გასაგებია, რომ უმთავრესი ბრალდება გახლავთ მ. სააკაშვილის მაოხრული საქმიანობის მხილება ჩემს წიგნებში ***("დემოკრატიული" გადაგვარებით "ცივილური" გადაშენებისაკენ, 2005 წ.; "შეგინებულ სარეცელთა ბოღმა", 2005 წ; "დღეები ცხედართა უხმო კივილისა", 2007 წ; "საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?!" 2008 წ; "ახალი საეთნოდივერსიო პოლიგონისათვის", 2009 წ; "როდესაც ზნეობა მთვარის შუქზე საწმერთულს იხდის", 2010 წ).***

შეგახსენებთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოხატა რა სახალხო აზრი, კინორეჟისორმა რ. ჩხეიძემ ***(5.02.2013 წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი),*** მას საქვეყნოდ ერის მოღალატე და გამყიდველი, ცრუ, ორპირი, დროის უკუღმართობით ქვეყნისთვის პრეზიდენტად თავსმოხვეული მედროვე, რაც მთავარია, გარეშე ძალების (აგრესიული გლობალიზმის) მეგზური უწოდა (ამას ნიშნავდა ის, რაც მან თქვა).

მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეთაგან მილიონ ნახევარმა ადამიანმა მ. სააკაშვილს პირადი ხელმოწერითა და საკუთარი მისამართის მითითებით გამოუცხადა უნდობლობა, უფრო მეტიც, იგი ეროვნულ ღირებულებათა დაუძინებელ მტრად აღიარა, ისევ და ისევ დაბეჯითებით მინდა დავაზუსტო, - ე. წ. ეროვნული მოძრაობის წევრები (როგორც თვითონ აცხადებენ) ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია, თ. ლორთქიფანიძე, ასევე ქართული სულიერების მკვლევარი (მას ასე მიაჩნია) და მწერალი ა. გასვიანი ისევ ძალაში სტოვებენ თავიანთ ხელმოწერას ჩემს საბეზღებელ წერილებზე ან მათ მიერვე შედგენილ წინამდებარე სარჩელზე?!.

რაც მთავარია, ისევ ჯიუტად მიიჩნევენ, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც არა თვითმიზნური, არამედ საფრთხის მომცველ მოვლენებში კეთილმოსურნედ გარკვევა, მისი მკაცრი და სამართლიანი ოპონირება, როგორითაც მე მოვექეცი მ. სააკაშვილის არაჯეროვან ნაბიჯებს, ქვეყნისთვის სახაფანგო მავნებლობაა?! იქნებ ჯობდა მათი დროული გასიგრძეგანება, მაშინ, ხომ ამ დღეში არ აღმოჩნდებოდა ბატონი მიხეილი?!

ეს მით უფრო მაინტერესებს, რომ პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა 2013 წლის 8 თებერვალს პირადად მისი და თავისი ხელისუფლების ზოგიერთი შეცდომისთვის ქართველ ხალხს მოუბოდიშა *(საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, 8 თებერვალი; ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის 9 თებერვლის განცხადება იმავე არხზე)*. სხვა საკითხია, რამდენად გულწრფელია ეს ბოდიში, მაგრამ სიცხადე ისაა, რომ საქართველოსთვის შემოჩეჩებულმა პრეზიდენტმა ამჯერად კაცღმერთობის ხუშტური ეჭვმიუკადრებელ ჭეშმარიტებად არ დაადგინა ***(ამ ვითარებაში, როდესაც ქვეყნის მოსახლეობამ 2013 წლის 8 თებერვალს პრეზიდენტის სასახლესთან საყოველთაოდ დაგმო მ. სააკაშვილის თვითმპყრობლობა, "ხალხთან გამოსულ" აშშ-ს ელჩს საკუთარი თავისთვის არ უნდა მიეცა უფლება მითითებითი "რჩევა" ეკადრებინა ქართველი ერისათვის, რაც სინამდვილეში ე. წ. პრეზიდენტის კოლაბორაციულ საქმიანობასთან შეგუებისკენ მოწოდებას ნიშნავდა. აშშ-ს ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობის პირს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ქართული სახელმწიფო არ გახლავთ*** არც ერთი "მეგობარი" ზესახელმწიფოს ქვემდებარე და მისთვის უზენაესი მხოლოდ ქართველი ერის სახალხო ნებაა).

დიახ, დიახ, ბატონებო (ნუგზარ მგალობლიშვილო, თემურ მჟავიავ, თემურ ლორთქიფანიძევ და აკაკი გასვიანო), ისევ ***"ქვეყნის ღალატად"*** მითვლით მ. სააკაშვილის ავსაქმეთა მხილებას, რისთვისაც, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, სამჯერ მოაწერეთ ჩემს დასასმენ საჩივრებს ხელი: ***1. 2011 წლის 11 აპრილს ამ მიზნით მიმართეთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს; 2. 2012 წლის 23 მაისს საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარის გ. თორთლაძისგან მოითხოვეთ ჩემი ჯვარცმა მ. სააკაშვილის მხილებისთვის და 3. 2012 წლის 8 აგვისტოს ქ. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის სასამართლოში შეიტანეთ სარჩელი, რომელშიც ქვეყნის ღალატად მითვლიდით აგრესიული გლობალიზმის მეგზურისთვის - მ. სააკაშვილისთვის ნიღბის ჩამოხსნას.***

აქ უნდა მივმართო ***"კოლხური კოშკის"*** მსოფლმხედველობით მოხელმძღვანელე საზოგადო მოღვაწეებს: ბატონებო, ვხელმძღვანელობდი რა ზ. გამსახურდიას საგაკვეთილო ნაშრომებით ***"დილემა კაცობრიობის წინაშე"***, ***"საქართველოს სულიერი მისია"*** და ა. შ. - მათი სწავლების საფუძველზე გავასაჯარისე აგრესიული გლობალიზმის ნაცადი

მეგზურისა და ხელისბიჭის, ქართველი ერისთვის გარედან ე. წ. პრეზიდენტად წამოსკუპებული მ. სააკაშვილის გარეწრობანი, რისთვისაც თავის დროზე ***"მრგვალ მაგიდაში"*** შეგზავნილმა ნ. მგალობლიშვილმა, თ. მჟავიამ, თ. ლორთქიფანიძემ და ა. გასვიანმა პარტოკრატად ჩასაფრებულთა მხარდამხარ დამაბეზღეს შესაბამის სამსახურებში, დიახ, დიახ, ქვეყნის მაოხრი მ. სააკაშვილის ბოროტმოქმედებათა მხილებისათვის. **დაიმახსოვრეთ!**

***

**სხვათაშორის:** რაკი სიტყვამ მოიტანა, 6 თებერვალს, სასამართლოს სხდომაზე ა. გასვიანის განცხადებასთან დაკავშირებით უნდა განვმარტო, - არაერთგზის განმიცხადებია, რომ მე ამ კაცის შემოქმედებაში რამოდენიმე ნოველას, ასე თუ ისე, საშუალო მწერლის ნაღვაწის დონეზე გამოვარჩევ, რაც შეეხება მის ***"კვლევებს"***, როგორც თვითონ ამბობს, ქართულ სულიერებაში, ამ საკითხზე ბატონი კაკოს მიმართ რაიმე საჯარო აზრის გამოთქმისგან, მრავალი მიზეზის გამო, თავს შევიკავებ. ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ 2005 წელს ქ. თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორ-ექსპერტებისგან იმხანად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თ. მჟავიამ მიიღო საგანგებო დასკვნა, რომელიც, მცდარობის გამო, მიზანშეუწონლად მიიჩნევდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე ა. გასვიანის კვლევათა წარდგენას ან გამოქვეყნებას ***(2-4 ნოემბერი: "მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ქართველი ერის თვითიდენტიფიკაციის საკითხები". ეს მასალა წესით დაცული უნდა იყოს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კანცელარიაში, მეორეც, ამ დასკვნის შესახებ მაშინ პირადად თ. მჟავიამ აუწყა ა. გასვიანს და თუ გნებავთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ამ პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მეც ვიყავი და კარგად ვიცი ეს ყველაფერი).***

ამის გახსენება აქ იმ შუაში გახლავთ, რომ სასამართლოს სხდომაზე ბატონმა აკაკიმ (6.02.2013 წ.), მიუხედავად იმისა, - არანაირი კავშირი ამას საქმესთან არ ჰქონდა, წარმოადგინა თავისი რომელიღაც წიგნი, რაღაც თანდართული საბუთით, რომელსაც, მისი თქმით, მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

ისევ და ისევ ხმამაღლა ვადასტურებ, მე არ ვიჩემებ ამ საკითხში იმ დონეზე განსწავლულობას, - რაიმე შეხედულება გავასაჯაროსო ასეთ შემთხვევაში, თუმცა, არანაირად არ მივცემ თავს უფლებას, ერთი წუთითაც დავეჭვდე სასულეირო აკადემიის დებულებებში მხოლოდ იმის გამო, ***რომ პატივცემული მოსამართლის თვალწინ***, როგორც ბატონმა აკაკიმ ირწმუნა, მისი მითითებითი გაწყრომები და მრისხანე თითისქნევები რაიმე გავლენას მოახდენს ჩემს რწმენაზე.

აქ აღსანიშნი ერთიცაა, მე ბატონ კაკოს ***თავისი შემოქმედების ავ-კარგზე არ ვეკამათები, ამიტომ, ვერ გავიგე, რად მიქნია თითი ამის თაობაზე. მასთან სადავო სულ სხვა რამაა, - რატომ აღმოჩნდა დევნილი მოსახლეობა კოდორის ხეობაში დაუცველი?!..***

***

პატივცემულო მოსამართლევ, თქვენთვის, როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მკვიდრისთვის, ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმ ვითარებათა თუნდაც საგამზირო თვალშევლება, რომელთა პოლიტიკურ ცხრაკლიტულებში არათუ გარკვევა, მისთვის სათანადო ძალისხმევათა მიპირწონება პირდაპირ მოეთხოვებოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა იმ ჯგუფს, რომელსაც სხვათა გვერდით, 1991 წლის 29 სექტემბერს აფხაზეთის მოსახლეობამ, ვთქვათ ასე, სახალხო ნდობა გაუპიროვნა.

სამწუხაროდ, მათგან არაერთმა და ორმა, სხვადასხვა მიზეზით (ზოგმა უვიცობით, ზოგ შემთხვევაში წინგაუხედაობით, ზოგჯერ კიდევ ანგარებით) ალღო არ და ვერ აუღო ყოველივე ამას.

ჩემთვის კი არა, საზოგადოებისთვის უნდა იყოს საგანგაშო, რომ, ჩემდა სამწუხაროდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ამასთან დაკავშირებით დროით დადასტურებულ ჩემს დასკვნებს გამბათილებელი სათანადო არგუმენტებით კი არ ეჯებირება, არამედ ნ. მგალობლიშვილის მსუბუქყოფაქცევური შანტაჟითა და გ. წუწუნავას ე. წ. მოსარჩელეებისათვის თავს ხიფათ დამტეხი ილეთებით ეფარიკავება.

ვეხები რა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს, იმედს ვიტოვებ. - ***ყველა მონაწილე წინამდებარე სასამართლო სხდომისა გაისიგრძეგანებს, რომ ჩვენდა დაუკითხავად თვით ჟამთაბერი ანიშანსვეტებს იმ ერთადერთ უმცდარ სვლაგეზს, რომელსაც მივყავართ სისწორისკენ. ამის შესაბამისად, სამართლიანობამ არ უნდა მისცეს საშუალება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, კვლავაც იღვაწოს სახალხო ნებას დაპირისპირებული, საზოგადოებისათვის საეჭვო და დევნილი მოსახლეობისთვის სახელგატეხილ დღის წესრიგში (ქვემოთ თანმიმდევრულად შევეხები თუ რა საფრთხეებს გვიაბლაბუდებს იგი).***

წინამდებარე ე. წ. მოსარჩელეთა და მათი ***"დაცვის" მცდელობა, დაალაგონ მოვლენები მხოლოდ "სიმართლეს" მიმსგავსებულად და არა მათ სისწორეში, ვერანაირად ვერ დაისახავს დიად მიზნებს, რადგან ასეთი ხელცდუნება არაფერს სძენს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საქმეს და არ აკეთილშობილებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღესი საბჭოს პოლიტიკურ აზრას.*** ყველაზე დიდი, რისი მიღწევაც მას შეუძლია, ეს გახლავთ იმის გამოჩორკნა რაღაც გრძლიობაში

(რეგლამენტში), - ჩემი სისწორე არეკლოს მრუდე სარკეში თავისი მიზნობრივი თვითდამკვიდრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. დიახ, დაგეთანხმებით, მიჯნას გაუმცდარი საზღვარი უზნეობაში თარეშისა და სიყალბეთა ქსოვის სურვილსაცა აქვს, მაგრამ ნ. მგალობლიშვილისა და გ. წუწუნავას, ანუ ე. წ. მოსარჩელეთა ძირითადი გამხმოვანებლების საქციელში მოძიება ასეთი მიჯნის, უიმედო საქმე გახლავთ.

ამ ადამიანებს ისე წარმოუდგენიათ, თითქოს მათ წინაშე არა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას შესაბამისი რწმუნება ბოძებული, თავის დროზე ფაქტობრივი ე. წ. ხელისუფლების მიერ, მათ შორის აფხაზეთის მთავრობის დანაშაულებრივი საქმიანობის გამოც, უბედურების ადგილებში უმწეოდ დაგდებული, დიახ, დიახ, ვადასტურებ, წინამდებარე ე. წ. მოსარჩელე დეპუტატთა მიერ იქ ჩატოვებული ადამიანების გვერდით მყოფი და მათ საშველად მოსაქმიანე ეროვნული ხელისუფლების სათანადო ინსტიტუციის - აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კი არ იდგეს თითქოს, რომელმაც ჟამთა გადასახედიდან თუ შევაფასებთ, არც თუ ურიგოდ გაართვა თავსატეხ მოვალეობას თავი, არამედ ვიღაც ძნელად აღსაზრდელი ბიჭუნა წასწრებული დანაშაულისთვის იჯოხებოდეს. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ მთელი ამ სხდომების განმავლობაში სურთ, ისეთ საკითხებში ჩამითრიონ საკამათოდ, რაზედაც, უკეთეს შემთხვევაში, წარმოდგენა არა აქვთ, უარესში კი - საკუთარ არაშესაბამისობათა (ძალიან რბილად რომ ვთქვა) მიფარდვას თანმიმდევრულად ცდილობენ.

აქედან გამომდინარე, ე. წ. მკლავების გადაგრეხის წესით, თან ჩემი წიგნიდან წინადადებების არა ა-დან ჰ-აემდე გადმოცემით, არამედ ცალკეულ სიტყვათა ხელოვნური ამოფლეთებითა თუ აზრის გამრუდებელი სიტყვაშეხამებებით ისინი საგანგებოდ ***"კერავენ"*** იმგვარ შინაარსს, რომელიც მათ საკუთარი ცილისწამებების "მტკიცებულებად" სჭირდებათ და რასაც არანაირი საერთო არა აქვს წიგნში გამოთქმულ ღერძულ აზრთან.

ბატონო მოსამართლევ, როგორც მოგეხსენებათ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგად მთელი ეს წლები ***იქცა რუსიზმის მიერ მიზნობრივი არაბუნებრივობით გამოინკუბატორებული სეპარატისტული ეთნოკრატიისა და ასეთივე პოლიტიკური სინჯის ვითომ ქართული პარტოკრატიის ნომენკლატურულ და არა მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებათა პოლიგონად.***

ასეთი გახლდათ ვითარება მაშინაც, როდესაც 1991 წლის 29 სექტემბერს არჩეული იქნა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო. მართალია, ამ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ხელისუფლებამ კრემლის ეთნოდივერსიული ავანტიურები აფხაზეთის მოსახლეობის სახალხო ნების შესაბამისად კი ჩაშალა, მაგრამ იგივე კრემლმა ნაწილობრივი

რევანში თვით არჩევნების მიმდინარეობისთანავე შესძლო, როდესაც ეთნოკრატიულ-სეპარატისტული ბლოკ "სოიუზის" შემადგენლობაში პირწმინდად შესძლო ჩვენი სახელმწიფოს დაუძინებელი მტრებისა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) კრემლის საიმედო დასაყრდენთა დარაზმვა, რომლებიც არათუ გამობრძმედილი გახლდნენ სააფხაზეთო პროვოკაციებში, ის კი არადა, გააჩნდათ ამ ძირგამომთხრე-ლობათა "***გამამართლებელი***" გამოცდილებაც. ამის გასწვრივ იმავე კრემლმა აფხაზეთში ზემოთხსენებული ***"ქართული"*** პარტოკრატიის მეშვეობით შესძლო დეპუტატად გაეყვანა საკმაო რაოდენობის საკუთარი მოხალისე მეგზურიც.

ამ შემთხვევაში შორს წაგვიყვანს და არც თუ საჭიროცაა იმ დროის პოლიტიკურ ვნებათაღელვათა აქ გასაჯარისება ***(ეს მე შესაძლებლობის ფარგლებში გაკეთებული მაქვს ჩემს წიგნებში)***, მაგრამ მთავარი უნდა აღინიშნოს, - როდესაც იმპერიათა შეთქმულების შედეგად სისხლიანი პუტჩის გზით, უკვე დამხობილი იყო საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლება და ქვეყანას მტრული გარეშე ძალების მიერ ხელდასმული ხუნტა მართავდა, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქარ-თულმა ფრაქციამ სხვადასხვა მიზეზით, ცხადია, კრემლისა და აგრესიული გლობალიზმის მიერ თავსმოხვეულ დივერსიებს ვერ მიაგება სათანადოდ ქმედუნარიანი პოლიტიკური საპირისწონეები, რის გამოც მან საორთა-ბრძოლოდ მიიღო ის ვერაგული ილეთები, რაშიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, გამობრძმედილი იყო კრემლიდანური ჩასაფრება.

უფრო მეტიც, ამ დროისათვის, როდესაც ხუნტამ გააუქმა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და აგრესიული სეპარატიზმი სამართლებრივი ზემოქმედების, ლაგამამოდებისა თუ მართვის მიღმა დარჩა, თავის მხრივ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ***"ქართული"*** ფრაქციის ის ნაწილი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, თავისი პარტოკრატიული სინჯის გამო კრემლისგან თავაუტკივებლად მართული დარჩა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციიდან იმ დეპუტატების მიმხრობაც შესძლო, რომელნიც (არ მინდა ორპირები ვუწოდო), იყვნენ რა ვითარების მძევლები, ვერ გაერკვნენ თავსდამტყდარ პოლიტიკურ ვერაგობათა ნამდვილ სვლაგეზში.

აქედან გამომდინარე, მათ თანამშრომლობა დაიწყეს თბილისური ხუნტის მხარდასაჭერად აფხაზეთში სახელდახელოდ შექმნილ ე. წ. ქართულ დემოკრატიულ მოძრაობასთან, რომელიც, სწორედაც რომ თავისი კრემლიდანური, ანუ კოლაბორაციული შინაარსის გამო, არ სარგებლობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველი მოსახლეობის ზევრად უპირატესი ნაწილის მხარდაჭერით, უფრო ცხადად რომ ვთქვა, იგი იმთავითვე დაუპირისპირდა ეროვნული

მოძრაობის მრავალთვიან აქციებს სოხუმში, რითაც სახალხო მხარდაჭერის ნაცვლად, ერთი მუჭა პარტოკრატიული ნომენკლატურის ანაბარა დარჩა.

სულაც არ მივიჩნევ შემთხვევითობად, რომ ამ ე. წ. დემოკრატიულ მოძრაობას, ისევე, როგორც აფხაზეთში "ქართველთა" საარჩევნო კამპანიას, სათავეში ედგა პოლკოვნიკი ა. ლომინაშვილი, - იმხანად აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის, გენერალ გ. ლომინაძის - პირველი მოადგილე. ბატონი გივი, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არ არჩეულა, ასეც ხდება, ამჟამად მისი წევრი და ამ სასამართლოზე ერთ-ერთი მოსარჩელეა.

ასეთ ვითარებაში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართულმა ფრაქციამ, როგორც მკვლევარი ნ. ბაღდავაძე წერს, მიიღო მიუტევებლად საეჭვო ხასიათი: ***"აფხაზეთის უზენაეს საბჭოში დაიწყო ქართული დეპუტაციის ყოვლად გაუაზრებელი მოქმედებები, რასაც მოჰყვა 1992 წლის 14 აგვისტოს ომის იურიდიული მომზადება რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტური ნომენკლატურის მიერ, რის შემდეგ იმ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოსთვის მოეგლიჯათ ტერიტორიები, ხელ-ფეხი გაეხსნათ და სეპარატისტული ხელისუფლების ჩამოყალიბებით ქვეყანას ჩამოაშორეს სამაჩაბლო და აფხაზეთი. საფუძველი დაედო <u>"საქართველოს ტერიტორიის სამართლებრივ დანაწევრებას"</u> (ნ. ბაღდავაძე, "საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტი", თბილისი-სტრასბურგი, 2011, გვ. 7).***

ამდენად, აქ უნდა დავაზუსტოთ, რომ 1992-93 წლებში მიმაჩნდა და ამაში ბატონი ზ. გამსახურდიაც მეთანხმებოდა (იხილეთ ჩემი ინტერვიუები მასთან კრებულში - ***"ებრძვიან ქრისტეს, ანადგურებენ საქართველოს" (თბილისი, 1999 წ.)***, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს როგორც ბლოკ ***"სოიუზისეულმა"*** ნაწილმა, ასევე ***"ქართულმა"*** ფრაქციამ (მიუხედავად მისი მცირე ჯგუფის წინააღმდეგობისა), ვთქვათ პირდაპირ, სახელმძღვანელოდ არ გაიხადეს მათი წინასაარჩევნო პროგრამები, რისთვისაც ისინი აფხაზეთის მოსახლეობამ აირჩია და თავს მოიხვიეს რა კრემლის იმპერიული დაკვეთა, საქმე საომარ ავანტიურამდე მიიყვანეს.

იმისათვის, რათა აფხაზეთის ასსრ-ად და ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-დ თავის დროზე ქართველი ერის ზურგსუკან გაპოლიტაბრებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა და ასევე ჩრდილო-დასავლეთ ქართლის, ამ ძირძველი ქართული მხარეების საქართველოდან ჩამოგლეჯა მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის ნაკლებ თვალში საცემად მიღწეულიყო, - რსფსრ-ს სჭირდებოდა რუსეთის საოკუპაციო აგრესია გაფორმებული ე. წ. ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებად. ამით დივერ-სიული გათვლის მოცემულობა ძალზე ქმედუნარიანი ხდებოდა, ასე მაგალითად, ასეთ შემთხვევაში ამგვარ საკითხებში ნაკლებ გათვითცნობიერებული მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის ბუნებრივად

ისმებოდა კითხვა: ***– სად მიმდინარეობს ომი? აფხაზეთში (ე. ი. ”არაქართულ” ქვეყანაში); ვისსა და ვის შორის? ქართველებსა და აფხაზებს შორის; რატომ ეომებიან ქართველები აფხაზებს საკუთარ (ე. ი. ”არაქართულ”) ქვეყანაში?!..***

არათუ ამ მხრივ ძირითადად გაურკვევლობაში მყოფი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები, თვით ქართული შესაბამისი სამსახურები დღემდე სარგებლობენ აფხაზეთის საკითხში რუსიზმის მიერ მიზნობრივად შექმნილი საეთნოდივერსიო ტერმინოლოგიით, ცნებებით, სტერეოტიპებით და ა. შ. ასეთ დროს, მე არ ვამტკიცებ, რომ ეს ანგარებით მოხდა, ***მაგრამ შედეგის თვალსაზრისით რა მნიშვნელობა აქვს თუ მტერი სრულიად უსასყიდლოდ და მუქთად აღწევს მიზანს, როცა მოსადავებულე მოწინააღმდეგეს, ნებით თუ უნებლიედ, აკეთებინებს იმას, რაც თვითონ დაგეგმა?!***

თუ ჩვენ დღეს მაინც, 22 წლის შემდეგ, როდესაც ურემი არათუ გადაბრუნდა, ცხრაგზის გადატრიალდა კიდეც, ვთანხმდებით იმაში, რომ აგრესიული სეპარატიზმის თავკაცი და პოლიტიკური წინამძღოლი ვ. არძინბა, ისევე, როგორც ე. შევარდნაძე - იმპერიათა ნაცადი ნამეტნიკი საქართველოში, ერთი და იგივე კრემლიდანური სადავეებით იმართებოდნენ, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ რუსეთის საოკუპაციო აგრესიის შენიღბვა, რისთვისაც საომარი ავანტიურა ე. წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად გაფორმებას საჭიროებდა და თუ ტყუილი არ გვაკადრა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. მესხიამ, მაშინ მისი განცხადება ***”... ზუსტად იმ დღეებში თამაზ ნადარეიშვილი ეახლა თბილისში სახელმწიფო საბჭოს თავკაცებს (ანუ რუსიზმის მეგზურებს, ს. სახ.) დეპუტატთა მცირე ჯგუფის, ელგუჯა (გია) გვაზავას, ეთერ ასტემიროვასა და რაისა ქარაიას თანხლებით, სადაც ფაქტობრივად გადაწყდა აფხაზეთში ომისა და მშვიდობის ბედი!.. (ნ. მესხია, ”როგორ გასხვისდა აფხაზეთი”, თბ., 2009 წ. გვ. 63).*** - ძალიან ცხადად გვისურათხატებს იმ საბედისწერო მიმორბენებს, რამაც სათვითმკვლელო ჩახმახს გულმოდგინედ გამოკრა ფეხი!.. (მართალია, სასამართლოზე მოსარჩელეებმა იუარეს ეს, მაგრამ ამის სისწორეს ჯ. იოსელიანის მოგონება ადასტურებს. იხ. ქვემოთ).

როდესაც ბატონ ნაპოს ხსენებული დეპუტატებისთვის უკითხავს თუ რა იყო ე. წ. სახელმწიფო საბჭოში სტუმრობის მიზეზი, ***”ისინი სიხარულს ვერ მალავდნენ და თვალებგაბრწყინებულმა ქალბატონებმა ღიმილით გვიპასუხეს: ”ბატონო ნაპო, ყველაფერი კარგად იქნება, დაწყნარდით, ორ კვირაში ნახავთ!”*** *(იქვე).*

იმ ორ კვირაში ნანახს კი ის მოჰყვა, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) რუსეთმა მიისაკუთრა, ამოწყვიტა აფხაზეთის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, მოაწყო ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა, სულიერი ძეგლების და ყოფითი ნაკვალევის პარტახი და ა. შ. და ეს დღემდე გრძელდება (ხმამაღლა ვამბობ, მე ბატონი ნაპოს წიგნიდან ვიმოწმებ მხოლოდ იმას, რაც უტყუარად მოხდა, ამავე დროს,

თავს ვიკავებ ხსენებული ნაშრომის მთლიანი შეფასებისგან, რომელშიც, მიუხედავად ავტორისადმი პატივისცემისა, პირდაპირ უნდა განვაცხადო, - სამწუხაროდ, არის მცდარი და მეგრელებისთვის, ამდენად, სრულიად საქართველოსთვის მიუღებელი დებულებები).

ბატონო მოსამართლევ, მართლა მაინტერესებს, ასეთ თანამშრომლობას იმპერიის მიერ საკუთარ ნამესტნიკად გამოგზავნილ ე. შევარდნაძესთან ან ვ. არძინბას ვერაგულად გადამბირებელ თანამდებო-ბებზე დახარბებას თუ არა კოლაბორაციონიზმად მიჩნევა *(დავუშვათ უნებლიეე)*, სხვა რა ზუსტი შესატყვისით გამოვსახო ეს ურთიერთობა?!

სამწუხაროდ, სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან და კერძოდ მის პოლიტიკურ წინამძღოლ ვ. არძინბასთან *"ქართული ეროვნული მოძრაობის"* ზოგიერთ წარმომადგენელთა, უფრო ზუსტად, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რიგი წევრის "გულითადობა", - უფრო მეტსაც გეტყვით, ასე გამოჭენებულ ე. წ. მოსარჩელეთაგან ნ. მგალობლიშვილისა და თ. მჟავიას საეჭვო გარიგება პირდაპირ აღწერა ლ. მარშანიამ, როცა მათ, მას შემდეგ, როდესაც 29 სექტემბრის არჩევნებზე ოჩამჩირის №60-ე საარჩევნო ოლქში ვლადიმერ აშხაწავასა და მას შორის მეორე ტური დაინიშნა და ზემოთხსენებულმა "ეროვნულებმა", პირდაპირ მოსთხოვეს აწგანსვენებულ ლორიკს, ვ. აშხაწავას სასარგებლოდ მოეხსნა თავი.

ბატონო მოსამართლევ, თუ იმას ვირწმუნებთ *(არადა, არც აქა გვაქვს საფუძველი, არ დავუჯეროთ ავტორს)*, რასაც ბატონი ლორიკი თავის წიგნებში არაერთგზის, განსაკუთრებით კი ნაშრომში *"Правда о трагедии Абхазии" (თბილისი, 1997 წ. გვ. 23-25)*. ვრცლად, სრულ სამ გვერდზე აღწერს თუ როგორ უხეშად ზემოქმედებდნენ მასზე საკუთარი ცოლ-შვილის თვალწინ ნ. მგალობლიშვილი და თ. მჟავია, ან გავისიგრძეგანებთ იმ სისხლის ღელეთა სიღრმეს, რაც ვ. აშხაწავამ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას ადინა რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ***თქვენ როგორც გნებავთ, ისე ჩამითვალეთ, მაგრამ მე პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ეს არაა მარტო წინგაუხედავი გარიგება სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან, მასში, უპირველეს ყოვლისა, რუსული საოკუპაციო თადარიგის დაკვეთათა ბეჯითი აღსრულების ნიშნებია გამოკვეთილი.***

ასეთია ფაქტი და ვრცელ ამონარიდს ამის შესახებ შეგიძლიათ, ე. წ. მოსარჩელეთა სარჩელმიმისამართებული ჩემი წიგნის 171-173-ე გვერდებზე გაეცნოთ ამ წუთში, აქვე, და თავად განსაჯეთ თუ რასთან გვაქვს საქმე.

ბატონო მოსამართლევ, როდესაც ჩემს წიგნებში ვსაუბრობ კოლაბორაციაზე და, ნებით თუ უნებლიედ, მტრულ დაკვეთებთან მავანთა თანამშრომლობაზე, - აი, ასეთ, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაუ-ლებრივად წინგაუხედავ ნაბიჯებს ვგულისხმობ, რაც ე. წ. მოსარჩელეთაგან იმ დროს არაერთი გადაიდგა.

აქვე უპრიანია, გავიკვირვოთ იმის გამოც, თუ რატომ ეუხერხულება და უარობს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, რომ იგი ე. წ. ქართული პარტოკრატიის წიაღიდან მოდის. თავად განსაჯეთ, - აქ მოღვაწე 24 დეპუტატიდან 1 გახლდათ საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანი; 2 - საქართველოს კპ სხვადასხვა (გალისა და გულრიფშის) რაიკომის პირველი მდივანი; 1 - საქართველოს კპ გალის რაიკომის მეორე მდივანი; 2 - აფხაზეთის რაიონებში კომკავშირის რაიკომის ყოფილი მდივანი და აქტივისტი; 1 - საბჭოთა მილიციის გენერალი და 1 - პოლკოვნიკი, ამდენად 8 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რაოდენობის 1 - მესამედი საბჭოთა პარტოკრატიული სტრუქტურების მაღალჩინოსანი იყო.

იგივე სურათი იხატება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს აპარატშიც - კერძოდ: მისი უფროსი საქართველოს კპ ტყვარჩელის ქალაქკომის ყოფილი მეორე მდივანი გახლავთ. აპარატში მაღალ თანამ-დებობაზე საქმიანობს 2 საბჭოთა აღმასკომის (გაგრისა და გულრიფშის) ყოფილი თავმჯდომარეები, ამავე სამსახურების 2 მდივანი, სხვადასხვა რაიაღმასკომთა 4 ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, 3 სათანადო სამსახურის მაღალჩინოსანი და ა. შ. რაც ჯამში 21 ადამიანი გახლავთ და მათი თანამდებობრივი საქმიანობა აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის დასაწყისშივე მიღებულ ლუსტრაციის კანონთან.

***აქ საგანგაშო ის კი არაა, რომ ეს ხალხი თავის დროზე სკკპ და საბჭოთა მაღალ თანამდებობებზე საქმიანობდა, საუბედუროდ სიცხადე მათი მსოფლმხედველობრივი ჩარჩენაა საბჭოთა პარტოკრატიის ცნობიერ წიაღში, რამაც განაპირობა კიდეც ორგანიზებული კორუფციის აღმავლობა აქ.***

ვერ ვიტყვი, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის არ იყო ან დღეს არ იმყოფება ადამიანი, რომელსაც ან ადრე არ დაენახა ან დღეს ვერ ამჩნევდეს, რომ ***ამ დაწესებულებაში სამშობლოზე და სახალხო ნებაზე ყველაზე ბოლოს ისაქმებენ თავს, მაგრამ მრავალი მიზეზის გამო იგუბებენ პირში წყალს, რადგან საგრძნობ უმცირესობაში არიან, ხოლო ცოტნეს თავდადებაში გარჯა მხოლოდ უფალწვდენილთა ხვედრია!..***

ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ეროვნული მოძრაობიდან თითქმის არავინ არ ***მოხვდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნ. მგალობლიშვილის ჯგუფს, რომელსაც ასევე მართავდა "ქართული" პარტოკრატია, ამას თვითონ ის აღნიშნავს გაზეთში "საქართველოს რესპუბლიკა" (2010 წ. 13 მარტს)***, როცა ინტერვიუში თუ ***"როგორ უღალატეს ქართულ საქმეს ქართველმა დეპუტატებმა"*** იგი ამჯერად იხსენებს: ***"ნ. მგ: "... ისინი მიდიოდნენ არძინბასთან მოლაპარაკებებზე და თანამდებობებზე*** (ქართველ დეპუტატებზეა საუბარი - ს. საჯ.). ***კორ.: ანუ***

*გარიგებაზე? ნ. მგ: - დიახ, სხვათა შორის, თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც მათ არძინბას "პრიანიკებზე" გაყიდული დეპუტატები ვუწოდე... კორ.: ისინი დღეს სად არიან? ნ. მგ: დღესაც უმაღლესი საბჭოს წევრები არიან..."*

ამრიგად, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს როგორც სეპარატისტულ-ველიკოდერჟავნიკულმა, ანუ ეთნოკრატიულმა ნაწილმა, ასევე ვითომ ქართული პარტოკრატიული დეპუტატების საეჭვო ერთსულოვნებამ ***(აქ არ ვგულისხმობ იმ ორიოდეს, რომელნიც, ისევ და ისევ, ვითარების მძევლები აღმოჩნდნენ)***, როგორც მოგახსენეთ, საქართველოში იმპერიათა მიერ ხელდასმული ხუნტის გასწვრივ ზუსტად იმ თითგაშვერათა მიმართულებით ისვლაგეზა, რომელიც კრემლიდან შემოგვეგრიგალა და რამაც რუსეთის საოკუპაციო აგრესია მსოფლიოს დროსა და სივრცეში არ არსებულ ე. წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად წარუჩინა.

ამავე დროს ამ ვერაგულმა სიცხადემ პირწმინდად მოგვიგო საინფორმაციო ომი და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მიმდინარე საომარი ავანტიურა, ესეც უკვე გითხარით, კვლავაც საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული მიზანშეწონილობისა და აქედან გამომდინარე ტერმინოლოგიის, სტერეოტიპებისა და ა. შ., საფუძველზე გაუშუქა ამ მხრივ დაინტერესებულ, მაგრამ მასში გაუთვითცნობიერებულ საზოგადოებრიობას თვით საქართველოშიცა და, ასევე ყოფილ საბჭოთა სივრცესა თუ იმ დროის საზღვარგარეთში. აი, ეს კი არა მარტო საქართველოსთვის (აფხაზეთისთვის), არამედ სრულიად პონტო-კავკასიის სახელმწიფოებისთვის, ან კიდევ აქაური ქვეყნებისა და ხალხებისთვის აღმოჩნდა საბედისწერო.

ბუნებრივია, ასეთი ყოველმხრივ გამპარტახებელი შედეგი განაპირობა მთლიანობაში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მონონაციონალურმა გაყოფამ, რომლის დროსაც აგრესორ-სეპარატისტების მაღალი დონის ეთნოდივერსიებს, თავისი ნაკლებკომპეტენტურობის, უპირველეს ყოვლისა, მერყევი სულისკვეთებისა და რიგ შემთხვევაში ორპირული ხასიათის გამო, პირწონითი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ვთქვათ ასე პირდაპირ, ვითომ ქართულმა მხარემ.

ასეთი მდგომარეობა იმთავითვე გახდა ქართული საზოგადოებრიობის შეშფოთების საგანი, რამაც გვიან და გვიან მისი მეცნიერული კვლევისა თუ პოლიტიკური შეფასების აუცილებლობა მოითხოვა.

ასე მაგალითად, 1996 წლის სექტემბერში ***პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება "ზვიადის გზა - ხმა ერისა"*** თავის განცხადებაში აღნიშნავდა, რომ: ***"თვითვარქვია "სუვერენული აფხაზეთის რესპუბლიკის" კრიმინალურმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ე. წ. საარჩევნო კანონი.***

*დანიშნა "არჩევნების" დღეც - 1996 წლის 23 ნოემბერი, განსაზღვრა პარლამენტის წევრთა რაოდენობა - 35 დეპუტატი.*

*აღნიშნული საარჩევნო კანონი წარმოადგენს 1991-92 წლების მიჯნაზე მომხდარი მოვლენების შედეგად საქართველოში დამკვიდრებული საინტერვენციო რეჟიმის მოქმედების ფაქტობრივ შედეგს და არის ამ რეჟიმის საქართველოს ხელისუფლებაში მომყვანი რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება "ზვიადის გზა - ხმა ერისა" უფლებამოსილია განაცხადოს:*

*- ვინაიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორივე ფრაქციას, როგორც ბლოკ "სოიუზისეული", ასევე მის ნომენკლატურულ (და არა კონცეპტუალურ) ოპოზიციას, არასდროს გამოუხატავს თავისი პოზიცია 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებისადმი;*

*- ვინაიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორივე ფრაქციამ, აფხაზეთში ე. წ. ეთნოკონფლიქტებისადმი გამოხატული მიდგომით ხელი შეუწყო საომარ მოქმედებათა ესკალაციას, რაც გადაიზარდა მკვიდრი (ქართველ-აფსუათა) მოსახლეობის გენოციდსა და ქართველთა ეთნიკურ წმენდაში.*

*- ვინაიდან საერთო ჯამში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელიც არჩეული იყო, არა მონონაციონალური პრიცნიპით, არამედ მათ ხმა მისცა მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობამ, თავისი პირველი სამუშაო დღიდანვე (1991 წლის 29 დეკემბერი და 1992 წლის 6 იანვარი), უღალატა ამომრჩეველთა ნებას;*

*- ვინაიდან აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მთელი შემადგენლობა ეწეოდა რა ძირგამომთხრელ საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 65);*

- ავრცელებდა დეზინფორმაციასა და ცრუ მონაჭორს არსებული მდგომარეობისა და ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ (სსრკ მუხლი 137);

- აღვივებდა ეროვნულ მტრობას (სსსკ მუხლი 75);

- ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას (სსსკ მუხლი 66);

- ქმნიდა უკანონო შეირაღებულ ფორმირებებს და ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს (სსსკ მუხლი 73);

- ახორციელებდა ბანდიტურ თავდასხმებს მოსახლეობაზე, დაწესებულებებზე და ხელისუფლების წარმომადგენლებზე (სსსკ მუხლი 78);

- მოუწოდებდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და მისი ძალადური შეცვლისაკენ (სსსკ მუხლი 71) და სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა დანაშაულის ჩადენისკენ (სსსკ მუხლი 70);

*- ვინაიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენასესი საბჭოს მიერ 1992 წლის 23 ივლისს გაუქმებულად გამოცხადდა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუცია და შემოღებული იქნა ე. წ. აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია (რომელიც ადრე არასდროს ყოფილა ამოქმედებული), რაც საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლას ნიშნავდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 1992 წლის 23 ივლისიდან გახდა უკანონო ორგანო (სსსკ მუხლი 210), რასაც მოჰყვა მკვლელობები (სსსკ მუხლი 104, 105), ძარცვა (სსსკ მუხლი 92, 151), გაუპატიურება (სსსკ მუხლი 117), ყაჩაღობა (სსსკ მუხლი 96, 152,*

*281), მოსახლეობის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (სსსკ მუხლი 128), აფხაზეთად წოდებულ ტერიტორიაზე ომის პროვოცირება (სსსკ მუხლი 66) და მკვიდრი მოსახლეობის გენოციდი (სსსკ მუხლი 65);*

*- ვინაიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოქმედებებს მოჰყვა ომის პროვოცირება აფხაზეთად წოდებულ საქართველოს ტერიტორიაზე (სსსკ მუხლი 68), ათეულ ათასობით ადამიანთა მსხვერპლი, ასეულ ათასობით მკვიდრი მოსახლეობის დეპორტაცია, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის დასუსტება (სსსკ მუხლი 65).*

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, რომელიც განუდგა რა თავისივე ამომრჩევლების წინაშე განცხადებულ წინასაარჩევნო პროგრამას, მიიჩნევს დამნაშავედ და პასუხისმგებლად აფხაზეთად წოდებულ საქართველოს ტერიტორიაზე ომის პროვოცირებისათვის, მკვიდრი მოსახლეობის გენოციდისათვის, ასეულ ათასობით მკვიდრი მოსახლეობის აფხაზეთიდან დეპორტაციისათვის, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განადგურების, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისათვის.*

*ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე:*

*1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაული საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ და აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 63-ე, 66-ე, 68-ე, 71-ე, 73-ე, 75-ე, 78-ე, 92-ე, 104-ე, 105-ე, 117-ე, 128-ე, 137-ე, 151-ე, 152-ე, 210-ე, 281-ე მუხლების შესაბამისად.*

*2. პირველი პუნქტიდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული არჩევნები უნდა გამოცხადდეს უკანონოდ, რადგანაც მათ მიერ დანიშნული "არჩევნები" იგივეა, რაც 11 ოქტომბრისა და 5 ნოემბრის უზურპატორული თვითდამკვიდრება ხუნტის მმართველობისა.*

*აქვე გვინდა, სრულიად საქართველოს მოსახლეობას შევახსენოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 15 სექტემბერს მიღებული დადგენილება "საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ", რომელშიც კერძოდ ნათქვამია: "...საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:*

1. *საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრკ შეიარაღებული ძალები გამოცხადდეს საოკუპაციო შეიარაღებულ ძალად.*

2. *საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირთან, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გაყვანის თაობაზე.*

3. *საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე, სსრ კავშირის წინაშე დაისვას საკითხი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რადგანაც მათი ყოფნა და მოქმედება ხელს უშლის მოქმედების სტაბილიზაციას ამ რეგიონში".*

*დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის არმიის ნაწილების, ანუ რუსეთის იმპერიის ძალისმიერი პოლიტიკის შედეგია. ეს "არჩევნებიც" თავიდან ბოლომდე იმპერიული იმპროვიზაციით ჩატარდა, არნახული ფალსიფიკაციით.*

*აფხაზეთში "არჩევნების" ჩატარებით რუსული იმპერია აღწევს:*

*1. "დამოუკიდებელ" აფხაზეთში "საყოველთაო რეფერენდუმის" დაფიქსირებას, რითაც სეპარატისტულ ავანტიურას იურიდიულად დააკანონებს;*

*2. ეთნიკური წმენდის კვალის აღმოფხვრას (პარლამენტში 15 "ქართველი" ეყოლება);*

*3. "აღშფოთებული" საინტერვენციო რეჟიმი, იგივე საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეიარაღებული გზით "შეეცდება";*

*4. მოსალოდნელია, რომ კვლავ განმეორდეს "ქართულ-აფხაზური ომი", რათა დასაქმდნენ ჩეჩნეთიდან გამევებული რუსი პროფესიონალი ოკუპანტები, ანუ კავკასიის საომარი ექსპედიცია გადმოინაცვლებს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, იგივე ცხუმ-აფხაზეთში და "არჩევნებჩატარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოში" რუსეთი სეპარატისტების ენით იმასვე მოგვთხოვს, რასაც ჩეჩნეთი სავსებით სამართლიანად თავის სამშობლოში აღწევს;*

*5. ამასთანავე, დაიქსელება დაუნდობელი კუთხეთაშორისი მტრობა (გალელებმა "არჩევნებში" მონაწილეობა მიიღეს);*

*6. გალში ხელი შეეწყობა ქართული მოსახლეობისადმი ორმხრივ ანგარიშსწორებას: თუ "არჩევნებზე" მივლენ, პარტიზანები მოსთხოვენ პასუხს, თუ არა - სეპარატისტები.*

*დღევანდელი მდგომარეობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ აფხაზეთის საკითხი ვერ მოგვარდება მანამ, ვიდრე რუსული ჩექმა კავკასიას თელავს.*

*<u>აფხაზეთის საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისათვის საჭიროა სამართლიანობისა და კანონიერების მატარებელი ხელისუფლების მხრიდან ეროვნული, ისტორიული, იურიდიული, ეკონომიკური, კულტურული, ადათობრივ-ტრადიციული და სამართლებრივ-ძალისმიერი ასპექტების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება. სწორედ ასეთი პირობების შექმნას უნდა მოხმარდეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართულ ორგანიზაციათა გაერთიანებული ძალისხმევა.</u>*

*დიდება მორდუობისა და მუმუმტეობის ცნობიერების ცხუმ-აფხაზეთს!*

*დიდება სრულიად საქართველოს ჭეშმარიტ თავისუფლებას!*

*ღმერთო, მოხედე შენი სახელის დიდებასა და ძლიერებაში დარწმუნებულ სრულიად საქართველოს მოსახლეობას!*

*დაილოცოს ღვთის ძალა და სამართალი, ამინ!*

*ქ. თბილისი, 1996 წ.*

*27 სექტემბერი."*

*(გაზეთი "ზვიადის გზა", 1996 წ. 27 სექტემბერი).*

***

*იმავე სულისკვეთებას გამოხატავდა ისევ და ისევ "პოლიტიკურ ორგანზიაციათა გაერთიანება <u>"ზვიადის გზა - "ხმა ერისა"-ს</u> ეროვნული*

*ლასკარის" დადგენილება:*

*"თვითმარქვია "სუვერენული აფხაზეთის რესპუბლიკის" კრიმინალური ხელისუფლების მიერ ე. წ. არჩევნების დანიშვნა წარმოადგენს 1991/92 წლების მიჯნაზე მომხდარი მოვლენების შედეგად საქართველოში დამკვიდრებული საინტერვენციო რეჟიმის მოქმედების ფაქტობრივ შედეგს და არის ამ რეჟიმის საქართველოს ხელისუფლებაში მომყვანი რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი გამოხატულება. აღნიშნულიდან გამომდინარე:*

*-მხედველობაში ვიღებთ რა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორივე ფრაქციას, როგორც ბლოკ "სოიუზისეულს", ასევე მის ნომენკლატურულ (და არა კონცეპტუალურ) ოპოზიციას, არასოდეს გამოუხატავს თავისი პოზიცია 1991/92 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებისადმი;*

*-მხევდელობაში ვიღებთ რა, რომ 1992 წლის აპრილიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენსესი საბჭოს ქართულმა დეპუტაციამ დატოვა რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ფაქტიურად უარი განაცხადა საპარლამენტო გზით პრობლემის მოგვარებისათვის ბრძოლაზე და ქვეყნის ბედი მთლიანად სეპარატისტული ძალების ამარა დატოვა;*

*-მხედველობაში ვიღებთ რა, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭო თავისი პირველი სამუშაო დღიდანვე (1991 წლის 29 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე) ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ (განსჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 65), რაც დაგვირგვინდა 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტითა და თვითმარქვია აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენით, რითაც თავისი თავი უკანონო ორგანოდ გამოაცხადა (სსსკ მუხლი 210);*

*-მხედველობაში ვიღებთ რა, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭო მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ავრცელებდა დეზინფორმაციასა და ცრუ მონაჭორს არსებული მდგომარეობისა და ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ (სსსკ მუხლი 137), აღვივებდა ეროვნულ მტრობას (სსსკ მუხლი 75), ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას (სსსკ მუხლი 66), ქმნიდა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს და ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს (სსსკ მუხლი 73), ახორციელებდა ბანდიტურ თავდასხმებს მოსახლეობაზე, დაწესებულებებზე და ხელისუფლების წარმომადგენლებზე (სსსკ მუხლი 78), მოუწოდებდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და მისი ძალადური შეცვლისკენ (სსსკ მუხლი71) და სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა დანაშაულის ჩადენისაკენ (სსსკ მუხლი 71), რასაც მოჰყვა - მკვლელობა (სსსკ მუხლი 104, 105), ძარცვა (სსსკ მუხლი 92, 151), გაუპატიურება (სსსკ მუხლი117), ყაჩაღობა (სსსკ მუხლი 96, 152, 281), მოსახლეობის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (სსსკ მუხლი 108), აფხაზეთად წოდებულ ტერიტორიაზე ომის პროვოცირება (სსსკ მუხლი 66) და მკვიდრი მოსახლეობის გენოციდი (სსსკ მუხლი 65).*

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება, "ზვიადის გზა - ხმა ერისა"-ს ეროვნული ლასკარი ადგენს:

1. აფხაზეთად წოდებულ საქართველოს ტერიტორიაზე ომის პროვოცირებისათვის, მკვიდრი მოსახლეობის გენოციდისათვის, ასეულ ათასობით

მკვიდრი მოსახლეობის აფხაზეთიდან დეპორტაციისათვის, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განადგურების, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გამოცხადდეს დამნაშავედ;

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მოქმედება, თავისი პირველივე სამუშაო დღიდანვე (1991 წლის 29 დეკემბერი და 1992 წლის 6 იანვარი), უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დანაშაულებრივი საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ და აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 63-ე, 66-ე, 68-ე, 71-ე, 73-ე, 75-ე, 78-ე, 92-ე, 104-ე, 105-ე, 117-ე, 128-ე, 137-ე, 151-ე, 152-ე, 210-ე, 281-ე მუხლების შესაბამისად.

3. უკანონო და დანაშაულებრივი ორგანოს - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება (1991 წლის 29 დეკემბრიდან დღემდე) გამოცხადდეს კანონგარეშედ და ბათილად *(პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება "ზვიადის გზა - ხმა ერისა"-ს ეროვნული ლასკარის სპიკერი მიხეილ (გელა) სალუაშვილი, თბილისი, 1996 წლის 27 სექტემბერი (გამოქვეყნდა იმავე გაზეთში).*

ცნობისათვის: ამ მასალების მომზადებაში მონაწილეობა მივიღე სრულიად საქართველოს ე.პ.მ. "ჭყონდიდელის" სახელით.

***

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით ამ მხარის ძირძველი ქართველობა დევნილობაში აღმოჩნდა. ასეთივე ბედი გაიზიარა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართულმა ფრაქციამ. ასეთ პირობებში მას შეეძლო, დევნილი მოსახლეობის ნების გამოხატვით აემაღლებინა საკუთარი ლეგიტიმუ-რობის ხარისხი (სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც 1994 წლის სექტემბერში მ. კოსტავას ეზოში მიმდინარე "მრგვალი მაგიდის" აქციაზე ერთ-ერთ მოთხოვნად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსათვის ხუნტის მიერ შეჩერებულ რწმუნებათა აღდგენის საკითხი დავსვით). სამწუხაროდ, მან ამგვარი მიზანი არ დაისახა. საკამათო არ უნდა იყოს ის საკითხი, რომ, როგორც 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრისა და შემდგომი პერიოდის, ასევე აფხაზეთში 1992-93 წლებში განვითარებული მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს ჩვენი ქვეყნის არაერთმიმართულებითი კატასტროფა, უდავოდ საჭიროებენ პოლიტიკურ-სამართლებრივ თუ ზნეობრივ შეფასებას.

ცნობის სახით მოგახსენებთ და ზემოთდამოწმებული საბუთების გამოქვეყნებით თავადაც დარწმუნდით, რომ ასეთი მცდელობები ცალკეულ პოლიტიკურ ორგანიზაციებში კი იყო, მაგრამ ეს საკითხი, როგორც უმნიშვნელოვანესი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, სახელმწიფო ინსტიტუციების, ხელისუფლებისა და სამართალდამცავი სამსახურების თანმიმდევრული ძალისხმევით უნდა დაზუსტდეს და შემდეგ შეფასდეს.

სწორედ ამ მოვლენათა ერთი მცირე მონაკვეთის - 1993 წლის შემოდგომის ცნობილი, ჩვენი ქვეყნისთვის გამანადგურებელი მოვლენების შესწავლის წინადადებით შემოეხმიანა 2009 წლის გაზაფხულზე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი (ვ. შურღაია, რ. პეტრიაშვილი და ა. შ.). ეს მომართვა, რამდენადაც ვიცი, შესასრულებლად დაემისამართა ა. წოწონავას, რომელმაც იგი, დეპუტატთა ერთ ჯგუფთან (ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია და ა. შ.) მოთათბირების შემდეგ, მიჩქმალა. საქმე ისაა, რომ ამ საკითხის შესწავლა ნათელს მოჰფენდა საქართველოში პუტჩისტური მმართველებისა და მათთან 1993 წლის სექტემბერში მოთანამშრომლე ზოგიერთი დეპუტატის მოღალატურ საქციელს, როდესაც ისინი გამოიქცნენ აფხაზეთიდან და კოდორის ხეობაში შეტყუებული, დაუცველი და უმწეო დევნილები, ჩვენს მიწაზე და "ჩვენების" თვალწინ, პუტჩისტ ჯ. იოსელიანისა თუ მისი დამქაშების მიერ მობილიზებულ ადამიანის სახედაკარგულ მძარცველებს შეატოვეს ხელში.

მეტნაკლებად ასეთი სურათი იყო ოჩამჩირე-გალის მხარეზეც, როდესაც მდინარე ენგურის გადასასვლელებზე თუ ფონებზე ასევე "ჩვენების" მიერ უმოწყალოდ იძარცვებოდა მტრის ცეცხლს გამოქცეული მშვიდობიანი მოსახლეობა.

ასეთ შემთხვევაში ამგვარად უნდა დაისვას კითხვა: არსებობდა თუ არა (გააჩნდა თუ არა ხელისუფლებას) სტიქიური უბედურებისა თუ საომარი პარტახის დროს სახიფათო ადგილებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებში გასახიზნი გეგმა? იყო თუ არა საამისოდ მომარაგებული ტრანსპორტი, საწვავი, სურსათი, ტანსაცმელი და ა. შ.?! ვის დაევალა მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა, ორგანიზებული ევაკუაცია, შესაძლო დამრბევებთან (მძარცველებთან) კანონის შესაბამისი მოქმედება და ა. შ. თუ ეს ყველაფერი მკაცრად გაწერილი იყო და არსებობდა, რატომ არ შესრულდა იგი საგანგებო მდგომარეობის შესაბამისად? ვინმემ რატომ არ აგო პასუხი ამის შეუსრულებლობაზე, რამაც მშვიდობიანი მოსახლეობის უკიდეგანო პარტახი გამოიწვია მაშინ?!.

ბუნებრივია, აფხაზეთის ა/რ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, მით უფრო მათი რიგებიდან ვ. არძინბას საცდურს სიხარბის გამო წამოგებულებს და ამის საფასურად აფხაზეთის ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელობა მიპიროვნებულებს ჩვენ პასუხს ამჯერად მარტო იმისთვის კი არ ვთხოვთ, შემდგომში თუ რატომ დაუშვეს მეორედ სულმოკლეობა, ანუ რად ითანამშრომლეს ე. შევარდნაძის პუტჩისტურ ხელისუფლებასთან, - სხვა რამეს გეკითხებით, ამჩნევდნენ თუ არა ისინი, რომ ე. შევარდნაძეს, თავისი ძალზე საეჭვო გარიგებებით, საქმე ჩრდილოდასავლეთ საქართველოს ჩაბარებისკენ მიჰყავდა და თუ ამჩნევდნენ, რა გააკეთეს იმისათვის, რათა მათდამი რწმუნებულ რაიონებში მშვიდობიანი

მოსახლეობა, მათ შორის მათი ამომრჩევლები თავიანთ გამოქცევამდე უფრო ადრე გაეფრთხილებინათ და წინ გამოერეკათ მაინც?!.

ასეთ ვითარებაში, როდესაც სახეზეა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ოკუპირება და აქ, ამ ძირძველ ქართულ მხარეში აგრესორ-სეპარატისტთა ე. წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკური აზრის მიღმა რუსისტული საოკუპაციო ადმინისტრაციის შექმნა, თან ამ მხარეში მოწყობილი ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა ერისთვის კვლავაც საბედისწრო ჭრილობად რჩება და ეს ყველაფერი მოხდა სწორედ მაშინ, ***როდესაც შენც, როგორც დეპუტატს, ე. ი. ხელისუფალს რაღაც გევალებოდა, რაღაცაზე პასუხისმგებელი იყავი და ამ ყველაფერს, მნიშვნელობა არა აქვს რა მიზეზით, მაგრამ ვერ გაართვი თავი, იმას, რომ ასეთ დროს ხიშტით გინდა ჩაახშო გნებავთ ერთი კაცის (ამ შემთხვევაში ჩემი) ან საზოგადოების უარყოფითი შეფასება შენი მოღვაწეობისადმი, ძალიან ზედაპირულადაც რომ ვთქვათ, უკვე ნიშნავს იმას, რომ წარსულის ამ სისხლიანი ფურცლებიდან სათანადო დასკვნა არაა გამოტანილი და იმავე ხალხმა, ვინც ეს დაუშვა, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალშიც დამართოს ქვეყანას ასეთი რამ***.

ბატონო მოსამართლევ, როდესაც ნებისმიერი ხელისუფალი, გნებავთ სახალხო დეპუტატი, არ ვამბობ, გამოიქცა, ჩურჩულით მოგახსენებთ, - თავის ხალხზე ადრე გამოერიდება უბედურების ადგილებს და უმწეო მდგომარეობაში ჩატოვებს ადამიანებს, ნებისმიერს აქვს უფლება ასეთ ხელისუფლებას უწოდოს დეზერტირი თუ მეტი არა.

***

არადა, ის, რაც თქვენ, - აფხაზეთის ა/რ-ის ხელისუფლებამ, პირველ რიგში კი უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა 1993 წლის შემოდგომაზე ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დროს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზეთში გააკეთეთ უმწეო ადამიანებთან მიმართებაში, ***ამას კანონის ენით ყველა დროსა და ყველა საზოგადოებაში მშვიდობიანი მოსახლეობის განსაცდელში მიტოვება ჰქვია, რაც სისხლის სამართლის დანაშაულად იწოდება და იგი დასჯადი ქმედებაა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლი)***.

აბა, რა გითხრათ, ამ ომის დროს იყო შემთხვევა, როდესაც ბესლეთის ხეობაში ა. ახვლედიანის საცოდავად მიტოვებულ ავადმყოფ ძაღლზე კატამ იზრუნა და სიკვდილს გადაარჩინა. ამ კატას ასეთი მოვალეობა საზოგადოებრივი მდგომარეობით არ ჰქონია მიპიროვნებული. ***ამას მიწიერ წესრიგში სულიერთა თანაარსებობის წესი აკეთებინებდა მას!..***

*******

***სახალხო წუთჩაფიქრებისათვის:, როდესაც საზოგადოებაში***

***<u>თანამედროვეთა შორის მისამოწაფებლად ზნეობრივი ნიშანსვეტების სინაკლებეა, წინგახედულება მოითხოვს, იგაკვეთილოს წარსული: ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთის წინააღმდეგ ომებში ძველი საბერძნეთის ძალისხმევას არა ერთმა მხედართმთავარმა გაუთქვა სახელი (მილტიადე, ტიმონი, თემისტოკლე, არისტიდე). განსაკუთრებით აღსანიშნავია მილტიადეს ხმალთაქნევები, თუმცა, მიუხედავად მისი მუხლჩაუხრელობისა, იგი ბერძნებმა მაინც გაასამართლეს (თუ მეხსიერება არ მღალატობს, სიკვდილით დასაჯეს) და იცით რატომ? მან ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ გაუპატიოსნებლად მიატოვაო ომში დაცემულთა ცხედრები!..</u>***

*თქვე დალოცვილებო, თქვენ, აფხაზეთის ხელისუფლებამ, დიახ, დიახ დეპუტატთა უმრავლესობამ, არა მარტო მტრისგან ნაწამები ადამიანების დაუმარხავი ცხედრები, - სრულიად დაუცველი, უმწეო, სასიკვდილო საფრთხის პირისპირ ჩატოვეთ მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის დაჭრილები, მოხუცები, ქალები, ბავშვები, ფეხმძიმეები, სარეცლით წამოღებულები... პასუხი არაფერზე გიგიათ, 22 წელ;ია, ამის მიუხედავად მაინც ხელისუფლება გქვიათ და უბატონოდ ხმას არ გცემენ, ქვა ქვაზე არ დაგიდვიათ ამ ხნის მანძილზე აფხაზეთის გათავისუფლების საკითხში და ვინა ხართ, თქვე კაი კაცებო, რომ ამის გამო წასაყვედურებაზეც კი საგანგაშო ზარების დარისხვას რომ ცდილობთ და წალეკვით ემუქრებით ყველას და ყველაფერს ირგვლივ, რაც თქვენ არ გეთანხმებათ?!*

***

აქ ერთიც უნდა გავიხსენო: 1993 წლის 15-16 მარტის ბრძოლების შემდეგ თბილისიდან ”მრგვალი მაგიდის” დავალებით დამირეკა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრმა ვახტანგ ცაგა-რეიშვილმა და დაბეჯითებით მითხრა, ის, რაც ჩვენც ძალიან კარგად ვიცოდით, - რომ აფხაზეთს ე. შევარდნაძე ადრე თუ გვიან ჩააბარებდა და მე, რისი წამოღებაც შეიძლებოდა, გადმომეტანა თბილისში, ჩემთვის საგანგებოდ გამოთავისუფლებულ მის ბინაზე (დიღომში).

იმ დროს სატრანსპორტო პოლიციაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა ჩემი თანაკურსელი თ. ცანავა და ამის გაკეთება თავისუფლად შემეძლო, მით უფრო, რომ ზოგიერთმა იმხანად ელექტრომატარებლით ძროხებიც კი გადმოიყვანა აქეთ (მე არ ვძრახავ ამისათვის მათ და არც იმ გამორჩეულ დეპუტატს ვკიცხავ, თავისი ოქრო ვერცხლეულობა, მეკონ-მოკონები, ქვეშაგები, ავეჯი, თვით თავმოსაწონი როიალიც კი, გაგრიდან - სოჭში, სოჭიდან - სოხუმში, ბოლოს სოხუმიდან თბილისში ამოგზაურა. იმ წინდახედულს გაგანია ტყვიის წვიმებში ამისთვის ეცალა. სხვა რამეზე მწყდება გული: ***<u>ახლა, ამ როიალზე მისი შთამომავლობა რომ უკრავს იმ</u>***

***ჰანგებით, ვერასოდეს დავიბრუნებთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს).***

მე ეს შემოთავაზებაც კი, რომელიც გულწრფელობასთან ერთდ წინდახედულიც იყო, შეურაცხმყოფელად მივიღე და არც დღეს ვნანობ, რომ ისე არ მოვიქეცი, როგორც მეგობრებმა კეთილმოსურნედ მირჩიეს, თუმცა, სახლ-კარი მტერმა გადამიწვა. ***მე ყველა თავსდატეხილი უბედურების ჩემს ხალხთან გაყოფა ვარჩიე იმ წესით, როგორც ერთი თხილის გულს იყოფს ცხრა ძმა***. აი, ეს არ გააკეთეს ამ ე. წ. მოსარჩელე დეპუტატებმა, ამიტომ ვაყენებ თავს მათზე მაღლა.

თუ რამდენად დაუნდობელი იყო დამპყრობი ჩემს მიმართ (რომელთანაც, თქვენი ჭკუით, თანხმობა გინდათ დამაბრალოთ, იქედან ჩანს, რომ 1993 წლის 20 სექტემბერს, იაშთხვის დაპყრობისთანავე, პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ ჩემი სახლიდან გამოიტანა ჩემი პალტო, ეზოში ხეზე დაკიდა და სიმბოლურად "დახვრიტა", შემდეგ გადაწვა ჩემი ნაჯაფი საკარ-მიდამო და სახლი... ბატონებო, რაღაც არ დასტურდება რომელიმე წყაროთი, თქვენს მიმართ ასეთი აღმგველი სისასტიკე გამოევლინოს მტერს!..).

***ღირსებაში ყოფნა ღვთის მადლში ნებივრობაა: სულბუმბერაზი დოდო აბაშიძისთვის უკითხავთ, ასე დაკუნთული ბავშვობიდან იყავიო? - არაო, უპასუხნია, ბავშვობაში ძალიან სუსტი ვიყავი, მამა რომ დაიჭირეს, ვარჯიში დავიწყე, - დედის დაგინება რომ არ შემოებედა ვინმესო... - ასეა, ზოგს თავისი სულნაცდურობა აბედნიერებს, ზოგსაც შეუგინებელ კაცად დარჩენა!..***

***

აქვე ხაზგასმით უნდა განვაცხადო, თუნდაც ამაზე ასგზის აგდებით იქილიკონ ე. წ. მოსარჩელეებმა იმ იმედით, რომ დრომ ყველანაირი კვალი ამ 20 წლის მანძილზე გადარეცხა, მე, ბატონო მოსამართლევ, ზ. გამსახურდიასგან - საქართველოს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტისაგან ბოძებული შესაბამისი რწმუნების საფუძველზე, 1993 წელს მისგან მივიღე ტელეფონოგრამა და შესაბამისად ჩემს მეგობრებთან ერთად გაზეთში ***"აღდგომა"*** გამოვაქვეყნეთ ზ. გამსახურდიას ***"მიმართვა აფხაზეთში დისლოცირებული ქართველი მეომრებისადმი"***, რომელშიც მან იმასთან დაკავშირებით, რომ იგეგმებოდა ჯერ ქართული ჯარის განიარაღება და შემდეგ აფხაზეთის ჩაბარება, შესაბამისი დავალებები გაგვიპიროვნა. ამის საფუძველზე მე და ჩემი მეგობრები ***იმავე დღეს შევხვდით გენერალ ჟიული შარტავას. ეს მოხდა იმ დროს სოხუმის რაიონის გამგებლის მერაბ დგებუაძის შუამავლობით და იგი შედგა იმხანად აფხაზეთის სამხედრო კომისრის ვახტანგ ვეკუას სამუშაო კაბინეტში***, სადაც ეს საფრთხე განვიხილეთ და მისი შესაბამისი ღონისძიებები დავსახეთ (ბატონ ჟიულის

ახლდა მინისტრი ჯემალ შერვაშიძე).

ამის შემდეგ, ერთ კვირაში - 26 ივლისს, სოჭის მოღალატური გარიგების წინადღეს, ჩვენ - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ჯ. გამახარიას ძალისხმევით, რომელსაც ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტისგან დაევალა ზუგდიდიდან ლ. ქობალიასა და პოლკოვნიკ გ. ლაკიას ჩამოყვანაც, ს. ჯომიდავას შტაბში შევხვდით გენერლებს გ. ადამიას, ზ. უჩაძეს, დ. გულუას, პოლკოვნიკ რ. ჯანაშიას და ვიღაც-ვიღაცათა შესაძლო მოღალატური გარიგების შემთხვევაში აფხაზეთის უსაფრთხოებაზე ვისაუბრეთ კვლავ ***(ეს საკით-ხები მე ვრცლად მაქვს მიმოხილული ჩემს სხვადასხვა წიგნში. მათ შორის "სადაც ჯერ არს" დაბეჭდილ ნაშრომში "დღეები ცხედართა უხმო კივილისა").***

ასე, რომ, როდესაც თავს უფლებას ვაძლევ, გავიხსენო იმ დროის სათავზარო დღეები, გაითვალისწინეთ, რომ მე მათი გარედან მეთვალყურე კი არა ვარ, მისი საქურსუმო წიაღიდან გამოვაღწიე. ჩემი თვალით ვნახე 27-28 სექტემბრის უპატრონოდ მიტოვებული გულრიფშის რაიონი, საიდანაც ამაოდ ვცადე ამ მხარიდან დევნილი ხალხი არ შეეტყუებინათ კოდორის ხეობაში, - სადაც, ამას მერამდენედ ვამბობ: ჯ. იოსელიანის იმ ვერაგული მითითების შესაბამისად, რომ ***"აფხაზეთიდან ლტოლვილი მეგრელები ზუგდიდში მეგრელებსვე შეეკვრებიანო"***, ეს უბედურები კუდის რიკამდე უნდა გაძარცულიყვნენ. ამდენად, დევნილი მშვიდობიანი მოსახლეობა და უკანდახეული ჩვენი მეომრები ასე გაიწირნენ პუტჩისტური ძალადობისგან. სწორედ ასეთი ვერაგული გახლავთ სინამდვილე! აქ, მდინარე მაჭარაზე მე მაშინ დავხვდი ზ. გამსახურდიას მომხრე გვარდიის შტაბიდან გამოგზავნილ მეკავშირეს, რომელმაც შესაბამისი ძალებით ალყაში მოქცეული ხალხის გასაყვანად სათანადო დერეფანი მოათადარიგა. იმ ხელისუფალთაგან, ვისაც მაშინ ს. მაჭარაში მოვახსენე, რომ გაღმა, კინდღში იდგა ზ. გამსახურდიას მომხრე გვარდია პოლკოვნიკ გურამ ლაკიას მეთაურობით, რომელსაც უზრუნველყოფილი ჰქონდა დერეფანი სოფელ ოჯიბინესთან მოსახლეობის ევაკუაციისთვის და აქედან გაგვეყვანა ხალხი, დღეს ცოცხლები არიან და ღმერთმა დიდხანს ამყოფოს შ. წულეისკირი და ბ. კაკუბავა, მაგრამ ეტყობა, მათ ძალისხმევას აღემატებოდა ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის ქვეგამხედვარე გეგმის ჩაშლა.

ამ დროს გულრიფშის რაიონში ჩვენ - ზ. გამსახურდიას რწმუნების შესაბამისად მოქმედ ხალხს არანაირი ხელისუფალი და დეპუტატი აქ არ შეგვხვედრია, გზაკვალდაბნეულ და დაფეთებულ მოსახლეობას თვით ვარჩედანაც კი კოდორის ხეობისკენ მიზნობრივად ვიღაც-ვიღაცეები ერეკებოდნენ, სადაც იმ განუკითხაობაში არავის უცდია, გამოეყო ასეთი ვითარების დროს როგორც კეთდება, - წესრიგის დამცველი რაზმი, რათა

აღკვეთილიყო ის საშინელება, რომლის დაბრალებას ჩასაფრებული და შორს გამყურე მტერი აქაური მოსახლეობისთვის ცდილობდა. კაცმა რომ თქვას, ეს ამიტომაც კეთდებოდა.

შემდეგ ჩვენ მოვათვალსაწიერეთ ოჩამჩირის რაიონი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას, მათ შორის დეპუტატებს, სამი დღის წინ დაეტოვებინათ.

მე შემიძლია, უფრო დაწვრილებითაც ვისაუბრო თუ რა და როგორ ხდებოდა, მაგრამ ვფიქრობ, ამითაც გექმნებათ ის სურათი, ხელისუფლებისგან თუ რა დონემდე განწირული იყო მშვიდობიანი მოსახლეობა. უფრო მეტიც, რაღაც არ მახსოვს, ბატონებო, ამ ე. წ. მოსარჩელე დეპუტატებიდან ვინმეს ემხილებინოს ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის მოღალატური წვლილი ამ უბედურებაში.

მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების ადგილებში გადასაყვანად მე არ ვიცი, თავის მხრივ რა სათანადოდ გაწერილი გეგმა ჰქონდათ გალის რაიონის მესვეურებს, მაგრამ ის, რომ 28 სექტემბერს მე, გალში ზ. გამსახურდიას დავალებით მყოფს, მითხრეს, რომ ხელისუფლება ორი დღის წინ გაიქცაო, ამის შემსწრეა არაერთი საჩინო პიროვნება გალიდან, რომლებიც გვეკითხებოდნენ თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ბატონ სლავიკ ალანიასთან ერთად, გამომდინარე თავსმოხვეული საფრთხიდან, ჩვენ გაღმა, უსაფრთხო ადგილებში გახიზვნა ვურჩიეთ მშვიდობიან მოსახლეობას.

სამწუხაროდ, არც აქ იყო რაიმე სახის წესრიგის დამცველი თუ სამართალ-აღმსრულებელი სამსახური, შედეგად, ესეც გითხარით უკვე, მდინარე ენგურზე უმოწყალოდ იძარცვებოდა მტრის ჭურვებს გარიდებული და ზუგდიდისკენ დაძრული სრულიად დაუცველი ხალხი (სხვათა შორის, ე. წ. მოსარჩელეთა შორის არის ერთი გალელი დეპუტატი (რ. შამუგია), რომელიც შემდგომში მთხოვდა, - სლავიკ ალანიას გვერდით ისიც დამესახელებინა. ამის შესახებ დაწვრილებით ამ წიგნების მე-2 ნაწილში ვისაუბრე უკვე).

თუ ე. წ. მოსარჩელეები იტყვიან იმას, რომ ეს არ იყო ასე, მაშინ მათ მოვუწოდებ, გაეცნონ იმ ვიდეო მასალას, რომელიც ამ მხრივ ინახება ძალიან საიმედო და ხელმისაწვდომ ადგილზე. უფრო მეტიც, აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერ-ნოემბერში მოღვაწეობდა საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების ქვემდებარე სივრცეში, ძალიან ზუსტი, ზედმიწევნითი და მკაფიო დადასტურება დაუგროვდა მაშინ, დიახ, სახალხო მტკიცებულებები გახლავთ ეს, ანუ სახალხო მხილება მამხილებ-ლის საკუთარი ვინაობისა და მისამართის მითითებით, რომლებიც თუ უფალმა მაცალა, გამოქვეყნდება კიდეც.

აქედან გამომდინარე, ვერავითარ შემთხვევაში არ შევუშვებ ყურში

ისეთ ხმაზოდვას, თითქოს, რუსეთის დავალებით ვცდილობდე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შეწყვეტისთვის ხელშეწყობას. რუსეთის დავალება თქვენ თვითონ შეასრულეთ და თანაც არაერთგზის: ***1. როცა კრემლის აგრესია ქართულ-აფხაზურ ომად გააფორმეთ; 2. როდესაც წინ არ აღუდექით სოჭის მოღალატურ გარიგებას და მშვიდად უყურეთ ქართული ჯარის ცელმხრივ განიარაღებას; 3. როცა მშვიდობიანი მოსახლეობა იმ ჯოჯოხეთში დაუცველი, ღვთისანაბარა ჩატოვეთ და თავად კი გამოიქეცით და ა. შ. და ა. შ. აი, იმ დროს მე ამ ხალხს გვერდში ვედექი, ბატონებო!..*** ჩამოთვლა განვაგრძო?!.

ის, რომ ამ ინსტიტუციაში ზოგიერთი ხელმძღვანელის შეუსაბამო საქმიანობა და ყოველმხრივ თავისმომჭრელად აღაღადებული არაკომპეტენტურობა ვაქციე სახალხო მსჯელობის საგნად, ეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ ბრძოლა კი არა, მისი მოწესრიგების მცდელობაა.

*******

არ შეიძლება სიცრუით იღვაწო. ასე მაგალითად, ბატონო მოსამართლევ, როგორც გახსოვთ, წინა სხდომაზე (6.02.2013 წ.) ე. წ. მოსარჩელე გ. გვაზავამ მკითხა, ისევ ”ვიჩემებდი” თუ არა, რომ მის მიერ ასე საეჭვოდ შესყიდული მანქანა ხუთჯერ ნაავარიევი იყო. მე დავადასტურე (4-ჯერ თუ 5-ჯერ მეთქი) და წყაროდ მივუთითე სათანადო სამსახურებიდან ე. წ. მოსარჩელე თ. ხუბუასთვის გამოგზავნილი ცნობა, რომელიც იმ წუთს თან არ მქონდა, რაზეც ზემოთდასახელებულმა ე. წ. მოსარჩელე თ. ხუბუამ წაუმლიქვნელა თავმჯდომარეს და განაცხადა, ასეთი რამ არ ყოფილაო. თუ რანაირი სიმართლით ირჯებიან ეს ბატონები, ამაზე მეტყველებს საქართველოს შს სამინისტროდან 2011 წლის 3 მარტს გამოგზავნილი საბუთი, რომლის მიხედვითაც წინამდებარე მანქანაზე სამართალდარღვევის გამო გამოწერილია 4 საჯარიმო ქვითარი ***(მოქალაქე ანატოლი გვაზავას სახელზე)***, დაწვრილებით ამის შესახებ, იხილეთ ***”შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში” (თბილისი, 2012 წ. II ნაწილი).***

ასეთია ამ ხალხის საქმიანობის არსი.

ასევე მინდა შეგახსენოთ წინა სხდომაზე ე. წ. მოსარჩელეთა უფლებადამცველ გ. წუწუნავას ”ჩამჭრელი” შეკითხვა, - ***თუ რას ვგულისხმობ საბედიანოს გასხვისებაში, როდესაც გალის რაიონის*** მესვეურებს ბრალს ამაში ვდებდი, ანუ ამ ადამიანებმა, რომლებიც აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგიას ***”მესვეურობენ”***, ***არ იციან თუ რა ცნობიერ-საგანმანათლებლო სივრცეა საბედიანო***, სადაც ათონელი მამების სწავლება ***”ახალსა ერსა ამას საღვთოსა”***, სახელმწიფო იდეოლოგიად ***(შემდგომში სრულიად საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკად, ანუ***

*რუის-ურბნისულ ძეგლისდებად გაისაგნა).* ***სწორედ მათი ასეთი უვიცობის გამო ახერხებენ აგრესორ-სეპარატისტები ბიჭვინთის, ლიხნის, ანაკოფიის, კომანის, დრანდის, მოქვის, ბედიისა და ა. შ. კუთვნილობისა თუ შინაარსის გაყალბებას.***

"ჩამჭრელი შეკითხვის" ავტორებმა კი მიიჩნიეს, რომ დღეს, რაკი ბედია გალის რაიონს არ ეკუთვნის, მე მათ ცილს ვწამებ და კინაღამ თითისქნევით წამომაძახა გ. წუწუნავამ "ეს უზუსტობა". აქ ისიცაა, რომ ამ შემთხვევაში მათ ურჩევნიათ ორიოდე, საუკუნის წინ შექმნილ საეჭვო მურზაყანობაში მოიაზრონ თავი, ვიდრე დიდი ბაგრატ III და წმინდა დავით აღმაშენებლის განმანათლებელ ბედიანობაში. აი, ***მათი კომპეტენტურობის მთელი სიღრმე!***

თქვენი ასეთი უვიცობის გასწვრივ, რაც თავისთავადაა რუსული აგრესიისთვის საჭირო იალქანი, ვიმეორებ, როგორ გიბრუნდებათ ენა, წამომაძახოთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიმართ ჩასაფრება რუსული გეგმის შესაბამისად, როდესაც არც თუ ცოტა რამ გავაკეთე ამ ინსტიტუციისათვის სასარგებლო და ეს მასალები თქვენი კანცელარიის არქივშია დაცული.

რაც შეეხება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დაშლას, ეს დავალება 2004 წელს გაიპიროვნა კიდეც ერთ-ერთმა ე. წ. მოსარჩელემ, რომელიც ამისათვის თავმჯდომარედაც კი დანიშნა მიშნაცურმა მოძრაობამ. უბრალოდ, მოხდა ისე, რომ უშუალო დამვალებელი დაიღუპა მაშინ.

ეს ერთი, მეორეც: თქვენ გვერდს უვლით, მაგრამ ეს საქმეები დროსა და სივრცეში არსებობენ, მე - როგორც ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის წევრი, ზ. გამსახურდიას დავალებით იატაკქვეშური გაზეთებით, რადიოგადაცემებითა და ა. შ. ვამხელდი რუსეთის საოკუპაციო გეგმას, ე. შევარდნაძის ვერაგობას, მის დივერსიულ საქმიანობას და თქვენ, აფხაზეთის ხელისუფლებად წოდებულ ხალხსაც გაყენებდით საქმის კურსში: ასე მოვიქეცი, როდესაც ტომობრივი შუღლის საფრთხეთა პროვოცირება დავინახე და მივმართე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა. გასვიანს, დავსახეთ კიდეც შესაბამისი ღონისძიებები, თუმცა, ეს, აფხაზეთის ხელისუფლების დანაშაულებრივი უნიათობის გამო, არ აისახა კოდორის ხეობაში შეტყუებულ დევნილთა უსაფრთხოებაში. იმხანად ასეთი ხიფათების არიდებას ემსახურებოდა ზემოთხსენებული შეხვედრები ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მაშინ არ დამიმალავს, გეუბნებოდით, - ***არ გეთამაშათ რუსიზმის თამაში და არ გეფერხულათ მათი ცრუმოძრაობით.***

***

წინამდებარე სასამართლოს ამასწინდელ (6.02.2013 წ.) სხდომაზე ე. წ.

მოსარჩელეებმა და კერძოდ ნ. მგალობლიშვილმა იუარა ჩემს მიერ თავის დროზე გამოთქმული შეხედულებები რუსიზმის მიერ შემოგდებული და ნამესტნიკთა მიერ ატაცებული ე. წ. მეგრული ***"პირუმტკიცობის"*** ტირაჟირება მათ მიერ.

ასეთი დივერსია რომ სინამდვილეში არსებობდა, ძალიან შორიდან რომ არ დავიწყოთ, ამას მოწმობს 1992-93 წლებში პუტჩისტების მიერ სამეგრელოს არაერთგზისი დალაშქვრა, რაც პირდაპირ ძირს უთხრიდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) უსაფრთხოებას, იგი ასევე გულმოდგინეობდა ე. წ. ტომობრივი შუღლის პროვოცირებასა და ხელშეწყობაში, რაზეც, ჯერ კიდევ 1993 წლის თებერვალში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ა. გასვიანი (უკვე გითხარით ესეც) დამეთანხმა და ვიმეორებ, ყოველივე ამის შემდეგ 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დევნილთა შეტყუება კოდორის ხეობაში და კუდის რიკემდე გაძარცვა მათი, პირუთვნელ გასიგრძეგანებას მოითხოვს დღეს მაინც.

ბატონო მოსამართლევ, ვიყავი რა აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე 1993 წლის შემოდგომაზე, მაშინ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ხელთ ჩაგვივარდა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ჩვენ აღმოვჩნდით ძალზე ორგანიზებული და შორსგამიზნული დივერსიის წინაშე: ამ პუტჩისტური ხელისუფლების პირობებში მეგრელობა გახდა დასჯადი მდგომარეობა. შეგახსენებთ, რომ 1992 წლის 4-22 ივლისს წალენჯიხაში ე. წ. ***"მხედრიონის"*** კაციჭამიური ***(ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით)*** სისასტიკე ამის თვალსაჩინო მაგალითია. მე ეს უბედურება ვინმესგან კი არა მაქვს მოსმენილი, არამედ წალენჯიხის საზოგადოებრიობის თხოვნის საფუძველზე (რ. გოგოხია), აწგანსვენებულ სოხუმელ ვ. ქარდავასთან ერთად, ცხელ კვალზე, იმ დღეებშივე შევისწავლე და ჩვენს ***გაზეთში "აღდგომა"*** გამოქვეყნებით ვაუწყე საზოგადოებას ეს შემაძრწუნებელი დანაშაული იმ საუკუნისა ***(1993 წ. 17 ივლისი)***.

დიახ, დიახ, ბატონო მოსამართლევ, მიუხედავად იმისა, რომ ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის მიერ ბევრ ეგრისში ჩატარებული ეგზეკუციები, აგერ უკვე მერამდენედ გეუბნებით, მიზნად ისახავდა სამეგრელოს მოსახლეობის ხელოვნურ მოწყვეტას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) თავსატკივრიდან, ისევ და ისევ ვერ ვიხსენებ, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ე. წ. მოსარჩელე დეპუტატებიდან ვინმეს დაეგმოს ან გაეკიცხოს სამეგრელოსთვის თავს-მოხვეული პარტახი, რაც თავისი შორგამიზნული ვერაგობებით, სრულიად საქართველოს განადგურებას ნიშნავდა.

აქედან გამომდინარე, დაუსჯელად ღვივდებოდა პროვოკაციული აზრი იმის შესახებ, თითქოს მეგრელების ნდობა არ შეიძლება, ***"ისინი ერთიანი საქართველოს წინააღმდეგი არიან და გამორიცხული არაა, აგრესორ-***

*სეპარატისტებთან გამონახონო საერთო ენა".*

თუ რა დღეში ჩავარდა ე. შევარდნაძისა და ჯ. იოსელიანის ქართველთსპობითი პროპრაგანდისგან გზაკვალარეული მოსახლეობა, მათ შორის აფხაზეთის მკვიდრი ქართველობა (მეგრელობა), რომელთაც ცნობიერ თვალსაწიერს უბურუსებდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დანაშაულებრივი დუმილი ამ მხრივ, რაც ასეთი დივერსიის მხარდაჭერას უფრო ნიშნავდა, ამის მაგალითად გამოდგება 1994 წელს ქუთაისში გამოცემული ბიძინა გოლეთიანის წიგნი აფხაზეთის ომის შესახებ, რომელშიც აწგანსვენებული ავტორი, ომში შვილდაღუპული მამა, ბეჯითად ახმოვანებდა ე. შევარდნაძე - ჯ. იოსელიანის ცილისწამებას სამეგრელოზე და მეგრელებს სდებდა ბრალს ქვეყნის დაქცევაში. ეს თითქმის 1000 გვერდიანი წიგნი, რომლის ავტორი კარის მეზობელი გახლდათ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ასევე ამ ომისთვის შვილშეწირული შოთა ხეცურიანის, მეგრელებზე ისეთ ცილის-წამებებს ამრავალცალებდა, რომლის მსგავსი ძნელია ჯანსაღ გონებაში მოიძიო. ეს და ამის მსგავსი მსჯელობები სამეგრელოზე იმ დროისათვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. უფრო მეტიც, სამეგრელოში, სადაც 1993 წლის 12 ოქტომბრის მაჩვენებლებით, როგორც ამას საერთაშორისო წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაციაც ადასტურებდა, 195 ათასი დევნილი შემოიხიზნა, სამწუხაროდ, ამის მიუხედავად, აფხაზეთიდან დევნილი მოღვაწეები დ. ჯაიანი, გ. ოდიშარია და ა. შ. ამ მხარეს დევნილთა დევნაში სდებდნენ ბრალს.

***<u>სინამდვილე ისაა, რომ არც ამ ცილისწამებათა გასაბათილებლად გამოსარჩლებია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რომელიმე დეპუტატი სამეგრელოს (ჯ. გამახარიას გარდა).</u>***

საინტერესოა, რომ 40-50-იან წლებში საბჭოთა პარტოკრატიამ, შეაკოწიწა რა ე. წ. მეგრელთა საქმე, აფხაზეთში მეგრელობა პირუმტკიცე მოსახლეობად მიიჩნია (ა. მგელაძე), რაც, ჩვენდა სათავზაროდ, 1978 წელს კვლავ ამოქექა აფხაზეთის "ქართული" პარტოკრატიის საჩინო წარმომადგენელმა ა. საყვარელიძემ, იმ დროს ჯერ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად, შემდეგ კი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ თბილისიდან დაწინაურებულმა პროვოკატორმა. ეს ხმაბოდვა, როგორც აფხაზეთის ა/რ-ის პარტოკრატიაში, ასევე ***<u>მისგან მართულ ვითომ ეროვნულ მოძრაობაში სახელმძღვანელო დებულება გახლდათ.</u>***

***

ბატონო მოსამართლევ, როგორც თავიდანვე ავღნიშნე, წინამდებარე სასამართლო სხდომებზე, მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, დამეთანხმებით, რომ ე. წ. მოსარჩელეთაგან თავისი ეგოპარანოიკული

თვითგამოვლენით, აქედან გამომდინარე კაცღმერთული ხიბლის, ამ ხიბლის შესაბამისი აგდებითი ათარეშების მცდელობისა და სიძულვილის უსადავო მიმოშხეფებით, რაც მთავარია, ცხად-სიზმრული თვითკმაყოფილებით გამოირჩევა ნ. მგალობლიშვილი, რომელმაც წინა სხდომაზე განაცხადა (6.02.2013 წ.), რომ, რატომ ამ ბრალდებებს ადრე არ მიყენებდიო, როდესაც ზ. გამსახრუდია ცოცხალი იყოო.

ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1991 წლის 20 იანვარს, მაშინ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ზვიადს აფხაზეთელი დეპუტაციის შემადგენლობაში ზეპირად და წერილობით მოვახსენე, რომ ნ. მგალობლიშვილის საეჭვო გარიგება აფხაზეთის ე. წ. ქართულ პარტოკრატიასთან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საქმეს ომამდე მიიყვანდა (ასეც მოხდა). ეს მასალა გამოქვეყნებულია ნ. მგალობლიშვილის მიერაც დაბეზღებულ ჩემს წიგნში ***"დღეები ცხედართა უხმო კივილისა".***

1992 წლის 11 აგვისტოს ქ. გროზნოში ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წინაშე ზ. გამსახურდიამ სინანული გამოთქვა იმ გაუგებრობათა გამო, რაც ნ. მგალობლიშვილის ავმოსურნე საქმიანობასა და ჩემს მიმართ მის მიერ გავრცელებულ მიზნობრივ ცილისწამებებს მოჰყვა.

უფრო მეტიც, იმ ხანებში (1992-93 წლებში) მე დევნილი პრეზიდენტისგან ავიღე 4 ინტერვიუ, აქედან ორი გამოქვეყნებული იყო გაზეთებში ***"აღდგომა"*** (1992 წ. 3 სექტემბერი) და "ჭყონდიდი" (1993 წ. №2), ასევე "არასტანდარტული ინტერვიუ..." ქალბატონ მანანასთან, რომელიც 1992 წლის დეკემბრისა და 1993 წლის იანვრის განმავლობაში გაგრძელებებით იბეჭდებოდა გაზეთში ***"აღდგომა".*** ამის გარდა ამ ინტერვიუებმა მოიარეს თითქმის ყველა ეროვნული გაზეთი, ასევე ჩავწერე ბატონ ზვიადთან ვიდეო-ინტერვიუები, რომლებსაც იმ დროს უჩვენებდნენ ზუგდიდის ტელევიზიაში... სიამაყით უნდა განვაცხადო, რომ როგორც ეროვნული დამორჩილებლობის კომიტეტის წინაშე (1992 წლის 11 აგვისტოს), ასევე სრულიად საქართველოს ე.პ.მ. "ჭყონდიდელის" ყრილობაზე (1992 წ. 23 სექტემბერს, ქ. ზუგდიდში) პოლიტიკური მოხსენება შექმნილი ვითარების შესახებ მე გავაკეთე. ***ბოლოს ეს მასალები ცალკე წიგნად გამოვეცი ("ებრძვიან ქრისტეს, ანადგურებენ საქართველოს", 1999 წ.).*** განსაკუთრებით უნდა განვაცხადო, რომ ზემოთხსენებული ***"არასტანდარტული ინტერვიუ..." ქალბატონ მანანასთან, რომელშიც ვრცლადაა მიმოხილული ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ნ. მგალობლიშვილთან და აფხაზეთის ე. წ. ქართულ პარტოკრატიასთან თუ მის აგენტურასთან, გამოქვეყნებამდე წაიკითხა როგორც ქალბატონმა მანანამ, ასევე ბატონმა ზვიადმა, მათ დადებითი შეფასება მისცეს აქ გამოთქმულ ჩემს მოსაზრებებს. ეს იყო იმავე***

*გროზნოში 1992 წლის 1-4 ნმოემბერს და ყოველივე ეს ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის, მათ შორის თქვენი კოლეგის, პროფესორ ჯ. გამახარიას თვალწინაც ხდებოდა.*

რაც შეეხება ნ. მგალობლიშვილის ე. წ. ბუნკერში ყოფნას 1991 წლის დეკემბერში, იმავე 1992 წლის 11 აგვისტოს ეს ამბავი ზ. გამსახურდიამაც გაიხსენა, ოღონდ არა ისე, როგორც ამას ეს პენტელა ამრავალცალებს: მაშინ ნუგზარსა და მის ჯგუფს გადაუწყვეტიათ ე. წ. ბუნკერიდან წამოსვლა და "აფხაზეთის საქმეების დალაგება", ანუ ეროვნული ხელისუფლებისგან გამიჯვნა. საბაბიც მშვენიერი გამოძებნეს. წამოსვლის წინ პრეზიდენტის გვერდით თავის მეუღლესთან ერთდ მყოფ ჯ. შონიას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს, უთხოვია მათთვის, მისი მეუღლეც წამოეყვანათ და გალში დაეტოვებინათ.

ე. წ. ბუნკერიდან გამოსულ ნუგზარსა და მის ***"ბიჭებს"*** იქვე, მთავრობის სასახლესთან, ტყვიების წვიმისათვის გაუსამიზნებიათ მათ მინდობილი ქალბატონი და თვითონ გამოპარულან. ეს ამბავი მე ძალიან ბევრისგან, მათ შორის თვით ჯ. შონიასგან მაქვს მოსმენილი. თუ როგორ ***"დააწყვეს"*** მათ საქმე აფხაზეთში და ვის მხარეზე საქმიანობდნენ ისინი მაშინ, ამაზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქმული აქვთ ა. გვარამიას, ზ. კვარაცხელიას და არა მარტო მათ.

ნუგზარისა და აფხაზეთის ვითომ ქართული პარტოკრატიის არაკეთილსაიმედო ბუნება მე უფრო დაწვრილებით მიმოვიხილე ჩემს მეორე ვრცელ ინერვიუში ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან. იგიც ცალკე წიგნად გამოიცა 1999 წელს *("კოლხური კოშკის ლასკარი და ცხუმ-აფხაზეთი...").*

აქ მე არ შევეხები იმ ზეპირ შეფასებებს, რაც განუწყვეტლივ მესმოდა მასზე მაშინ ზ. გამსახურდიას გარშემომყოფთაგან.

თუ რამდენად ახლოს ვიყავი ამ დროს ზ. გამსახურდიასთან, მხოლოდ ამის გასათვალსაჩინოებლად ვიხსენებ იმას, რომ 1992 წლის 1 ნოემბერს ქ. გროზნოში დევნილმა პრეზიდენტმა ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარი კომიტეტის წევრთა ერთი ჯგუფი მიგვიღო სათათბიროდ (ლ. ქობალია, ვ. გაბელია, ჯ. გამახარია, ა. გვარამია და ა. შ.).

სხდომის დაწყებისთანავე ა. გვარამიამ თვითნებურად მიმართა ბატონ ზვიადს და ვითარების ვარდისფერში წარჩენა მოისურვილა, - თითქოს პუტჩისტები დღეს თუ ხვალ გაიქცევიან და მოსახლეობა კანონიერი ხელისუფლების მისაგებებლად ემზადებაო და ამისთანები...

დუმილი ჩამოვარდა. გაჩნდა საფრთხე, რომ სხდომა არა ცხადლივი, არამედ არარსებული სასურველისკენ გაინაბიჯებდა. ყველანი მოულოდნელობისგან თავს იკავებდნენ. მაშინ მე წამოვდექი და გადაჭრით ვთქვი, რომ ეს ასე არაა, ხუნტამ თავისი ვერაგობები საზოგადოებას მყარად მოახვია თავს, რამაც გამოიწვია ჩვენი მომხრეების დაბნევა ან გაორება.

ჯერჯერობით არავინ გველის, პირიქით, ყველა უბედურებასა და საომარ წარუმატებლობას ეროვნული ხელისუფლების მომხრეებს გვაბრალებენ. არც თუ ცოტას სჯერა კიდეც ეს თეთრი ძაფით ნაკერი.

კონფლიქტი აფხაზეთში სამამულო ომის ხასიათს ღებულობს, საჭიროა ამ თვალსაზრისით განვიხილოთ იგი და აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედად გამოვაცხადოთ-მეთქი. ბატონმა ზვიადმა მშვიდად და საქმიანად მიიღო ჩემი ნათქვამი.

”- მე ვერ გავბედე ეს, შენ გააკეთეო”, - გაიხსენა წლების შემდეგ ეს ამბავი ჯ. გამახარიამ.

დევნილი ზ. გამსახურდიას გულდაწყვეტა ნ. მგალობლიშვილის, თ. მჟავიას, თ. ლორთქიფანიძისა თუ სხვათა ღალატის გამო, დაწვრილებითაა აღწერილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ტიტე მოსიას მიერ ***(იხილეთ ტ. მოსია, ”პუბლიცისტური წერილები”, თბილისი, 2005 წ. გვ. 49)***, რომლიდან ვრცელი ამონარიდი ე. წ. მოსარჩელეთა მიერ, ისევ და ისევ, სარჩელმიმისამართებული ჩემი წიგნის 169-ე გვერდზე საკმაოდ გაწელილადაა დამოწმებული. გადაავლეთ თვალი ბატონი ტიტეს ამ მოგონებას და თავად დარწმუნდებით თუ რად მიიჩნევდა ბატონი ზვიადი ნ. მგალობლიშვილის საქციელს.

კი ბატონო, სწორედ იმ ნ. მგალობლიშვილზე მოგახსენებთ, რომელიც 1992 წლის მარტში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გროზნოში ჩატარებული სესიის ბოიკოტირებას ცდილობდა თავის ***”ბიჭებთან”*** ერთად. სხვათაშორის გროზნოში მის გასამგზავრებლად (ძალით წაიყვანეს) მე 30 ათასი მანეთი მოვუგროვე ბიჭებს (ა. გვარამიას, პ. ნაჭყებიასა და ა. ჟვანიას გადავეცი იგი). ამ თანხიდან 10 ათასი მანეთი გაიღო რ. ხოშტარიამ (სოხუმის რაისამომხმარებლო საწყობის გამგემ) ამდენივე, ანუ 10 - გ. სიჭინავამ (აჩადარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ) და თქვენმა მონა-მორჩილმაც ზუსტად ამდენი.

ყოველივე ამის დადასტურება დღეს შეუძლია იმავე ა. გვარამიას, პ. ნაჭყებიას, ა. ჟვანიას, რ. ხოშტარიას, რ. კაკულიას, კ. სხულუხიას, გ. მეტრეველს, ზ. კვარაცხელიასა და ა. შ.

აქ ბედის ირონია ისაა, რომ ამ ამბიდან ზუსტად ნახევარი წლის წინ, აფხაზეთის ა/რ-ის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე ნ. მგალობლიშვილისა და კომპანიის დავალებით მათი ხელისბიჭები სოხუმის რაიონის ზემო კელასურის №65-ე საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს მეც ვიყრიდი, როგორც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ.ლეთოდიანმა შემგომში გამიმხილა, ისინი აქაურებში ხმებს ყრიდნენ, ***”არავითარ შემთხვევაში ს. საჯაიას ხმა არ მისცეთ, იგი მეგრელია და არააო სანდო, თანაც დედა ჰყავსო ბერძენი”.***

ახლა რომ ვაკვირდები, უცნაური დამთხვევაა: ამ საარჩევნო ოლქში მეორე ტურის დანიშვნა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ერთი

კვალობა გამოაცხადა (იხილეთ 1991 წლის 1 ოქტომბრის (1 გვერდი) გაზეთები *"აფხაზეთის ხმა", "აფსნი ყაფში", "სოვეტსკაია აბხაზია"*), მაგრამ შემდგომში გააუქმა თავის მიერვე დანიშნული მეორე ტური და გამარჯვებულად თ. მჟავია გამოაცხადა, რომელიც ნ. მგალობლიშვილთან ერთდ გარიგებული იყო სეპარატისტულ მხარესთან და, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, ლორიკ მარშანიამ პირდაპირ ამხილა ისინი ამაში.

დიახ, ბატონებო, აგრესიული სეპარატიზმის სულიერი მამები და პოლიტიკური წინამძღოლები ასე უანგაროდ არ არიგებდნენ მოწყალებას, - მათ მეორე ტურის გაუვლელად იმიტომ გამოაცხადეს თ. მჟავია დეპუტატად, კრემლს რომ გაურიგდა ხელისბიჭად.

აქვე უნდა გავიხსენო ისიც, რომ თვით ნ. მგალობლიშვილმა, რომელიც, თავის მხრივ, კენჭს გულრიფშის რაიონის №48-ე საარჩევნო ოლქში იყრიდა, თავის მოწინააღმდეგეს, აფხაზეთში ცნობილ კაცს, - ედუარდ შანგუას ავტომატმომარჯვებული კრიმინალების მისევით მოახსნევინა თავი არჩევნებიდან და ასე "გაიმარჯვა".

აი, ეს არავითარ შემთხვევაში არ გახლდათ ზ. გამსახურდიას პოლიტიკური ბრძოლის ხერხი *("ტყვიას თუ გვესვრიან, ვარდებით ვუპასუხოთო"). **იგი სწორედ აგრესორ-სეპარატისტებისა თუ მათი მონათესავე "ქართველი" პარტოკრატების ხელწერა გახლდათ, რომელთა სულიერი შვილი, როგორც ჩანს, საქმით ყოველთვის იყო ნ. მგალობლიშვილი.***

რაც შეეხება იმას, რომ ნ. მგალობლიშვილი აფხაზეთის ა/რ-ის საგანგებო დავალებას ასრულებდა მოსკოვში, ამასთან დაკავშირებით უნდა გითხრათ, რომ განსვენებული თ. ნადარეიშვილს კერძო საუბარში ჩემთან და ჩვენს ჯგუფთან რამოდენიმეჯერ ჰყავს ნახსენები ნ. მგალობლიშვილი, მაგრამ ამჯერადაც არა იმ შინაარსში, რასაც იგი დღეს იბრალებს, აქ მეორეცაა, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზი-დიუმს, რამდენადაც ვიცი, 2011 წლამდე არასდროს უმსჯელია და შეფასება არ მიუცია იმისათვის თუ რა სასიკეთო შედეგები ან ქმედუნარიანი ნაბიჯები მოჰყვა ნ. მგალობლიშვილის მიზნობრივ, ანუ, როგორც იგი თვითონ ამბობს, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსგან შეკვეთილ საქმიანობას მოსკოვში (იგი ერთხანს იმასაც "ამტკიცებდა", ზ. გამსახურდიამ მიმავლინაო მოსკოვში).

ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი აქ მუშაობის პერიოდში, მე მთელი ეს ხანი ვესწრებოდი პრეზიდიუმის სხდომებს (თანამდებობრივად ვიყავი ვალდებული), ვერ ვიხსენებ შემთხვევას, ვინმეს რომელიმე მივლინების შედეგებზე ყოფილიყოს ღია მსჯელობა, გარდა ერთისა, - 2008 წლის მაისში სამდღიანი მივლინებით ვიყავი ხაშურსა და ქარელში, რაზედაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოვუდგინე ანგარიში

და მას დადებითი შეფასება მიეცა მისგან.

ყველა მივლინება, რომლის შედეგი საგანგებო მსჯელობის, განხილვისა და შეფასების მიღმა რჩება, ყოველთვის საეჭვოა.

***

ბატონო მოსამართლევ, გთხოვთ დააკვირდეთ, მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან დაბრუნდა 2005 წელს, პირველსავე ჩემს მიერ ჩატარებულ ღონისძიებაზე, რომელიც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა და სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობასთან ერთობლიობით ჩატარდა წმიდა ილია მართლის საუფლოში და არ მოჰკლებია სახალხო მხარდაჭერა, გნებავთ საზოგადოებრივი გამოხმაურება თუ საინფორმაციო გასაჯარისება, ნუგზარს მოეჩვენა, რომ მე არასაკმარისად ვწევდი მაღლა თავმჯდომარის ავტორიტეტს და შესაბამისად ჩაუჩურჩულა კიდეც.

შემდეგ იყო და, ე. წ. გაზეთ "გამათავისუფლებელში" (2010 წ. მარტი) იმ დონის ქუჩისფსკერულით მლანძღა, რის გამეორებასაც აქ არ გაკადრებთ.

ამას მოჰყვა ჩემი საშანტაჟო და საბეზღებელი "თვრამეტიანელთა" წერილი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, რომელშიც მრუდე სარკეში იყო წარმოჩენილი მოვლენები და მ. სააკაშვილის ზოგიერთი საეჭვო საქმიანობის მხილების გამო (რომლის საგანგაშო შედეგი დრომაც დაადასტურა), ჩემი სამსახურიდან დათხოვნა დღის წესრიგში დააყენეს. რაც ამგვარად გაკეთდა კიდეც.

***საქმე ისაა, რომ 2011 წლის 18 აპრილს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსმა რ. გერგედავამ გამაცნო განკარგულება ჩემი "შტატების შემცირების გამო" გათავისუფლების შესახებ, იქვე განმიმარტა, რომ თუ წინააღმდეგობას გავწევდი, მაშინ ჩემს გათავისუფლებას საფუძვლად დაედებოდა ზემოთ ხსენებული საბეზღებელი საჩივარი, რაც მეც და შს სამინისტროს სტრუქტურებში მომუშავე ჩემს შვილს მნიშვნელოვნად გაურთულებდა მდგომარეობას. მთელი ცინიზმი ამ საქმისა ის გახლდათ, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა ვნების კვირის პირველ დღეს, როცა მძიმე მარხვაში მყოფნი მიტევების სულისკვეთებითა და ცოდვათა მონანიებით სულის განბანვის შემდეგ ეგებებიან ბრწყინვალე აღდგომას. ნიშანდობლივია, რომ "შტატების შემცირების" გამო ჩემი გათავისუფლების მესამე დღეს, დიდ ხუთშაბათს, ასევე ბრწყინვალე აღდგომის წინმსწრებად ათ ახალ თანამდებობაზე დაინიშნენ სხვადასხვა პირები აქ.***

ბუნებრივია, სამსახურიდან წამოსვლის წინ მე არ დამიმალავს და ღიად განვაცხადე, რომ რაკი გადავლის წესით დამიპირისპირდნენ და დაიწყეს ჩემი ჩასაქოლი დევნა, რადგან მე ვამხელდი აფხაზეთი

დეოკუპაციის ფეხზე დაკიდებასა თუ დევნილთა სულში ჩაფურთხებას, - საზოგადოებას გავუსაჯარისებდი რაც ხდებოდა ამ ინსიტიტუციაში.

ასეც მოვიქეცი, ვხედავდი, შეთქმულები ჩემს წინააღმდეგ ანგარიშსწორების ყველაზე უკიდურეს გზასაც არ იუკადრისებდნენ, რადგან უკვე კოალიციად შეკრულთა შორის ზოგიერთს თავის დროზე ჩემთვის ძალიან ბევრი საიდუმლო მასალა ჰქონდა მიზნობრივად განდობილი, რომელთა გამოქვეყნებასაც მოითხოვდნენ ჩემგან და ახლა უკვე ეს მათთვის უნებური საქმე ხდებოდა.

მხოლოდ სულით სახიჩარ, გონებახრწნილ და სისხლაღრეულ, ანუ ეგოპარანოიკ ადამიანს თუ შეუძლია ისეთი სულმდაბლური და ცილისმწამებლური წერილების გამოქვეყნება, როგორებიც ნ. მგალობლიშვილმა, გ. ფაცაციამ, ა. წოწონავამ და ა. შ. გაასაჯარისეს ჩემზე ***"მთავარ გაზეთში" (2011 წ. მაისი, ივნისი, აგვისტო, სექტემბერი) და გაზეთ "ახალ თაობაში" (2012 წლის 20 ნოემბერი)*** და არა მხოლოდ აქ.

ამდენად, ნ. მგალობლიშვილი, რომელიც ყოველთვის ვიღაცის გამხმოვანებლად ისაქმებდა თავს ***(აფხაზეთის "ქართული" პარტოკრატიის, ე. წ. აფხაზეთის "დირექტორადის" და ა. შ.),*** ამჯერად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შეთქმულთა ნაბოროტმოქმედი ნაბიჯების ჩვრით გადამწმენდი გახდა.

...და ერთიც: ნ. მგალობლიშვილისთვის, თუ მისი ყოფაქცევითა და ქილიკური საუბრის მიხედვით ვიმსჯელებთ, ***რაც, სხვათაშორის, როგორც ზემოთაც ვთქვი, თქვენს თვალწინ ხდება ბატონო მოსამართლევ***, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ წინამდებარე სასამართლოს სხდომა საღადავო ადგილია, ხოლო მე, მისი ძალზე დაუთოებული ჭკუით, ამ ყოველმხრივ ხრწნადი ღადავის მიმისამართება. ამასთან დაკავშირებით ძალიან მშვიდად, რაც მთავარია, კორექტულად, ხმამაღლა და მკაფიოდ მინდა ვურჩიო მას, - მე მესმის, რომ მისი საწიხლო ბუნების გამო, არაერთგზის ნარეჯგვი თავი, დაწყებული რეზო კემულარიას მუშტებიდან, დამთავრებული, სულ ცოტა ხნის წინ გია ბარამიას დამთათავი ტორებით, დიახ, ასეთი თავჩაკვრებისგან მირყეულ-მორყეული ქალა ვერ დააკვალიანებს სწორად მის გაბურუსებულ თვალსაწიერს, ამიტომ შორს ნუ წავა, თავის საახლობლოში გაიკითხოს და იქ არაერთი ჩემგან პატივმისაგები ადამიანი დაგეშავს თუ როგორ წარმოითქმება ჩემი სახელი. ვიმეორებ, ჩემს სახელს მისი კეთილები ფაქიზად, მკაფიოდ და მართლმეტყველებით წარმოათქმევინებენ მას. ეს ერთი, მეორეც, როდესაც ექილიკები იმ ადამიანს, რომელიც მოდგმად ტოვებს (შვილიშვილებზეა საუბარი) ნანოს, თეკლეს, უტას, თარაშს, უჯუშს, რომლებიც დედაენაში მუხლმომაგრებულები ერკინებიან მსოფლიო სულიერების საგანძურს, როდესაც მარტო დარჩები, სულ ცოტა, შენს თავს ის მაინც უნდა ჰკითხო, რის საძირედ გაიხადე თავი, რა უცხოურობა გადმოგამყნეს, სადაური გუგულის კვერცხები ჩაგიყარეს

გადანაქუსლ ბუდეში და რა ცნობიერების ღრეებში მინაკადულობს შენი სისხლი. ახლა, შე მართლა სირცხ, რაც არ გითხარი ის გაისიგრძეგანე და ერთხელ და სამუდამოდ დაიჯერე, არაფერი ისე ურთიერთგარდამავალი არაა, როგორც კაცღმერთობიდან ღვთის გლახობაში გადანაბიჯება.

*******

ბატონო მოსამართლევ, უნდა მოგახსენოთ, რომ ე. წ. 14 მოსარჩელეთაგან ზოგიერთთან ადრე ისეთი გულითადი ურთიერთობა მქონდა, რომ იატაკქვეშეთში მყოფს ერთ პურს თუ მომიტანდნენ, ნახევარს მას ვუგზავნიდი. რაზე არ მქონია მათთან საუბარი. ბუნებრივია, ისინიც თავიანთ გულისტკივილს მიზიარებდნენ. ამ გულისტკივილებიდან ძალიან ბევრს გვერდში დავდგომივარ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთა საწუხარს ვერ გავიზიარებდი. ასე მაგალითად, ერთ-ერთმა ე. წ. მოსარჩელემ, რომელიც ადრე ჩვენთვის საააუგოდ ცნობილ ე. ჩარგაზიასთან სწავლობდა, მისი ცუდკაცობა ამგვარად დამიხასიათა: ***<u>ის, რომ ცუდი კაცია, ეს იქიდანაც ჩანდაო, რომ, როცა პროკურატურაში დანიშნეს, შტატგარეშედ</u>*** მამუშავებდა და იმ წესს, რომ გამოვლენილი საქმიდან აღებულის ერთი ნაწილი მე მეკუთვნოდა, არ ასრულებდა და ჩემს წილს არ მაძლევდაო.

ეს, რომ ამ კაცის ბაგეებით ჩემთან ითქვა, შემიძლია, აქედან გასულმა პირველსავე ეკლესიაში დავიფიცო, ხოლო თქვენ ახლა ამიხსენით, ჰქვია თუ არა პრკურატურასთან ამგვარ თანამშრომლობას "ტიხარიკობა"...

***

დასასრულ, არ შემიძლია, გვერდი ავუარო იმ საფრთხეს, რომელმაც ჩემთან მოდავე ამ ინსტიტუციის ერთი ჯგუფის არაკომპეტენტურობასთან და ხელუსუფთაობასთან ერთად, სწორედაც, რომ შეიძლება, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო დაშალოს.

მართალია, 2011 წლის შემდეგ, როდესაც მე დავიწყე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არსებული (ჩემი აზრით) შეუსაბამო, სახალხო ნების არ გამომხატველი და შედეგის თვალსაზრისით მკვდრადშობილი მოვლენების მხილება, დეპუტატთა ეს ჯგუფი გაერთმუშტდა და დღეს ერთი შეხედვით ერთსულოვანი ჩანს, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს იყოს უფლისეული ერთობა. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ არ ვცდები!

საქმე ისაა, რომ ამ ე. წ. თოთხმეტ მოსარჩელეთაგან 2010 წლის თებერვლიდან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში დაწყებულ "სატახტო ბრძოლაში", თითქმის სუყველა ოცნებაში სათავისოდ იპიროვნებდა თავმჯდომარის სავარძელს (რაც მართალი, მართალია, ამ მხრივ, ვერ ვიტყვი, რომ იმხანად დ. გვაძაბიაცა და რ. ქარაიაც იყვნენ მესავარძლეთა რიგებში, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არ სურდათ, სამათო ზურგის ქარი არ

ქროდა, ამიტომ ხელი შეუშალეს სხვათა ხელგამოღებას). მახსოვს, ამ მიზნით "სადაც ჯერ არს" ვინ ვის და რაში აბეზღებდა. ვიცი, მინახავს კი არა, შორსგამიზნულად შემოუჩეჩებიათ, "გაუნდვიათ", შესაბამისად, გამისიგრძეგანებია ის კომპრომატები, რასაც ერთმანეთის დასაშანტაჟებლად აგროვებდნენ.

ამ თოთხმეტ ე. წ. მოსარჩელეში არის ერთი კაცი, რომელმაც ივალდებულა პრეზიდიუმის სხდომიდან ***"გადაყენებული თავმჯდომარის ყურით გამოყვანა".*** გიყურებთ და მიკვირს, რაღაც ორი წლის წინ რას ქსელავდით, თანამდებობით აღმატებულნი რაზე მესაუბრებოდით, რას მთხოვდით, რას მავალებდით, რით ცდილობდით ჩემს დაშანტაჟებას. რას არ კადრულობდით ერთმანეთის დასაძირად. ასე, რომ ის თქვენი სახელგამტეხი მასალები, თქვენ რომ ასე აღგაშფოთათ, ბატონო კაკო, ისევ თქვენთანაა, რამეთუ, ***"ძერამ თქვაო, უნდა გადავფრინდე სხვა ბუდეში, რადგან ეს დაისვარაო, - უკანალი თუ მიგაქვსო? - კიო. - მაშინ ახალი ბუდეც დაგესვრებაო!.."***

სხვა შენობაში კი გადახვედით, მაგრამ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ თავისი მსვრელი უკანალიც თან წამოიღო და იმასვე მოისაქმებს ამ ახალ ბუდეში, რითაც უწინ იმყრალებოდა.

ასეა ეს საქმე. გათავდება წინამდებარე სასამართლოც, აგიორთქლდებათ საერთსულოვნო ძალისხმევა, მოგერღვევათ გამღობავი ღვლერჭი და ისევ საქვეშქვეშოდ ამოქმედებით, რამეთუ, მისთვის საუკეთესო შემთხვევაში, ზუსტად ერთ წელიწადში გასდის სათავმჯდოამრეო ვადა გ. გვაზავას. მანამდე კი, ამდენ სულნაცდურობათა თუ ხელმრუდობათა გამო, შეიძლება, დროზე ადრე მიაბრძანონ "სადაც ჯერ არს" ბატონი თავმჯდომარე. ასე, რომ წინამდებარე ე. წ. ერთსულოვნება, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ძალზე მოკლევადიანი გახლავთ.

ამ თოთხმეტთაგან ერთ-ერთს, ცოტა ზომაზე მეტად ახმაურებულს მინდა შევახსენო, შე, კაი კაცო, განა შენ არ ელოდი და არ ოცნებობდი გ. გვაზავას გადაყენებით საშენო მოგებაზე, გამოაცხადე რა თავი კუთხური წარმომავლობის გამო შევიწროებულად, ხომ შენ დააწერინე ეს საჩივარი შენგან მოტუებულ ადამიანებს?!. როდესაც ასე უბოდიშოდ და ყოვლად უსაფუძვლოდ მაბრალებ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დაშლის მცდელობას, შენს თავში ხომ არ გეშლები, როცა შენ მიერ მოტყუებული ადამიანები სწორედ ამისთვის დარაზმე?!. წამდაუწუმ ხატს რომ აწუხებ, აბა, შენთვის ჩუმად დაიფიცე, არ გქონია ამაზე საუბარი, კმაყოფილებით არ ელოდი ამ დღეს?! ა, ბატონო, ნახეთ (სტილი დაცულია):

***

*აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს*
*ბ-ნ თ. მჟავიას*

ჩვენ დავსვამთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დათხოვნის საკითხს და რატომ: წერილობით გთხოვთ, რომ "ლემის" არეალის ქართველობას საკადრო პოლიტიკიდან ნუ გაგვრიყავთ...

თქვენ მოიქეცით პირიქით: აფხაზეთის ყველა სტრუქტურაში ერთადერთი კაცი თანამდებობაზე გვყავდა ბ-ნი აკაკი გასვიანი და ისიც თანამდებობიდან გადაირჩიეთ ამ სიტუაციისათვის საგანგებოდ თქვენი ჯგუფის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი პირების არჩევის უცნაური, ე. წ. წესით.

რატომ არ გაწყობდათ თქვენ და პროვინციულ დაჯგუფებას აკაკი გასვიანის მოადგილეობა? მისი დიდი ავტორიტეტის, პატიოსნების, განათლების, აზროვნების, დამსახურების გამო?

აკაკი გასვიანი ურყევად იდგა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველ რიგებში, არის "ლემის" დამაარსებელი და თავმჯდომარე, "ლემისა", რომლის ორასამდე წევრი გმირულად დაეცა აფხაზეთში და თანამოძმეთა გაერთიანებით შეინარჩუნა კოდორის ხეობა, ყველა აფხაზეთელის, და არა მარტო მათი, უანგარო თანამდგომი, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი, *აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი,* საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. *მისი ფუნდამენტალური აღმოჩენები* უკვე აღიარა ბევრმა ქართველმა მეცნიერმა და დაიწყეს მათი შესწავლა უცხოეთშიც.

თუ ასეთ პიროვნებას ასე მოექეცით, სხვებს რას გვიზამთ? თქვენ გააერთიანებთ აფხაზეთის ქართველობას? თქვენ დაიბრუნებთ აფხაზეთს?

ამიტომ გიცხადებთ: ჩვენ სეგრეგაციული პოლიტიკის გამტარებელ ე. წ. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ამიერიდან არ ვცნობთ, ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ პრეზიდენტის განკარგულებებს.

"ლემელთა" დავალებით: ......................................
......................................
......................................
......................................

*ეს წერილი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შევიდა 2006 წლის 11 აპრილს (№92-კოლ).*

*******

**საჭირო განმარტებები**: 1. საჩივარში ხსენებული **"პროვინციულ დაჯგუფებაში"** იგულისხმება მეგრელობა (შეადარეთ - ე. შევარდნაძის მიერ დამკვიდრებულ **"პროვინციულ ფაშიზმს"**); 2. ეს განცხადება, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნე, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში შემოვიდა 2006 წლის 11 აპრილს (№92-კოლ), თ. მჟავიას რეზოლუციით "გთხოვთ, გააცნოთ უმაღლესი საბჭოს წევრებს", დაეწერა პრეზიდიუმის წევრ ჯ. გამახარიას.

მე შეგნებულად არ ვაქვეყნებ "ლემელთა" დავალებით საჩივარზე

ხელმომწერების გვარებს, არაა საჭირო, ვისაც ამ მხრივ მომავალში უფრო მეტი სიზუსტე დასჭირდება, მან მიმართოს არქივს, მე კი, ჩემის მხრივ, თითს ვერ გავიშვერ იმ ადამიანებისკენ, რომელთა მოდგმა, ძალიან მჯერა, თავად დაასკვნის, რომ არც წინამდებარე საჩივარმიმისამართებული თავმჯდომარე გახლდათ აფხაზეთ-სამეგრელოს სახეზოგადობა და აღარც ამ საჩივრის დამკვეთი იყო მახვშ-ხევისბერული სიდიადის გამიწიერება.

აქ ერთიცაა, - 2010-11 წლებში, თავის დროზე ყოველივე ამის უკან ჩასაფრებული თითისმქნეველი კაცი იატაკქვეშურს კი არა, ცხრასკნელს ქვემოთურ ფრთხილ მოლაპარაკებებსაც "პო სიტუაციი" ეგებებოდა, რათა, როგორც **"ლემელთა"** დავალებით მოითხოვდნენ **"პროვინციული დაჯგუფებისგან"** ადრე, ამჯერადაც **"მოადგილეობა მაინც მიეცათ მისთვის"...**

ვითვალსაწიერებ ამ საბუთს და, ჰოი საოცრებავ, იგივე წინადადებებით, ოღონდ განვრცობილი მოცულობით მეკამათება ეს კაცი დღეს მე... ღვთის წინაშე ვადასტურებ, რომ არა მხოლოდ ასე იყო..., თუმცა, დავანებოთ თავი, - რა, ეს არაა საკმარისი იმის გასარკვევად, თუ რისი გადაფარვა სურს ამ ე. წ. მოსარჩელეს ხმამაღალი თავდასხმით ჩემზე?!.

*******

ასე, რომ ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია ჩემს სარჩელმიმისამართებულ წიგნში, პირველწყაროობს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რიგ წევრთა მასალებით, რომლითაც ისინი სათავმჯდომარეო სავარძელზე წამოსასკუპებლად ემზადებოდნენ. თუ დამიჯერებთ, მათგან უმნიშვნელო რამაა გამოქვეყნებული. ამ წიგნში ასევეა გამოყენებული სახალხო განდობები...

გ. გვაზავას გასაგონად მინდა ერთი რამ, ჩემი აზრი არსებითი გავასაჯაროო. ამ თოთხმეტ ე. წ. მოსარჩელეთაგან, ბატონო გია, ***4 თქვენი "უგულითადესი", ძეხვზე მისაფრენბულ კატასავით უყურებდა და უყურებს თქვენს სავარძელს.*** მის დასაუფლებლად ისინი სულსაც გაყიდიან (ისევე, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ აქამდე). აი, რა დაგაშორებთ კიდევ უფრო ხალხს და რამ შეიძლება დაგშალოთ. ნებისმიერი მათგანი (ჩასაფრებული), თუ საჭირო გახდა, ამ მიზნის მისაღწევად სიამოვნებით გაურიგდება ქვეყნის გარეშე ძალებსაც. აქაა საფრთხე და მინდა მჯეროდეს, რომ ამჯერად ამ თოთხმეტეულის ე. წ. კოჰაბიტაცია ანუ თანაატანა ტაქტიკური სვლაა ამ სასამართლოს ჩასათავებლად და მერე ფხიზლად და წინდახედულად მიეპირწონებით ნებისმიერ ჩასაფრებას გარედანი ძალებისა.

...და ბოლოს, ჩვენ, - ჩვენი ვინაობით, სხვადასხვაგვარად გვესმის ღირებულებები, ღმერთმა ნუ ქნას და რამე რომ მოხდეს, თქვენ ისევ იმას იზამთ, რაც 1993 წლის შემოდგომაზე გაუკეთეთ ჩვენს ხალხს, მე კიდევ,

თქვენგან განსხვავებული სვლაგეზისკენ გადავათრევ აწ უკვე ბებერ ჩემს სხეულს.

აი, ესაა ჩვენს შორის განსხვავება. თუ რა ღირებულებას გაენაბიჯება ჩვენი ხალხი, ეს მათი ასარჩევია, გეთანხმებით, საზოგადოება ყოველთვის ისეთ ხელისუფლებას იხვევს თავს, როგორსაც იმსახურებს იგი!..

ასეთ დროს სახალხო სიბრძნე გვაფრთხილებს: ***ვინც განზე დგომით უკეთეს დროს უცდის, ის იხანგრძლივებს ცუდს!..***

**15.02.2013 წ.**

*******

**მინაწერი:** სასამართლოს სხდომაზე ქალბატონმა რაისამ თავისი "პოლიტიკური უცოდველობის" საბუთად წარმოადგინა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრისა და შემდგომი დროის სისხლიან დღეთა ერთ-ერთი მთავარი თავსდამტეხის, რუსიზმის მიერ ერთჯერადად გამოყენებული ხელისბიჭის თ. სიგუას წერილი, რომელშიც იგი ნ. მესხიას მიერ თავის წიგნში მხილებული დეპუტატების გამიჯვნას ცდილობს აფხაზეთის საომარი ავანტიურის პროვოცირებისგან, ანუ ამჯერადაც ცრუმოწმეობას არ თაკილობს თუ როგორ "არ მონაწილეობდა" აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში კრემლისა და აგრესორ-სეპარატისტთა მიერ დაგებულ ხაფანგზე ფეხდადგმაში, ამაზე თვით ჯ. იოსელიანი წერს: **"ბორის კაკუბავა - ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი აფხაზეთში - მთხოვს იარაღს, სურს სოხუმში ჩამოაყალიბოს მხედრიონი. ვაძლევ რამდენიმე ათეულ ავტომატს და ტყვია-წამალს. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც იმ აზრზე არიან, რომ აფხაზეთში ჯარი შევიყვანოთ"** ***(ჯ. იოსელიანი, "სამი განზომილება". ამონარიდი საგანგებოდ მაქვს დამოწმებული აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის - გ. კალანდიას პროექტით შედგენილი წიგნიდან "აფხაზეთი ქართულ პროზაში", თბილისი, "ეროვნული მწერლობა", 2008 წ. გვ. 220. აქ სხვა საკითხია თუ რამდენად სწორად შეირჩა კრებულის სახელწოდება. შედარებისთვის - "კახეთი ქართულ პროზაში"; "იმერეთი ქართულ პროზაში"; "რაჭა ქართულ პროზაში" და ა. შ. ამით ხომ აფხაზეთის "სხვაქვეყნობას", მის "არაქართულობას" ესმევა ხაზი?!).***

ამავე ნაწარმოებში იხსენებს აწგანსვენებული ჯაბა, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდა საომარი ავანტიურის პირველ დღეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი: **"პირველ საერთულზე, სასტუმრო ოთახში მაგიდას შემოსხდომოდნენ თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კიდევ რამოდენიმე დეპუტატი, მათ შორის, ზვიადისტებიც, ლომინაძეს სუფრის "ავტონომიური" წრე შეუკრავს და შამპანურს სვამენ..."** (იქვე, გვ. 225).

ბატონი ჯაბას ნაწარმოები შთამომავლობას მკაფიოდ უდასტურებს, რომ ამ დეპუტატთა შორის ერთ-ერთი ხელგამოღებული აწ მოსარჩელე ნ. მგალობლიშვილიცაა ანუ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ზოგოიერთმა ქართველმა დეპუტატმა არათუ ხელი შეუწყო კრემლის დაკვეთათა

აღსრულებასა და მათ შენიღბვას, არამედ შამპანურიც კი მიირთვა ამის აღსანიშნავად?..

კი ბატონო, ჯ. იოსელიანის წიგნში სინამდვილე ძირითადად მრუდე სარკეშია წარმოჩენილი, მაგრამ მასში უდავოდ არის მკაფიო სიცხადეებიც.

მე არ ვკიცხავ ამისთვის დეპუტატ რ. ქარაიას, თუმცა, მისი საქციელი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ, მისთვის სანიშანსვეტო ღირებულებებს, რომლითაც იგი უმოწყალოდ ანიავებდა სახალხო ნდობას და რისი შედეგიცაა ის, რაც მოხდა. ამით, მან, მისდაუნებურად, ჩემი სისწორე გაამკაფიოვა.

სხვა რამემ გამაოცა: ეტყობა, საკმაოდ უჭირს სიცხადის გასიგრძეგანება ნ. მგალობლიშვილს, - ამ სასამართლოზე ზ. გამსახურდიას უერთგულეს თანამებრძოლად რომ იდგენს თავს, თორემ, როგორ შეიძლება, თუნდაც ვითომ ერისკაცულისკენ მიდრეკილმა ადამიანმა, რომ არაფერი ვთქვა ჯ. იოსელიანის მიგებებაზე, - თ. სიგუაში რამენაირი ზურგის ქარი მოიძიოს... ასეთ დროს **დიდოსტატ კონსტანტინეს** ვემოწაფები ხოლმე: ***"ზავშვის საცვალსა ჰგავს წუთისოფელი, ვეჟო, მასავით დასვრილია და მოკლე!.."***

**25.02.2013 წ.**

***

*"ხოლო რომელსა ესე გეტყვით თქუენ, ყოველთა გეტყვით:*
*მღვიძარე იყვენით..."*
*მარკოზი - 13, 37;*

*"ახლაც გარშემო მძიმე წამია,*
*ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ ვუშველე*
*და ვესალმები იმ ადამიანს,*
*ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს..."*
*ტერენტი გრანელი*

**28.02.2013 წ.** 12 მარტის წინმსწრებად, როცა მოსამართლე ზ. ესებუამ ე. წ. მოსარჩელეთა დაკვეთების შესაბამისად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, გ. გვაზავამ ამ დილით კიდევ ერთი "სამთავარსარდლო" შეხვედრა მოაწყო, გაამხნევა თანამოსაქმეები და აღნიშნა, რომ *"როგორც მან დააზუსტა, 12 მარტს დედა ეტირებათო საჯაიებს..."*

აფხაზეთის პარტოკრატიის პოლიტიკურ უტიფრობას, ყოვლისმკადრებლობასა თუ სულიერ ხრწნადობას მიჯნა არა ჰქონია: გაგრა-გუდაუთისა და სოხუმის სასამართლოს სხდომებზე ე. წ. თოთხმეტი მოსარჩელის გამოსარჩლება იქცა გ. გვაზავასა და მისი თანამოსაქმეების ბოროტმოქმედებების მისაჩქმალ ღონისძიებად. აქ მათ "ინტრიგების მსხვერპლად" და ცილდაწამებულებად წარმოაჩენს მათივე წიაღიდან ამოგველისწიწილებული "მოსამართლე" ზ. ესებუა. ის კი არადა,

თითოეული მათგანი, რომელთა თაღლითობასთან კვაჭი კვაჭანტირაძეც კი უცოდველი ხბო იქნებოდა, "აფხაზეთის საამაყო შვილებად" გაგვინიშანსვეტეს ე. წ. სასამართლოზე.

სამაგიეროდ, ყოველივე ამის გასწვრივ, წინმსწრებმტკიცებითი (აპრიორული) მიზნობრივობით ჩემს მიმართ სტერეოტიპული შინაარსი იაბლაბუდება, რომლის მიხედვითაც, როგორც ჩანს, წინამდებარე ვითომ სასამართლო გამომაცხადებს "გამოუსწორებელ ცილისმწამებლად" და "მოცლილ ჩასაფრებულად".

საქმე ისაა, რომ ზნეობისთვის ვინმე ზ. ესებუამ ამ ე. წ. სასამართლოს ტრიბუნა თოთხმეტეულს დაუდგინა ჩემზე ფსიქოლოგიური ტერორის, დევნის, ლანძღვის, ცილისწამებისა თუ ანგარიშსწორების ლეგიტიმურ ინსტიტუციად, სადაც ჩემი ყოველი განმარტება მათი არასახალხო საქმიანობის შესახებ, კანონის სახელით დგინდებოდა **"ჩემ მიერ ეს მერამდენედ ჩადენილ ლაფისსროლად და აფხაზეთის სასახელო შვილების უსაგნო გაჭორვად".**

ის, რასაც აქ სასამართლო ჰქვია, ამ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ ჩემს მსოფლმხედველობრივ გადაშენებას ემსახურება.

ბუნებრივია, ამ სიმრავლეში, მიუხედავად იმისა, რომ თავადაც იციან თუ რა სიმძიმის ცოდვას ატარებენ ერის წინაშე, არავის უგრძვნია თავი უხერხულად, რადგან არც ზნეობაში თავდადგენის მოთხოვნილება და არც აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი გემოვნება არასდროს მოსურვილებიათ მათ.

დიახ, ეს ასეა, მაგრამ მოდით, აქვე გავარკვიოთ, ვინცაა ზ. ესებუა და რამდენადა არის მოსალოდნელი მისგან სამართლიანი დასკვნა?!

პირდაპირ და მიუკიბ-მოუკიბავად აღვნიშნავ, რომ იგი თავისი აზროვნების წესით, საქმიანობითა თუ საზოგადოების შეფასება-გამოძახილით გახლავთ აფხაზეთის *"ქართული"* პარტოკრატიის სახეზოგადი პირმშო და დღემდე ამ ცნობიერებიდან თავაწყვეტილი სულისკვეთების განმხორციელებელი.

რამდენადაც ვიცი, ჯერ კიდევ 1994 წლიდან, როდესაც კინაღამ პირტიტველა ბავშვი გახლდათ, სწორედ ასეთი წარმომავლობის გამო გაამწესა იგი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ დევნილი სოხუმისა და სოხუმის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ და როგორც მაშინ აფხაზეთიდან დევნილთა საზოგადოებას მიაჩნდა, იგი პირნათლად ასრულებდა იმ დაკვეთას, რასაც მისკენ ამისამართებდა იმ დროის დიქტატურა.

შემდეგ იყო და მ. სააკაშვილის "რეფორმირებულ" სასამართლოში გაგრა-გუდაუთისა და სოხუმის მოსამართლედ მოგვევლინა და თუ გაზეთ *"ქრონიკის"* თითქმის ყველა ნომერში 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე გამოქვეყნებულ მასალებს დავეყრდნობით, იგი ქვეყნისთვის

შემობალებული ”სამართლებრივი” განუკითხაობის ერთ-ერთი თაოსანი გახლავთ.

რა დაგიმალოთ და მისი ”მოუსყიდველობა” პირადად მეცა მაქვს 1996 წელს საკუთარ თავზე გამოცდილი, როდესაც ჩემს მიერ, ჩემი ხარჯებით ჯერ კიდევ აფხაზეთში დაარსებული გაზეთი ***”აღდგომა”*** აქ, დევნილობაში სხვებს მიაკუთვნა და იგი ჩემს წინააღმდეგ, მაშინაც პოლიტიკური დევნილის მიმართ ჩასაფრებულ ძირგამომთხრელობად ***”დააკანონა”***.

რა თქმა უნდა, გასაკვირი არაა, რომ გ. გვაზავა ანუ 14 ე. წ. მოსარჩელე, სანამ სასამართლოს შორსგამიზნულად მიმართავდა (ზემოთ მოგახსენეთ, ასე ურჩია მ. ზოდელავამ და დ. ახალაიამ), ისინი, როგორც იმთავითვე გამოჟონა ხმამ (ა. წოწონავა, დ. გვაძაბია), დაეთათბირა მოსაზურგისქარებლად თვითონ ზ. ესებუას და მის გავლენიან ახლობლებს.

მაშინ იგი მათ დაპირდა თანადგომას და საკითხის მოგვარებას მ. ზოდელავას გეგმის შესაბამისად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზ. ესებუა თავადაა აფხაზეთის ”ქართული” პარტოკრატიის ანუ დევნილობის პირობებში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ არა მხოლოდ შერჩეული და დაწინაურებული მოხელე, არამედ მისი შინაარსობრივი გასაგნებაც, სახროვო წესით მან სისწორე კი არა, - თავისივე თანამოშინაარსე 14 თაღლითის სარჩელი უნდა დააკმაყოფილოს.

ეს ასე რომ იქნება, იქედანაც ჩანს, რომ სასამართლოს სხდომები, რომლებიც ჩატარდა ამ სარჩელთან დაკავშირებით, მისი ხელშეწყობით იქცა ჩემზე პოლიტიკური ზეწოლის, ფსიქოლოგიური ტერორის, მიზნობრივად შეთხზულ ცილისწამებლებათა ტირაჟირების ადგილად. იგი ყველანაირი აკრძალული, უზნეო ოლეთებით მოქმედების საშუალებას აძლევდა იმ ადამიანებს, რომლებიც გააფრთებით ცდილობდნენ მიეფარდათ ყოველივე ის, რითაც ქვეყანა ასეთ პარტახამდე მიიყვანეს. ამის გასწვრივ მე არ მეძლეოდა საშუალება გამერკვია, - თანამდებობის პირი (მთავრობის წევრი, გნებავთ დეპუტატი, რაიონის გამგებელი და ა. შ.) იყო თუ არავალდებული გაეთვალა თუ რა შესაძლო საფრთხე იყო მოსალოდნელი და უნდა მიეღო თუ არა შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ თუ ამ საფრთხეს ვერ იცილებდა, უბედურების მასშტაბები მაინც შეემცირებინა?!

სასამართლოს სხდომებზე ყველანაირად მიიჩქმალა - ***1. მთავარი ბრალდება, რისთვისაც ეს სარჩელ მიმისამართებული ჩემი წიგნი დაიწერა: ა) აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობის არაკომპეტენ-ტურობა და ბ) მისი ჩართულობა ელიტურ კორუფციაში; 2. ეს, ვთქვათ ასე, საინფორმაციო ომი დაიწყო თვითონ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობამ, როდესაც შეუკვეთა დეპუტატ ნ. მგალობლიშვილს ჩემი სალანძღავი წერილი, რომელშიც ქუჩისფსკერულის***

***ყოვლისმკადრებლურ ცილისწამებასთან ერთად ყიამყრალური ძალადობის მცდელობაცაა!.*** *(იხ. გაზეთები: "განმათავისუფლებელი" ნ. მგალობლიშვილი, 2011 წ. აპრილი); "ახალი თაობა (ა. წოწონავა, 2012 წ. 20 ნოემბერი); "საერთო გაზეთი" (2011 წ. გ. ფაცაცია, 18-28 მაისი; ნ. მგალობლიშვილი, 1-7 ივნისი; აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრესცენტრი; ა. წოწონავა 14-21 სექტემბერი).*

გარდა ამისა, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ე. წ. "ვებ-გვერდზე" დრო და დრო ქვეყნდებოდა დ. გვაძაბიას, ა. გასვიანისა და ა. შ. სიცრუით, ლაფისროლითა და ჭორებით გაცილისწამებული ხმაბოდვები ჩემზე (როგორც ჩანს ზოგიერთი მათგანი დაიბეჭდა კიდეც კედლის გაზეთის მსგავს "გამოცემებში").

"ბრალდებები", რომლებიც ამ ავყიაობებიდან იკვეთება, ძირითადად ასეთია: ***1. თითქოს მე რაღაც საეჭვო კრიმინალური წარსული მაქვს; 2. ვითომცდა მე დავაღალატე ეროვნული მოძრაობა და ვმონაწილეობდი კორუფციულ გარიგებებში; 3. "ვუღალატე" ხალხს და ამისთანები...*** აქ ჩემი წარსულის ავმოსურნედ მქექავებს იმით გავუწბილებ ოცნებას, რომ შევახსენებ, იმ დროის რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური თუ ე. წ. საკავშირო გაზეთები ჩემზე, როგორც შემოქმედზე და პედაგოგზე, სასკოლო ორგანიზატორზე 1968 წლიდან აქვეყნებდნენ საქებარ და წამახალისებელ წერილებს, ჩემს ფოტოსურათებს, იბეჭდებოდა ჩემი ნაწარმოებებიც. ვიხილავდი თეატრის სპექტაკლებს, პოეზიას, მწერლობას, ***1967 წლიდან 1971 წლამდე სოხუმის ა. მ. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვთაოსნობდი გალაკტიონის მიერ მეოცე საუკუნის 40-იან წლებში დაარსებულ ახალგაზრდა შემოქმედთა წრეს, რომელიც მისი დამაარსებლის სახელს ატარებდა, ვხელმძღვანელობდი კულტურულ და სახალხო-საგანმანათლებლო საქმიანობას.*** *დიახ, დიახ, ბატონებო, ეს ყველაფერი დასტურდება იმ დროინდელი გაზეთების ფურცლებზე... აქვე განვმარტავ იმასაც თუ როგორ "დავაღალატე" ეროვნული მოძრაობა: ამ მხრივ ჩემს საქმიანობას 1992-93 წლებში, ისევე, როგორც მანამდე, მაღალ შეფასებას აძლევდა ზ. გამსახურდია (იხ. გ. აბსანძის წერილი საპატიმროდან). ასევე ამავე წყაროდან დაასკვნით, თუ როგორ "ვუღალატე" ხალხს, და როგორ "ვითანამშრომლე" იმპერიასთან (ცნობისთვის: ამ წიგნში მერამდენედ ვამბობ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ოჩამჩირის №60-ე და სოხუმის რ-ნის №65-ე საარჩევნო ოლქებში, სადაც კენჭს ვიყრიდით ლ. მარშანია და მე. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული და დაინიშნა მეორე ტური* ***(იხ. გაზეთ "აფხაზეთის ხმა", 1991 წ. 1 ოქტომბერი, 1 გვერდი),*** *იგი არ ჩატარდა და პირდაპირი გარიგებით აგრესორ-სეპარტატისტებსა და აფხაზეთის ე. წ. მრგვალი მაგიდისთვის*

*თავშეფარებულ ”ქართველ” პარტოკრატებს შორის, ანუ გ. ლომინაძისა და ნ. მგალობლიშვილის ჯგუფთან ხმაშეწყობით, დეპუტატები არჩევნების გარეშე დაინიშნა ვ. აშხაწავა ოჩამჩირეში, თ. მჟავია - კელასურში.*

*... და ერთიც, ეს ხალხი მე მაყვედრის იმას, რომ ბერძენმა ძუძუწმინდა დედამ გამზარდა!..*

ხომ ქართველი დედ-მამა ჰყავდა გ. გვაზავას - მის ჭერქვეშ სასაუბრო ენა რუსულია. თ. ხუბუაც ქართველია და მისი მეუღლეც, მაგრამ მისმა შვილმა არაქართული, უფრო სწორად, მშობლიურს ვერ შეგუებული ”განათლება” მიიღო. დიახ, ქართველია თ. მჟავია, მაგრამ მისი შვილი თაღლითობისთვის იხდის სასჯელს, ხოლო ქართველმა ნ. მგალობლიშვილმა...

დიახ, დიახ, ბატონებო, ქართველი მ. კვარაცხელიას ერთბაშად ორმა ვაჟმა ნარკოტიკებთან კანონსაწინააღმდეგო დამოკიდებულების გამო მოიხადა სასჯელი, კიდევ განვაგრძო?!. ახლა შემოიხედეთ ჩემს ჭერქვეშ და თავად მოითვალსაწიერეთ, მე, - ”ბერძენმა” სერგი საჯაიამ ვინც გავზარდე!..

თქვენ გეკითხებით, გულარხეინ საზოგადოებას, - ის ხალხი, რომელმაც საკუთარ ჭერქვეშ ვერ ჩაინაცვლა საერისკაცო თაობა, რამდენადაა მზად საქვეყნო საქმეებისთვის დღეს?!

***აქედან გამომდინარე, იმ ვითარებაში, როდესაც სისწორის პინა კვლავ აფხაზეთის ”ქართველ” პარტოკრატთა ხელშია, რა თქმა უნდა, მე არანაირი იმედი არ მაქვს და ამას სანდო წყაროც მიდასტურებს, რომ 12 მარტს მოსამართლე ზ. ესებუა სამართლიან განჩინებას გამოიტანს, მაგრამ რაც არ უნდა განაჩინოს მან და როგორადაც არ მიჩქმალოს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში საკიდითკიდოდ აღაღადებული ცოდვის კითხვა, შინაარსი არ შეიცვალება, ეს ხალხი არ ემსახურება სახალხო ნებას!..***

*მათი საქმიანობა ძალიან ჰგავს გენმოდიფიცირებას, ხოლო ნებისმიერი გენმოდიფიცირება, როგორც ღვთაებრივ საწყისში შეჭრა, მძიმე შედეგად ატყდება ქვეყანას თავზე.*

ამგვარი გახლავთ სიცხადე, როდესაც კითხვა ასე უნდა დაისვას: ***რა მრჯიდა, რად დავიტეხე ეს უსიამოვნებები, რა ჩემი საქმე იყო მ. სააკაშვილის იმპერიული და გაიძვერული საქმეების მხილება ან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ათუხთუხებული უზნეობების გამომზეურება?!***

ამეღო ის საკმაო დიდი ხელფასი, თვალი წამეხუჭა აქ აშადრევნებული სულცდუნებებისათვის, მაძღრად ჩამეკრიალოსნა დღეები და ჩემი საპატიო თანამდებობის შესაბამისად მოწილადებულ პატივში მივგებებოდი ყოველ ცისმარეს... მართლაცდა, დიდი მუხრანისა არ იყოს, ***”რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისი?!”***

სადღეისოდ ჩემს დამნარცხებელ ყოველდღიურობაში ნიშნისმოგებით მეშურდულება ბუნებრივი კითხვა და მასზე მიწიერი პასუხი წინგაუხედავ უჭკუოდ მადგენს, თუმცა, არც მთლად ასეა საქმე, აქვე, ისრის ბუნიკის აწივლება მემშვილდისრება პასუხად უფლისმიერი ამრისხანებით: ***"ღალატიაო ამგვარი ფიქრი!.."***

იმ სინამდვილეში, სადაც მიშნაცური ყოველდღიურობა საქართველოს ვინაობის, ანუ მისი ღვთისმშობლისწვდომური შინაარსის შეცვლას ისახავს მიზნად, უფრო მეტიც, სწორედ ამაზე გახლდათ მიბმული მისი საგარეო პოლიტიკაც, საშინაოც, ე. წ. ინვესტიციები, ტურიზმი, კულტურა... რამდენად უნდა იყო ბრმა, რომ არ დაინახო, - ფაქტობრივი ხელისუფლება (ნასეტნიკობა) ახორციელებდა კარგად შენიღბულ და ტაშდაკრულ მორიგ დივერსიულ ეთნოფაბრიკაციას: ხელოვნურად ინგრეოდა სოფლის მეურნეობა, სასოფლო სურსათ-სანოვაგის 80% იმპორტული, თან უხარისხო, ძირითადად გენმოდიფიცირებული, ამდენად სიცოცხლისთვის სახიფათო გახლდათ და ეს ხდებოდა განგებ, შორსგამიზნულად, ასეთმა მიზანმიმართულმა ვერაგობამ დაცალა სოფლები, ჩასაფრებულად გააიაფა მიწები, გაანადგურა სავარგულები, ქვეყანას თავს მოეხვა იძულება, რომელიც გაჭირვებულ გლეხს ჩალის ფასად ასხვისებინებდა საკარ-მიდამოს...

ყოველივე ამას ქვეყანაში მობოგინე ნამესტნიკური ადმინისტრაცია არათუ ხელს უწყობდა, სახელმწიფოს სტრატეგიულ პოლიტიკად ასაჯარისებდა, ყოველ მხრივ ახალისებდა და "ღვთის წყალობად" გვიდგენდა, რადგან მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა საქართველოში დემოგრაფიული სურათის შეცვლა, დიახ, სახელმწიფო პოლიტიკის ხასიათს ატარებდა ჩვენს მართვაში ქვეყანაში სურათის შეცვლა ქართველი ერის საზიანოდ და ჩასაფრებული ავმოსურნეების საზურგისქაროდ.

მართალია, უცხოელებზე მიწის გაყიდვა, ვითომცდა, კანონით აკრძალულია, მაგრამ აქვეა მოთადარიგებული ამგვარი საპარტახო მიზნის გადამთრევი საცრუმოძრაობო კანონები, მაგალითად, ე. წ. გრძელვადიანი იჯარა, რითაც სასოფლო-სამეურნეო მიწები შეღავათიანი, არაქართველებისთვის მორგებული პირობებით და ერთგვარი შთაგონებით გადაეცემათ უცხო სახელმწიფოების მოქალაქეებს. ასეთი თაღლითობებით ხელშეუხებელ ტყეებსაც კი ხელოვნურად უცვლიდნენ სტატუსს და გადამთიელს მიზურგისქარებული საეჭვო ხელგამოღებით "სასოფლო-სამეურნეო სავარგულის" სახით საუკუნო "იჯარით" აძლევდნენ პირველსავე შემოშლიგინებულ თუ მოშარახვეტიე გადამთიელს.

რა თქმა უნდა, მე არ ვქადაგებ სხვა ქვეყნებთან კარჩაკეტილობას, არ ვეჯებირები სახალხო სულიერებათა შემოწყალუხვებას, მაგრამ საქართველოს მიწა-წყლის, დიახ, იმ მამულის, რომელზეც ყველა იმპერიამ

(თურქულმა, არაბულმა, სპარსულმა (ირანულმა), მონღოლურმა, რუსულმა და ა. შ.) თავისთვის სასურველი და ქართველთათვის გადამშენებელი დემოგრაფიული კვალი დაამჩნია, დღეს, ასეთი დივერსიული შედეგების პირისპირ მდგომებმა არ შეიძლება ასე ხელაღებითა და ერთბაშად ვაჩინელოთ, ვაინდოელოთ, ვაარაბოთ ქართული მხარეები (არაფერს ვამბობ უკვე გაარაქართულებულ მიწებზე). 500 უზარმაზარი მიწის ნაკვეთი აქვთო კახეთში შეძენილი ინდოელებს *(გაზეთი "ახალი თაობა", 5 მარტი, 2013 წ)* რა მიზნით?!.

ის, რომ ე. წ. ლაზიკა 500 000 (ნახევარ მილიონ) მოქალაქეზე გათვლით უნდა აშენებულიყო და ქართული გააურზაურების (პიარის) გასწვრივ ჩინეთის ტელევიზიები გადასცემდნენ ამასთან დაკავშირებულ საცდუნებელ, საქართველოსკენ საქუდისგლეჯო რეკლამას ან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სალაზიკო მოქალაქეების რესურსი (ნახევარი მილიონი ნამეტი ადამიანი) დღეს საქართველოს მხარეებს არა ჰყავს. ცხადია, ეს აკვიატება ჩვენი ეროვნულ-სახალხო მიზნებისთვის არ გახლდათ. საზოგადოებას კრინტიც არ დაუძრავს იმ თავხედური უზბოდიშობის გამოც, როცა ასი ათასამდე ქართველი მეწარმე მიშნაცებს დატეტორებული ჰყავთ, ხოლო აქ, საქართველოს სატახტოში ახალგაზრდული ბანაკის მშენებლობა, გათვლილი 126 ათას სულზე, ნაცმოძრაობამ, ისევ და ისევ, საეჭვო ჩინურ საწარმოებს გადააბარა. რატომ? გასაგებია, რომ არასაქვეყნო შედეგისთვის!..

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიშნაცების ყველა ე. წ. დიდი მშენებლობა, ისევე, როგორც სსრკ-ის დროს, საქართველოს მოსახლეობისა და ქართული ეროვნულობის წინააღმდეგ მიმართული საოკუპაციო ილეთია.

ავიღოთ პანტონიმის თეატრი (თბილისი, რუსთაველის 37). მთლიანად ეს შენობა 1 ლარად მიყიდეს ვიღაცას და ქართული სულიერების ერთ-ერთი კერა ეროვნული ვინაობის ნაკრძალში (რუსთაველის გამზირზე, ეროვნული აკადემიის წინ) - ენით უთქმელი უტიფრობით მოშალეს.

ქართველი ერის გადაშენების (კვდომის) სტრატეგია შემდეგი ძირითადი ტაქტიკური მიმართულებებისგან შესდგება: ***1. დემოგრაფიული სურათის შეცვლა; 2. შიდაეროვნული განხეთქილება (დეზინტეგრაცია), ანუ ახალი ავტონომიური წარმონაქმნების ფუნქციით სხვადასხვა უმცირესობების მიზნობრივი შექმნისთვის ხელშეწყობა და მათი წახალისება; 3. იერიში ერთიან ეროვნულ ცნობიერებათა ნიშანსვეტის წინააღმდეგ. ქვეყანაში მძვინვარებს საკუთარი ვინაობის ნგრევისა და საკუთარი ისტორიის დაკნინების (გაშავების) საოცარი მონდომება*** (რუსებს ასეთი საქმიანობისთვის საგანგებოდ დაზუსტებული გამოთქმა აქვთ, - *"ოჩერნიტელსტვო სობსტვენნოი ისტორიი"*).

როდესაც აშშ-ს ელჩი როჩარდ ნორლანდი, ვითომცდა გვედემოკ-

რატება, ეს იმის პაროლი გახლავთ, რომ ჩვენ მსოფლიოს სივრცეში საკუთარი ეროვნული შინაარსით არ წარვდგეთ და ვისაქმიანოთ აშშ-ს დაკვეთათა შესაბამისად.

ასეთ პოლიტიკურ განუკითხაობაში, როგორც დრომ დაადასტურა, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ყოველთვის თავისივე ორპირობის მძევალი ხდებოდა, რომელსაც აქვს მიზეზი, დღეს იდარდოს საკუთარ მომავალზე, რადგან სახალხო ნდობა გაანიავა.

ნურავინ ეცდება, თითი დამიქნიოს, - მე კარგად ვაცნობიერებ სიცხადეს და კიდევ უფრო კარგად ვიცი, თეთრი რასაც ჰქვია... ნელნელა მივდივართ იქითკენ, რომ ეცდებიან ოკუპირებული ქართული მიწების თანდათანობით ლეგალიზაციას: ნებისმიერ დოკუმენტებზე მუშაობას თავისი სპეციფიკა გააჩნია, რომლის დროსაც საკითხის ფორმულირება განაპირობებს ჩანაღმულ ქვეტექსტებს, არ თქმულს ხმამაღლა, მაგრამ ჩათესილს და იგი სწორედ იქ გაღვივდება, სადაც არ ელი!..

სამწუხაროდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ამ მხრივ თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ანუ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დეოკუპაციის საქმეში საფრთხეთა დანახვაზე, მით უმეტეს, ჭეშმარიტებისა თუ სახვალიო სახალხო გზების ძიებაზე უფრო დაკავებულია ამ ინსტიტუცია ხელოვნურად მორგებული სამასკარადო მუნდირის ქიმწმენდით და ეს მიაჩნია გადაუდებელ საქმედ.

ასეთმა დაყაბულებამ ის პოლიტიკურ ყავლგასულობად, ამან კი, თავის მხრივ, უხვალდღეო რაობად აქცია. ის საჯარო გამომეტყველება, რომლითაც ისინი საზოგადოებას ენაკადებიან, არა მარტო ზნეობრივ, არამედ, პირველ რიგში, მათში სამედიცინო (ფსიქიკური) პრობლემის მაჩვენებელია.

მთელი უბედურება ისაა, რომ ნაცმოძრაობის საოკუპაციო რეჟიმს მოსახლეობა ცუდ, მაგრამ მაინც ქართულ ხელისუფლებად აღიქვამს და მათ საქმიანობას არ მიიჩნევს ოკუპანტის აღმგველობად. ამავე სიბრტყეში მოექცა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოც.

ის უფლება, რომ მე, სერგი საჯაიას მქონდეს იმედი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის, ამის გარანტი უნდა იყოს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, რასაც იგი ვერ გაიპიროვნებს ზემოთხსენებული მიზეზების გამო.

მედროვე ყველა ვითარებაში კეთილდღეობისთვის გამოსარჩენს ეძებს და არა რამენაირად სახალხო ღირებულებათა - ერთგულებას ან მათდამი თავდადებას.

რაც არ უნდა შეფუთოს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ერთმა ჯგუფმა თავისი სამარცხვინო სარჩელი *"მ. სააკაშვილის დაცვით ჩემი კრიტიკისგან"*, თითოეულ მათგანს კარგად მოეხსენება (და საზოგადოებაც,

მოვა დრო, გაიცნობიერებს ამას), რომ ესაა ამ ინსტიტუციაში აჯირითებულ ხელმრუდობათა მისაჩქმალი ღონისძიება.

გ. გვაზავას თავმჯდომარეობის მილევად დღეებში ეს (მ. სააკაშვილის დაცვა) ჩამოყალიბდა საზოგადოების წინაშე მათი კვლავ გაკაცღმერთების საშუალებად.

დიახ, ჩემი პოლიტიკური დევნა, შანტაჟი და რეპრესია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, იმის გამო, რომ დავუპირისპირდი მის ხელმძღვანელობას დანაშაულებრივ არაკომპეტენტურობასა და მათსავე ელიტურ კორუფციას, რაკიღა დაწერილი მქონდა მ. სააკაშვილის მკვდრადშობილი საქმიანობის მამხილებელი წიგნები, *გასაჯაროსდა "ქვეყნის პრეზიდენტის მლანძღავისადმი საკადრის პასუხად".*

მათი ასეთი გაშმაგების უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ იმათ შორის, რომელიც მოწმეა ამათი ლაჩრობის, ორპირობის, ანგარების, არაკეთილსინდისიერებისა და ყოველივე ამის ქაღალდზე გადატანა ეხერხება, რაც მთავარია, ყოველივე ამასთან შეურიგებელია, ვერ შეაშინებენ, ვერც მოისყიდიან და მათი მხილების სურვილი გააჩნია, ჯერჯერობით ერთადერთი ვარ. ამიტომაა, რომ ჩემზე დამჩექმებლური გადავლა მათი უპირველესი საქმეა.

სწორედ ამიტომ, ჩვენი გზები მომავალში კიდევ ერთხელ კი არა, არაერთგზის გადაჯვარედინდება, რადგან მე არასდროს შევურიგდები მათ ციდაკაცურ რაობას: მთელი, ეს წლები ეს ხალხი მანადგურებდა, ამიტომ, ვიტოვებ უფლებას, აღვშფოთდე მათი ქუჩისფსკერულობით!..

*მესამე წიგნის დასასრული*

სარჩევი

1. მჷმტრისკაკუნე ანაბიჯებები ე. წ. აფხაზეთის დევნილ ხელი-სუფლებაში... 3
2. მკვდრადშჷბილთა ზნეჷბაში აკვარაცხლბეკების ამაჷ მცდელჷ-ბანი... 45
3. განცხადება... 78
4. როცა პანღურნათხლეშს აზნეჷბრივებენ 82
5. ნაპანღურალი (პირველი) მჷადგილე 85
6. გაიღვიძეთ, ბატჷნჷ ნაფიცჷ მსაჯულებჷ 111

≈*≈



***

... **მანამდე** კი კეთილს ინებებთ და მაგ მურგვას მის ხელისგოგოსთან ერთად მოათრევ აქ, ჩემს ბინაზე და დაანახებ, თუ როგორ, ანუ საკუთარ ხალხზე არაუკეთესად ცხოვრობს აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, რომლის ხელში 1993 წლის შემოდგომაზე სახალხო ქონება ***<u>იყო. მე იმ დროზე მოგახსენებთ, როდესაც დ. გვაძბია საკუთარი თავისა და პირადი ქონების გადასარჩენად თავისი რაიონიდან ხალხს გაეპარა, უმწეოდ დააგდო ისინი და გამოიქცა, ხოლო მე ამ ადამიანების უბედურების ზონიდან გამოყვანას ვხელმძღვანელობდი. ასეთია მოცემულობა, რომლის თანამონაწილე ჩემთან ერთად თქვენცა ხართ, ბატონო ჯემალ და რატომ მალავთ, რატომ გესირცხვილებათ ეს?!</u>***

სიტყვა გამექცა. ამის შემდეგ მათ ჩატენი ავტობუსში და მიათრევ ქ. თბილისის საკრებულოს უკან, გალაკტიონის ქუჩის №15-ში, სადაც გახლავთ მ. კოსტავას საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი და მაგ ქვებუნაგურ თვალსამზერში აუფრიალებ სიმართლეს, რასაც ასე არამზადული სიჯიუტით უმრუუდებენ გზას.

***



≈*≈

**მთელი** ამ წლების განმავლობაში, სხვადასხვა მოღალატური, გამრიგებლურ-ქვეშევრდომული, თაღლითურ-ქვეშქვეშური და ა. შ. რაც მთავარია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დევნილი მოსახლეობის სახალხო ნების საწინააღმდეგო საქმიანობის გამო *აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ მთლიანობაში ვერც ერთხელ ვერ შესძლო უზრუნველეყო საკუთარი ამომრჩევლის განაწესისა თუ პოლიტიკური დაკვეთის აღსრულება კი არა, - არ დაღალატება მაინც ხალხის მოთხოვნათა, - არ დაეშვა ომი. რაც შეეხება დევნილობაში მის საქმიანობას, აქ ის კიდევ და კიდევ დაშორდა სააფხაზეთო ძალისხმევას და ელიტურ კორუფციაში ჩაიძირა,* რითაც იქცა საშოვარზე გამოორღობებულ ჯოგად და ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობით შეიარაღებულ გუნდად, რომლისთვისაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციაზე ფიქრი თავსმოხვეული სახაზინო დავალდებულება კი არა, სულისმიერი მოთხოვნილება ან ამისთვის თავგასაწირი სახალხო გარჯა გახდებოდა.

*სერგი (გიორგი) საჯაია*

≈*≈